

პაატა ცნობილაძე

# საქართველოს კონსტიტუციური სამართალი

ორ ტომად

ტომი I

სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის  
(სრული კურსი)

რეკომენდირებულია დასაბეჭდად  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის  
კათედრის მიერ

თბილისი  
გამომცემლობა „ნიჰარსალი“  
2005

- რედაქტორი:** **†გივი ინწკირველი** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თსუ სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი
- რეცენზენტები:** **გიორგი ხუბუა** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**კონსტანტინე კორკელია** – თსუ საერთაშორისო სამართლის კათედრის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

წინამდებარე სახელმძღვანელო ფართოდ იზილავს საქართველოს კონსტიტუციური სამართლის პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს და წარმოაჩენს მოცემული დარგის თეორიისა და პრაქტიკის მწვავე პრობლემებს. ნაშრომში გამოყენებულია როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ისე დასავლეთევროპული და აშშ-ის სასამართლოების მრავალი გადაწყვეტილება.

მესამე გადამუშავებული გამოცემა ორ ტომად მომზადებულია კანონმდებლობაში უახლესი ცვლილებების გათვალისწინებით 2004 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით.

განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების, ასპირანტების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა მოხელეებისათვის.

# შინაარსი

წინათქმა .....	9
შესავალი .....	11

## თავი I. საქართველოს კონსტიტუციური სამართლის საბანი, წყაროები და სისტემა..... 16

§1. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, როგორც სამართლის დარგი .....	16
1.1.1. რეგულირების საგანი და რეგულირების მეთოდი .....	16
1.1.2. საქართველოს კონსტიტუციური სამართლის სისტემა – ძირითადი პრინციპები, ინსტიტუტები, ნორმები .....	23
1.1.3. კონსტიტუციური სამართლის ნორმების კლასიფიკაცია .....	29
1.1.4. საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყაროები .....	36
§2. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობებში საქართველოში .....	43
1.2.1. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების დამახასიათებელი ნიშნები, კლასიფიკაცია, ცნება .....	43
1.2.2. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები .....	47
§3. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, როგორც მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა .....	52
1.3.1. ცნება, ამოცანები, წყაროები .....	52
1.3.2. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, როგორც სასწავლო დისციპლინა .....	56
1.3.3. კონსტიტუციური სამართლის მეცნიერების განვითარების ისტორია. ქართველი კონსტიტუციონალისტები და მათი მეცნიერული შემოქმედება .....	58

§4. სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა კონსტიტუციურ სამართალში .....	66
<b>თავი II. მრეკრება კონსტიტუციაზე .....</b>	<b>73</b>
§1. კონსტიტუცია – უზენაესი კანონი .....	73
2.1.1. კონსტიტუციის კლასიკური მოდელის აღმოცენება .....	73
2.1.2. კონსტიტუციის ცნება .....	77
2.1.3. კონსტიტუციის არსი და იურიდიული მნიშვნელობა .....	82
2.1.4. კონსტიტუციის სახეები .....	89
§2. კონსტიტუციონალიზმის სათავეები საქართველოში .....	93
2.2.1. როდის იწყება ათვლის წერტილი? .....	93
2.2.2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია .....	98
2.2.3. საბჭოთა პერიოდის საქართველოს კონსტიტუციები .....	111
2.2.4. „საკონსტიტუციო რევოლუციის“ დასაწყისი – გზა ახალი კონსტიტუციისაკენ .....	124
<b>თავი III. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია .....</b>	<b>133</b>
§1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის შინაარსობრივი პარამეტრები .....	133
3.1.1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის სტრუქტურა .....	136
3.1.2. საქართველოს კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის წესი .....	140
§2. ქართული კონსტიტუციური სისტემის განვითარების თანამედროვე ტენდენციები .....	145
3.2.1. 2004 წლის „საკონსტიტუციო რეფორმა“ – პოსტრევოლუციური განწყობილება თუ გარდაუვალი აუცილებლობა? .....	145

3.2.2. მმართველობის ახალი მოდელი – ახალი რეალობა: კონსტიტუციური შესწორებები თანამედროვე ეტაპზე.....	150
---	-----

<b>თავი IV. სამართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობილების საფუძვლები .....</b>	<b>155</b>
--	------------

<b>§1. საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობილების ცნება და სტრუქტურა .....</b>	<b>155</b>
4.1.1. საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობილების ცნება და ელემენტები .....	155
4.1.2. ადამიანი საქართველოს კონსტიტუციური წყობილების სისტემაში.....	160
4.1.3. სახალხო ხელისუფლების ცნება და განხორციელების ფორმები .....	162
<b>§2. საქართველოს პოლიტიკური სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები და მისი ელემენტები .....</b>	<b>170</b>
4.2.1. პოლიტიკური სისტემის ცნება და ელემენტები .....	170
<b>§3. საქართველოს ეკონომიკური სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები .....</b>	<b>181</b>
4.3.1. საქართველოს ეკონომიკური სისტემის ცნება – კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინტერპრეტაცია.....	181
4.3.2. სახელმწიფოს საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და საგადასახადო სისტემის კონსტიტუციური რეგლამენტაცია .....	186
<b>§4. საქართველოს სოციალური სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები .....</b>	<b>190</b>
4.4.1. სოციალური სისტემის ცნება და ხასიათი. სოციალური სტრუქტურა .....	190
<b>§5. სახელმწიფო და ეკლესია: ურთიერთობის კონსტიტუციური საფუძვლები .....</b>	<b>194</b>

4.5.1.	ურთიერთაურევლობის პრინციპი.....	194
4.5.2.	კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის .....	199
§6.	მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები .....	205
4.6.1.	რატომ ვუწოდებთ მასმედიას „მეოთხე ხელისუფლებას“? .....	205
4.6.2.	მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფარგლები .....	208
§7.	საქართველოს სახელმწიფო – პირითადი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი .....	211
4.7.1.	საქართველო – რესპუბლიკური, დემოკრატიული, სამართლებრივი, სოციალური, განუყოფელი სახელმწიფო .....	211
4.7.2.	ხელისუფლების დანაწილება, როგორც სახელმწიფოს დემოკრატიული ორგანიზაციის ფუძემდებლური პრინციპი .....	222

**თავი V. ადამიანისა და მოქალაქის  
კონსტიტუციურ-სამართლებრივი  
სტატუსი საქართველოში .....**

§1.	ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის ცნება და სტრუქტურა .....	234
5.1.1.	რას ნიშნავს ადამიანისა და მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი? .....	234
5.1.2.	სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობის პრინციპები .....	238
§2.	მოქალაქეობის ინსტიტუტი საქართველოში .....	243
5.2.1.	საქართველოს მოქალაქეობის ცნება და არსი .....	243
5.2.2.	საქართველოს მოქალაქეობის შექმნის საფუძვლები .....	252

5.2.3. საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლები .....	258
5.2.4. მოქალაქეობის არმქონე პირებისა და უცხოელი მოქალაქეების სამართლებრივი სტატუსი .....	261
5.2.5. საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი .....	265

**თავი VI. ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები საქართველოში .....** 268

§1. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კონცეფცია საქართველოს კონსტიტუციასა და მსოფლიო პრაქტიკაში .....	268
6.1.1. ძირითადი უფლებების არსი და მნიშვნელობა .....	268
6.1.2. სამართლებრივი სახელმწიფო და ძირითადი უფლებები და თავისუფლებები .....	274
6.1.3. ძირითადი უფლებების წყაროები .....	277
6.1.4. ძირითადი უფლებები: ცნება და შინაარსი .....	285
6.1.5. კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების სისტემა .....	291
§2. პირადი უფლებები და თავისუფლებები .....	292
6.2.1. სიცოცხლის უფლება .....	292
6.2.2. პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობა .....	298
6.2.3. ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება .....	303
6.2.4. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა .....	310
6.2.5. თავისუფალი გადაადგილების უფლება .....	319
6.2.6. სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება .....	324
6.2.7. სასამართლო წესით დაცვის უფლება .....	328
6.2.8. უდანაშაულობის პრეზუმფცია .....	333
§3. პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები .....	337
6.3.1. სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლება .....	340

6.3.2.	სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება .....	344
6.3.3.	გაერთიანების უფლება .....	357
6.3.4.	შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება .....	360
6.3.5.	პეტიციის უფლება .....	364
§4.	სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები .....	366
6.4.1.	ოჯახის დაცვა .....	367
6.4.2.	სოციალური უზრუნველყოფის უფლება .....	371
6.4.3.	ჯანმრთელობის დაცვის უფლება .....	373
6.4.4.	განათლების უფლება .....	377
6.4.5.	შემოქმედების თავისუფლება .....	382
6.4.6.	შრომის თავისუფლება .....	388
6.4.7.	საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება .....	394
§5.	საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური მოვალეობები .....	398
§6.	სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში .....	402
	<b>Summary .....</b>	<b>405</b>
	<b>გამოყენებული ლიტერატურა .....</b>	<b>408</b>



## წინათქმა

თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარება, მისი ცივილიზებულ სამყაროსთან სრულფასოვანი შერწყმა და ინტეგრაცია და იმავდროულად საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნება წარმოდგენილია პროგრესული კონსტიტუციური აღმშენებლობის გარეშე. ეს არის ურთულესი სამართლებრივი ფენომენი, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს და საზოგადოებრივი ყოფიერების სამომავლო პერსპექტივას.

თუმცა, სრულფასოვანი კონსტიტუციური აღმშენებლობა წარმოდგენილია შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ცოდნის ახალი სისტემის გარეშე. მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალების მომზადება იურიდიული მეცნიერების ელვისებურად ცვალებადი დინამიკის პირობებში ბევრად არის დამოკიდებული ახალგაზრდებისათვის ნოვატორული სიახლით დახუნძლული ინფორმაციის მიწოდებაზე, რომლის შექმნებაც მისცემს მათ რეალურ შესაძლებლობას, გახდნენ ამ პროცესის აქტიური მონაწილე, მისი მთავარი შემოქმედი, მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი-სახელმწიფოს ღირსეული საჭეთმყრობელი.

ამ და სხვა ობიექტურმა გარემოებებმა გადამაწყვეტინა ახალი თაობის სახელმძღვანელოს შექმნა. ეს არ არის ამბიციური პრეტენზია საუკეთესო სახელმძღვანელოს ავტორობაზე. პირიქით, ეს არის მოკრძალებული წვლილი ჩემი ქვეყნის, ჩემი ხალხის, მისი წარსულისა და აწმყოს პატივისცემის დასტურად, მხოლოდ განმსჭვალული უდიდესი სიყვარულითა და ბედნიერი მომავლის იმედით.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელოს ორტომეულს საფუძვლად დაედო ლექციების კურსი, რომელიც თორმეტი წლის მანძილზე იკითხება ჩემს მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მთავარი მიზანი იყო არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ძირითადი ინსტიტუტების გადმოცემა, არამედ ასევე მისი თანამედროვე ვერსიფიკაცია საუკეთესო უცხოური მოდელებისა და ნიმუშების მიხედვით.

ნაშრომზე მუშაობისას მრავალრიცხოვან წერილობით წყაროებთან ერთად უადრესად დიდი დახმარება გამოწია დისკუსიებმა კონსტიტუციური სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერებთან, რომლებიც იმართებოდა დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის, გერმანიის, ესპანეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ცნობილ უნივერსიტეტებსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (CIU – ბუდაპეშტი), ასევე მსოფლიო იურისტთა ასოციაციისა (ვაშინგტონი) და იურისტთა საერთაშორისო კავშირის (მოსკოვი) ინიციატივით გამართულ მრავალრიცხოვან სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე.

მაღლიერებას გამოვხატავ ჩემი მეგობრების: ვოლფგანგ შულცის (გერმანია), იცზაკ ნენერის (ისრაელი), ვედ ნანდას (აშშ), დევიდ ფლინტის (ავსტრალია), ასევე სხვა ცნობილი მეცნიერების, ალექსანდრე ბლანკენაგელის (გერმანია), რონალდ გრინბერგის (აშშ), სერგეი ალექსეევისა და ლევ ენტინის (რუსეთი) და სხვა კოლეგების მიმართ, რომლებთან ურთიერთობამ ხელი შეუწყო ჩემი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას.

მაღლობას მოვახსენებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის წევრებს, განსაკუთრებით კი, ქ-ნ ნანა ჭილაძესა და ქ-ნ ირმა ნოზაძეს წიგნზე მუშაობის პროცესში გამოხატული აქტიური მხარდაჭერისათვის.

მაღლობას ვუძღვნი ქ-ნ ირმა ბექაურს წიგნის გამოსაცემად მომზადებისათვის, ერთგულებისა და გაწეული შრომისათვის.

განსაკუთრებულ მაღლიერებას გამოვხატავ ქ-ნ ნათია კონწურაშვილის მიმართ რამდენიმე თვიანი დამაბული და თავდაუზოგავი შრომისათვის, რომელიც თან ახლდა საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში არსებული მასალების შეკრებასა და თარგმნას, წიგნის ტექსტის საბოლოო რედაქტირებასა და დამუშავებას.

დიდი გულისტკივილით მოვიხსენიებ წიგნის სამეცნიერო რედაქტორს, ჩემს მასწავლებელს, აწ გარდაცვლილ გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს პროფ. გივი ინწკირველს, რომლის თანადგომამ განაპირობა სახელმძღვანელოს მომზადება.

გულითად მაღლობას ვუძღვნი წიგნის რეკენზენტებს პროფ. გიორგი ზუბუასა და პროფ. კონსტანტინე კორკელიას გამოთქმული რჩევებისა და სურვილებისათვის და მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

პაატა ცნობილაძე  
თბილისი, 2004 წლის 1 დეკემბერი

## შ ე ს ა გ ა ლ ი

ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში პირველხარისხოვანი და განუზომელია კონსტიტუციის როლი. მაგრამ ის კიდევ უფრო იზრდება ე.წ. გარდამავალ პერიოდში, როცა საუბარი ეხება ძირეულ გარდაქმნებს არა მხოლოდ საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, არამედ ასევე მის ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაში. მხოლოდ ახალი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ადეკვატურ კონსტიტუციას ძალუძს წესრიგისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაც აგრერივად აუცილებელია ფართომასშტაბიანი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების წარმატებისათვის.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მოქმედებამ უკვე ცხრა წლის განმავლობაში დაგვანახა, რომ მან საკმაოდ ეფექტიანად განსაზღვრა სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკური სისტემის განვითარების იურიდიული პარამეტრები. თუმცა, კონსტიტუციური ევოლუციის პროცესი გრძელდება. ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით ყალიბდება ახალი მიდგომები, ახალი პოლიტიკური და, თუ გნებავთ, კონსტიტუციური მსოფლმხედველობა. საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებით ბიძგი მიეცა შესაძლებლობების გაფართოების პერსპექტივას საინფორმაციო, სამეცნიერო-კულტურულ, ეკონომიკურ და სხვა სფეროებში.

საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების ახლებური გააზრება ობიექტური კანონზომიერების შედეგია, რადგან დღის წესრიგში დადგა საზოგადოებრივი ურთიერთობების კონსტიტუციური რეგულირების მძლავრი ბერკეტების უფრო სრულად გამომყდავენებისა და გამოყენების აუცილებლობა. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან კონსტიტუცია თავისი არსით სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების სამართლებრივი მიკრომოდელი, იურიდიული კარკასი, რომელიც ხელს უწყობს მის მიზანმიმართულ განვითარებას.

კონსტიტუციონალიზმის იდეების, კონსტიტუციის არსისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემების შესწავლასა და მოწესრიგებას ისახავს სწორედ მიზნად საქართველოს კონსტი-

ტუციური სამართალი. ტერმინი „კონსტიტუციური სამართალი“ გამოიყენება სამი მნიშვნელობით: კონსტიტუციური სამართალი, როგორც საქართველოს ეროვნული სამართლის დარგი, როგორც მეცნიერება და როგორც სასწავლო დისციპლინა (კურსი).

საგანგებო ყურადღება უნდა დაუთმოდეს თვით ტერმინს „კონსტიტუციური სამართალი“.

იურიდიულ მეცნიერებაში ხანგრძლივი დავა მიმდინარეობდა „კონსტიტუციური სამართლისა“ და „სახელმწიფო სამართლის“ ცნებების თანაფარდობის შესახებ. ცნობილია, რომ რიგ ქვეყნებში „კონსტიტუციური სამართლის“ აღმნიშვნელ სინონიმად გამოიყენება „სახელმწიფო სამართალი“. თანაც ავტორთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ეს პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება სხვა პრობლემას და კერძოდ, სუამენ კიოხვას: კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია თუ საზოგადოების, თუ ორივესი ერთად?

ერთი შეხედვით, ამ ორ ტერმინს შორის ვერ ვხედავთ პრინციპულ განსხვავებას. არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისა, რომ ერთ-ერთ მათგანს მივანიჭოთ მეტი უპირატესობა, ხოლო მეორეს – ნაკლები<sup>1</sup>. საკითხისადმი ორივე მიდგომას ახასიათებს პოზიტიური თვისებები და არგუმენტები თავის სასარგებლოდ და ასევე შეიცავს ადავო წინააღმდეგობრივ მომენტებსაც.

დავიწყოთ იქიდან, რომ ტერმინი – „კონსტიტუციური სამართალი“ – პირველ ყოვლისა, გავრცელებულია იმ ქვეყნებში, სადაც ჩამოყალიბდა ანგლოსაქსური და რომაული სამართლებრივი სისტემები, რომლებიც ადგენენ კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებს. სწორედ ასეთი წყობილება უზრუნველყოფს ხელისუფლების დანაწილებას, ადამიანის უფლებების თავისუფლად რეალიზაციას, მათი სასამართლო წესითა და სათანადო სამართლებრივი პროცედურებით დაცვას და ა.შ.

გერმანული სამართლებრივი სისტემისათვის კი დამახასიათებელია ტერმინის „სახელმწიფო სამართლის“ გამოყენება, რაც

---

<sup>1</sup> Колюшин Е.И., Конституционное (Государственное) право России, М., 1999; Чудаков М.Ф., Конституционное (Государственное) право зарубежных стран, Минск, 1998 და სხვ.

გამოწვეულია იმ ისტორიული რეალობით, რომელშიც ხდებოდა გერმანული სახელმწიფოებრიობის ფორმირება და განვითარება.

სოციალისტური საქართველოს სინამდვილეში გამოიყენებოდა „სახელმწიფო სამართალი“ და არა კონსტიტუციური სამართალი, რამაც განაპირობა მრავალი პოლიტიკური, სამართლებრივი და იდეოლოგიური ფაქტორი. მათ შორის უმთავრესი იყო რეალური კონსტიტუციური წყობილების არარსებობა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი არ ცნობდა დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობას. თავის დროზე ა. ი. ვიშინსკი ამტკიცებდა: „სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, რომ სამართლის ამ დარგს ეწოდოს სახელმწიფო სამართალი, და არა კონსტიტუციური“<sup>2</sup>.

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კონსტიტუციური სამართლის განვითარება დაკავშირებულია უამრავ სირთულესთან: კონსტიტუციური წყობილება განვითარების პირველ ეტაპზეა, ახალი სამართლებრივი სისტემა ცოცხალი თითქმის თავიდან ყალიბდება, ქართული კონსტიტუციონალიზმი დგამს პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს.

და მაინც, რატომ მივანიჭეთ უპირატესობა „კონსტიტუციურ სამართალს“ და ავირჩიეთ ის მოცემული სახელმძღვანელოს სახელწოდებად?

ჯერ ერთი, ტერმინი „კონსტიტუციური სამართალი“ საშუალებას გვაძლევს, უფრო მკაფიოდ გავმიჯნოთ სამართლის მოცემული დარგი სხვა დარგებისაგან (მაგ. ადმინისტრაციული სამართლის, სისხლის სამართლის, სისხლისა და სამოქალაქო პროცესისაგან და სხვ.). ამ მითითებულ დარგებსაც შეიძლება თამამად ვუწოდოთ „სახელმწიფო“ იმ გაგებით, რომ ისინი არეგულირებენ სახელმწიფო ორგანოების ორგანიზაციასა და საქმიანობას. ამასთან ერთად, სამართლის თითქმის ყველა დარგს შეიძლება საფუძვლიანად ვუწოდოთ „სახელმწიფო“ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის არის სახელმწიფოს მიერ შექმნილი და უზრუნველყოფილი იძულების ძალით.

---

<sup>2</sup> Вишинский А.А., Вопросы теории государства и права, М., 1949, გვ. 68.

მეორე არგუმენტი, რომელიც „კონსტიტუციური სამართლის“ სასარგებლოდ მეტყველებს, არის ის, რომ მოცემული ტერმინი უკეთ განსაზღვრავს უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი დარგის საგანს. თავად ტერმინი „კონსტიტუცია“ იურისპრუდენციაში დამკვიდრდა ლათინური სიტყვიდან, რომელიც ნიშნავს დადგენას, დაწესებას, საფუძველს.

მესამე არგუმენტს შეიძლება დავესესხოთ ცნობილ გერმანელ კონსტიტუციონალისტს – კ. ჰესეს, რომელიც მიუთითებს, რომ კონსტიტუცია არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოს ორგანიზაციით, არამედ ღიდ ყურადღებას უთმობს ასევე მისითვე რეგულირებულ „არასახელმწიფოებრივ“ კომპონენტებს<sup>3</sup>.

დაბოლოს, „კონსტიტუციური სამართლის“ სახელწოდება ნაკარნახევია საზოგადოების ცხოვრებაში კონსტიტუციის განსაკუთრებული მდგომარეობით, როგორც უზენაესი კანონისა, ასევე იმით, რომ იგი შეადგენს მოცემული დარგის მთელ ბირთვს. თუმცა, არ შეიძლება გავათანაბროთ კონსტიტუციის გაგება კონსტიტუციურ სამართალთან, რადგან ეს დარგი მოიცავს ასევე სხვა ნორმატიულ აქტებს, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესსა და მრავალფეროვან მხარეებს.

მოუხდავად ზემოთ მოყვანილი არგუმენტებისა, ჩემი არჩევანი სასწავლო კურსის სახელწოდებასთან დაკავშირებით არ ნიშნავს საკითხის საბოლოო გადაწყვეტას. პირიქით, ყველაფერი ეს მოწმობს იმას, რომ მომავალშიც უნდა გაგრძელდეს ამ სახელწოდებათა დასაზუსტებლად მსჯელობა, ვინაიდან საუბარი ეხება იურიდიული მეცნიერების უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ პრობლემას.

წარმოდგენილი სახელმძღვანელოს დანიშნულება იმითაც არის აქტუალური და მნიშვნელოვანი, რომ მკითხველის წინაშე წარმოდგენილია გადაუმავლებელი ერთიანი თეორიული მასალა, რომელშიც ასახულია უახლესი ცვლილებები საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციასა და საკანონმდებლო აქტებში. პირველი გამოცემისაგან განსხვავებით, კიდევ უფრო ფართოდ არის განხილული

---

<sup>3</sup> Конрад Хессе, Основы конституционного права ФРГ, М., 1981, გვ.32.

სხვადასხვა კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტები, განსაკუთრებით კი ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილი, მათი დაცვის გარანტიები და სხვ.

წარმოდგენილი ნაშრომი, მიუხედავად მისი სოლიდური მოცულობისა, არ აცხადებს პრეტენზიას ყველა საკითხის სრულ და ამომწურავ შესწავლაზე. იგი დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისგანაც. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, ჩემი აზრით, ახალი კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც საქართველოში ჩამოყალიბდა უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, მოითხოვს შემდგომ, უფრო ღრმა და სრულ დამუშავებას, მით უფრო, რომ თქვენს მონამორჩილს აქვს საკუთარი ხედვა გარკვეული პრობლემების გადაწყვეტისა.

სახელმძღვანელოში საკითხები გაშუქებულია სასწავლო პროგრამის თემატიკის შესაბამისად. ყოველი თემა განიხილება ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც აყალიბებს მოცემული სასწავლო კურსის სისტემის, ჩემი აზრით, მისაღებ ვარიანტს.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის  
საბანი, წყაროები და სისტემა

§1. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი,  
როგორც სამართლის დარგი

1.1.1. რეგულირების საგანი და რეგულირების  
მეთოდი

საქართველოს კონსტიტუციური სამართალი ქვეყნის ეროვნული სამართლის საფუძველია, რომელიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, სიცოცხლეს ანიჭებს სამართლის ყველა სხვა დარგს. მართალია, საქართველოში დღემდე ძალაში რჩება სამართლის დაყოფა დარგებად, თუმცა ის თანდათანობით კარგავს თავის მნიშვნელობას. წინა პლანზე იწევს სამართლის დაყოფა საჯაროდ და კერძოდ, რაც გაცილებით მეტად შეესაბამება რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობების მოთხოვნებს. კონსტიტუციური სამართალი, წარმოადგენს რა სამართლის დარგს, არის საჯარო სამართლის ნაწილი, თუმცა იმავდროულად არეგულირებს არასახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლებსაც: ეკონომიკური სისტემის, პოლიტიკური მრავალფეროვნების საფუძვლებს, იურიდიულად განსაზღვრავს რელიგიური გაერთიანებების ადგილს საზოგადოებაში და ა.შ. ამიტომ, კონსტიტუციური სამართალი ადგენს განსაზღვრულ პარამეტრებს კერძო სამართლისთვისაც. მთლიანობაში, კონსტიტუციური და კერძო სამართლის თანაფარდობის პრობლემა ერთ-ერთი გადაუწყვეტელია.

როდესაც ვსაუბრობ საქართველოს კონსტიტუციურ სამართალზე, როგორც სამართლის დარგზე, უწინარეს ყოვლისა, ვგულისხმობ პოზიტიურ კონსტიტუციურ სამართალს, რომელსაც რიგ შემთხვევებში უპირისპირებენ ბუნებით სამართალს. ეჭვი არ არის, რომ ბუნებითი სამართლის იდეების, როგორც მარადიული ღირებულებების გამოყენება ამდღერებს და აკეთილშობილებს



პოზიტიურ სამართალს, უბიძგებს მას ჰუმანიზაციისა და შედარებითი სრულყოფილებისაკენ. მაგრამ პოზიტიურ კონსტიტუციურ სამართალზე ბუნებითი სამართლის პრიმატის კონცეფცია ასევე ბადებს გარკვეულ კითხვებს. მაგალითად, პოლიტიკურად შესანიშნავად ჟღერს ხმაძალალი განცხადება კანონის უპარგისობის შესახებ, თუ ის ეწინააღმდეგება ბუნებით სამართალს. თუმცა, სამართლებრივი მიდგომა მოითხოვს ვიკითხოთ: ვინ არიან ამ შემთხვევაში მოსამართლეები? ვინ განსაზღვრავს, კანონი ეწინააღმდეგება თუ არა ბუნებით სამართალს და რის საფუძველზე?

ამიტომაც, აღიარებს რა გარკვეულ მარადიულ ღირებულებებს, საქართველოს კონსტიტუციურ სამართალს არ შეუძლია შეიზღუდოს მხოლოდ ღირებულებათა ასეთი კრებულის განმტკიცებითა და რეგულირებით. მით უმეტეს, რომ ამ ღირებულებებს მუდამ ახასიათებს ეროვნული, ენობრივი, ტერიტორიული, ისტორიული და სხვა სახის სპეციფიკა.

საქართველოს კონსტიტუციური სამართალი რომ ქვეყნის სამართლებრივი სისტემის საფუძველია, კარგა ხანია აღარ არის სადავო. ეს განპირობებულია იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაკუთრებული შინაარსით, რომლებიც რეგულირდება მოცემული დარგის და ამ ურთიერთობებზე კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზემოქმედების მეთოდების მეშვეობით. ასეთი ზემოქმედება კი ხორციელდება ამ ურთიერთობების კონსტიტუციური განმტკიცებისა და რეგულირების გზით.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის სპეციფიკა სამართლებრივ სისტემაში, პირველ ყოვლისა, განისაზღვრება სამართლებრივი რეგულირების ობიექტით, ანუ სამართლებრივი რეგულირების საგნით. რეგულირების საგანი არის საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრული სფერო, რაც განსაზღვრავს კიდევ სამართლის ყოველი დარგის შინაარსს. თითოეული დარგის საგნის ცოდნის გარეშე შეუძლებელია სამართალგამოყენებითი საქმიანობა. ნებისმიერი კონკრეტული სიტუაციის იურიდიული ანალიზისას პირველ ეტაპს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რომელი დარგის ნორმები უნდა იყოს გამოყენებული. ამის გარეშე შეუძლებელია სიტუაციის სათანადო სამართლებრივი შეფასების უზრუნველყოფა.

კონსტიტუციური სამართლის საგნის განმარტება ხშირად მნიშვნელოვან სირთულეებს უკავშირდება. მისი სრულყოფილი სახით გადმოცემა ვიწრო გაგებით პრაქტიკულად შეუძლებელია. შეუძლებელია არა იმის გამო, რომ ვერ მოვიძიებთ ცნების განმსაზღვრელ ზოგად ფორმულირებას, არამედ იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში „თამაშ გარეთ“ რჩება თავად კონსტიტუციური სამართლის საგნის ფარგლებში ურთიერთობების დიდი ნაწილი. კერძოდ:

ვიწრო გაგებით, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, როგორც სამართლის დარგი არის ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას და მისი რეალიზაციის პროცესში აღმოცენებულ ურთიერთობებს. მოუხედავად იმისა, რომ აღნიშნული განმარტება საკმაოდ კომპაქტურია და ფაქტიურად გადმოცემულია კონსტიტუციური სამართლის საგნის დედააზრი, ის ვერ ხსნის მის სპეციფიკას და იურიდიულ ბუნებას. მიზეზი: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი არ არეგულირებს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესს. თანაც, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას და მისი რეალიზაციის პროცესში აღმოცენებული ურთიერთობები არის ძალზე მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ნაწილი იმ ურთიერთობებისა, რომლებიც ხვდება კონსტიტუციური სამართლის საგნის ფარგლებში.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ნორმებით რეგულირებული ურთიერთობების სწორი აღქმა და გაგება საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ მისი საგანი, გავმიჯნოთ იგი სამართლის სხვა დარგებისაგან და ამის საფუძველზე უფრო ნათელვყოთ კონსტიტუციური სამართლის, როგორც სამართლის წამყვანი დარგის ხასიათი.

ამისათვის საჭიროა წინასწარ გავარკვიოთ და ჩამოვაყალიბოთ იმ ურთიერთობათა ნუსხა, რომლებიც რეგულირდება კონსტიტუციური სამართლის ნორმებით. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი არეგულირებს:

- ა) საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც შეადგენს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების საფუძველებს;
- ბ) საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას,

ე.ი. ურთიერთობებს ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საფუძველზე, მისი შემადგენელი ნაწილების სამართლებრივ მდგომარეობას;

გ) საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, რაშიც გამოიხატება პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველები საქართველოში, განმტკიცებული საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში;

დ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და განხორციელების პროცესს;

ე) საქართველოს საარჩევნო სამართალსა და საარჩევნო სისტემას;

ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ პრინციპებს;

ზ) საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის წესსა და პრინციპებს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს კონსტიტუციური სამართლის რეგულირების სფერო საკმაოდ მრავალფეროვანია და უკავშირდება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს მხარეებს. აშკარაა, რომ კონსტიტუციური სამართლის საგანს წარმოადგენს როგორც ფაქტობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც წარმოშობს კონსტიტუციას, ისე თვით კონსტიტუცია, რომელიც უკუმოქმედებს ამ ურთიერთობებზე, ასევე მათი ურთიერთქმედების შედეგი.

ამრიგად, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ცნება ფართო გაგებით.

საქართველოს კონსტიტუციური სამართალი არის ძირითადი სამართლის დარგი, კონსტიტუციური ნორმებისა და ინსტიტუტების, ასევე სხვა ნორმების სისტემური ერთობლიობა, რომელიც განამტკიცებს და არეგულირებს კონსტიტუციური წყობილების საფუძველებს, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას, პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას, საარჩევნო სამართალს და საარჩევნო სისტემას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სისტემას.

ჩემი აზრით, მოცემული განმარტების უპირატესობა პირველთან შედარებით კომენტარს არ საჭიროებს, ვინაიდან ის მეტი სიზუს-

ტით ადგენს კონსტიტუციური სამართლის საგნის მასშტაბებს და სარეგულაციო არეალს.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წამყვან როლზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ის გარკვეულწილად განსაზღვრავს საქართველოს ერთიანი სამართლის სისტემის შემდგომი განვითარების მიმართულებებს, თუნდაც მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სამართლის ნებისმიერი დარგის ძირითადი წყარო კონსტიტუციაა. კონსტიტუცია კი შეიცავს პრინციპებსა და ნორმებს, რომლებსაც აქვთ ფუნდამენტური მნიშვნელობა როგორც საკუთრივ კონსტიტუციური სამართლისათვის, ისე სამართლის სხვა დარგებისათვის. მაგალითად, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ორგანიზაციისა და საქმიანობის კონსტიტუციური საფუძვლები იმავდროულად ადმინისტრაციული სამართლის საწყისი დებულებებია;

კონსტიტუციური ნორმები განმარტავენ საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებას, ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუვალობას, რითაც განისაზღვრება სამოქალაქო სამართლის საფუძვლები;

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპისა და პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლების აღიარება ამოსავალი ქვაკუთხედია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისათვის და ა.შ.

რადგანაც ვსაუბრობთ კონსტიტუციური სამართლისა და სამართლის სხვა დარგების ურთიერთობის ასპექტებზე, არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ გავამახვილოთ კონსტიტუციური სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთქმედების პრობლემაზე.

შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ურთიერთქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირება, რომლებიც შეეხება საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებას, ასევე ჩვენი სახელმწიფოს მიერ საშინაო ცხოვრების ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას მისი საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებას. რამდენადაც საქართველოს სუვერენული სახელმწიფო იმავდრო-

ულად საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის მონაწილეა, სახელმწიფოს ორგანოთა მთელ საქმიანობაში დაცული უნდა იყოს მისი საერთაშორისო-სამართლებრივი მოვალეობები. ამასთან ერთად, სახელმწიფო სუვერენიტეტის ზოგადად აღიარებული მნიშვნელობის შესაბამისად, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, მისი ორგანოების, მოქალაქეების სამართლებრივი სტატუსი და სხვა რეგულირდება, პირველ ყოვლისა, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით. მასასადამე, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების მექანიზმი, ისევე როგორც მისი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, იმავდროულად შედის ორი დამოუკიდებელი, არათანადაქვემდებარებული სამართლებრივი სისტემის (საშინაო და საერთაშორისო) მარეგულირებელი ზემოქმედების სფეროებში. ამ მექანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ორივე სისტემის ნორმათა მაქსიმალური თანხმობის რეჟიმი, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფოს მიერ როგორც შიდა სამართალშემოქმედებაში, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შექმნაში მონაწილეობისას.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ფარგლებში უზრუნველყოფილია, ჯერ ერთი, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიზნების, ამოცანებისა და პრინციპების კონსტიტუციური განმტკიცება და ჩვენი სახელმწიფოს დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების მიმართ, და მეორე, კონსტიტუციური სამართალი აწესრიგებს ზოგიერთ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომლებიც თუმცა არ ეხება უშუალოდ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცედურას, მაგრამ მაინც გააჩნიათ როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო მნიშვნელობა (მაგ. მოქალაქეობის მიღებისა და დაკარგვის წესის განსაზღვრა, უცხოელი მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობისა და თავშესაფრის უფლების საფუძვლების განსაზღვრა).

ზემოთ აღნიშნული საზოგადოებრივი ურთიერთობების კონსტიტუციურ-სამართლებრივ რეგულირებას და შიდა სამართლის ნორმათა პრაქტიკულ გამოყენებას შეუძლია პროგრესული ზემოქმედება

მოახდინოს საერთაშორისო-სამართლებრივ სისტემაზე, თუმცა საერთაშორისო სამართალსაც შეუძლია უკუქცევითი ზემოქმედების მოხდენა შიდასახელმწიფოებრივი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების სრულყოფისათვის. ამას თავისი კონსტიტუციური რეგლამენტაციაც აქვს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში პირდაპირ არის აღიარებული, რომ „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. მართებულად შენიშნავს პროფ. კ. კორკელია, რომ ამ მუხლის თანახმად „საერთაშორისო ხელშეკრულება ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილია, რაც ნიშნავს, რომ კოლიზიის შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული საერთაშორისო ხელშეკრულება“.<sup>4</sup>

რაც შეეხება სამართლებრივი რეგულირების მეთოდს, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი სხვა დარგებისაგან განსხვავდება არა მხოლოდ თავისი საგნით, არამედ თავის სუბიექტებზე ზემოქმედების მეთოდითაც. ისევე როგორც სამართლის სხვა დარგებში, კონსტიტუციურ სამართალში გამოიყენება აკრძალვის მეთოდი, ანუ არსებობს ამკრძალავი ნორმები. მაგრამ ყველაზე ხშირად გვხვდება მავალბელი მეთოდი, ანუ ნორმები, რომლებიც ავალდებულებენ ამა თუ იმ ორგანოს ან პირს განახორციელოს განსაზღვრული მოქმედებები, ასევე ნებადამრთველი მეთოდი, ანუ ნორმები, რომლებიც ნებას რთავენ განსაზღვრული მოქმედებების შესასრულებლად. ასეთი მეთოდი ყველაზე დამახასიათებელია სწორედ კონსტიტუციური სამართლისათვის.

კონსტიტუციური სამართლის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ე.წ. იმპერატიულ-მბრძანებლური ზემოქმედების მეთოდი. ეს მეთოდი არ გულისხმობს მხარეთა თანასწორობას, არამედ გულისხმობს ხელისუფლების პირდაპირ განხორციელებას, რამდენადაც

---

<sup>4</sup> კონსტანტინე კორკელია, საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბ., 1998, გვ. 157.

ერთ-ერთი სუბიექტთაგანი – სახელმწიფო – ახდენს თავისი ხელისუფლების რეალიზაციას, ავალდებულებს რა თავის სხვა სუბიექტებს შეასრულონ მის მიერ დადგენილი ქცევის წესები. რა თქმა უნდა, ასეთი ურთიერთობები არ არის ერთადერთი კონსტიტუციური სამართალში. სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების პროცესში აღმოცენდება სხვა სახის საზოგადოებრივი ურთიერთობებიც. მაგალითად, სახელმწიფო-სამართლებრივ ცხოვრებაში განსაზღვრულ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც არ იყენებენ სახელმწიფო ხელისუფლებას, არ იყენებენ იმპერატიულ ზემოქმედებას.

სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზაცია საკმაოდ ფართო სფეროა, თუმცა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ყველა ფორმა როდი იწვევს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების აღმოცენებას. მაგრამ ისეთი ფორმები, როგორცაა კანონმდებლობის მიღება, მთავრობის ნორმადამდგენი საქმიანობა, არჩევნები, რეფერენდუმები და პლემისციტები, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია, მათი დაცვა, საკონსტიტუციო კონტროლი, კონტროლი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, ეს სახელმწიფო ხელისუფლების გამოყენების, ანუ კონსტიტუციური სამართლის ყველაზე დამახასიათებელი სფეროებია.

### 1.1.2. საქართველოს კონსტიტუციური სამართლის სისტემა – ძირითადი პრინციპები, ინსტიტუტები, ნორმები

საქართველოს კონსტიტუციური სამართალი შედგება სხვადასხვა სტრუქტურული ნაწილების, ელემენტებისა და ქვესისტემებისაგან. მათ შორის არსებობს რთული სისტემური ურთიერთკავშირი, რომლის გამოვლენაც შეუძლებელია მოცემული სამართლის დარგისათვის დამახასიათებელი შიდა სტრუქტურის ღრმა ანალიზის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციური სამართალი არის ქვეყნის ერთიანი სამართლის შემადგენელი ნაწილი, იმავდროულად თავად წარმოადგენს მრავალწახნაგოვან წარმონაქმნს.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის დარგის სისტემა გამოიხატება მის შინაგან აგებულებაში, რაც განპირობებულია მის ნორმებს შორის არსებული ურთიერთკავშირებით. ისინი განსაზღვრავენ გარკვეულ სამართლებრივ წარმონაქმნებში ამ ნორმების დიფერენციაციისა და ინტეგრაციის საფუძვლებს, რითაც მულავენდება სისტემის ელემენტების ნიშნები, ასევე მათი სტრუქტურა.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის, როგორც დარგის სისტემის ელემენტებს მიეკუთვნება ისეთი ცნებები, როგორიცაა კონსტიტუციური სამართლის პრინციპები, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტები და კონსტიტუციური სამართლის ნორმები.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის დარგი, ისევე როგორც სამართლის ნებისმიერი დარგი, მისი სისტემა ეფუძნება გარკვეულ იდეებსა და საწყისებს, რაც განპირობებს კიდევ მისი პერსპექტიული განვითარების ორიენტირებს. სწორედ ისინი განსაზღვრავენ ინსტიტუტებისა და ნორმების მარეგულირებელ ტენდენციებს, თავად სამართლებრივი ურთიერთობების ხასიათს. კონსტიტუციური სამართლის თეორიაში მათ მოიხსენიებენ კონსტიტუციური სამართლის სისტემის პრინციპებად.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის პრინციპები არის ის ფუძემდებლური იდეები და საწყისები, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული სამართლის დარგის ძირითად არსს და ხასიათს.

როგორც წესი, კონსტიტუციური სამართლის პრინციპები განმტკიცებულია თავად კონსტიტუციის ტექსტში. ეს პრინციპები გამოძღინარეობენ ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიული ღირებულებებიდან. საქართველოს კონსტიტუციაში არ არის ერთი რომელიმე კონკრეტული მუხლი, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა მათი სრული ნუსხა, თუ არ ჩავთვლით საქართველოს კონსტიტუციის მე-1 მუხლს, რომლითაც აღიარებულია ერთბაშად სამი პრინციპი — სახალხო სუვერენიტეტის (მე-1 მუხლის 1-ლი პუნქტი), სახალხო წარმომადგენლობის (მე-1 მუხლის მე-2 პუნქტი) და ხელისუფლების დანაწილების (მე-1 მუხლის მე-3 პუნქტი) პრინციპები. რაც შეეხება სხვა პრინციპებს, ისინი გაფანტულია სხვადასხვა მუხლებში. თუმცა ამით, ბუნებრივია, სრულებითაც არ კინდება მათი მნიშვნელობა, მაგალითად, საქართველოს კონსტი-



ტუციის პირველი მუხლი განამტკიცებს სახელმწიფო ერთიანობისა და განუყოფლობის პრინციპს; მე-14 მუხლი – პიროვნების თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპს, 42-ე მუხლი – უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო წესით დაცვის პრინციპს და ა.შ. სწორედ ეს ფუნდამენტური იდეები და საწყისები გვევლინება არა თუ კონსტიტუციური სამართლის, არამედ სამართლის ნებისმიერი დარგის სისტემის მკვებავ არტიერიად, რომელიც უზრუნველყოფს მის მდგრადობასა და სიცოცხლისუნარიანობას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციური სამართლის დარგი შედგება ასევე ინსტიტუტებისა და ნორმებისაგან.

იურისპრუდენციაში სამართლის ინსტიტუტს განმარტავენ, როგორც იურიდიული ნორმების ერთობლიობას, განცალკევებულ კომპლექსს, რომლებიც სამართლის დარგის ფარგლებში არეგულირებენ ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

ეს სავსებით ეხება კონსტიტუციურ-სამართლებრივ ინსტიტუტებს, რომელთა ნორმები გამოირჩევა განსაზღვრული ავტონომიით, ერთიანდება შესაბამისი პრინციპებითა და მეთოდებით, გამოირჩევა შედარებით დამოუკიდებელი სამართლებრივი რეგულირებით.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტები განსხვავდება შინაარსით, სტრუქტურით, სამართლებრივი რეგულირების მეთოდებითა და ამოცანებით. ამიტომაც, კონსტიტუციური სამართლის დარგის სისტემის ყოველი ელემენტი, მისი ყველაზე მსხვილი ინსტიტუტი ხასიათდება განსაკუთრებული სამართლებრივი ბუნების მქონე ნიშან-თვისებებით, რომლებიც ხარისხობრივად განასხვავებენ მათ სხვა ინსტიტუტების ნორმებისაგან.

ზოგადი წესით, განასხვავებენ დარგობრივ და დარგთაშორის ინსტიტუტებს. მაგალითად, კონსტიტუციურ-სამართლებრივ ინსტიტუტებს განეკუთვნება წარმომადგენლობითი ორგანოების ინსტიტუტი, მოქალაქეობის ინსტიტუტი და სხვ. დარგთაშორისი ინსტიტუტის მაგალითი შეიძლება იყოს საკუთრების ინსტიტუტი, რომელიც დამოუკიდებელი ინსტიტუტია და განმტკიცებულია საქართველოს ძირითადი კანონის ნორმებში.

გარდა ამისა, ნიშნები, რომელთა საფუძველზე ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვავოთ კონსტიტუციურ-სამართლებრივი

ინსტიტუტები, მრავალგვარია. კერძოდ, მათი კლასიფიკაცია შესაძლებელია:

ა) შესაბამის ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედების სპეციფიკის მიხედვით. ასეთი ზემოქმედება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით: განმტკიცების, დადგენის, რეგულირების, აღიარების და სხვ.;

ბ) სამართლებრივი ნორმების მოქმედების მექანიზმის თავისებურებების, მათი რეალიზაციის ხერხების მიხედვით. ნორმის მოქმედებამ შესაძლებელია არ წარმოშვას კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა, ან პირიქით, მისი რეალიზება მოხდეს კონკრეტული სამართალურთიერთობის ან ზოგადი ხასიათის სამართალურთიერთობის მეშვეობით;

გ) სამართლებრივი რეგულირების კონკრეტული მიმართულების ზარისზის მიხედვით. ინსტიტუტების ერთი ნაწილი ადგენს მხოლოდ ურთიერთობების ფართო სფეროზე სამართლებრივი ზემოქმედების პრინციპებს, მეორე ნაწილი კი უშუალოდ არეგულირებს მათ;

დ) სუბიექტთა შემადგენლობის მიხედვით. ინსტიტუტების ერთი ნაწილის ნორმები ეხება კონკრეტულ სუბიექტებს, მეორე ნაწილი კი – სამართლის ყველა სუბიექტს. ამასთან დაკავშირებით განსხვავებულია სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტთა სამართლებრივი სტატუსიც;

ე) კონკრეტულ ინსტიტუტში შემავალი ნორმების გამოხატვის ფორმის სპეციფიკით. ზოგიერთ ინსტიტუტში ნორმებს აქვს უპირატესად გამოხატულების კონსტიტუციური ფორმა, ხოლო ზოგში ნორმების უმეტესობა გამოიხატება მიმდინარე კანონმდებლობაში;

ვ) თითოეული ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ფუნქციების მიხედვით. ისინი განსაზღვრავენ მის ადგილს მთლიანად დარგის სისტემაში, მის ხასიათს და როლს სხვა ინსტიტუტებთან ურთიერთქმედების პროცესში და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური სამართლის ინსტიტუტები ადვილად ცნობადია, თუ მივმართავთ კონსტიტუციის ტექსტს, ვინაიდან კონსტიტუციის სტრუქტურა არის კიდევ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტების ჩამონათვალი.

საქართველოს კონსტიტუციურ სამართალში ძირითადად გამოვყოფთ ოთხ მსხვილ ინსტიტუტს: კონსტიტუციური წყობილების, პიროვნების სამართლებრივი სტატუსის, სახელმწიფო მოწყობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტებს. თუმცა, თითოეული მათგანი, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს ე.წ. სუბინსტიტუტებად. მაგალითად, სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტი მოიცავს სახელმწიფო მეთაურის ინსტიტუტს, პარლამენტის ინსტიტუტს, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს და ა.შ. პიროვნების სამართლებრივი სტატუსის ინსტიტუტი მოიცავს მოქალაქეობის ინსტიტუტს, პირადი უფლებების, კონსტიტუციური უფლებების, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ინსტიტუტს და სხვ.

ამრიგად, შეიძლება შევავჯამოთ ჩვენი მსჯელობა და ჩამოვყალიბოთ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტის ცნება.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ინსტიტუტი არის ურთიერთდაკავშირებული სამართლებრივი ნორმების ფუნქციურად განცალკევებული, შინაგანად სტაბილური სისტემა. ეს არის სამართლის დარგის ძირითადი, მოწინავე ქვედანაყოფი, ნორმების თავისებური ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს არა ერთი, არამედ თავისი სამართლებრივი რეგულირების მეთოდისა და შინაარსის მიხედვით რამდენიმე ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობას.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმები სოციალური ნორმების ნაირსახეობაა, რომლებიც მოცემულია კონსტიტუციური სამართლის წყაროებში, ანუ ეს არის საქართველოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ზოგადი ხასიათის წესები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა ქცევას, განმტკიცებულია შესაბამის იურიდიულ აქტებში და აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმებს, სამართლის სხვა დარგების ნორმებისაგან განსხვავებით, გააჩნია მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თავისებურებანი და ამ თვალსაზრისით წარმოადგენენ საქართველოს ეროვნული სამართლის სისტემის ნორმათა განსაკუთრებულ ნაირსახეობას. როგორც სოციალური ორიენ-

ტაციის მნიშვნელოვანი საშუალებები, ისინი გამოხატავენ ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივ ნებას, ფორმალურად ადგენენ ზოგადსაავალდებულო ქცევის წესებს, განმტკიცებული არიან სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში, გააჩნიათ ორმხრივი ხასიათი, ე.ი. ადგენენ არა მხოლოდ უფლებებს, არამედ ასევე – სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მოვალეობებს, ითვალისწინებენ მათი რეალიზაციის განსაკუთრებულ მექანიზმს, რომლის ელემენტებიც მატერიალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ფაქტორებია.

ასეთი ნორმების მეტ-ნაკლებად სპეციფიკური თვისებებით განისაზღვრება კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების ადგილი საქართველოს ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში. ეს სავსებით კანონზომიერია, რადგანაც ისინი ახდენენ ისეთი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგლამენტაციას, რომლებიც ყალიბდება ქართველი ხალხის სრულხელისუფლებიანობის განხორციელების პროცესში. ეს უზრუნველყოფს კონსტიტუციური ნორმების დომინირებულ მდგომარეობას, მათ უდავო ზემოქმედებას სამართლის სხვა დარგების ნორმებსა და სამართლებრივ ურთიერთობებზე. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია არეგულირებს საკუთრებით ურთიერთობებს. მოცემული ნორმები კი იმავდროულად ფუნქციონირებს პრინციპებად სამართლის სხვა დარგისათვის, კერძოდ, სამოქალაქო სამართლისათვის. კონსტიტუციური ნორმები, ადმინისტრაციული სამართლის დარგის საფუძვლების დადგენით, განამტკიცებენ ადმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი ორგანოების შექმნისა და საქმიანობის პრინციპებს.

კონსტიტუციური სამართლის ნორმები, ისევე როგორც მთლიანად მოცემული სამართლის დარგი, საქართველოს სამართლის სისტემაში ასრულებენ ინტეგრაციულ ფუნქციებს. ისინი ახდენენ მათ გაერთიანებას ერთ მთლიან სისტემურ წარმონაქმნად, განსაზღვრავენ ყველაზე არსებით სტრუქტურულ და ფუნქციურ მახასიათებლებს, სრულყოფის გზებს. განსაკუთრებულია მათი იურიდიული ბუნებაც და რეალიზაციის მექანიზმი.

კონსტიტუციური სამართლის ნორმებს გააჩნია არა მხოლოდ იურიდიული, არამედ პოლიტიკური ხასიათიც. რამდენადაც მათში

აისახება პოლიტიკური იდეები, შეხედულებები და კონცეფციები, იმდენად ისინი სამართლებრივ რეგლამენტაციასთან ერთად ახდენენ პოლიტიკურ ზემოქმედებასაც.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების სტრუქტურა, როგორც წესი, არ შედგება კლასიკური ტრიადისაგან: ჰიპოთეზის, დისპოზიციისა და სანქციისაგან. კონსტიტუციურ სამართალში ასეთი ნორმები უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი, ვინაიდან მათ აქვთ უფრო განზოგადებული ხასიათი. თითქმის ყველა ნორმა შეიცავს თვით ქცევის წესს, დისპოზიციას. ნაკლებად გვხვდება ჰიპოთეზა და სანქცია. თუ ავიღებთ საქართველოს კონსტიტუციის ისეთ ნორმას, როგორცაა, მაგალითად, „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“, როგორც არ უნდა ვეცადოთ, ვერაფრით ვერ გამოვყოფთ კლასიკურ სამრგოლიან სისტემას. მაგრამ, კონსტიტუციური სამართლის ნორმების თავისებურება სულაც არ ნიშნავს, რომ ეს ნორმები კი არა, განსაკუთრებული სამართლებრივი კონსტრუქციაა. კონსტიტუციური სამართლის თავისებურება ისაა, რომ სანქცია, როგორც წესი, გადატანილია სამართლის სხვა დარგში და პასუხისმგებლობა კონსტიტუციური ნორმის დარღვევისათვის ცალსახად არსებობს. ამ ნორმების მეტ-ნაკლებად განზოგადებული, ფართო ხასიათი ანიჭებს კიდევ მათ თავისებურ და სპეციფიკურ ფორმებს. კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმებს აქვთ სამართლებრივი აბსტრაქციის ყველაზე მაღალი ხარისხი.

### 1.1.3. კონსტიტუციური სამართლის ნორმების კლასიფიკაცია

კონსტიტუციური სამართლის ნორმების კლასიფიკაცია გულისხმობს მათ განაწილებას ჯგუფებად სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. ასეთი კლასიფიკაცია საჭიროა მათი არსისა და ბუნების ღრმად წვდომისათვის, რაც საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ სამართლის ნორმების ფუნქციური კავშირები და სუბორდინაცია და სრულვყოთ ასეთი ნორმების რეალიზაციის მექანიზმი.

კონსტიტუციური სამართლის ნორმების კლასიფიკაციას აქვს ღრმად ობიექტური საფუძველი, რაც განპირობებულია თვით კონ-

სტიტუციური სამართლის, როგორც სამართლის დარგის არსით, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების იურიდიული ბუნებითა და სტრუქტურით, ასევე კონსტიტუციური სამართლის დარგის საგანგებო ფუნქციებით.

კონსტიტუციური სამართლის ნორმების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი საფუძვლებით:

ნორმის შინაარსის მიხედვით, რომელიც, პირველ რიგში, გამოდინარეობს იმ სამართლებრივი რეგულირების საგნიდან, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს კონსტიტუციის სისტემაში (შინაარსში).

პირველი ჯგუფი ის ნორმებია, რომლებიც გამოხატავენ საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძირითად პრინციპებს. ისინი ახასიათებენ საქართველოს, როგორც დემოკრატიულ, სამართლებრივ, სოციალურ სახელმწიფოს, რომლის შემქმნელი ხალხია. ამ ნორმათა მიხედვით, კონსტიტუციური წყობილება ემყარება სამართლის უზენაესობის, ტერიტორიული მთლიანობის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების პრიორიტეტის, პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური პლურალიზმის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და სხვა პრინციპებს;

მეორე ჯგუფს შეადგენს ნორმები, რომლებიც განამტკიცებენ პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას საქართველოში, ანუ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს მოქალაქეობასთან და მათ ძირითად უფლებებთან, თავისუფლებებთან და მოვალეობებთან. აღნიშნული ნორმები ასევე განამტკიცებენ უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობას;

მესამე ჯგუფს განეკუთვნება ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის საფუძვლებს. კერძოდ, სახელმწიფო ორგანოების ფორმირების წესს, ფუნქციებსა და მათ შორის ურთიერთქმედების კონსტიტუციურ პრინციპებს;

მეოთხე ჯგუფს კი შეადგენს ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის წესს.

როგორც ვხედავთ, კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმათა დაჯგუფება შინაარსის მიხედვით შეესაბამება კონსტიტუციის ტექსტის სტრუქტურას.

შინაარსის მიხედვით კონსტიტუციური სამართლის ნორმები იყოფა მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებად.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში მიღებული იყო, რომ პროცესუალური ნორმების გამოყენებით იფარგლებოდა მხოლოდ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროები. ამისათვის, სხვათა შორის, არსებობდა ობიექტური საფუძვლები, რასაც განაპირობებდა ე.წ. „სოციალისტური“ სამართლის ხასიათი, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის სფეროში პროცესუალურ ნორმებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის საქმიანობა უდავოდ გვარწმუნებს საპირისპირო მოსაზრებაში: პროცესუალურ ნორმებს აქვს უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა. ისინი გვევლინებიან სახელმწიფო ორგანოების ეფექტიანი მუშაობის ერთ-ერთ საწყისად, მათ საქმიანობაში კანონიერების უმნიშვნელოვანეს გარანტიად.

კონსტიტუციური სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში აღიარებულია, რომ, თუ მატერიალური სამართლის ნორმები გამოხატავენ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის არსს, განსაზღვრავენ მათ სამართლებრივ სტატუსს, მათგან განსხვავებით, პროცესუალური ნორმები განამტკიცებენ ამ საქმიანობის განხორციელების წესს, საშუალებებსა და მეთოდებს მატერიალური სამართლის ნორმების რეალიზაციის კონკრეტული პროცესუალური ფორმების დადგენის გზით. მატერიალური ნორმები პასუხობს კითხვას — რა უნდა გააკეთონ? ხოლო პროცესუალური — როგორ უნდა გააკეთონ? ისინი უკავშირდებიან ერთმანეთს შინაარსისა და ფორმების მიხედვით.

პროცესუალური ნორმები მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულია საქართველოს კონსტიტუციური სამართლის თითქმის ყველა ინსტიტუტში. რა არის მათი ფუნქციური დანიშნულება? — „მოემსახუროს“ მოცემულ ინსტიტუტს, უზრუნველყოს ამ ნორმების რეალიზაცია. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ისეთი ინსტიტუტებისათვის, როგორცაა საარჩევნო სამართალი, საკანონმდებლო პროცესი, საქართველოს კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა.

ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ არსებობს აქტები, სადაც პროცესუალურ ნორმებს ან უკავია განსაკუთრებული ადგილი, ან დომინირებს ასეთი აქტების შინაარსში. ამ ურთიერთობებში ტიპობრივს წარმოადგენს: კონსტიტუციის მესამე თავი, სადაც საუბარია საკანონმდებლო პროცესზე (კონსტიტუციის 66-68-ე მუხლები), იმპიჩმენტის პროცედურაზე (კონსტიტუციის 63-64-ე მუხლები), საქართველოს საარჩევნო კოდექსი და სხვ. ამასთან ერთად, პროცესუალური ნორმების უმრავლესობის შემცველია ისეთი აქტები, რომლებიც ადგენენ სახელმწიფო ორგანოებისა და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესებს. ასეთი აქტებია ამ ორგანოთა რეგლამენტები.

მაშასადამე, კონსტიტუციურ სამართალში პროცესუალური ნორმები ასრულებენ განსაკუთრებულ როლს, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია კონსტიტუციური ინსტიტუტებისა და ნორმების რეალიზაცია.

მათ განსაკუთრებული ადგილი უკავიათ საიურისდიქციო საქმიანობაში – საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში. სასამართლოს საქმიანობას აშკარად აქვს პროცედურულ-პროცესუალური ხასიათი, რომლის არსებობა მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უეჭველი საფუძველია. სხვა სიტყვებით, შეიძლება ვისაუბროთ კონსტიტუციურ-სამართლებრივი პროცესის შესახებ, რომელიც დგას ერთ რიგში სისხლისა და სამოქალაქო პროცესებთან.

როგორი დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ?

კონსტიტუციურ-სამართლებრივი პროცესუალური ნორმების გამოვლენისას საჭიროა გამოვიდეთ შემდეგი პრინციპებიდან:

ა) პროცესუალური ნორმები არეგულირებენ ურთიერთობებს, რომლებიც ყალიბდება უფლებამოსილი სუბიექტების მიერ თავიანთი ფუნქციების რეალიზაციის დროს;

ბ) პროცესუალურ ნორმებს ახასიათებს თავიანთი დანაწესების კატეგორიულობა, ხოლო სუბიექტები, რომელთა მისამართითაც არიან ისინი წარმოდგენილნი, აღჭურვილი არიან სახელმწიფო ხელისუფლებით;

გ) პროცესუალური ნორმები „ემსახურება“ მატერიალურ-კონსტიტუციურ ნორმებს და მათი საშუალებით ხდება მატერიალური ნორმების რეალიზაცია;



დ) არსებობს პროცესუალური ნორმების სხვა სისტემა, რომელიც შეიძლება დაეყოს ორ ჯგუფად: მარეგულირებელ და საიურისდიქციო ნორმებად. პრინციპში შეიძლება ვისაუბროთ პროცესუალური ნორმების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ინსტიტუტზე;

ე) კონსტიტუციური სამართალი განსაზღვრული სახით აერთიანებს მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების ელემენტებს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კლასიფიკაციაა ნორმის შინაარსის ხასიათი, რომელიც მიუთითებს კონსტიტუციური ნორმის მარეგულირებელი ზემოქმედების მექანიზმზე. ამ ნიშნის მიხედვით განასხვავებენ მავალბელ, ამკრძალავ და აღმჭურველ ნორმებს.

მავალბელი კონსტიტუციური ნორმა ადგენს განსაზღვრული მოქმედების შესრულების მოვალეობას. ნორმათა ამ ჯგუფს მიეკუთვნება ის ნორმები, რომლებიც განამტკიცებენ მოქალაქეთა კონსტიტუციურ მოვალეობებს, ასევე ის ნორმები, რომლებიც გამორიცხავენ მოქმედების სხვა ვარიანტს, ვიდრე ნორმაშია დადგენილი. მაგალითად, კონსტიტუციის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტი: „საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს“; 68-ე მუხლის მე-2 პუნქტი ავალდებულებს პარლამენტის თავმჯდომარეს ხელი მოაწეროს და გამოაქვეყნოს კანონი, თუ პრეზიდენტმა დადგინდ ვადაში არ გამოაქვეყნა მისი შენიშვნებით ერთხელ უკვე დაბრუნებული კანონპროექტი.

ამკრძალავი კონსტიტუციური ნორმა კრძალავს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას. ასეთი ნორმები, ძირითადად, ყალიბდება სპეციალური ამკრძალავი ტერმინების გამოყენებით, ისეთების, მაგალითად, როგორიცაა „დაუშვებელია“, „არ შეიძლება“, „დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით“, „უფლება არ აქვს“ და ა.შ. კერძოდ, კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი: „მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია“; 75-ე მუხლის 1-ლი პუნქტი: „საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა“; 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი: „სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით“; 81<sup>2</sup> მუხლის

მე-4 პუნქტი: „მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა...“.

აღმჭურველია კონსტიტუციური ნორმა, რომელიც ანიჭებს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს უფლებებს, შეასრულონ გარკვეული მოქმედებები. ასეთი ნორმები ფაქტიურად განსაზღვრავენ მათი უფლებამოსილებების ფარგლებს. მაგალითად, კონსტიტუციის მე-1ნ მუხლი: „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“. აღმჭურველი ხასიათის ნორმებია მოცემული კონსტიტუციის მე-3 მუხლში, რომელიც განამტკიცებს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს.

კონსტიტუციური ნორმების გადმოცემის განსაზღვრულობის ხარისხი. ამ ნიშნით განასხვავებენ კატეგორიულ-იმპერატიულ და დისპოზიციურ ნორმებს.

კატეგორიულ-იმპერატიულია კონსტიტუციური ნორმა, რომელიც აბსოლუტურად ზუსტად განსაზღვრავს მისი მოქმედების პირობებს, სუბიექტთა უფლებებსა და მოვალეობებს და არ ცნობს არავითარ გადახვევას მის მიერ დადგენილი წესებიდან. მაგალითად, კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი: „არავის არ აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება“.

დისპოზიციურია ნორმა, რომელშიც გათვალისწინებულია მისი მოქმედების რამდენიმე ვარიანტი. ასეთ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმებში მათი იმპერატიულობა შერწყმულია ალტერნატიულობასთან, ე.ი. სამართლის ნორმის გამოყენების სხვადასხვა ვარიანტების შესაძლებლობასთან. მაგალითად, კონსტიტუციის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტი: „თუ მთავრობის შემადგენლობამ ან სამთავრობო პროგრამამ ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, საქართველოს პრეზიდენტი 5 დღის ვადაში წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას ან პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს...“

კონსტიტუციური ნორმების კლასიფიკაციისას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სპეციალიზირებულ ნორმებს. მათი გამორჩევა ხდება იმისდა მიხედვით, თუ რა როლს ასრულებენ ისინი სამართლებრივი რეგულირების პროცესში. სპეციალი-

ზირებული ნორმები იყოფა: დეფინიციურ ნორმებად და ნორმა-პრინციპებად.

დეფინიციურია კონსტიტუციური ნორმა, რომელშიც მეცნიერულადაა ჩამოყალიბებული იურიდიული ცნებები და კატეგორიები. მაგალითად, კონსტიტუციის 48-ე მუხლი, რომელშიც განმარტებულია პარლამენტის ცნება.

ნორმა-პრინციპები კი ისეთი ნორმებია, რომლებშიც ჩამოყალიბებულია ზოგადი ან დარგობრივი სამართლებრივი პრინციპები და მოცემული იურიდიული ნორმების ერთობლიობის ამოცანები. მაგალითად, კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი: „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“.

კონსტიტუციური ნორმების დაყოფა ხდება მათი იურიდიული ძალის მიხედვით. კონსტიტუციური ნორმების ამ ნიშნით დაყოფა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ სამართლებრივ აქტში არის ესა თუ ის ნორმა განმტკიცებული და რა ადგილი უკავია მოცემულ სამართლებრივ აქტს ნორმატიული აქტების ერთიან სისტემაში. ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანი ნორმები მოთავსებულია საქართველოს კონსტიტუციის ტექსტში და აქვთ უმაღლესი იურიდიული ძალა. არც ერთი სხვა ნორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საკუთრივ საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს, ხოლო შემდეგ ორგანულ და მიმდინარე-კანონებს, რომლებზეც შესაბამის თავეში გვექნება საუბარი.

რაც შეეხება კონსტიტუციური ნორმების კლასიფიკაციას ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, განასხვავებენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედ ნორმებს, მის შემადგენელ ნაწილებში (ავტონომიურ რესპუბლიკებში) მოქმედ ნორმებს და იმ ტერიტორიის ფარგლებში მოქმედ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმებს, სადაც ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობა. მოცემული კლასიფიკატორი უშუალოდ უკავშირდება კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების იურიდიული ძალის საკითხს.

არსებობს კონსტიტუციური სამართლის ნორმების კლასიფიკაცია სხვა მახასიათებლების, მაგალითად, მოქმედების დროის, პირთა წრის და სხვათა მიხედვით.

#### 1.1.4. საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყაროები

ჩვეულებრივ, კონსტიტუციური სამართლის, ისევე როგორც სამართლის სხვა დარგების წყაროებს წარმოადგენს მხოლოდ მოცემულ პერიოდში მოქმედი სამართლებრივი აქტები.

ამდენად, კონსტიტუციური სამართლის წყაროებია სამართლებრივი აქტები, რომელთა მეშვეობითაც ხდება კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების დადგენა და მათთვის სავალდებულო ძალის მინიჭება.

სამართლის წყაროებისათვის დადგენილია არა მხოლოდ მათი მიღების, არამედ შეცვლისა და გაუქმების (ან მოქმედების შეწყვეტის) განსაკუთრებული წესი. აქტის გაუქმების შემდგომ იგი აღარ ითვლება მოქმედი სამართლის წყაროდ.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყაროების უმნიშვნელოვანეს ნიშანს წარმოადგენს მათი ნებითი ხასიათი. ჯერ ერთი, სახელმწიფოს ნება, რომელიც პოვებს თავის მატერიალურ გამოხატულებას სამართლებრივ აქტებში, საკმაოდ რთული სოციალური მოვლენაა. აქ გადაჯაჭვულია მატერიალური, იდეოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორები. ნება — ეს არის ფსიქიკის ელემენტი, მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციათაგანი. ამიტომ კონსტიტუციური სამართლის წყაროების ფსიქოლოგიურ ასპექტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია.

მოცემული წყაროების მეშვეობით კონსტიტუციური სამართლის სუბიექტთა ნება და ინტერესები ზოგადსავალდებულოდ იქცევა, რომლებიც შემდგომში განსაზღვრავენ უკვე სხვა სუბიექტთა ნებასა და ინტერესებს. მაგრამ რას ნიშნავს ნების განსახიერება კანონში? როგორია მისი გამოვლინების მექანიზმი? ზოგადი სახით, ეს ნიშნავს ნებისათვის ზოგადსავალდებულო ხასიათის მინიჭებას, რომელიც აღიბეჭდება რა სამართლებრივ აქტში, საჭიროების შემთხვევაში დაცულია სახელმწიფოს იძულებითი ძალით. აქ ნება უკავშირდება ხელისუფლებას. ნებას არ გააჩნია სოციალური ღირებულება, თუ მისი რეალიზაცია უზრუნველყოფილი არ არის ხელისუფლების მიერ, თუ აუცილებლობისას არ იქნა გამოყენებული

იძულება. ამავე დროს, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ არ შეიძლება ხელისუფლების არსი დავიყვანოთ იძულებამდე, ძალადობამდე. ამ ჭეშმარიტებებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება კანონმდებელმა, როცა სამართალს ქმნის. კონსტიტუციური სამართლის წყაროები წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოებისა და თვით ხალხის სამართალშემოქმედების შედეგს. ამასთან, მოცემულ სამართალშემოქმედებას გააჩნია განსაკუთრებული ხასიათი, რადგან იგი განამტკიცებს უმნიშვნელოვანეს ურთიერთობებს — სახელისუფლებო ურთიერთობებს.

სამართლებრივი აქტების სისტემა, რომლებიც გვევლინებიან საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყაროებად, მრავალფეროვანია და მოიცავს რამდენიმე სახეს.

სამართლებრივი ნორმის დადგენა ამა თუ იმ სახის აქტში ხდება არა თვითნებურად, არამედ აუცილებელი ობიექტური პირობებიდან გამომდინარე. იმისდა მიხედვით, რომ მიენიჭოს ნორმას იურიდიული მნიშვნელობის მაღალი ხარისხი, იმის გათვალისწინებით, თუ რა ტერიტორიის მასშტაბებში უნდა იმოქმედოს და სხვა, ისინი ყალიბდებიან სხვადასხვა სახის წყაროებში.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების შემცველ ნორმატიულ აქტებს საქართველოში გამოსცემენ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები. ესენია: პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. გარდა ამისა, კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმებს შეიძლება შეიცავდეს ისეთი აქტები, რომლებიც მიღებულია საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის, ანუ რეფერენდუმის გზით.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი აქტების ნუსხაც საკმაოდ მრავალფეროვანია. მათ რიცხვს მიეკუთვნება: კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონები, ორგანული კანონები, კანონები, დეკრეტები, ბრძანებულებები, დადგენილებები და სხვ. განსაკუთრებული ადგილი უკავია კონსტიტუციურ შეთანხმებას მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სპეციფიკური იურიდიული ნიშნებითა და იურიდიული ძალის მიხედვით. ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყაროების სისტემა მკაცრ იერარქიულ ხასიათს ატარებს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული ნორმატიული აქტებიდან კონსტიტუციური სამართლის წყაროებს მთლიანად და სრულად განეკუთვნება კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონები, რადგან მათში არსებული ყველა ნორმა კონსტიტუციური ხასიათისაა. რაც შეეხება დანარჩენ ნორმატიულ აქტებს, ისინი კონსტიტუციური სამართლის წყაროებად მოგვევლინება მხოლოდ მაშინ, თუ მათში მოცემული იქნება კონსტიტუციური სამართლის საგნით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები.

მათი დახასიათებისას, პირველ ყოვლისა, უნდა გამოვყოთ სამართლებრივი აქტები, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და აქტები, რომელთა მოქმედების სფერო მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული ერთეულებით შემოიფარგლება.

პირველ რიგში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს კონსტიტუციას. ის წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციური სამართლის, არამედ ყველა სხვა დარგის ძირითად წყაროს. მისი ეს როლი განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

ჯერ ერთი, კონსტიტუციაში დადგენილია ზოგადი ხასიათის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც წარმოადგენენ მთელი მიმდინარე კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირების საფუძვლებს. დარგის ყველა სხვა წყარო გამომდინარეობს კონსტიტუციური ნორმებიდან, ახდენს მათი დებულებების დეტალიზაციას.

მეორე, კონსტიტუცია, როგორც სამართლის წყარო, ხასიათდება მასში დადგენილი ნორმების შინაარსის მასშტაბებით. ისინი თავისი ზემოქმედებით მოიცავენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს: პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, სულიერს. ამით კონსტიტუცია განსხვავდება კონსტიტუციური სამართლის ყველა სხვა სახის წყაროსაგან, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობათა ცალკეულ სფეროებს.

მესამე, საქართველოს კონსტიტუციას სხვა წყაროებთან შედარებით აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა და გამოიყენება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც მიიღება საქართველოში, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.

მეოთხე, კონსტიტუციაში განისაზღვრება კონსტიტუციური სამართლის დარგის მრავალი სხვა წყაროს სახეები. მასში დადგენილია სამართლებრივი აქტების დასახელება, მათი იურიდიული ძალა, მიღების, გაუქმებისა და გამოქვეყნების წესი.

მეხუთე, კონსტიტუციის, როგორც დარგის ძირითადი წყაროს, მნიშვნელობა განისაზღვრება იმითაც, რომ მასში დადგენილი ნორმები გვევლინება როგორც ხალხის სახელმწიფოებრივი ნების გამომხატველი ფორმა. მასში იურიდიული მნიშვნელობის ფორმით დადგენილია საზოგადოების მიერ დასახული მიზნები და მისი ორგანიზაციის პრინციპები.

მექექსე, კონსტიტუცია, სხვა წყაროებთან შედარებით, წარმოადგენს არა მხოლოდ უმაღლესი სამართლებრივი მნიშვნელობის აქტს, არამედ მას საზოგადოებრივი მნიშვნელობაც გააჩნია. მისი ნორმები ეხება ყოველ მოქალაქეს, საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სუბიექტს.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუცია, როგორც დარგის ძირითადი წყარო, წარმოადგენს ისეთი ნორმების დამდგენ ფორმას, რომლებიც ქმნიან კონსტიტუციური სამართლის ბირთვს, მოცემული სამართლის დარგის საგანში შემავალი საზოგადოებრივი ურთიერთობების მთელი კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირების საფუძველს.

კონსტიტუციური სამართლის არა ნაკლებ მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ კანონები. კანონები ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომლის მეშვეობითაც უნდა დადგინდეს უმეტესი რაოდენობა კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმებისა, რომლებიც მიიღება კონსტიტუციის დებულებებისა და პრინციპების საფუძველზე და მათ განსავითარებლად.

კანონი არის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული აქტი, რომელიც არეგულირებს უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

მართალია, ყველა კანონისათვის დამახასიათებელია მიღების განსაკუთრებული წესი, თუმცა კანონები იყოფა განსაზღვრულ სახეებად. კერძოდ, კანონში არსებული ნორმების მნიშვნელობის მიხედვით ისინი იყოფა კონსტიტუციურ, ორგანულ და ჩვეულებრივ

კანონებად. ჩვეულებრივი კანონები, თავის მხრივ, იყოფა საკოდიფიკაციო და მიმდინარე კანონებად.

კონსტიტუციისაგან განსხვავებით კონსტიტუციური კანონი, ჩვეულებრივ, არეგულირებს საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი ცხოვრების მხოლოდ ცალკეულ მხარეებს, თუმცა თავისი იურიდიული ძალითა და მიღების წესით თითქმის არაფრით განსხვავდება კონსტიტუციისაგან. კონსტიტუციური კანონებით მოქმედი კონსტიტუციის ტექსტში შედის ცვლილებები ან დაძაბუტები, რის შემდეგ ის წყვეტს დამოუკიდებელი ნორმატიული აქტის სახით არსებობას.

ორგანული კანონი საქართველოს კონსტიტუციური სამართლის სპეციფიკური წყაროა. ორგანული კანონის მიღება პირდაპირ არის გათვალისწინებული კონსტიტუციაში. კონსტიტუციური კანონისაგან განსხვავებით, ორგანული კანონის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის ავსებს კონსტიტუციას ისე, რომ არ ცვლის მის ძირითად პრინციპებს, არ ეხება მის სიღრმისეულ არსს. კონსტიტუციური კანონების მიღების შესაძლებლობა, ჩვეულებრივ, გათვალისწინებულია ჰიპოთეტური ფორმით. ეს არის ე.წ. აბსტრაქტული შესაძლებლობა, რომლის რეალიზაცია შესაძლოა არც განხორციელდეს. ორგანული კანონები კი ქართული სამართლის სისტემის განუყოფელი ნაწილია. ორგანული კანონის განსაკუთრებული როლი და არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის, როგორც წესი, არეგულირებს მთელ სამართლებრივ ინსტიტუტს. მაგალითად, ორგანულია კანონები მოქალაქეობის შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ და სხვ.

ჩვეულებრივი კანონები არეგულირებენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ საკითხებს. როგორც წესი, ჩვეულებრივი კანონები მიიღება დიდი რაოდენობით, თუმცა, ყველა როდი ითვლება კონსტიტუციური სამართლის წყაროდ. ჩვეულებრივი კანონები გამოიყენა იერარქიულად მასზე მაღლა მდგომი ნორმატიული აქტების შესაბამისად და აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა ყველა სხვა დანარჩენ აქტთან მიმართებაში.

კონსტიტუციური სამართლის შემდეგ წყაროს წარმოადგენს კანონის ძალის მქონე დეკრეტები, რომლებსაც საგანგებო მდგო-



მარეობის დროს გამოსცემს საქართველოს პრეზიდენტი. ეს არის ე.წ. დელეგირებული კანონმდებლობის აქტები. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ დეკრეტის გამოცემა ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგია. ის უნდა წარედგინოს პარლამენტს შეკრებისთანავე.

კონსტიტუციური სამართლის წყაროს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის რეგლამენტი არეგულირებს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ცხოვრების ძალზე მნიშვნელოვან სფეროს (მაგ. განსაზღვრავს პარლამენტის შინაგან სტრუქტურასა და მისი მუშაობის წესს, საკანონმდებლო პროცესს), ის არ განეკუთვნება კანონთა რიცხვს.

განსაკუთრებული ადგილი კონსტიტუციური სამართლის წყაროებში დაიკავა კონსტიტუციურმა შეთანხმებამ (კონკორდატმა) საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. შეიძლება მოინახოს თითზე ჩამოსათვლელი ანალოგები თანამედროვე მსოფლიოს მასშტაბით (თუ არ ჩავთვლით იმ ქვეყნებს, სადაც მართლმადიდებლობა გამოცხადებულია სახელმწიფო რელიგიად), სადაც მსგავსი ცივილიზებული ფორმით იქნება განსაზღვრული ურთიერთობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, როგორც ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის და, მეორე მხრივ, თანაბარზომიერად იყოს გაუღებელი რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება.

კონსტიტუციური სამართლის წყაროებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დეკლარაციებს. მაგალითად, დეკლარაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია და სხვ. ასეთი სახის დეკლარაციებს სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. მათში ჩამოყალიბებულია პრინციპები, რომლებიც სავალდებულოა სახელმწიფოს მთელი კონსტიტუციურ-სამართლებრივი განვითარებისათვის. მათში, როგორც წესი, აღიარებულია ახალი კონცეფციები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოებრიობის შექმნის განვითარებას, აღიარებულია პრინციპები, რომლებიც სავალდებულოა მთელი პოლიტიკისათვის მოცემულ სფეროში და მათ უნდა დაექვემდებაროს შესაბამისი საკანონმდებლო პოლიტიკაც.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყაროებს, რომლებიც მოქმედებენ მისი შემადგენელი ნაწილების ტერიტორიებზე, პირველ რიგში, განეკუთვნება ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები და სხვა ნორმატიული აქტები. ყველა ისინი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს კანონებს.

კონსტიტუციური სამართლის წყაროების იერარქიაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. ასეთი აქტებია კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების შემცველი პარლამენტის დადგენილებები, პრეზიდენტის ბრძანებულებები, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების სამართლებრივი აქტები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კონსტიტუციური სამართლის ისეთი უმნიშვნელოვანესი წყარო, როგორიცაა საერთაშორისო ხელშეკრულებები. ერთი შეხედვით, საერთაშორისო ხელშეკრულებები საერთაშორისო სამართლის წყაროა. მეორე მხრივ კი, საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს ისეთ დებულებას, რომლის თანახმად საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას (კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი). უფრო მეტიც, ევროპული ინტეგრაციის ფარგლებში საერთაშორისო ნორმები განიცდის შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ტრანსფორმირების სულ უფრო მზარდ ტენდენციას, რაც ხორციელდება საერთაშორისო აქტების რატიფიკაციის გზით, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს კონსტიტუციური სამართლის დარგის წყაროების სახეები საკმარისად სტაბილურია, ბევრი მათგანი განსაზღვრულია თავად კონსტიტუციით. თუქცა, მოცემულ ეტაპზე კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების შემცველი სამართლებრივი აქტები მობილურია და ხშირად იცვლება და უქმდება, ერთი აქტის ნორმები გადადის მეორეში და ა.შ. კონსტიტუციურ-სამართლებრივი კანონმდებლობის ასეთი არასტა-

ბილურობა გარკვეულწილად აიხსნება ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირების პროცესის სირთულეებით.

## §2. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობები საქართველოში

### 1.2.1. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების დამახასიათებელი ნიშნები, კლასიფიკაცია, ცნება

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობები სამართლებრივი ურთიერთობების ერთ-ერთი სახეა. მათ ახასიათებთ ისეთივე ზოგადი ნიშან-თვისებები, როგორიც ყველა სამართალურთიერთობას. თუმცა, არსებობს უამრავი სპეციფიკური მახასიათებელი, რაც განსხვავებს კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობებს სამართლებრივი ურთიერთობების სხვა სახეებისაგან. კერძოდ:

ა) ისინი განსხვავდებიან თავისი შინაარსით. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობები აღმოცენდება ურთიერთობათა ისეთ სფეროში, რომელიც შეადგენს კონსტიტუციური სამართლის საგანს. შინაარსის მიხედვით კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება დავეყოს ოთხ მსხვილ ჯგუფად:

– ურთიერთობები, რომლებიც აღმოცენდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების განმტკიცებისას. საუბარი ეხება ურთიერთობებს სახალხო ხელისუფლების სფეროში და მისი განხორციელების ძირითად ფორმებს: სახელმწიფოს, საზოგადოების სტატუსს, ადამიანის მდგომარეობას საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობილების საფუძვლების სისტემაში;

– ურთიერთობები, რომლებიც აღმოცენდება ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის განმტკიცებისას და დაცვისას. პირველ ყოვლისა, საუბარი ეხება თანასწორობას, მოქალაქეობას, საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, მათი მოქმედების შექანიზმებს;

– ურთიერთობები, რომლებიც აღმოცენდება სახელმწიფოს ფორმის, უწინარესად, მთელი სახელმწიფო მოწყობის ფორმის განმტკიცებისას;

– ურთიერთობები, რომლებიც აღმოცენდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების განმტკიცებისას. საუბარია ხელისუფლების დანაწილების მექანიზმის, სახელმწიფო ხელისუფლების ცალკეული ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესახებ.

ბ) შემდეგი განმასხვავებელი თავისებურება გამოდინარეობს კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობებში მხარეთა ურთიერთქმედების ხასიათიდან. ამ ნიშნის მიხედვით კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ზოგადი ხასიათის ურთიერთობებად და კონკრეტული ხასიათის ურთიერთობებად.

ზოგადი ხასიათის კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობებში არ არსებობს კონკრეტული სუბიექტები, არ არის განსაზღვრული მხარეთა უფლებები და მოვალეობები. თავად მხარეებიც კი არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი, რაც ქმნის შესაძლებლობას ნორმასა და ფაქტიურ საზოგადოებრივ ურთიერთობას შორის მოქნილი ურთიერთქმედებისათვის. ზოგადი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობები წარმოაჩენს საქართველოს სახელმწიფოებრიობის კონტურების მოხაზულობას. მათ შეიძლება ვუწოდოთ ჩარჩო-სამართალურ ურთიერთობები. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მიერ დეკლარირებული თვისება საქართველოს სახელმწიფოსი, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოსი (კონსტიტუციის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი), წარმოშობს ზოგად კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელშიც მონაწილეობს, როგორც მინიმუმ, ყველა სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირი, რომლებიც ვალდებული არიან თავიანთი საქმიანობა წარმართონ ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს მითითებული თვისება. ამასთან, არ არის განსაზღვრული, რა უფლებები და მოვალეობები აღმოუცენდებათ სახელმწიფო ორგანოებს და თანამდებობის პირებს, როგორია მათი პასუხისმგებლობა და ა.შ. პასუხი ამ კითხვებზე უნდა გასცეს მიმდინარე კანონმდებლობამ და კონკრეტულმა სამართლებრივმა ურთიერთობებმა. ამდენად, ნორმა-პრინციპების, ნორმა-მიზნების, ნორმა-დეკლარაციების რეალიზებისას ყოველთვის აღმოცენდება ზოგადი კონსტიტუციურ-სამართლებრივი

ურთიერთობები, ანუ ზოგადი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობები გარკვეულწილად არის ფილოსოფიურ-პოლიტიკური ღირებულებები, რომლებიც გადატანილია სამართალსა და რეალურ ცხოვრებაში. ამიტომ მათი პირდაპირი მარეგულირებელი ზემოქმედება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებზე მცირეა, თუმცა ისინი განსაზღვრავენ კონსტიტუციურ-სამართლებრივი განვითარების ზოგად ხასიათს.

კონკრეტულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობებს ახასიათებს განსაზღვრული მხარეებისა და უშუალოდ მათ შორის განსაზღვრული ურთიერთობების არსებობა.

კონკრეტული კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების აღმოცენებისათვის აუცილებელია იურიდიული ფაქტი – მოქმედება ან ხდომილება, რომელიც იწვევს სამართლებრივი ურთიერთობების აღმოცენებას, შეცვლას ან შეწყვეტას. ასეთთა რიგს განეკუთვნება, მაგალითად, ადამიანის დაბადება (ხდომილება), პასუხი საარჩევნო უფლების რეალიზება (მოქმედება) და ა.შ., ანუ ეს არის ურთიერთობები, რომელშიც კონკრეტულად არის განსაზღვრული სუბიექტები და მათი ურთიერთუფლებები და მოვალეობები.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების ზემოთ დასახელებული სახეების თანაფარდობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოზიტიური კონსტიტუციური სამართლისათვის. ცნობილი კონსტიტუციონალისტი მ. ბაგლაი თვლის, რომ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების უმრავლესობა წარმოშობს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებს<sup>5</sup>. ძნელია დაამტკიცო ან სადავო გახადო ეს თეზისი, რადგანაც ჯერჯერობით არავის დაუთვლია კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების რაოდენობა. შეიძლება მხოლოდ დავადასტუროთ კონკრეტული კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების ოდენობის ზრდის სტაბილური ტენდენცია, რაც, პირველ ყოვლისა, უკავშირდება პარლამენტარიზმის, კონსტიტუციური სამართალწარმოებისა და არჩევნების ინსტიტუ-

---

<sup>5</sup> Баглай М.В., Конституционное право Российской Федерации, М., 1998, 33-20.

ტის განვითარებას. თუმცა, იმავდროულად კვლავ დიდია ზოგადი კონსტიტუციური-სამართლებრივი ურთიერთობების ხვედრითი წილი, რაც არ უწყობს ხელს კონსტიტუციური სამართლის ეფექტიანობის ამაღლებას.

აქ აუცილებელია შევეხოთ საკითხს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობებისა და პოლიტიკური ურთიერთობების თანაფარდობის შესახებ. უნდა დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობებს აქვს მაღალი პოლიტიკური პოტენციალი<sup>6</sup>. ასეთი დასკვნა მისაღებია იმ სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ, რომლებიც აღმოცენდება საკუთრივ საქართველოს კონსტიტუციით. მაგრამ ის მნიშვნელოვანწილად სამართლიანია იმ არც თუ ისე მცირერიცხოვანი ზოგადი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების მიმართაც, რომლებიც წარმოვვიღებთ როგორც პოლიტიკური ურთიერთობების სამართლებრივი ფორმა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ არ არის მართებული პრაქტიკაში ამ ურთიერთობების დაპირისპირების, მით უმეტეს, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების პოლიტიკური ურთიერთობებისადმი დაქვემდებარების მცდელობა.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების სახეების კლასიფიკაციაში შეიძლება გამოვყოთ მუდმივი და დროებითი ურთიერთობები. მუდმივი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების მოქმედების ვადა არ არის განსაზღვრული, თუმცა ისინი შეიძლება შეწყდეს კონკრეტულ პირობებში. მაგალითად, მოქალაქის გარდაცვალება წყვეტს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. დროებითი ურთიერთობები, როგორც წესი, აღმოცენდება კონკრეტული ნორმების – ქცევის წესების რეალიზაციის შედეგად. სამართლებრივ ურთიერთობებში ჩადებული მოვალეობის შესრულებით წყდება მისი მოქმედება. მაგალითად, სამართლებრივი ურთიერთობა ამომრჩეველსა და საუბნო საარჩევნო კომისიას შორის წყდება ამ უკანასკნელის მიერ ბიულეტენის გაცემისა და კენჭისყრისათვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფის მომენტიდან.

---

<sup>6</sup> იხ. Лучин В.О., Конституционные нормы и правоотношения, М., 1997.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია შევავაძოთ მოყვანილი დებულებები და მაქსიმალურად მოკლედ ჩამოვყალიბოთ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების ცნება და არსი: კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობები საქართველოში არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების ის ნაწილი, რომელიც აღმოცენდება, იცვლება და წყდება საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ნორმების მოქმედების შედეგად.

## 1.2.2. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები

იმისათვის, რომ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობები აღმოცენდეს, საკმარისი არ არის მხოლოდ შესაბამისი სამართლის ნორმების შექცეული სამართლებრივი აქტები – კონსტიტუცია, კანონები და სხვა წყაროები. აუცილებელია კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების არსებობა, აუცილებელია კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტი და კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების აღმოცენების საფუძველი, ანუ იურიდიული ფაქტები.

I. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს წარმოადგენენ ამ ურთიერთობათა მონაწილეები, რომლებსაც აქვთ კონსტიტუციური სამართლის ნორმებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტთა წრე საკმაოდ მრავალფეროვანია. სუბიექტი არის პირი ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელთა შორის აღმოცენდება კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი არიან მხარეები, რომელთა შორისაც ხორციელდება მოცემული ურთიერთობები. სამართლის სხვა დარგებისაგან, მაგალითად, სამოქალაქო სამართლისაგან განსხვავებით, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობა არასდროს არ აღმოცენდება ორ მოქალაქეს, ანუ ფიზიკურ პირებს შორის. კონსტიტუციური სამართლის ყველაზე დამახასიათებელ თავისებურებას ის გარემოება წარმოადგენს, რომ ყოველთვის ერთ-ერთ სუბიექტად

გვეკლინება სახელმწიფო, ე.ი. ურთიერთობაში ერთ-ერთ სუბიექტად გამოდის სახელმწიფო რომელიმე ორგანოს ან თანამდებობის პირის სახით.

ამრიგად, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების უმთავრესი სუბიექტი არის სახელმწიფო და მისი ორგანოები (პარლამენტი, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მთავრობა და ა.შ.), რომლებსაც გააჩნიათ სახელმწიფო ხელისუფლება.

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია საქართველოს, როგორც ერთიანი, სუვერენული სახელმწიფოს სამართლებრივი მდგომარეობა. კონსტიტუციის მე-3 მუხლში დადგენილია საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს კომპეტენციის ფარგლები, ანუ ის, რისი გამგებლობაც განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ მას.

საქართველოს კონსტიტუციაში ასევე მკაფიოდ არის განსაზღვრული სხვადასხვა ორგანოების და თანამდებობის პირების ადგილი სახელმწიფო სისტემაში, მათი კომპეტენცია, ჩამოყალიბების ზოგადი პრინციპები და საქმიანობის ძირითადი ფორმები.

შემდეგი უმნიშვნელოვანესი სუბიექტი არის ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველთვის არის ხელისუფლების წყარო. ეს არის ხალხი, საარჩევნო კორპუსი. ერთი შეხედვით, ეს ორი ტერმინი განსხვავებული აზრის მატარებელია (ტერმინი „ხალხი“ გამოიყენება გეოგრაფიული გაგებით, ტერმინი „საარჩევნო კორპუსი“ გულისხმობს ამომრჩევლებს). თუმცა, ორივეს ქვეშ ვგულისხმობთ საქართველოს სახელმწიფოს უფლებაუნარიან და ქმედუნარიან მოქალაქეებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების შემდეგი სუბიექტია მოქალაქეთა გაერთიანებები. ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მით უმეტეს, პოლიტიკური პლურალიზმისა და დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების ფონზე, შეუძლებელია საზოგადოებრივი ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი, პოლიტიკური პარტიების გარეშე სახელმწიფოს არსებობა. პოლიტიკური პარტიები ხომ უმთავრესი მონაწილეები არიან სახელისუფლებო ბატალიებისა. მათი მიზანია არჩევნების გზით მოიპოვონ



ხელისუფლება და შემდეგ მისი მეშვეობით განახორციელონ თავიანთი პროგრამა.

რა თქმა უნდა, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს წარმოადგენენ ქვეყნის ტერიტორიული ერთეულები. მართალია, საყოველთაოდ ცნობილი მიზეზების გამო საქართველოს კონსტიტუციით მოცემულ ეტაპზე არ არის დეტალურად რეგლამენტირებული მათი სამართლებრივი მდგომარეობა, თუმცა მისი მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში არსებობს პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ „საქართველოს ტერიტორიული მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამოიჯენის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების პროცესში საქართველო, როგორც ერთიანი სახელმწიფო, გარკვეულ ურთიერთობებში არ იყოს შესული ავტონომიურ რესპუბლიკებთან და სხვა ტერიტორიულ ერთეულებთან. ამ ურთიერთობების დახასიათებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ტერიტორიულ ერთეულებს აქვთ უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ სახელმწიფო ხელისუფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში. იმავედროულად, თითოეული მათგანი ვალდებულია თავის ტერიტორიაზე უზრუნველყოს ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებათა განხორციელება.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებად გვევლინებიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მაგალითად, ქალაქის, სოფლის, თემის, დაბის საკრებულოები და მათი გამგებლები. ბუნებრივია, ისინი სუბიექტების სახით ძალზე იშვიათად გამოდიან, მაგრამ მსგავსი სიტუაციები მაინც არსებობს, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რომელიც აღდგენს მათი საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის წესსა და პირობებს.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების შემდეგი ჯგუფი ერთიანდება ფიზიკური პირის შინაარსში. მართალია, ეს ტერმინი უფრო განეკუთვნება სამოქალაქო სამართალს, მაგრამ ის რიგ

შემთხვევებში გამოიყენება კონსტიტუციურ სამართალშიც. ამ ტერმინში ერთიანდებიან მოქალაქეები, უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, ანუ აპატრიდები.

როგორც ცნობილია, სამართლის სუბიექტებს აქვთ უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, ანუ შესაძლებლობა, ჰქონდეთ უფლებები და მოვალეობები და რეალური შესაძლებლობა, დამოუკიდებლად განახორციელონ ისინი. უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ცნებები კონსტიტუციურ სამართალში უპირატესად გამოიყენება ფიზიკური პირების მიმართ. სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირების მიმართ კი გამოიყენება ტერმინები — „კომპეტენცია“ ან „უფლებამოსილება“. გამოდინარე აქედან, იმისათვის, რომ სუბიექტები მონაწილეობდნენ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობებში, მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სამართლებრივი სტატუსი.

II. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი გულისხმობს იმ მოვლენებს, რომლებსაც კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმები უკავშირებენ ამ ურთიერთობების მონაწილეთა სუბიექტურ უფლებებსა და იურიდიულ მოვალეობებს, ანუ იმას, რისკენაც არის მიმართული სუბიექტის კონკრეტული უფლება და მისი შესაბამისი მოვალეობა.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: 1) მატერიალურ ობიექტებად, რომლებსაც ზოგჯერ უწოდებენ ქონებრივ სიკეთეს; 2) არაქონებრივ ობიექტებად; 3) მოქმედებად. ერთ შემთხვევაში კონსტიტუციური სამართლის ობიექტის წარმოდგენა შესაძლებელია, სხვა შემთხვევებში ამის გაკეთება საკმაოდ რთულია.

მაგალითად, თუ ორი ტერიტორიული ერთეული განსაზღვრავს რაიმე მიწის ნაკვეთის სტატუსს, თუ ვის უნდა მიეკუთვნოს ის, ამ შემთხვევაში ობიექტი იქნება ტერიტორია, არა თავად მიწა, როგორც სასოფლო-სამეურნეო ობიექტი ან გეოგრაფიული ცნება, არამედ ტერიტორია, როგორც პოლიტიკურ-იურიდიული ცნება და სახელმწიფოს სუვერენიტეტის ერთ-ერთი მატერიალური საფუძველი. ასეთი სახის ობიექტს განეკუთვნება ასევე გადასახადებისა და მოსაკრებლების დადგენილი ოდენობითა და წესით გადახდის აუცილებლობა (კონსტიტუციის 94-ე მუხლი).

არაქონებრივ ობიექტს განეკუთვნება, მაგალითად, ადამიანის ღირსება და პატივი. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით განმტკიცებულია ადამიანის უფლება დაიცვას თავისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობა. ღირსებისა და პატივის წარმოადგენა, როგორც ხელშესახები, ხილული ნივთებისა, შეუძლებელია, მაგრამ ისინი რეალური კატეგორიებია.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების ყველაზე გავრცელებულ ობიექტს წარმოადგენს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტთა ფაქტობრივი ნებითი ქცევა, ანუ მოქმედება. მეცნიერთა აზრით, მოქმედებებს, როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტებს, აქვთ უმთავრესი, გარკვეულწილად მაპროფილებელი მნიშვნელობა კონსტიტუციურ სამართალში იმიტომ, რომ სწორედ მოქმედების მეშვეობით, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტისა, ხდება ხალხის ხელისუფლების რეალიზაცია სხვადასხვა ფორმით<sup>7</sup>. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტად ამ შემთხვევაში გვევლინება პროცესუალური მოქმედება, რომლის შედეგად რეალიზდება მოცემული კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმა. სუბიექტებად კი ამ შემთხვევაში გვევლინებიან საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი.

III. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების აღმოცენების, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძვლებს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული გარემოებები, რომლებსაც იურიდიული ფაქტები ეწოდება.

იურიდიული ფაქტები იყოფა ორ ჯგუფად: მოქმედებად და ხდომილებად.

---

<sup>7</sup> Курс советского государственного права, под ред. Б.В. Щетинина и А.Н. Горшенева, М., 1971, гл. 31; Колюшин Е.И., Конституционное (государственное) право России, М., 1999, гл. 12; Чудаков М.Ф. Конституционное (государственное) право зарубежных стран, Минск, 1998, гл. 39 და სხვ.

მოქმედება ისეთი იურიდიული ფაქტია, რომელიც კონსტიტუციური სამართლის სუბიექტის ნებიდან გამომდინარეობს. იგი შეიძლება იყოს მართლზომიერი და არამართლზომიერი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ის არის სუბიექტის შეგნებული არჩევანი. როცა მოქალაქე მიდის ხმის მისაცემად, ის ასრულებს გარკვეულ მოქმედებებს; როცა უცხოელი წერს განცხადებას მისი მოქალაქედ მიღების შესახებ – ასევე მოქმედებაა. მსგავს მოქმედებათა მაგალითად შეიძლება დაეასახელოთ პრეზიდენტის გადაწყვეტილება პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ (კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ეს გადაწყვეტილება თავისთავად წარმოადგენს კონკრეტული კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების აღმოცენების საფუძველს საარჩევნო უფლებაუნარიანობის მქონე მოქალაქეებსა და საარჩევნო სიების შედგენაზე პასუხისმგებელ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს შორის.

ხლომილება კი ისეთი იურიდიული ფაქტია, რომელიც აღმოცენდება ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად, მაგალითად, უფლებამოსილების ვადის გასვლა, რაც წარმოადგენს კიდევ შესაბამისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს.

### **§3. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, როგორც მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა**

#### **1.3.1. ცნება, ამოცანები, წყაროები**

საქართველოს კონსტიტუციურ სამართალს აქამდე ვიხილავდით, როგორც სამართლის დარგს, ახლა კი უნდა განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს კონსტიტუციური სამართალი, როგორც სამართლის მეცნიერება.

სამართლის დარგისაგან განსხვავებით, რომელიც წარმოადგენს პოზიტიურ სამართალს, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, როგორც მეცნიერება, შეისწავლის კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმებს, იკვლევს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერ-

თობების შინაარსს და განაზოგადებს სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში დაგროვილ გამოცდილებას.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის, როგორც მეცნიერების ცნება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, როგორც გარკვეული ცოდნის მთლიანი ერთობლიობა საზოგადოებრივი ურთიერთობების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირების არსის, სოციალური დანიშნულების, საერთო კანონზომიერებებისა და კონკრეტული გამოვლინებების შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის მეცნიერება შესაძლებლობას გვაძლევს, სწორად შევაფასოთ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების სფეროში არსებული მდგომარეობა და გავაკეთოთ პროგნოზი მომავალი ცვლილებების შესახებ. იგი გვევლინება კონსტიტუციური სამართლის დარგის შექმნაში სრულყოფისა და განვითარების თეორიულ საფუძველად. ამ თვალსაზრისით, საქართველოს კონსტიტუციური სამართლის მეცნიერება არის არა მხოლოდ აწმყო, არამედ წარსულიც და მომავალიც კი. სხვა სიტყვებით, კონსტიტუციური სამართლის მეცნიერება შეისწავლის კონსტიტუციური ნორმების შექმნის, მათი მოქმედების ისტორიას, თუმცა შესაძლებელია ეს ნორმები გაუქმებულიც კი იყოს. ეს ისტორია ყოველთვის არის მეცნიერების ნაწილი. გარდა ამისა, მეცნიერება ყოველთვის იძლევა რეკომენდაციებს სამომავლო განვითარებისათვის. ეს რეკომენდაციები ყალიბდება მეცნიერების მიერ. ზოგ შემთხვევაში მათ ითვალისწინებენ, ზოგ შემთხვევაში — არა, მაგრამ ასე თუ ისე ისინი ზემოქმედებენ მოქმედ სამართალზე, რადგან სამართლებრივ მეცნიერებას ყოველთვის აქვს არა მხოლოდ თეორიული გაგება, არამედ გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობაც.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის მეცნიერების ამოცანაა ღრმა ანალიზის საფუძველზე გაარკვიოს საზოგადოებრივი ცხოვრების რთული მოვლენები, რომლებიც ხდება ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციური სამართლის სფეროში. კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემებისადმი ასეთი მიდგომა მით უფრო აქტუალურია თანამედროვე პირობებში, რაც დასაბამი მიეცა სრულიად ახალ, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, ჩვენთვის უცნობ,

მანამდე არარსებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობებს, რასაც საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯული შინაარსიც ადასტურებს.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციური სამართლის მეცნიერება შეისწავლის:

ა) საქართველოს კონსტიტუციური სამართლის, როგორც სამართლის დარგის, ბუნებასა და შინაარსს, იკვლევს მოცემული დარგის პრინციპებს, საგანს, წყაროებსა და სისტემას მათ ურთიერთკავშირში;

ბ) კონსტიტუციური სამართლის დარგის ნორმებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების ისტორიისა და განვითარების ეტაპებს და ასევე იმ საზოგადოებრივ მოვლენებს, რომლებიც განაპირობებენ ამ ნორმებსა და ინსტიტუტებს;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, როგორც კონსტიტუციური სამართლის ძირითადი წყაროს არსს და ა.შ.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის მეცნიერების ძირითად თეორიულ წყაროს წარმოადგენს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ფუნდამენტური დებულებები. გარდა ამისა, ამ მეცნიერების იურიდიულ წყარობად გვევლინება: საქართველოს კონსტიტუცია, კანონები და სახელმწიფო ორგანოების სხვა აქტები, რომლებიც შეიცავს კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმებს. მისი წყაროების რიცხვს განეკუთვნება არა მხოლოდ მოქმედი ნორმატიული აქტები, არამედ ისეთებიც, რომლებიც მოქმედებდნენ საქართველოს სახელმწიფოს განვითარების ადრეულ ეტაპებზე.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის მეცნიერების წყარობად გვევლინება ასევე სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები მონოგრაფიებისა და სხვადასხვა პუბლიკაციების სახით.

გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებას მჭიდრო კავშირი აქვს პოლიტიკურ მეცნიერებასთანაც. კონსტიტუციური სამართალი ყველა სხვა იურიდიულ მეცნიერებებთან შედარებით უფრო მეტად უკეთებს ანალიზს პოლიტიკური ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების საკითხებს და ამ თვალსაზრისით მას პოლიტიკურ-იურიდიულ მეცნიერებასაც უწოდებენ.

გამომდინარე აქედან, კონსტიტუციური სამართლის მეცნიერების სოციალური, სამეცნიერო-შემეცნიერებო და სასწავლო დანიშნულების არსი მჟღავნდება მის ფუნქციებში. ესენია:

ა) პოლიტიკური ფუნქცია, რომელშიც იგულისხმება, რომ საქართველოს კონსტიტუციური სამართლის მეცნიერება შეიმუშავებს პოლიტიკური ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების საკითხებს;

ბ) მეთოდოლოგიური ფუნქცია, რომელიც განსაზღვრავს სხვა იურიდიული მეცნიერებების ორიენტაციას, რამდენადაც კონსტიტუციური სამართლის მეცნიერება მოიცავს პრობლემებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სხვა მეცნიერებათა შემეცნებას;

გ) იდეოლოგიური ფუნქცია, რომელიც გულისხმობს, რომ კონსტიტუციური სამართლის ნორმები და ინსტიტუტები ზეგავლენას ახდენს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროზე, აყალიბებს ადამიანთა მსოფლმხედველობას. კონსტიტუციური სამართლის მეცნიერება მიზნად ისახავს ღრმად და ყოველმხრივ განსაზღვროს ნორმატიულ-სამართლებრივი მასალის იდეურ-თემატიკური აზრი, რის გარეშეც წარმოუდგენელია მათი ეფექტიანი რეალიზაცია;

დ) პრაქტიკულ-გამოყენებითი ფუნქცია გულისხმობს, რომ კონსტიტუციური სამართალი შეისწავლის სახელმწიფო ორგანოების, მთელი სახალხო მმართველობის პრაქტიკულ საქმიანობას. ამ ფუნქციაში მჟღავნდება ძველი ჭეშმარიტება – თეორია მოწმდება პრაქტიკით.

საინტერესოა საკითხი კონსტიტუციური სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიის შესახებ. მოცემული მეცნიერება სოციალური სინამდვილის ყოველმხრივი შესწავლის მიზნით იყენებს შემეცნების მრავალფეროვან მეთოდებს. კერძოდ, გამოიყენება ფორმალურ-ლოგიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც აუცილებელია ნორმებისა და მათით რეგულირებული ურთიერთობების შესასწავლად. ისტორიული მეთოდი გამოიყენება საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარების სხვადასხვა ეტაპების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ანალიზისას მისი გამოვლინების კონკრეტულ ისტორიულ ფორმებში. ისტორიული მეთოდი შერწყმულია ლოგიკურ მეთოდთან, რომელიც

საშუალებას იძლევა გამოავლინოს საკვლევი მოვლენის არსებითი თვისებები.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის მეცნიერება ფართოდ იყენებს შედარებით მეთოდს, რომელიც ავლენს ერთგვარი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების ზოგად თვისებებსა და თავისებურებებს, მათი განვითარების ზოგად ტენდენციებს. ამ დროს ხდება როგორც ერთი სამართლის სისტემის ნორმების, ასევე სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ნორმების შედარება.

კონსტიტუციურ-სამართლებრივ მეცნიერებაში გამოიყენება შემეცნების სხვა მეთოდებიც, მათ შორის, კონკრეტულ-სოციალოგიური მეთოდი და სისტემური ანალიზი.

### 1.3.2. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, როგორც სასწავლო დისციპლინა

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის სასწავლო კურსი წარმოადგენს ძირითადი ცნობების თანმიმდევრულ და ურთიერთდაკავშირებულ გადმოცემას საქართველოს კონსტიტუციური სამართლის სფეროდან უმაღლესი იურიდიული განათლების მიზნების, ამოცანებისა და მეთოდიკის გათვალისწინებით. ე.ი. მოცემული კურსი, ისევე როგორც ყველა სხვა კურსი, არ მოიცავს გასაანალიზებელი მასალებისა და თეორიული დასკვნების მთელ ერთობლიობას, არამედ შეიცავს მხოლოდ მათ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს. რასაკვირველია, მთელი მეცნიერება წყაროების უზარმაზარი მოცულობაა, შრომების მთელი ბიბლიოთეკა, სასწავლო დისციპლინა კი, პირველ ყოვლისა, არის სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, რომლებსაც აქვთ საკმაოდ მკაფიო სტრუქტურა და სისტემა.

როგორც წესი, საქართველოს კონსტიტუციური სამართლის სასწავლო დისციპლინის სისტემა შეესაბამება კონსტიტუციის სტრუქტურას. მაგრამ სასწავლო დისციპლინის განსხვავება კონსტიტუციის კლასიკური მოდელისაგან მდგომარეობს იმაში, რომ სასწავლო დისციპლინა დასაწყისში, კონკრეტული ინსტიტუტების



შესწავლამდე იხილავს სასწავლო მასალის დოკუმენტურ მხარეს: კონსტიტუციური სამართლის საგანს, მეთოდს, წყაროებს და სისტემას. ამის შემდეგ მოდის საკითხი კონსტიტუციური სამართლის მეცნიერების შესახებ, შემდეგ განიხილება კონსტიტუციური წყობა და ა.შ. იმ სისტემას, რომელსაც ვთვლი მიზანშეწონილად, შეგიძლიათ გაეცნოთ მოცემული წიგნის საძიებელში.

საერთოდ, კონსტიტუციური სამართლის კურსი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლება რამდენიმე ათეული წლის მანძილზე. 1990 წლამდე ამ კურსს ეწოდებოდა „საბჭოთა სახელმწიფო სამართალი“. მას შემდეგ კი, ისტორიული პირობების ობიექტური ცვალებადობის გამო (სსრ კავშირის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი) შესაძლებელი გახდა, ასე ვთქვათ, ეროვნული სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება, რომელშიც ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა „საქართველოს კონსტიტუციურმა (სახელმწიფო) სამართალმა“. 1990-91 სასწავლო წლიდან იგი ამ სახელწოდებითა და შესაბამისი შინაარსით იკითხება სწორედ თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის სასწავლო კურსი პირობითად შეიძლება დავეყოთ ორ – ზოგად და განსაკუთრებულ – ნაწილად. ზოგად ნაწილში განხილულია კონსტიტუციური სამართლის ძირითადი საფუძვლები, პრინციპები, ხოლო განსაკუთრებულ ნაწილში – კონსტიტუციური სამართლის ძირითადი ინსტიტუტები. ასეთი დაყოფა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის სასწავლო კურსის მიზანია, დაეხმაროს უმაღლეს იურიდიულ სასწავლო დაწესებულებათა სტუდენტებს ღრმად ჩასწვდნენ საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ძირითადი ინსტიტუტების მოქმედების არსს, შინაარსსა და მექანიზმს.

აღნიშნული კურსის შესწავლისას მტკიცდება და ღრმავდება ცოდნა კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებისა და განვითარების ძირითადი კანონზომიერებების შესახებ, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა თეორიული და პროფესიული ღონის ამალგებას.

133. კონსტიტუციური სამართლის მეცნიერების  
განვითარების ისტორია. ქართველი  
კონსტიტუციონალისტები და მათი მეცნიერული  
შემოქმედება

პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიაში თუნდაც მცირედ გათვითცნობიერებულ სტუდენტებსაც კარგად მოეხსენებათ, რომ მეცნიერება სახელმწიფოს შესახებ აღმოცენდება ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში. საყოველთაოდ ცნობილია პლატონის, არისტოტელეს, თომა აკვინელის, ციცერონის პოლიტიკური თხზულებები. ისტორიისათვის ცნობილია სახელმწიფო-სამართლებრივი ზასიათის სამართლის ძეგლები, რომლებიც არეგულირებდნენ მონარქის ხელისუფლების განხორციელების პროცესს. ამის დასტურად „ხელმწიფის კარის გარიგებაც“ იქმარებდა. მოგვიანებით, XVIII საუკუნეში კაცობრიობის მონაპოვრად იქცა ფრანგი განმანათლებლების – ვოლტერის, დიდროს, ჟან-ჟაკ რუსოს პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაშრომები ან იგივე სამართლის ძეგლები შეიცავდა დებულებებს სახელმწიფო სამართლის ზოგიერთ საკითხზე, ისინი მაინც რჩებოდნენ პოლიტიკისა და ისტორიის შესახებ მსჯელობის ჩრდილქვეშ. მაგალითად, არისტოტელეს ცნობილ თხზულებაში „პოლიტიკა“ შევხვდებით იმ პერიოდში არსებული სახელმწიფო ფორმების კრიტიკას. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, საკუთრივ სამართლებრივი რეგულირების საკითხები არ არის განხილული, ზოლო თავად ეს სახელმწიფო ფორმები იყო შესანიშნავი მასალა პოლიტიკურ-ფილოსოფიური მსჯელობისათვის. მთლიანობაში, ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა XIX საუკუნემდე, თუმცა, როგორც ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, XVII-XVIII საუკუნეებში გერმანულ ლიტერატურაში უკვე გამოიყენებოდა ტერმინი Staatsrecht – სახელმწიფო სამართალი<sup>8</sup>.

---

<sup>8</sup> Конституционное право, Учебное пособие. Хрестоматия, под ред. А.М. Масалкина, Харьков, 1997, гл. 57.

სახელმწიფო სამართალი, როგორც სამართლებრივი მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რაც დააჩქარა მრავალი ქვეყნის ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზიის მოსვლამ. საქმე იმაშია, რომ, თუ ხელისუფლებიისათვის ბრძოლის პერიოდში ბურჟუაზია პირველ რიგში აყენებდა პოლიტიკურ მოძღვრებებს, რომლებიც შეიცავდა სახელმწიფოსა და სამართლის რეფორმის პროგრამას, ახალი სახელმწიფოსა და სამართლის შექმნას, ხელისუფლების მოპოვების შემდგომ მისთვის აუცილებელი გახდა იურიდიული მეცნიერება, რომელიც დაასაბუთებდა და დაცავდა არსებულ სამართალს, როგორც უკვე არსებულ იდეალს.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში იყო ნამდვილი რენესანსული პერიოდი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების განვითარების სფეროში. ამ პერიოდში სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდნენ მართლაც რომ აღიარებული და სახელგანთქმული მეცნიერები და სახელმწიფოთმცოდნეები: გ. ელინკი და პ. ლაბანდი — გერმანიაში, ლ. დიუგი და ეისმენი — საფრანგეთში, ნ. კორკუნოვი, ფ. კოკოშკინი, ბ. ჩიჩერინი — რუსეთში და სხვ. მათ ჩამოაყალიბეს სახელმწიფო სამართლის ძირითადი ცნებები, შექმნეს სამართლებრივი კონსტრუქციები, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ თეორიულ მნიშვნელობას. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დომინირებდა პოზიტივიზმის ფილოსოფია, რომელიც იყო იდეალიზმის ნაირსახეობა. ამიტომ, სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაც შეეცადა გამოეცხადებინა თავი წმინდა იურიდიულ თეორიად, რომელიც თავისუფალი იქნებოდა სამოქალაქო ისტორიისა და ცხოვრებისაგან: მეცნიერება შეისწავლის მხოლოდ პოზიტიურ იურიდიულ მასალას, მოქმედებს წმინდა იურიდიული მეთოდებით, იყენებს იურიდიულ ცნებებსა და კატეგორიებს.

პოზიტივისტურმა დოქტრინებმა შეადგინა ფორმალურ-იურიდიული ანუ იურიდიული მიმდინარეობა.

ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პაულ ლაბანდი, 1913 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში „გერმანიის იმპერიის სახელმწიფო სამართალი“, წერდა: „განსაზღვრული პოზიტიური სამართლის დოგმატიკის მეცნიერული ამოცანა მდგომარეობს სა-

მართლებრივი ინსტიტუტების აგებაში, ცალკეული სამართლებრივი დებულებების ზოგად პრინციპებთან დაკავშირებაში და, მეორე მხრივ, ამ პრინციპებიდან შესაბამისი შედეგების გაანალიზებაში... ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის არ არსებობს სხვა საშუალებები, ლოგიკის გარდა... ყველა ისტორიულ, პოლიტიკურ და ფილოსოფიურ მსჯელობას განსაზღვრული სამართლებრივი მატერიის დოგმატიკისათვის არ აქვს არავითარი მნიშვნელობა...“<sup>9</sup>

თუმცა, ამ მიმდინარეობის ყველა მომხრე როდი განიხილავდა სახელმწიფო სამართალს ასე ცალმხრივად. მაგალითად, გეორგ ელინეკი 1903 წელს გამოცემულ თავის ცნობილ ნაშრომში „ზოგადი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“, არ უარყოფდა, რომ სახელმწიფოს შესწავლა შესაძლებელი იყო სოციოლოგიური თვალსაზრისითაც. ის თვლიდა, რომ სახელმწიფოს ახასიათებდა როგორც სოციოლოგიური, ისე იურიდიული ასპექტები. პირველს შეისწავლის სოციოლოგია, მეორეს კი – იურიდიული მეცნიერება. ორივე ერთად აღებული ქმნის ზოგად მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ, რომლის ნაწილსაც შეადგენს სახელმწიფო სამართლის მეცნიერება.<sup>10</sup> საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ვფიქრობ, დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას.

და მაინც, რა იყო ამ მიმდინარეობის გამორჩეული თავისებურება?

საქმე იმაშია, რომ მეცნიერების ამ მიმდინარეობაში სახელმწიფო განიხილებოდა ერთ-ერთ იურიდიულ კატეგორიად, რისთვისაც გამოიყენებოდა ყველაზე დამუშავებული სამართლის დარგისა და დარგობრივი იურიდიული მეცნიერების – სამოქალაქო სამართლის ცნებები. სახელმწიფო განიხილებოდა სამართლის სუბიექტად იურიდიული პირის სახით.

აქედან გამომდინარე, კეთდებოდა სხვადასხვა დასკვნები: რომ სახელმწიფოს, როგორც იურიდიულ პირს, შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ თავისი ორგანოების მეშვეობით, რომლებიც, თავის მხრივ,

---

<sup>9</sup> Лабанд П., Государственное право Германской империи, СПб, 1912, гл. 33.

<sup>10</sup> Елинек Г., Общее Учение о государстве, СПб, 1903, гл. 48.

არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს და არ გააჩნიათ საკუთარი უფლებები და მოვალეობები. ამიტომ მათი ურთიერთობები არ წარმოადგენს საკუთრივ სამართლებრივ ურთიერთობებს, რადგანაც ეს არ არის ურთიერთობა დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს შორის.

ამ მიმდინარეობის სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი სახელმწიფო სამართლის დოქტრინები ინგლისში. თუმცა, აქ არ უღიარებიათ, რომ სახელმწიფო არის იურიდიული პირი. ცნობილი სახელმწიფოთმცოდნეები, ბლექსტონი და, განსაკუთრებით, დაისი, იურიდიულ პირებად მიიჩნევდნენ უშუალოდ სამეფო გვირგვინს, როგორც ერთი პირის კორპორაციას და პარლამენტს. იურიდიულად ეს ორგანოები არ არის გაერთიანებული და არ არსებობს მესამე მათზე მაღალი ძალა. რასაკვირველია, ასეთი მიდგომა იყო ინგლისის ისტორიის გამოძახილი. ინგლისის პარლამენტი მონარქიის პარალელურად არსებობს XIII საუკუნიდან. ისტორიულად, მონარქი და პარლამენტი მუდამ ექიშპებოდნენ ერთმანეთს. დაისიმ თავის თეორიაში აღიარა მესამე ძალა – ამომრჩეველი, როგორც პოლიტიკური სუვერენი. იმავედროულად, მან კატეგორიულად უარყო ამ ძალისათვის იურიდიული სუვერენიტეტის მინიჭება.<sup>11</sup>

იურიდიული სკოლის ფორმალიზმმა და აბსტრაქტულობამ, რომელიც ზოგ შემთხვევაში აყვანილი იყო სრულყოფილებამდე, გამოიწვია წინააღმდეგობები სახელმწიფო-სამართლებრივ სინამდვილეში.

იურიდიული სკოლის პრინციპები გააკრიტიკა სოციოლოგიურმა სკოლამ ლეონ დიუგის ხელმძღვანელობით. ეს მიმდინარეობა ყოველგვარი ეჭვის გარეშე აერთიანებს სახელმწიფო სამართალში სოციოლოგიურ და პოლიტიკურ მომენტებს.

ლ. დიუგის აზრით, სახელმწიფო არის მმართველებსა და მართულებს შორის „ბუნებრივი დიფერენციაციის“ შედეგი. სახელმწიფო არის ხალხი, რომელიც მართავს, იმიტომ, რომ ისინი სხვებზე ძლიერები არიან. დიუგის მიხედვით, მმართველებს განეკუთვნება ის, ვინც აღჭურვილია ხელისუფლების იურიდიული ატრიბუტებით. ასეთს კი წარმოადგენს ხალხი, რომელიც ირჩევს პარლა-

<sup>11</sup> Милль М.Г., Представительное правление, М., 1992, гл. 67-68.

მენტს, მისი მეშვეობით კი განსაზღვრავს მთავრობის შემადგენლობას. შედეგად ვლუბულობთ უმრავლესობის დემოკრატიას.

ლ. დიუგი ამტკიცებდა, რომ თანამედროვე სახელმწიფოში ბატონობის ფუნქცია ადგილს უთმობს საჯარო სამსახურის ფუნქციას, ანუ სახელმწიფო მბრძანებელი — საზოგადოებრივი სამსახურის სახელმწიფოს. სხვა სიტყვებით, თანდათანობით უქმდება სახელმწიფო მბრძანებლის ფუნქცია და ის იცვლება სოციალური ფუნქციებით. მთავრობა კი არ ბრძანებს, როგორ მოვიქცეთ, არამედ სამართალი ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს<sup>12</sup>.

ამავე მიზნინარობას წარმოადგენდა ცნობილი რუსი მეცნიერი ვ. ივანოვსკი, რომელიც წერდა, რომ სახელმწიფოს ორგანიზაციის შესწავლისას მნიშვნელოვანია შევისწავლოთ არა მხოლოდ ნორმები, არამედ ასევე თვით ის ძალები, რომლებიც განსაზღვრავენ ორგანიზაციას; ნორმების შესწავლისას აუცილებელია მათი შეჯერება ფაქტიურ ურთიერთობებთან, რომლებსაც ეს ნორმები არეგულირებენ<sup>13</sup>.

ალბათ, ძნელია არ დავეთანხმოთ აღნიშნულ მოსაზრებას. ბოლოს და ბოლოს, ლ. დიუგის იდეები საზოგადოებრივი სოლიდარიზმისა და საზოგადოებრივი სოლიდარიზმის კანონის შესახებ დღესაც ფართოდ გამოიყენება დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციურ პრაქტიკაში.

უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდის საქართველოში სახელმწიფო სამართლის მეცნიერება შეხედულებათა მრავალფეროვნებით ვერ დაიკვეხნის, თუ არ ჩავთვლით ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, არჩილ ჯორჯაძის, მიხაკო წერეთლის შემოქმედებით შემკვიდრობას. თუმცა, მათი ნააზრევი, კვლავდაკვლავ, შემკული იყო უფრო პოლიტიკური მსოფლმხედველობის ორიენტირებით, ვიდრე წმინდა დოგმატური მეცნიერული სამოსით.

სამაგიეროდ, ძალზე ძვირფასია ზოგადმეცნიერული შეშეცნებისა და საერთოდ, ქართული სამართლებრივი მეცნიერების (მათ

---

<sup>12</sup> Дюги Л., Конституционное право. Общая теория государства, М., 1908, гл. 311.

<sup>13</sup> Ивановский В. А., Учебник государственного права, Казань, 1913, гл. 22.

შორის, სახელმწიფო სამართლის) განვითარების თვალსაზრისით ორი გენიალური ქართველი იურისტის, შეიძლება ითქვას, უნივერსალური სამართლებრივი პროფილის მოაზროვნეების, გიორგი ნანეიშვილისა და იროდიონ სურგულაძის სამართლებრივი მემკვიდრეობა.

სამწუხაროდ, მთელი საბჭოთა პერიოდის თითქმის 70 წლიანი მონაკვეთი იქცა საქართველოს კონსტიტუციური სამართლის არა განვითარების, არამედ უძრაობის ხანგრძლივ ეპიზოდად. ის არ არსებობდა დამოუკიდებლად და წარმოადგენდა „საბჭოთა სახელმწიფო სამართლის“ შემადგენელ ნაწილს.

სახელმწიფო სამართლის საბჭოთა მეცნიერება აგებული იყო სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მეცნიერულ ღირებულებებზე. საბჭოთა სახელმწიფო სამართლის მეცნიერებისათვის პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდა ფრ. ენგელსის ნაშრომს „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, კ. მარქსის – „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ და ვ. ლენინის – „სახელმწიფო და რევოლუცია“, ასევე სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა შრომებს, კომპარტიის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებებს. მხოლოდ ამ პარამეტრებში დაიშვებოდა კონსტიტუციური სამართლებრივი გამოკვლევები.

ობიექტურად შენიშნავს ცნობილი რუსი მეცნიერი ე. კოზლოვა, რომ ტოტალიტარული, რეპრესიული სახელმწიფოს პირობებში ნებისმიერი გადასხვევა ზემოთ დასახელებული იდეებიდან მკაცრად აღიკვეთებოდა. მეცნიერებას განვითარება შეეძლო მხოლოდ მათ საფუძველზე<sup>14</sup>. რომელ განვითარებასა და მეცნიერული აზრის მრავალფეროვნებაზე შეიძლებოდა საუბარი, როცა თავად სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ერთადერთი მიზანი იყო ხაზი გაესვა სოციალისტური წყობილების უპირატესობისათვის, როგორც განვითარების განუმეორებელი და უმაღლესი ფორმისათვის. ამიტომ, სკკპ-ის ყოველი ყრილობის შემდეგ გამოიცემოდა მრავალრიცხო-

---

<sup>14</sup> Козлова Е.И., Кутафин О.Е., Конституционное право России, М., 1995, с. 38.

ვანი შრომები, რომლებიც ეძღვნებოდა შესაბამისი ყრილობის ღირეკტივების თეორიულ განვითარებას.

მიუხედავად ამ „შავი ლაქებისა“, უსამართლობა იქნებოდა არ გამოგვეჩინა ნათელი წერტილებიც იმ პერიოდის მეცნიერთა შემოქმედებიდან. მცირე დოზით, მაგრამ მაინც, თანდათანობით ჩნდებოდა შედარებითი სახელმწიფოთმცოდნეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ავსებდნენ იმ ინფორმაციულ ვაკუუმს, რაც არსებობდა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების უცხოური გამოცდილების კვლევის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ მათშიც სჭარბობდა სახელმწიფო სამართლის განხილვა ე.წ. კლასობრივი პოზიციებიდან, მაინც მოიპოვებოდა ალტერნატიული შინაარსის მატარებელი მასალა საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკული მაგალითების სახით, რაც ფაქტიური უარყოფა იყო თეზისისა იმის შესახებ, რომ საბჭოთა სახელმწიფო სამართალი წარმოადგენდა მეცნიერული აზროვნების მწვერვალს. ამ თვალსაზრისით გამოსარჩევია როგორც რუსი მეცნიერები — გ. ბარაბაშევი, ვ. კოტოკი, ბ. შჩეტინინი, ღ. ზლატოპოლსკი, ისე საქართველოში მოღვაწე ცნობილი მეცნიერები — გ. ინწკირველი, გრ. ერემოვი და ვ. ფარქოსაძე.

საბედნიეროდ, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარების ახალმა ტალღამ დიამეტრიულად შეცვალა საქართველოს კონსტიტუციური სამართლის მეცნიერების განვითარების ტენდენციები. სულ უფრო იგრძნობა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მზარდი გავლენა და, რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, ასეთი გავლენა ვრცელდება როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებიდან (გერმანია, საფრანგეთი, იტალია), ისე ანგლოსაქსური სამართლის სისტემის ქვეყნებიდან (აშშ, დიდი ბრიტანეთი). თუმცა, ამ ქვეყნებში კონსტიტუციური სამართლის შესახებ სამართლებრივი კონცეფციები ამჟამად განსხვავებულია. პროგრესული ინსტიტუტებისა და იდეების გადმოტანას ერთდროულად ორი განსხვავებული სამართლებრივი სისტემიდან შესაძლოა უარყოფითი მხარეები ახასიათებდეს. მაგრამ, ჩემი აზრით, განვითარების მოცემულ ეტაპზე ამ სამართლებრივი სისტემების პოზიტიური მხარეების სინთეზური ანალიზი და მათი დამკვიდრება ქართულ სინამდვილე-



ში გაცილებით ნაყოფიერ შედეგებს გამოიღებს როგორც კონსტიტუციური სამართლის მეცნიერების, ისე დარგის განვითარების თვალსაზრისით.

უკანასკნელ წლებში, გარდა მოცემული სახელმძღვანელოს პირველი ვარიანტისა, რომელიც იყო პირველი მცდელობა საქართველოს კონსტიტუციური სამართლის სასწავლო დისციპლინაში ერთიანი თეორიული მასალის შედგენისა ქართულ ენაზე, გამოქვეყნდა რამდენიმე სახელმძღვანელო საქართველოს კონსტიტუციურ სამართალში, რომელთაგან აღსანიშნავია ზაზა რუხაძის „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, თბ., 1999; გიორგი გიორგაძის, ვახტანგ თორდიას და ვახტანგ ხმაღაძის თანაავტორობით შედგენილი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, თბ., 2001. საქართველოს კონსტიტუციური სამართლის შესწავლისათვის უდავოდ სასარგებლოა პროფ. ო. მელქაძის მიერ გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელო – „საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი“, თბ., 1995 და მისივე ხელმძღვანელობით შექმნილი „მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები“, ასევე კონკრეტული ქვეყნების სახელმწიფო სისტემების ანალიზის მთელი სერია.

უკანასკნელი წლების სერიოზული გამოკვლევები ეკუთვნით პროფ. ზ. ჯინჯოლაავას – „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი“, თბ., 1993; პროფ. ბ. ნაკაშიძის – „თვითმმართველობა საქართველოში (სამართლებრივ-პოლიტიკური პრობლემები), ბათუმი, 1994; პროფ. ო. მელქაძის – „საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე“, თბ., 1996; დოც. ა. ლორიას – „მოქალაქეობა საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით“, თბ., 1996; პროფ. გ. ხუბუას – „ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი“, თბ., 2000; დოც. გ. გოგიაშვილის – „შედარებითი ფედერალიზმი“, თბ., 2000.

ვფიქრობ, ქართველი მკითხველისათვის საინტერესო შენაძენი იყო ავტორთა კოლექტივის მიერ პ. ცნობილაძის, გ. ხუბუას, ვ. ხმაღაძის, ნ. მეტრეველისა და ო. კაპანაძის თანაავტორობით გამოცემული მეტად ორიგინალური ნაშრომი – „როგორ იქმნება კანონი“, თბ., 2000.

უასდაუდებელია ბატონ მ. უგრეხელიძის მიერ გაწეული მეტად შრომატევადი საქმიანობა. მისი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ქართული კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ფუნდამენტური ნაშრომების ქართულ ენაზე გამოცემა. ესენია: „აშშ კონსტიტუცია: „კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა“, თბ., 1997; ჯანდა, ბერი, გოლდმენი, „ამერიკული დემოკრატია“, თბ., 1995.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ავტორთა გარჯამ არსებითად შეცვალა კონცეპტუალური მიდგომები საქართველოს კონსტიტუციური სამართლის თეორიული კატეგორიებისა და ცნებების, კონსტიტუციურ-სამართლებრივი მიდგომების მიმართ. ეს კი ნიშნავს, რომ ქართული კონსტიტუციონალიზმი და, საკუთრივ, ქართული კონსტიტუციური მეცნიერება აღმავლობის გზაზეა.

#### §4. სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა კონსტიტუციურ სამართალში

კონსტიტუციური სამართლის თეორიაში სულ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს დისკუსია იმის შესახებ, შეიძლება თუ არა საერთოდ სერიოზული საუბარი კონსტიტუციურ სამართალდარღვევასა და კონსტიტუციურ პასუხისმგებლობაზე. ასეთი კითხვა ბუნებრივია განსაკუთრებით იმ სტუდენტების მხრიდან, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ სამართლის ზოგადი თეორიის საფუძვლებს. არც სამართალდარღვევის და არც იურიდიული პასუხისმგებლობის კლასიკურ ნუსხაში (სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი, ადმინისტრაციული და დისციპლინური) ასეთი პასუხისმგებლობის სახე არ გვხვდება. მაშ, რას ნიშნავს მოცემული საკითხის სასწავლო დისციპლინაში ჩართვა: ნოვატორულ მცდელობას თუ მეცნიერულ შეცდომას? მოდით ნუ ავჩქარდებით და მოცემულ კითხვაზე პასუხი გავცეთ საკითხის შინაარსის გაცნობის შემდგომ.

ავტორთა ერთი ნაწილი თვლის, რომ კონსტიტუციური სამართალდარღვევის ცნება ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული, რომ-

ლის გარეშეც ფაქტობრივად შეუძლებელია ვისაუბროთ კონსტიტუციურ პასუხისმგებლობაზე<sup>15</sup>.

მე ვერ გავიზიარებ ამ მოსაზრებას.

საქმე იმაშია, რომ კონსტიტუციური სამართლის თეორიაში უკვე კარგა ხანია კონსტიტუციური სამართალდარღვევის სინონიმად გამოიყენება ტერმინი „კონსტიტუციური დელიქტი“ და მისი შინაარსი ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი დარღვევა (დელიქტი) არის კონსტიტუციური სამართლის სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) ქცევა, რომელიც არღვევს კონსტიტუციური სამართლის ნორმებს და ამასთანავე არ წარმოადგენს არც სისხლისსამართლებრივ, არც ადმინისტრაციულ, არც სამოქალაქო ან დისციპლინურ სამართალდარღვევას და რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

როგორც ვხედავთ, კონსტიტუციური სამართალდარღვევის ცნება არსებობს და საკმაოდ მკაფიოდ ავლენს სამართალდარღვევისათვის დამახასიათებელ ნიშნებს – მართლწინააღმდეგობასა და ბრალეულობას.

თუ დაკვირვებით გადავხედავთ საქართველოს კონსტიტუციას, უმაღლ აღმოვაჩინებთ კონსტიტუციური სამართალდარღვევის მაგალითებს. მაგალითად, პარლამენტის წევრის მიერ იმავდროულად სხვა თანამდებობის დაკავება ან სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება (კონსტიტუციის 53-ე მუხლი); პარლამენტის წევრის მიერ არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობის არ მიღება (კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი); მთავრობის წევრის მიერ საპარლამენტო ფრაქციის დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემისაგან თავის არიდება (კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი) და სხვ. ალბათ, ეჭვის შეტანა იმაში, რომ ჩამოთვლილი მოქმედებები წარმოადგენენ კონსტიტუციურ-სამართლებრივ დარღვევას,

---

<sup>15</sup> იხ. Коллюшин Е.И., Конституционное (государственное) право России, М., 1999, გვ. 21.

უსაფუძვლოა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი მოქმედებების ჩადენა იკრძალება შესაბამისი კონსტიტუციური ნორმებით, მით უმეტეს, რომ სამართლის არც ერთი დარგის ნორმები არ ითვალისწინებს აღნიშნულ ქმედებებს, როგორც სამართალდარღვევას.

გამომდინარე აქედან, ცხადია, რომ სამართალდარღვევათა კლასიკურ ჩამონათვალში კონსტიტუციურმა სამართალდარღვევამ უნდა დაიკავოს ადგილი, როგორც სამართალდარღვევის ერთ-ერთმა სახემ.

თუ ვაღიარებთ, რომ არსებობს სამართალდარღვევა, მაშასადამე ვაღიარებთ, რომ არსებობს შესაბამისი პასუხისმგებლობის სახეც, ვინაიდან, ჯერ ერთი, სამართალდარღვევა არის პასუხისმგებლობის საფუძველი და მეორე, სამართალდარღვევა უბრალოდ არ არსებობს პასუხისმგებლობის გარეშე.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა არის იურიდიული პასუხისმგებლობის სახე, რომელსაც აქვს რთული პოლიტიკურ-სამართლებრივი ხასიათი და დგება კონსტიტუციური სამართალდარღვევისას (დელიქტისას).

ძნელია დაეთანხმო იმ ავტორებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კონსტიტუციურ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ აქვს რეპრესიული ხასიათი, არ ვრცელდება მოქალაქეებზე, თუ ისინი არ არიან თანამდებობის პირები, ასევე ატარებს პოლიტიკურ-მორალურ ხასიათს<sup>16</sup>.

თუ კონსტიტუციურ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ ჩავთვლით იურიდიული პასუხისმგებლობის სახედ, მაშინ, რასაკვირველია, გამოირიცხება მისი რეპრესიული ხასიათიც. ამ შემთხვევაში საერთოდ არ ღირს ვისაუბროთ პასუხისმგებლობის ასეთ სახეზე კონსტიტუციური სამართლის ფარგლებში. პრინციპში, იურიდიულ პასუხისმგებლობას არ შეიძლება არ ჰქონდეს რეპრესიული ხასიათი. რეპრესიულობა სულაც არ ნიშნავს თავისუფლების აღმკვეთი

---

<sup>16</sup> იხ. Баглай М.В., Габричидзе В.Н., Конституционное право Российской Федерации, М., 1996, гл. 39-41.

საშუალებების გამოყენებას. რეპრესიულობა გულისხმობს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სუბიექტისათვის ნეგატიური შედეგების დადგომას, რაც ახასიათებს კიდევ კონსტიტუციურ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგალითად, თანამდებობის პირის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ორგანოს აქტის გაუქმება (კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტი), პრეზიდენტის ინიციატივით მთავრობის გადაყენება (კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი), საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობა (კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტი), პარლამენტის მიერ პრეზიდენტისა და სხვა თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენება (იმპიჩმენტი) კონსტიტუციის 64-ე და 65-ე მუხლების საფუძველზე, პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნა კონსტიტუციის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში და სხვ.

რაც შეეხება მოქალაქეთა გამოყვანას კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტთა წრიდან, ეს დებულებაც მოითხოვს დაზუსტებას. საქმე იმაშია, რომ კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტებად დღემდე მიიჩნეოდა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და უმაღლესი თანამდებობის პირები. მოქალაქე, როგორც ფიზიკური პირი, არ განიხილებოდა როგორც ამ სახის პასუხისმგებლობის მატარებელი სუბიექტი, რაც, ჩემი აზრით, არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. მაგალითად, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა, რომელიც არის საქართველოს კონსტიტუციური სამართლის შემადგენელი ნაწილი, იცნობს დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმების შესაძლებლობას, თუ მან ჩაიღინა გარკვეული სამართალდარღვევა. ჯერ ერთი, რეგისტრაციის გაუქმება არის სწორედ კონსტიტუციურ-სამართლებრივი და არა იურიდიული პასუხისმგებლობის სხვა სახის ზომა და მეორე, რეგისტრაციის გაუქმება მოცემულ შემთხვევაში, როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახე, გამოიყენება არა თანამდებობის პირის, არამედ მოქალაქის მიმართ, ვინაიდან დეპუტატობის კანდიდატობა არ ნიშნავს სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებას.

კონსტიტუციურ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს ერთი მეტად საინტერესო თავისებურებაც. როგორც ცნობილია, იგივე სისხლის სამართალში არ არსებობს პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე, კონსტიტუციურ სამართალში ასეთი მოდელი გვხვდება. ხელისუფლების რეჟიმი გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობას. აქ საუბარია პოზიტიურ პასუხისმგებლობაზე. პოზიტიური პასუხისმგებლობა დგება ბრალის გარეშე. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის იმავე 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადააყენოს საქართველოს მთავრობა. იურიდიულად ეს კეთდება გადაყენების მიზეზების, მით უმეტეს, რაიმე ბრალზე მითითების გარეშე. ასეთი მიდგომა გამოწვეულია ხელისუფლების დანაწილების თავისებურებებით საქართველოში, რომელსაც განვიხილავთ შესაბამის პარაგრაფებში. აქ მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ გადააყენოს მთავრობა, ვინაიდან ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია მის წინაშე (თუმცა, კონსტიტუციის 78-ე მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებულია ასევე, რომ მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშეც). თუმცა, თავად პრეზიდენტიც შეიძლება პოზიტიური პასუხისმგებლობით. როდესაც გადააყენებს ძველ მთავრობას და შექმნის ახალს, ბუნებრივია, საქართველოს პრეზიდენტმა პასუხი უნდა გასცეს, მაგალითად, იმას, თუ რატომ გაუარესდა ახალი მთავრობის მუშაობის შედეგები ძველ მთავრობასთან შედარებით. ეს არის საქართველოს პრეზიდენტის პოზიტიური პასუხისმგებლობის ელემენტი საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელიც გამოძინარეობს ხელისუფლების დანაწილების ლოგიკიდან, მაგრამ არ არის განმტკიცებული საქართველოს კონსტიტუციურ სამართალში.

ანუ პოზიტიური პასუხისმგებლობა არ გულისხმობს თავისთავად კონსტიტუციური სამართლის სუბიექტებისათვის ნეგატიური შედეგების დადგომას, თუმცა პოზიტიური პასუხისმგებლობა შეიძლება გადაიზარდოს ნეგატიურ პასუხისმგებლობაში, თუ აღმოცენდება საფუძველი ამ პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახის გამოყენებისათვის.

საკმაოდ მრავალფეროვანია კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები. ესენია:

ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობა;

ბ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების ან მათი ცალკეული დებულებების არაკონსტიტუციურად ცნობა;

გ) საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტების გაუქმება;

დ) საქართველოს პარლამენტის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება;

ე) საქართველოს მთავრობის გადადგომა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით;

ვ) საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს პარლამენტის დათხოვნა;

ზ) საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლში ჩამოთვლილი თანამდებობის პირების თანამდებობიდან გადაყენება (იმპიჩმენტი);

თ) პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით;

ი) დეპუტატობის კანდიდატის ან პარტიული სიის რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა;

კ) დეპუტატობის კანდიდატის ან პარტიული სიის რეგისტრაციის გაუქმება;

ლ) არჩევნების გაუქმებულად ცნობა სასამართლოს მიერ და ა.შ.

კონსტიტუციური სამართლის განვითარება განაპირობებს როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომების გაფართოებას, ისე მათი გამოყენების პროცედურების დეტალურ რეგულირებას. ჩემი აზრით, აუცილებელია, რომ მკაფიოდ განისაზღვროს არა მხოლოდ საქართველოს შემადგენელი ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლებათა, არამედ ასევე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობა საქართველოს ტერიტორიული

მოწვობის საფუძვლებს დარღვევისას, საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების შეუსრულებლობისათვის.

გამომდინარე აქედან, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა ერთ-ერთი აქტუალურია კონსტიტუციური სამართლის თეორიისა და პრაქტიკისათვის. მისი სათანადო დონეზე გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია ვისაუბროთ კონსტიტუციური სამართლის ისეთი განვითარების შესახებ, რომელიც იქნება ადამიანის უფლებების დაცვის თანამედროვე მოთხოვნების ადეკვატური. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გააზრებისათვის, მთლიანობაში მისი მნიშვნელობა არ არის სათანადოდ შეფასებული. ამას მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ საქართველოს კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელოებშიც არ ჰქონია დათმობილი ადგილი მოცემულ პრობლემას, მათ შორის, არც მოცემული სახელმძღვანელოს პირველ გამოცემაში.



## თავი II მოქმედება კონსტიტუციაზე

### §1. კონსტიტუცია – უზენაესი კანონი

#### 2.1.1. კონსტიტუციის კლასიკური მოდელის აღმოცენება

ტერმინი კონსტიტუცია (Constitucio) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დაწესებას, დადგენას. ეს ტერმინი გვხვდება ჯერ კიდევ რომის იმპერიის კანონმდებლობაში, თუმცა, არც მონათმფლობელური, არც ფეოდალური საზოგადოება არ იცნობდა კონსტიტუციას, როგორც სახელმწიფოს ძირითად, უზენაეს კანონს, რომელშიც განმტკიცებული იქნებოდა მისი მოწყობის მთელი საფუძვლები. იმ პერიოდში იგი გამოხატავდა იმპერატორთა სხვადასხვა სახის ბრძანებებსა და დადგენილ წესებს.

როდესაც ვსაუბრობთ ზოგადად კონსტიტუციის ისტორიის შესახებ, აუცილებლად აღსანიშნავია ისეთი ცნობილი კონსტიტუციური აქტები, როგორც იყო „ჰაბეას კორპუს აქტი“ და „უფლებათა ბილი“.

„ჰაბეას კორპუსი“ ინგლისური პროცესუალური სამართლის ინსტიტუტია, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს ანიჭებს უფლებას მოითხოვონ დაკავებულის ან დაპატიმრებულის სასამართლოში წარდგენა თავისუფლების აღკვეთის საფუძვლების შესამოწმებლად. თავისი სახელწოდება „ჰაბეას კორპუსმა“ მიიღო მოსამართლის ბრძანების პირველი სიტყვებიდან თავისუფლებათა აღკვეთილი პირის სასამართლოში წარმოდგენის შესახებ: „Habeas corpus ad subjiciendum“ („შენ მოვალე ხარ წარმოადგინო პიროვნება სასამართლოში“). ეს ინსტიტუტი აღმოცენდა ჯერ კიდევ XV საუკუნეში და საბოლოოდ იქნა გაფორმებული 1679 წელს „ჰაბეას კორპუსის აქტში“. დღესდღეობით „ჰაბეას კორპუსი“ ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში, უწინარესად, ანგლოსაქსური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში, როგორც პირადი ხელშეუხებლობის უფლების ყველაზე საიმედო კონსტიტუციური გარანტია.

რაც შეეხება „უფლებათა ბილს“ რომელიც მიღებული იქნა 1689 წელს, იგი გაჩნდა 1688 წლის რევოლუციური მოვლენების შემდგომ. ლიტერატურაში ის ხშირად განიხილება როგორც ახალი დროის კონსტიტუციის პირველი ვარიანტი და, იმავდროულად, შემდგომი კონსტიტუციონალიზმის პროტოტიპი. პოლიტიკურმა გადატრიალებამ, როცა განდევნეს მეფე იაკობ II და სამეფო ტახტზე ავიდნენ ვილჰელმი და მარია, განაპირობა კონსტიტუციის მსგავსი სტატუტის აღმოცენება უფლებათა ბილის სახით, რომელიც დღემდე მოქმედებს. იმ ეპოქაში, როცა ჯერ კიდევ არ იყო არც ერთი დაწერილი კონსტიტუცია მსოფლიოში, უფლებათა ბილი გახდა ერთგვარი პირველი მერცხალი ყველაფრის მომცველი ისეთი სამართლებრივი დოკუმენტების შექმნაში, რომლებიც არეგულირებდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ფარგლებს. საგრძობლად შეზღუდა რა მეფის ხელისუფლება და უზრუნველყო პარლამენტის უფლებები და თავისუფლებები, მან ჩამოაყალიბა ინგლისური კონსტიტუციური მონარქიის ნამდვილი საფუძვლები. რასაკვირველია, მხოლოდ ამის გამო არ გვექნებოდა საუბარი მოცემულ სტატუტზე. ამ შემთხვევაში გაცილებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ უფლებათა ბილმა შესამჩნევი გავლენა მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაზე, მისი მეშვეობით კი — მთელ კონსტიტუციურ პროცესზე ევროპაში.

ახალი დროის კონსტიტუციონალიზმი ტრადიციულად გამოკვეთს საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის არსებული კონფლიქტიდან. მისი გარეგნული გამოვლინება თითქმის ყოველთვის უკავშირდებოდა პარლამენტისა და სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგობას. ამ წინააღმდეგობის მიზეზი კი იყო ერთი: ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და თითოეული მათგანის ადგილი პოლიტიკურ სისტემაში. არსებითად, საუბარი ენებოდა ხელისუფლების ორგანიზაციის ყველაზე ოპტიმალურ სისტემას პოლიტიკური ძალების ისტორიულად ჩამოყალიბებული განლაგების გათვალისწინებით. ეს ბრძოლა ძირითადად მწვავედებოდა ძირითადი კანონმდებლობის — საბიუჯეტო, საფინანსო პოლიტიკისა და გადასახადების, მთავარი ძალოვანი სტრუქტურების — შეიარაღებული ძალების, ბიუროკრატიისა და პოლიციის საკითხებზე,

ასევე გადაწყვეტილების მიღების მექანიზმთან დაკავშირებით საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში.

ამიტომ, ახალი და უახლესი დროის დიდი რევოლუციების პროცესში კონსტიტუციის საკითხის დაყენება იყო მთელი პოლიტიკური გადატრიალების საწყისი ეტაპი და ფორმალურად განსაზღვრავდა პარლამენტსა და მონარქიულ ხელისუფლებას შორის ბრძოლის შინაარსს. შედეგად, ჩამოყალიბდა და კონსტიტუციურად განმტკიცდა ხელისუფლების მექანიზმის მოდელი, რომელიც შემდგომ მზა ფორმით ინერგებოდა სხვა სოციალურ-ისტორიულ პირობებში და, ბუნებრივია, იქ ღებულობდა განსხვავებულ კონკრეტულ-პოლიტიკურ სახეცვლილებას, იძენდა სხვა სოციალურ ფუნქციებს.

შევეცდები შევადარო პრობლემის გადაწყვეტის კლასიკური ვარიანტი მის რეცეფციას იმისათვის, რათა გამოვავლინოთ ამ უკანასკნელის, როგორც განსაკუთრებული სოციოლოგიური ტიპის, უფრო ზუსტად კი — გარდამავალი პერიოდის მსოფლიო პოლიტიკური კულტურის მოვლენის, სპეციფიკა. ეს საშუალებას მოგვცემს გავცეთ პასუხი კითხვაზე: რით აიხსნება კონსტიტუციის აღმოცენება და იმაკდროულად მისი განვითარების ტენდენციები?

კონსტიტუციური რეჟიმის დამკვიდრება ძირითადად დაიწყო XVIII საუკუნის II ნახევარში და გრძელდებოდა XX საუკუნის დასაწყისამდე. ეს იყო რევოლუციური ტალღების, თვითგამორკვევისათვის ბრძოლის დამახასიათებელი თანამდევი პროცესი. ჩემი აზრით, მის ასახსნელად ყველაზე კარგია კონსტიტუციონალიზმის ცენტრების სოციოლოგიური მოდელი, თანაც კონსტიტუციურ ცენტრებს ახასიათებდა დროში გადაადგილების ტენდენცია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

ასეთი იყო ოთხი ძირითადი ცენტრი: ა) 1775-1776 წლების რევოლუცია ამერიკაში, რომელსაც ოდნავ მოგვიანებით, 1787 წლის 17 სექტემბერს, მოჰყვა მსოფლიოში მანამდე უპრეცედენტო დოკუმენტის — ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მიღება; ბ) საფრანგეთის დიდი რევოლუცია (1789-1815 წწ.) თავისი პოლონური, სკანდინავიური და თუნდაც სამხრეთამერიკული გამოძახილით, რომელმაც ხელი შეუწყო კონსტიტუციური საწყისების გავრცელებას ევროპაში; გ) 1948 წლის ევროპული რევოლუ-

ციები, განსაკუთრებით კი გერმანიაში, რომლებმაც განაპირობეს კონსტიტუციური მმართველობა ცენტრალური და სამხრეთ ევროპის რიგ ქვეყნებში (გერმანია, ავსტრია, იტალია, მოგვიანებით კი — ბალკანეთი), ხოლო 50-80-იან წლებში ინგლისის ოკეანისგალმა სამფლობელოებში (კანადა, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა); დ) დაბოლოს, პირველი, 1905 წლის რევოლუცია რუსეთში, რომელმაც გზა გაუხსნა ამ პროცესს როგორც აზიის, ისე რუსეთის იმპერიაში შემავალ ყოფილ „პროვინციებში“, როგორც უწოდებდნენ რუსეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს. მათ შორის იყო საქართველო, რომელმაც 1921 წელს მოახერხა მიელო დამოუკიდებელი ქვეყნის კონსტიტუცია, რომელზეც შემდგომ ვისაუბრებთ.

ამ პროცესის მიმდინარეობის მანძილზე კონსტიტუციონალიზმის ძირითად კერას წარმოადგენდნენ ამერიკა და საფრანგეთი. თანაც, ფედერაციული სახელმწიფოები ცდილობდნენ მიებაძათ ამერიკული მოდელისათვის. ხოლო უნიტარულები — საფრანგეთის კონსტიტუციისათვის ან მათი ბელგიური და გერმანული (პრუსიული) ვარიანტებისათვის.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ წარმოსახვითი კონსტიტუციონალიზმის, ანუ ნასესხები კონსტიტუციონალიზმის პრობლემას, ცხადად დავინახავთ, რომ მას აქვს უპირატესად მიმბაძველობითი ხასიათი და წარმოადგენს კლასიკური (ამერიკული და ფრანგული) მოდელების არსებით ძირითადი კაცია ახალ ისტორიულ პირობებში. ეს დაკვირვება გამომდინარეობს იქიდან, რომ არც ერთ ქვეყანაში მოცემული მოდელები არ იყო დამკვიდრებული მზა სახით და ყველგან ექვემდებარებოდა არსებით გადაშუშავებას ტრადიციული მომენტების შენარჩუნებით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით 60-იან წლებში კონსტიტუციური საწყისების რეცეფციის პროცესმა მოიცვა სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა: კონსტიტუციური სახელმწიფოები გახდნენ რუმინეთი და საბერძნეთი, ბულგარეთი და სერბეთი. 1905 წელს კონსტიტუციურმა პრინციპებმა შეაღწია რუსეთის კანონმდებლობაშიც, რომელსაც მოჰყვა გაგრძელება აღმოსავლეთის მსხვილ ნახევრადფერიდალურ ღესპოტიებში (სპარსეთი — 1906 წელი, თურქეთი — 1908 წელი, ჩინეთი — 1911 წელი).

აღსანიშნავია, რომ ამ გეოგრაფიული გადაადგილების პროცესში კონსტიტუციონალიზმის კლასიკური ანგლოსაქსური და ფრანგული ტიპები იმდენად შეიცვალა, რომ მათი აღმოცენება ევროპაში ახალი სამოსით, რომლის უკიდურესი ფორმა გახდა ტოტალიტარული რეჟიმების (მაგ. სსრ კავშირის) კორპორაციული კონსტიტუციები, აღქმული იქნა როგორც მთელი დემოკრატიული ტრადიციის მემკვიდრეობითობის წყვეტა, პოლიტიკური ორგანიზაციის სარისხობრივად ახალი ტიპის დაბადება. ამის გარეგნული გამოხატულება გახდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთქმედების განსაკუთრებული მექანიზმი, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდებოდა იმისაგან, რაც არსებობდა კლასიკურ ნიმუშებში.

## 2.12. კონსტიტუციის ცნება

თუ შევჯამებთ კონსტიტუციური განვითარების ისტორიას, მასში აღმოვაჩინებთ ერთ ფრიად საინტერესო ტენდენციას. გარდა იმისა, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდებოდა სამართლის ნორმების მკაფიო კონსტიტუციონალიზაცია, არა ნაკლებ მნიშვნელობას იძენდა მისი თეორიული უზრუნველყოფა. ჯერ ერთი, საჭირო იყო კონსტიტუციონალიზმის უპირატესობის დასაბუთება ადრე არსებულ რეჟიმებთან შედარებით და მეორე, ის წარმოადგენდა კონსტიტუციონალიზმის მომავალი განვითარების წინაპირობას. დაინტერესება იმთავითვე დიდი იყო, რამაც განაპირობა კიდევ ესოდენ დიდი და ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი დოქტრინული მრავალფეროვნება.

კონსტიტუციონალისტებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება თავად „კონსტიტუციის“ ცნების არსებით ცვლილებებს, მით უმეტეს, რომ ასეთი ცვალებადობა არც ისე შეუმჩნეველია, ჯერ ერთი, კონსტიტუციის განმარტებების სიმრავლისა და მეორე, ისტორიული ეტაპების, ეროვნული, ტერიტორიული და სხვა ფაქტორების გამო. თუმცა, თითოეულ მათგანს აქვს არსებობის უფლება. ჩემი აზრით, საინტერესოა ერთმანეთს შევადაროთ კონსტიტუციის რამდენიმე განმარტება, რომლებიც ჩამოყალიბებულია დროის სხვა-

დასხვა მონაკვეთში და კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

პრობლემის სწორად აღქმისათვის, უწინარესად, აუცილებელია ყოველ სამართალში განვასხვავოთ მისი მატერიალური და ფორმალური მხარეები. მატერიალური გაგებით კონსტიტუცია შეიძლება განვმარტოთ, როგორც სოციალური ძალებისა და ინტერესების განლაგების ყველაზე მკაფიო გამოხატულება. ფორმალური გაგებით ის უნდა განვიხილოთ მხოლოდ კონსტიტუციაში ჩადებული სამართლის ნორმებისა და მათი ხარისხის თვალსაზრისით.

თანდათანობით ჩამოყალიბდა კონსტიტუციის ფორმალური გაგებით განმარტების ორი ნაირსახეობა — ფართო და ვიწრო გაგება. ფართო გაგებით ტერმინი „კონსტიტუცია“ აღნიშნავს ქვეყნის პოლიტიკურ ორგანიზაციას — სახელმწიფოს ფორმას, სახელმწიფო ორგანოებსა და მათ უფლებამოსილებებს. ამ გაგებით კონსტიტუციად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ საკუთრივ კონსტიტუცია, არამედ ისეთი კანონიც, რომელიც საქართველოში მოქმედებდა ახალი კონსტიტუციის მიღებამდე — „კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. ვიწრო გაგებით კი კონსტიტუცია გულისხმობს ქვეყნის უზენაეს კანონს, რომელიც ადგენს სახალხო წარმომადგენლობას, ხელისუფლების დანაწილებას, აღმამანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს და მათი რეალიზაციის გარანტიებს. სწორედ ამ გაგებით აღიქმება თანამედროვე კონსტიტუციური პროცესი საქართველოში.

თუმცა, ურიგო არ იქნება გავეცნოთ იმ აღიარებულ მეცნიერთა მიერ შემოთავაზებულ განმარტებებსაც, რომლებმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს საკუთრივ კონსტიტუციის განმარტების ამჟამინდელ ინტერპრეტაციაზე.

კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთი კლასიკოსი, ფორმალური იურიდიული სკოლის აღიარებული ლიდერი, გერმანელი მეცნიერი, გეორგ ელინგი, ხატოვნად რომ ვთქვათ, კონსტიტუციას განმარტავდა „სუფთა გერმანულად“. მას იმდენად არ აინტერესებდა კონსტიტუციის ცნების სტილი, რამდენადაც იმ ძირითადი ნიშნების აუცილებელი ჩამონათვალი, რომელიც უნდა ჩამოყალიბებულიყო კონსტიტუციის ცნების შინაარსში. მისი აზრით, კონსტიტუცია არის

„სამართლებრივი დებულებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს, მათი შექმნის წესსა და ფუნქციებს, მათ ურთიერთკავშირსა და კომპეტენციას, ასევე ინდივიდის მდგომარეობას სახელმწიფო ხელისუფლებასთან მიმართებაში“.<sup>17</sup>

საინტერესოა ასევე ინგლისელი მეცნიერის, ს. სტრონგის განმარტება, რომელიც კონსტიტუციას განმარტავდა, როგორც პრინციპების ერთობლიობას, რომელთა შესაბამისადაც ხდება ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის, მართულთა უფლებების და მათ შორის ურთიერთობის რეგლამენტაცია<sup>18</sup>. ოდნავ განსხვავებული, მაგრამ თითქმის იგივე შინაარსის მატარებელია განმარტება, რომელიც ჩამოაყალიბეს ასევე ინგლისელმა კონსტიტუციონალისტებმა – უეილმა და ფილიპსმა. მათი აზრით, „კონსტიტუციაში იგულისხმება განსაკუთრებული სამართლებრივი მნიშვნელობით აღჭურვილი დოკუმენტები, რომლებშიც განისაზღვრება სახელმწიფო ორგანოთა ორგანიზაციისა და ფუნქციების საფუძვლები და ყალიბდება ის პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ორგანოთა საქმიანობას“.<sup>19</sup> საკითხში ჩახედული ადამიანისათვის იმთავითვე ნათელია, რომ მოცემული განმარტებები ეკუთვნის ინგლისურ სკოლას. სტრონგიც, უეიდიც და ფილიპსიც კონსტიტუციას განმარტავენ არა როგორც ნორმების, არამედ ერთ შემთხვევაში პრინციპების, ხოლო მეორე შემთხვევაში, სამართლებრივი დოკუმენტების ერთობლიობას. ჩემი აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ დიდ ბრიტანეთში არსებობს ე.წ. დაუწერელი კონსტიტუცია, რომელშიც შედის როგორც კანონები, ისე ტრადიციები, ჩვეულებები, სასამართლო პრეცედენტები. ამიტომ დიდი ბრიტანეთის კონსტიტუცია არ წარმოადგენს ერთ მთლიან ნორმატიულ აქტს.

საყურადღებოა ამერიკელი იურისტის ჩ. ბერდის მოსაზრება. მისი აზრით, კონსტიტუცია არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს ხელისუფლების ორგანოების აქტიურობის ფარგლებს, განსაზღვრავს მათი უფლებამოსილებების მასშტაბებს და მოქალაქეთა თავის-

<sup>17</sup> Еллинек Г., Общее учение о государстве, СІБ, 1903, გვ. 335.

<sup>18</sup> Бромхед Питер, Эволюция британской конституции, М., 1978, გვ. 68.

<sup>19</sup> Уейд и Филиппс, Конституционное право, М, 1950, გვ. 3.

უფლებებს<sup>20</sup>. იმავე შინაარსის განსხვავებულ ფორმულირებას გვთავაზობენ ასევე ამერიკელი მეცნიერები მ. კაპელეტი და უ. კოენი, რომლებიც თვლიან, რომ კონსტიტუცია არის იურიდიული სისტემის ცენტრი<sup>21</sup>. ამ შემთხვევაშიც საკითხში გარკვეულ ადამიანს არ გაუჭირდება ამოიციოს ცალსახად ამერიკული ბოდელი, ვინაიდან წამყვანი ამერიკელი მოაზროვნეების აზრით, სახელმწიფომ არაფერი არ უნდა მისცეს თავის მოქალაქეს. მან მხოლოდ უნდა დაარეგულიროს მოქალაქეებს შორის ურთიერთობები. რაც უფრო ნაკლებად არეგულირებს იგი ურთიერთობებს, რაც უფრო ნაკლებად ერევა მათ ცხოვრებაში, მით უკეთესია. ამრიგად, ფრაზები იმის შესახებ, რომ კონსტიტუცია ადგენს ხელისუფლების ორგანოების აქტიურობის ფარგლებს და არის იურიდიული სისტემის ცენტრი, ნიშნავს, რომ კონსტიტუცია, როგორც უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დოკუმენტი, როგორც გარკვეული საზოგადოებრივი ხელშეკრულება, ზღუდავს ხელისუფლებას და ამყოფებს მას განსაზღვრულ ფარგლებში. ძნელი სათქმელია, რამდენად შეესაბამება რეალობას ეს თითქმის სრულქმნილი იდეა, რადგან სახელმწიფო არის ურთულესი მექანიზმი და რეალურ სიტუაციებში ვერ იტანს შეზღუდვებს. მეორე მხრივ, ეს არის არა იმდენად რეალური სინამდვილის კონსტატაცია, რამდენადაც იდეალის, რომლისკენაც მიიღტვის ამერიკული საზოგადოება და თვით სახელმწიფო-სამართლებრივი პრაქტიკაც.

კონსტიტუციის განმარტებისას ხშირად ჩნდება დილემა: ვისი უზენაესი (ძირითადი) კანონია კონსტიტუცია – სახელმწიფოსი თუ საზოგადოების? მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ კონსტიტუცია არის სახელმწიფოს ძირითადი კანონი<sup>22</sup>, ხოლო მეორე ნაწილი

---

<sup>20</sup> Егоров С.А., Современная наука конституционного права США, М., 1987, гл. 27.

<sup>21</sup> Каппелетти М., Кохен В., Сравнительное конституционное право, Л., 1979, гл. 5.

<sup>22</sup> Голц К., Учение о конституции, М., 2002, гл. 63; Гаврилов М.Н., Конституционное право Российской Федерации, М., 2001, гл. 39; Вовнейко А.М., Конституционное право Республики Беларусь, Минск, 2003, гл. 71 და სხვ.



მიჩნევს, რომ – სახელმწიფოსიცი და საზოგადოებისაც<sup>23</sup>. ამ დავის გარეგნული სქოლასტიკის უკან იმალება პრინციპული განსხვავება. თუ კონსტიტუცია არის მხოლოდ სახელმწიფოს ძირითადი კანონი, მაშინ მისი, როგორც კანონის მოქმედება და ზეგავლენა იზღუდება მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი სფეროთი, ხოლო კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები, მთლიანად სამოქალაქო საზოგადოება გადის კონსტიტუციური რეგულირების ფარგლებს გარეთ. მეორე შემთხვევაში კონსტიტუციური რეგულირების საგანი მნიშვნელოვნად ფართოვდება. თუ კონსტიტუციას ჩავთვლით მხოლოდ სახელმწიფოს ძირითად კანონად, მაშინ გაუგებარია, რატომ განისაზღვრება მასში ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, რომელიც უდავოდ არის არა სახელმწიფოებრივი, არამედ საზოგადოებრივი ფენომენი. ისტორიულად სწორედ მოქალაქეთა თანასწორობის იდეის იურიდიული განმტკიცების აუცილებლობამ განაპირობა კონსტიტუციის, როგორც განსაკუთრებული იურიდიული დოკუმენტის აღმოცენება.

კონსტიტუციის ცნების საკითხი არც საბჭოთა სამართლებრივი აზროვნებისათვის იყო უცხო. მართალია, მრავალმა მეცნიერმა სცადა კონსტიტუციის ცნების ჩამოყალიბება, მაგრამ თითქმის ყველა შემთხვევაში აქცენტი კეთდებოდა არა მის პოლიტიკურ-სამართლებრივ მხარეებზე, არამედ კლასობრივ ინტერესებზე<sup>24</sup>.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, არსებობს კონსტიტუციის ცნების სხვა განმარტებებიც და მიდგომებიც, თუმცა, მათი გაცნობისას იკვეთება იმ დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრული ერთობლიობა, კრებული, რომელთა მეშვეობით შეიძლება ჩამოვყალიბოთ კონსტიტუციის განმარტების, ჩემი აზრით, ოპტიმალური მოდელი:

---

<sup>23</sup> Москаленко Ю.З., Конституция Российской Федерации, Казань, 2001, გვ. 18; Медушевский А.Н., Сравнительное конституционное право, М., 2002, გვ. 112; Гаврилов О.А., О прямом действии конституции, М., 2001, გვ. 27-28 და სხვ.

<sup>24</sup> იხ. Степанов И.М., Конституция и политика, М., 1984; Котляревский Г.С., Конституция, законность, правопорядок, М., 1982; Керимов Д.А., Конституция СССР и развитие политико-правовой теории, М., 1979; Алексеев А.А., Структура советского права, М., 1975; Михелева Н.А., Социалистическая конституция (проблема теории), М., 1981 და სხვ.

კონსტიტუცია არის იმპერატიული ძალის მქონე განსაკუთრებული ნორმატიული აქტი, ანუ ქვეყნის უზენაესი კანონი, რომლის მეშვეობითაც ხალხი აფუძნებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოწყობის ძირითად პრინციპებს, განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების სუბიექტებს, ხელისუფლების განხორციელების მექანიზმს, განამტკიცებს სახელმწიფოს მიერ დაცულ სამოქალაქო საზოგადოებასა და ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს.

ჩემი აზრით, კონსტიტუციის ასეთი განმარტება გამოხატავს მის ძირითად მახასიათებლებს. შესაძლოა ის არ არის იდეალური, შესაძლოა მოხდეს მისი გაღრმავება, შეესება, მაგრამ მასში ჩამოთვლილია თითქმის ყველა დამახასიათებელი ნიშანი. თუ მოცემულ განმარტებას კიდევ უფრო გავაფართოვებთ და მის შინაარსში ჩამოეთვლით კონსტიტუციის ყველა ძირითად ატრიბუტს, მაშინ მივიღებთ კონსტიტუციის კლასიკური სტრუქტურის ჩამონათვალს, ანუ არსებული კონსტიტუციის მოდელს, რომელიც ზომაზე მეტად გაზრდის ცნების მოცულობას, რაც დაუშვებელია როგორც სასწავლო მეთოდის, ისე წმინდა მეცნიერული თვალსაზრისითაც.

### 2.1.3. კონსტიტუციის არსი და იურიდიული მნიშვნელობა

კონსტიტუციის ცნების შინაარსი ნათელყოფს მისი გარდაუვალი არსებობის აუცილებლობას სახელმწიფოს განვითარებისა და ნორმალური ფუნქციონირების საქმეში. მაგრამ მხოლოდ ცნების განმარტება რაღაც საკმარისი იმ სუბსტანციის ღრმა მეცნიერული შემეცნებისათვის, რაც ჩადებულია კონსტიტუციის ბუნებაში.

საკითხი იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს კონსტიტუციის არსი, ასევე სადისკუსიოა კონსტიტუციური სამართლის თეორიაში.

ყველაზე გავრცელებული შეხედულება კონსტიტუციის არსის შესახებ უკავშირდება კონსტიტუციის გაგებას, როგორც საზოგადოებრივი ხელშეკრულების ფორმას. ეს ისეთი ხელშეკრულებაა საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის, რომლის თანახმადაც ნაწილდება უფლებამოსილებები სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილებს, ხელისუფლების შტოებს შორის, ანუ საუბარია იმ საფუძვლებსა და წესებზე, რომელთა მიხედვითაც შეიქმნა და ცხოვრობს

მოცემული საზოგადოება<sup>25</sup>. კონსტიტუცია მართლაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც საზოგადოების წევრებს შორის დადებული ხელშეკრულება, შეთანხმება ან თუნდაც გარიგება. ეს შეიძლება დავასაბუთოთ იმით, რომ კონსტიტუციათა უმრავლესობა მიღებულია საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის – რეფერენდუმის გზით, რომელშიც საზოგადოების უმრავლესობა გამოხატავს თავის ნებას. მაგრამ არის კი საზოგადოებრივი ხელშეკრულების ზემოთ აღნიშნული მოდელი სახეზე, როდესაც კონსტიტუცია მიიღება არა რეფერენდუმის, არამედ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის მიერ, სადაც საზოგადოების წევრთა ხმა ხშირ შემთხვევაში რჩება „ხმაღ მლალადებლისა უღაბნოსა შინა“. ამიტომ, ჩემი აზრით, კონსტიტუციის არსში მხოლოდ საზოგადოებრივი ხელშეკრულების ცნების ჩადება გარკვეული აბსტრაქციაა.

კონსტიტუციის არსი განსხვავებულად განიხილება ბუნებითი სამართლის სხვადასხვა მიმდინარეობაში, რომელთა მიხედვით კონსტიტუციის არსი მდგომარეობს მასში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციების განსხეულებაში. ამ პოზიციის მომხრეთა აზრით, მხოლოდ ასეთი კონსტიტუციები გამოირჩევიან სტაბილურობითა და სიმყარით, განსხვავებით სხვისი მიმბაძველობით შექმნილი კონსტიტუციებისაგან.<sup>26</sup>

არსებობს შეხედულებები, რომლებიც უარყოფენ კონსტიტუციის სახალხო ხასიათს და მის არსს უკავშირებენ სახელმწიფო ნებას. იმავედროულად, კონსტიტუცია განიხილება, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების თვითშეზღუდვის ძირითადი საშუალება.<sup>27</sup>

მარქსისტულ-ლენინური თეორია კონსტიტუციის არსს იმაში ხედავდა, რომ ის გამოხატავს არა მთელი ხალხის, არამედ გაბატონებული კლასის ნებას, ე.ი. კონსტიტუცია თავისი არსით არის კლასობრივი. ასეთმა მკვლევარმა წარმოდგენამ წესად აქცია ძალა-

---

<sup>25</sup> Малени М.С., Фундаментальная роль конституции, М., 2001, гл. 172; Ломбардо Т., Конституционная ситуация, М., 1997, гл. 57.

<sup>26</sup> Ганев И., Конституционное государство, Саратов, 1999, гл. 230; Петканов М., Конституционное право Болгарии, М., 1998, гл. 24.

<sup>27</sup> Modern Constitutional Theory: A Reader / Ed. by J.H. Garvey, Minn, 1994, гл. 88.

დობის, რეპრესიების, ადამიანთა მასობრივი განადგურების აუცილებლობა და, რაც მთავარა, მართლზომიერება, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების უხეში დარღვევა და სხვ. სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა კონსტიტუციის ფარატინა ქალაქად გადაქცევა ათეული წლების მანძილზე, რაც, თავის მხრივ, იქცა სამართლებრივი ნიჰილიზმისა და პოლიტიკის სამართალზე ბატონობის სიმბოლოდ.

ჩემი აზრით, კონსტიტუციის არსი უნდა ვეძიოთ არა კლასობრივ ან სხვა არასამართლებრივ სემენტებში, არამედ იმ ზოგადდემოკრატიულ ღირებულებებსა და თვისებებში, რაც ანიჭებს კონსტიტუციას განუმეორებელ ხიბლს. თუ გვსურს ღრმად ჩაეწვდეთ კონსტიტუციის არსს და უშუალოდ შევეგონოთ მისი „სამო სურნელი“, ის უნდა ვეძიოთ არა მის ფსკერზე, არამედ მის ზედაპირზე. ეს არის ზოგადდემოკრატიული ღირებულებები, მისი მარეგულირებელი ფუნქციები და საკუთრივ მისი მოქმედების იურიდიული ასპექტები.

კონსტიტუცია, პირველ ყოვლისა, არის იურიდიული დოკუმენტი, ქვეყნის უმთავრესი კანონი. რასაკვირველია, ცდუნება იმისა, რომ კონსტიტუცია გამოყენებული იქნეს როგორც პოლიტიკური და იდეოლოგიური დოკუმენტი, როგორც დემოკრატიის განვითარების მაჩვენებელი, საკმარის დიდია. მსოფლიოს ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ შეძლო ექცია კონსტიტუცია წმინდა იურიდიულ დოკუმენტად. პოლიტიკისა და იდეოლოგიის ელემენტები მუდამ გვხვდება კონსტიტუციაში, მით უმეტეს, მისი ტექსტის ირგვლივ<sup>28</sup>. ამიტომ, იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებენ კონსტიტუციის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფუნქციებზე. პრობლემა იმაშია, რომ პოლიტიკურ-იურიდიულმა მიდგომამ არ ჩაახშოს კონსტიტუციის, როგორც უზენაესი კანონის თვისებები.

საქართველოში კანონები უხვადაა, მაგრამ მოქმედი კონსტიტუცია — ერთადერთი. კონსტიტუციას ახასიათებს განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც ხაზს უსვამენ მის უნიკალურობას. კონსტი-

---

<sup>28</sup> 1787 წელს 39 ამერიკელმა აშშ-ის კონსტიტუციაში ჩაწერა: „ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი...“ სინამდვილეში ამერიკელ ხალხს არ მიუღია კონსტიტუცია, მაგრამ მათ იწამეს მისი. ამიტომ მოქმედებს ის 200 წელზე მეტია. საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ იქნა მიღწეული კონსტიტუციის კულტის აღიარება.

ტუციური სამართლის თეორიაში ამ თვისებების კრებულს უწოდებენ კონსტიტუციის იურიდიულ თვისებებს.

კონსტიტუციის ძირითად იურიდიულ თვისებებს შეიძლება მივაკუთვნოთ: მისი დამფუძნებელი ხასიათი, უზენაესობა, საბაზისო ხასიათი, მისი ნორმების პირველადობა, პროგრამული დებულებების არსებობა.

კონსტიტუციის დამფუძნებელი ხასიათი ნიშნავს, რომ ის იურიდიულად ქმნის ახალ ღირებულებით ბაზას, ან მნიშვნელოვნად ცვლის მანამდე არსებულ ღირებულებებს. უნდა აღინიშნოს, რომ საუბარია დაფუძნებასა და შექმნაზე იურიდიული გაგებით. ეს ღირებულებები იქნება თუ არა რეალური, ცალკე საკითხია. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ დააფუძნა ახალი სახელმწიფო, ახალი საზოგადოება, ადამიანის ახალი სტატუსი, სახელმწიფო ორგანოების ახალი სისტემა. რასაკვირველია, გარკვეული ღირებულებები რეალურად არსებობდა მის მიღებამდე. თუმცა, კონსტიტუციის დამფუძნებლობა გამოვლინდა იმაში, რომ მან მოგვცა ამ მოვლენების ახალი ან მნიშვნელოვნად სახემეცვლილი დახასიათება, რომელზეც შემდგომ თავებში ვისაუბრებთ. 1995 წლის კონსტიტუციის დამფუძნებელი ხასიათი გამოვლინდა, მაგალითად, საქართველოს პარლამენტის შექმნაში, სახელმწიფოს მეთაურის სტატუსის შეცვლაში, საკონსტიტუციო სასამართლოს, სახალხო დამცველის ინსტიტუტების შემოღებაში და ა.შ.

კონსტიტუციის უზენაესობა ნიშნავს, რომ კონსტიტუციას მთლიანობაში და მის ცალკეულ ნორმებს აქვთ უმაღლესი იურიდიული ძალა სამართლის სხვა წყაროებთან მიმართებაში. კონსტიტუცია თავად აცხადებს საკუთარ თავს უზენაესად. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნულია, რომ საქართველოს კონსტიტუცია უზენაესი კანონია. იქვე ნათქვამია, რომ ყველა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას, ასეთი აქტები არ გამოიყენება და შესაბამისი წესით ხდება მათი ცნობა არაკონსტიტუციურად.

კარგა ხანია მიმდინარეობს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმებს აქვთ პრიორი-

ტეტული მნიშვნელობა კონსტიტუციურ ნორმებთან შედარებით იმ ნაწილში, რაც შეეხება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს<sup>29</sup>

თუ ასეთი დასკვნა მართებულია, მაშინ კონსტიტუციის უზენაესობაზე საუბარი უაზრობაა, ყოველ შემთხვევაში, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილში მაინც.

ასეთი პოზიცია აშკარად ეწინააღმდეგება არა მხოლოდ კონსტიტუციის უზენაესობის იდეას, არამედ ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციას. კონსტიტუციის მე-ნ მუხლის მე-2 პუნქტი ცნობს რა საერთაშორისო-სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს საქართველოს სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილად, ამ სისტემაში განსაზღვრავს მხოლოდ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ადგილს. მე-ნ მუხლში განმტკიცებულია მათი პრიორიტეტი ყველა სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმებისა. სხვა ალტერნატივას საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს.

კონსტიტუციის უზენაესობა გამომდინარეობს შემდეგი მისი თვისებიდან. ეს არის საბაზისო ხასიათი მიმდინარე კანონმდებლობისათვის, რაც ნიშნავს, რომ კონსტიტუცია განსაზღვრავს მთელი კანონმდებლობის განვითარების ტენდენციას. კერძოდ, რაში ვლინდება ეს თვისება?

– კონსტიტუცია შეიცავს ნორმა-პრინციპებს კანონმდებლობის ყველა დარგისათვის. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი განამტკიცებს შრომის თავისუფლებასა და მასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, რომელთა საფუძველზეც ვითარდება შრომის კანონმდებლობა;

– კონსტიტუცია, მართალია ცალმხრივად, მაგრამ მაინც ერთმანეთისაგან მიჯნავს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა და ტერიტორიული ერთეულების ორგანოების გამგებლობას

---

<sup>29</sup> იხ. Лукашук И.И., Международное право. Общая часть, М., 1996, გვ.240; Конституционное право / Под ред. В.В. Лазарева, М., 1998, გვ. 26.

მიკუთვნებულ საკითხებს (საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლი). თუმცა, სამომავლოდ სასურველია სრულად დაკონკრეტდეს უფლებამოსილებათა გამიჯვნის ფარგლები ცენტრსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის;

– კონსტიტუცია შიდავს ე.წ. ბლანკეტურ (მიითითებით) ნორმებს, რომლებიც განაპირობებენ ამა თუ იმ კანონის მიღებას. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტით, სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით.

კონსტიტუციურ ნორმებს აქვს პირველადი და პირდაპირი ხასიათი. ეს ნიშნავს, რომ ისინი ახდენენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ორიგინალურ რეგლამენტაციას. ისმება კითხვა: თუ კონსტიტუციის ნორმებს აქვს პირველადი და პირდაპირი ხასიათი, მაშინ როგორია მიმდინარე კანონმდებლობის ნორმათა პირველადობისა და პირდაპირობის ხარისხი? პასუხი ცალსახაა: მიმდინარე კანონმდებლობის ნორმებსაც აქვთ პირველადი და პირდაპირი ხასიათი. თუმცა, ამ შემთხვევაშიც არის ერთი მაგრამ... მართალია, მიმდინარე კანონმდებლობის ნორმები აგრეთვე შეიცავს პირველად და პირდაპირ ნორმებს, მაგრამ კონსტიტუციური ნორმების ანალოგიურ თვისებებს აქვს გაცილებით მაღალი დონე. ეს აიხსნება მათი მეშვეობით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათითა და აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხით. საქმე იმაშია, რომ კონსტიტუცია წარმოადგენს მიმდინარე კანონმდებლობის ძირითად საკანონმდებლო ბაზას. ეს ნიშნავს, რომ კანონები გამოიცემა კონსტიტუციის პრინციპებისა და იდეების შესაბამისად. კონსტიტუცია არეგულირებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე პრინციპულ, ძირითად მხარეებს მაშინ, როცა კანონი ვალდებულია მოახდინოს ამა თუ იმ კონკრეტული მხარის შედარებით სრული რეგლამენტაცია. ამასთან, როგორც კონსტიტუციის, ისე კანონის ნორმები არის პირველადი ნორმები, თუმცა კანონის ნორმები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის დებულებებით დადგენილ პარამეტრებს. კონსტიტუციის ნორმების პირველადობა და პირდაპირობა სხვადასხვაგვარად ვლინდება: ნორმა-პრინციპები და ბლანკეტური ნორმები ადგენენ ქცევის სავალდებულო ორიენ-

ტირებს სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის (კანონების მიღება, ორგანოების შექმნა და ა.შ.). სხვა ნორმები ექვემდებარება უშუალო გამოყენებას, ვინაიდან მათი მეშვეობით აღმოცენდება კონკრეტული კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობები. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის პირდაპირი მოქმედება ავალდებულებს სასამართლოებს, სხვა სახელმწიფო ორგანოებს თავისი აქტები და მოქმედებები დაასაბუთონ, პირველ ყოვლისა, კონსტიტუციის ნორმებით და სწორედ ამ გზით გაამყარონ საკუთარი არგუმენტაცია, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებადაცვით სფეროში. სამწუხაროდ, დღემდე ვერ ჰპოვა კონსტიტუციის მოცემულმა თვისებებმა ფართო რეალიზაცია საქართველოში, რადგან თითქმის არ მოიძებნება 'საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელშიც პირდაპირ იქნებოდა ასახული სპეციალური მითითება კონსტიტუციის შესაბამის ნორმაზე.

გარდა პირველადობისა, კონსტიტუციის ნორმების ნორმატიული შინაარსის თავისებურებას წარმოადგენს სტაბილურობა. ეს, ჩვეულებრივ, აიხსნება კონსტიტუციის მიღების წესით — იმით, რომ ის იქმნება და იცვლება საკმაოდ რთული და განსაკუთრებული წესების მიხედვით. თუმცა, ჩემი აზრით, კონსტიტუციური ნორმებისა და თვით კონსტიტუციის სტაბილურობის მიზეზები არ უნდა ვეძებოთ მხოლოდ მათი მიღების წესში. უპირველესად, მყარი უნდა იყოს რეგლამენტაციის საგანში შემავალი ურთიერთობები. მეორე მხრივ კი, კონსტიტუციური ნორმების სიმტკიცე აიხსნება მათი სოციალური დანიშნულებითაც. იმისათვის, რომ კონსტიტუცია ჩამოყალიბდეს მთელი სოციალური ცხოვრების იურიდიულ ბაზად, ის უნდა იყოს საკმაოდ სტაბილური, მტკიცე იურიდიული აქტი.

თუმცა, რასაკვირველია, დებულებები კონსტიტუციის სტაბილურობის შესახებ არ უნდა გავაიდევლოთ. იმისათვის, რომ იყოს ქმედითი, ყველაზე სტაბილური კანონმდებლობაც კი უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ პირობებს. ცვალებად პირობებს მივყავართ კანონების ცვლილებამდე, მათ შორის, კონსტიტუციურისაც. მათ უნდა განამტკიცონ საზოგადოებრივი



ურთიერთობები, თუმცა, იმავედროულად არ შეუძლონ ხელი განვითარებას და პროგრესს.

კონსტიტუციის არსის საკუთრივ იურიდიული ასპექტი ვლინდება მის ფუნქციებში. საუბარია იმ დანიშნულებაზე, რის გამოც მოხდა მისი მიღება. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია მისი პირველი და ძირითადი ფუნქცია, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა იურისტებისათვის. ეს არის იურიდიული ფუნქცია, ანუ განსაკუთრებული საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება.

მეორე ფუნქცია არის პოლიტიკური, რაც ვლინდება იმაში, რომ ის განამტკიცებს პოლიტიკურ მოწყობას, ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური ძალების თანაფარდობას და ამ ძალებს ანიჭებს თავისუფალი ფუნქციონირებისა და თავისუფალი პოლიტიკური ბრძოლის შესაძლებლობას.

მესამე ფუნქცია არის იდეოლოგიური. უკანასკნელ პერიოდში დიამეტრიულად შეიცვალა მისი შინაარსობრივი დატვირთვა. საბჭოთა პერიოდის კონსტიტუციების შინაარსიდან გამომდინარე, ის ატარებდა წმინდა პროპაგანდისტულ ხასიათს. ამჟამად კი მოცემული ფუნქცია ასრულებს გარკვეულწილად შუამავლის როლს კონსტიტუციასა და საზოგადოებას შორის, რაც მიზნად ისახავს კონსტიტუციის სამართლებრივი ავტორიტეტის ამაღლებას. რამდენად ახერხებს საქართველოს კონსტიტუცია შეასრულოს სამივე ეს ფუნქცია, ძნელი სათქმელია. თუმცა, თავისთავად ის, რომ იგი ცდილობს მოიცვას სულიერი, პოლიტიკური სფეროების ძირითადი მიმართულებები, უკვე კარგი პერსპექტივაა.

#### 2.1.4. კონსტიტუციის სახეები

საკითხი კონსტიტუციის სახეების შესახებ საკმაოდ სრულად არის შესწავლილი იურიდიულ ლიტერატურაში. მისი კლასიფიკაციის კრიტერიუმები ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც თავად კონსტიტუციის იურიდიული ბუნება.

ყველაზე გავრცელებულია კონსტიტუციის კლასიფიკაცია მისი ფორმის, გადასინჯვის წესისა და მოქმედების ვადის მიხედვით. მაგრამ ვიდრე უშუალოდ მათზე ვისაუბრებთ, შეუძლებელია გვერ-

დი ავუაროთ ცნობილ ტრადიციას, რომელსაც ხშირად იყენებენ კონსტიტუციის დასახასიათებლად. მათ სამი განუყრელი წყვილიც კი შეიძლება ვუწოდოთ. ესენია: იურიდიული/ფაქტიური კონსტიტუცია; რეალური/ფიქტიური კონსტიტუცია და ცოცხალი/მკვდარი კონსტიტუცია. ჩემი აზრით, ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის მათი შინაარსის გაცნობა.

ბუნებრივად იბადება კითხვები: რას ნიშნავს იურიდიული და ფაქტიური კონსტიტუცია? განა შეიძლება კონსტიტუცია იყოს არაიურიდიული? რა კავშირია მათ შორის?

იურიდიული კონსტიტუცია არის თავად კონსტიტუცია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეს არის შესაბამისი წესით მიღებული ნორმატიული აქტი, უზენაესი კანონი. მას აქვს სწორედ ეს სახელწოდება – „კონსტიტუცია“. ძალზე კარგად განმარტავენ იურიდიულ კონსტიტუციას ამერიკელი მეცნიერები. ისინი ამბობენ, რომ იურიდიული კონსტიტუცია ისეთი კონსტიტუციაა, რომელიც შეიძლება ჯიბეში ჩაიდო.

ფაქტიური კონსტიტუცია არის ფორმულა, რომელიც აღნიშნავს არა ნორმატიულ აქტს, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებულ სისტემას. სხვა სიტყვებით, ფაქტიური კონსტიტუცია არის პასუხი კითხვაზე – როგორ ცხოვრობს ხალხი, როგორ მოქმედებს სახელმწიფო? ამ ორი ცნების ერთ წყვილში მოხსენიება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ისინი ერთმანეთზე არიან დამოკიდებული. თუ ყველაფერი ის, რაც ჩაწერილია იურიდიულ კონსტიტუციაში, ფაქტიურად არსებობს, მაშასადამე ეს ორივე ცნება ერთმანეთს ემთხვევა. ამ შემთხვევაში გამოიყენება ტერმინების მეორე ჯგუფი – რეალური და ფიქტიური კონსტიტუცია.

თუ ფაქტიური და იურიდიული კონსტიტუცია იდენტურია, მაშინ იურიდიული კონსტიტუცია რეალურია, ვინაიდან ის შეესაბამება სინამდვილეს. თუ კონსტიტუციაში ჩაწერილ ნორმათა ნაწილი არ ხორციელდება ცხოვრებაში (მაგალითად, კონსტიტუციაში ჩაწერილია, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის თავისუფლება, მაგრამ წლების განმავლობაში ქვეყანაში იზღუდება მისი თავისუფალი გამოხატვა), მაშინ კონსტიტუცია ხდება ფიქტია. როგორც კონსტიტუციური პრაქტიკა გვიჩვენებს, არსად არ არსებობს ასპრო-

ცენტრიანი რეალური ან ასპროცენტრიანი ფიქტიური კონსტიტუციები. მაგრამ თუ ფიქცია ან რეალურობა აღემატება გარკვეულ ზღვარს, მაშინ სულაც არ არის საგაღმადლო, რომ ეს იყოს ასი პროცენტი. თუ ქვეყანაში არ არის სიტყვის თავისუფლება, მასიურად ყალბდება არჩევნების შედეგები და უკანონოდ ტარდება პრივატიზაცია, ეს უკვე ნიშნავს, რომ კონსტიტუცია არის ფიქცია.

ტერმინების მესამე ჯგუფს შეადგენს ცოცხალი და მკვდარი კონსტიტუცია. ცოცხალი კონსტიტუციის ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ მოქმედი, რეალური ნორმატიული აქტი, არამედ ასევე ჩამოყალიბებული ტრადიცია, ჩვეულება, რომლებიც ავსებენ კონსტიტუციას. ცოცხალი კონსტიტუცია გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სამართლის ნორმები. მაგალითად, ანგლოსაქსური სამართლის სისტემის ქვეყნებში, კერძოდ, აშშ-ში ცოცხალი კონსტიტუცია 1787 წლის ტექსტისა და 27 შესწორების გარდა არის ასევე უმაღლესი სასამართლოს ასობით განმარტება, ე.წ. „კეისები“, რადგანაც მრავალი მათგანი შეიცავს კონკრეტულ წესებს და კანონების განმარტებებს. აშშ-ის კონსტიტუციური სამართალი არის არა მხოლოდ ამერიკული კონსტიტუციის რამდენიმე ფურცელი და მათი კომენტარები, არამედ ასევე უმაღლესი სასამართლოსა და სხვა სასამართლოების გადაწყვეტილებების რამდენიმე ტომი, ჩვეულებები და ტრადიციები. მკვდარი კონსტიტუცია აღნიშნავს იმას, რომ იურიდიული კონსტიტუცია არ მოქმედებს, ე.ი. ერთიანი ნორმატიული აქტი, ანუ ძირითადი კანონი არის დაწერილი, მაგრამ თაროზე შემოდებული მტვერდადებული წიგნი. ჩვეულებრივ, ასეთი კონსტიტუციები გვხვდება ტოტალიტარული რეჟიმის ქვეყნებში. ამის მაგალითია ნებისმიერი საბჭოთა პერიოდის კონსტიტუცია, რომელთა ფუნქციები, წმინდა იდეოლოგიურის გარდა, დღემდე გაურკვეველია.

კონსტიტუციის ფორმის მიხედვით განასხვავებენ დაწერილ და დაუწერელ კონსტიტუციებს. დაწერილი კონსტიტუცია გულისხმობს ერთიან ნორმატიულ აქტს, რომელიც გამოცხადებულია ქვეყნის უზენაეს კანონად, მაგალითად, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია. დაუწერელ კონსტიტუციას კი უწოდებენ სხვადასხვა კანონების ერთობლიობას, კონსტიტუციურ ჩვეულებებს, კონსტიტუციურ შეთანხმებებსა და პრეცედენტებს, რომლებიც ფაქტობრი-

ვად განამტკიცებენ საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ საფუძვლებს, თუმცა, ფორმალურად ძირითად კანონად არ არიან აღიარებული. ასეთი დაყოფა წმინდა პირობით ხასიათს ატარებს, რადგან დღესდღეობით არ არსებობს მთლიანად დაუწერელი კონსტიტუცია. შსგავსი კონსტიტუციის მქონე კლასიკურ ქვეყანას – ინგლისსაც კი აქვს უამრავი ცალკეული დაწერილი კონსტიტუციური აქტი.

კონსტიტუციის გადასინჯვის წესით განასხვავებენ მოქნილ და მყარ კონსტიტუციებს. მოქნილ კონსტიტუციას უწოდებენ ისეთს, რომელშიც ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი ისეთივეა, როგორიც სხვა კანონებში (მაგალითად, ინგლისში). მყარი კონსტიტუცია კი მოითხოვს ამ პროცედურის საკმაოდ გართულებულ ვარიანტს. ასეთ კონსტიტუციათა რიცხვს განეკუთვნება აშშ-ის კონსტიტუცია, რომელიც 1787 წლიდან დღემდე მოქმედებს თავისი 27 შესწორებით. ამ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის გართულებული პროცედურა იმაში გამოიხატება, რომ ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს კონგრესის ორივე პალატის წევრთა ხმების ორი მესამედით, ან კონვენტის მიერ, რომელსაც საგანგებოდ იწვევს შტატების საკანონმდებლო კრებების ორი მესამედი. კონგრესის მიერ მიღებული შესწორებების დამტკიცება ორივე მითითებულ შემთხვევაში ხდება შტატების საკანონმდებლო კრებების სამი მეოთხედისა და შტატების კონვენტის სამი მეოთხედის მიერ.

მოქმედების ვადის მიხედვით არსებობს მუდმივი და დროებითი კონსტიტუციები. მუდმივ კონსტიტუციაში სულაც არ იგულისხმება, რომ იგი სამუდამო მოქმედებისთვისაა გათვალისწინებული. ასეთი კონსტიტუცია ფაქტობრივად არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით აშშ-ის კონსტიტუციას, რომელიც მიღების დღიდან 210 წელზე მეტია, რაც მოქმედებს. მუდმივი კონსტიტუციის ძირითადი არსი მაინც ისაა, რომ მასში წინასწარ არ არის დადგენილი მისი მოქმედების რაიმე კონკრეტული ვადები. დროებით კონსტიტუციებში კი პირიქით, წინასწარ არის მინიშნებული მისი მოქმედების ხანგრძლივობის გარკვეული პერიოდი.

ზოგიერთ შემთხვევაში ახალი კონსტიტუციის მიღებამდე უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობების

მოსაწესრიგებლად მიიღება კონსტიტუციის ტოლფასი ნორმატიული აქტი, რომელსაც დროებით ანუ მცირე კონსტიტუციასაც უწოდებენ. ასეთი იყო, მაგალითად, 1992 წლის საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, რომელიც 1995 წლის კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე არეგულირებდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოთა შექმნის წესსა და მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

## §2. კონსტიტუციონალიზმის სათავეები საქართველოში

### 2.2.1. როდის იწყება ათვლის წერტილი?

კონსტიტუციური იდეების გავრცელება საქართველოში დაიწყო XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ანუ ერთი საუკუნით გვიან, ვიდრე ეს მოხდა აშშ-სა და ევროპაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ქართული კონსტიტუციონალიზმი წარმოადგენს ევროპული კონსტიტუციონალიზმის დამოუკიდებელ და საკმაოდ სპეციფიკურ ნაირსახეობას, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველო ყოველთვის ილტვოდა ევროპისაკენ და იყო მისი განუყოფელი ნაწილი. მისი მთავარი თავისებურება არის ევროპულისაგან განსხვავებული აღმოცენების სოციალური საფუძველი. თავად განსაჯეთ: ევროპაში (თითქმის ყველა სახელმწიფოში) სამართლის ნორმების კონსტიტუციონალიზაცია მიზნად ისახავდა აბსოლუტიზმის იდეის დისკრედიტაციას და ხელისუფლების დანაწილების იდეის გამოყენებით სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას წარმომადგენლობითი ინსტიტუტების მიერ. ანუ მისი ლეგიტიმზაციის სამიზნე ამკარად იყო სახელმწიფოში არსებული მმართველობის ფორმა. საქართველოში კი კონსტიტუციონალიზმის დამკვიდრების მიზანი გაცილებით მაღალ ღირებულებას და ლეგიტიმაციის გაცილებით მაღალ საფეხურს უკავშირდება: ეს არის სახელმწიფოებრიობა, მისი აღდგენის იდეა და დამოუკიდებელი, თავისუფალი განვითარების დაუოკებელი სურვილი, ანუ სამართლებრივი მოდერნიზაცია კონსტიტუციონალიზმის ფარგლებში იყო ერთადერთი გზა

ფორმალურად მოპოვებული დამოუკიდებლობის იურიდიული გაფორმებისათვის. ჩვენი თვალსაწიერის ამ გადასახედიდან ქართული სინამდვილე ძალზე წააგავს ამერიკული კონსტიტუციონალიზმის რეალობას, ვინაიდან ასე დაიწყო ამერიკაშიც: თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისათვის კოლონიზატორების წინააღმდეგ, ჯეფერსონის მიერ დაწერილი 1776 წლის 8 ივლისის „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ და შედეგად 1787 წლის აშშ-ის კონსტიტუცია... და კიდევ ერთი პარალელი: ამერიკაში 1776 წლის 8 ივლისს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების აღსანიშნავად პირველად დაირეკა თავისუფლების ზარი, ამერიკული თავისუფლების სიმტკიცის სიმბოლო. საქართველოში 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების აღსანიშნავად გუგუნებდა სიონის საკათედრო ტაძრის ზარები, ქართველთა სულიერი სიმტკიცის სიმბოლო. პარალელები მართლაც რომ მსგავსია. ვინ იცის, რომ არა რუსული იმპერიალისტური პოლიტიკა და საბედისწერო 70 წლიანი პატიმრობა კომუნისტური რეჟიმის პირსისხლიან ეპოქაში, იქნებ მსგავსი პარალელები მეტიც მოგვეძებნა, რასაკვირველია, არა კულტურული მემკვიდრეობის, არამედ დემოკრატიული კონსტიტუციური ინსტიტუციონალიზმის განვითარების თვალსაზრისით.

ღიახ, ისევე როგორც ამერიკის 1776 წლის „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიც იწყებდა ახალი ერის დაბადებას. მან ზედმიწევნით კარგად განსაზღვრა ქვეყნის მომავალი განვითარების უალტერნატივო ორიენტირი – დამოუკიდებელი თვითმმართველი ერის თავისუფლება და განვითარება.

ეს იყო მართლაც უპრეცედენტო მნიშვნელობის პირველი ქართული კონსტიტუციური ხასიათის დოკუმენტი, რეალური კონსტიტუციონალიზმის ფუძემდებელი. ვინაიდან ამ შემთხვევაში საინტერესოა არა იმდენად მისი ისტორიული მნიშვნელობა, არამედ იურიდიული ბუნება, ჩვენი უპირველესი ამოცანაა გავანალიზოთ საკუთრივ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის სამართლებრივი ასპექტები იმისათვის, რომ, ჯერ ერთი, დავადასტუროთ მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ხასიათი და მეორე, დავაკონკრეტოთ, კერძოდ, რომელ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ინსტიტუტებზეა მასში საუბარი.

სტუდენტებს ხშირად დაუსვამთ კითხვა: როგორ შეიძლება დამოუკიდებლობის აქტი იყოს კონსტიტუციური დოკუმენტი? ის ხომ ფაქტიურად არის დეკლარაცია და არა ნორმატიული აქტი.

თავისთავად ის, რომ სტუდენტებს უჩნდებათ ასეთი კითხვები, უკვე კარგია, მით უმეტეს, თუ საკითხს მხოლოდ ცალმხრივად შევხვდავთ, შეიძლება ასეთ დასკვნამდეც მივიდეთ. მაგრამ, როგორც ცნობილია, მედალს ორი მხარე აქვს და მხოლოდ ორივე მხარის ვიზუალური დათვალიერების შემდეგ შეიძლება ვიმსჯელოთ მის ღირსებებსა და მნიშვნელობაზე.

დავიწყოთ იქიდან, რომ 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს მართლაც აქვს დეკლარაციული ხასიათი. მასში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს, როგორც სახელმწიფოს განვითარების ისტორიული პერსპექტივები, ზოგად ფარგლებში აღწერილია იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება და აქედან გამომდინარე, ქართველი ერის დაუოკებელი სურვილი თავად გადაწყვიტოს მისი მომავალი ბედ-იღბალი: იყოს სხვის მიერ დაპყრობილი, თუ დაადგეს დამოუკიდებელი განვითარების გზას. არჩევანი ცალსახაა: „ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაიჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს“.

აი, სწორედ აქ მთავრდება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის დეკლარაციულობა, რომელიც, ბუნებრივია, თავისუფალია ნორმატიული დატვირთვისაგან. მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით დამოუკიდებლობის აქტის იმ ნაწილზე, რომელშიც პუნქტობრივად არის განსაზღვრული ეროვნული ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებითი ნაწილი და, რაც მთავარია, კონსტიტუციური ხასიათის ნორმატივები, თუ არ ჩავთვლით დადგენილების მე-3 პუნქტს, რომელიც საქართველოს აცხადებს ნეიტრალურ სახელმწიფოდ. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფოსათვის მტკიცე ნეიტრალიტეტის მინიჭება ეს არ არის მხოლოდ სახელმწიფოს ცალმხრივი განცხადების იურიდიული შედეგი. ის გაცილებით ფართო შინაარსის საერთაშორისო-სამართლებრივი კატეგორიაა. უფრო მეტიც, ეს არის

საერთაშორისო თანამეგობრობის ნებიდან გამომდინარე და მის მიერ შესაბამისი წესით ქვეყნისათვის მინიჭებული ერთგვარი სამართლებრივი სტატუსი. ვინაიდან არ არსებობს სხვა არანაირი მტკიცებულება საქართველოს ნეიტრალურ სახელმწიფოდ აღიარებისა, შეიძლება ვთქვათ, რომ დამოუკიდებლობის აქტის მე-3 პუნქტიც არის დეკლარაციული ხასიათის. ხოლო ყველა დანარჩენი პუნქტი მათი შინაარსიდან გამომდინარე არის სწორედ ნორმატიული, რის დემონსტრირებასაც ქვემოთ შევეცდებით. კერძოდ:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის 1-ლი პუნქტი საქართველოს აცხადებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ანუ ფაქტიურად განსაზღვრავს სახელმწიფოს სამართლებრივ სტატუსს, მისი იურისდიქციის ფარგლებსა და მოცულობას; ხოლო ქართველ ხალხს აღიარებს სუვერენული უფლებების მატარებელ ერთობად. ეს ნიშნავს, რომ დამოუკიდებლობის აქტში პირველად განმტკიცდა სახალხო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ნორმაპრინციპი, რომელიც წითელ ზოლად გასდევს როგორც 1921 წლის, ისე 1995 წლის კონსტიტუციას: „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“ (მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი).

დამოუკიდებლობის აქტის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმას: ესაა რესპუბლიკა მმართველობის დემოკრატიული რეჟიმით. ეს დებულება ასევე უცვლელი ფორმით დაფიქსირდა როგორც 1921 წლის კონსტიტუციაში (1-ლი მუხლი), ისე 1995 წლის კონსტიტუციაში (1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი).

მე-4 პუნქტი შეეხება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას, რაც გულისხმობს საერთაშორისო თანამეგობრობასთან მშვიდობიანი თანაცხოვრების და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. ამ პუნქტში მოცემული ფორმულირება შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის მიცემულ ზოგად მითითებად, თუ როგორ განსაზღვრონ და წარმართონ თავიანთი საქმიანობა საგარეო პოლიტიკის სფეროში.

როდესაც ვსაუბრობთ ევროპული კონსტიტუციონალიზმის გავლენაზე ქართულ სინამდვილესთან მიმართებაში, მხედველობაში



გვაქვს მისი ერთ-ერთი უმთავრესი გამოხატულებების — თანასწორობის იდეის — კონსტიტუციონალიზაცია, რისი პირველი მცდელობაც დაფიქსირდა სწორედ დამოუკიდებლობის აქტის მე-5 და მე-6 პუნქტებში. საქართველოში ეს იყო პირველი ოფიციალური, იურიდიულად გაფორმებული სერიოზული განაცხადი ზოგადსაქაციობრივ, დემოკრატიულ ღირებულებებთან ზიარებისა, რამაც რეალური კონსტიტუციური გამოხატულება ჰპოვა თავისი განვითარების ჯერადრეულ (1921 წლის კონსტიტუცია), ხოლო შემდეგ შედარებით გვიანდელ (1995 წლის კონსტიტუცია) ეტაპებზე. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი იქცა ქართული კონსტიტუციონალიზმის ხერხემლად, რომელზეც გადის სწორედ სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებისაკენ მიმავალი მთავარი მაგისტრალი.

დაბოლოს, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მე-7 პუნქტი განსაზღვრავს დროებით სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებს, რომლებსაც დამფუძნებელი კრების მოწვევამდე უნდა უზრუნველყოთ ქვეყნის მართვა-გამგეობა. ესენია ეროვნული საბჭო და მის წინაშე პასუხისმგებელი დროებითი მთავრობა.

ეროვნული საბჭო არ იყო ხალხის მიერ დემოკრატიული საარჩევნო პრინციპებით არჩეული ორგანო. ის აიარჩია 1917 წლის 22 ნოემბრის საქართველოს ნაციონალური (ეროვნული) საბჭოს პირველმა ყრილობამ, რომელიც, თავის მხრივ, მოიწვია საქართველოს ინტერპარტიულმა საბჭომ 19 ნოემბერს. ეროვნულ საბჭოში წარმოდგენილი იყო საქართველოში არსებული თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი. მას ჰქონდა თავისი სტრუქტურა აღმასრულებელი კომიტეტის, პრეზიდიუმისა და კანცელარიის სახით. მაგრამ მიუხედავად ასეთი თვითშემოქმედებისა, კონკრეტული ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს იყო პირველი ქართული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პროტოტიპი. მოგვიანებით კი, 1918 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ საბჭოს ოფიციალურად უწოდეს კიდევ საქართველოს პარლამენტი, რომელმაც იარსება 1919 წლის 12 მარტამდე, როდესაც მოწვეული იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების

პირველი ყრილობა. ასეთი მოთხოვნა კი პირდაპირ იყო განმტკიცებული 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მე-7 პუნქტში: „დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო...“

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დამატებით კომენტარებს აღარ საჭიროებს იმის მტკიცება, რომ 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, გარდა დეკლარაციული ხასიათისა, აქვს აგრეთვე წმინდა ნორმატიული ხასიათი, უფრო მეტიც – არა თუ საკუთრივ ნორმატიული, არამედ უწინარესად, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბუნება, ვინაიდან მოყოლებული 1918 წლის 26 მაისიდან ვიდრე 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამდე, სწორედ დამოუკიდებლობის აქტი იქცა მთელი იმდროინდელი სამართლებრივი მასივის პირველწყაროდ.

ამიტომ, კითხვაზე, თუ რომელია პირველი კონსტიტუციურ-სამართლებრივი დოკუმენტი საქართველოში და საიდან იწყება ქართული კონსტიტუციონალიზმის ათვლის წერტილი, ვპასუხობთ ცალსახად: ეს არის 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, აკვანი ქართული კონსტიტუციონალიზმისა.

## 2.2.2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია

1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტმა მძლავრი იმპულსები შესძინა ახალი ქართული სახელმწიფოს, ახალი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესს. საქართველოს ისტორიაში ეს არის უნიკალური მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელმაც სათავე დაუდო არა მხოლოდ ქართული კონსტიტუციონალიზმის, არამედ ასევე ქართული პარლამენტარიზმის განვითარებას. მაგრამ მიუხედავად ასეთი შეფასებისა, ყველასათვის ცხადი იყო, რომ ვერც დამოუკიდებლობის აქტი და ვერც მის საფუძველზე მიღებული კანონები ვერ უზრუნველყოფდნენ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზების სრულყოფილებას. ამ ფუნქციას ვერ შეასრულებდა ვერც უკვე აშკარად შესაძინევი კონსტიტუციური საწყისების რეკეფციის პროცესი. ხელისუფლებას კარგად

ესმოდა, რომ როგორც საკუთარი, ისე მთლიანად ქვეყნის დამოუკიდებლობის ლეგიტიმაცია და იურიდიული გაფორმება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ კონსტიტუციის მიღების გზით.

მოკლე ქრონოლოგია:

ჯერ კიდევ 1918 წლის 6 ივნისს საქართველოს ეროვნული საბჭო ქმნის „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შემდგენ კომისიას“ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის — სერგი ჯაფარიძის თავმჯდომარეობით. აღნიშნულმა კომისიამ იარსება თითქმის ათი თვის განმავლობაში და ფუნქციონირება შეწყვიტა საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველ მოწვევამდე, 1919 წლის 8 მარტს.

1919 წლის 12 მარტს შედგა საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი მოწვევა, რომლის მესამე სხდომაზე, ე.ი. 18 მარტს სხვა კომისიებთან ერთად შეიქმნა ახალი საკონსტიტუციო კომისია. ამჯერად, კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, რაუდენ არსენიძე.

1920 წლის 4 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ შექმნილ საკონსტიტუციო კომისიას სათავეში ჩაუდგა ამავე კომისიის უცვლელი წევრი, პავლე საყვარელიძე, რომლის ხელმძღვანელობითაც საბოლოოდ დასრულდა საქართველოს პირველი კონსტიტუციის პროექტის მომზადების ეტაპი.

როგორც ვხედავთ, კონსტიტუციის პროექტის შემუშავება ხანგრძლივად გაიჭიმა დროში. მას დასჭირდა თითქმის ორი წელიწადი. საკონსტიტუციო კომისიების ხელმძღვანელთა ხშირი ცვლილებებიც მეტყველებს იმაზე, რომ ეს იყო წინააღმდეგობით აღსავსე, ურთულესი პროცესი, მით უმეტეს, რომ საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარება ელვისებური სისწრაფით იცვლებოდა. რუსეთის იმპერია კვლავ ემზადებოდა საქართველოს დასაპყრობად.

გარდა იმისა, რომ ხანგრძლივი პერიოდით გაიწელა კონსტიტუციის პროექტის მომზადება, არა ნაკლები დრო დასჭირდა კონსტიტუციის პროექტის განხილვას. დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის პროექტის განხილვას შეუდგა 1921 წლის 21 იანვარს.

1921 წლის 21 თებერვალს ცნობილი მოვლენების გამო დამფუძნებელი კრება იძულებულია ნაჩქარევად დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი ისე, რომ მან ფაქტობრივად ვერ მოახერხა მისი მნიშვნელოვანი ნაწილის განხილვა. 1921 წლის 18 მარტს კი, ბათუმიდან გასვლის წინ რამდენიმე საათით ადრე, დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე მიღებული იქნა დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედების დროებით შეჩერების შესახებ. ამ დროს საქართველოში უკვე დამყარებული იყო საბჭოთა ხელისუფლება.<sup>30</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ვერ მოახერხა 1921 წლის კონსტიტუციის ტექსტის საბოლოო დაშუშავება და კონსტიტუცია ფაქტობრივად ძალაშიც არ შესულა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენდა სახელმწიფოს ძირითადი კანონის კლასიკურ ნიმუშს. მისი შედგენისას გათვალისწინებული იყო როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება, ისე საქართველოს სინამდვილისათვის დამახასიათებელი ისტორიული, კულტურული და სხვა სახის თავისებურებანი.<sup>31</sup>

1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია შედგება 17 თავისა და 149 მუხლისაგან.

პირველი თავი — ზოგადი დებულებები, განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების პრინციპებს. პირველივე მუხლი საქართველოს აცხადებს თავისუფალ, დამოუკიდებელ, განუყოფელ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ მმართველობის რესპუბლიკური ფორმით. საქართველოს დედაქალაქად გამოცხადებულია ქ. თბილისი (მუხლი 2), სახელმწიფო ენად კი — ქართული ენა (მუხლი 3). დადგენილია სახელმწიფოს სიმბოლიკის — დროშისა და გერბის ფორმები (მუხლი 4). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კონსტიტუციის მე-6 მუხლი, რომელიც კატეგორიუ-

---

<sup>30</sup> დაწერილებით იხილეთ: მ. მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის სათავეებთან, საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) საკონსტიტუციო კომისია, თბ., 1993;

<sup>31</sup> დაწერილებით იხილეთ: მ. მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, შემუშავება და მიღება. ნაწილი II, თბ., 1993.

ლად კრძალავს როგორც საქართველოს ტერიტორიის გაცემას და დანაწილებას, ისე მის გაყიდვას. რა შინაარსი ჰქონდა მასში ჩადებული კანონმდებელს? როგორი იყო მისი სავარაუდო ინტერპრეტაცია? ნიშნავდა თუ არა ეს, რომ 1921 წლის კონსტიტუციით იკრძალებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის კერძო სექტორისათვის გადაცემა? აქედან გამომდინარე, 1921 წლის კონსტიტუციამ ხომ არ თქვა უარი ეკონომიკის საბაზრო წესზე? რასაკვირველია, არა.

თუ ჩავუღრმავდებით 1921 წლის კონსტიტუციის სულისკვეთებას ეკონომიკური კატეგორიების დამკვიდრების თვალსაზრისით, შევეპიწეოთ, რომ კონსტიტუცია მხარს უჭერს საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას. მისი ერთ-ერთი მუხლი კი პირდაპირ ადგენს სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობის, ანუ გასხვისების შესაძლებლობას. კერძოდ, კონსტიტუციის 115-ე მუხლის შესამე ნაწილის მიხედვით, „რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადლოს ის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგი და წარმოება, რომელიც ამისთვის გამოადგება“. მოცემულ შემთხვევაში ტერმინი „გაასაზოგადლოს“ ნიშნავს ქონების განსახელმწიფოებრიობას, ანუ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების კერძო სექტორში გადასაცემას.

ჩემი აზრით, მოცემული ნორმა დატვირთულია უფრო პოლიტიკური აქცენტებით, ვიდრე ეკონომიკური. მასში ჩადებულია სახელმწიფოს სუვერენიტეტის თავდაცვის მექანიზმი. საუბარია სახელმწიფოს ტერიტორიის ისეთ გაცემაზე, დანაწილებასა და გაყიდვაზე, რომელიც გამოიწვევდა ქვეყნის მთლიანობის რღვევას და საქართველოს საზღვრების შეცვლას. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ გარკვეული პრეტენზიები მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ზოგიერთი ნაწილის მიმართ უკვე არსებობდა, მაშინ ეს იქნება კიდევ ერთი არგუმენტი ნორმის ამგვარი ინტერპრეტაციისათვის.

კონსტიტუციის მე-8-11 მუხლები ეძღვნება კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპს, მის ადგილს ქართული სამართლის სისტემაში.

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი შეეხება მოქალაქეობის საკითხებს. მართალია, მოცემული თავი ძალზე მოკლედ არის შედგე-

ნილი (შედგება სულ ოთხი მუხლისაგან), თუმცა ძირითადი პრინციპები შეძლებისდაგვარად მაინც არის ჩამოყალიბებული. კერძოდ, განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების წესი (მე-12 მუხლი), აკრძალულია ორმაგი მოქალაქეობა (მე-13 მუხლი) და შესაბამის კანონზე მითითებით მოცემულია მოქალაქეობის შეწყვეტის ზოგადი საფუძვლები (მე-14-15 მუხლები).

შეიძლება ითქვას, რომ 1921 წლის კონსტიტუციის ყველაზე სრულყოფილ ნაწილს წარმოადგენს მისი მესამე თავი, რომელშიც დეტალურადაა ჩამოყალიბებული საქართველოს მოქალაქეთა ძირითადი უფლებები. მართალია, მოცემულ თავს ეწოდება „მოქალაქის უფლებანი“, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მასში არსებული უფლებებისა და თავისუფლებების ნუსხა არ ვრცელდებოდა არამოქალაქეებზე – უცხოელებზე ან მოქალაქეობის არმქონე პირებზე. თუმცა, უფლებებისა და თავისუფლებების ბლოკს ახასიათებს ერთი მეტად უცნაური თავისებურება: მესამე თავში ჩამოყალიბებულია მხოლოდ მოქალაქეთა პირადი და პოლიტიკური ხასიათის უფლებები, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური უფლებები მოცემულია კონსტიტუციის მეცამეტე თავში. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ორი რამ: პირველი, ან ეს არის კონსტიტუციის ტექსტის ნაჩქარევად დამტკიცების ბრალი, რის გამოც ვერ მოხერხდა ნორმების შესაბამისი კოდიფიკაცია და მეორე, ან ის არის სპეციალურად გამოყოფილი იმის საილუსტრაციოდ, რომ კონსტიტუცია საქართველოს წარმოადგენდა, როგორც აშკარად გამოკვეთილ სოციალურ სახელმწიფოს. რასაკვირველია, ამის მტკიცება დღეს ძალზე ძნელია, მაგრამ თუ გავეცნობით მეცამეტე თავის შინაარსს – „სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს“, სოციალური ორიენტაცია ნამდვილად სახეზეა. თუმცა, რაიმე სხვა მინიშნება კონსტიტუციის ტექსტში „სოციალური“ სახელმწიფოს შესახებ არ არსებობს. სხვათა შორის, უსამართლობა იქნება არ აღინიშნოს, რომ სოციალური სახელმწიფოს იმიჯი და ადამიანთა სოციალური დაცულობის კონსტიტუციური გარანტიები გაცილებით უკეთ არის წარმოდგენილი 1921 წლის კონსტიტუციაში, ვიდრე 1995 წლის კონსტიტუციაში. 1921 წლის კონსტიტუციის უპირველესი ხარისხობრივი ღირსება უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში უდავოდ მდგომარეობს

იმაში, რომ მან თითქმის უნაკლოდ წარმოადგინა პიროვნების სამი უმთავრესი ღირებულება – სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. კერძოდ, უპირობოდ გაუქმდა სიკვდილით დასჯა (მუხლი 19), დადგინდა პიროვნების თავისუფლების ხელშეუხებლობის საკმაოდ მყარი კონსტიტუციური გარანტიები (20-29-ე მუხლები) და აღიარებული იქნა საკუთრების უფლება ასევე შესაბამისი გარანტიებით. კერძოდ, 114-ე მუხლის თანახმად, „საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა... შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის...“ თანაც შესაბამისი კომპენსაციით, თუ სპეციალურ კანონში სხვა რამ პირობა არ იყო გათვალისწინებული.

1921 წლის კონსტიტუციაში განმტკიცებულია დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ისეთი უფლებები და თავისუფლებები, როგორცაა სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, თავისუფალი მიმოსვლისა და ბინადრობის არჩევის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, გაფიცვის უფლება, პირადი და კოლექტიური პეტციის უფლება, გაერთიანების უფლება და ა.შ.

კონსტიტუციის 43-ე და 44-ე მუხლები ითვალისწინებს უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილის შეზღუდვის შესაძლებლობასაც ამბოხების ან ომიანობის ან ღიდი ეპიდემიის დროს.

1921 წლის კონსტიტუციაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს და მათ კონსტიტუციურ გარანტიებს. ალბათ, ძნელად თუ მოეძებნება მსოფლიოში ანალოგი უფლებრივი მდგომარეობის იმ ფარგლებს, რაც მიანიჭა 1921 წლის კონსტიტუციამ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს: ეროვნული კავშირების შექმნის უფლება (მუხლი 130), ეროვნული უმცირესობების სკოლების გახსნის უფლება (მუხლი 134), ამ სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლა (მუხლი 135), ადგილობრივი მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატებოდა ყველა მოქალაქის 20%-ს, ამ უმცირესობის მოთხოვნით სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, მართლმსაჯულებისა და საქმისწარმოების განხორციელების უფლება მის დელეგაზზეც

სახელმწიფო ენასთან ერთად (მუხლი 136), მათ შორის, საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ენის არმცოდნე დეპუტატის მიერ დედაენაზე გამოსვლის უფლება. მხოლოდ ამ შემთხვევაში მას პარლამენტის პრეზიდიუმისათვის წინასწარ უნდა წარედგინა სწორი თარგმანი (მუხლი 137). ასეთია ეროვნული უმცირესობების არასრული უფლებების ნუსხა. ჩემი აზრით, ეს უფრო იყო არა ეროვნული უმცირესობების დაცვის საერთაშორისო სტანდარტი, არამედ უფრო ქართული შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის გამოვლენება (შესაძლოა, ზღვარგადასულიც), ეროვნული უმცირესობების დაცვის ე.წ. ქართული ვარიანტი, ვინაიდან ძნელია გავიხსენოთ რომელიმე სხვა ქვეყნის ძირითადი კანონი მსგავსი ფორმულირებების მოცემული მასშტაბებით.

1921 წლის კონსტიტუციაში ძალზე საინტერესოაა წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების სახით.

ამ შემთხვევაში აუცილებელია აღინიშნოს, რომ კონსტიტუცია საზოგადოებას სთავაზობს ერთგვარი საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელს. ერთგვარი იმიტომ, რომ კონსტიტუციაში აღწერილი მოდელი ვერ ჩაითვლება კლასიკურ საპარლამენტო მოდელად, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მასში არ არსებობს ნეიტრალური ფიგურა – სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტის სახით, რომელიც შესაბამის შემთხვევაში ან დაითხოვდა პარლამენტს, ან გადააყენებდა მთავრობის მთელ შემადგენლობას. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ წარმოდგენილი მოდელი ეს იყო უფრო კვანისაპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი. შეიძლება ითქვას, რომ 1921 წლის კონსტიტუციის ყველაზე სუსტი წერტილი არის ხელისუფლების დანაწილების პრინციპისა და შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის გაუთვალისწინებლობა, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა. ერთ-ერთი მათგანია, მაგალითად, კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად გათვალისწინებულია პარლამენტის უნდობლობის ვოტუმი, მხოლოდ არა მთავრობის, არამედ მთავრობის ცალკეული წევრის მიმართ, ვინაიდან მთავრობის თითოეული წევრი დამოუკიდებლად აგებდა პასუხს პარლამენტის წინაშე.



მაშ, რა გეძღვეს საფუძველს დავასკვნათ, რომ საქართველო 1921 წლის კონსტიტუციით იყო საპარლამენტო რესპუბლიკა? ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ კონსტიტუცია აშკარად ანიჭებს პრიმატს საქართველოს პარლამენტს. თუნდაც, მხოლოდ კონსტიტუციის 52-ე მუხლის ფორმულირება იკმარებს აღნიშნულის საილუსტრაციოდ: „ხელმწიფება ეკუთვნის მთელ ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას“, ანუ საუბარია იმაზე, რომ ხელისუფლების წყარო არის ხალხი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოხდება ხალხის მიერ თავისი სახელისუფლებო უფლებამოსილების დელეგირება პარლამენტისათვის (ე.ი. არჩევის შემდეგ), ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი არის არა ხალხი ან აღმასრულებელი ხელისუფლება (მთავრობა), არამედ საქართველოს პარლამენტი.

მეორე, მთავრობის წევრი იმაჯდროულად შეიძლება ყოფილიყო პარლამენტის წევრიც (მუხლი 69), რაც დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ საპარლამენტო მმართველობის ფორმისათვის.

მესამე, კონსტიტუციის 54-ე მუხლის თანახმად, პარლამენტი ახორციელებს საერთო კონტროლს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე, ხოლო ეს უკანასკნელი არ ფლობს არანაირ მექანიზმს მის დასაბალანსებლად. ყოველ შემთხვევაში, კონსტიტუციის ტექსტი არ იძლევა სხვაგვარად მსჯელობის საშუალებას.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო იყო საქართველოს პარლამენტი, რომელიც აირჩეოდა 3 წლის ვადით საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, პროპორციული საარჩევნო სისტემით. პასიური საარჩევნო უფლება ენიჭებოდა საქართველოს მოქალაქეს 20 წლის ასაკიდან (მუხლი 46).

1921 წლის კონსტიტუციით, საქართველოს პარლამენტი იყო აბსოლუტურად განსაზღვრული კომპეტენციის მქონე საკანონმდებლო ორგანო. კონსტიტუციის 54-ე მუხლით მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული მისი უფლებამოსილებების ნუსხა. ესენია:

„ა) კანონმდებლობა;

ბ) უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა;

- გ) ომის გამოცხადება;
- დ) დამტკიცება საზავო, საეაჭრო და ამგვარი ხელშეკრულებებისა უცხო სახელმწიფოებთან;
- ე) ამნისტია;
- ვ) ბიუჯეტის დამტკიცება;
- ზ) საშინაო და საგარეო სესხის აღება;
- თ) თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული;

ო) საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.“

საქართველოს პარლამენტი გამოსცემდა კანონს, დეკრეტსა და დადგენილებას (მუხლი 53).

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ენიჭებოდა ორ სუბიექტს: 1) პარლამენტის თითოეულ წევრს და 2) 5000 ამომრჩეველს. იმ შემთხვევაში, თუ ოცდაათი ათასი ამომრჩეველი წერილობით მოითხოვდა ახლად მიღებული კანონის რეფერენდუმზე გატანას, პარლამენტი ვალდებული იყო შეესრულებინა ეს მოთხოვნა.

პარლამენტი ყოველ წელს ირჩევდა თავის ხელმძღვანელ ორგანოს – პრეზიდიუმს.

პარლამენტისადმი მიძღვნილ მეოთხე თავში ძალზე სერიოზული ადგილი ეთმობა საკითხს პარლამენტის წევრის იმუნიტეტის შესახებ. კონსტიტუციის 47-ე და 48-ე მუხლები დეტალურად აყალიბებენ პარლამენტის დეპუტატის ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ პრინციპებსა და გარანტიებს.

კონსტიტუციის მეხუთე თავი მთლიანად ეხება აღმასრულებელი ხელისუფლების შექმნის წესსა და კომპეტენციას.

უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რომელსაც ხელმძღვანელობდა მთავრობის თავმჯდომარე. მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევდა საქართველოს პარლამენტი 1 წლის ვადით. ერთი და იგივე პირის არჩევა შეიძლებოდა ზედიზედ არა უმეტეს ორი ვადისა.

მთავრობას ქმნიდა მთავრობის თავმჯდომარე. საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი – ნოე ჟორდანიას.

კონსტიტუციაში განსაზღვრულია მთავრობის თავმჯდომარის სამართლებრივი მდგომარეობა და უფლებამოსილებათა ფარგლები. 70-ე მუხლის საფუძველზე მთავრობის თავმჯდომარეს ენიჭებოდა რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა. როგორც წესი, ასეთი სტატუსით სარგებლობენ მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურები, თუმცა, კონსტიტუციის ტექსტი არ ადასტურებს, რომ საქართველოს მთავრობის მეთაური იმავდროულად იყო სახელმწიფოს მეთაურიც. გამომდინარე აქედან, მას არ ჰქონდა ვეტოს უფლების გამოყენების შესაძლებლობა. მართალია, იგი გამოსცემდა ბრძანებასა და განკარგულებას კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ ვერცერთ შემთხვევაში ის ვერ შეაჩერებდა კანონის მოქმედებას და ვერ შეაფერხებდა მის შესრულებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პარლამენტის დათხოვნის მექანიზმს. ეს ბუნებრივია, ვინაიდან შეუძლებელია მთავრობის თავმჯდომარეს მიენიჭოს ასეთი უფლებამოსილება, მით უფრო, თუ ის არც სახელმწიფოს მეთაურია ანდა საერთოდ არ არსებობს მსგავსი სტატუსის მქონე სხვა თანამდებობის პირი. სამაგიეროდ, კონსტიტუცია ზოგად ფარგლებში აყალიბებს მთავრობის წევრთა გადადგომის პროცედურას. მთავრობის წევრთა გადაყენების მოთხოვნის უფლება ჰქონდა პარლამენტს. მაგალითად, კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით, „მთავრობის წევრი უნდა გადადგეს, როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაჰკარგავს მის ნდობას“. მაგრამ ნიშნავდა კი პარლამენტის დადგენილება მთავრობის წევრის ავტომატურ გადადგომას? არა, რადგან ეს გადაწყვეტილება უნდა აღესრულებინა მთავრობის თავმჯდომარეს. თანაც, პარლამენტის დადგენილება შესასრულებლად სავალდებულო იყო მისთვის და სხვა ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა. კერძოდ, 73-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „მთავრობის თავმჯდომარე... ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი და ამის მიხედვით, თუ საჭიროა გამოსცვალოს ცალკეული მინისტრი ან გარდაქმნას მთელი კაბინეტი“.

არა ნაკლებ საინტერესოა კონსტიტუციის მეექვსე თავი, რომელიც

ებღვნება სასამართლო ხელისუფლებასა და მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციურ პრინციპებს.

კონსტიტუციის 76-ე მუხლის საფუძველზე „საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო – სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი“. სენატი ძირითადად ასრულებდა საკასაციო სასამართლოს ფუნქციას, ანუ პირველი ინსტანციისა და საქმეებს არ განიხილავდა.

გარდა სენატისა, არსებობდა საერთო სასამართლოების მთელი სისტემა, რომლებიც ახორციელებდნენ სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას.

სასამართლო აღიარებული იყო როგორც დამოუკიდებელი, მხოლოდ კანონის მორჩილი ორგანო, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლო მხოლოდ სასამართლოს.

საინტერესოა, რომ კონსტიტუცია ჯერ კიდევ მაშინ ითვალისწინებდა სასამართლო პროცესში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობას მხოლოდ მძიმე სისხლის სამართლის, პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულის საქმეებზე. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში უცხოური გავლენა ნამდვილად სახეზეა, რაც ერთობ საინტერესოა თანამედროვე ქართული სინამდვილისათვის.

1921 წლის კონსტიტუცია იცნობს დეკომოკრატიული საზოგადოების ისეთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც ასევე აირჩეოდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები გამოსცემდნენ დადგენილებებსა და განკარგულებებს, რომელთა შეჩერების უფლება ჰქონდათ ცენტრალურ ორგანოებს, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ კანონს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ცენტრალური ორგანოები ვალდებული იყვნენ ყველა კონკრეტული საქმე გადაეცათ სასამართლოსათვის, რომელიც ღებულობდა შესაბამის გადაწყვეტილებას.

ჩვენი ყურადღების განსაკუთრებულ ობიექტს წარმოადგენს კონსტიტუციის მეთერთმეტე თავი, რომელიც სულ ორი – 107-ე და 108-ე მუხლებისაგან შედგება. თავი ეხება ავტონომიურ

მმართველობას. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ მუხლში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული ავტონომიური ერთეულების სამართლებრივი მდგომარეობა და კომპეტენცია, მხოლოდ 107-ე მუხლის ზოგადი მითითების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, სახელმწიფო მოწყობის რა კონცეფციას დაუჭირა მხარი 1921 წლის კონსტიტუციამ: უნიტარულს თუ ფედერაციულს.

ეს იყო ე.წ. დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოს კონცეფცია. ამ კონცეფციის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი, ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორია) – მიენიჭათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს მოცემული თავის დასახელებამ, ვინაიდან უნიტარული სახელმწიფოს შემადგენლობაში შესაძლებელია იყვნენ ცალკეული ავტონომიური წარმონაქმნები, მათ შორის ისეთებიც კი, რომელთაც აქვთ სახელმწიფოებრიობის მრავალი ატრიბუტი (მაგალითად, უნიტარული უკრაინის შემადგენლობაში ყირიმის რესპუბლიკის არსებობა). როგორც წესი, უნიტარულ სახელმწიფოში არის მხოლოდ ერთი კონსტიტუცია, ერთიანი მოქალაქეობა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთი სისტემა. უნიტარულ სახელმწიფოში მის შემადგენელ ნაწილებს უფრო ხშირად აქვთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფის სტატუსი და ისინი იმართებიან ცენტრალური ორგანოების მიერ მიღებული კანონების საფუძველზე. სწორედ ამგვარი ფორმით არის გადმოცემული ავტონომიური მმართველობის პრინციპები კონსტიტუციის 107-ე მუხლით, რაც გვაძლევს საფუძველს კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ საქართველო 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე იყო უნიტარული სახელმწიფო.

სამწუხაროდ, მოცემული პრობლემა აქილევსის ქუსლად იქცა საქართველოს განვითარების მთელი შემდგომი პერიოდის მანძილზე, რომელზეც შესაბამის პარაგრაფში ვისაუბრებთ.

ხსენებული საკითხების გარდა, 1921 წლის კონსტიტუცია ეხება სახელმწიფო ფინანსებს (მეშვიდე თავი), სახელმწიფო კონტროლს (მერვე თავი), სახელმწიფო თავდაცვას (მეცხრე თავი), სწავლა-განათლებასა და სკოლას (მეთერთმეტე თავი), სახელმ-

წიფო მოხელეებს (მეთხუთმეტე თავი), ურთიერთობას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის (მეთექვსმეტე თავი) და კონსტიტუციის გადასინჯვის წესს (მეჩვიდმეტე თავი).

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, 1921 წლის კონსტიტუცია საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორიაში დღესაც რჩება უდიდესი მნიშვნელობის სამართლებრივ დოკუმენტად. მხოლოდ ის რად ღირს, რომ მან საშუალება მისცა ქართველ ხალხს შეენარჩუნებინა სახელმწიფოებრივი მემკვიდრეობითობა და შეეხსენებინა მსოფლიოსათვის, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომ მას ჰქონდა საკუთარი კონსტიტუცია, რომელიც უმაღლეს სამართლებრივ დონეზე ადასტურებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობას და განუყოფლობას, განსაზღვრავდა მის ტერიტორიულ შემადგენლობას და აღიარებდა იმ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რომლებიც ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან მიაკუთვნებდა საქართველოს ცივილიზებული სამყაროს სანახებს. ამის გამოძახილი იყო სწორედ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში, მისი მიღებიდან 71 წლის შემდეგ, 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა. ეს მოხდა 1992 წლის 21 თებერვალს.

თუმცა, 1921 წლის კონსტიტუციას თანამედროვე პერიოდში აღარ ძალუძდა მოეწესრიგებინა კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობები. ეს განაპირობა როგორც პოლიტიკურმა, ისე სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ. დღის წესრიგში დადგა ახალი კონსტიტუციის მომზადების საკითხი, რომელსაც საფუძვლად უნდა დადებოდა 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, რაც აისახა კიდევ საქართველოს 1995 წლის უზენაეს კანონში.<sup>32</sup>

---

<sup>32</sup> 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პროცესი საინტერესოდ აქვს აღწერილი ახალგაზრდა მკვლევარს, ბექა ქანთარას, თავის ნაშრომში – „კონსტანტინე მიქელაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი“, თბ., 2003 წ., რომელმაც, არ გადაავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ნამდვილად გაამდიდრა ქართული იურიდიული მეცნიერება.

### 2.2.3. საბჭოთა პერიოდის საქართველოს კონსტიტუციები

შესაძლოა, მეთოდოლოგიურად გაუმართლებელი და მოსაწყენიც კი იყოს აღნიშნული საკითხის განხილვა თანამედროვე საქართველოს კონსტიტუციური სამართლის სასწავლო კურსის ფარგლებში, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ჩემი აზრით, საბჭოთა პერიოდის საქართველოს კონსტიტუციებზე თუნდაც ზოგადი წარმოდგენა საშუალებას მოგვცემს პარალელები გავავლოთ განვლილ გზასა და თანამედროვეობას შორის. მართებულად ბრძანებს ამერიკელი ფილოსოფოსი, ჯორჯ სანტაიამა: „ვისაც არ ახსოვს თავისი წარსული, განწირულია იმისათვის, რომ კვლავაც გაიმეოროს ის ხელახლა“.<sup>33</sup> ამბობენ, ისტორია მეორდებაო, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ისტორია მეორდება იქ და მაშინ, სადაც და როცა საზოგადოება ივიწყებს წარსულში დაშვებულ შეცდომებს და კვლავაც იმეორებს მათ.

ამიტომ, ჩემი მიზანია, კიდევ ერთხელ გადავშალოთ გარდასულ დღეთა მატჩიანე და ამ შემთხვევაში, საბჭოთა პერიოდის საქართველოს კონსტიტუციების ზოგადი ანალიზის საფუძველზე გავავლოთ ზღვარი რეგრესსა და პროგრესს შორის.

მოკლე წინაისტორია:

1921 წლის 16 თებერვალს ქ. შულავერში (იგივე შაუმიანში, რომელიც ამჟამად შედის მარნეულის რაიონში) რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ინიციატივით შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი (რეკომი) ფილიპე მაზარაძის თავმჯდომარეობით. საქართველოს რეკომმა დაიწყო მიზანმიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. მოსახლეობაში გავრცელდა მოწოდება, დაემზოთ არსებული მენშევიკური მთავრობა, ხელთ აეღოთ მთელი ძალაუფლება და შეექმნათ რევოლუციური კომიტეტები ადგილებზე. ყოველივე ამას ხელმძღვანელობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობა, მისი თავმჯდომარისა და კომუნისტური პარტიის ბელადის — ვ.ი. ლენინის მეთაურობით.

<sup>33</sup> Сантаяма Дж., Уход от прошлого, М., 1990, გვ. 8.

რამდენიმე დღეში საქართველო ქართველი ბოლშევიკების დახმარებით ანექსირებული იქნა რუსეთის მიერ. 1921 წლის 25 თებერვალს სამხედრო ოკუპაციის გზით საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და შეიქმნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ძალაუფლების ხელში აღებისთანავე საქართველოს სსრ რეგკომმა ძალადაკარგულად გამოაცხადა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების მიერ 1918-21 წლებში მიღებული და გამოცემული ნორმატიული აქტები, მათ შორის, დამოუკიდებელი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის პირველი ქართული კონსტიტუცია.

დღეს ვერავინ გახდის სადავოდ იმ ფაქტს, რომ ამ მომენტიდან მოხდა ხანგრძლივი წყვეტა ეროვნული კონსტიტუციონალიზმის განვითარებაში. იმას, რაც ხორციელდებოდა შემდგომი 70 წლიანი პერიოდის მანძილზე, ძნელად თუ ვუწოდებთ ეროვნულ კანონშემოქმედებას, მით უფრო, კონსტიტუციურ-სამართლებრივ დონეზე. საქართველო (ისევე, როგორც სსრ კავშირში შემავალი ყველა სხვა რესპუბლიკა) მარაგდებოდა ე.წ. „რუსული საკანონმდებლო პროდუქციით“, რომელიც განსაზღვრავდა აწ უკვე სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი რიგითი რესპუბლიკის განვითარების პერსპექტივებს საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში. მთელ ამ პროცესში საქართველოს ხელისუფლების ერთადერთ ამოცანას წარმოადგენდა მისი გადმოქართულება შესაბამისი აბრევიატურის — „საქართველოს სსრ“ — წანამძღვრებით.

დღევანდელი გადასახედიდან მარტივიც არის და რთულიც იმდროინდელი საკონსტიტუციო ნორმების ხარისხის შეფასება. მარტივი იმდენად, რამდენადაც გაცნობისთანავე აშკარად შეინიშნება მათი ვირტუალური თვისობრიობა, ანუ ყალბი იდეალისტური კონსტიტუციონალიზმი, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა სამართლებრივ ცივილიზაციასთან. რთული კი იმდენად, რამდენადაც სოციალისტური სპეციფიკიდან გამომდინარე, ფაქტიურად შეუძლებელია საბჭოთა პერიოდის კონსტიტუციური ნორმების წმინდა სამართლებრივი ანალიზი. თითოეული ახალი კონსტიტუციის (საბჭოთა პერიოდის) მიღება ხომ ემსახურებოდა არა კონსტიტუცი-



ონალიზმის დამკვიდრებასა და განვითარებას, არამედ არსებული დიქტატორული რეჟიმის კლასობრივი იდეოლოგიის განსაკუთრებული ფორმით განმტკიცებას.

როგორც აღინიშნა, საბჭოთა პერიოდის ყველა კონსტიტუცია იყო ფიქტიური ხასიათის. მათთვის უცხო და ორგანულად მიუღებელი იყო ისეთი დემოკრატიული ღირებულებები, როგორც იყო ხელისუფლების დანაწილება, პლურალისტური პოლიტიკური სისტემა, სიტყვის, აზრისა და საერთოდ ინფორმაციის თავისუფლება, რომ აღარაფერი ვთქვათ მთლიანად ადამიანისა და მოქალაქის სხვა დანარჩენი კონსტიტუციური უფლებების თავისუფალ რეალიზაციაზე. თუმცა, საბჭოთა პერიოდის საქართველოს კონსტიტუციების ზოგადი ნიშნები არ გამოირიცხავს თითოეული მათგანის შინაარსში არსებულ თავისებურებებს, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტების გამოხატვის იურიდიულ სპეციფიკას. ისინი ვითარდებოდნენ მემკვიდრეობითობის პრინციპით და ინარჩუნებდნენ რა კლასობრივ ხასიათს, მიუთითებდნენ სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის ახალი ეტაპის დასაწყისზე. თითოეული კონსტიტუცია წარმოდგენილი იყო, როგორც კომუნიზმისაკენ გადადგმული მორიგი ნაბიჯი, თუმცა დანამდვილებით არავინ ამბობდა და არავინ იცოდა, რა იყო ეს კომუნიზმი – თომას მორისეული უტოპია, თუ კომუნისტების მიერ შეთხზული პოლიტიკური მითი ან რამდენი კონსტიტუციის მიღების შემდეგ შევიდოდა ხალხი აღთქმულ კომუნიზმში. მით უმეტეს, არაფერი იყო ნათქვამი ამის შესახებ არც ერთ კონსტიტუციაში, თუმცა დეკლარაციული სულისკვეთების სიმძიმე თითოეული მათგანის საეიზიტო ბარათი გახლდათ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის მანძილზე მიღებული იქნა 4 კონსტიტუცია: 1922 წლის 2 მარტს, 1927 წლის 4 აპრილს, 1937 წლის 13 თებერვალს და 1978 წლის 15 აპრილს.

I. 1922 წლის 2 მარტის კონსტიტუცია მიიღო სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობამ. იგი შედგებოდა 23 თავისა და 134 მუხლისაგან.

მოცემულმა კონსტიტუციამ სრულიად უარყო საქართველოში მანამდე არსებული სახელმწიფო-სამართლებრივი გამოცდილება.

შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული საბჭოთა კონსტიტუციებიდან 1922 წლის კონსტიტუცია გამოირჩეოდა ბოლშევიკური (კომუნისტური) იდეოლოგიის ყველაზე მაღალი ხარისხით. მასში მთლიანად იყო უგელვებელყოფილი ხალხის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს კონცეფცია.

ა) სახელმწიფო წყობილების ფორმად გამოცხადდა პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის მიზანი იყო ბურჟუაზიული წესწყობილებიდან სოციალიზმში გადასვლის განხორციელება (1-ლი მუხლი);

ბ) იმდენად, რამდენადაც რეკომები დროებითი ორგანოები იყო, ამიტომ საბჭოთა საქართველოს პირველმა კონსტიტუციამ გააუქმა ისინი, რომელთა ნაცვლად განსაზღვრა სახელმწიფო ორგანოთა შემდეგი სისტემა: ჯერ ერთი, მთელი ძალაუფლება გადაეცა მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოებს. მეორე, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების ყრილობა, ყრილობათა შორის პერიოდში კი – ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი), ცაკის სესიათა შორის – მისი პრეზიდიუმი.

მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, რომელსაც ქმნიდა საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

ადგილობრივი ორგანოების სახით, შესაბამისად, გვევლინებოდა მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები;

გ) საქართველოში გაუქმდა კერძო საკუთრება როგორც მიწაზე, ისე ყველა სახის მსხვილ წარმოებასა და საწარმოო საშუალებებზე. მიწა, ტყე, წიაღი, წყალი და ყველაფერი სხვა ცოცხალი თუ უსულო ინვენტარი გამოცხადდა საერთო-სახალხო მონაპოვრად (მე-3 მუხლი);

დ) ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა ურთიერთობა გაგებული იყო ე.წ. დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე;

ე) 1922 წლის კონსტიტუციის 96-ე მუხლის თანახმად, დაარსდა ერთი მთლიანი სახალხო სასამართლო ერთი მუდმივი მოსამართლისა

და ორი ან ექვსი მორიგე სახალხო მსაჯულის შემადგენლობით სამაზრო თუ საქალაქო რაიონის ტერიტორიის გათვალისწინებით;

ვ) აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება საქართველოს სსრ მოქალაქეებს მიენიჭათ 18 წლის ასაკიდან, თუმცა — არა ყველას. 120-ე მუხლით, არც აქტიური და არც პასიური საარჩევნო უფლება არ ჰქონდათ:

— მოქალაქეებს, რომლებიც მიმართავდნენ დაქირავებულ შრომას მოგების მიზნით;

— პირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ისეთი არასაკუთარი შრომის შემოსავლით, როგორც იყო თავანის სარგებელი, წარმოებისა თუ სხვაგვარი ქონების შემოსავალი და სხვა;

— კერძო ვაჭრებს, შუამავლებსა და კომერციულ შუაკაცებს;

— ბერ-მონაზონებსა და რელიგიური და ეკლესიური კულტის სასულიერო პირებს;

— ყოფილი პოლიციისა და მენშევიკური მთაერობის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგანგებო რაზმის მოსამსახურეებსა და აგენტებს;

— პირებს, რომლებიც მიღებული წესისამებრ ცნობილი იყვნენ სულით ავადმყოფებად და გონებადაქვეითებულებად და აგრეთვე მზრუნველობის ქვეშ მყოფთ;

— პირებს, რომლებიც მსჯავრდებული იყვნენ კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის განაჩენით ანგარებისა და სხვა სააუგო და დამამცირებელი დანაშაულობებისათვის.

მთავარი პრობლემა იმაში კი არ არის, რომ 1922 წლის კონსტიტუციამ უარყო დასავლური ტიპის დემოკრატიული ღირებულებები. ეს ღირებულებები დღემდე მიუღებელია მრავალი სახელმწიფოსათვის. ამ კონსტიტუციის ტრაგედია იმაშია, რომ მისი შექმნითა და მოქმედებით შეიქმნა პრეცედენტი შემდგომი განვითარებისათვის კონსტიტუციური ნორმების გვერდის ავლით. ეს უკავშირდება ეკონომიკის მთლიან ნაციონალიზაციას, ერთი პარტიის მიერ სახელმწიფოსა და საზოგადოების ფაქტიურ ხელმძღვანელობას, სასამართლოთა უუფლებო მდგომარეობას და სხვა საკითხებს, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული კონსტიტუციით, მაგრამ ფაქტობრივად ხორციელდებოდა.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამით არ ამოიწურება 1922 წლის კონსტიტუციის უარყოფითი, შეიძლება ითქვას, ქვეყნისათვის დამანგრეველი ზეგავლენა. დღეს საქართველო გაცილებით ბედნიერი სახელმწიფო იქნებოდა, რომ არა კიდევ ერთი, ალბათ, უმთავრესი პრობლემა, რომლის წყალობით 1922 წლის კონსტიტუცია მოგვევლინა ხანგრძლივი მოქმედების ნაღმის დისტანციური მართვის მექანიზმად საქართველოში არა მანძილის, არამედ დროის თვალსაზრისით, რომლის სავალალო შედეგებს დღესაც ვიპყობ სხვადასხვა აგრესიის, საქართველოს სუვერენიტეტისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის სახით. შედეგად კი მივიღეთ ათასობით ადამიანის დაღვრილი სისხლი და ლამის უკვე ჩვეულებად ქცეული ძმათამკვლელი დაპირისპირება. საქმე იმაშია, რომ 1922 წლის კონსტიტუციის პირველი მუხლის სპეციალურ შენიშვნაში მითითებულია, რომ „საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“. ეს უკანასკნელი, როგორც კონსტიტუციიდან ირკვევა, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას უკავშირდებოდა ამ რესპუბლიკათა შორის დადებული განსაკუთრებული საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე. ანუ ეს იყო პირველი ქართული იურიდიული დოკუმენტი, რომელშიც ოფიციალურად და საჯაროდ გამოცხადდა საქართველოს მომავალი დაქუცმაცების შესაძლებლობა. მოცემული ფორმულირება საშუალებას აძლევდა რუსეთს საკუთარი შეხედულებისამებრ ემართა სიტუაცია საქართველოში და არ მიეცა მისთვის მშვიდობიანი, სრულფასოვანი, დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობა.

II. 1927 წლის 4 აპრილის კონსტიტუციის მიღება განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

1922 წლის 12 მარტს საბჭოთა საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება და შეიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი. 1922 წლის 13 დეკემბერს ამიერკავკასიის

საბჭოების I ყრილობამ დაამტკიცა ა/კ სფსრ-ის პირველი კონსტიტუცია.

1922 წლის 30 დეკემბერს იქმნება სსრ კავშირი, ხოლო თითქმის ორი წლის შემდეგ, კერძოდ, 1924 წლის 31 იანვარს დამტკიცდა სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია. ამან გამოიწვია ა/კ სფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების კონსტიტუციების გადასინჯვა და 1926 წლის 29 იანვარს მიღებული იქნა ა/კ სფსრ-ის მეორე კონსტიტუცია. ამიტომ საჭირო იყო ახალი კონსტიტუციის შემუშავება და შესაბამისობაში მოყვანა როგორც სსრ კავშირის, ისე ა/კ სფსრ-ის კონსტიტუციებთან. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-5 მუხლისა და ა/კ სფსრ-ის კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოების III მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიის მიერ 1927 წლის 4 აპრილს დამტკიცდა საქართველოს სსრ მეორე კონსტიტუცია.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუციას, რომელიც შედგება 8 თავისა და 114 მუხლისაგან, რაიმე არსებითი ცვლილება არ მოუხდენია საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო აპარატის სტრუქტურაზე. ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების სისტემა ისეთივე წესით განისაზღვრებოდა, როგორც 1922 წლის კონსტიტუციაში, თუმცა მეორე კონსტიტუციით გაცილებით გაზრდილი იყო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების უფლებრივი მდგომარეობა.

ამასთან ერთად, ა/კ სფსრ-ის შექმნას და მისი მეშვეობით სსრ კავშირში შესვლას კანონზომიერად მოჰყვა შედეგად საქართველოს სსრ სუვერენიტეტის საკანონმდებლო წესით შეზღუდვა, რადგანაც მისი სუვერენული უფლებების უმნიშვნელოვანესი ნაწილი (კერძოდ, საგარეო, სამხედრო, საზღვაო და ა.შ.) გადაეცა ერთიან ცენტრალიზებულ საკავშირო ორგანოებს.

სამაგიეროდ, კიდევ უფრო გაიზარდა აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსი და ის კონსტიტუციაში უკვე მოიხსენიება არა როგორც „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, არამედ როგორც „მოკავშირე აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა (კონსტიტუციის მე-5 თავი).

1927 წლის კონსტიტუციაში პირველად გაჩნდა ტერმინი — „საპროკურორო ზედამხედველობა“, რომელიც მოცემული კონსტიტუციის 72-ე მუხლის თანახმად, ერთიან სახალხო სასამართლოსთან არსებობდა.

წინა კონსტიტუციასთან შედარებით 1927 წლის კონსტიტუციის მე-4 თავში უფრო დეტალურად იქნა რეგლამენტირებული ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისა და ოლქების სამართლებრივი მდგომარეობა და ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა სისტემა.

გარდა ამისა, 1927 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუცია არეგულირებდა საარჩევნო სისტემას, ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას და ა.შ.

III. საქართველოს სსრ მეორე კონსტიტუციამ 10 წელი იარსება. 1937 წლის 13 თებერვალს საქართველოს სსრ საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სსრ მესამე კონსტიტუცია, რომელიც შედგებოდა 14 თავისა და 162 მუხლისაგან. მის საფუძველს წარმოადგენდა 1936 წლის, ე.წ. სტალინური კონსტიტუცია, რომელიც, სხვათა შორის, სსრ კავშირის არსებობის ისტორიაში ყველაზე დემოკრატიულ კონსტიტუციად არის აღიარებული.

რა ძირითადი თავისებურებები ახასიათებდა საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციას წინა კონსტიტუციებისაგან განსხვავებით?

ისტორიული პირობების ცვლილებების შესაბამისად 1937 წლის კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოს სსრ-ში მთელი ძალაუფლება გადაეცა ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით, რომლებიც შეადგენდნენ სწორედ საქართველოს სსრ პოლიტიკურ საფუძველს.

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ჩატარების შედეგად მოცემულ კონსტიტუციაში დაფიქსირდა დებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ-ის ეკონომიკურ საფუძველს შეადგენდა მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება.

- 1937 წლის კონსტიტუციის მე-3 თავში ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. საქართველოს სსრ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, რომელიც ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო იყო და აირჩეოდა 4 წლის ვადით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ირჩევდა მის პრეზიდიუმს თავმჯდომარის, მისი ორი მოადგილის (ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით), მდივნისა და პრეზიდიუმის 13 წევრის შემადგენლობით. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები ქვეყნდებოდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.

საქართველოს სსრ უმაღლეს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

ადგილობრივ ორგანოებად გვევლინებოდა, შესაბამისად, შშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები.

- ცვლილებები განიცადა საქართველოს სსრ საარჩევნო სისტემაში. კერძოდ, ამ კონსტიტუციამ პირველმა დაადგინა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით. აქტიური და პასიური უფლება კვლავ განისაზღვრებოდა 18 წლის ასაკით.

- 1937 წლის კონსტიტუციაში წინა კონსტიტუციებისაგან განსხვავებით პირველად აისახა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ საკითხი. მართალია, აღნიშნულთან დკავშირებით ჯერ კიდევ 1929 წლის 13 აპრილს მიიღო დადგენილება სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე ყრილობამ, რომლის შესაბამისად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოიცა ერთობლივი დადგენილება საქართველოს დარაიონების შესახებ, თუმცა აღნიშნული ცვლილებები ყრილობას არ შეუტანია 1927 წლის კონსტიტუციაში, რადგანაც, როგორც შენიშნავს

პროფ. გრ. ერემოვი, ამის მიზეზი იყო ის, რომ „საჭირო იყო დარაიონების ჯერ პრაქტიკულად გატარება და შემდეგ მისი ასახვა კონსტიტუციაში“.<sup>34</sup> აქედან გამომდინარე, საქართველოს სსრ-ის დარაიონების საკითხი კონსტიტუციურ დონეზე გადაწყდა სწორედ 1937 წლის კონსტიტუციით.

— სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ წინა კონსტიტუციებთან შედარებით უფრო დაკონკრეტდა სასამართლო და პროკურატურის ორგანოთა სისტემა და მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპები.

აირჩეოდა სასამართლოების ყველა ორგანო. საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო აირჩეოდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 5 წლის ვადით, ხოლო სახალხო სასამართლოებს ირჩევდნენ შესაბამისი რაიონის მოქალაქეები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით.

საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის პროკურორებს ნიშნავდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორი 5 წლის ვადით.

როდესაც საუბრობენ 1937 წლის კონსტიტუციის დემოკრატიული ხასიათის შესახებ სხვა კონსტიტუციებთან შედარებით, ალბათ, მხედველობაში ღებულობენ იმ გარემოებას, რომ მასში უფრო დამაჯერებლად იქნა დეკლარირებული მოქალაქეთა ისეთი უმნიშვნელოვანესი უფლებები და თავისუფლებები, როგორცაა სიტყვის თავისუფლება, ბეჭდვის თავისუფლება, კრებებისა და მიტინგების თავისუფლება, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების თავისუფლება და სხვა.

რასაკვირველია, ეს ნორმები თავიდანვე ატარებდა მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს და ასეთადვე დარჩნენ ბოლომდე. უფრო მეტიც, როგორ შეიძლება ვისაუბროთ სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლებაზე, როცა სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსხვავებულ აზრს აკვალიფიცირებდა ანტიისაბჭოთა აგიტაციად და პროპაგანდად ან

<sup>34</sup> „საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978)“, შემდგენელი პროფ. გრ. ერემოვი, 1983, თბ., გვ. 127.



სამშობლოს ღალატად და ამისათვის ითვალისწინებდა უმკაცრეს პასუხისმგებლობას. ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ საყოველთაოდ ცნობილი რეპრესიები, რომლებიც განხორციელდა სსრ კავშირში და, მათ შორის, საქართველოში 30-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა ადამიანებს განსხვავებული აზრის გამო ხვრეტდნენ ან უკეთეს შემთხვევაში გადასახლებაში აგზავნიდნენ.

მეორე მხრივ, უდავოა, რომ იურიდიული ტექნიკისა და სრულყოფილების თვალსაზრისით 1937 წლის კონსტიტუცია გაცილებით მაღალ დონეზე შესრულებულ დოკუმენტს წარმოადგენდა, ვიდრე მისი წინამორბედი კონსტიტუციები.

IV. 1978 წლის 15 აპრილს საქართველოს სსრ IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VIII სესიამ ერთხმად მიიღო საქართველოს სსრ მეოთხე კონსტიტუცია, რომელიც თავისი მოცულობით საკმაოდ აღემატებოდა წინა კონსტიტუციებს. იგი შედგებოდა პრეამბულის (შესავლის), 11 კარის, 22 თავისა და 185 მუხლისაგან.

მოცემული კონსტიტუცია ასევე გამომდინარეობდა საბჭოთა საქართველოს წინამორბედი კონსტიტუციების ძირითადი პრინციპებიდან და იდეებიდან. ამასთან ერთად, იგი ხაზს უსვამდა კონსტიტუციური მშენებლობის ისტორიის ახალ ეტაპს. 1978 წლის კონსტიტუცია წინა კონსტიტუციებისაგან განსხვავდებოდა არა მხოლოდ შინაარსით, არამედ ფორმითაც.

1978 წლის კონსტიტუციის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენდა პრეამბულა, ე.ი. ძირითადი კანონის შესავალი, თეორიული ნაწილი. არც ერთ წინა კონსტიტუციას არ ჰქონდა ასეთი შესავალი.

პრეამბულაში მოცემული იყო საქართველოს სსრ-ის ისტორიის ძირითადი ეტაპები – ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მოცემული კონსტიტუციის მიღების დღემდე.

1978 წლის კონსტიტუცია წინამორბედებისაგან განსხვავებით შედგებოდა საკმაოდ ვრცელი განყოფილებებისაგან, რომლებიც შეეხებოდა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლებს, სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემებს, საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას და ა.შ.

კონსტიტუციის I თავი იწყება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დახასიათებით. 1-ლი მუხლი მიუთითებდა, რომ საქართველოს სსრ იყო სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო. ამდენად, ძირითადი კანონი არ იზღუდებოდა მხოლოდ სახელმწიფოს ტიპის განსაზღვრით. იგი მიუთითებდა აგრეთვე იმ ისტორიულ საფეხურზე, რომელზეც იმყოფებოდა საქართველოს სსრ.

წინა კონსტიტუციები საქართველოს სსრ-ს ახასიათებდა როგორც მუშებისა და გლეხების სახელმწიფოს. 1978 წლის კონსტიტუციამ ამ ფორმულაში ჩართო ინტელიგენციაც. ამრიგად, გაფართოვდა საქართველოს სსრ სოციალური ბაზა. ამასთან, მოცემულმა კონსტიტუციამ პირველად შემოიღო ცნება „ხალხი“.

საქართველოს სსრ წარმომადგენლობით ორგანოებს დათმობილი ჰქონდა ოთხი კარი (IV-VII). 85-ე მუხლი ხაზს უსვამდა, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოები – დაწყებული უმაღლესი საბჭოდან, დამთავრებული სასოფლო საბჭოთი, ქმნიდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთიან სისტემას. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აირჩეოდა 5 წლის ვადით, ხოლო ადგილობრივი საბჭოები – 2,5 წლით.

1978 წლის კონსტიტუციის კულმინაციას წარმოადგენდა მისი მე-6 მუხლი, რომლის თანახმად, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში უდიდესი და განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც გამოცხადებული იყო საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად.

აღნიშნულმა კონსტიტუციამ კიდევ უფრო გააფართოვა (რა თქმა უნდა, ასევე დეკლარაციულ დონეზე) მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები და იმაჯდროულად დაადგინა ახალი უფლებები და თავისუფლებები, კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, ბინის უფლება და სხვ.

საქართველოს სსრ 1922 და 1927 წლების კონსტიტუციები შეიცავდნენ მხოლოდ ზოგად მინიშნებას სასამართლო ორგანოების შესახებ. 1937 წლის კონსტიტუციამ უფრო მეტი ყურადღება დაუთმო მართლმსაჯულებას. კიდევ უფრო გააფართოვა მისი ფორმულირების შინაარსი 1978 წლის კონსტიტუციამ.

163-ე მუხლი ადგენდა, რომ საქართველოს სსრ-ში მართლმსაჯულება ხორციელდებოდა მხოლოდ სასამართლოს მიერ. ამასთან, სასამართლო არ იყო ერთადერთი ორგანო, რომელსაც უნდა დაეცვა საქართველოს სსრ მოქალაქეთა უფლებები. არსებობდა სამართალდამცავი ორგანოების მთელი სისტემა, 1978 წლის კონსტიტუცია შეიცავდა სპეციალურ კარს – „მართლმსაჯულება, არბიტრაჟი და საპროკურორო ზედამხედველობა“.

ამრიგად, 1978 წლის კონსტიტუციაში ჩამოყალიბდა შემდეგი ძირითადი განმსაზღვრელი პრინციპები:

- სოციალისტური საკუთრება (სახელმწიფო, ანუ საერთო-სახალხო, საკოლმეურნეო-კოოპერაციული და პირადი საკუთრების ფორმით);

- საზოგადოების პოლიტიკური ხელმძღვანელობა (კომუნისტური პარტიის როლი);

- ხალხის ფართო მასების მონაწილეობა სახელმწიფო საქმიანობაში;

- ხელისუფლების ერთიანობა;

- დემოკრატიული ცენტრალიზმი;

- თანასწორობა (არა მხოლოდ კანონის წინაშე, არამედ ასევე ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით);

- სოციალისტური კანონიერება;

- სოციალისტური ინტერნაციონალიზმი.

პარადოქსია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თითქმის აღიარებული იქნა სახელმწიფოს საერთო-სახალხო ხასიათი, კონსტიტუციამ არ დაკარგა კლასობრივი ხასიათი. გარდა იმისა, რომ კონსტიტუციაში გაჩნდა ცალკე მუხლი კომუნისტური პარტიის შესახებ, შენარჩუნდა დემოკრატიის კლასობრივი ორიენტაცია, რომელსაც ეწოდა „სოციალისტური დემოკრატია“.

1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების 14 წლიანი პერიოდი შეიძლება დავყოთ ორ ეტაპად: პირველი გრძელდებოდა 1991 წლის დასაწყისამდე, მეორე კი მოიცავს მოვლენები 1992 წლის 21 თებერვლამდე. პირველი პერიოდის განმავლობაში ხდებოდა მხოლოდ კონსტიტუციის ტექსტის რაოდენობრივი ცვლილებები და დამატებები, რომელთაც არ ჰქონდათ პრინციპული ხასიათი. თუმცა, მეორე ეტაპზე

კონსტიტუციამ განიცადა ხარისხობრივი ცვლილებებიც, რომლებზეც შემდგომ პარაგრაფში გვექნება მსჯელობა.

ასეთია მოკლედ საბჭოთა პერიოდის საქართველოს კონსტიტუციების განვითარების ზოგადი შტრიხები.<sup>35</sup>

#### 2.2.4. „საკონსტიტუციო რევოლუციის“ დასაწყისი – გზა ახალი კონსტიტუციისაკენ

80-იანი წლების დასასრული და 90-იანი წლების დასაწყისი საქართველოს ისტორიაში ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდად არის ცნობილი, რამაც გარდაუვალ აუცილებლობად აქცია ახალი იდეებისა და ღირებულებების გამოყენება ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის საქმეში. ეს მით უფრო აქტუალური ხდებოდა სოციალისტური წყობილების რღვევისა და სსრ კავშირის ნგრევის პირობებში, რომელიც სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება.

რასაკვირველია, საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუცია თავისი დეკლარაციული მიზნიდან გამომდინარე ვერ შეასრულებდა ახალი ურთიერთობების მარეგულირებელ ფუნქციას, მაგრამ ახალი კონსტიტუციის შექმნაც ღიდ დროს მოითხოვდა. არადა, საჭირო იყო კარდინალური ნაბიჯების გადადგმა, პირველ ყოვლისა, ინსტიტუციური გარდაქმნების თვალსაზრისით.

ეროვნული მოძრაობის გააქტიურებამ და არსებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა ჯერ კიდევ სსრ კავშირის არსებობის პირობებში შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა 1978 წლის კონსტიტუციაში. მათ შორის ყველაზე არსებითი შეეხებოდა ახალი ტიპის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევის მანამდე უპრეცედენტო წესს.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, 1991 წლის 9 აპრილს კი მიღე-

---

<sup>35</sup> დაწვრილებითი კომენტარები საბჭოთა პერიოდის საქართველოს კონსტიტუციების შესახებ იხილეთ: ვრ. ერუბოვი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციების განვითარების ეტაპები, თბ., 1960; გ. უტიაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობა, თბ., 1995.

ბული იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

გამომდინარე იქიდან, რომ სახეზე იყო კონსტიტუციური კრიზისი და კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების მთელი კომპლექსი საჭიროებდა ახლებურად გააზრებას და ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, ახალარჩეული უზენაესი საბჭო დაუყოვნებლივ შეუდგა 1978 წლის კონსტიტუციის მოდერნიზაციის პროცესს, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ „საკონსტიტუციო რევოლუციის“ დასაწყისი. შეიძლება დაიბადოს კითხვა: თუ საქმე არ ეხებოდა ახალი კონსტიტუციის შემუშავებას, როგორ შეიძლება მივიჩნიოთ ძველ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა „საკონსტიტუციო რევოლუციად“?

საქმე იმაშია, რომ ასეთი ეპითეტის გამოყენებისას სულაც არ აქვს მნიშვნელობა იმას, ახალი კონსტიტუცია მიიღება, თუ ძველში შედის შესწორებები. ამ შემთხვევაში მთავარია ცვლილებების ხარისხი. საერთოდ, კონსტიტუციური კრიზისების გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს როგორც მთელი კონსტიტუციური სისტემის, ისე მისი ცალკეული ელემენტების შეცვლის გზით. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვისაუბროთ „საკონსტიტუციო რევოლუციის“ ან „საკონსტიტუციო რეფორმის“ შესახებ. იურიდიული გაგებით რევოლუცია გულისხმობს სახელმწიფოს შიგნით პოლიტიკური ხელისუფლების მემკვიდრეობითობის წყვეტას, რომლის დროსაც ხდება საჯარო-სამართლებრივი ნორმებით დამკვიდრებული ღირებულებების რადიკალური გადასინჯვა. რეფორმა კი გულისხმობს სამართლებრივი სისტემის ისეთ შეცვლას, რომელიც არ არღვევს ამ მემკვიდრეობითობას.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცვლილებები, რომლებიც შევიდა 1978 წლის კონსტიტუციაში, განსაკუთრებით, ახალარჩეული უზენაესი საბჭოს მიერ, თავსდება „საკონსტიტუციო რევოლუციის“ ფორმულის ჩარჩოებში. თავად განსაჯეთ: კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა განაპირობა არა მხოლოდ რადიკალური ინსტიტუციური ცვლილებები, არამედ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – თავად სახელმწიფო წყობილების ძირეული გარდაქმნა. ეს ეხებოდა კონსტიტუციის პრეამბულას,

სახელმწიფოს სიმბოლოებს – გერბს, დროშას, ჰიმნს. უარი ითქვა სახელმწიფოს სოციალისტურ და საბჭოთა ტიპზე; გაუქმდა ისეთი ცნებები, როგორცაა „სოციალისტური საკუთრება“, „სოციალისტური კანონიერება“, „სოციალისტური დემოკრატია“; გაუქმდა ყბადალებული მე-ნ მუხლის დებულება საზოგადოების განვითარებაში კომუნისტური პარტიის წარმმართველი როლის შესახებ და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა დებულება მრავალპარტიულობის შესახებ.

გაუქმდა მანამდე არსებული საბჭოების სისტემა. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ეწოდა საკრებულოები, ხოლო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს – პრეფექტურები.

1991 წელს შემოღებული იქნა ახალი მმართველობითი რგოლი პრეზიდენტის ინსტიტუტის სახით, რომელიც აისახა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121-ე მუხლში. თეორიულადაც და პრაქტიკულადაც პრეზიდენტის პოსტი საზოგადოების მიერ აღიქმებოდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სიმბოლო. საზოგადოების ასეთი რეაქცია ბუნებრივი იყო, ვინაიდან კომუნისტური იდეოლოგიის მარწმუნებში მოქცეული ხალხისათვის იმის შეგრძნება, რომ მათი ხელმძღვანელი იქნებოდა არა კომუნისტური პარტიის ნომენკლატურული ფიგურა – ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, არამედ ხალხის მიერვე არჩეული საქართველოს პრეზიდენტი, პირდაპირ და უშუალოდ ასოცირდებოდა თავისუფლებასთან, დამოუკიდებელ განვითარებასთან და ა.შ. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია გარემოება, რომელიც უკავშირდებოდა პრეზიდენტის არჩევის წესს. მაგალითად, თუ სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობით დადგენილია პრეზიდენტის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურის მინიმალური ასაკობრივი ცენზი, ე.ი. ის, თუ რა ასაკიდან შეიძლება აირჩეს პირი პრეზიდენტად, საქართველოს გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციით დადგენილი იყო ასევე მაქსიმალური ზღვარიც, ე.ი. ის, თუ რომელ წლამდე შეიძლებოდა პირის არჩევა აღნიშნულ თანამდებობაზე. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლებოდა არჩეულიყო დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35-დან 65 წლამდე.

ასაკობრივი შეზღუდვის გარდა აუცილებელი იყო პრეზიდენტად ასარჩევი პირის საქართველოში მუდმივად ცხოვრება უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

რაც შეეხება მის უფლებამოსილებებს, შეიძლება ითქვას, რომ მას ჰქონდა საპრეზიდენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი ტიპური კომპეტენციის ფარგლები. კერძოდ, ის წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ; ხელმძღვანელობდა მმართველობის ორგანოთა სისტემას; უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით ქმნიდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს და ცვლილებები შეჰქონდა მის შემადგენლობაში; ხელს აწერდა კანონებს, ჰქონდა ე.წ. ვეტოს უფლება, ანუ უფლება ორი კვირის ვადაში დაებრუნებინა კანონი თავისი შენიშვნებით საქართველოს უზენაესი საბჭოსათვის ხელახალი განხილვისა და კენჭისყრისათვის და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების შეუსრულებლობის შემთხვევაში მას ცვლიდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო თუ მასაც არ შეეძლო აღნიშნულის განხორციელება, ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტის უფლებამოსილება ეკისრებოდა პრემიერ-მინისტრს, რასაკვირველია, ახალი პრეზიდენტის არჩევნებამდე, რომელიც უნდა ჩატარებულყო არა უგვიანეს სამი თვისა.

გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, ყურადღებას იმსახურებს ადამიანისა და მოქალაქის უფლებების პრიორიტეტის აღიარება. გაჩნდა ხელისუფლების დანაწილების გარკვეული კონტურები, რაც სრულიად უგულვებელყოფილი იყო საბჭოთა სამართლის მიერ.

ამრიგად, 1978 წლის კონსტიტუციის მსგავსი გადასინჯვა მოწმობდა მისი არსის ხარისხობრივ გარდაქმნას, თუმცა ის ისტორიაში დარჩა „გარდამავალი კონსტიტუციის“ სახელწოდებით.

1991 წლის ბოლოს საკმაოდ გამწვავდა პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში, რასაც საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების გამო შედეგად მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება. 1992 წლის 6 იანვარს შეიქმნა სამხედრო საბჭო, რომელმაც ღროებით მთავრობასთან ერთად იკისრა ქვეყნის

ხელმძღვანელობა, რომელსაც ასევე დროებითი ხასიათი ჰქონდა. აღნიშნულისა და სხვა გარემოებათა გამო გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციამ ფაქტობრივად შეწყვიტა მოქმედება, რასაც პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობის მოთხოვნით შედეგად მოჰყვა სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაცია 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. იმავე წელს დაიშალა სამხედრო საბჭო და შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო (ე.წ. საქართველოს დროებითი პარლამენტი).

მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის კონსტიტუცია თავისი შინაარსის მიხედვით სერიოზულ იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენდა, იგი საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების მოცემულ ეტაპზე არსებული სინამდვილისათვის უკვე შეუსაბამო ნორმატიული აქტი იყო, რაც აშკარად გამოძვლავნდა აღნიშნულ პერიოდში. ფაქტობრივად გაურკვეველი იყო სახელმწიფო ორგანოების სამართლებრივი მდგომარეობა და პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი მხარეები. შეიძლება ითქვას, რომ ერთ დროს ყველასათვის სანატრელი დოკუმენტი მოგვიანებით იქცა ქვეყნის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მის აღდგენას არ მოჰყოლია მისივე რეალური განხორციელება. დღის წესრიგში დადგა ახალი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზის ოპერატიულად შექმნის აუცილებლობა. მაგრამ ახალი კონსტიტუციის შემუშავებას მაინც ესაჭიროებოდა ხანგრძლივი დრო.

ამასობაში სახელმწიფო საბჭომ თითქმის 8 თვიანი მოღვაწეობის შემდეგ დანიშნა საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ახალი არჩევნები. 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, ეს ორგანო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სახელწოდებით უნდა არჩეულიყო. 1992 წელს აირჩიეს კიდევ საქართველოს პარლამენტი, რომელშიც პოლიტიკურ პარტიათა საკმაოდ ფართო სპექტრი იყო წარმოდგენილი. სწორედ ამ პარლამენტს ხელა წილად თავის პირველივე სხდომაზე, ე.ი. 1992 წლის 6 ნოემბერს მიეღო „მცირე კონსტიტუციის“ სახელწოდებით ცნობილი „კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“.



კანონის სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ იგი წარმოადგენდა კონსტიტუციური ხასიათის აქტს, რომლითაც განისაზღვრებოდა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მხარეები: სახელმწიფო ორგანოთა შექმნის წესი და ფუნქციები, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის ძირითადი პრინციპები.

აღნიშნული კანონის არსებითი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ, ჯერ ერთი, მასში პირველად აისახა 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი დებულებები და მეორე, ერთგვარად ჩამოყალიბდა სახელმწიფო მექანიზმის ახალი სტრუქტურა.

ეს პირდაპირ აისახა აღნიშნული კანონის პრეამბულაში, რომელშიც მითითებულია, რომ კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილებას, მათი მოწყობისა და საქმიანობის წესს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე 1921 წლის კონსტიტუციის მექანიზმების საფუძველზე.

კანონის პირველივე მუხლით ხელისუფლების წყაროდ გამოცხადდა ხალხი, მმართველობის ფორმად კი – დემოკრატიული რესპუბლიკა.

მე-3 მუხლით განისაზღვრა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სტრუქტურა. კერძოდ, უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა საქართველოს პარლამენტი, რომელიც აირჩეოდა 3 წლით, უმაღლეს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ხელისუფლებას – საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, სასამართლო ხელისუფლებას – სასამართლო.

სახელმწიფო ორგანოთა ასეთი წყობა თითქოსდა სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურის ტიპურ გამოხატულებას წარმოადგენდა. არაჩვეულებრივი აქ არაფერი იქნებოდა, რომ არა მოცემული კანონის მე-17 მუხლი, რომლითაც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურად პარლამენტის მიერ აირჩეოდა პარლამენტის თავმჯდომარე. ამდენად, ხელისუფლების დანაწილებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, რადგან ერთი და იგივე პირი სათავეში ედგა და ხელმძღვანელობდა როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებას. მართალია, მთავრობას ჰყავდა თავისი მეთაური –

პრემიერ-მინისტრი, მაგრამ იგი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი იყო პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფოს მეთაურის წინაშე.

ამასთან, საგულისხმოა, რომ კანონის მე-5 მუხლით, პარლამენტის თავმჯდომარე, ისევე როგორც მთლიანად პარლამენტი, აირჩეოდა ხალხის მიერ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნებით ფარული კენჭისყრის წესით, რომელიც უკვე ამ რანგში აირჩეოდა სახელმწიფოს მეთაურად პარლამენტის მიერ სიითი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით. თუმცა, კანონით არ იყო გათვალისწინებული, თუ რა მექანიზმი უნდა ამოქმედებულიყო პარლამენტის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის სახელმწიფოს მეთაურად აურჩევლობის შემთხვევაში.

კანონის მე-8 მუხლით, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი სახელმწიფოს მეთაურის გარდა თავისი შემადგენლობიდან ირჩევდა: ა) პარლამენტის სპიკერს, ანუ პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, რომელიც თავმჯდომარეობდა პარლამენტის სხდომებს, კოლეგიას; კოორდინაციას უწევდა პარლამენტის სამდივნოსა და აპარატს და ბ) პარლამენტის სპიკერის ორ მოადგილეს, რომლებიც კანონის 21-ე მუხლის თანახმად, მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობდნენ პარლამენტის სამდივნოსა და აპარატს.

იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის თავმჯდომარეს – სახელმწიფოს მეთაურს შეუწყდებოდა უფლებამოსილება, მისი მოვალეობის დროებითი შესრულება კანონის მე-19 მუხლით ეკისრებოდა პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრის მიერ ამ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში – პარლამენტის სპიკერს.

საქართველოს უმაღლეს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეებისა და მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრთა შემადგენლობით, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემდა დადგენილებებს. პრემიერ-მინისტრი გამოსცემდა აგრეთვე განკარგულებებს.

კანონის 29-ე მუხლით, პრემიერ-მინისტრს უფლება ჰქონდა პარლამენტის წინაშე დაეყენებინა მინისტრთა კაბინეტისადმი ნდობის საკითხი. პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემთხვევაში უნდა გადამდგარიყო მინისტრთა კაბინეტის მთელი შემადგენლობა.

ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენდნენ რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, დაბის, თემისა და სოფლის საკრებულოები და გამგეობები ან გამგებლები, რომლებიც წყვეტდნენ მათ კომპეტენციაში არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს.

კანონის მე-14 მუხლით, საკმაოდ მკაფიოდ განისაზღვრა სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა წრე, რომლებსაც ენიჭებოდათ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ესენი იყვნენ: სახელმწიფოს მეთაური, პარლამენტის წევრი, პარლამენტის კომისია, მინისტრთა კაბინეტი, უზენაესი სასამართლო, უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო, გენერალური პროკურორი, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, მოქალაქეთა ვგუფი, რომელიც პარლამენტში წარადგენდა ათი ათასი ამომრჩევლის მიერ ხელმოწერილ განცხადებას.

სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის 31-ე მუხლი ითვალისწინებდა თავს, რომელსაც ეწოდებოდა ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო. ეს იყო არსებითად ახალი ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობდა და თავმჯდომარეობდა სახელმწიფოს მეთაური, როგორც შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. ხსენებული საბჭოს ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ქვეყნის თავდაცვის, უშიშროების და წესრიგის უზრუნველყოფა.

ასეთია სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მოკლე მიმოხილვა, რომელმაც საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე უდავოდ შეასრულა თავისი ფუნქცია ქართული სახელმწიფოებრიობისა და კონსტიტუციონალიზმის განვითარების საქმეში.<sup>36</sup> თუმცა, ძირითადი მოკვლევები წინ იყო. ქვეყანა ემზადებოდა

---

<sup>36</sup> სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის დაწერილებითი ანალიზი იხილეთ პროფ. ზ. ჯინჯოლავას ნაშრომი: „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი“, თბ., 1993.

ახალი კონსტიტუციის მისაღებად, რომელსაც არსებულ პირობებში უნდა უზრუნველყო აუცილებელი სტაბილურობა და სამოქალაქო თანხმობა. საზოგადოებაში.

თუმცა, მანამდე, 1993 წლის 25 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ. ამ დებულების საფუძველზე სახელმწიფო-საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური – პარლამენტის თავმჯდომარე, ედუარდ შევარდნაძე, თავმჯდომარის მოადგილედ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგე, პროფ. გიორგი ინწკირველი. კომისია ჩამოყალიბდა 118 წევრის შემადგენლობით.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ დაძაბული მუშაობისა და წინასაპარლამენტო განხილვების შემდგომ, რომელშიც თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა, 1995 წელს წარადგინა კონსტიტუციის პროექტი პარლამენტში განსახილველად. მწვავე დებატებისა და აზრთა შეჯერების საფუძველზე 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა თითქმის ერთსულვნად (მცირე გამონაკლისის გარდა) დაამტკიცა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ახალი კონსტიტუცია.

1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღებით დასრულდა „კონსტიტუციური რევოლუციის“ ეტაპი, რომელიც აუცილებელი წინაპირობა იყო იმ სანუკვარი მიზნების განსახორციელებლად, რაც საქართველოს სუვერენული და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას უკავშირდება. თუ ამასთან დაკავშირებულ პროცესებს არ ახლავს დაცვის კონსტიტუციური გარანტიები, ეს პროცესები შეიძლება ადვილად შესუსტდეს, ან საერთოდ დაირღვეს.

მისი მეშვეობით საქართველოში მყარად მოიკიდა ფეხი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების ჩვენთვის მანამდე უცნობმა სახეებმა, რომელთა ანალიზსაც შემდეგ თავში შემოგთავაზებთ.

სამართველოს 1995 წლის კონსტიტუცია

§1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის  
შინაარსობრივი პარამეტრები

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის მიღებით დაიწყო ახალი ერა საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებაში. იგი მოგვევლინა ჩვენი ქვეყნის სამართლებრივ საფუძვლად, რომლის ბაზაზეც გაიშალა ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივი საქმიანობა სახელმწიფოს მართვის სრულყოფის მიზნით.

მართალია, 1995 წლის კონსტიტუციაში არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების გარკვეული სფეროს სამართლებრივი რეგულირების სრულყოფილი მექანიზმი (მაგ., საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სისტემა), მაგრამ ამას ჰქონდა გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, რომელთა ახლებურად გააზრება, უწინარესად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას უკავშირდება.

ახალი კონსტიტუციის მიღებას უაღრესად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. დასაუღეთის სამყარო ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებდა ახალგამომცხვარ რესპუბლიკას, იგრძნობოდა ერთგვარი უნდობლობაც, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა საქართველოში მძვინვარებდა სამოქალაქო ომი და კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. საქართველო მათთვის ჯერ კიდევ რჩებოდა მხოლოდ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკად და არა უმეტეს. 1995 წლის კონსტიტუციამ დაანახა მსოფლიო თანამეგობრობას, რომ საქართველო საბოლოოდ დაადგა დემოკრატიული, სუვერენული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზას.

საქართველოს კონსტიტუციას აქვს არა მხოლოდ სახელმწიფო-სამართლებრივი, არამედ აგრეთვე პოლიტიკური და იდეოლოგიური მნიშვნელობაც. ამიტომ მისი შინაარსის ღრმად წვდომისათვის აუცი-

ლებელია ვიცოდეთ, თუ როგორია ამ თუ იმ კონსტიტუციური ნორმის თეორიული და პოლიტიკური საფუძველი.

ახალი კონსტიტუციის ამოქმედებასთან ერთად დღის წესრიგში დადგა მთელი რიგი ახალი კანონების მიღებისა და მიმდინარე კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობა. მისი ძალაში შესვლის შემდგომ მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი კანონები, რომლებიც პირდაპირაა მოხსენიებული კონსტიტუციის ტექსტში. კერძოდ, უკვე 1996 წლის დასაწყისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების, სახელმწიფო ბიუჯეტის, პარლამენტის კომიტეტების, დროებითი საგამოძიებო კომისიის და სხვათა შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციაში განმტკიცდა დემოკრატიული პრინციპები, რომლებიც განაზოგადებენ სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი სისტემების ძირითად საწყისებს. ეს პრინციპები განსაზღვრავენ ჩვენი სახელმწიფოს განვითარებისა და მიზნების არსსა და ძირითად მიმართულებებს.

კონსტიტუციური პრინციპები ან პირდაპირაა ჩამოყალიბებული ან მათი დადგენა სდება საქართველოს უზენაესი კანონის დებულებების ანალიზის მეშვეობით. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. სახალხო ხელისუფლების პრინციპი. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში პირდაპირაა მითითებული, რომ „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“. ხალხი, როგორც ხელისუფლების წყარო, კრებითი ცნებაა, რომელშიც იგულისხმება სახელმწიფოს ყოველი მოქალაქე, მათი ერთობლიობა. ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს უშუალოდ (რეფერენდუმის გზით) ან წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით. წარმომადგენლობითი მმართველობის პრინციპები, პირველ ყოვლისა, მკლავნდება საარჩევნო სისტემაში, წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების პროცესში.

სახალხო ხელისუფლების პრინციპიდან გამომდინარეობს დემოკრატიისა და მისი განხორციელების ფორმების განვითარების პერსპექტივები, თუმცა, სახალხო ხელისუფლება და დემოკრატია ერთი და იგივე პრინციპის სინონიმებს როდი წარმოადგენს. მაგა-

ლითად, ძველ საბერძნეთში, სადაც შეიქმნა დემოკრატიის პირველი, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ნიმუშები, პოლიტიკური ხელისუფლება არ ხორციელდებოდა მთელი საზოგადოების მიერ. დემოკრატია, მისი შედარებით განვითარებული ფორმით, მოიცავდა თავისუფალ მოქალაქეთა სხვადასხვა ფენას. ბუნებრივია, ეს წარმოშობს პრივილეგიების მთელ სისტემას. ასეთი სისტემა ეწინააღმდეგება სახალხო ხელისუფლების პრინციპს, რადგან იგი მოქცეულია არა პრივილეგიების, არამედ საყოველთაო თანასწორობის „მკაცრ“ ჩარჩოებში.

2. თანასწორობის პრინციპი. ეს პრინციპი უძველესია თავისი წარმოშობით. მისი არსებობის მანძილზე საზოგადოებრივი პირობების მიხედვით იცვლებოდა მისი შინაარსი. მაგალითად, იდეალურ სახელმწიფოში, რომელიც აღწერა ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა, არსებობდა სრული თანასწორობა მხოლოდ მონათმფლობელთა ფენისათვის. ამასთან, საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპებზე თანასწორობის ცნებაში იგულისხმებოდა ადამიანთა ქონებრივი მდგომარეობა, ქონებრივი თანასწორობა. არადა, მისი აზრი სულ სხვა დებულებით გამოიხატება, რომელიც ჭეშმარიტი დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს. ეს არის დებულება, რომლის თანახმად, მოქალაქეთა თანასწორობა უნდა გავიგოთ არა მათი ქონებრივი, არამედ კანონის წინაშე მათი უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. სწორედ ასეთ თანასწორობას აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“;

3. სუვერენიტეტი. იურიდიულ ლიტერატურაში სუვერენიტეტის განმარტების შესახებ მუდმივი დავა არა თუ ცვლის მის არსს, არამედ ამჟღავნებს მისი თვისებებისა და გამოვლინების ფორმების გამოსაამჟიარაველად მიმართულ თეორიულ აზროვნებას. სუვერენიტეტი ახასიათებს ხელისუფლების სუბიექტს, რომლის საფუძველზეც იგი ინარჩუნებს დამოუკიდებლობას სხვა ხელისუფლებისაგან.

საქართველოს კონსტიტუციაში, მართალია, თავად ტერმინი „სუვერენიტეტი“ ფიგურირებს მხოლოდ მე-2 მუხლის მე-4 პუნ-

ქტში, მაგრამ ის არაპირდაპირ აღიარებულია სხვადასხვა მუხლებითაც. მაგალითად, კონსტიტუციის პირველივე მუხლის პირველი პუნქტი იწყება იმით, რომ „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო“ და სხვ.

სუვერენიტეტი ორგანულად უკავშირდება სახალხო ხელისუფლების პრინციპს და მისი განხორციელების ფორმებს. ხელისუფლების სუვერენიტეტი ნიშნავს ხალხის სუვერენიტეტს, რომელსაც იგი ახორციელებს უშუალოდ ან წარმომადგენლობითი ორგანოების სახით;

4. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. ხელისუფლების დანაწილების ბუნება არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად განვიხილოთ. ერთი მხრივ, ეს პრინციპი დაკავშირებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციფიკასთან, როცა საზოგადოების ხელმძღვანელობა განაწილებულია სხვადასხვა ხელისუფლებას შორის. მეორე მხრივ, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი გამოდის დემოკრატიის განუყოფელ ატრიბუტად.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ორიენტირებულია სახელმწიფო ორგანიზაციის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს შორის სახელისუფლებო წონასწორობის შენარჩუნებისაკენ. ასეთი წონასწორობის შენარჩუნება არ აძლევს საშუალებას სახელმწიფო ხელისუფლების არც ერთ სახეს, დაიკავოს მოწინავე პოზიციები, საიდანაც მათ შეეძლებათ წინ აღუდგნენ დემოკრატიულ პროცესებს. ეს არის სწორედ ნაგულისხმევი საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში, რომელშიც ნათქვამია, რომ „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“.

ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის ზოგადი პრინციპები.

### 3.1.1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის სტრუქტურა

კონსტიტუციის სტრუქტურა არის უზენაესი კანონის შინაგანი დანაწილება გარკვეულ ნაწილებად: თავებად, პარაგრაფებად და ა.შ. დღეს მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის სტრუქტურა



პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ვარიანტად: ფორმალურად და ფაქტობრივად. ფორმალურად ის შედგება პრეამბულისაგან, 9 თავისა და 109 მუხლისაგან. სწორედ ამ სახით იქნა მიღებული მისი პირველი ვარიანტი. ფაქტობრივად კი კონსტიტუცია შედგება პრეამბულისაგან, 10 თავისა და 113 მუხლისაგან. ფორმალურ და ფაქტობრივ ვარიანტებს შორის ასეთი სხვაობა განაპირობა 2004 წლის საკონსტიტუციო შესწორებებმა, რომლებზეც შემდგომ პარაგრაფში გვექნება მსჯელობა.

საქართველოს კონსტიტუციის ტექსტს წინ უძღვის მისი შესავალი ნაწილი, ანუ პრეამბულა, რომლის მოკლე, მაგრამ საკმარის ტევად შინაარსში მკაფიოდაა განსაზღვრული საქართველოს მოქალაქეთა მიზნები და ამოცანები ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და განვითარების გზაზე. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქეთა „ურყევი ნებაა, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა...“

სხვათა შორის, პრეამბულის განსაკუთრებული შინაარსის გამო იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად დაობენ იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა პრეამბულა კონსტიტუციის ნაწილს.<sup>37</sup>

ბუნებრივია, ასეთ აზრს ვერ გავიზიარებთ, რადგან არსებობს მრავალი არგუმენტი იმისათვის, რომ პრეამბულა წარმოადგენს კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილს. მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანია დაეადგინოთ: როგორია კონსტიტუციის პრეამბულის იურიდიული ბუნება, შეიცავს თუ არა იგი ქვეყნის სამართლებრივ წესებს?

არიან ავტორები, რომლებიც საკვებით უარყოფენ მის ნორმატიულ ხასიათს.<sup>38</sup> ამასთან ერთად, პრეამბულათა ანალიზი არ ადას-

<sup>37</sup> Тихомиров Ю.А., Проблемы теории социалистической конституции, М., 1992, гл. 28.

<sup>38</sup> Мицкевич А.В., Акты высших органов Советского государства, М., 1977, гл. 152.

ტურებს ასეთ შეფასებას, თუმცა არც ამტკიცებს პრეამბულის მთელი შინაარსის ნორმატიულობას. მის ტექსტში შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული ელემენტები, ისე ელემენტები, რომლებიც ატარებენ მეტაიურიდიულ ხასიათს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა პრეამბულაში ჩართულია ისტორიული ცნობები, პოლიტიკური შეფასებები და სხვა არანორმატიული დებულებები, მათ გააჩნიათ ნორმატიული მნიშვნელობა, რაძდენადაც კონსტიტუციის ახსნა-განმარტებისა და გამოყენების პროცესში პრეამბულის ამ ნაწილებს აუცილებლად უნდა მიეჭეს ყურადღება. და საერთოდ, პრეამბულა გარკვეულწილად განსაზღვრავს კონსტიტუციის ნორმატიულ შინაარსს. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში მოცემულია ისტორიული ფაქტის კონსტატაცია, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქენი ამ კონსტიტუციის გამოცხადებისას ეყრდნობიან „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს“. აქედან გამომდინარე, პრეამბულის ეს ისტორიული ნაწილი გარკვეული თვალსაზრისით 1995 წლის კონსტიტუციის ნორმატიულ ბაზასაც წარმოადგენს.

კონსტიტუციის პირველი თავი – „ზოგადი დებულებები“ – განსაზღვრავს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ორგანიზაციას, საქართველოს სახელმწიფოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს, სახელმწიფო მოწყობის სამომავლო პერსპექტივებს, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას.

ამასთან დაკავშირებით განიხილება ისეთი საკითხები, როგორცაა: დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირება, თვითმმართველობის პრინციპები და სხვა. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონსტიტუციურ დონეზეა განმტკიცებული და აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპები შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ (გარდა კონსტიტუციისა).

მეორე თავი შეეხება საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებს და ადამიანისა და მოქალაქის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს თავი არის კონსტიტუციის უმნიშვნელოვანესი ნაწილი,

რისთვისაც საერთოდ იწერება ნებისმიერი ნორმალური კონსტიტუცია. ამასთან დაკავშირებული დებულებები პრინციპულად განსხვავდება ადამიანის უფლებათა პრობლემების გადაწყვეტისა და მისი თავისუფლების აღიარების ახალი მიდგომებით. კონსტიტუციამ განამტკიცა ისეთი უფლებები, რომლებიც ადრე არ იყო აღიარებული, რიგ შემთხვევებში კი ცვლილება შეიტანა ადრე არსებული უფლებებისა და თავისუფლებების შინაარსში.

საქართველოს კონსტიტუციის შესამე, მეოთხე, მეოთხე<sup>1</sup> და მეხუთე თავები ეძღვნება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების ძირითად ინსტიტუტებს, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და სასამართლო ხელისუფლებას, მათი შექმნის წესსა და უფლებამოსილებებს. საქართველოს კონსტიტუციამ ამ შემთხვევაშიც უარი თქვა ხელისუფლების ცენტრალიზაციის ძველ მოდელზე და გაითვალისწინა მისი ორგანიზაციის დემოკრატიული პრაქტიკა. პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო მას, არის ხელისუფლების დანაწილება. ამან კი, თავის მხრივ, გამოიწვია საპირისპირო შედეგი — ხელისუფლების დეცენტრალიზაცია.

კონსტიტუციაში მკაფიოდ განისაზღვრა სხვადასხვა ხელისუფლებათა წარმომადგენელი ორგანოების კომპეტენცია, ურთიერთმიმართების ფორმები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

მეექვსე თავი ეძღვნება სახელმწიფო ფინანსებსა და კონტროლს. მასში მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენისა და განხილვის წესი, დადგენილი ოდენობითა და წესით გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის მოვალეობა, საქართველოს ფულადსაკრედიტო სისტემის უზრუნველყოფის და სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვაზე ზედამხედველობის განხორციელების წესი.

მეშვიდე თავი იხილავს სახელმწიფოს თავდაცვის საკითხებს, რომელთა შორის აღსანიშნავია ნორმები ეროვნული უშიშროების საბჭოსთან და სამხედრო ძალების გამოყენებასთან დაკავშირებით.

მერვე თავი იხილავს საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის წესს, რომლითაც განსაზღვრულია, თუ ვის აქვს კონსტი-

ტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის წარდგენის უფლება და როგორი წესით ხდება გადაწყვეტილების მიღება.

მეცხრე თავი კი შეეხება გარდამავალ დებულებებს. როგორც წესი, კონსტიტუციის მოცემულ ნაწილში მითითებულია, თუ როდიდან იწყება კონსტიტუციური ნორმების მოქმედება.

ასეთია საქართველოს კონსტიტუციის სტრუქტურა, რომელსაც დეტალურად განვიხილავთ შესაბამის პარაგრაფებში.

### 3.1.2. საქართველოს კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის წესი

როგორც ცნობილია, არსებობს კონსტიტუციის მიღების რამდენიმე გზა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც გადაწყვეტილების მიღების, ისე მათი განხილვის პროცედურით.

პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია კონსტიტუციის მიღება პარლამენტის მიერ. რასაკვირველია, კონსტიტუციები ყოველთვის მიიღება საგანგებო წესით. უწინარესად, კონსტიტუციის მისაღებად აუცილებელია პარლამენტის წევრთა ხმების კვალიფიციური უმრავლესობა.

ზოგჯერ საპარლამენტო პროცედურის გარდა გათვალისწინებულია გარკვეული დამატებითი სამართლებრივი პროცედურები. მაგალითად, თუ კონსტიტუცია მიიღება ფედერალური პარლამენტის მიერ ფედერალურ სახელმწიფოში, მაშინ იმისათვის, რომ ფედერალური კონსტიტუცია შევიდეს ძალაში, საჭიროა მისი მხარდაჭერა ფედერაციის სუბიექტთა მხრიდანაც. ასეთი პროცედურებით არის მიღებული აშშ-ის, შვეიცარიისა და გფრ-ის კონსტიტუციები. ზოგიერთ შემთხვევაში პარლამენტის მიერ კონსტიტუციის მიღების შემდეგ დამატებითი პროცედურის სახით გამოიყენება რეფერენდუმი, რომელმაც უნდა დაუჭიროს ან არ დაუჭიროს მხარი პარლამენტის გადაწყვეტილებას. ასეთი წესით მიღებულია ესპანეთის 1978 წლისა და საბერძნეთის 1975 წლის კონსტიტუციები.

ზოგ შემთხვევაში კი კონსტიტუციები მიიღება პირდაპირ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის, ანუ რეფერენდუმის გზით (მაგალითად, რუსეთის ფედერაციის 1993 წლის კონსტიტუცია). ეს არის

კონსტიტუციის მიღების ყველაზე რთული პროცედურა როგორც ორგანიზაციული, ისე შესაძლო გადაწყვეტილების მიღების პროგნოზირების თვალსაზრისით.

იურიდიულ ლიტერატურაში აქტიურად მიმდინარეობს კამათი იმასთან დაკავშირებით, თუ კონსტიტუციის მიღების რომელი ხერხია უფრო დემოკრატიული. შესაბამისად, შეხედულებებიც მრავალფერონაია. ნაწილი ავტორებისა მხარს უჭერს კონსტიტუციის მიღების საპარლამენტო გზას, როგორც მოქნილ, პროფესიულად უფრო მომზადებულ ვარიანტს,<sup>39</sup> ნაწილი კი, პირიქით, მიიჩნევს, რომ რეფერენდუმი არის კონსტიტუციის მიღების ყველაზე დემოკრატიული ფორმა.<sup>40</sup>

ვფიქრობთ, ეს დავა საკმაოდ სქოლასტიკურია, ვინაიდან საუბარი რომელიმე მათგანის უფრო მეტად ან ნაკლებად დემოკრატიულობის შესახებ საკმაოდ რთულია. უწინარეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის პირობები, რომელშიც მოხდა კონსტიტუციის მიღება და სახელმწიფოს არსებობის კონკრეტული ისტორიული პერიოდი.

ამიტომ, ჩემი აზრით, არ უნდა გავაიდვალოთ ან ერთი ან მეორე ფორმა, ვინაიდან ერთიცა და მეორეც შესაძლებელია გამოყენებული იყოს როგორც ჭეშმარიტი დემოკრატიის ფარგლებში, ისე მისი საპირისპირო სახით. მაგალითად, კარგია, თუ საჯაროობის პირობებში ყველა დემოკრატიული პროცედურის დაცვით იქნება მიღებული კონსტიტუცია რეფერენდუმის გზით. ეს კონსტიტუციას მართლაც შემატებს განსაკუთრებულ დემოკრატიულ ბრწყინვალეებას. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ზოგ შემთხვევაში რეფერენდუმი მოწოდებულია მიჩქმალოს ამა თუ იმ სახელმწიფოს ან ხელისუფლების ტოტალიტარული ხასიათი. უნდა გავითვალისწინოთ ერთი მარტივი, თუმცა კი მიუკერძოებელი შეხედულება, რომ

---

<sup>39</sup> Николаев С.Ф., Конституция, фактор социальных изменений, М., 1999; Броншоу И., Понятие конституции, СПб, 2001; Наумов В.А., Конституционное право Российской Федерации, М., 1998 და სხვ.

<sup>40</sup> Коваленко А.И., Конституционное право России, М., 1997; Якайтис Р., Конституционное право Латвии, М., 2003 და სხვ.

კონსტიტუციის პროექტი არის ძალზე რთული დოკუმენტი. მისი მეტნაკლებად ადეკვატური შეფასება ძალზე რთული და პრაქტიკულად შეუძლებელია მოქალაქეთა უმრავლესობის მხრიდან. რეფერენდუმის შემთხვევაში საუბარი ყოველთვის ეხება საყოველთაო-სახალხო ნდობის ვოტუმს ამ რეფერენდუმის ინიციატორთა მიმართ. მოქალაქეები, რომლებიც მხარს უჭერენ შემოთავაზებულ ვარიანტს, გარკვეულწილად ეთანხმებიან სახელმწიფოს საერთო პოლიტიკას და იზიარებენ მას. ნებისმიერ შემთხვევაში რეფერენდუმზე საუბარი არ არის ის, რომ ამომრჩეველებმა უარყონ ან მხარი დაუჭირონ კონსტიტუციის რომელიმე ცალკეულ მუხლს ან თავს. ხშირად ამომრჩეველი დგას დილემის წინაშე: ის ან მხარს უჭერს შემოთავაზებულ მთლიან ტექსტს, თუმცა შესაძლოა არ მოსწონდეს მისი რომელიმე ნაწილი, ან უარყოფს მას მთლიანად იმ მიზეზით, რომ არ მოსწონს ერთ-ერთი რომელიმე მუხლი, მაგრამ იმდენად არ მოსწონს, რომ იძულებულია უარყოს კონსტიტუციის პროექტის მთლიანი ტექსტი.

მოცემულ შემთხვევაში ჩემი მიზანი სულაც არ არის შავ ფერებში დავხატო კონსტიტუციის მიღების სარეფერენდუმო პროცედურა. უბრალოდ წარმოვაჩინ მასთან დაკავშირებულ პრობლემას, რომელსაც სერიალური ანგარიში უნდა გაეწიოს ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ სწორი გზით წავიდა ქართველი კანონმდებელი, როცა გადაწყვიტა საქართველოს კონსტიტუციის მიღება არა რეფერენდუმის გზით, არამედ საპარლამენტო პროცედურების მეშვეობით. სხვათა შორის, კონსტიტუციის მიღების ასეთი ტრადიცია ჯერ კიდევ 1921 წლის კონსტიტუციის მიღებისას დამკვიდრდა. არსებული რეალობა, საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური მრავალფეროვნება სამუალებას იძლეოდა, საქართველოს ახალი კონსტიტუცია პარლამენტს მიეღო ისე, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული მისი განხილვისა და მიღების „დემოკრატიული აქსესუარები“.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ მასში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების აღმნიშვნელ ტერმინად დამაკვიდრა

„კონსტიტუციის გადასინჯვა“, რომელსაც საგანგებოდ ეძღვნება კონსტიტუციის მერვე თავი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის რეალური ტექსტი სხვადასხვანაირად იცვლება. ზოგადად არსებობს ორი ვარიანტი. ერთ-ერთი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ თუ მიიღება ახალი მუხლი, მაშინ ძველი, უკვე ძალადაკარგული მუხლი ამოიღება კონსტიტუციიდან და მას ჩაენაცვლება ახალი მუხლი, ანუ ხდება გარკვეული შიდა გადანაცვლება ახალ და ძველ მუხლებს შორის. არსებობს მეორე, ე.წ. „ამერიკული“ ვარიანტი, როცა კონსტიტუცია ფასდება, როგორც ერთიანი და განუყოფელი დოკუმენტი. ამ შემთხვევაში კონსტიტუციის ტექსტიდან არ ხდება ძველი მუხლის ამოღება, არამედ ყველა ცვლილება თან ერთვის კონსტიტუციის ძირითად ტექსტს. რასაკვირველია, ამაში არის გარკვეული უხერხულობა, ვინაიდან იმისათვის, რომ იცოდე რა მუხლი მოქმედებს და რა არ მოქმედებს, უნდა წაიკითხო ძირითადი ტექსტი, შემდეგ კი – ყველა თანდართული შესწორება. ამ პროცესში შეიძლება აღმოჩნდეს, რომ უკვე წაკითხული ტექსტიდან რაღაც მუხლები აღარ მოქმედებს, რადგან თანდართულმა შესწორებებმა რომელიღაც მათგანი გააუქმა. მეორე მხრივ, კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის ასეთ მეთოდს აქვს დადებითი მხარეც, რადგან ის თვალნათლივ გვიჩვენებს ქვეყნის ისტორიულ-კონსტიტუციური განვითარების მსვლელობას, სახელმწიფოში მიმდინარე კონსტიტუციური მშენებლობის პროცესს.

კონსტიტუციის ტექსტში შესწორებების შეტანის რომელ მეთოდს იყენებს ქართველი კანონმდებელი? თუ ყურადღებით გადავაელებთ თვალს არსებულ პრაქტიკას და თავად კონსტიტუციის ტექსტს, სამწუხაროდ, აღმოვაჩინებთ შესწორებების შეტანის ზემოთ აღნიშნული მეთოდების ნაზავს, უფრო სწორედ – უსისტემო ნაზავს. მაგალითად, როდესაც 1997 წლის 11 ნოემბერს გაუქმდა სიკვდილით დასჯა საქართველოში, ამით ფაქტობრივად შეიცვალა კონსტიტუციის მე-15 მუხლის შინაარსი სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით. თუმცა, ეს მუხლი თავდაპირველი ვარიანტით არის შენარჩუნებული კონსტიტუციის ტექსტში. ამასთან, კონსტიტუციას არც ძირითადი ტექსტის ბოლოს აქვს ამის შესახებ რაიმე ცვლილება თანდართული. უცხო ადამიანისათვის კი კონსტიტუცი-

ის ტექსტის გაცნობის შემდგომ სრულიად გაურკვეველია, საქართველოში ნამდვილად გაუქმდა სიკვდილით დასჯა თუ არა, ვინაიდან არანაირი სხვა მითითება, მე-15 მუხლის პირვანდელი ვარიანტის გარდა, არ არსებობს. მეორე შემთხვევაში კი კანონმდებელმა მიმართა პირველ მეთოდს: ანუ კონსტიტუციის ძირითადი ტექსტიდან ამოიღო 91-ე მუხლი. რასაკვირველია, კონსტიტუციის ტექსტისადმი მსგავსი მიდგომა ყოვლად დაუშვებელია როგორც სისტემური სრულყოფილების, ისე საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით. იმედია, საქართველოს პარლამენტი მომავალში ყურადღებას მიაქცევს მოცემულ საკითხს და ერთი მხრივ, გამოასწორებს უკვე დაშვებულ ხარვეზებს, ზოლო მეორე მხრივ, დაადგენს კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის ერთიან სტანდარტს.

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს აკრძალულ პერიოდს, რომლის დროსაც დაუშვებელია კონსტიტუციის გადასინჯვა. კონსტიტუციის 103-ე მუხლი უდერს შემადგენიარად: „საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება გამოიწვევს კონსტიტუციის გადასინჯვის შერჩერებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე“.

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს კონსტიტუციის გადასინჯვის შემდეგ წესს:

– კანონპროექტის შეტანა საქართველოს პარლამენტში კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ. ასეთი კანონპროექტის შეტანის უფლების მქონე სუბიექტთა წრე განისაზღვრება კონსტიტუციის 120-ე მუხლის 1-ლი პუნქტით. ესენია: საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი და არა ნაკლებ 200000 ამომრჩეველი. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტს თან უნდა ახლდეს კონსტიტუციის შესწორებების აუცილებლობის დასაბუთება, იმ კანონთა ნუსხა, რომელთა გაუქმებას, შეცვლას ან მიღებას გამოიწვევს კონსტიტუციური გადასინჯვის კანონპროექტი;

– კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის გამოქვეყნება საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. მოცემული კანონპროექტი უნდა გამოქვეყნდეს პარლამენტში კანონპროექტის განხილვამდე ერთი თვით ადრე. თუმცა, კონსტიტუცია უშვებს ერთადერთ



გამონაკლისს ამ წესიდან. კერძოდ, 108-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენასთან დაკავშირებით დასაშვებია კონსტიტუციის გადასინჯვა შესაბამისი კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნების გარეშე;

– საქართველოს პარლამენტის მიერ კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის განხილვა და მიღება. კანონპროექტის განხილვა გათვალისწინებულია სამი წაკითხვით. კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი;

– კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება. მას ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი და ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული.

## **§2. ქართული კონსტიტუციური სისტემის განვითარების თანამედროვე ტენდენციები**

### **3.2.1. 2004 წლის „საკონსტიტუციო რეფორმა“ – პოსტრევოლუციური განწყობილება თუ გარდაუვალი აუცილებლობა?**

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოში კონსტიტუციურ დემოკრატიაზე გადასვლა რთული აღმოჩნდა. ჯერ ერთი, ის დაიწყო გაცილებით გვიან, ვიდრე სხვა ქვეყნებში; მეორე, ის მიმდინარეობს მრავალეროვანი ქვეყნის პირობებში მკაფიოდ გამოხატული სეპარატისტული მისწრაფებების ფონზე; მესამე, იგი ვითარდება ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც ახასიათებს ავტორიტარიზმის მყარი ისტორიული ტრადიციები.

მთელი ამ პერიოდის მანძილზე კონსტიტუციური დემოკრატიის ამ პროცესს თან ახლდა პოლიტიკური კრიზისები თავისი გამოვ-

ლინების სხვადასხვა ფორმით, რომლის აპოგეა დადგა 2003 წლის მიწურულს, რასაც წინ უსწრებდა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დემონსტრაციული გაყალბება არსებული ხელისუფლების მხრიდან. მაგრამ, ნუთუ მხოლოდ გაყალბებული საპარლამენტო არჩევნები იქცა პოლიტიკური კრიზისის მიზეზად? რასაკვირველია, არა. ჩემი აზრით, მიზეზები გაცილებით ღრმად უნდა ვეძიოთ. კორუფციის უსაზღვრო მასშტაბები ჩინოვნიკური აპარატის ყველა დონეზე, არაფექტიანი მართვის სტილი და თავად მმართველობის სისტემა, დაუსჯელობის სინდრომი, სრული უპასუხისმგებლობა როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების თითოეული წევრის წინაშე, ადამიანთა უფლებებისა და სოციალური ორიენტირების უგულვებელყოფა და სხვა მრავალი. პრობლემების მთელ ამ ჯაჭვში არჩევნების გაყალბებამ შეასრულა დენტის როლი, რომელმაც მძლავრი მუხტი შესძინა საზოგადოებისავე მოქმედებას.

ამასთან, პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტა მთლიანად იყო დამოკიდებული უდავოდ ყველაზე პრობლემატურ გარემოებაზე. ეს იყო საზოგადოების ისტორიული პასიურობის დაძლევა და მისი ცნობიერების შეცვლა. ანუ საზოგადოება დადგა აქტიური არჩევანის წინაშე: ან დაეცვა თავისი უნიკალური და ხელშეუვალი უფლება, რომ მხოლოდ ის არის ხელისუფლების წყარო სახელმწიფოში, ანდა კვლავ მიეღო სირაქლემას ცნობილი პოზა და დუმილით ეპასუხა თავისი ღირსების ხელყოფისათვის. ქართულმა საზოგადოებამ გააკეთა თავისი არჩევანი, რომელსაც შედეგად მოჰყვა „ვარდების რევოლუცია“, ანუ საზოგადოების ძალისხმევით ხელისუფლების შეცვლა არა არჩევნების, არამედ უსისხლო, სახალხო რევოლუციის გზით. თუმცა, ეს არ იყო პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტა. ეს იყო მხოლოდ ნაბიჯი, გადადგმული მის გადასაწყვეტად.

მოცემული პერიოდის ქართული კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრობლემა ვლინდებოდა ხელისუფლების, განსაკუთრებით, საკანონმდებლო ხელისუფლების ლეგიტიმაციის პრინციპების კონფლიქტში. თუმცა, მას შემდეგ, რაც ამოქმედდა ე.წ. „ხელისუფლების კონსტიტუციური დელეგირების“ მექანიზმი (კონსტიტუციის 76-ე მუხლი), აღნიშნული კონფლიქტი ამოიწურა. მაგრამ მოგვიანებით საკანონმდებლო ხელისუფლების ლეგიტიმაციის თვალსაზრისით

კვლავ გაჩნდა გარკვეული კითხვის ნიშნები, რაც უკავშირდებოდა ერთობ ბუნდოვან და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას საპარლამენტო არჩევნების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ: გაუქმდა მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნები, თუმცა უცვლელი დარჩა მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნები.

მოგვწონს თუ არ მოგვწონს მსგავსი ხასიათის გადაწყვეტილებები, უნდა ვაღიაროთ, რომ პოსტრევოლუციურ პერიოდებს ხშირად ახასიათებს გარკვეული პროცესები, რომლებიც ჩვეულებრივ, ნორმალურ, დალაგებულ სიტუაციაში კატეგორიულად მიუღებელია.

ნაშრომში – „პოლიტიკური რომანტიკა“ კ. შმიდტი გადმოგვცემს პოსტრევოლუციური სტაბილიზაციის ეპოქისათვის დამახასიათებელ ატმოსფეროს. პოლიტიკური რომანტიკა (რომელიც შეიძლება იყოს როგორც რევოლუციური, ისე კონსერვატიული) ყოველთვის გამოიხატება პოზიტიური რეალობით დაუკმაყოფილებლობაში, მის წინააღმდეგ გამოსვლაში რაღაც იდეალის სახელით. ამ მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარადიგმა – წინააღმდეგობა ლეგიტიმურობასა და კანონიერებას შორის. მათი კონფლიქტი კი არის პოლიტიკური რეჟიმის ტრანსფორმაციის მამოძრავებელი საწყისი რევოლუციურ და პოსტრევოლუციურ ეპოქებში.<sup>41</sup> ეს ფენომენი კი ნამდვილად არ არის ახალი ისტორიაში.

მაგალითად, თავის კლასიკურ ნაშრომში საფრანგეთის რევოლუციის პოლიტიკური ისტორიის შესახებ ა. ოლარმა შეადარა რა ერთმანეთს იაკობინელებისა და ჟირონდისტების კონსტიტუციური პროექტები, მათი პრინციპული სხვაობა აღმოაჩინა იმაში, რომ პირველები საზოგადოებას სთავაზობდნენ უფრო მეტ დემოკრატიას, მაგრამ ნაკლებ თავისუფლებას, ხოლო მეორენი მეტ ყურადღებას უთმობდნენ არა სოციალურ თანასწორობას, არამედ პიროვნების პოლიტიკური უფლებების გარანტიებს. შემდეგი პრინციპული განსხვავება მათ შორის მდგომარეობდა საკანონმდებლო ხელისუფლების სუვერენიტეტის წინააღმდეგობაში წარმომადგენლობითი მმართველობის პრინციპთან. კონსტიტუციური შესწორებების მთელი ლოგიკა როგორც მაშინ, ისე ეხლაც განისაზღვრებოდა სხვა-

<sup>41</sup> К. Шмидт, Политическая романтика, М., 2002, гл. 38.

დასხვა პოლიტიკური ძალების მისწრაფებით, მოეხდინათ სახელმწიფო ხელისუფლებაზე თავისი უფლების ლეგიტიმაცია. ამას უკავშირდება პრაგმატიზმიც კონსტიტუციურ შესწორებებთან მიმართებაში, რომელთა უმრავლესობა აღმოცენდებოდა და ქრებოდა არა იმდენად პრინციპული შეხედულებებიდან, რამდენადაც ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური ჯგუფების ტაქტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

ამდენად, პოსტრევოლუციურ საქართველოში ძველი და ახალი მართლწესრიგის დაპირისპირების ძირითადი წყალგამყოფი გახდა 1995 წლის კონსტიტუცია, ხოლო ხელისუფლებისათვის ბრძოლის ინსტრუმენტი – მოქმედ უზენაეს კანონში არსებითი შესწორებების შეტანა.

საერთოდ, კონსტიტუციის გადასინჯვა და, მით უმეტეს, „საკონსტიტუციო რეფორმა“ წარმოადგენს სამართლის განსაზღვრული პოლიტიკის გატარების ძირითად საშუალებას. მისი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ საუბარი ენება კონსტიტუციის გადასინჯვას, რომელიც განხორციელდა პოლიტიკური დაპირისპირების პირობებში. თანაც, პოსტრევოლუციურ პერიოდში ამ დაპირისპირების შედეგზე ბევრად იყო დამოკიდებული მთელი პოლიტიკურ-სამართლებრივი მოდერნიზაციის ვექტორი.

ამდენად, 2004 წელს განხორციელებული „საკონსტიტუციო რეფორმა“ იყო პოსტრევოლუციური განწყობილებაც და გარდაუვალი აუცილებლობაც. პირველ შემთხვევაში, ეს იყო საზოგადოების მისწრაფება ნოვატორული განვითარებისა და უკეთესი მომავლისაკენ, ხოლო მეორე შემთხვევაში – პოსტრევოლუციური ხელისუფლების თამამი ნაბიჯი ინსტიტუციური სრულყოფისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ. პირველის შეფასება გაცილებით ადვილია, მეორისა კი – დროს მოითხოვს. უსამართლობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ განხორციელდა ოპტიმალური „საკონსტიტუციო რეფორმა“ ინსტიტუციური სრულყოფის „გარდაუვალი აუცილებლობის“ თვალსაზრისით, მაგრამ კიდევ უფრო მეტი უსამართლობა იქნება ვამტკიცოთ, რომ უნდა შენარჩუნებულიყო ძველი დისკრედიტირებული სისტემა და ის, რაც გააკეთდა, არ უნდა გაკეთებულიყო.

ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპის ძირითადი ტენდენცია მდგომარეობს ნომინალური კონსტიტუციონალიზმიდან რეალური კონსტიტუციონალიზმის დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლაში, რომელიც უფრო წინსვლის პერსპექტიული მიზანია, ვიდრე მიღწეული შედეგი. ამ თვალსაზრისით „საკონსტიტუციო რეფორმა“ გარკვეული სიანხლე შემოგვთავაზა, თუმცა ხარვეზები კვლავ შეიმჩნევა, ხარვეზები კონსტიტუციაში და ის, თუ ვინ, რა სახით და რა მიმართულებით უნდა გამოასწოროს ისინი, არის სწორედ თანამედროვე საკონსტიტუციო დისკუსიის ცენტრალური საკითხი. სამართლის კლასიკურ თეორიასა და თანამედროვე სამართლებრივ ლიტერატურაში არსებობს ხარვეზების პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა მიდგომა. თუ ვიხელმძღვანელებთ ჰანს კელზენის ნორმატივისტული მოძღვრებით, მაშინ ხარვეზის პრობლემა საერთოდ არ არსებობს, რადგანაც კონსტიტუციური ნორმების განმარტების გზით შეიძლება შეივსოს ნებისმიერი ხვრელი სამართალში.<sup>42</sup> გ. ელინეკი თვლიდა, რომ სახელმწიფო სამართალი<sup>43</sup> ხარვეზის გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია, ხოლო სამართლის მთელი ისტორია არის ბრძოლა ამა თუ იმ ხარვეზის ინტერპრეტაციისა და მათი სამართლებრივი გაანალიზებისათვის.<sup>44</sup> ამ გაგებით კლასიკური იურისპრუდენცია საუბრობდა სამართლის პოლიტიკის შესახებ. საინტერესოა დისკუსია არა იმაზე, თუ რა გვევლინება ხარვეზად კონსტიტუციურ კანონმდებლობაში, არამედ — უფრო პრაგმატული კითხვა: როგორ გაიაზრეს სხვადასხვა კონსტიტუციური შესწორებების ავტორებმა ხარვეზის პრობლემა და როგორია კონსტიტუციური გარდაქმნების ის პროგრამა, რომელიც ობიექტურად გამომდინარეობს ამ მიდგომიდან? იმ პირობებში, როცა საქართველოში ფაქტობრივად არავინ განმარ-

---

<sup>42</sup> Чистое учение о праве Ганса Кельзена: Сборник переводов. Вып. 2. М., 1988, გვ. 183.

<sup>43</sup> გერმანიაში ოდიოგანვე „კონსტიტუციურ სამართალს“ ეწოდება „სახელმწიფო სამართალი“.

<sup>44</sup> Елинек Г., Конституции, их история и значение в современном праве, СПб., Право, 1906, გვ. 27-28.

ტავს კონსტიტუციურ ნორმებს, პრობლემის არა ნაკლებ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს საკითხი ამ პროგრამის რეალიზაციის კონკრეტული მექანიზმის შესახებ, კერძოდ, რამდენად ეწერებიან მოქმედ კონსტიტუციურ ნორმებში და რამდენად უარყოფენ მოცემულ უზენაეს კანონს წარმოდგენილი შესწორებები, ანუ ავითარებენ არსებულ კონსტიტუციას საკონსტიტუციო რეფორმის გზით, თუ ხდება ახალი კონსტიტუციის შემოთავაზება?

ფიქრობთ, მიზანშეწონილია კონსტიტუციური შესწორებების კლასიფიკაცია სამართლებრივი რეგულირების პრობლემური სფეროდან. ამის შესაბამისად შეიძლება გმოვყოთ: კონსტიტუციური სისტემის ზოგადი საფუძვლები; ხელისუფლების დანაწილების პრობლემა; პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლები. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ აღვიქვათ „საკონსტიტუციო რეფორმის“ არსი და მნიშვნელობა.

### 3.2.2. მმართველობის ახალი მოდელი – ახალი რეალობა: კონსტიტუციური შესწორებები თანამედროვე ეტაპზე

კონსტიტუციის გადასინჯვა ნებისმიერ შემთხვევაში გარკვეულ მიზნებს ემსახურება. მან ხელი უნდა შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მოდერნიზაციის ამოცანების გადაწყვეტას გლობალური სოციალური განვითარების ახალი და საკმაოდ მძლავრი ფაქტორების გათვალისწინებით. მაგრამ მთავარი ინტერესი კონსტიტუციური შესწორებების ავტორებისა მანც არის სხვა რამ. ეს არის ხელისუფლება, რომელიც გამარჯვებულს მისცემს ზემოთ აღნიშნული სხვა პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას.

სწორედ ამიტომ, პოსტრევოლუციური პოლიტიკური პროცესის მსვლელობისას საქართველოში პრაქტიკული აქტუალობა შეიძინა საკითხმა მმართველობის ფორმის შესახებ. შემთხვევითი არ არის, რომ 2004 წლის თებერვალში წარმოდგენილი კონსტიტუციური შესწორებების უმრავლესობა შეეხებოდა ხელისუფლების გადანა-

წილების პრობლემას და შესაბამისი სახელისუფლო ინსტიტუტების – პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის უფლებამოსილებებს. თუ გადავანაწილებთ ყველა შემოთავაზებულ შესწორებას კონსტიტუციის თავების მიხედვით, დავინახავთ, რომ ყველაზე მეტი რაოდენობა შეეხო მე-3 თავს – „საქართველოს პარლამენტი“ (შევიდა 7 შესწორება, შესაბამისად, 49-ე, 50-ე, 59-ე, მე-60, 67-ე და 68-ე მუხლებში და დაემატა სრულიად ახალი 51<sup>1</sup>-ე მუხლი), მე-4 თავს – „საქართველოს პრეზიდენტი“ (შევიდა 7 შესწორება, შესაბამისად, 69-ე, 70-ე, 72-ე, 73-ე, 76-ე და 77-ე მუხლებში და დაემატა 76<sup>1</sup>-ე მუხლი), ხოლო მე-4<sup>1</sup> თავი – „საქართველოს მთავრობა“ თითქმის მთლიანად სიახლეა. გარკვეული ცვლილებები შეეხო კონსტიტუციის მე-2 თავს (მე-12, 46-ე მუხლები), მე-5 თავს (82-ე მუხლი, 91-ე მუხლი კი საერთოდ ამოღებულია), მე-6 თავს (93-ე მუხლი) და მე-7 თავს (მე-100 მუხლი).

კონსტიტუციური შესწორებების შინაარსის გაცნობისას რთული არ არის შევამჩნიოთ, რომ პოსტრევოლუციური პოლიტიკური პროცესის მსვლელობისას საქართველოში პრაქტიკული აქტუალობა შეიძინა საკითხმა მმართველობის ფორმის შესახებ. როგორც ცნობილია, 1995 წლის კონსტიტუციამ იმთავითვე დაადგინა მმართველობის საპრეზიდენტო მოდელი, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ის კლასიკური ნიმუშის ეტალონს წარმოადგენდა. ისიც აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის მცდელობა ამ მიმართებით „ვარდების რევოლუციამდე“ ჯერ კიდევ ორი წლით ადრე დაიწყო, თუმცა, წარმოდგენილი პროექტის არასრულყოფილების გამო საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფების მიერ ის დაწუნებული იქნა. მიუხედავად ამისა, დისკუსია კვლავ გრძელდებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, აშკარად გაიყო პოლიტიკური პარტიების შეხედულებებიც. ნაწილი მხარს უჭერდა საპრეზიდენტო მმართველობის შენარჩუნებას თავისი შესაძლო სრულყოფის ვარიანტებით, ხოლო მეორენი ემზრობოდნენ საპარლამენტო მმართველობის შემოღებას.

საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრეებს მიაჩნდათ, რომ, ჯერ ერთი, ეს ფორმა ყველაზე დემოკრატიული და, შესაბამისად, პროგრესულია; მეორე, რომ მან უკვე გაამართლა ევროპის რიგ ქვეყ-

ნებსი კრიზისული სიტუაციების გადაწყვეტისას; მესამე, რომ მის ალტერნატიულ საპრეზიდენტო სისტემას აქვს უფრო მეტი ნაკლი, ვიდრე უპირატესობა კრიზისულ პირობებში. მათი აზრით, საპარლამენტო სისტემა ქმნის ინსტიტუციურ ფარგლებს სოციალური თანხმობისათვის – დაპირისპირებულ მხარეებს შორის სოციალური პაქტის რეალიზაციისათვის, პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებისა და დემოკრატიაზე გადასვლის მიზნით. პირიქით, ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება ქმნის სხვადასხვა ხელისუფლებებს შორის მკვეთრი კონფლიქტების საფრთხეს, პირველ რიგში, პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის და შესაძლებელია გამოიწვიოს დიქტატურის საფრთხე.

საპრეზიდენტო მმართველობის ფორმის მომხრეები, პირიქით, გამოდიოდნენ იქიდან, რომ მწვავე პოლიტიკური კრიზისის პირობებში რეფორმატორულად განწყობილი საპრეზიდენტო ხელისუფლება წარმოადგენს პოზიტიურ ფაქტორს. სახელდებოდა დამატებითი არგუმენტებიც, მათ შორის, საქართველოს გეოპოლიტიკური, ეროვნული და ისტორიული თავისებურებები, ასევე ისეთი არგუმენტები, როგორც იყო სამოქალაქო საზოგადოების არარსებობა, დემოკრატიის პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე, პოლიტიკური პარტიების არასრულყოფილი სისტემა და ა.შ.

ეს პრინციპული უთანხმოება კონცენტრირდებოდა პრეზიდენტისა და პარლამენტის ურთიერთობის პრობლემაზე, იმ ნიუანსების გარკვევაზე, თუ რომელი მხარის სასარგებლოდ გადაწყდებოდა შესაძლო ცვლილებები, ასევე უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის შესახებ, როგორც მთავრობასა და პარლამენტს შორის კონფლიქტის გადაწყვეტის ძირითად ინსტრუმენტზე.

2004 წლის 6 თებერვალს მიღებული იქნა კონსტიტუციური შესწორებების მთელი პაკეტი. საბოლოო ვარიანტის მიხედვით, საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან გარდაიქმნა ნახევრად-საპრეზიდენტო, ანუ შერეული ფორმის რესპუბლიკად. ამას ადასტურებს როგორც კონსტიტუციის შინაარსი, ისე შეტანილი შესწორებების საფუძველზე განზოგადებული მსოფლიო გამოცდილება. ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელის კონცეფციის შემქმნელი ფრანგი



სახელმწიფოთმცოდნე მ. დუვერჟე თვლიდა, რომ ის ხასიათდება არა მხოლოდ ძლიერი და საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტით, არამედ ასევე მთავრობითაც, რომელიც ხელისუფლებაში რჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება პარლამენტის ნებას. ამასთან, მართალია, პრეზიდენტი აღჭურვილია ცალკეული ფუნქციებით, უხელმძღვანელოს მთავრობას, თუმცა მთავრობას ჰყავს თავისი თავმჯდომარე, თავისი მეთაური. პრეზიდენტი კი წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურს და, პირველ ყოვლისა, აქვს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად.

ეს დებულებები თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება საქართველოს კონსტიტუციაში. კერძოდ, 69-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ახალი რედაქციით საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური (ძველი რედაქციით საქართველოს პრეზიდენტი იყო როგორც სახელმწიფოს, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური), ხოლო კონსტიტუციის 70-ე მუხლის თანახმად, მთავრობის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე არსებულ მოდელში მთავრობა, როგორც კოლეგიური ორგანო არ არსებობდა. შესაბამისად, არ იდგა მისი კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხიც. მთავრობა ძირითადად ასრულებდა პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს ფუნქციას. კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ კი, პირიქით, მთავრობა წარმოგვიდგა როგორც კოლეგიური ინსტიტუციური წარმონაქმნი, რომელიც პასუხისმგებელია როგორც პრეზიდენტის, ისე პარლამენტის წინაშე.

კონსტიტუციური შესწორებების შემდგომ საქართველოს ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკად გარდაქმნის ფაქტს ადასტურებს ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების სისტემის ის მექანიზმები, რომლებიც მანამდე უცხო იყო საქართველოს კონსტიტუციისათვის. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, როგორც წესი, საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს არ აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება, ისევე როგორც არ არსებობს მთავრობის მთელი შემადგენლობისადმი უნდობლობის გამოცხადების პროცესუალური კონსტიტუციური მექანიზმი. ანუ ახალ

მოდელში პრეზიდენტს ეძლევა უფლება შესაბამის კრიზისულ სიტუაციაში გადააყენოს მთავრობა ან დაითხოვოს პარლამენტი, ხოლო პარლამენტი, თავის მხრივ, უფლებამოსილია აღძრას პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი (იმპიჩმენტის პროცედურა) და გამოიყენოს უნდობლობის გამოცხადების მექანიზმი მთავრობის შემადგენლობის მიმართ.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში 2004 წლის თებერვალში შეტანილი შესწორებების ანალიზი ცხადყოფს, რომ საგრძნობლად გაფართოვდა პრეზიდენტის კომპეტენცია, რომელიც მოცემულ შემთხვევაში აღჭურვილია რეალური უფლებამოსილებებით და ასრულებს ერთგვარი არბიტრის როლს მთავრობასა და პარლამენტს შორის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა მათი შეუთანხმებელი მოქმედებით აღმოცენდება მწვავე პოლიტიკური კრიზისი.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ცვლილებებით უფრო მობილური და აქტიური გახდა მთავრობასა და პარლამენტს შორის ურთიერთობა, შემდგომი სრულყოფის სურვილს ტოვებს საკითხი პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდის შესახებ სახელისუფლო წონასწორობის შენარჩუნების სფეროში, ვინაიდან ის პროცედურა, რომელიც შეეხება პარლამენტის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებას, ფაქტობრივად არა თუ ძნელად განსახორციელებელი, არამედ შეუსრულებელიც კია. ამ შემთხვევაში საუბარია კონსტიტუციის 81-ე მუხლის მე-2 პუნქტზე.

როგორც ვხედავთ, კონსტიტუციური ცვლილებები მართლაც მასშტაბურია და მათ დეტალებს შესაბამის პარაგრაფებში განვიხილავთ.

## თავი IV

### საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობილების საფუძვლები

#### §1. საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობილების ცნება და სტრუქტურა

##### 4.1.1. საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობილების ცნება და ელემენტები

კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობილება საკმაოდ ფართო და მრავლისმომცველი ცნებაა. საკონსტიტუციო სამართლის მეცნიერებისათვის მას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი ძირითადი ნიშნების შესწავლა ორგანულადა დაკავშირებული ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ხელისუფლების ბუნების გამოვლენასთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად უპირისპირებენ ერთმანეთს „კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობილების საფუძვლები-სა“ და „საზოგადოებრივი წყობილების კონსტიტუციური საფუძვლები“ ცნებებს.

მაგალითად, ავტორთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ კონსტიტუციური წყობილება არის საზოგადოებრივი წყობილების შემადგენელი ნაწილი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მის კონსტიტუციურ საფუძვლებს.<sup>45</sup>

მეორე ნაწილის აზრით, კონსტიტუციური და საზოგადოებრივი წყობილება ფაქტობრივად ერთი და იგივეა.<sup>46</sup>

---

<sup>45</sup> Урьяс Ю.П., Политический механизм ФРГ, М., 1978, გვ. 44; Зельцер Н.В., Сущность общественного строя, Минск, 2002, გვ. 19; Вовнейко А.З., Конституционный строй в Восточной Европе, Казань, 2000, გვ. 76.

<sup>46</sup> Лысенко Н.М., Общественно-политическая структура (сравнительный анализ), М., 2003, გვ. 31-32.

ზოგიერთი საერთოდ არ იყენებს კონსტიტუციური წყობილების საფუძვლების. მაგალითად, პროფ. ვ. ლაზარევის რედაქციით გამოცემულ სახელმძღვანელოში – „კონსტიტუციური სამართალი“, საუბარია არა კონსტიტუციურ წყობილებაზე, არამედ ადამიანისა და მოქალაქის მდგომარეობის, სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფო წყობილების კონსტიტუციურ საფუძვლებზე, ანუ საუბარია კონსტიტუციური წყობილების შემადგენლობაზე ამ უკანასკნელის მოხსენიების გარეშე.<sup>47</sup>

ცნობილი კონსტიტუციონალისტი ბ. სტრამუნი წერს საზოგადოებრივი წყობილებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების კონსტიტუციურ საფუძვლებზე.<sup>48</sup> ასეთი მიდგომა შესაძლებელია მეცნიერული ანალიზისას, მაგრამ არ ყოფს ერთმანეთისაგან საზოგადოებრივ წყობილებას და პოლიტიკურ ინსტიტუტებს, რომლებიც თითქოს მოქმედებენ საზოგადოების გარეშე. არადა, ადამიანი, საზოგადოება თავის რეალიზაციას ახდენს განსაზღვრული სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მეშვეობით.

ცნობილი მეცნიერები ა. ლეპიოშკინი და ბ. შჩეტიინინი თვლიდნენ, რომ კონსტიტუციურმა სამართალმა უარი უნდა თქვას „საზოგადოებრივი წყობილების“ კატეგორიაზე.

სწორეა ეს თუ არა?

გარკვეულ მოსაზრებათა გამო მოცემული დებულება იმსახურებს მხარდაჭერას. ჩემი აზრით, საზოგადოებრივი წყობილება უფრო ფილოსოფიური და, უპირატესად, ზოგადმეცნიერული კატეგორიაა. ტერმინი „კონსტიტუციური წყობილება“ კი უკვე თავისი სახელწოდებით ხაზს უსვამს კონსტიტუციური სამართლისადმი მის კუთვნილებას. ამიტომ, „საზოგადოებრივი წყობილება“ შეიძლება განიმარტოს, მაგალითად, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემა, რომელიც ახასიათებს საზოგადოებას მისი განვითარების კონკრეტულ ეტაპზე. ხოლო კონსტიტუციური წყობილება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ჩამოყალიბებული კონსტიტუციურ-

<sup>47</sup> Конституционное право, под ред. В.В. Лазарева, М., 1998, гл. 43.

<sup>48</sup> Страшун Б.А., Конституционное (государственное) право зарубежных стран. Общая часть, М., 1996, гл. 67.

სამართლებრივი რეალობა, რომელსაც ქმნის კონსტიტუციური სამართლის ნორმები და მათით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობები.

საქართველოს კონსტიტუციური წყობილება თავისი დემოკრატიული ბუნებიდან გამომდინარე ძირეულად განსხვავდება სოციალისტური ტიპის საზოგადოებრივი წესწყობილებისაგან, რომელიც სულ ახლო წარსულში არსებობდა ჩვენს ქვეყანაში. თუ მანამდე საქართველოს საზოგადოებრივ წესწყობილებას ახასიათებდა წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება, დღეს საქართველოს კონსტიტუციური წყობილება აღსანიშნავია. თავისი ეკონომიკური თავისუფლებით, ე.ი. წარმოების თავისუფალი წესით, რომელიც ეფუძნება კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს.

საქართველოს კონსტიტუციური წყობილება, რომელიც განამტკიცებს სახალხო მმართველობასა და ხალხის სრულხელისუფლებიანობას, მის სუვერენიტეტს წარმოადგენლობითი ორგანოების სახითა და სხვა დემოკრატიული ფორმებით, უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა მთელი სისტემის დემოკრატიულ ხასიათს.

საქართველოს კონსტიტუციურმა წყობილებამ რეალურად განამტკიცა ადამიანთა საყოველთაოდ აღიარებული თავისუფლებები და სამოქალაქო უფლებები და ამდენად, გვეკლინება მათ დემოკრატიულ საფუძვლად.

საქართველოს კონსტიტუციური წყობილება არის ისეთი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტის საფუძველი, როგორცაა საქართველოს საარჩევნო სისტემა. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან მთლიანად სახელმწიფოს წყობილების უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს სწორედ თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები.

როგორც ვხედავთ, კონსტიტუციური წყობილების საფუძვლები აერთიანებს ადამიანს, საზოგადოებას და სახელმწიფოს და იმავედროულად არ ხელყოფს მათ დამოუკიდებელ როლს. განომდინარე აქედან, საქართველოს კონსტიტუციური წყობილება გულისხმობს სახელმწიფოს ორგანიზაციის ერთგვარ ფორ-

მას, ადამიანს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციით დადგენილ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების, სახალხო ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს აღიარება და დაცვა.

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს კონსტიტუციურ წყობილებას, ხოლო კონსტიტუციური სამართალი – მთლიანად წყობილებას, როგორც სამართლებრივი რეგულირებისა და დაცვის დამოუკიდებელ საგანს. სამართლის ყველა სხვა დარგი ვალდებულია თავისი საშუალებებით უზრუნველყოს და დაიცვას კონსტიტუციური წყობილება. ამასთან, კერძო სამართლის დარგები უმეტესად ორიენტირებულია ადამიანის, სახელმწიფოს, მოქალაქეთა გაერთიანებების ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების უზრუნველსაყოფად და დასაცავად. საჯარო სამართლის დარგები კი უზრუნველყოფენ საჯარო მართლწესრიგს, სახელმწიფო მექანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას, ადამიანისა და ხალხის ინტერესების დაცვას.

საქართველოს კონსტიტუციაში კონსტიტუციურ წყობილებას საგანგებო თავი არ აქვს დათმობილი. უფრო მეტიც, თავად ტერმინი „კონსტიტუციური წყობილება“ არც მოიხსენიება, მაგრამ მასთან დაკავშირებული საკითხები მოცემულია როგორც კონსტიტუციის პირველ თავში – „ზოგადი დებულებები“, ისე პრეამბულასა და სხვადასხვა დებულებებში.

მაგალითად, კონსტიტუციის პრეამბულაში გამოხატულია საქართველოს მოქალაქეთა ნება „დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“.

კონსტიტუციის მე-5 მუხლით საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებით;

კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულია კანონის წინაშე ყველა ადამიანის თავისუფლება და თანასწორობა;

კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული და უზრუნველყოფილია საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება;

კონსტიტუციის 49-ე მუხლით კი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით და სხვ.

ძირითადი კონსტიტუციური დებულებები, რომლებიც ქმნიან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობილების საფუძვლებს, კონსტიტუციის სხვა მუხლებშიც ვლინდება. თუმცა, ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც შეიძლება დავადგინოთ ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც გააჩნია კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობილების საფუძვლებს ქართული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარებისა და ნორმალური ფუნქციონირების საქმეში.

როდესაც ვსაუბრობთ კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობილების სტრუქტურის შესახებ, მხედველობაშია სამი ძირითადი ქვესისტემა: პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკური სისტემა და სოციალური სისტემა (სტრუქტურა). უკანასკნელ პერიოდში თავისი მნიშვნელობის ზრდის ტემპებიდან გამომდინარე მას ემატება მეოთხე ელემენტი – სულიერ-კულტურული სტრუქტურა. შესაძლოა, კონსტიტუციური წყობილების ეს კლასიფიკაცია რამდენადმე პირობითია, მაგრამ მეორე მხრივ, ის საკმაოდ მოცულობითია და მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად მიმართულებებს.

კონსტიტუციური წყობილების ხსენებული ქვესისტემები, ელემენტები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და აქტიურად ურთიერთქმედებენ. ისინი დამოკიდებული არიან ერთმანეთზე, თუმცა თითოეულ მათგანს აქვს თავისი სპეციფიკა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციაში კონსტიტუციური წყობილების განმტკიცება სულაც არ ნიშნავს, რომ ამით ავტომატურად ხდება ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციური ხასიათის უზრუნველყოფა. ამ ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელია მოცემული საფუძვლების პრაქტიკული რეალიზაცია.

#### 4.1.2. ადამიანი საქართველოს კონსტიტუციური წყობილების სისტემაში

თანამედროვე საქართველოს კონსტიტუციური წყობილების სისტემაში ჩადებულია ადამიანის, მისი უფლებებისა და თავისუფლებების წარუვალ და უზუნაეს ღირებულებებად ცნობის პრეზუმფცია. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი კონსტიტუციურ-სამართლებრივად განამტკიცებს ცივილიზებული სამყაროს განვითარების უმთავრეს პრიორიტეტს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის კონსტიტუციური წყობილების საყრდენი ღერძი, რომლის ირგვლივ შენდება დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო და რისთვისაც იწერება თავად კონსტიტუცია.

ადამიანის, მისი უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც უმაღლესი ღირებულების პრიორიტეტულობის პრინციპი აღწევს საქართველოს კონსტიტუციის მთელ შინაარსში. ეს კონსტიტუციური რეალობაა, რომელმაც უნდა განსაზღვროს კანონშემოქმედებისა და კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა.

ასეთი მიდგომა აშკარად ეწინააღმდეგება სოციალისტურ ანალოგიას. სოციალიზმის დროს ტრადიციულად პრიორიტეტი ენიჭებოდა კოლექტიური სახის ღირებულებებს, მათ შორის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, ხოლო ადამიანის, როგორც ინდივიდის როლი საერთოდ უარყოფილი იყო. აქედან გამომდინარეობდა იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი კრებითი ხასიათის სახელწოდებები: „საერთო-სახალხო სახელმწიფო“, „საერთო-სახალხო საკუთრება“, „კოლექტიური მეურნეობა (კოლმეურნეობა)“ და ა.შ. იყო დრო, როცა ეს ღირებულებები გამოიყენებოდა რეპრესიების თეორიულ არგუმენტებად, რომლებიც მიმართული იყო ადამიანთა დათრგუნვისა და ფიზიკური განადგურებისაკენ.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციური წყობილება ემყარება ადამიანის პრიორიტეტს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნაბიჯი გადავდგათ მეორე უკიდურესობისაკენ და შევქმნათ საპირისპირო ფორმულა: ადამიანი – სახელმწიფო, საზოგადოება. სხვათა შორის, ხშირად ამტკიცებენ, რომ თითქოს



დასავლეთში მოქმედებს ასეთი ფორმულა, რასაც კატეგორიულად ვერ გავიზიარებთ. დასავლეთის ქვეყნების კონსტიტუციებში და მთლიანად სამართალში ვერსად შევხვდებით, ერთი მხრივ, ადამიანისა და, მეორე მხრივ, საზოგადოებისა და სახელმწიფოს პირდაპირ დაპირისპირებას. უფრო მეტიც, ევროპის ქვეყნებში ჭარბობს პირადი ინტერესების დაქვემდებარება საზოგადოებრივი ინტერესებისადმი. ეს საკმაოდ მკაფიოდ არის განმტკიცებული გფრ-ის ძირითად კანონში ძირითადი უფლებების ჩამორთმევის ინსტიტუტის სახით იმ ადამიანებისათვის, ვინც ბოროტად სარგებლობს ამ უფლებებით „თავისუფალი დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად“ (გფრ-ის კონსტიტუციის მე-18 მუხლი).

საქართველოს კონსტიტუციისა და აქედან გამომდინარე კონსტიტუციური წყობილების მთელი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მართალია მათ იურიდიულად შეცვალეს პრიორიტეტები ინდივიდუალური ღირებულებების სასარგებლოდ, მაგრამ იმავდროულად აღადგინეს გარკვეული ბალანსი ინდივიდუალურ და კოლექტიურ ღირებულებებს შორის. ჩემი აზრით, მხოლოდ ამ საფუძველზეა შესაძლებელი ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისა და ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელთა სისუსტე პირველ რიგში ანგრევს ინდივიდუალური ღირებულებების პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის ნორმები, რომლებიც ეძღვნება ადამიანისა და მოქალაქის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, არ შეიძლება განვიხილოთ ადამიანის, მისი უფლებებისა და თავისუფლებების უზენაეს ღირებულებად ცნობის პრინციპთან კავშირის გარეშე, არ შეიძლება შევიდეს მასში შესწორებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ პრინციპს.

ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები სახელმწიფომ უნდა დაიცვას სხვადასხვა მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმებით. უწინარესად, აუცილებელია სასამართლოს წესით დაცვის უფლების უზრუნველყოფის ეფექტიანი გარანტიები. თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან ასეთივე ძალისხმევას მოითხოვს ადამიანთა დაცვის უზრუნველყოფა მატერიალურ და კულტურულ

სფეროებში. ამ შემთხვევაში საუბარია სოციალურ გარანტიებზე, რაც გამოიხატება ადამიანებისათვის სასიცოცხლო მინიმუმის, სოციალური დახმარების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვათა უზრუნველყოფაში.

ლოგიკურად ისმება კითხვა: იმ პირობებში, როცა ქვეყანაში იზრდება დამნაშავეობა, სახეზეა მასობრივად გაღარიბებული მოსახლეობა და უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები, თავის მოტყუება და ცინიზმი ხომ არ არის, აღფრთოვანებით ვისაუბროთ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლზე, რომელიც ადამიანს, მის უფლებებსა და თავისუფლებებს ცნობს უზენაეს ღირებულებად? შესაძლოა, დღეს ის მართლაც ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. ამას მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზი აქვს. მაგრამ იმედი იმისა, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება, ჯერ კიდევ ცოცხლობს ადამიანებში. თანაც საქართველოს კონსტიტუციაში ჩადებული დემოკრატიული პოტენციალი მყარი საფუძველია იმისათვის, რომ ადამიანებმა საქართველოში იბრძოლონ თავიანთი უფლებების, თავიანთი ადამიანური ღირსების დასაცავად. აკი გაიბრძოლეს და მოიგეს კიდევ.

#### 4.1.3. სახალხო ხელისუფლების ცნება და განხორციელების ფორმები

საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ერთ-ერთ ფუძემდებლურ საწყისს წარმოადგენს სახალხო ხელისუფლება.

ხალხი კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგებით არის საქართველოს მოქალაქეთა ერთობლიობა. უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები აღნიშნული თვალთახედვით არ მიეკუთვნება აღნიშნულ კატეგორიას.

საქართველოს კონსტიტუციაში განმტკიცებულია სახალხო ხელისუფლების ნიშნები, მისი რეალიზაციის მექანიზმი, ზოგად ფარგლებში ჩამოყალიბებულია ხალხის ხელისუფლების ლეგიტიმურობის კონსტიტუციური გარანტიები.

როდესაც ვსაუბრობთ სახალხო ხელისუფლებაზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ ორი უმთავრესი კატეგორია, რომლებიც

ორგანულადაა შერწყმული სახალხო ხელისუფლების ცნებაში. ესენია „სახალხო სუვერენიტეტი“ და „ხელისუფლების წყარო“.

სახალხო სუვერენიტეტი, როგორც იდეა და კონსტიტუციური პრინციპი აღმოცენდა ჯერ კიდევ XVII-XVIII ს.ს.-ში. იმ პერიოდის სამართლებრივ აქტებში ეს პრინციპი ასაბუთებდა და განამტკიცებდა ხალხის, როგორც სოციალური ერთობის ადგილსა და როლს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. სახალხო სუვერენიტეტით განისაზღვრება ხალხის სრულხელისუფლებიანობა და უზენაესობა. სახალხო სუვერენიტეტი არის ხალხის ხელისუფლების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების კონსტიტუციური პრინციპი. ხალხი, გამოდის რა სუვერენად ცხოვრების ყველა სფეროში, თავად განსაზღვრავს, როგორ მოახდინოს საკუთარი ნების ორგანიზება და რეალიზაცია. ის ამას აკეთებს სწორედ კონსტიტუციის მეშვეობით.

ხალხის ხელისუფლების საფუძველში დევს მისი ნება, რომელიც რეალიზდება სხვადასხვა სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი ფორმების მეშვეობით. ამიტომ შემთხვევითი არ არის საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტში ჩამოყალიბებული დებულება: „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“. სწორედ ხალხის ნება ანიჭებს ლეგიტიმურობის ხარისხს სახელმწიფო ხელისუფლებას, ყველა მის ფორმას.

საქართველოს კონსტიტუციით სახალხო ხელისუფლება ხორციელდება უშუალო და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმებით. საქართველოში ეს სახალხო ხელისუფლების პრინციპულად ახალი კონსტიტუციური სისტემაა. გასაგებია, რომ ხალხი თავის ხელისუფლებას ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით, მაგრამ იმავდროულად მოქმედი კონსტიტუციით განისაზღვრება მისი განხორციელების ახალი არხი, როგორც არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც არ შედიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციამ მკაფიოდ მიგვითითა, რომ აუცილებელია განვასხვავოთ სახალხო ხელისუფლების კონსტიტუციური სისტემა და სახელმწიფო ხელისუფლების

კონსტიტუციური სისტემა. ასეთი განსხვავება მნიშვნელოვანია ხალხის ხელისუფლების ბუნების გარკვევისათვის, მისი კონსტიტუციური საფუძვლებისა და სამართლებრივი მექანიზმის განხორციელებისათვის.

ხალხი თავის ხელისუფლებას ახორციელებს დემოკრატიის ორი ფორმით: უშუალო (პირდაპირი) და წარმომადგენლობითი ფორმით. ამ უკანასკნელის რეალიზაცია, პირველყოვლისა, ხდება წარმომადგენლობითი დაწესებულებების და სხვა არჩევითი ორგანოების მეშვეობით. სხვათა შორის, დღესაც მიმდინარეობს დისკუსია იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა ხალხის ხელისუფლების განხორციელების ძირითად ფორმას დემოკრატიის წარმომადგენლობითი ფორმა. ვფიქრობთ, საკითხის ამგვარად დასმა არ არის მართებული. საქმე იმაშია, რომ წარმომადგენლობითი ფორმის წინა პლანზე წამოწევით კნინდება სახალხო ხელისუფლების განხორციელების პირდაპირი, უშუალო ფორმის როლი და მნიშვნელობა და მეორეხარისხოვანის იმიჯს იძენს. ეს კი ეწინააღმდეგება სახალხო სუვერენიტეტის კონსტიტუციურ პრინციპსაც. პირდაპირი დემოკრატიის გზით წარმომადგენლობითი ფორმა იურიდიულ უფლებამოსილებას ღებულობს ხალხისაგან იმისათვის, რომ მან ხალხის სახელით განახორციელოს სახელმწიფო ხელისუფლება, ანუ ის ლეგიტიმური და კონსტიტუციური ხდება მხოლოდ ამ უფლებამოსილებათა დელეგირების შემდეგ.

რაც უფრო შერწყმულია დემოკრატიის ეს ორივე ფორმა და რაც უფრო სრულყოფილია მათი ურთიერთქმედების მექანიზმი, მით უფრო ეფექტანია სახალხო ხელისუფლების განხორციელება.

ქართული კონსტიტუციონალიზმი იცნობს სახალხო ხელისუფლების პირდაპირი განხორციელების ისეთ ფორმებს, როგორცაა: არჩევნები, რეფერენდუმი, პლებისციტი, მოქალაქეთა შეკრებები, პეტიციები, მიტინგები და დემონსტრაციები, საყოველთაო-სახალხო განხილვები. მათი გარკვეული ნაწილი ატარებს იმპერატორულ ხასიათს და არ საჭიროებს სანქციონირებას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, ნაწილს კი აქვს საკონსტიტუციო ხასიათი. თუმცა, ზემოთ ხსენებული ინსტიტუტების განსხვავებული იურიდიული ბუნების მიუხედავად, მათი ზეგავლენა სახელმწიფო მნიშ-

ვნელობის გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმზე ყოველთვის დიდია, ვინაიდან მათში ვლინდება ხალხის ნება.

ხალხის პირდაპირი ნების გამოვლინების ინსტიტუტების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგლამენტაცია სხვადასხვაა. როგორც წესი, რეფერენდუმი და არჩევნები ხასიათდება, როგორც ხალხის ნების უშუალო გამოვლინების უმაღლესი ფორმა. კონსტიტუციურად დადგენილია იმ გადაწყვეტილებების უმაღლესი იურიდიული მნიშვნელობა, რომლებიც მიიღება რეფერენდუმზე და თავისუფალი არჩევნების შედეგად.

რეფერენდუმი არის უშუალო დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ საკითხზე ამომრჩევლების მონაწილეობა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრაში.<sup>49</sup> საქართველოს კონსტიტუცია რეფერენდუმს, როგორც სახალხო ხელისუფლების გამოვლინების უშუალო ფორმას მოიხსენიებს მე-5 და 74-ე მუხლებში.

რეფერენდუმის დანიშნვისა და ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლითა და საქართველოს 1996 წლის 15 მაისის ორგანული კანონით „რეფერენდუმის შესახებ“.

რეფერენდუმის პროცედურის ძირითადი განსხვავება არჩევნების პროცედურისაგან მდგომარეობს ამომრჩეველთა ნების გამოვლინების ობიექტში. არჩევნებისაგან განსხვავებით, რეფერენდუმის დროს ობიექტს წარმოადგენს არა რაიმე ასარჩევ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ან კანდიდატთა სია, არამედ განსაზღვრული საკითხი, რომელზეც ეწყობა რეფერენდუმი. თუ არჩევნების შედეგები განისაზღვრება როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემით, რეფერენდუმის შედეგები განისაზღვრება მხოლოდ მაჟორიტარიზმის პრინციპის საფუძველზე.

საქართველოს კონსტიტუცია და შესაბამისი ორგანული კანონი განსაზღვრავენ როგორც რეფერენდუმის დანიშნვისა და ჩატარების წესს, ასევე იმ საკითხებს, რომლებზეც გამოირიცხულია რეფერენდუმის ჩატარება.

---

<sup>49</sup> პაატა ცნობილამე, კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი (ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი), თბ., 1998, გვ. 132.

რეფერენდუმს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. პრეზიდენტი ამას აკეთებს ან საკუთარი ინიციატივით, ან საქართველოს პარლამენტის, ან არა ნაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით.

საქართველოში რეფერენდუმის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ კატეგორიულად დაუსვებელია რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად. ძნელი სათქმელია, რამდენად შეესაბამება მოცემული დებულება სახალხო ხელისუფლების პრინციპს, მაგრამ ალბათ უმჯობესი იქნება, თუ მომავალში გადაისინჯება მისი შინაარსი და თუნდაც ნაწილობრივ მაინც განვითარდება ამ უფლების გაფართოების პერსპექტივით. ჩემი აზრით, ისეთ ქვეყანაში, როგორც არის საქართველო, არსებობს საკანონმდებლო საკითხთა გარკვეული წრე, რომელთა გადაწყვეტა უნდა იკისროს უშუალოდ ხალხმა და მათზე პასუხისმგებლობა არ უნდა აიღოს მხოლოდ ხელისუფლებამ (თუნდაც, ტერიტორიული მოწყობის, გარკვეულ საკითხებზე კონსტიტუციის გადასინჯვის სფეროში და ა.შ.).

სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით საინტერესოა შვეიცარიის გამოცდილება. შვეიცარიის კონსტიტუციის 89-ე მუხლი აღიარებს უშუალო დემოკრატიის ისეთ ინსტიტუტს, როგორც არის სახალხო ვეტო. ეს არის ე.წ. „გამაუქმებელი“ რეფერენდუმის ნაირსახეობა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მოქალაქეთა ინიციატივით დადგენილი წესით რეფერენდუმის ჩატარებას პარლამენტის მიერ უკვე მიღებული აქტის გასაუქმებლად. ჩემი აზრით, მსგავსი პოლიტიკის დანერგვა საგრძნობლად გაამდიდრებდა სახალხო ხელისუფლების უშუალო გამოვლინების არსენალს.

გარდა ამისა, ასევე იკრძალება რეფერენდუმის მოწყობა ამნისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

კანონმდებლობა ადგენს ასევე იმ გარემოებებს, რომლებიც გამოირიცხავენ რეფერენდუმის ჩატარებას. კერძოდ, რეფერენდუმის შესახებ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, რეფერენდუმის გამართვა არ

შეიძლება საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, ქვეყნის საომარ მდგომარეობაში ყოფნისას, მასობრივი არეულობის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განსორციელების შესაძლებლობას.

ამდენად, რეფერენდუმის როლი და მნიშვნელობა შეუფასებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, რეფერენდუმი არის სამოქალაქო განწყობის უებარი მასტიმულირებელი საშუალება. მსოფლიო პრაქტიკისა და გამოცდილების ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს არის მომენტი, როცა პიროვნება მთელი თავისი არსებით შეიგრძნობს, რომ ის მართლაც არის ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე, რომ მისი ნების უშუალო გამოხატვას მნიშვნელობა აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის და, რაც მთავარია, ვიღაცას აინტერესებს მისი აზრი, მისი პოზიცია. ხოლო უბრალო ადამიანებისათვის იმის შეგრძნება, რომ რეფერენდუმში მონაწილეობით ისინი მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში, თუ რაოდენ დადებით ემოციებს იწვევს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, კომენტარს არ საჭიროებს.

თუმცა, სამწუხაროდ, უშუალო დემოკრატიის ქართული პრაქტიკის უახლეს წარსულზე ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით. საუბარი ეხება 2003 წლის ნოემბერში საპარლამენტო არჩევნებთან ერთად დანიშნულ რეფერენდუმს, რომელზეც გამოტანილი იქნა საკითხი პარლამენტის რიცხოვნობის შემცირების შესახებ 235-დან 150 დეპუტატამდე. ეს იყო ხალხისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების საუკეთესო ნიმუში როგორც მისი ინიციატორების, ისე ორგანიზატორების მხრიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს მრავალი მოქალაქისათვის დღემდე გაურკვეველია, ან რატომ დაინიშნა ეს რეფერენდუმი, ან რატომ მოეწყო ის. ჯერ ერთი, კონკრეტული ვადის არარსებობის გამო გაუგებარი იყო, გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში რა მომენტიდან უნდა ამოქმედებულიყო 150 კაციანი პარლამენტის შემადგენლობა: ახალი პარლამენტის არჩევის მომენტიდან თუ 2008 წლის საპარლამენტო

არჩევნების დროს; მეორე, თუ 2003 წლის არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის შემადგენლობისათვის იყო განსაზღვრული ეს კვოტა, მაშინ რატომ ტარდებოდა რეფერენდუმი იმავე საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, თანაც 235 წევრიანი პარლამენტისათვის დადგენილი პირობებით? მესამე, თუ ის გათვალისწინებული იყო 2008 წელს არჩეული პარლამენტისათვის, მაშინ რა აუცილებელი იყო 4 წლით ადრე ასე ნაჩქარევად და მოუშზადებლად რეფერენდუმის დანიშვნა? მეოთხე, იყო კი თავისი შინაარსიდან გამომდინარე, პრაქტიკულად ტექნიკური ხასიათის საკითხი სარეფერენდუმო განხილვის საგანი?

რეფერენდუმზე საკითხის ასეთმა უპასუხისმგებლო და მოუშზადებელმა გატანამ განაპირობა კიდევ მისი საბოლოო ხვედრი: ეს რეფერენდუმი, ალბათ, მსოფლიო პრაქტიკაში ერთადერთია, როცა სავალდებულო ხასიათის საყოველთაო-სახალხო გადაწყვეტილება, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად კონსტიტუციური შესწორება უნდა მოჰყვეს, პირდაპირ სანაგვე ურნაში აღმოჩნდა. შესაძლოა, ამგვარად მოშზადებული საკითხი სამართლიანად იმსახურებდა ასეთ შედეგს, მაგრამ ამ შემთხვევაში აღშფოთების მიზეზი სხვა რამ არის: ყოვლად დაუშვებელია რეფერენდუმისადმი მსგავსი დამოკიდებულება უმაღლესი ხელისუფალის, მისი ინიციატორებისა და ორგანიზატორების მხრიდან ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე კეთილშობილური პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე.

სახალხო ხელისუფლების უშუალო განხორციელების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს აგრეთვე თავისუფალი არჩევნები. თავისუფალი არჩევნები უზრუნველყოფენ მოქალაქეთა ფაქტობრივ და აქტიურ მუდმივ პოლიტიკურ და იურიდიულ მონაწილეობას სახელმწიფოს ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტაში.

თანამედროვე პერიოდში საქართველოში არჩევნების პოლიტიკურ-სამართლებრივი როლი მდგომარეობს შემდეგში: ჯერ ერთი, არჩევნები არის საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ფუძემდებლური პრინციპი; მეორე, არჩევნები არის პირდაპირი დემოკრატიის ინსტიტუტი; მესამე, იურიდიული გაგებით არჩევნების აქტი არის ხალხის მიერ თავისი წარმომადგენლებისათვის – პრეზიდენტისათვის, დეპუტატებისათვის, სხვა თანამდებობის პირებისათვის თავისი



ხელისუფლების განხორციელების უფლების გადაცემის აქტი; მეოთხე, ეს არის ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის დემოკრატიული საშუალება; მეხუთე, ეს არის სახელისუფლო სისტემის რეფორმირების ლეგიტიმური საშუალება; მეექვსე, არჩევნები არის სახელმწიფო საქმეების მართვაში მონაწილეობის ფორმა.

სახელმწიფო ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ხალხის მიერ მათთვის გადაცემულ ხელისუფლებას ახორციელებენ კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი ფორმით და მის ფარგლებში. თუმცა, მუდმივად არსებობდა და დღესაც არსებობს პრობლემა, თუ სად გადის სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების გონივრული დამოუკიდებლობის ფარგლები. ისტორიისათვის ცნობილია მრავალი შემთხვევა, თუ როგორ გარდაიქმნებოდა სახელმწიფო ორგანოები სახალხო ხელისუფლების ფორმიდან ხალხის შევიწროებისა და ჩაგვრის ფორმად (საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ე.წ. პიროჩეტის, ფრანკოს, პუსენინის დიქტატორული რეჟიმები, ადამიანების კეთილდღეობას ამოფარებული კომუნისტური რეჟიმი და სხვ.). როგორ აღუდგეს ხალხი ამ საპირისპირო პროცესს? ძირითადი საშუალებაა სახელმწიფო ორგანოების სამართლისადმი მორჩილება, „შეკავებისა და გაწონასწორების“ სისტემის შექმნა, თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მათ მიერ ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის.

სახალხო ხელისუფლების უშუალო გამოვლინების უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს სახალხო ინიციატივა. ეს არის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, საქართველოს მოქალაქეთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის უფლების განხორციელების მექანიზმი, რისთვისაც აუცილებელია კანონპროექტის მხარდასაჭერად განსაზღვრული რაოდენობის ხელმოწერების შეგროვება. საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სახალხო ინიციატივის განხორციელებისათვის აუცილებელია 30000 ხელმოწერა, ხოლო 102-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის პარლამენტში შეტანისათვის საჭიროა 20000 ამომრჩევლის მხარდაჭერა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ამ შემთხვევაშიც შეიძლება ითქვას, რომ არც სახალხო ხელისუფლებას აქვს გამოვლინების აბსოლუტური ხასიათი. არჩევნების გაყალბება, გარკვეული შეზღუდვები რეფერენდუმის მოსაწყობად და სხვა მსგავსი მიზეზები ხშირ შემთხვევაში სახალხო ხელისუფლების განხორციელებას უბრალო ფორმალბად აქცევს, მაგრამ ის მაინც რჩება ქვეყნის დემოკრატიულობის უმთავრეს მაჩვენებლად.

მართებულად ბრძანა თავის დროზე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, უინსტონ ჩერჩილმა: დემოკრატია არ არის სახელმწიფო მექანიზმის საუკეთესო ფორმა, მაგრამ ყაცობრიობას, სამწუხაროდ, მასზე უკეთესი რამ არ გააჩნია.

## §2. საქართველოს პოლიტიკური სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები და მისი ელემენტები

### 4.2.1. პოლიტიკური სისტემის ცნება და ელემენტები

ისეთი რთული მოვლენის განხილვა, როგორცაა პოლიტიკური სისტემა, მიზანშეწონილია დავიწყოთ „სისტემის“ ცნების გარკვევიდან. ბერძნული წარმომავლობის ტერმინი „სისტემა“ ნიშნავს მთლიანს, ერთიანს, რომელიც შედგება ნაწილებისაგან. თანამედროვე მეცნიერული შეხედულებებიდან გამომდინარე, სისტემა არის ერთიანი, მოწესრიგებული ელემენტების სიმრავლე, რომელთა ურთიერთქმედება წარმოშობს ახალ თვისებას, რაც არ ახასიათებს მის ნაწილებს. ეს ნიშნები სრულიად ესადაგება პოლიტიკურ სისტემას.

ტერმინი „პოლიტიკური სისტემა“ შედარებით ახალი კატეგორიაა კონსტიტუციური სამართლის თეორიაში. ის აღმოცენდა XX საუკუნის დასაწყისში და პირველად გამოიყენებოდა მხოლოდ სამეცნიერო ლოტერატურაში, ხოლო სამართლებრივ სფეროში ის არ ფიგურირებდა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პოლიტიკური სისტემის ცნება აღმოცენდა 60-იან წლებში დასავლური თეორიების ზეგავლენით.

პოლიტიკური სისტემის სამართლებრივი განმტკიცება განხორციელდა საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, რომელსაც ეწოდებოდა „საზოგადოების პოლიტიკური სისტემა“.

ტერმინი „პოლიტიკური სისტემა“ არ აღმოცენებულა ტერმინოლოგიის გასამდიდრებლად. ის ავლენდა უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს — პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების სპექტრის გაფართოებას. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე სახელმწიფოს დახასიათებისათვის, მისი საქმიანობის ანალიზისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ იმ ტერმინების გამოყენება, რომლებიც ეხება მხოლოდ სახელმწიფოს, საკმარისი არ არის მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების შესწავლა. იმისათვის, რომ აღვიქვათ ყველა სახელმწიფო-პოლიტიკური მოვლენა მთელი თავისი სისრულით, აუცილებელია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა ინსტიტუტების შესწავლაც, რომლებიც ასევე მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში.

სახელმწიფოს გარდა საკმაოდ მრავალი სოციალური ინსტიტუტი ზემოქმედებს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მაგრამ ისმება კითხვა: რით განსხვავდებიან ისინი სახელმწიფოსაგან? რა აქვთ მათ საერთო? როგორ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან? გარდა ამისა, აღმოცენდება საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების თანაფარდობის პრობლემაც — მაგალითად, ვის უფრო ეფექტიანად შეუძლია გადაწყვიტოს ესა თუ ის კონკრეტული ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ამოცანა.

სახელმწიფო თუ პარტიები, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები? ეს კითხვა მუდამ აღმოცენდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგალითად, უნდა იყოს თუ არა სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათი უსაფრთხოების დაცვა, თუ ეს არის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების ან ორივეს ფუნქცია? უნდა ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო ეკონომიკაში, არეგულიროს ის, თუ ეს არის საბაზრო სტრუქტურების, მათ შორის, სამეწარმეო, საფინანსო კავშირების „სამუშაო“? ყველა ამ საკითხს მივყავართ პოლიტიკური სისტემისა და მისი ელემენტების პრობლემატან.

ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომა, კერძოდ, სახელმწიფოსა და საზოგადოების სხვა სოციალური ინსტიტუტების დაპირისპირება საშუალებას გვაძლევს, უკეთ შევიცნოთ სახელმწიფო, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია, გამოვააშკარავოთ სწორედ სახელმწიფოსა და სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკური არსი, სახელმწიფოს სპეციალური სტრუქტურული ორგანიზაცია და სხვა საზოგადოებრივი წარმონაქმნების სტრუქტურა.

რასაკვირველია, საზოგადოების სისტემური ორგანიზაცია არ არის ერთადერთი. საზოგადოება საკმაოდ რთული წარმონაქმნია: შეიძლება გამოვყოთ, მაგალითად, საზოგადოების სტრუქტურებიც, რომლებიც ყალიბდება არა სისტემური კრიტერიუმით, არამედ სხვა, ვთქვათ, პიროვნებისა და კოლექტივის თანაფარდობის კრიტერიუმით და ა.შ. მაგრამ სისტემური ორგანიზაცია წარმოადგენს საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრუქტურას და საშუალებას იძლევა, მეტნაკლები სისრულით გავვერკვეთ საზოგადოების ცხოვრების მრავალ მხარეში, მათ შორის, სახელმწიფოსა და საზოგადოების სხვა პოლიტიკური ელემენტების თანაფარდობის საკითხში.

ამიტომაც, კონსტიტუციურ სამართალში საგანგებო ყურადღება ექცევა მთელ პოლიტიკურ სისტემას, განიხილება მასში შეძველები ელემენტები და მათი კავშირების ხასიათი.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის თეორიაში ტერმინი „პოლიტიკური სისტემა“ ორი გაგებით იხმარება.

ფორმალური გაგებით პოლიტიკური სისტემა, როგორც კომპლექსური კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, არის ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ადგენს სახელმწიფოს, როგორც განსაკუთრებული სუბიექტის, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუსს და არეგულირებს ზემოთ ჩამოთვლილ სუბიექტთა ურთიერთობებს.

მატერიალური გაგებით პოლიტიკური სისტემა არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სახელმწიფო (პოლიტიკური) ხელისუფლება.

როგორც ვხედავთ, პოლიტიკური სისტემა გულისმობს სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი სოციალური ინსტიტუტების სისტემას, რომლებიც ახორციელებენ პოლიტიკურ ფუნქციებს. ეს სოციალური ინსტიტუტებია: სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა ორგანიზაციები და მოძრაობები, რომლებიც მონაწილეობენ საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში, სადაც ძირითად ბირთვს წარმოადგენს ხელისუფლების მოპოვება, შენარჩუნება და გამოყენება.

საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროში, როგორცაა ხელისუფლების მოპოვება, შენარჩუნება და გამოყენება, ვლინდება სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ურთიერთობები. სწორედ აქ აღმოცენდება საზოგადოებრივი ურთიერთობები სახელმწიფო ხელისუფლებასა და მასთან ორგანულად შერწყმულ სხვა სოციალურ ღირებულებებთან (სუვერენიტეტთან, პიროვნების თავისუფლებასთან, თვითმყოფადობასთან) დაკავშირებით. ეს საზოგადოებრივი ურთიერთობები თავისით კი არ მუდგანდება, არამედ — სხვადასხვა საზოგადოებრივი წარმონაქმნების ორგანიზაციისა და საქმიანობის მეშვეობით, რომლებიც ქმნიან კიდევ ერთიანობაში პოლიტიკურ სისტემას.

პოლიტიკა იწყება იქ, სადაც ესა თუ ის საზოგადოებრივი წარმონაქმნი, მათი მოქმედებები და გადაწყვეტილებები, ე.ი. სახელმწიფოს, პარტიის, სხვა ორგანიზაციების ესა თუ ის საქმიანობა ეხება მრავალი ადამიანის ცხოვრებისეულ ინტერესებს.

სხვათა შორის, პოლიტიკური სისტემის ცნება და სხვა ასპექტები აქტიურად მუშავდებოდა საზოგადოების მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში, მათ შორის, კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში და მჭიდროდ უკავშირდებოდა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურასა და სახელმწიფოს არსს, სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვებას, ორგანიზაციასა და ფუნქციონირებას.

პოლიტიკურ სისტემაზე ასეთი წარმოდგენები ასევე გამოიყენებოდა გასულ ეტაპზე სოციალისტური პოლიტიკური სისტემის აპოლოგიური დახასიათებისათვის. ის ცხადდებოდა დემოკრატიულ სისტემად და ამტკიცებდა, რომ მისი ასეთი თვისება განპირობებული იყო მუშათა კლასის ბატონობით, რომელიც კომუ-

ნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გამოხატავდა ყველა მშრომელის ინტერესს.

თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის თეორიაც დიდ ყურადღებას უთმობს პოლიტიკურ სისტემას, თუმცა არ უკავშირებს მას ამას თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას, საზოგადოების კლასობრივ არსს. იგი იზილავს მას, როგორც ობიექტურად ჩამოყალიბებული სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების ერთობას.

პოლიტიკური სისტემის ყველა შემადგენელი ელემენტი ერთმანეთთან მჭიდრო, ორგანულ კავშირშია. ეს განპირობებულია იმით, რომ მათ წინ დგას ერთიანი, საერთო მიზანი — ადამიანის კეთილდღეობა. პოლიტიკური სისტემის ელემენტების საფუძველში დევს თანამშრომლობის, ურთიერთდახმარებისა და ურთიერთმხარდაჭერის პრინციპები, რაც ხელს უწყობს, მეტნაკლები სისრულით გამოვლინდეს პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლის შესაძლებლობა. ამასთან ერთად, ამ სისტემის ელემენტები თავიანთ კონკრეტულ ამოცანებს ინდივიდუალურად წყვეტენ.

საქართველოს პოლიტიკური სისტემის დახასიათებისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკითხი, თუ ვის ეკუთვნის ხელისუფლება სახელმწიფოში, ვინ ახორციელებს მას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ინტერპრეტაციები ხელისუფლების ბუნებისა და დანიშნულების შესახებ საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალმხრივია. ამგვარი შეფასების საფუძველს იძლევა ის წინააღმდეგობრივი პოზიციები და მიდგომები, რომლებიც არსებობს აღნიშნული საკითხის ირგვლივ. ერთი ნაწილისათვის ხელისუფლება ყოველთვის და ყველგან დაკავშირებულია ხელისუფლების ინდივიდ-მფლობელის საქმიანობასთან მაშინ, როცა სხვებისათვის სახელისუფლო ურთიერთობათა სფერო ყოველთვის საჯაროა და ამიტომ — სოციალური თავის გამოვლინებებში. ასეთი დამოკიდებულება ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხელისუფლების ბუნება და სტრუქტურა იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორი მმართველობის ფორმა და პოლიტიკური რეჟიმი მკვიდრდებოდა სახელმწიფოში — მონარქიული თუ რესპუბლიკური, ტოტალიტარული თუ დემოკრატიული.

საქართველოს მაგალითზე ამის გარკვევა არ გაგვიჭირდება, თუ მიემართავთ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს, რომელშიც პირდაპირაა მითითებული ზოგადი ხასიათის დებულება სახალხო ხელისუფლების შესახებ, რომელიც ვრცლად წინა ქვეპარაგრაფში განვიხილეთ. ამასთან, როდესაც ვაანალიზებდით სახალხო ხელისუფლების ფორმებს, აღინიშნა, რომ ხალხი თავის ხელისუფლებას ახორციელებს არა მხოლოდ უშუალო დემოკრატიის, არამედ ასევე წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმით, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ ორგანოების მეშვეობით გამოხატავს ხალხი თავის სუვერენიტეტს, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მხოლოდ ეს იყოს საკმარისი სახალხო მმართველობის განხორციელებისათვის. და მაინც, პოლიტიკური სისტემის უმთავრეს რგოლს, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად, სხვა ორგანოებთან ერთად, წარმომადგენლობითი ორგანოებიც გვევლინება და სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან ერთად ქმნის პოლიტიკური ხელისუფლების განსაკუთრებულ ორგანიზაციას, სახელმწიფო წარმომადგენს. ეს საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომელიც არ შეიძლება შეიქმნას ცალკეული პირების დაქსაქსული ძალისხმევით. საზოგადოებას არ შეუძლია იარსებოს წარმატებული მიზნების საფუძველზე. მას აერთიანებს საერთო, ობიექტური მიზანი, რომლის გარეშე იგი ვერ აღმოცენდება და ვერც განვითარდება. ასეთ მიზანს წარმოადგენს ადამიანთა გაერთიანება ერთიანი ხელისუფლების ქვეშ, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა საზოგადოების წევრთა მრავალფეროვან ინტერესებს. სახელმწიფო განასახიერებს მთელ ხალხს, გამოხატავს მის სახელმწიფოებრივ ნებას.

სახელმწიფოს განსაკუთრებული ადგილი პოლიტიკური სისტემის სხვა ელემენტებს შორის განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

ჯერ ერთი, სახელმწიფო არის მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთადერთი სრულუფლებიანი ორგანიზაცია;

მეორე, სახელმწიფო განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების ძირითად მიმართულებებს ყველას და თითოეულის ინტერესების გათვალისწინებით;

მესამე, სახელმწიფო წარმოადგენს ოფიციალურ წარმომადგენელს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

პოლიტიკური სისტემის არც ერთ არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ასეთი თვისებები და ფუნქციები არ ახასიათებს.

სახელმწიფო, როგორც საზოგადოების სახელისუფლო და მორგანიზებელი ძალა, მოწოდებულია უზრუნველყოს ყველა არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ნორმალური საქმიანობა მათი საწესდებო ამოცანების ფარგლებში, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას და სრულყოფას. კონკრეტულად ეს ასე გამოიხატება:

– სახელმწიფო ანიჭებს მოქალაქეებს კონსტიტუციურ უფლებებს, გაერთიანდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და ქმნის აუცილებელ პირობებს მათი წარმატებული საქმიანობისათვის. საზოგადოებრივი ორგანიზაციები სარგებლობენ ფართო პოლიტიკური თავისუფლებით;

– სახელმწიფო განსაზღვრავს ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სამართლებრივ მდგომარეობას. სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის სამართლებრივი რეგლამენტაცია იფარგლება მხოლოდ მოცემული ორგანიზაციების წესდებათა დამტკიცებით;

– საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას იცავს სახელმწიფო. საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და ინტერესების დაცვა ხორციელდება სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ. იმავე დროს, სახელმწიფო ახორციელებს ზედამხედველობას საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ კანონების მოთხოვნათა შესრულებაზე და უზრუნველყოფს მათ მკაცრ შესრულებას.

სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ასეთი თანამშრომლობა და ურთიერთქმედება ხელს უწყობს პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას.

ურთიერთქმედების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ დახურულ და ღია პოლიტიკურ სისტემებს. ისტორიაში ცნობილია ისეთი პოლიტიკური სისტემები, სადაც პოლიტიკური ხელისუფლების მთელი ორგანიზაცია, ყველა სოციალური ინსტიტუტი ფუქციონირებდა ბელადის (მაგალითად, გენერალური მდივნის)



მომსახურების რეჟიმში, მისი ნებისა და სურვილების შესასრულებლად. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური სისტემები, საერთოდ, ახდენენ ამა თუ იმ პოლიტიკური რეჟიმის რეალიზაციას და ამიტომაც არიან ორგანულად დაკავშირებული პოლიტიკურ რეჟიმთან.

ამასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ საკითხი სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების ურთიერთქმედების შესახებ. მართლაც, პოლიტიკურ სისტემაში დიდ როლს ასრულებს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტები — პოლიტიკური პარტიები (გაერთიანებები).

პოლიტიკური პარტია (გაერთიანება) მყარი სტრუქტურისა და საქმიანობის მუდმივი ხასიათის მქონე დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანებაა, რომელიც გამოხატავს თავისი წევრებისა და მომხრეების პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში მონაწილეობას, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფორმირებას და ასევე ხელისუფლების განხორციელებას ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში არჩეული თავიანთი წარმომადგენლების მიერ.

პოლიტიკური პარტია, როგორც წესი, საკმაოდ ფორმალისტული პოლიტიკური ორგანიზაციაა და მოწოდებულია იმისათვის, რომ მოიპოვოს პოლიტიკური ხელისუფლება თავისი პროგრამის განსახორციელებლად.

ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმოცენება, როგორც პარტიებია, ობიექტური პროცესია, რომელიც ქმნის სხვადასხვა ჯგუფების საერთო ინტერესების გამოვლინების შესაძლებლობას. სახელმწიფო კი ზუსტად ის სოციალური ინსტიტუტია, სადაც პარტიული ინტერესები, მიზნები და იდეალები შეიძლება მოგვევლინოს, როგორც საზოგადოებრივი ინტერესები. ამიტომ სახელმწიფო გამოდის პოლიტიკური ბრძოლის უმნიშვნელოვანეს და ძალზედ ფასეულ სუბიექტად, განსაზღვრავს პარტიების მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვებაში.

სხვათა შორის, პოლიტიკური პარტიის ზუსტი იურიდიული განსაზღვრებები მოცემულია სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციებში და არსებითად განსხვავდება ადგილობრივი პოლიტიკური და

სამართლებრივი ტრადიციების მიხედვით. სხვა კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუცია არ შეიცავს საგანგებო დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკური პარტიების სტატუსს და მათ როლს პოლიტიკურ სისტემაში, თუმცა პირდაპირ განამტკიცებს მრავალპარტიულობის პრინციპს.

მრავალპარტიული, პლურალისტური სისტემა წარმოადგენს „პარტიული სახელმწიფოს“ ტიპის პოლიტიკური სისტემის ანტიპოდს, რადგან იქ არსებობს მხოლოდ ერთი გაბატონებული პარტია, მისი იდეოლოგია იქცევა სახელმწიფო იდეოლოგიად, ხდება სახელმწიფო და პარტიული აპარატის შერწყმა.

მრავალპარტიულობის იურიდიული პრინციპი ნიშნავს, რომ სახელმწიფო ცნობს მოქალაქეთა უფლებას, გაერთიანდნენ პოლიტიკურ პარტიებში თავისი პოლიტიკური შეხედულებების შესაბამისად. თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის თანახმად, ეს არ გამოიციხავს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების უფლებას, კანონით დადგენილი წესით გააუქმონ ან აკრძალონ პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) საქმიანობა, რომელთა მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწვეა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და რთულია პოლიტიკური სისტემის ჩარჩოებში ურთიერთობები სახელმწიფოსა და პროფესიულ კავშირებს, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის.

პროფესიული კავშირები აღმოცენდა ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როგორც ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გამოხატავდა და იცავდა მუშა-მოსამსახურეთა გარკვეული კატეგორიის ინტერესებს. თანამედროვე პირობებში პროფესიული კავშირები წარმოადგენს მძლავრ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას, თუმცა რამდენად შეეფერება მსგავსი შეფასება ქართულ სინამდვილეს, რთული სათქმელია.

დაბოლოს, საკითხი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოთა ურთიერთმიმართების შესახებ.

თვითმმართველობის ორგანოები იქმნება ე.წ. ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეების გადასაწყვეტად. ისინი დიდ როლს ასრულებენ საზოგადოების ყველაზე მასობრივ, „ქვედა“ პოლიტიკურ სტრუქტურებში.

არის თუ არა თვითმმართველობის ორგანოები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ყველაზე სიღრმისეული ფენა, თუ ისინი სახელმწიფოსაგან გამოყოფილი, მაგრამ მასთან ურთიერთკავშირში მყოფი სპეციფიკური ორგანიზაციებია – ეს საკითხი ხშირად აღმოცენდება პრაქტიკულად ყველა საზოგადოებაში და სხვადასხვანაირად წყდება.

საქართველოს კონსტიტუცია გამოყოფს ადგილობრივ თვითმმართველობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისაგან და გადასცემს მას უფლებას, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს მუნიციპალურ საკუთრებას. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მოქალაქეების მიერ არჩევნების, პირდაპირი დემოკრატიის სხვა ფორმების გზით. ბუნებრივია, ყველაფერი ეს უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეუღალავად. მართალია, საქართველოს კონსტიტუციით, გასაგები მიზეზების გამო, პირდაპირ არ არის განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახეები და მათი სამართლებრივი მდგომარეობა, თუმცა კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრულია ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეების გადაწყვეტის ზოგადი პრინციპი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, როგორც წესი, არ შედის სახელმწიფო ორგანოების სისტემაში. ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს მმართველობის სისტემის ისეთ დეცენტრალიზაციას, რომელიც ყველაზე სასარგებლოა ადგილებზე მოსახლეობის ინტერესების უზრუნველსაყოფად ისტორიული და სხვა ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით. 1997 წლის 16 ოქტომბრის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება სოფელში, თემში, დაბასა და ქალაქში, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით კი განისაზღვრება მათი კომპეტენცია.

ამრიგად, საქართველოში საზოგადოების პოლიტიკური სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოსა და სხვა სოციალური ელემენტების ორგანულ ერთიანობას, რომელსაც ობიექტურად გააჩნია სხვადასხვა პოლიტიკური ფუნქციები.

პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარებას, აყალიბებს, გამოხატავს და იცავს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესებს. პოლიტიკური სისტემის ხასიათი (ტიპი, სახეები) განისაზღვრება იმ სოციალური გარემოთი, რომელშიც აღმოცენდება და ფუნქციონირებს იგი.

ამასთან ერთად, პოლიტიკურ სისტემას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა დამატებითი მახასიათებლები და თავისებურებები კონკრეტული ისტორიული გარემოებების, ეროვნული ტრადიციებისა და მენტალიტეტის გათვალისწინებით.

მის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს როგორც ფორმალურად, ისე ფაქტობრივად სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტი, რომელთაც პირდაპირ ან ირიბად აქვთ განსაზღვრული პოლიტიკური ფუნქციები, ან საერთოდ არ გააჩნიათ ისინი, მაგრამ საზოგადოების ცხოვრების სოციალური მიზნებისა და იდეალების ფორმირებაში თავისი განსაკუთრებული როლით შექმნენ აღიჭურვებიან კონკრეტული პოლიტიკური ფუნქციებით.

პოლიტიკურ სისტემაში სახელმწიფო მთლიანობაში შედის, როგორც საზოგადოების პოლიტიკური, სტრუქტურული, ტერიტორიული წარმონაქმნი და არა მხოლოდ მისი ცალკეული ორგანოების სახით. სახელმწიფო მართლაც საზოგადოების პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, მაგრამ თავის ფუნქციებს ასრულებს სოციალურ ინსტიტუტებთან — პარტიებთან, პროფკავშირებთან, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთკავშირში.

პოლიტიკურ სისტემას აქვს დინამიური ხასიათი, განიცდის ევოლუციას, თუმცა იგი აღმოცენდება ობიექტურად, რამდენადაც ობიექტურად აღმოცენდება ამა თუ იმ სოციალური ძალის, მთელი საზოგადოების ინტერესებში ხელისუფლების მოპოვების, მისი ორგანიზაციისა და შენარჩუნების აუცილებლობა.

პოლიტიკური სისტემის შესწავლისას უმნიშვნელოვანესია პოლიტი-

კური პროცესის ცნება. პოლიტიკური პროცესი არის პოლიტიკური სისტემის, მისი ინსტიტუტების ფუნქციონირების წესი. ფუნქციონირებაში იგულისხმება როგორც ელემენტების დამოუკიდებელი საქმიანობა, ისე პოლიტიკური სისტემის ელემენტებს შორის ურთიერთქმედება.

ზოგადი სახით შეიძლება გამოვეყნოთ პოლიტიკური პროცესის შემდეგი სტადიები: 1) პოლიტიკური სისტემის აღმოცენება; 2) მისი ელემენტებისა და კომპონენტების განვითარება; 3) საზოგადოების მართვის სავალდებულო პოლიტიკურ-მბრძანებლური გადაწყვეტილების მიღება და შესრულება; 4) მათ რეალიზაციაზე კონტროლის განხორციელება.

პოლიტიკური პროცესი რეგულირდება როგორც კონსტიტუციური სამართლის ნორმებით, ისე სამართლის სხვა წყაროებით, მათ შორის, ტრადიციებით და არასამართლებრივი ნორმებითაც კი. ასეთ ნორმებს მიეკუთვნება პარტიებისა და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების წესდებები და სხვა დოკუმენტები.

### §3. საქართველოს ეკონომიკური სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები

#### 4.3.1. საქართველოს ეკონომიკური სისტემის ცნება – კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინტერპრეტაცია

ეკონომიკური სისტემა არის კომპლექსური კონსტიტუციური-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც საქართველოში წარმოადგენს საკუთრების, წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ურთიერთობათა მარეგულირებელი ძირითადი პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობას.

სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემა კონსტიტუციური წყობილების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ეს აიხსნება იმით, რომ „სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის“ ცნებაში შედის საკუთრების პრობლემა, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს რეალურ ბაზისს, საზოგადოებრივი ურთიერთობების ჭეშმარიტ საფუძველს, სიცოცხლისუნარიანობის საშუალებას.

კონსტიტუციური რეგულირების საგანს, პირველ ყოვლისა, წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის ზოგადი პრინციპები, საკუთრების უფლება და მისი გავრცელების საზღვრები, მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების წესი, სახელმწიფოს ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩარევის ფორმები, ამოცანები და ფარგლები, სახელმწიფოს საბიუჯეტო-საფინანსო სისტემის საფუძვლები, ეკონომიკური რეგულირების სფეროში ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებათა განაწილება.

საგულისხმოა, რომ ყველა ამ ურთიერთობას და მათი რეგულირების მექანიზმს საქართველოს კონსტიტუციამ მიანიჭა სრულიად ახალი ინტერპრეტაცია და შინაარსობრივი დატვირთვა, ვიდრე ეს მანამდე არსებობდა. ბუნებრივიცაა, რადგან ჯერ ერთი, მოხდა ქართული სახელწმიფოებრიობის ფუნქციური ევოლუცია, რაც, პირველ ყოვლისა, გამოიხატა საქართველოში მანამდე არარსებული ცივილიზებული ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებით, და მეორე, შესაბამისად ახალი ეკონომიკური ურთიერთობების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის განსხვავებული მოდელის ჩამოყალიბებით. ასეთი ევოლუციის კონკრეტული გამოხატულება ისაა, რომ საზოგადოება სოციალისტური, განაწილებითი ურთიერთობებიდან გადავიდა სასაქონლო-ფულად და ფულად-საკრედიტო ურთიერთობებზე. მეურნეობის სოციალისტური სისტემის ნაცვლად დაიწყო ეკონომიკის საბაზრო ორგანიზაცია. თავისუფალ ბაზარს უნდა ჰქონდეს საქმიანობის თავისუფალი არეალი, რადგან ბაზარი მოითხოვს თანასწორუფლებიან, თავისუფალ და დამოუკიდებელ პარტნიორს. „ეკონომიკის თავისუფლება“ — ეს არის საქართველოს კონსტიტუციის ამოსავალი წერტილი, ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის ძირითადი პრინციპი. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში ქვეყნისა და ხალხის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად აღიარებულია ეკონომიკური თავისუფლების დამკვიდრება.

საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური სისტემის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძვლეს წარმოადგენს კერძო საკუთრება, რომელმაც შეცვალა სოციალისტური (საზოგადოებრივი) საკუთრება.

უნდა ითქვას, რომ საკუთრება კაცობრიობის განვითარების ყოველ ისტორიულ ეტაპზე წარმოადგენდა ფუძემდებლურ ეკონომიკურ და სამართლებრივ ურთიერთობას. ამა თუ იმ სახელმწიფოს დემოკრატიულობას ცხადყოფს ის, თუ იურიდიულად რამდენად მოცულობითია პირის უფლებრივი მდგომარეობა საკუთრებასთან მიმართებაში, რადგან დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანს გააჩნია რეალური საკუთრების უფლება და ეკონომიკურად დამოუკიდებელია, რის საფუძველზეც პოლიტიკურადაც თავისუფალი ხდება.

საკუთრების უფლების განვითარების რთულმა პროცესმა აუცილებლობად აქცია მისი ახლებურად გააზრება. სამართლებრივ აზროვნებაში საკუთრების უფლების შესახებ შეხედულებები საკმარის მრავალფეროვანია. მისი დიფერენციაცია ხდება რამდენიმე ძირითადი მიმართულებით.

ერთ-ერთი მათგანია საკუთრების უფლების სპეციფიკური ფორმების აღმოცენება, რომლებიც ეხება სხვადასხვა ობიექტს. ამ თეორიის მიმდევრები ითხოვენ სავაჭრო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, ინტელექტუალურ და საკუთრების უფლების სხვა ობიექტების დამოუკიდებელ რეგულირებას, საკუთრების მრავალი სამართლებრივი რეჟიმის „ინდივიდუალიზაციას“.<sup>50</sup>

მეორე მიმართულებით საკუთრების უფლების დიფერენციაცია ხდება სუბიექტის მიხედვით. ეს არის: ა) საჯარო საკუთრება — ეროვნული, სახელმწიფო, ადმინისტრაციული, საეკლესიო, რეგიონული, მუნიციპალური, კომუნალური და სხვა საკუთრება; ბ) კერძო საკუთრება, რომელიც იყოფა ცალკეული ფიზიკური პირების, სააქციო საზოგადოებების, კოოპერატივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საოჯახო საკუთრებად და სხვ.<sup>51</sup>

---

<sup>50</sup> იხ. Лукарелли Ф., «Планирование» собственности, М., 1976, გვ. 180-181; Берле А.А., Право собственности, М., 1984, გვ. 59 და ა.შ.

<sup>51</sup> Венедиктов А.В., Государственная социалистическая собственность, М., 1948; Генкин Л.М., Право собственности в СССР, М., 1961; Туманов В.А., Буржуазная правовая идеология, М., 1971.

მესამე მიმართულება არის საკუთრების უფლების დიფერენცია-  
ცია სამართლის დარგების მიხედვით. კერძოდ, რიგი მეცნიერებისა  
განასხვავებს საკუთრების უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ  
და სამოქალაქო-სამართლებრივ ცნებებს.<sup>52</sup>

ჩემი აზრით, საკუთრების უფლების უკანასკნელი დიფერენცია-  
ცია ყველაზე მეტად მისაღებია, რადგან საკონსტიტუციო სამართ-  
ლის თვალთახედვით, პირველყოვლისა, გვანტერესებს სწორედ  
საკუთრების უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგება.  
კონსტიტუციური სამართალი კი ამ ცნებას განიხილავს საკუთრე-  
ბის გარანტიების ასპექტში, ე.ი. განსაზღვრავს, კონსტიტუციური  
უზრუნველყოფის თუ რა მექანიზმია გათვალისწინებული მესაკუ-  
თრის თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობისათვის თავისი ნი-  
თის მიმართ.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ სოციალიზმის პირობებში საბჭოთა  
სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის კონსტიტუციური საფუძვლე-  
ბის განხილვისას საბჭოთა იურისტების მიერ უპირველესი ყურადღე-  
ბა ეთმობოდა საკუთრების ფორმების დახასიათებას. ჩემი აზრით,  
საკუთრების ფორმები თავისი შინაარსით წარმოადგენს არა იმდენად  
სამართლებრივ და, კერძოდ, კონსტიტუციურ-სამართლებრივ კატეგო-  
რიას, რამდენადაც ისინი უფრო განეკუთვნებიან ეკონომიკური მეც-  
ნიერების შესწავლის სფეროს. კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგებით  
კი ჩვენ გვანტერესებს არა საკუთრების ეკონომიკური მხარეები,  
არამედ საკუთრების უფლების რეალიზაციის კონსტიტუციური გა-  
რანტიები. მით უმეტეს, რომ საკუთრების უფლების დეტალური იუ-  
რიდიული ანალიზი ყალიბდება ისეთი უმნიშვნელოვანესი სამართლის  
დარგის მიერ, როგორც სამოქალაქო სამართალია.

ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციური გარანტიის მაგალითს  
წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, რომლის  
მიხედვითაც პირდაპირაა აღიარებული და უზრუნველყოფილი  
საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებები. ამავე მუხლით იკრძა-

---

<sup>52</sup> Лазар Я., Собственность в буржуазной правовой теории, М., 1985;  
Хессе К., Основы конституционного права ФРГ, М., 1981; ლ. ჭანტურია,  
უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, გვ. 41-51.



ლება საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისებისა და მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

კონსტიტუციური გარანტიის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას“, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უარი თქვა მანამდე ათეული წლების განმავლობაში არსებულ მონოპოლიურ ეკონომიკაზე, რასაც შედეგად მოჰყვა არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური და სოციალური კრიზისები, სახელმწიფომ გაანთავისუფლა მეწარმე თავისი მეურვეობისაგან და უარი თქვა ადამიანთა ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩარევაზე. იგი მხოლოდ ადგენს მეწარმეებს შორის თავისუფალი კონკურენციისა და ეკონომიკური ცხოვრების პირობების ზოგად ფარგლებს, თვითონვე გამოდის არბიტრის როლში მათ შორის დავების გადაწყვეტისას.

ამრიგად, კონსტიტუციამ დღის წესრიგში დააყენა ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობა, ე.ი. სახელმწიფოს მხრიდან რაც შეიძლება მინიმალური ჩარევა ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს სახელმწიფოს სრულ ჩამოცილებას ეკონომიკური ბერკეტებისაგან, რადგან ზემოთ აღნიშნული უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის შინაარსით. სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული კონტროლი ეკონომიკური პროცესების მიმართ გარკვეულწილად სასარგებლოცაა. ბუნებრივია, იგულისხმება კონტროლის სამართლებრივი ფორმები. ასეთი კონტროლი იძენს საორიენტაციო ხასიათს, რაც განპირობებულია თუნდაც იმ ფაქტორით, რასაც ეკონომიკური რესურსების რაციონალური განაწილების აუცილებლობა ჰქვია.

როგორც უკვე აღინიშნა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გარკვეულწილად გამორიცხავს სახელმწიფოს პირდაპირ ჩარევას ძირითად ეკონომიკურ პროცესებში, მაგრამ ამავე დროს იგი გულისხმობს ამ პროცესების სტიმულირებას მეცნიერულად დასაბუთებული და აწონ-დაწონილი საბიუჯეტო, საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკის საფუძველზე.

### 4.3.2. სახელმწიფოს საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და საგადასახადო სისტემის კონსტიტუციური რეგლამენტაცია

საქართველოს ეკონომიკური სისტემის განუყოფელ ნაწილს და, ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციური რეგულირების საგანს წარმოადგენს სახელმწიფოს საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და საგადასახადო სისტემის საფუძვლები.

ბიუჯეტი ნებისმიერი სახელმწიფოს საფინანსო სისტემის ცენტრალური ინსტიტუტია. როგორც ეკონომიკური კატეგორია, ის განუყოფლად არის დაკავშირებული ურთიერთობებთან, რომლებიც აღმოცენდება ეროვნული შემოსავლის გადანაწილებასთან დაკავშირებით ცენტრალიზებული ფონდის შექმნისა და გამოყენების მიზნით, რომელიც გათვალისწინებულია ეკონომიკური განვითარების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების, თავდაცვის საჭიროებისა და სახელმწიფოს მართვის დაფინანსებისათვის. სამართლებრივი კატეგორიის სახით კი ბიუჯეტი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სამართლის ნორმებით განმტკიცებული ფულადი სახსრების მობილიზაციისა და ხარჯვის ფორმა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ბიუჯეტი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ჯერ ერთი, ეს არის ფულადი სახსრების საერთო-სახელმწიფოებრივი ფონდი, რომელიც იქმნება კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად; მეორე, ეს არის სახელმწიფოს ძირითადი საფინანსო გეგმა, რომელშიც მითითებულია მისი შემოსავლების წყაროები. სახელმწიფო ბიუჯეტის ჩამოყალიბების, დამტკიცებისა და შესრულების პროცესში აღმოცენებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მნიშვნელობა განაპირობებს მათი დარეგულირების აუცილებლობას სამართლის ნორმებით, რომელთაგან უმთავრესი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციაში. მასში განმტკიცებულია საბიუჯეტო მოწყობისა და საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები, ამ სისტემაში შემავალი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ბიუჯეტის შედგენის, მიღებისა და შესრულების სფეროში. ამ ორგანოებისათვის უფლებამოსილებების მინიჭება განუყოფლად

უკავშირდება საბიუჯეტო პროცესს, რამდენადაც ეს უკანასკნელი განსაზღვრავს მათი რეალიზაციის პროცედურას.

საბიუჯეტო პროცესი რთული მოვლენაა. რასაკვირველია, კონსტიტუციურმა კონსტრუქციამ, რომელიც შეეხება საბიუჯეტო პროცესს, არ შეიძლება მოიცვას მისი რეგულირების ყველა კონკრეტული საკითხი. კონსტიტუცია, როგორც წესი, ადგენს საბიუჯეტო პროცესის რეგლამენტაციისათვის აუცილებელ ზოგად პრინციპებს და საბაზო ნორმებს.

საბიუჯეტო პროცესში უმთავრესი როლი ეკისრება უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას. საქართველოს კონსტიტუციის 92-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პარლამენტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება. ერთი მხრივ, მიღების ამ აქტით პარლამენტი გარკვეულწილად სთავაზობს მთავრობას სახელმწიფო სახსრების ხარჯვისას მისდიოს პარლამენტის მიერ მოწონებულ ხარჯთაღრიცხვას და არ გასცდეს მის ფარგლებს. მეორე მხრივ, მთავრობას ეკისრება მოვალეობა უზრუნველყოს სახელმწიფოს შემოსავლების მიღება სხვადასხვა გადასახადების, ბაჟების და პარლამენტის მიერ სანქციონირებული სხვა მოსაკრებლების აკრეფის გზით.

ბიუჯეტის კანონის განხილვისა და მიღების პროცედურა რამდენადმე განსხვავდება ჩვეულებრივი პროცედურისაგან და გაცილებით უფრო მკაცრია, ვიდრე სხვა კანონების მიღების პროცედურა, რამაც შესაბამისი გამოხატულება ჰპოვა კონსტიტუციაში. ეს აიხსნება იმით, რომ საბიუჯეტო კანონს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რამდენადაც ფინანსები წარმოადგენს სახელმწიფოს ზემოქმედების ძირითად ბერკეტს საზოგადოების განვითარების ნებისმიერ სფეროზე. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პარლამენტისათვის ბიუჯეტის პროექტის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას პრეზიდენტის თანხმობით. ჩვეულებრივ შემთხვევაში კი საკანონმდებლო ინიციატორთა წრე გაცილებით მრავალფეროვანია.

მთითებული პროცედურის არსებითი ელემენტია მისთვის ვადების დადგენა. ბიუჯეტის კანონის დროულად მიღების მნიშვნელობის გათვალისწინებით დადგენილია ბიუჯეტის პროექტის პარლამენტი-

სათვის წარდგენისა და განხილვის ვადები, რომელთა შეუსრულებლობა, თავის მხრივ, გარკვეულ ნეგატიურ შედეგებს იწვევს საბიუჯეტო პროცესის სუბიექტთათვის. მაგალითად, კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-2 პუნქტით მთავრობა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს არა უგვიანეს სამი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე. თუ პარლამენტმა ვერ მოახერხა წარდგენილი ბიუჯეტის მიღება სამი თვის განმავლობაში, იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა ან დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტი ფლობს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებს საბიუჯეტო პროცესის სფეროში ბიუჯეტის პროექტის განხილვის სტადიაზე, ეს ხორციელდება მკაცრად დადგენილ კონსტიტუციურ ფარგლებში. საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა დაუშვებელია თანხმობის გარეშე, ხოლო იმავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ.

ბიუჯეტზე საპარლამენტო კონტროლის საკვანძო მომენტს უდავოდ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტი აღჭურვილია კონტროლის უფლებამოსილებებით საბიუჯეტო პროცესის ისეთ სტადიაზეც, როგორცაა ბიუჯეტის შესრულება.

ბიუჯეტის შესრულება მდგომარეობს ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლების სრული და თავისდროული მობილიზების უზრუნველყოფაში და სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსებაში ბიუჯეტის გასავლის ნაწილის შესაბამისად.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების როლი ამ პროცესში არის ბიუჯეტით დადგენილი დანაწესების ზუსტი და დროული შესრულება, შეფასებას კი მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოების შესაბამის საქმიანობას აძლევს პარლამენტი.

საპარლამენტო კონტროლი ხორციელდება როგორც თვით პარლამენტის, ისე სპეციალურად ამისთვის შექმნილი ორგანოების მიერ. ამ საქმიანობაში ვლინდება საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების უზენაესობის პრინციპი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე.

ბიუჯეტის შესრულებაზე საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს მთავრობის მიერ პარლამენტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენა, რომლის არდამტკიცების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს ერთი თვის განმავლობაში აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე (93-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს საქართველოს კონტროლის პალატა. მას აქვს დამოუკიდებელი ორგანოს სტატუსი, თუმცა ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. მისი საქმიანობის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ის ახორციელებს სახელმწიფოს ფინანსური ანგარიშგების შემოწმებას და იმავდროულად მოხსენებას წარუდგენს პარლამენტს წელიწადში ერთხელ თავისი საქმიანობის შესახებ.

საქართველოს კონტროლის პალატას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც 5 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი (კონსტიტუციის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

რაც შეეხება სავალდებულო გადასახადებისა და მოსაკრებლების დადგენას, ეს განეკუთვნება საქართველოს პარლამენტის კომპეტენციას. მათი სტრუქტურა, შემოღების წესი, გადასახადებისაგან გათავისუფლება, ასევე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ კანონით (კონსტიტუციის 94-ე მუხლი). უნდა ითქვას, რომ გადასახადების ცნება თანამედროვე პირობებში გაცილებით ფართოა და კლასობრივ ხასიათს გასცდა. სახელმწიფოს მიერ მიღებული გადასახადები აღარ უზრუნველყოფს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო აპარატის შენახვას. იგი ისახავს სხვა მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტას. კერძოდ, გადასახადების ერთიანი სისტემა გვევლინება რთული ურთიერთშეზო-

ქმედების გამოხატულებად საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურასა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის.<sup>53</sup>

საფინანსო სფეროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას (95-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი, ხოლო ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით ბანკის წევრთაგან ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად (კონსტიტუციის 95-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ეროვნული ბანკიც დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, თუმცა ისიც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, რომელსაც ყოველწლიურად წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს.

## **§4. საქართველოს სოციალური სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები**

### **4.4.1. სოციალური სისტემის ცნება და ხასიათი. სოციალური სტრუქტურა**

საზოგადოება კაცობრიობის არსებობის ფორმაა. ვთავისუფლდებით რა ყოველდღიური, ჩვეულებრივი წარმოდგენებისაგან, საზოგადოება უნდა განვსაზღვროთ არა როგორც ადამიანთა ერთობლიობა,

---

<sup>53</sup> საბიუჯეტო-საფინანსო სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ დაწერილებით იხილეთ პროფ. რ. შენგელიას ნაშრომი „საქართველოს საფინანსო სამართალი“, თბ., 2004.

არამედ როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა. ასეთ მიდგომას საზოგადოებრივი ურთიერთობების კატეგორია გამოჰყავს ერთ-ერთ უპირველეს ადგილზე ნებისმიერი სოციალური თეორიის შემეცნებით სისტემაში. მოცემული ცნების მსგავსი მდგომარეობა მეცნიერების ლოგიკურ სტრუქტურაში განისაზღვრება იმ როლით, რომელსაც საზოგადოებრივი ურთიერთობები ობიექტურად ასრულებს საზოგადოების ფორმირებასა და განვითარებაში.

თუ ეკონომიკური სისტემა არის ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა, მაშინ სოციალური სისტემა არის ქართულ საზოგადოებაში, საქართველოს სახელმწიფოში არსებული სოციალური ურთიერთობების ერთობლიობა.

სოციალური ურთიერთობების სფერო არის სოციალურ ერთობებს, მოქალაქეებს შორის ურთიერთობების სფერო სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხთან — ეკონომიკურთან, ეროვნულთან (ეთნიკური ჯგუფების, უცხოელების სტატუსი და ა.შ.), რელიგიურთან, ენობრივთან, ასაკობრივთან (პენსიონერების სტატუსი და სხვ.). სქესობრივთან (ქალთა სტატუსი), რეგიონალურთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ისაა, რომ ის განაპირობებს ცალკეულად ყოველი ინდივიდის საზოგადოებრივ მდგომარეობას, სოციალურ ბედსა და ბიოგრაფიას. გამომდინარე აქედან, სოციალური სტრუქტურა არის მოქალაქეთა დაყოფა განსაზღვრულ ჯგუფებად, ფენებად და ა.შ., ანუ მოქალაქეთა ერთგვარი „კოლექტივი“ (იურიდიული გაგებით) სოციალური მახასიათებლების მიხედვით.

თანამედროვე გაგებით, ინდივიდების სოციალურ პოზიციებად დახარისხება გაცილებით ადვილი იყო თემურ საზოგადოებაში. თუმცა, ის საგრძნობლად შეიცვალა სახელმწიფოს აღმოცენების შემდგომ. პირველ ყოვლისა, შეიცვალა სოციალური აგებულება, როცა ადამიანთა დაყოფა წოდებრივი პრივილეგიების მიხედვით განპირობებული იყო მათი წარმოშობით. დაბადების აქტი, რომელიც განისაზღვრებოდა მშობლების საზოგადოებრივი მდგომარეობით, ადგენდა ინდივიდის წოდებრივ კუთვნილებას და, აქედან გამომდინარე, მის პირად ბედს.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საზოგადოების სოციალური სტრუქტურა გაიგივებული იყო მხოლოდ კლასობრივ სტრუქტურასთან, რომელსაც საფუძვლად ედო მარქსისტული დებულება იმის შესახებ, რომ „როგორცაა წარმოების წესი მოცემულ საზოგადოებაში, ისეთივე იქნება მისი კლასობრივი შემადგენლობა“. ამის მიხედვით ჩამოყალიბდა ჩვენი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის საკმაოდ მრავალფეროვანი სურათი. ჯერ საზოგადოება დაიყო ბურჟუაზიად და პროლეტარიატად, მოგვიანებით კი, საბჭოთა მეცნიერების მტკიცებით, 1937 წლისთვის ექსპლუატატორული ელემენტების განადგურების შემდეგ საბჭოთა კონსტიტუციებმა დაადგინეს სოციალისტური საზოგადოების შემადგენლობა ორი მეგობრული კლასისაგან: მუშათა და გლეხთა კლასი და ინტელიგენცია. მუშათა კლასი სსრ კავშირში კლასობრივი სტრუქტურის შეცვლის შემდეგ აღარ წარმოადგენდა პროლეტარიატს ძველი გაგებით, ე.ი. ექსპლუატირებულ კლასს და იგი აღიარებულ იქნა საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ კლასად.<sup>54</sup> როგორც ვხედავთ, ჩვენი საზოგადოების სოციალისტური სტრუქტურა უშუალოდ უკავშირდება კლასობრივ ელემენტებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მარქსისტული მოძღვრებით, თავად სახელწმიფოს წარმოშობის ერთადერთ საფუძვლად მიჩნეული იყო კერძო საკუთრების აღმოცენება, საზოგადოების კლასებად დაყოფა და ექსპლუატაცია.

მარქსისტულმა დაყოფამ ექსპლუატატორებად და ექსპლუატირებულებად, რომელიც შესაძლოა XIX საუკუნეში უფრო დამაჯერებელი იყო, დიდი ხანია დაკარგა თავისი მნიშვნელობა (ყოველ შემთხვევაში — ჩვენთვის). შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე გლობალურმა პროცესებმა — სოციალურმა, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, ეკოლოგიურმა, დემოგრაფიულმა და სხვა მრავალმა — იმდენად სხვაგვარად განსაზღვრეს ზოგადსაკაცობრიო ღირე-

---

<sup>54</sup> Уманский Я.Н., Советское государственное право, М., 1960, гл. 95-105; Керимов Д.А., Суцность, функции и формы социалистического государства, М., 1984, гл. 18-25; Спиридонов Л.И., Социальное развитие и право, Л., 1993, гл. 32-58 და სხვ.



ბულებების პრიორიტეტი კლასობრივთან შედარებით მსოფლიოს ყველა რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც, რომ საზოგადოება, მოწოდებული ახალი ამოცანების გადასაწყვეტად, აღმოჩნდა ისტორიული განვითარების სრულიად სხვა სიბრტყეზე.

რასაკვირველია, სოციალური პრობლემები ყოველთვის იქნება, რადგან საზოგადოება ყოველთვის დაიყოფა მუშებად და სამუშაოს მიმცემებად, შეძლებულებად და ხელმოკლეებად, ჩინოვნიკებად და უმუშევრებად, ქალებად და კაცებად, ახალგაზრდებად და ხანდაზმულებად და ა.შ., რომელთა ინტერესები ძნელად თუ დაემთხვევა ერთმანეთს ყველაფერში. სახელმწიფოც სწორედ იმისათვის არის აუცილებელი, რომ იპოვოს შეხების საერთო წერტილები და განმუხტოს სოციალურ ჯგუფებს შორის დაძაბულობა.

სახელმწიფო პოლიტიკაში, სოციალური პრობლემების მართვის სისტემაში აუცილებელია ყველა შესაძლო პარამეტრის — შემოსავლების დონის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, ასაკის, პროფესიის და ა.შ. — გათვალისწინება. პრეზიდენტობის ან პარლამენტის წევრობის ნებისმიერი კანდიდატი წინასაარჩევნო გამოხვლებში იძლევა დაპირებას, რომ დაიცავს ყველას ინტერესებს: მდიდრების და ღარიბების, ახალგაზრდების და ხანდაზმულების, ქალების და კაცების და ა.შ. რასაკვირველია, ისინი ყველას ვერ დააკმაყოფილებენ, მაგრამ მათი თვალსაზრისი უნდა იცოლნენ.

საბედნიეროდ, დღეს საზოგადოებაში არ არის გაბატონებული კლასი. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუცია ამის შესახებ არაფერს ითვალისწინებს. ყველას აქვს შესაძლებლობა, დაიკავოს ნებისმიერი სოციალური მდგომარეობა. ადამიანის მიერ თავისი ცხოვრების გზის რეალურად თავისუფალი არჩევანი არ არის შეზღუდული. თანამედროვე საბაზრო წარმოება და მისგან გამომდინარე ინდივიდუალური საზოგადოებრივი თავისებურებები ამის დასტურია. საზოგადოების სოციალური სტრუქტურის განხილვისას ამოსავალი წერტილი უნდა იყოს არა ადამიანთა ქონებრივი მდგომარეობა და ამ გაგებით მათი მატერიალური თანასწორობა, არამედ მათი თანასწორობა კანონის წინაშე. ადამიანებს შორის ქონებრივი განსხვავება ყოველთვის იყო და იქნება. მთავარი ისაა, რომ მათ ყველას ჰქონდეთ ერთნაირი მოცულობის უფლებრივი მდგომარეობა. საქართველოს

კონსტიტუციის მე-14 მუხლით კი ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია მისი სოციალური კუთვნილების ჩათვლით.

ამრიგად, საზოგადოების სოციალური სტრუქტურა საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით გულისხმობს ხალხს, სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის მქონე ყველა ადამიანის ერთობას, რომლებიც ერთიანი ძალისხმევით ახორციელებენ კიდევ სახელმწიფო ხელისუფლებას საქართველოში.

## §5. სახელმწიფო და ეკლესია: ურთიერთობის კონსტიტუციური საფუძვლები

### 4.5.1. ურთიერთჩაურევლობის პრინციპი

კონსტიტუციური სამართალი რელიგიას განიხილავს ორი პოზიციით: როგორც მსოფლმხედველობას და როგორც საქმიანობას. პირველ შემთხვევაში, კონსტიტუციური სამართალი არ ადგენს რელიგიის, რწმენის, მორწმუნის სტატუსს. ეს თავად რელიგიისა და მორწმუნეების შიდა საქმეა. მეორე შემთხვევაში კი კონსტიტუციურ სამართალს საშუალება ეძლევა დაარეგულიროს რელიგიური საქმიანობისათვის შექმნილი გაერთიანებების სტატუსი და იმავდროულად არ ხელყოს მსოფლმხედველობის აბსოლუტური ავტონომიურობა, როგორც გაერთიანების არსისა.

იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე მიმდინარეობს დისკუსია იმის შესახებ, მონაწილეობენ რელიგიური ორგანიზაციები პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუ არა. ცნობილი დანიელი მეცნიერი გ. არნესენი საერთოდ უარყოფს პოლიტიკურ სისტემასთან ეკლესიის რაიმენაირ კავშირს.<sup>55</sup> მსგავს პოზიციას აფიქსირებენ სხვა მეცნიერებიც.<sup>56</sup>

---

<sup>55</sup> Арнесен Г., Государство, политика и церковная власть, СПб, 2003, гв. 84-85.

<sup>56</sup> Варц М.Ш., Элементы политической системы современного государства, М., 2000, гв. 154-155; Килбеин Н., Политическая система социального общества, Кишинев, 2001, гв. 93; Назаров В.Г., Государство и религия: современные тенденции, Ереван, 2002, гв. 214-215 და სხვ.

შესაძლებელია პრობლემის მათეული ხედვა გარკვეულწილად ასახავს კიდევ სინამდვილეს, თუმცა, ჩემი აზრით, ეს არის საკითხის მხოლოდ ცალმხრივი და არასათანადო შეფასება.

მსოფლიოს უმსხვილესი რელიგიური ჯგუფები (ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი, იუდაიზმი) წარმოადგენენ ადამიანთა ცნობიერებასა და მათ ქცევაზე ზემოქმედების მძლავრ ფაქტორს. მსოფლიო რელიგიები მათზე ზემოქმედებდა ასეული წლების მანძილზე. რა თქმა უნდა, დღეს ისეთი გავლენა აღარ არის, როგორც იყო შუა საუკუნეების პერიოდში, თუმცა რელიგიის გავლენა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. ქრისტიანული ეკლესიები, როგორც წესი, ნაკლებად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისლამი კი ზოგიერთ ქვეყანაში ყველაზე აქტიური ძალაა. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ მათ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის სხვადასხვა გამოვლინების ფორმები ახასიათებთ. ბუნებრივია, ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით რელიგიური ერთობების როლი განსხვავებულია: მონორელიგიურ ანუ ერთრელიგიურ ქვეყნებში ეს გავლენა დიდია ან ძალზე დიდია, ხოლო მრავალრელიგიურ ანუ პოლირელიგიურ ქვეყნებში ის შედარებით მცირეა. ამიტომ, ცალსახად იმის მტკიცება, რომ ეკლესიას არანაირი კავშირი არ აქვს პოლიტიკურ ცხოვრებასთან, ვფიქრობთ, არასწორია.

სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის თანამედროვე დასავლური მოდელებიდან, რომლებიც რამდენიმე სახისაა, ყველაზე გავრცელებულია ურთიერთნეიტრალიტეტისა და ურთიერთჩაურევლობის მოდელი, რომელიც უკანასკნელ წლებში განიცდის ტრანსფორმაციას და ყალიბდება შემდეგი სახით: „ურთიერთჩაურევლობა და ურთიერთდახმარება“. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში სამხედრო ძალების შემადგენლობაში არის პოლკის ან დივიზიის მოძღვარის ინსტიტუტი. სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ ფიცის დადებისას ხშირად ესწრებიან რელიგიის წარმომადგენლები, რომლებიც ამოწმებენ ამ ფიცის სისწორეს და სიწმინდეს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს სახელმწიფოს საქმიანობაში ჩარევას, ან პირიქით. ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო ინარჩუნებს საერო ხასიათს.

მართალია, საქართველოს კონსტიტუცია არ იყენებს ტერმინს – „საერო სახელმწიფო“, რომელიც, სხვათა შორის, უკეთ წარმოაჩენს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ნიუანსებს, თუმცა ის ფორმულირება, რაც არის კონსტიტუციის მე-9 მუხლში, ნამდვილად არ ამტკიცებს საპირისპიროს და არ ეწინააღმდეგება საერო სახელმწიფოს იურიდიულ გაგებას. ანუ საუბარია ისეთ სახელმწიფოზე, რომელშიც რელიგიური გაერთიანებები, მათი იერარქიები არ არიან ჩართული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში, მათ არა აქვთ დელეგირებული რაიმე სახელმწიფო-სახელისუფლო ან მუნიციპალური უფლებამოსილებები, საზოგადოების წევრებს აქვთ თანაბარი მოცულობის უფლებები და თავისუფლებები. მიუხედავად მათი რელიგიური კუთვნილებისა, სახელმწიფო არ მონაწილეობს რელიგიური გაერთიანებების შინაგანი მოწყობის რეგულირებაში, რელიგიური გაერთიანებების ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებებს არ აქვთ საჯარო-სამართლებრივი ან კერძო-სამართლებრივი ნორმებისა და აქტების ძალა, სახელმწიფო არ მონაწილეობს მათ რეალიზაციაში, როგორც აღმასრულებელი რგოლი და ა.შ.

სახელმწიფოს საერო ხასიათი გულისხმობს აგრეთვე მორწმუნეთა შეხედულებების, აზრების, გრძნობებისა და მოქმედებების პატივისცემას, რელიგიური გაერთიანებების შეზღუდვის დაუშვებლობას გარდა იმ შემთხვევისა, რომლებიც პირდაპირაა კანონმდებლობით გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში საუბარია იმ სიტუაციებზე, როცა რელიგიური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა ან ცალკეული რელიგიური ფანატიკოსების საქმიანობა უკავშირდება რელიგიური სიძულვილისა და შუღლის გაღვივებას, ადამიანებზე ძალადობას ან სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებს. ამრიგად, სახელმწიფო ზღუდავს რელიგიური გაერთიანებების საქმიანობას ან ცალკეულ პირთა რელიგიურ საქმიანობას მხოლოდ იმ დოზით, რა დოზითაც ის აუცილებელია კონსტიტუციური წყობილების საფუძვლების, ზნეობრიობის, სხვა პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს არ ეწინააღმდეგება ურთიერთჩაურევლობის პრინციპს, რამდენადაც აქ

საუბარია არა რელიგიურ ცხოვრებაში, როგორც ასეთში ჩარევის შესახებ, არამედ საზოგადოებისათვის საშიში და სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების პრევენციასა და აღკვეთაზე.

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც გაფორმდა კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, საქმეში ჩაუხედავი ადამიანები ხშირად საუბრობენ იმის თაობაზე, რომ თითქოს საქართველოში არსებობს ორმაგი სტანდარტი: ერთი მხრივ, სახელმწიფო წარმოაჩენს მის მხარდაჭერას დემოკრატიული ღირებულებებისადმი (რწმენის, აღმსარებლობის სრული თავისუფლება), მეორე მხრივ კი, არაპირდაპირ აღიარებს მართლმადიდებელი ეკლესიის გაბატონებულ მდგომარეობას სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან შედარებით, რითიც ზღუდავს მათ საქმიანობას.

ჩემი აზრით, არანაირ ორმაგ სტანდარტზე აქ არ არის საუბარი. თავად ის ფაქტი, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და იმავდროულად აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ცალსახად ადასტურებს საქართველოს სახელმწიფოს მისწრაფებას, დაამკვიდროს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები და ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპები. ეს არ არის შემთხვევითი და მას თავისი ტრადიციული ფესვები კვებავს. საქართველო და ქართველი ხალხი ყოველთვის იყო შემწყნარებელი და ტოლერანტული სხვა რელიგიებისა თუ ერების მიმართ. მეორე, საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლოვანი და ქრისტიანობის გავრცელების 2000 წლოვანი ისტორიის მანძილზე ქართველი ხალხის რელიგიური მრწამსი იმთავითვე დაუკავშირდა მართლმადიდებლობას, რელიგიური სიმბოლიზში კი – მართლმადიდებელ ეკლესიას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართველი ხალხის ამდაგვარმა სულიერმა საწყისმა მრავალჯერ იხსნა ქვეყანა უამრავი განსაცდელისაგან და, შეიძლება ითქვას, რომ ამის გამოც საქართველო არ „აღიგავა პირისაგან მიწისა“. მაშ, ვის ან რატომ უნდა უკვირდეს საქართველოს მოქალაქეთა მიერ გამოხატული მაღლიერების გრძნობა და საქართველოს სამოციქულო ავტო-

კუფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ პატივისცემის დადასტურება მისი განსაკუთრებული როლის გამო საქართველოს ისტორიაში? ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული ფორმულირება ნამდვილად არ გულისხმობს ორმაგ სტანდარტს, ვინაიდან მადლიერების გრძნობის გამოძღავენება მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული როლის შესრულებისათვის სრულიადაც არ ნიშნავს სხვა რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის აკრძალვას, შეზღუდვას და რაიმენაირი ფორმით მათ ხელყოფას. პირიქით, საქართველოს კონსტიტუცია, იზიარებს რა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ნოყიერ ნიადაგს ქმნის ყველა რელიგიური გაერთიანების თანასწორუფლებიანი განვითარებისათვის, თუ რასაკვირველია, თავად ისინი არ შექმნიან საფრთხეს სახელმწიფოს უშიშროებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. ამ შექმნებებში შეზღუდვების გამოყენება სახელმწიფოს მხრიდან დაეკრძალბა არა მხოლოდ შიდასაკანონმდებლო ნორმებს, არამედ ასევე ისეთ საერთაშორისო სასიათის დოკუმენტებს, როგორცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი, ერთი მხრივ, ადგენს სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას, ხოლო მეორე მხრივ – ისეთი შეზღუდვების შესაძლებლობას, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში წესრიგის, სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 1-ლი და მე-18 მუხლები, რომლებიც ადგენენ თითოეულის უფლებას თავისუფლად აღასრულონ რელიგია და კრძალავენ იძულებას, რომელიც ხელყოფს ამ თავისუფლებას, ამასთან ერთად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობისათვის უშვებენ კანონით დადგენილი შეზღუდვების დაწესებას. ამ მხრივ,

სახელმწიფო უფლებამოსილია გაითვალისწინოს განსაზღვრული ზღუდე იმისათვის, რომ ავტომატურად არ მიანიჭოს რელიგიურ ორგანიზაციებს სტატუსი, არ დაუშვას იმ სექტების ლეგალიზება, რომლებიც არღვევენ ადამიანის უფლებებს და ჩადიან უკანონო დანაშაულებრივ მოქმედებებს და ა.შ. სხვათა შორის, აღნიშნულზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ევროპის პარლამენტის 1996 წლის 12 თებერვლის დადგენილებაში „ევროპაში სექტების შესახებ“ და ევროპის საბჭოს №1178 (1992 წ.) რეკომენდაციაში „სექტებისა და ახალი რელიგიური მოძრაობების“ შესახებ, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 25 მაისის დადგენილებაში (Series A no. 260A) და 1996 წლის 26 სექტემბრის დადგენილებაში (Reports of Judgments and Decisions, 1996-IV), რომლებშიც განიხილება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოთა ვალდებულების ხასიათი და მასშტაბები.

სახელმწიფოთა ასეთი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როცა გააქტიურდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ერთი მხრივ, ყოველად დაუშვებელია სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვა, ხოლო მეორე მხრივ, აუცილებელია სახელმწიფოთა სიფრთხილე, არ დაუშვან რელიგიურ საბურველში გახვეული ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის ლეგალიზაცია, რაც არც ისე იშვიათი მოვლენა გახდა მსოფლიო პრაქტიკაში.

#### 4.5.2. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

მას შემდეგ, რაც გავეცანით სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის ზოგად პრინციპებსა და საფუძვლებს, ამ ურთიერთობათა უნიკალურობასა და სპეციფიკას, ინტერესმოკლებული არ იქნება განვიხილოთ კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ჯერ ერთი, ის წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-9

მუხლის შინაარსის დეტალიზაციას; მეორე, გამოძინარე აქედან, მოცემული შეთანხმება არის კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო; მესამე, მისი შინაარსის გაცნობა და ანალიზი მით უფრო აქტუალურია დღეს, ვინაიდან მოცემული შეთანხმების მიღების შემდგომ გაჩნდა უამრავი კითხვა: ხომ არ ნიშნავდა ეს საქართველოს სახელმწიფოს საერო ხასიათის გაუქმებას და მის კლერიკალურ სახელმწიფოდ გამოცხადებას? ხომ არ ნიშნავდა ეს მართლმადიდებელი რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას? ხომ არ შეიზღუდა ამ შეთანხმების დადებით სხვა რელიგიების თავისუფლად არსებობის უფლება და სხვა მრავალი.

თავისთავად, მსგავს კითხვებს არსებობის უფლება ნამდვილად აქვთ, თუმცა, ჩემი აზრით, საკითხისადმი მხოლოდ ამგვარი მიდგომა ცალმხრივია და არ ასახავს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ობიექტურ სურათს. უფრო მეტიც, დემოკრატიულ სახელმწიფოში ან იმ საზოგადოებაში, რომელიც მიისწრაფის ასეთი სახელმწიფოს მშენებლობისაკენ, დემოკრატიულ ღირებულებებს ვერ ხელყოფს არა თუ ზოგადი ხასიათის კონსტიტუციური შეთანხმება, არამედ რომელიმე რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაც კი. მაგალითად, ცალკეულ დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობს სახელმწიფო რელიგია: პროტესტანტული ანგლიკანური ეკლესია – დიდ ბრიტანეთში, ლუთერანული – შვედეთში, კათოლიკური – ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში, მართლმადიდებლობა – საბერძნეთში და ა.შ. ამ შემთხვევაში კი დემოკრატიული სახელმწიფოები მიისწრაფიან განამტკიცონ რწმენისა და აღმსარებლობის თანასწორობა და თავისუფლება, რელიგიური უმცირესობის დაცვის გარანტიები. მაგალითად, იგივე საბერძნეთში კონსტიტუციის მე-3 მუხლი გაბატონებულ, ანუ სახელმწიფო რელიგიად აცხადებს მართლმადიდებლობას, მაგრამ იქვე მე-13 მუხლში ცხადდება, რომ სინდისის თავისუფლება ხელშეუვალია. „პირადი და პოლიტიკური თავისუფლებებით სარგებლობა არ არის დამოკიდებული რელიგიურ რწმენაზე. ყველა ცნობილი რელიგია თავისუფალია და მისი საკულტო ტრადიციები ხორციელდება დაუბრკოლებლად“. როგორ გავიგოთ ასეთი ორპოლუსიანობა? ცხადია, რომ კონსტიტუციის ავტორებს სურდათ დაეცვათ ტრადი-



ციაც (მართლმადიდებლობის დომინირებული მდგომარეობა) და იმავდროულად არ ჩამორჩენილიყვნენ მსოფლიო სტანდარტებს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში უნდა გაანალიზდეს არა მხოლოდ ნორმები, არამედ ასევე სახელმწიფო-სამართლებრივი პრაქტიკა. რამდენადაც საბერძნეთიდან (ან ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ქვეყნებიდან: დიდი ბრიტანეთი, შვედეთი) რელიგიური დისიდენტების შევიწროების შესახებ საჩივრები თითქმის არც კი შესულა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ორგანიზაციებში, ეს ნიშნავს, რომ ამ სახელმწიფოებში „სინდისის თავისუფლებასთან“ დაკავშირებით ყველაფერი წესრიგშია.

დაახლოებით იგივე გზას დაადგა საქართველოც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთთანაცხოვრების პრინციპები სრულიად სხვა ჩარჩოებში მოაქცია. „იგივე გზაში“ ვგულისხმობთ კანონმდებლის სურვილს შეენარჩუნებინა ქართველი ხალხის 2000 წლოვანი სულიერი განვითარების ძირითადი მახასიათებელი, ანუ იგივე ტრადიციული სულისკვეთება, რამაც, თავის მხრივ, არ უნდა შეზღუდოს სხვა რელიგიის აღმსარებელთა უფლებები და სინდისისა და რწმენის თავისუფლება. მეორე მხრივ, უარი ითქვა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაზე და მოცემული ტრადიციისადმი პატივისცემის დადასტურება სახელმწიფოს მხრიდან გაფორმდა კონსტიტუციური შეთანხმებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით უდავოდ გასაზიარებელია პროფ. მარიამ ცაცანაშვილის მოსაზრება, რომ საქართველოში „სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთობის წარმოდგენილი მოდელი ევროპული მოდელის ერთ-ერთ სახეობად შეიძლება იქნეს განხილული, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კონვენციებით აღიარებულ რელიგიური თავისუფლების კონცეფციას, საქართველოს ისტორიას, კულტურულ წარსულსა და მოქმედ სამართლებრივ სისტემას“.<sup>57</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსტიტუციური შეთანხმება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის ორგანულ

<sup>57</sup> მარიამ ცაცანაშვილი, „სახელმწიფო და რელიგია“, თბ., 2001, გვ. 79-80.

გაგრძელებას. ცნობილია, რომ 1995 წლის კონსტიტუციის ხსენებული მუხლის პირვანდელი რედაქცია შეიცავდა მხოლოდ საქართველოს ისტორიაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის ცნობის ძირითადებს. მოგვიანებით, 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონით მე-9 მუხლს დაემატა მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მომავალში მოწესრიგდებოდა კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე.

თითქმის 2 წლიანი დამატებული მუშაობის შემდეგ, 2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის ტაძარში საქართველოს პრეზიდენტმა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ხელი მოაწერეს კონსტიტუციური შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის.

„ეს შეთანხმება – წერს საეკლესიო სამართლის ახალგაზრდა მკვლევარი დავით ჩიკვაძე – მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი საქმისა, რაც ევალებათ ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობის წინაშე სახელმწიფოსა და ეკლესიას. იგი წარმოადგენს ერთგვარ პროგრამას, რომელზედაც უნდა დაეფუძნოს მათი საქმიანობა“.<sup>58</sup>

მართლაც, ეს არის უნიკალური ხასიათის დოკუმენტი როგორც თავისი იურიდიული ბუნებით, ისე შინაარსობრივი პარამეტრებით. უწინარეს ყოვლისა, ის არის იმპერატიული ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა კონსტიტუციის შემდეგ. მას უნდა შეესაბამებოდეს როგორც ყველა სხვა კანონი, ისე საქართველოს უმაღლესი ორგანოების მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

კონსტიტუციური შეთანხმება შედგება 12 მუხლისაგან, რომელშიც ზოგადი სახით არის გადმოცემული სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სპეციფიკა.

---

<sup>58</sup> დავით ჩიკვაძე, „კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“, კომენტარები, თბ., 2003. გვ. 7.

შეთანხმების პირველი მუხლი, გარდა იმისა, რომ კვლავაც აღიარებს „ურთიერთჩაურევლობის პრინციპს“, გარკვეულწილად განსაზღვრავს ეკლესიის განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს, რომლის თანახმად ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო სამართლის ნორმები უპირატესად ეკლესიის შიდა საქმიანობისა და ცხოვრების მომწესრიგებელი ნორმებია. ამავე მუხლში განსაზღვრულია ეკლესიის სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმომდგენი სუბიექტები: საეკლესიო კრება, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, წმინდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო. მნიშვნელოვანია პირველი მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია.

შეთანხმების მე-2 მუხლი ადგენს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას, რაც გულისხმობს სასულიერო პირის ვალდებულებას, არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისთვის, გახდა ცნობილი.

მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა შემდეგი პირობის დაცვით: სამართლებრივ ურთიერთობებში გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

შეთანხმების მე-4 მუხლი ქმნის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთთანამშრომლობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს: საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შემოღებას. თანამშრომლობის ასეთი ფორმა სავსებით გამორიცხავს ერთმანეთის საქმეებში ჩარევას, სამაგიეროდ წარმოადგენს საერო და სულიერი აღზრდის ჰარმონიულად შერწყმულ ფორმას.

მე-5 მუხლი შეიძლება ასეც დავასათაუროთ: „ეკლესია და განათლება“. ამ შემთხვევაში აუცილებელია გამოვეყნოთ ორი უმნიშვნელოვანესი დებულება. პირველი ის, რომ კონსტიტუციური შეთანხმებით მოხდა რელიგიისა და სკოლის არა დაშორიშორება, არამედ პირიქით – განათლების სისტემაში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის შეტანა, თუმცა, რასაკვირველია, ნებაყოფლობის პრინციპის დაცვით. მეორე, მართლმადიდებელ ეკლესიას უფლება აქვს შექმნას ნებისმიერი ღონის (საშუალო, უმაღლესი) სასწავლო დაწესებულება, რომელიც გათანაბრებული იქნება საერო სასწავლებლებთან და დაიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს. ამასთან, სახელმწიფო და ეკლესია აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების<sup>1</sup> ან საბჭოების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლი ეხება საეკლესიო საკუთრებას და სხვა ქონებრივ უფლებებს, რაც, ერთი მხრივ, ემსახურება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ისტორიულად კუთვნილი გარკვეული ქონების დაბრუნებას და მეორე – მისთვის გარკვეული ეკონომიკური შეღავათების დაწესებას გადასახადებისაგან გათავისუფლების შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მე-7 მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის თანამშრომლობას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. ეკლესიის საკუთრებად არის გამოცხადებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ტაძრები, მონასტრები, მათი ნანგრევები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინია განლაგებული.

ამ საკითხის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ შეთანხმების მე-8 და მე-9 მუხლები. მე-8 მუხლის თანახმად ეკლესიის საკუთრებად ცხადდება სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული საეკლესიო დანიშნულების საგანძური. მართალია ასეთი უფლება არ ვრცელდება კერძო საკუთრებაში არსებულ საგანძურის ნაწილზე, თუმცა სახელმწიფო უზრუნველყოფს კერძო სტრუქტურაში არსებული საგანძურის საქართველოს ეკლესიისათვის უპირატესი შეძენის უფლე-

ბას. მე-9 მუხლი კი ითვალისწინებს სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ ვალდებულებას, უზრუნველყონ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობების დაცვა, ანუ მათზე ზრუნვის ტვირთი თანაბრად ნაწილდება როგორც სახელმწიფოზე, ისე ეკლესიაზე.

შეთანხმების მე-10 მუხლით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას აწარმოოს მოლაპარაკება უცხოეთის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებელი საეკლესიო ნაგებობის, აგრეთვე საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე. აღნიშნული მუხლის სათანადო რეალიზაცია მართლაც რომ მნიშვნელოვანია, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც იერუსალიმის ჯერის მონასტერში დღემდე დაუდგენელ ვითარებაში განადგურდა შოთა რუსთაველის ერთადერთი ხელთუქმნელი ფრესკა, რადგან მომავალში მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი მათი დაზიანებისა და ხელყოფისაგან დაცვა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია შეთანხმების მე-11 მუხლი, რომელშიც სახელმწიფო უპირობოდ ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს და იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე.

კონსტიტუციური შეთანხმების დასკვნით მე-12 მუხლში აღწერილია მისი მიღებისა და ძალაში შესვლის წესი.

## **§6. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები**

### **4.6.1. რატომ ვუწოდებთ მასშედის „მეოთხე ხელისუფლებას“?**

უკანასკნელ პერიოდში ქართულ პოლიტიკურ და იურიდიულ სამეცნიერო ლექსიკონში სულ უფრო აქტიურად მკვიდრდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დახასიათების ისეთი ფორმა, როგორცაა „მეოთხე ხელისუფლება“.

რასაკვირველია, მასმედიის მსგავსი სახელწოდებით მოხსენიება პირობით ხასიათს ატარებს, ვინაიდან, ჯერ ერთი, ხელისუფლებათა დანაწილების კლასიკური მოდელი ითვალისწინებს მხოლოდ ცნობილ ტრიადას — საკანონმდებლოს, აღმასრულებელს და სასამართლოს. არანაირი მეოთხე ფორმა აქ არ მოიხსენიება. მეორე, მასმედია არ არის სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვების, განხორციელებისა და შენარჩუნების პროცესის უშუალო მონაწილე, ანუ პოლიტიკური სუბიექტი, მაგალითად ისეთი, როგორცაა პოლიტიკური პარტია.

მაშ, რატომ გაჩნდა საზოგადოებრივი მოთხოვნილება მასმედიის „მეოთხე ხელისუფლებად“ შერაცხვისა?

უწინარეს ყოვლისა, პირველ მიზეზთა შორის უნდა დავასახელოთ გარემოება, რომელიც განაპირობებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განსაკუთრებულ ადგილს საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში. ეს არის თავად მასმედიის საქმიანობის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით განხორციელებული ზეგავლენა საზოგადოებასა და სახელმწიფოზე. ალბათ, რთული არ არის ისეთი თვალსაჩინო მაგალითების გახსენება, თუნდაც, საქართველოს უახლოესი წარსულიდან, როცა მასმედიის აქტიურმა, უკომპრომისო და ეფექტიანმა საქმიანობამ დააჩქარა გარკვეული პოლიტიკური პროცესების მომწიფება და შემდეგ მათი პრაქტიკული განხორციელება („ვარდების რევოლუცია“, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მომხდარი ცნობილი მოვლენები). ეს იყო საუკეთესო მაგალითები იმ რეალური ზეგავლენის დემონსტრირებისა, რომელიც მოახდინა მასმედიამ საზოგადოებაზე და შეამზადა და განაწყო მისი უმრავლესობა არსებითი პოლიტიკური ხასიათის ცვლილებების განსახორციელებლად.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სახელმწიფოს (ზოგადად) დემოკრატიულობის ხარისხის საზომი და კატალიზატორი არის მასმედიის თავისუფლების მასშტაბები და ინფორმაციული თავისუფლების დონე. ტოტალიტარული რეჟიმები ზღუდავენ ასეთ გარემოს, აკონტროლებენ რა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სხვადასხვა ფორმებით (მონოპოლიზაცია, ცენზურა და სხვ.). განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში გაზეთები თავისუ-

ფალია, ისინი არ შეიძლება ეკუთვნოდეს სახელმწიფოს ისევე, როგორც ტელევიზია და რადიო.

ვინაიდან ქართული საზოგადოება მიისწრაფის დემოკრატიული, ცივილიზებული სახელმწიფოს შექმნისაკენ, დღის წესრიგში ღებება შესაბამისი სტანდარტების ოპტიმიზაცია და მათი ჰარმონიზაცია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სამი ძირითადი მიმართულება: 1) მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება; 2) ჟურნალისტების ფართო უფლებები და 3) მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა.

მასობრივი ინფორმაცია არის შეტყობინებები და ის მასალა (ბეჭდვითი, აუდიო, აუდიოვიზუალური და სხვ.), რომელიც გათვალისწინებულია პირთა განუსაზღვრელი რაოდენობისათვის და ვრცელდება საჯაროდ ანუ ღიად. სწორედ საქმიანობის ასეთ წესში ვლინდება მასმედიის, როგორც „მეოთხე ხელისუფლების“ სიძლიერე და საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ეფექტიანი საშუალება.

ჟურნალისტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ძირითადი ფიგურაა, რომელთა ერთობლიობა ქმნის კიდევ „მეოთხე ხელისუფლებას“. ეს არის პირი, რომელიც ახორციელებს შეტყობინების და სხვა მასალის რედაქტირებას, მოძიებას და მომზადებას შესაბამისი რედაქციისათვის და იმყოფება ამ უკანასკნელთან შრომით ან სხვა საკონტრაქტო ურთიერთობაში ან უფლებამოსილია რედაქციის მიერ.

კონსტიტუციური სამართალი განამტკიცებს და არეგულირებს ჟურნალისტის სტატუსს და მას ანიჭებს ფართო უფლებებს. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან უუფლებო ჟურნალისტი – ეს იგივეა, რაც რედაქცია თავად ჟურნალისტის გარეშე. მათ უფლება აქვთ მოიძიონ, გამოიკითხონ, მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია, შევიდნენ სახელმწიფო და სხვა ორგანოებში, შეხვდნენ თანამდებობის პირებს, აწარმოონ ჩანაწერები და სხვა.

ამასთან ერთად, კონსტიტუციური სამართალი ჟურნალისტებს, ანუ „მეოთხე ხელისუფლებას“, ისევე როგორც ხელისუფლებათა სხვა შტოებს, აკისრებს სერიოზულ მოვალეობასაც და გარკვეულწილად განუსაზღვრავს მოქმედების ფარგლებს. ეს არის მასობ-

რევი ინფორმაციის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა. მათ არ უნდა გამოიყენონ თავიანთი უფლებები საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის დაფარვის ან ფალსიფიცირებისათვის. ამრიგად, კონსტიტუციური სამართალი ჟურნალისტიკისაგან მოითხოვს არა ნებისმიერი, არამედ გადამოწმებული ინფორმაციის შეფასებას და გავრცელებას.

ასეთი შეზღუდვა შეიძლება განვიხილოთ, როგორც „მეოთხე ხელისუფლების“ თვითკონტროლის მექანიზმი, ვინაიდან „ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების“ ცნობილ სისტემაში ის ვერ მოთავსდება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთ სისტემაში წარმოუდგენელია ხელისუფლებათა შტოების საქმიანობა მხოლოდ საკუთარი თვითკონტროლის იმედად, ამიტომაც არის აგებული მათი ურთიერთობა ურთიერთკონტროლის საფუძველზე. ადვილი წარმოსადგენია, რას დაემსგავსება მასმედია ხელისუფლების სამივე შტოს მიერ მისი გაკონტროლების შემოხვევაში, რაც უკვე განვლილი გზაა ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში. ალბათ, ამიტომაც ეყობ გონიერება თავის დროზე „ხელისუფლებათა დანაწილების“ თეორიის მიმდევრებს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მხოლოდ პირობითად მონათლათ „მეოთხე ხელისუფლებად“ და არა უმეტეს, ვინაიდან მისი თავისუფლება სახელისუფლებო აბრევიატურისაგან გაცილებით მნიშვნელოვანია საზოგადოებისა და სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობისა და განვითარებისათვის, ვიდრე ხელისუფლების არსებულ შტოებს შორის თანასწორად გამოცხადება.

#### 4.6.2. მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფარგლები

მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებაში საკონსტიტუციო სამართალი გულისხმობს მასობრივი ინფორმაციის მოძიებას, მიღებას, წარმოებას და გავრცელებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაფუძნებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფლობას, გამოყენებას და გავრცელებას, ასევე მისი პროდუქციის წარმოებისა და გავრცელების ტექნიკურ უზრუნველყოფას. მაშა-



სადამე, მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება მოიცავს როგორც არამატერიალურ, ისე მატერიალურ კომპონენტებს.

ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესოა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომელშიც გარდა ადამიანის უფლებისა თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით, მოცემულია მასობრივი ინფორმაციის მდგომარეობის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი უმთავრესი განმსაზღვრელი პირობა: მისი თავისუფლება და ცენზურის აკრძალვა (მე-2 პუნქტი). რაში გამოიხატება ეს პირობები?

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების თანამედროვე გაგება უკავშირდება საერთაშორისო-სამართლებრივ სტანდარტებს აღნიშნულ სფეროში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მიეკუთვნება მასობრივი ინფორმაციის პერიოდული გავრცელების ყველა ფორმა (პერიოდული ბეჭდვითი გამოცემები, ელექტრონული გამოცემები და ა.შ.), რომლებიც შეესაბამებიან კონსტიტუციური სამართლით დადგენილ კრიტერიუმებს. „პერიოდულობის“ კრიტერიუმის დაკმაყოფილებისათვის ბეჭდვით ორგანოს უნდა ჰქონდეს მუდმივი სახელწოდება, მიმდინარე ნომერი და გამოდიოდეს წელიწადში ერთხელ მაინც. ელექტრონული საშუალებებისათვის (რადიო, ტელევიზია, ვიდეო, კინოქრონიკა) პერიოდულობა გულისხმობს მუდმივი სახელწოდების არსებობას და ეთერში გასვლას წელიწადში ერთხელ მაინც.

დამოუკიდებელი ტელევიზია და პრესა თავისუფალია საინფორმაციო მასალის შერჩევაში, ვალდებული არ არის შეათანხმოს ის რომელიმე სახელმწიფო ორგანოსთან, უფლებამოსილია დამოუკიდებლად ააგოს თავისი ურთიერთობები საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოებთან, წარგზავნოს უცხოეთში თავისი კორესპონდენტები და ა.შ.

საქართველოს კონსტიტუციამ აკრძალა ცენზურა. რა არის ცენზურა? ეს არის სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ან საზოგადოებრივი გაერთიანებების თანამდებობის პირთა მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი წაყენებული მოთხოვნა შეტყობინებების ან მასალის წინასწარ შეთან-

ხმების შესახებ ან ამ შეტყობინებებისა და მასალის ნაწილის გავრცელების აკრძალვის შესახებ. ანუ ცენზურა მოიცავს როგორც ინფორმაციის წინასწარ, ისე შემდგომ კონტროლს.

მასმედიის შეზღუდვის მსგავსი ფორმები თან სდევდა ქართულ პრესასა და ტელევიზიას მთელი საბჭოთა პერიოდის მანძილზე. პრინციპში, ამ პერიოდში არც არსებობდა მასმედიის თავისუფლების ცნება, ვინაიდან მასმედიის ყველა საშუალება ეკუთვნოდა სახელმწიფოს, ხოლო მასობრივი ინფორმაციის დამოუკიდებლად გავრცელების მცდელობის შემთხვევაში მას მაშინვე ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის ჩარჩოებში აქცეედნენ, რომლის გაძევრცელებლებიც სასტიკად ისჯებოდნენ. სწორედ ასეთმა იდეოლოგიურმა წინეხმა ჩაუყარა საფუძველი თავის დროზე დისიდენტურ მოძრაობას, რომელიც მართალია ჯრ იყო ინტენსიური და ძირითადად „იატაკქემა“ რეჟიმში არსებობდა, თუმცა რომელმაც მოგვიანებით მანც განაპირობა სსრ კავშირის პირობებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მძლავრი მუხტის მინიჭება და შედეგად ტოტალიტარული რეჟიმის რღვევა.

ცენზურის აკრძალვა მიზნად ისახავდა ე.წ. „ცენზორების“ ინსტიტუტის გაუქმებას. არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რედაქციებში და არც რომელიმე სახელმწიფო ორგანოში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს მასმედიის მუშაობას.

თუმცა, როგორც წინა ქვეპარაგრაფში აღინიშნა, მასმედიასა და სახელმწიფოს შორის არსებობს გარკვეული ურთიერთსანაცვლო მოვალეობებიც: სწორედ ამის გამოძახილია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად მასმედიის თავისუფლება შესაძლებელია შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობები საქართველოში დეტალურად წესრიგდება 2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომელიც აკონკრეტებს ამ ურთიერთობათა თავისებურებებს.

## **§7. საქართველოს სახელმწიფო – ძირითადი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი**

### **4.7.1. საქართველო – რესპუბლიკური, დემოკრატიული, სამართლებრივი, სოციალური, განუყოფელი სახელმწიფო**

საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი გულისხმობს საქართველოს სახელმწიფოს მდგომარეობის თვისობრივ დახასიათებას და იმ კონსტიტუციური პრინციპების ერთობლიობას, რომელთა საფუძველზეც ხდება მისი ორგანიზაცია და ფუნქციონირება.

საქართველოში სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე მუდამ ზემოქმედებდა მძლავრი საგარეო ფაქტორები: სამხედრო (მონღოლების, თურქ-სელჩუკების შემოსევა, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტები, რომლებიც ასევე გარედანაა თავსმოხვეული და სხვ.), ეკონომიკური, იდეოლოგიურ-კონცეპტუალური (ქრისტიანობა, მარქსიზმ-ლენინიზმი და სხვა მრავალი). საგარეო ფაქტორებს ჰქონდა და დღესაც აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ზემოქმედება. დაგროვდა საკუთარი დიდი გამოცდილება, რომლის რეალიზაციაც აუცილებელია. ინსტიტუციური თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ მონარქია, რომელიც ისტორიული პერიოდების გათვალისწინებით ხასიათდებოდა ხან ცენტრალიზაციის ტრადიციებით, ხანაც ფეოდალური დაქუცმაცებითა და ქვეყანაში მმართველობის დეცენტრალიზაციით.

თანამედროვე ქართული სახელმწიფო შეიქმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზით ფაქტობრივად დაშლილი სსრ

კავშირის ნანგრევებზე. ამან გარკვეული დიდი დააჩნია სახელმწიფოს როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტიურ მდგომარეობას. თავად განსაჯეთ: საქართველოს დამახასიათებელი ძირითადი სამართლებრივი თვისებებიც კი საქართველოს კონსტიტუციაში მოიხსენიება არა აწმყო დროში, არამედ სამომავლო პერსპექტივის პოზიციიდან – „საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო...“ (საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა). გარკვეული მიზეზების გამო საქართველოს კონსტიტუციით საერთოდ ვერ მოხერხდა დღემდე საქართველოს სახელმწიფოს სტატუსის ერთ-ერთი ისეთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ნიშნის დაფიქსირება, როგორიცაა წესწყობილების ფორმა – უნიტარული ან ფედერაციული. ერთადერთი, რაც გარკვევით არის დაფიქსირებული კონსტიტუციის ტექსტში ამასთან დაკავშირებით, არის ისეთი ნიშნები, როგორიცაა დამოუკიდებლობა, ერთიანობა და განუყოფლობა (კონსტიტუციის პირველი მუხლის 1-ლი პუნქტი) და პოლიტიკური წყობილების ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკა.

ყველა ზემოთ დასახელებული ელემენტი შეადგენს საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის სტრუქტურას. ასეთი რთული კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი საქართველოს არასოდეს ჰქონია, თუმცა მისი ზოგიერთი ელემენტი თავისთავად არ არის ახალი. მაგალითად, სახელმწიფოს სტატუსის ისეთი მახასიათებელი, როგორიცაა რესპუბლიკური სახელმწიფო, თავის არსებობას საქართველოში იწყებს 1918 წლიდან.

საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი საუბრობს რა მმართველობის რესპუბლიკურ ფორმაზე, ამით ცალსახად გამორიცხავს მონარქიას როგორც საქართველოს დონეზე, ისე მის შემადგენელ ნაწილებში.

იმდენად, რამდენადაც საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია აღიარებს რესპუბლიკური მმართველობის ფორმას, კარგი იქნება, დაწვრილებით ჩამოვაყალიბოთ საერთოდ რესპუბლიკური მმართველობის ფორმისათვის დამახასიათებელი იურიდიული ნიშნები.

რესპუბლიკური მმართველობა არის კოლექტიური მმართველობა. სახელმწიფო ხელისუფლების ყველა უმაღლეს ორგანოს აქვს რთული სტრუქტურა, ენიჭება მხოლოდ მათთვის დადგენილი უფლებამოსილება და მისი შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებს კანონის თანახმად. საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უმეტეს შემთხვევაში იხილება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და შესაბამისი პროცედურის მიხედვით. გადაწყვეტილების მიღება კი ხდება, ჩვეულებრივ, კენჭისყრის გზით.

რესპუბლიკური მმართველობა დაფუძნებულია ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებზე და დანაწილების პრინციპზე. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოებს ევალებათ შეასრულონ სხვადასხვა ფუნქცია: პარლამენტს ევალება კანონების მიღება, მთავრობასა და მის ორგანოებს – კანონების შესრულება, მათი ცხოვრებაში გატარების ორგანიზება, სასამართლო ორგანოებს – კანონების შესრულებაზე კონტროლი, მათი დამრღვევების პასუხისგებაში მიცემა და ა.შ.

სხვა სიტყვებით, რესპუბლიკური მმართველობის ორგანოებს ენიჭება სხვადასხვა უფლებამოსილება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების სხვადასხვა სფეროში.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემობასაც, რომ ხელისუფლებათა დანაწილების მიუხედავად, ყველა რესპუბლიკური ორგანო მოწოდებულია სისტემურად, შეთანხმებულად და ორგანიზებულად განხორციელოს ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება. ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია მათი ფუნქციონირება.

რა თქმა უნდა, ხელისუფლების ყველა შტოს შეთანხმებული საქმიანობა ყოველთვის ვერ ხერხდება. ხელისუფლებათა დანაწილებისას ზოგჯერ ადგილი აქვს ბრძოლას იმ ორგანოებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ ხელისუფლების ამ თუ იმ შტოს (მაგალითად, პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის) უფლებამოსილებათა გაზრდისათვის, უზენაესობისათვის. ზოგჯერ ასეთი ბრძოლა ღებულობს საკმაოდ მწვავე ფორმებს, განსაზღვრული პოლიტიკური ძალები იწყებენ მონარქიული, მათ შორის, აშკარად დიქტატორული ალტერნატივების დაპირისპირებას რესპუბლიკური დემოკრატიული მმართველო-

ბის ფორმების წინააღმდეგ. განსაზღვრული პოლიტიკური ძალების ლიდერების აზრით, ასეთ პირობებში შეიძლება ლიკვიდირებულ იქნეს ხელისუფლებათა დანაწილება და ხელისუფლების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სხვა დემოკრატიული საშუალებებიც. ეს ლიდერები გულისხმობენ ხელისუფლების გაერთიანებას მონარქის ან რაიმე ნიშნით პირის, მაგალითად, სამხედრო ხუნტის ხელში.

ისმება კითხვა: მაშ რაში მდგომარეობს რესპუბლიკური მმართველობის ფორმის უპირატესობა და მიმზიდველობა, რომლის დროსაც ხდება ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპის რეალიზება?

ჯერ ერთი, ხელისუფლებათა დანაწილება საშუალებას იძლევა, ხელისუფლების ყოველმა შტომ გაცილებით ზარისზიანად გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი ამოცანები; მეორე, თავიდან აიცილოს ხელისუფლების ბორჯოტად გამოყენება, რომელიც მოსალოდნელია ხელისუფლების მონოპოლიზაციის დროს და შესაძლოა, განახორციელოს კონტროლი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე.<sup>59</sup>

რესპუბლიკა დიდად განსხვავდება მონარქიისაგან ხელისუფლების ორგანოების შექმნის სფეროში. არსებითად, რესპუბლიკა მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლების ყველა უმაღლესი ორგანო აირჩევა ხალხის მიერ. სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს განსხვავებული საარჩევნო სისტემები, ზოგი უფრო დემოკრატიულია, ზოგი — ნაკლებად. მაგრამ ხელშეუვალი რჩება ის ფაქტი, რომ ხალხი ასე თუ ისე, აუცილებლად მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირებაში.

რესპუბლიკაში ხელისუფლების ორგანოები აირჩევა განსაზღვრული ვადით. უმეტეს ქვეყნებში დადგენილია დამატებითი შეზღუდვა, რომელიც ეხება იმას, თუ რამდენჯერ შეიძლება იქნეს არჩეული პირი ამა თუ იმ თანამდებობაზე. სხვა სიტყვებით, რესპუბლიკაში ხდება ხელისუფლების შენაცვლებადობის პრინციპის რეალიზაცია.

თანამდებობის პირებს რესპუბლიკაში ეკისრებათ პასუხისმგებლობა. რა თქმა უნდა, მას გააჩნია, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური ხასიათი და შეიძლება გამოიხატოს ისეთ მოქმედებებში,

---

<sup>59</sup> ხელისუფლებათა დანაწილების შესახებ დაწერილებით იხილეთ 4.7.2. ქვეპარაგრაფში.

როგორცაა: დეპუტატისათვის ვადაძლე უფლებამოსილების შეწყვეტა, მთავრობის გადადგომა, პარლამენტის დათხოვნა, პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება (იმპიჩმენტი) და სხვ.

რესპუბლიკას, როგორც მმართველობის ფორმას, თან სდევს, როგორც წესი, სახელმწიფო ხელისუფლების რაციონალური აღქმა მოსახლეობის მიერ. ამასთან, საზოგადოებრივი ცნობიერება უძრავლეს შემთხვევაში გამოდინარეობს ადამიანთა ფორმალური თანასწორობის პრინციპიდან, კომპრომისებისა და სტაბილურობის აუცილებლობიდან. თანასწორობის იდეა საშუალებას იძლევა, ამა თუ იმ თანამდებობაზე წამოვყენოთ ნებისმიერი მოქალაქე იმათ გარდა, ვინც კანონის საფუძველზე შეზღუდულია თავის უფლებებში.

რესპუბლიკური აღმშენებლობის თანამედროვე პრაქტიკა იცნობს რესპუბლიკის სამ ძირითად სახეს: საპრეზიდენტოს, საპარლამენტოს და შერეულს. ასეთი დაყოფის ძირითადი კრიტერიუმია სახელმწიფოს მეთაურის ადგილი სახელმწიფო მექანიზმში. საპარლამენტო რესპუბლიკაში სახელმწიფოს მეთაური არ მიეკუთვნება არც ერთ ხელისუფლებას. მას არ გააჩნია რეალური სახელმწიფო ხელისუფლება და გარკვეულწილად წარმოადგენს პოლიტიკურ ფიგურას, ერთგვარ „სათადარიგო საბურავს“ სახელმწიფო მექანიზმში. ყველაზე რელიეფურად ეს ვლინდება გერ-ში, იტალიაში. საპრეზიდენტო რესპუბლიკა, რომლის მკაფიო მაგალითსაც წარმოადგენს აშშ, ეფუძნება სახელმწიფო მეთაურის მიკუთვნებას აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი, რომელსაც ის მეთაურობს უშუალოდ და პასუხს აგებს მის საქმიანობაზე. სახელმწიფოს მეთაური ასეთ ქვეყნებში ფლობს რეალურ სახელმწიფო ხელისუფლებას იმიტომ, რომ ხელმძღვანელობს აღმასრულებელ ხელისუფლებას. დაბოლოს, რიგ ქვეყნებში, (მაგალითად, საფრანგეთში) არსებობს შერეული რესპუბლიკები, რომელთათვისაც დამახასიათებელია სახელმწიფოს მეთაურის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ელემენტების ფლობა მთავრობის გაზრდილი როლით აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში. საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმების შედეგად ჩამოყალიბდა შერეულ ფორმასთან დაახლოებული სისტემა, რომელმაც შეცვალა ასევე საპრეზიდენტო მოდელის მსგავსი სისტემა.

საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის შემადგენელი ელემენტები თეორიისა და პრაქტიკის წინაშე აყენებენ მათი ურთიერთქმედების, მათ შორის კოლიზიის გადაწყვეტის პრობლემას. შეიძლება კი სახელმწიფო იყოს დემოკრატიული, თუ არ აღიჭურვება დანარჩენი თვისებებით? რა სახით არიან ურთიერთდაკავშირებული საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის ელემენტები? მსგავსი კითხვები შესაძლებელია კიდევ დაისვას, პასუხი კი მათ სათითაო დახასიათებაში უნდა ვეძიოთ.

დემოკრატიული, სამართლებრივი, სოციალური სახელმწიფო – ეს კონსტიტუციურ-სამართლებრივი დახასიათება ატარებს იდეოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს, რამდენადაც პოზიტიური კონსტიტუციური სამართალი მათ შინაარსს არ განმარტავს.

დემოკრატიული სახელმწიფო უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც კრებითი ცნება, რომელიც აერთიანებს დანარჩენ ზემოთ ხსენებულ ელემენტებს, თუმცა არ ამოიწურება მათით. მაგალითად, დემოკრატიული შეიძლება იყოს უნიტარული სახელმწიფო, მრავალი კონფესიური სახელმწიფო ასევე თვლის თავის თავს დემოკრატიულად.

დემოკრატიული სახელმწიფოს ცნება წარმოდგება ძველბერძნული სიტყვისაგან „დემოკრატია“ (დემოს + კრატოს), რაც ნიშნავს „სახალხო ხელისუფლებას“ (ხალხის ხელისუფლებას). თანამედროვე გაგებით ეს არის ხალხის მმართველობა, ხალხისათვის და ხალხის მეშვეობით. სახალხო ხელისუფლება გულისხმობს, რომ ხალხი განსაზღვრავს მის ხასიათს, მის პოლიტიკას, საქმიანობის მიზნებს. ხალხის ქვეშ გულისხმობენ ქვეყნის მოსახლეობას, ერს. მარქსიზმში ხალხი ნიშნავს მოსახლეობის მშრომელ მასებს. პრაქტიკულად ხალხი მოსახლეობის უმრავლესობაა, რომლის ცხოვრებისეული ინტერესების შესაბამისად მიიღება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო გადაწყვეტილებები.

კიდევ უფრო ვიწრო გაგებით ხალხი არის საარჩევნო კორპუსი, ანუ საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც მიაღწიეს 18 წლის ასაკს, არ არიან სულთ ავადმყოფები და არ იხდიან სასჯელს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ,



სწორედ ამომრჩეველთა კორპუსია ხელისუფლების წყარო საქართველოში.

მმართველობა ხალხისათვის ნიშნავს, რომ დემოკრატიულმა სახელმწიფომ, მისმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ პოლიტიკა მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა იმავდროულად უნდა დაიცვან უმცირესობის ინტერესები. ამასთან, საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებში, მთელი საზოგადოების ინტერესებში და სოციალური თანხმობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ შეიძლება შეზღუდოს მოსახლეობის ცალკეული ფენების ინტერესები. კრიზისულ სიტუაციებში ვითარების სტაბილიზაციის მიზნით ის ზოგჯერ შეეხება უმრავლესობის ინტერესებს და მთელ მოსახლეობასაც კი. კერძოდ, ასე ხდება დღეს საქართველოში (მაგალითად, ერთი მხრივ, ლარის კურსის გამყარება და, მეორე მხრივ, ფასების გაზრდა). თუმცა, რასაკვირველია, პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების მომატება ყველაზე დიდ დარტყმას აყენებს მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ნაწილს, მაშინ როცა სახელმწიფო ფასების მატება ფუფუნების საგნებზე შეეხება მხოლოდ მოსახლეობის მდიდარ ფენას, მაგრამ არ შეეხება მათ სასიცოცხლო მოთხოვნილებებს.

„ხალხის მეშვეობით“ მმართველობაში, უწინარესად, იგულისხმება ის, რომ ხალხი (ამომრჩეველთა კორპუსი) კენჭისყრის გზით განსაზღვარებს იმ პარტიებსა და პირებს, რომლებმაც უნდა მართონ ქვეყანა. არჩევით ორგანოებს ექვემდებარება სახელმწიფო აპარატი, რომელიც უშუალოდაა დაკავებული მართვის საკითხებით.

დემოკრატიული სახელმწიფოს ცნებას აქვს სხვა მრავალი შემადგენელი, რომელიც გამომდინარეობს ხალხის ხელისუფლებიდან: მოქალაქეთა ფართო უფლებები და მათი რეალური უზრუნველყოფა, დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი, მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთპასუხისმგებლობა და სხვ. დემოკრატიული სახელმწიფოს ინსტიტუტები (არჩევნები, რეფერენდუმი, სასამართლო სისტემა და სხვ.) საკმაოდ ძვირი უჯდებათ გადასახადის გადამხდელ მოქალაქეებს. დემოკრატია მმართველობის ძვირი ფორმაა, მაგრამ როგორც ბრძანებს დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-

მინისტრი, უინსტონ ჩერჩილი, „კაცობრიობამ ჯერჯერობით უკეთესი ფორმა ვერ მოიფიქრა“.

თავისუფლება დემოკრატიულ სახელმწიფოში, ლიბერალიზმის მეთოდების და არა ძალადობის გამოყენება სულაც არ ნიშნავს, რომ დემოკრატიული სახელმწიფო არის სუსტი სახელმწიფო. მასში არსებობს მტკიცე ხელისუფლება, მაგრამ ის ეყრდნობა არა ძალადობას (როგორც ტოტალიტარულ სახელმწიფოში), არამედ მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერას. დემოკრატიული სახელმწიფოს სისუსტე არის საფრთხის შექმნა თავისუფლებისათვის, რომელიც მან უნდა დაიცვას, საფრთხის შექმნა საზოგადოებისათვის კრიმინალური სტრუქტურების მხრიდან და ა.შ.<sup>60</sup> სხვადასხვა მიზეზთა გამო, მათ შორის, ხშირად გაუაზრებელი პოლიტიკის გამო „ზემოდან“ და სეპარატისტული ელემენტების გარედან მართული მოქმედებების გამო, ქართული სახელმწიფო დასუსტდა. საბედნიეროდ, დღეს შეინიშნება გარკვეული ძვრები მის გასაძლიერებლად, ამ პროცესსაც არ აქვს ალტერნატივა — დემოკრატიული პრინციპების განმტკიცება და დემოკრატიული პოლიტიკურ-სამართლებრივი კულტურის დამკვიდრება საზოგადოებაში. რაც უფრო მკვეთრი იქნება სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ნაბიჯები, მით უფრო გაძლიერდება მისი თავდაცვისუნარიანობა, ეროვნული ორგანიზებულობა და შიდასახელმწიფოებრივი ინტეგრაციის პროცესი, სურვილი გამთლიანებისა და გაერთიანებისა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ კვლავ აღმოვჩნდებით მოჩვენებითი დემოკრატიის, ტოტალიტარიზმისა და ქარიზმატული ავტორიტარიზმის გარდასულ რეალობაში, რისი სურვილიც საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას ნამდვილად არ აქვს.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი (ან იდეა) ძალზე მოდელური ცნებაა. საზოგადოებრივი პროგრესის დროს ის იძენს ახალ თვისებებს, ივსება ახალი შინაარსით, რომელიც შეესაბამება საზოგადოების არსებობის კონკრეტულ პირობებსა და მისი განვი-

---

<sup>60</sup> Холмс С., Чему Россия учит нас сегодня // Конституционное право: восточноевропейское обозрение, 1997, №3-4, гл. 193.

თარების დონეს. ფაქტობრივად, ეს არის იდეალი, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ცივილიზებული საზოგადოება.

თუ შევაჯამებთ თანამედროვე მიდგომებს, იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის უკანასკნელ მიღწევებს, შედეგად მივიღებთ სამართლებრივი სახელმწიფოს შემდეგ დამახასიათებელ ნიშნებს:

1. სახელმწიფოს გადაქცევა სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების გამოხსატველად და დამცველად;

2. კანონის ბატონობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში;

3. პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეუხებლობა, მათი ყოველმხრივი უზრუნველყოფა და დაცვა (ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები განიხილება არა როგორც სახელმწიფოს საჩუქარი, არამედ როგორც ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა და სოციალური პროგრესის შედეგი);

4. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს შორის კომპეტენციათა მკაფიო გამიჯვნა იმ პირობით, რომ ხელისუფლების ყველა ეს შტო გააწონასწორებს და შეაკავებს ერთმანეთს კანონის ფარგლებში, ხოლო სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს;

5. კანონშემოქმედების დემოკრატიულობის უზრუნველყოფა, რომელიც ხორციელდება როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოების, ისე თავად ხალხის მიერ (სამართლებრივ სახელმწიფოში არ უნდა იყოს და არც შეიძლება იყოს კანონები, რომლებიც არ შეესაბამება ხალხის ნებას და, მით უმეტეს, რომელიც ეწინააღმდეგება მას);

6. კანონების შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმების არსებობა.

უკანასკნელი წლების იურიდიულ ლიტერატურაში სახელდება სამართლებრივი სახელმწიფოს სხვა ნიშნებიც: საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ფუნქციების მკაფიო განაწილება; ანტიმონოპოლიური მექანიზმების შექმნა; კონსტიტუციური კანონის უზენაესობა და პირდაპირი მოქმედება; შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებთან და პრინციპებთან და სხვა.

სამართლებრივი სახელმწიფოს გადამწყვეტ სოციალურ-ეკონომიკურ წინაპირობას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოება. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ყალიბდება ისეთი ურთიერთობები, რომლებიც გულისხმობენ ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების აქტიურ გამოვლენას, როცა, ხატოვნად რომ ვთქვათ, პიროვნების აჩრდილი იძენს ხორცსა და სისხლს. იდეალში, სამოქალაქო საზოგადოება არის თავისუფალ მოქალაქეთა თანამეგობრობა, რომელთა უფლებები უმაღლესი ღირებულებებია. სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა ყველა შესაძლებელი საშუალებით უზრუნველყოს ადამიანის თავისუფლება. მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია შექმნას ნორმალური სამოქალაქო საზოგადოება, მიაღწიოს ეკონომიკურ და სულიერ აყვავებას და ა.შ. სწორედ ამ პირობებშია შესაძლებელი ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.

კანონის უზენაესობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში განისაზღვრება იმით, რომ კანონებში სახელმწიფო ადგენს ქცევის ზოგადსავალდებულო წესებს, ის არეგულირებს ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მხარეებს. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კანონებს.

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რომ იყოს სამართლიანი კანონები, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა აუცილებელ მხარეს, არამედ ასევე მათი შესრულება, ის, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დაიკაოს თავისი ადგილი და არ ეცადოს პარლამენტსა და სასამართლოზე მაღლა „აყოცუბა“, ხოლო სასამართლო სარგებლობდეს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობით და უმწიკვლო ავტორიტეტით საზოგადოებაში. გამომდინარე აქედან, საქმე გვაქვს სამართლებრივი სახელმწიფოს კიდევ ერთ პრინციპთან, როგორცაა ხელისუფლების დანაწილება, რომელიც ქმნის წინალობას ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის, იცავს მოქალაქეს თანამდებობის პირთა თვითნებობისაგან, ქმნის სახელმწიფო ორგანოების ეფექტიანად საქმიანობის წინაპირობებს.

სოციალური სახელმწიფოს ცნება ლიტერატურაში გაჩნდა XX საუკუნეში, კონსტიტუციაში კი — მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. XIX საუკუნის ლიბერალური სახელმწიფოდან XX საუკუნის

სოციალურ სახელმწიფოზე გადასვლას ზოგიერთი ავტორი უკავშირებს ძირითადად საერთაშორისო პროცესებს: ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციას, თავად სახელმწიფოს ინტერნაციონალიზაციას სხვადასხვა რეგიონული ბლოკების შექმნის გზით, ვაჭრობის გაფართოებას და სხვ.<sup>61</sup> თუმცა, სოციალური სახელმწიფოს ცნება, პირველ ყოვლისა, ეფუძნება საშინაო პოლიტიკის შეცვლას. ასეთი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ნიშანია მისი აქტიური შეჭრა სოციალურ ურთიერთობებში. სახელმწიფო არასოდეს ყოფილა მხოლოდ „ღამის დარაჯი“, სოციალური სახელმწიფოს ნიშნები არსებობდა ყოველთვის, რადგანაც ის ასრულებდა ზოგიერთ „საერთო საქმეს“, მაგრამ ასეთი ელემენტები ფაქტობრივად შეუძნეველი იყო. თანამედროვე ლიტერატურაში სოციალური სახელმწიფო ყველაზე ხშირად უკავშირდება სოციალურ მდგომარეობას: სახელმწიფო განათლებას და სტუდენტებისათვის სტიპენდიების მიცემას, სახელმწიფო მედიცინას (უფასო მომსახურება), დახმარებებს უმუშევართათვის, პენსიებს, განსაკუთრებულ ზრუნვას ინვალიდებზე, ბავშვებზე, სამუშაო დროის მაქსიმალურად დასაშვებ ხანგრძლივობას, შრომის ანაზღაურების მინიმალურად დასაშვებ ოდენობას, დასვენების სავალდებულო დღეებს, ანაზღაურებად შვებულებას და ა.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და სხვა ფორმებით სახელმწიფო მხარს უჭერს მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ფენებს.

სოციალური სახელმწიფოს ანტიპოდს წარმოადგენს ასოციალური სახელმწიფო, რომლის სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელობა ზრუნავს მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე და, ჩვეულებრივ, უზარმაზარი ოდენობის თანხებს ინახავს საზღვარგარეთის ბანკებში. ასე იყო ფილიპინებზე პრეზიდენტ მარკოსის დროს, ასე იყო ზაირში პრეზიდენტ მობუტუს დროს და, სამწუხაროდ, ასე იყო საქართველოში „ვარდების რევოლუციამდე“ (ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით საზოგადოებრივი აზრი ასეთია და ხალხს იმედი აქვს, რომ ახალი ხელისუფლება ბოლომდე დარჩება დემოკრატიული, სამართლებრივი, სოციალური სახელმწიფოს ერთგული).

---

<sup>61</sup> Жозе Едуардо Дариа, Конституционализация процессов и экономическая глобализация, М., 1996, გვ. 15.

სოციალური სახელმწიფოს კონცეფცია ნაწილობრივ იურიდიულად განმტკიცდა ასევე სოციალურ-ეკონომიკურ უწყლებებში. თუმცა, მთლიანობაში, ჯერ კიდევ არ არსებობს არც აღქმა, არც სახელმწიფოს იმ მოვალეობათა ადეკვატური განმტკიცება, რომლებიც გამომდინარეობენ მისი სოციალური სტატუსიდან.

განუყოფლობის პრინციპი ნიშნავს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. ნებისმიერი, ასე ვთქვათ, ჯანმრთელი, ანუ ნორმალურად ფუნქციონირებადი სახელმწიფო ყოველმხრივ წინ აღუდგება მისი ამა თუ იმ შემადგენელი ნაწილის გამოყოფის მცდელობებს. აღნიშნულთან დაკავშირებით უფრო დეტალურად ვისაუბრებთ საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ მოწყობასთან დაკავშირებულ თავში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მართალია საქართველოს კონსტიტუციაში არის დებულებები დემოკრატიული, სოციალური, სამართლებრივი და განუყოფელი სახელმწიფოს შესახებ, თუმცა ამ პოსტულატების სრული განხორციელება მნიშვნელოვან წილად წარმოადგენს ჯერ კიდევ განვითარების მიზნებს. თანამედროვე ქართული სახელმწიფო არის ნახევრადდემოკრატიული, ნახევრადსოციალური, ვინაიდან ჯერ კიდევ გრძელდება შრომის ანაზღაურების, პენსიების, დახმარებების დროულად გაუცემლობა, ის ჯერ კიდევ არ არის მთლად სამართლებრივი. თუმცა, იდეალური სახელმწიფოსაკენ სწრაფვა ურთულესი და არც ისე ხანმოკლე პროცესია. მთავარია, თანმიმდევრული და მიზანმიმართული პოლიტიკა და დასახული მიზნების გეგმაზომიერი შესრულება.

#### 4.7.2. ხელისუფლების დანაწილება, როგორც სახელმწიფოს დემოკრატიული ორგანიზაციის ფუნქციონირების პრინციპი

ვიდრე უშუალოდ ვიმსჯელებთ „ხელისუფლების დანაწილების“ არსსა და ბუნებაზე, არ შეიძლება არ შევეხოთ თავად ტერმინის მართებულობისა და სიზუსტის ქართულ ვერსიას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი სწორედ ამდგგარი უღერადობით მოიხსენიებს მოცემულ ტერმინს, რომე-

ლიც, ჩემი აზრით, მთლად ზუსტი არ უნდა იყოს. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული ტერმინი წარმოადგენს თარგმანს ტერმინისა „Separation of powers“. ინგლისური ენის გრამატიკის ელემენტარული ცოდნაა საჭირო იმისათვის, რომ სხვაობა დაინახოთ ქართულ თარგმანსა და პირველწყაროს შორის, ვინაიდან ეს უკანასკნელი სიტყვასიტყვით „ხელისუფლებათა განაწილებას“ ნიშნავს, რადგანაც სიტყვა „ხელისუფლება“ პირველწყაროში მრავლობით რიცხვშია გამოყენებული. ამასთან, თითქმის ყველა წყაროში, ეს იქნება ადრეული პერიოდის სწავლულთა შრომები, თუ თანამედროვე პერიოდის მეცნიერთა გამოკვლევები (მხედველობაშია ინგლისური, ფრანგული, რუსული და სხვა უცხო ენებზე გამოქვეყნებული მასალა), ყველგან გამოიყენება ტერმინი „ხელისუფლებათა განაწილება“ („Séparation des pouvoirs“, „Разделение властей“ და სხვ.). ჩემი აზრით, ეს უკანასკნელი უკეთ გამოხატავს საკითხის ნამდვილ არსს. მაგრამ რადგანაც საქართველოს კონსტიტუცია იყენებს ტერმინს „ხელისუფლების დანაწილება“, ჩვენც შემდგომი მსჯელობისას ასევე მოვიხსენიებთ მას.

ხელისუფლების დანაწილების პირველი ჩანასახები გვხვდება ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის სწავლულთა (არისტოტელე, პოლიბიუსი) ნაშრომებში. თუმცა, მას შემდეგ თითქმის 2000 წლის მანძილზე მყარად იქნა დავიწყებული მათი იდეები. მხოლოდ XVII საუკუნეში გაიხსენეს მისი არსებობის შესახებ. სამართლიანად ითვლება, რომ ხელისუფლების დანაწილების თეორია ხელახლა ჩამოაყალიბა და გამოაცოცხლა გამოჩენილმა ინგლისელმა მოაზროვნემ ჯონ ლოკმა თავის წიგნში „ორი ტრაქტატი მთავრობის შესახებ“ (1689).

ჯონ ლოკის იდეებმა ხელისუფლების დანაწილებისა და ადამიანის ბუნებითი უფლებების შესახებ ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ამერიკულ პოლიტიკურ აზროვნებაზე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეპოქაში. მისი ნაშრომების საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინა, მაგალითად, ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ერთ-ერთმა ავტორმა, თომას ჯეფერსონმა. ჯონ ლოკი წერდა ხელისუფლების დანაწილების შესახებ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და ფედერალურ ხელისუფლებებად. სასამართლო ხელი-

სუფლება ჯონ ლოკის მიერ შეყვანილი იყო აღმასრულებელ ორგანოებში.

ასეთი მიდგომა გარკვეულ სიმპათიებს იწვევდა ამერიკელებში, რადგან მათ „ყელში ჰქონდათ ამოსული აღმასრულებელი – სამეფო ხელისუფლება“ (და სამეფო სასამართლოებიც) და განსაზღვრულ ეტაპზე ხელისუფლების დანაწილებისას სურდათ ჰქონოდათ საკანონმდებლო ხელისუფლება უფრო ძლიერი, ვიდრე დანარჩენი სხვა. შემდეგ მათ „გადაიფიქრეს“, ვინაიდან მათმა საკუთარმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ხელისუფლებათა თანასწორობა გაცილებით უმჯობესია. შემდგომში ამის თაობაზე ტომას ჯეფერსონი თავის ნაშრომში – „ნარკვევები ვირჯინიის შტატის შესახებ“ წერდა, რომ ხელისუფლების კონცენტრაცია ერთ ხელში, თუნდაც კანონმდებლის ხელში, ეს არის დესპოტური მმართველობა. ასსამოცდაცამეტი დეპუტატი, ფიქრობდა ის (შეიძლება ცოტა გადაჭარბებითაც, თუმცა არც ისე უსაფუძვლოდ), „წარმოადგენს ისეთივე მოძალადეს, როგორც ერთი“.

რასაკვირველია, ხელისუფლების დანაწილების იდეა შემთხვევით არ აღმოცენებულა. ეს იყო თავად დროის – გარდაქმნების, რევოლუციების, აბსოლუტიზმის დამხობის დროის ნაკარნახევი. აბსოლუტიზმი დაეძვრა იმიტომ, რომ დასრულდა მისი დრო: ადამიანის უფულებობა, ქვეშევრდომთა დაყოფა ლამის კასტებად და, რაც მთავარია, ძალაუფლების თავმოყრა ერთ ხელში, იმ ძალაუფლების, რომელიც ქმნიდა კანონებსაც, ახდენდა მათ რეალიზაციასაც რეჟიმის მსახურთა მიერ და თავადვე სჯიდა თავისი კანონების შესრულებისათვის. სამეფო ხელისუფლება! ის აღარ აღიქმებოდა ღვთაებრივ ნიჭად. ადამიანები ავიდნენ საფეხურით მაღლა ეკონომიკაშიც, მეცნიერებაშიც, კულტურაშიც, ტექნიკაშიც და თვითშეგნებაშიც, ხელისუფლება კი რჩებოდა იგივე. ამიტომ აუცილებელი იყო მისი შეცვლა.

XVII-XVIII საუკუნეების ბურჟუაზიული რევოლუციები მიმდინარეობდა ინგლისში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში. სწორედ აქ გამოჩნდნენ შეუდარებელი მოაზროვნეები – ვოლტერი, ჟან-ჟაკ რუსო და, რა თქმა უნდა, გენიალური შარლ ლუი მონტესკიე. მონტესკიე ავითარებდა ლოკის მიერ წამოყენებულ ხელისუფლე-



ბის დანაწილების თეორიას, რომელიც კარგად აისახა მის ცნობილ ნაშრომში „კანონთა გონის შესახებ“ (1748 წ.). მონტესკიე იყო ორიგინალური სწავლული. ის იყო ავტორი უძრავი საინტერესო იდეისა, თუმცა მისი სახელი ყველაზე მეტად უკავშირდება ხელისუფლების დანაწილების თეორიას.

ხელისუფლების დანაწილების მონტესკიესეული სქემა მნიშვნელოვნად განსხვავდება ლოკის შეხედულებებისაგან. მონტესკიე ასევე ასახელებს სამ ხელისუფლებას – საკანონმდებლოს, აღმასრულებელს და შემდგომ არა ფედერალურს, როგორც – ლოკი, არამედ სასამართლოს. თითოეულ ამ ხელისუფლებას აქვს კონკრეტული გამოხატულება. საკანონმდებლო ხელისუფლება არის პარლამენტი, აღმასრულებელი – მონარქი, სასამართლო ხელისუფლება – სასამართლო. იგულისხმებოდა, რომ ხელისუფლებებს წარმოადგენდნენ სხვადასხვა წოდების ადამიანები: მეფე – არისტოკრატისა, საკანონმდებლო ორგანო – მესამე ფენას. რასაკვირველია, მონტესკიე აქ ეყრდნობოდა სახელმწიფო ხელისუფლების ინგლისურ სქემას თავისი თემთა პალატით, ლორდთა პალატით და მონარქით.

მონტესკიეს აზრით, ხელისუფლების დანაწილება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ხელისუფლებებს შორის ბრძოლას. იმისათვის, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ შეძლოს მუშაობა, სამმა ხელისუფლებამ უნდა ითანამშრომლოს და გააწონასწოროს ერთმანეთი. ეს ხელისუფლებები უნდა იყოს თანასწორი და უნდა შეაკავონ და შეავსონ ერთმანეთი – ამაში ხედავდა ის პოლიტიკური თავისუფლებისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების გარანტიას.

მონტესკიეს იდეები გაიმეორა ინგლისელმა ბლექსტონმა თავის ცნობილ „კომენტარებში“ (1765 წ.).

თუმცა, ძირითადი ამ იდეებში, რა თქმა უნდა, იყო არა მათი მეცნიერული ღირებულება, არამედ პრაქტიკული გამოყენება. სახელმწიფო-სამართლებრივ პრაქტიკაში მონტესკიეს იდეა პირველებმა გამოიყენეს ე.წ. პირველი თანამედროვე დაწერილი კონსტიტუციის – 1787 წლის ამერიკული კონსტიტუციის ავტორებმა. მათ შორის იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ იურიდიული

განათლება, ნამყოფი იყვნენ ევროპაში, განიცდიდნენ მის გავლენას და კარგად იცნობდნენ ლოკის, მონტესკიეს, ბლექსტონის ნაშრომებს. პირველ ყოვლისა, ესენი იყვნენ ჯეიმს მედისონი, ალექსანდრე ჰამილტონი, ბენჯამინ ფრანკლინი, ჯეიმს ვილსონი.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების დანაწილების თეორია დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების ერთგვარი წინაპირობაა. თუმცა, ხელისუფლების დანაწილების ბუნება არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად განვიხილოთ. ერთი მხრივ, ეს პრინციპი დაკავშირებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციფიკასთან, როცა საზოგადოების ხელმძღვანელობა განაწილებულია სხვადასხვა ხელისუფლებებს შორის. მეორე მხრივ, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი დემოკრატიის განუყოფელ ატრიბუტად გამოდის.

მაინც რაში მდგომარეობს მისი არსი?

ხელისუფლების დანაწილება კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია, რომლის თანახმად ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება განაწილებულია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის, რომელიც სამართლის უზენაესობისა და ადამიანის თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს.

თავისუფლების უზრუნველსაყოფად, მოცემული თეორიის თანახმად, საკმარისი არ არის მხოლოდ რამდენიმე ორგანოს შორის ხელისუფლებათა განაწილება. ამას გარდა, აუცილებელია, რომ არც ერთმა მათგანმა არ მიიღოს გაბატონებული მდგომარეობა მეორეზე, რომ თითოეული მათგანი გარანტირებული იყოს თავისი დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობით.

ჯერ კიდევ შ. მონტესკიე თავის „კანონთა გონის“ მეთერთმეტე წიგნში წერდა, რომ სახელმწიფოში თავისუფალი წყობისა და პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ხელისუფლებათა განაწილება.<sup>62</sup>

თუმცა იყვნენ მოწინააღმდეგენიც. კერძოდ, ცნობილი ფრანგი კონსტიტუციონალისტი ლეონ დიუგი ხელისუფლების დანაწილებ-

<sup>62</sup> Montesquieu Ш., Избранные произведения, М., 1995 гв. 87.

ის თეორიას არ ცნობდა და აცხადებდა, რომ მისთვის ცნობილი იყო კონსტიტუციური ორგანოები, კონსტიტუციური ფუნქციები, მაგრამ არ ცნობდა, რა იყო კონსტიტუციური ხელისუფლებები. ამასთან, მოითხოვდა თვით ამ ტერმინისა და ცნების ხმარებიდან ამოღებას.<sup>63</sup>

სხვათა შორის, ლ. დიუგის ამ ციტატაში სახელმწიფო აპარატის დიფერენციაციის იმ სახეებსაც ვხვდებით, რომელთა უპირატესობის შესახებ დღემდე მიმდინარეობს დავა. შრომის დანაწილებისა და დიფერენციაციის სახეებია: 1) დიფერენციაცია ორგანოების მიხედვით; 2) დიფერენციაცია ფუნქციების მიხედვით; 3) დიფერენციაცია ხელისუფლების მიხედვით.

ჩვენ შეთმხვევაში საუბარი ეხება სწორედ დიფერენციაციას ხელისუფლების მიხედვით ისევ და ისევ თვით ტერმინიდან — „ხელისუფლების დანაწილება“ — გამომდინარე. მისი არსით, თითოეული ამ ხელისუფალთაგანი სრულიად ავტონომიურია, რაც საშუალებას აძლევს მათ უშუალოდ წარმოადგინონ ხალხი,<sup>64</sup> და „არ იყენენ სხვა ხელისუფლების აგენტები“, როგორც ამას ფრანგი სახელმწიფოთმცოდნე ბერტელემი ამტკიცებს. კერძოდ, ის მიუთითებს, რომ „აღმასრულებელი ხელისუფლება არის საკანონმდებლო ორგანოს უბრალო აგენტი და არ გვეკვლინება ხალხის პირდაპირ წარმომადგენლად. ის არ წარმოადგენს ხელისუფლებას, რადგან არსებობენ სახელმწიფოები, რომლებშიც არ არის დამკვიდრებული ხელისუფლებათა განაწილება, მათ გააჩნიათ ორგანოთა დანაწილება“, რის მაგალითადაც ავტორი ასახელებს შვეიცარიას.<sup>65</sup>

რასაკვირველია, ეს შეხედულება მართებულად არ მიგვაჩნია, რადგან ზემოთ აღნიშნული დიფერენციაცია, პირველ ყოვლისა, ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების, წონასწორობის დაცვისა და ურთიერთკავშირის საფუძველზე.

---

<sup>63</sup> Леон Дюги, Конституционное право. Общая теория государства, М., 1908, гл. 65-73.

<sup>64</sup> Орию М., Основы публичного права, М., 1929, гл. 644.

<sup>65</sup> Бертеlemi, Система государственных органов во Франции, М., 1979, гл. 37.

ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვა: როგორი ფორმაა უფრო მისაღები ამგვარი წონასწორობის შესანარჩუნებლად სხვადასხვა ხელისუფლებებს შორის: 1) ურთიერთდამცავი მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც მქლავნდება უშუალოდ მათ ურთიერთობებში (მაგ. პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნა, იმპიჩმენტი, ვეტოს უფლება და სხვ.) თუ 2) ერთი ხელისუფლების შესუსტება და მეორის გაძლიერება?

საქმე იმაშია, რომ როდესაც საუბარი ეხება ხელისუფლების დანაწილებასა და წონასწორობის დაცვას, პირდაპირ შეიძლება გავცეთ პასუხი, რომ რეალურად დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ხელისუფლებათა ან თუნდაც ამ ხელისუფლებათა განმანორციელებელი ორგანოების იერარქიული საფეხურებით განლაგება, გამოსავალი არ არის. ხელისუფლების დანაწილებისას ის კი არაა მთავარი, რომ ხელისუფლება განაწილებულია, ან ის, რომ ხელისუფლებებს ახორციელებენ სხვადასხვა ორგანოები, არამედ ის, რომ თითოეული ამ ხელისუფლების მფლობელი თანასწორია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არც ერთს არა აქვს უფლება ერთმანეთის საქმიანობაში პირდაპირ ჩარევისა, ე.ი. სრულიად დამოუკიდებელი არიან და ერთმანეთის მიმართ ანგარიშვალდებულნი არ არიან. შედეგად, სხვადასხვა ხელისუფლებები არ ექვემდებარებიან ერთმანეთს, თუმცა მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან. არც ერთ მათგანს არ შეუძლია მეორის გარეშე გააკეთოს რამე. შესაძლებელია, ურთიერთშორის უთანხმოების შემთხვევაში შეჩერდეს მთელი სახელმწიფო საქმიანობა, მაგრამ რამდენადაც მას შეჩერება არ შეუძლია, ამიტომ „ხელისუფლებები, — მონტესკიეს აზრით, — იძულებულნი იქნებიან იმოქმედონ და ეს აუცილებლობა აიძულებთ მათ იმოქმედონ შეთანხმებულად“.<sup>66</sup> ამის საფუძველს წარმოადგენს სწორედ მათი ურთიერთკავშირებისა და წონასწორობის დაცვის მექანიზმის ამოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფლებასა და სახელმწიფოს მართვის ე.წ. „პლურალისტული“ იდეის ცხოვრებაში გატარებას.

---

<sup>66</sup> Монтескье Ш., Избранные произведения, М., 1995 г. 98.

საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში, აკრიტიკებდნენ რა ბურჟუაზიული სახელისუფლო მექანიზმის ბუნებას, აღნიშნავდნენ, რომ კაპიტალისტური ქვეყნები ფეხქვეშ თელავენ ზნეობრივ ნორმებს, რაც პარლამენტის უზენაესობის მოთხოვნის უარყოფაში გამოიხატებოდა.<sup>67</sup> საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპი უარყოფილი იყო როგორც მიუღებელი, უცხო ელემენტი. უკეთეს შემთხვევაში იგი განიხილებოდა, კ. მარქსის სიტყვებით რომ გამოვხატოთ, „როგორც ჩვეულებრივი შრომის სამრეწველო დანაწილება, რომელიც გამოიყენებოდა სახელმწიფო მექანიზმის მიმართ მისი გამართივების მიზნით“.<sup>68</sup>

ახალი ტიპის სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა განუყოფლად უკავშირდებოდა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის მოსპობასა და სახალხო წარმომადგენლობის ახალი, სოციალისტური ორგანოების მშენებლობას, რომელთა ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის სხვაობის ლიკვიდაცია და კანონმდებლობის მმართველობასთან შერწყმა იყო. ასეთ ორგანოდ ცნობილ იქნა საბჭოები, რომელთა მეშვეობით ხალხს უნდა განეხორციელებინა სახელმწიფო ხელისუფლება. ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო საბჭოების დაქვემდებარებულ და ანგარიშვალდებულ ორგანოდ გამოცხადდა.

აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში არსებობს უამრავი განსხვავებული მოსაზრება ხელისუფლებათა სახეებისა და რაოდენობის შესახებ, რომელთა კონსტატაცია ინტერესმოკლებული არ იქნება.

მაგალითად, მე-19 საუკუნის ფრანგული ლიბერალიზმის ფუძემდებელი ბენჟამინ კონსტანი ხელისუფლებებს ყოფდა არა სამ, არამედ ხუთ სახეობად, რამდენადაც საკანონმდებლო ხელისუფლება მის თეორიაში ორ ხელისუფლებად იყოფა: ხელისუფლება, რომელიც ანიჭებს მუდმივობას და განსახიერდება ერთი პალატის მემკვიდრეობითობაში და ხელისუფლება, რომელიც წარმოადგენს

<sup>67</sup> Рахманиян Т.Н., Принцип разделения властей в системе высших органов власти современной Франции, М., 1983, гл. 48.

<sup>68</sup> Маркс К., Энгельс Ф., Сочинения, 2-ое изд., т. 4, гл. 163.

საზოგადოებრივ აზრს არჩევით პალატაში. შემდეგ მოსდევს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები, ხოლო ყველაზე მალა კონსტანი აყენებდა სამეფო ხელისუფლებას, რომელიც ასრულებდა მედიატორის როლს სხვა ხელისუფლებებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში.<sup>69</sup> ბენჯამინ კონსტანის ასეთი პოზიცია ინგლისის პარლამენტარიზმის მაგალითს ემყარებოდა და მას იდეალურად მიიჩნევდა. მისი აზრით, ეს იყო კონსტიტუციური მონარქიის იდეალი, რომელიც ინგლისის კონსტიტუციის საწყისებს ეფუძნებოდა.

შემდეგი მოსაზრება, რომელიც განეკუთვნება გაცილებით ადრინდელ პერიოდს, უკავშირდება ჟან ბოდენის შეხედულებას უმაღლეს ხელისუფლებაზე. მისი აზრით, ხელისუფლება ერთიანი და განუყოფელია. იგი უარყოფს, რომ ხელისუფლება შეიძლება ეკუთვნოდეს რამდენიმე ორგანოს.<sup>70</sup>

რიგი ავტორებისა, რომელთაგან აღსანიშნავია ფრანგი იურისტი მ. მორიუ, მიუთითებს, რომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ არსებობს სამი ხელისუფლება, რადგან სასამართლო ხელისუფლებას გააჩნია სხვა ბუნება. ამიტომ უნდა ვთქვათ, რომ არსებობს ორი სახის ხელისუფლება — პოლიტიკური და იურიდიული. პოლიტიკურ ხელისუფლებად გვევლინება საკანონმდებლო და აღმასრულებელი, ხოლო იურიდიულ ხელისუფლებად — სასამართლო. ამავე დროს, მიუთითებდნენ, რომ მართალია, სასამართლო ხელისუფლება ყოველთვის არაა გამოყოფილი პოლიტიკური ხელისუფლები-საგან, მაგრამ იგი ცდილობს მისგან გამოყოფას.<sup>71</sup>

ჩემი აზრით, იდეა პოლიტიკური და იურიდიული ხელისუფლებების შესახებ, რომელიც თავისი მნიშვნელობით დღესაც აქტუალურია, საკმაოდ მისაღებია. მისაღებია იმდენად, რამდენადაც პოლიტიკური ხელისუფლება არის არა მხოლოდ მბრძანებლობა ქვეშევრდომებზე, არამედ ასევე ხელისუფლება, რომელიც მონაწილეობს

---

<sup>69</sup> Бенжамин Констан, Курс конституционной политики, СПб, 1891, гл. 78-81.

<sup>70</sup> Жан Боден, Шесть книг о республике, СПб., 1903, гл. 33.

<sup>71</sup> Морис Оришо, Основы публичного права, М., 1929, гл. 646. <sup>А</sup>

პოლიტიკურ ბრძოლაში, მაშინ, როცა სასამართლო ხელისუფლება, თავისი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ამ პოლიტიკური ბრძოლის გარეთ ღვას.

როგორც ვხედავთ, შეხედულებები ხელისუფლების დანაწილების შესახებ საკმაოდ მრავალფეროვანია. მიუხედავად მათი განსხვავებისა და ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელისუფლების დანაწილების ბუნების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუნებაში რეალურად არსებობს სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ხელისუფლება, რომელსაც ახორციელებს ერთმანეთთან არაანგარიშვალდებული ორგანოები. სხვა სიტყვებით, საუბარი ეხება სახელმწიფო ხელისუფლების ისეთ ორგანიზაციას, რომელიც გულისხმობს ინსტიტუციონალიზებული ორგანოების სისტემის საწყისებს, რომლებსაც ამკარად განსაზღვრული სტრუქტურულ-ფუნქციური ნიშნები აქვთ და აბსოლუტური ავტონომიის ჩარჩოებში მოქმედებენ. მთავარი კი ისაა, რომ ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა ხელისუფლებებს, რომელთა შორის ურთიერთკავშირი წონასწორობის თეორიის საწყისებზეა აგებული.

საქართველოში ხელისუფლების დანაწილების პრინციპი აღიარებულ იქნა 1995 წლის კონსტიტუციაში, როგორც ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი (მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი). მასში მითითებულია, რომ საქართველოში „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება იყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად, რომელთა განმახორციელებელი ორგანოები თავიანთ უფლებამოსილებებს დამოუკიდებლად ასრულებენ. ეს ჩანს მე-3, მე-4, მე-4<sup>1</sup> და მე-5 თავებიდანაც, სადაც მოცემულია თითოეული ამ ხელისუფლების წარმომადგენელი ორგანოს საქმიანობისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი და ძირითადი პრინციპები, მათ არა აქვთ უფლება გავიდნენ თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებს გარეთ, რაც დადგენილია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით.

ამრიგად, კონსტიტუციის მიხედვით ხელისუფლების დანაწილება ნიშნავს არა მხოლოდ ხელისუფლების დემონოპოლიზაციას, არამედ ასევე რეალურ, ნამდვილ გაწონასწორებას, რომლის დროსაც არც

ერთს ამ სამი ხელისუფლებიდან არ შეუძლია შელახოს ან დაიკემდებაროს სხვა და იძულებულია ურთიერთგაგებისა და ურთიერთ-თანამშრომლობის ჩარჩოებში იმოქმედოს.

თანამედროვე პირობებში, საქართველოს ახალი კონსტიტუციური წყობის დამკვიდრების პროცესში ხელისუფლების დანაწილების პრინციპს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ხელისუფლების ასეთი დანაწილება სულაც არ არის საკმარისი რეალური დემოკრატიისათვის, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მიერ თავისი უფლებამოსილებების გაძლიერების მცდელობაც კი.

ხელისუფლების დანაწილების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს „შეკავებისა და გაწონასწორების“ სისტემა, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს შესაძლო შეცდომები მმართველობაში, არ დაუშვას გადასაწყვეტი საკითხებისადმი ცალმხრივი მიდგომა. იგი, ამასთანავე, მოწოდებულია უზრუნველყოს, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის რაციონალურობა და ოპტიმალურობა და ამის საფუძველზე – სახელმწიფო საქმეების მართვის მთელი მექანიზმის ეფექტიანობის ამაღლება.

„შეკავებისა და გაწონასწორების“ მოცემული სისტემა შედგება შემდეგი ძირითადი მომენტებისაგან:

ჯერ ერთი, ყველა ხელისუფლება თავიდანვე უნდა ჩამოყალიბდეს სხვადასხვანაირად, ანუ თავისი ხელისუფლება მიიღოს სხვადასხვა ხელიდან.

მეორე, მიზანშეწონილია განმტკიცდეს ხელისუფლების შტოების უფლებამოსილებათა სხვადასხვა ვადები. მაგალითად, საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით, საქართველოს პრეზიდენტი – 5 წლის ვადით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები – 10 წლით და ა.შ. ასეთი მიდგომა, როგორც ადასტურებს პრაქტიკა, უზრუნველყოფს მმართველობის მექანიზმის მდგრადობას და მემკვიდრეობითობას.

მესამე, ამ სისტემის ავტორები ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი მექანიზმი, რომელიც ავტომატურ რეჟიმში შეუშლიდა ხელს ერთ-ერთ ხელისუფლებას მოეხდინა ხელისუფლების უზურპაცია, ანუ



მიეღო მეტი ძალაუფლება, ვიდრე მას ეკუთვნის. ამ მიზანს ემსახურება სწორედ შეკავებისა და გაწონასწორების ისეთი მექანიზმები, როგორცაა მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადება, პარლამენტის დათხოვნა, პრეზიდენტისა და სხვა თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება, პრეზიდენტის ვეტოს უფლება და ა.შ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების სისტემა ყველაზე მკაფიოდ შეინიშნება საპრეზიდენტო რესპუბლიკებში.

ამრიგად, ხელისუფლების დანაწილება არის მუშა, მოქმედი მექანიზმი, რომელიც აღწევს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების ერთიანობას შეთანხმებისა და სპეციალური სამართლებრივი პროცედურების ურთულესი პროცესის საფუძველზე, რომლებიც გათვალისწინებულია კონფლიქტური მდგომარეობის შემთხვევაში.

ადამიანისა და მოქალაქის  
კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი  
საქართველოში

§1. ადამიანისა და მოქალაქის  
კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის ცნება და  
სტრუქტურა

5.1.1. რას ნიშნავს ადამიანისა და მოქალაქის  
სამართლებრივი სტატუსი?

იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი შეხედულება კონსტიტუციური სამართლის საგნის შესახებ ადამიანისა და მოქალაქის სამართლებრივი სტატუსის ნაწილში. მაგალითად, ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ კონსტიტუციური სამართალი განამტკიცებს მხოლოდ პიროვნების სამართლებრივი სტატუსის საფუძვლებს.<sup>72</sup> ზოგს კი მიაჩნია, რომ კონსტიტუციური სამართლის საგანს განეკუთვნება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, ხოლო ადამიანის სამართლებრივი სტატუსი გაიგივებულია მის უფლებებსა და თავისუფლებებთან.<sup>73</sup> ორივე ამ პოზიციას აქვს არსებობის უფლება, თუმცა მაინც იმსახურებენ კრიტიკულ შეფასებას, ვინაიდან ამ პოზიციებიდან კონსტიტუციური სამართალი გარკვეულწილად მოწყვეტილია ადამიანის რეალურ მდგომარეობას. თუ ჩავთვლით, რომ საკონსტიტუციო სამართალი განსაზღვრავს მხოლოდ ადამიანისა და მოქალაქის სამართლებრივი სტატუსის საფუძვლებს, მაშინ ნებისთი თუ უნებლიეთ კონსტიტუციური სამართალი უნდა გავაიგივოთ საქართველოს კონს-

<sup>72</sup> Козлова Е.И., Кутафин О.Е., Конституционное право России, М., 1995, გვ. 152.

<sup>73</sup> Баглай М.В., Конституционное право Российской Федерации, М., 1998, გვ. 5.

ტიტუციასთან, ასევე გამოირიცხება კონსტიტუციური სამართლის გამოყენება კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში, რადგანაც სამართლებრივი სტატუსის საფუძვლები თავისთავად არ არსებობენ. რეალურ ცხოვრებაში არსებობს ადამიანის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და სხვა სტატუსი. შესაბამისად უნდა იყოს და არის კიდევ კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი. მისი დაყვანა უფლებებამდე და თავისუფლებებამდე ამარტივებს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის განმარტებას, მაგრამ აშორებს მას ადამიანის სტატუსის ფუნქციონირების იურიდიული და ფაქტობრივი მექანიზმების თანაფარდობისა და მოქმედებისაგან. ერთი და იგივე უფლებებით სარგებლობისას სხვადასხვა ადამიანებმა შეიძლება სხვადასხვანაირად ისარგებლონ ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მოქალაქეობის და სხვათა გათვალისწინებით.

კონსტიტუციური სამართალი განამტკიცებს და არეგულირებს არა პიროვნების (ადამიანის, მოქალაქის) სამართლებრივი სტატუსის საფუძვლებს, არამედ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუსს, რომელიც, თავის მხრივ, სავალდებულოა ყველა სხვა სამართლის დარგისათვის და წარმოადგენს მათთვის პრიორიტეტულს და საბაზოს. თავის მხრივ, პიროვნების კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუსს საქართველოში აქვს რთული სტრუქტურა, რომელიც შედგება ხუთი ელემენტისაგან: მოქალაქეობა, სამართალსუბიექტობა, პრინციპები, კონსტიტუციური უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები და აგრეთვე, გარანტიები. პიროვნების კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის ასეთი კონსტრუქცია არ არის ახალი. მსგავსი მიდგომა განსხვავდება იმ შესჯდულებებისაგან, რომელთა თანახმად საუბარია მხოლოდ უფლებებსა და თავისუფლებებზე. ამასთან ერთად, შესჯდულება ადამიანის ურთიერთობაზე სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან, როგორც რთულ სისტემაზე, არ იძლევა კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის დაყვანის შესაძლებლობას მხოლოდ შესაბამის უფლებებამდე და თავისუფლებებამდე. ადამიანს აქვს მოვალეობები საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, რომელთაგან უფრო მნიშვნელოვანი კონსტიტუციური მოვალეობების რანგში აიყვანება. საქართველო-

ში, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებში, ადამიანის სამართლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობაზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მოქალაქეობის ქონა, ან პირიქით.

სამართლებრივმა სტატუსმა უნდა გამოამჟღავნოს არა მხოლოდ უფლებებისა და თავისუფლებების ესა თუ ის ერთობლიობა, რომელთა გარეშეც ის მოკლებულია აზრს, არამედ ასევე მათი განხორციელების შესაძლებლობები, მათ შორის, განსხვავებები მოცულობაში. მაგალითად, ბავშვებს აქვთ ძრავალი კონსტიტუციური უფლება, მაგრამ არ შეუძლიათ მათი განხორციელება, ე.ი. არ აქვთ ქმედუნარიანობა. ამიტომ მათ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუსს ახასიათებს საკუთარი თავისებურებები. ასეთივე თავისებურებები ახასიათებს ასევე მოქალაქეთა სხვა სოციალური ჯგუფების: პენსიონერების, დეპუტატების, საჩხედრო მოსამსახურეების კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუსს.

მოქალაქეთა კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი წარმოადგენს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის მოვალეობების ერთობლიობას. მოცემული სტატუსის მეცნიერული კონცეფციის შინაარსი თანამედროვე ეტაპზე ყალიბდება ურთიერთდაკავშირებული პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემების ერთობლიობიდან:

ჯერ ერთი, ეს არის საკითხი კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების ადგილის შესახებ პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტების საერთო სისტემაში. უახლოეს წარსულამდე პოლიტიკური და იურიდიული მეცნიერებების მიერ მყარი ორიენტაცია იყო აღებული კლასების, შრომითი და ტერიტორიული კოლექტივების, როგორც სოციალური და სამართლებრივი სუბიექტების, წინა პლანზე წამოსაწევად, რა დროსაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემებიდან გარკვეულწილად უგულებელყოფილი იყო „პიროვნული“, ინდივიდუალური ფაქტორები. ეს გამოვლინდა ადამიანის უფლებათა გარკვეული შეუფასებლობით, რაც ამკარად იგრძნობოდა უახლოეს წარსულში. თეორიული თვალსაზრისით, აღსანიშნავია ის შემობრუნება პიროვნების სტატუსის დახასიათები-

საკენ ჩვენი საზოგადოების ფასეულობათა სისტემაში, რომელიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის ამ პრობლემისადმი მიძღვნილ საგანგებო თავში;

მეორე, გათვალისწინებულია კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების კონკრეტული შემადგენლობა. საუბარი ეხება როგორც კონსტიტუციურ დონეზე ახალი უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცებას (მაგალითად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება – 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტი; საქართველოდან თავისუფლად გასვლისა და შემოსვლის უფლება – 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი; ინფორმაციის მიღების უფლება – 41-ე მუხლი და სხვ.), ისე კონსტიტუციაში ადრე არსებული უფლებებისა და თავისუფლებების იურიდიული შინაარსის გაფართოებას (მაგალითად, სინდისის თავისუფლების რეალიზაციაში შეზღუდვის მოხსნა, რომლის მთელი შინაარსი დაიყვანებოდა რელიგიურ კულტმსახურებამდე; ადამიანთა გაერთიანების უფლების გაფართოება, მრავალპარტიული სისტემის შესაძლებლობის ჩათვლით და ა.შ.);

მესამე, კონსტიტუციით გათვალისწინებულია ასევე მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიის სოციალური დაცვის აუცილებლობა. მართალია, კონსტიტუციური რეგლამენტაციის მთავარი დანიშნულებაა საყოველთაო, თითოეულ მოქალაქეზე თანაბარი სახით გავრცელებული უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცება, საქართველოს კონსტიტუცია უწყურადღებოდ არ ტოვებს მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების სოციალურ მდგომარეობაში ობიექტურ განსხვავებებს. საბაზრო ეკონომიკამ, თავისუფალი მეწარმეობის აღიარებამ და განვითარებამ მოითხოვა კონსტიტუციური გარანტიების დაწესება უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეების საარსებო მინიმუმით უზრუნველსაყოფად;

მეოთხე, მოქმედ მიმდინარე კანონმდებლობაში მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ კონსტიტუციური დებულებების კონკრეტიზაციის საკითხი. ცნობილია, რომ 1995 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა სფეროში ისეთი უმნიშვნელოვანესი კანონების მიღება, რომლებიც ხელს

შეუწყობენ ცალკეული ინსტიტუციური უფლებების განვითარებას. პირველ ყოვლისა, საუბარია იმ კანონებზე, რომლებიც მითითებულია თავად კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში. ესენია: კანონი სახელმწიფო სამსახურის შესახებ – 29-ე მუხლი, კანონი უმუშევრის სტატუსის შესახებ – 32-ე მუხლი, კანონი გაფიცვის წესის შესახებ – 33-ე მუხლი და ა.შ.

მეხუთე, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია, მათ შორის, მოქალაქის სტატუსის შესახებ კონსტიტუციური ნორმების დაცვის ეფექტიანი ზედამხედველობა.

### 5.12. სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობის პრინციპები

სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთკავშირის ხასიათი და ბუნება სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების აშკარა გამოხატულებას წარმოადგენს. რაც უფრო დემოკრატიულია სახელმწიფო, მით უფრო მაღალია ამ ურთიერთობათა შეფასების კრიტერიუმი. საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციამ და რადიკალურმა განახლებამ პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების გაფართოებაზე, მათი გარანტიების განმტკიცებაზე. საქართველოს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ვრცელი კომპლექსი, რომელიც ჩამოყალიბებულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში, ავლენს დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მდგომი საზოგადოების მრავალ თვისებასა და თავისებურებას. ამასთან, ჩვენს საზოგადოებაში სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის არსებული ურთიერთობები ხასიათდება დინამიურობით, რაც გულისხმობს მომავალში ადამიანთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიების განმტკიცებასა და პიროვნების სამართლებრივი დაცვის მექანიზმის სრულყოფას.

ბუნებრივია, ასეთი მიმართულების რეალიზაცია ეყრდნობა საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტა-

ტუსის მეცნიერულ კონცეფციას, რომლის საფუძველზეც ყალიბდება სწორედ მოქალაქეთა კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის პრინციპები, ანუ სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობების პრინციპები.

მოქალაქეთა კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის ძირითადი პრინციპები — ეს არის იურიდიული ფორმით გამოხატული ფუძემდებლური პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეები, რომლებიც მეტ-ნაკლები სისრულით განსაზღვრავს სახელმწიფოსა და პიროვნების ყველა ურთიერთობის ხასიათს და წარმოადგენს ყოველი მოქალაქის სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების განხორციელების ძირითად საწყისებს.

მოქალაქეთა კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის ძირითადი პრინციპებია: 1) საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შერწყმა; 2) მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეუხებლობა; 3) მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების ერთიანობა; 4) მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა; 5) მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების უზრუნველყოფა.

საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შერწყმის პრინციპი პირდაპირ არის ჩამოყალიბებული საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლში, რომელშიც ნათქვამია, რომ „აღამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები“. ეს ბუნებრივია, რადგან უფლება თავისთავად წარმოადგენს არა მხოლოდ მოქალაქისათვის კანონით მინიჭებულ შესაძლებლობას, თავისუფლად განახორციელოს თავისი ინტერესები, არამედ — ერთგვარ შეზღუდვასაც, რათა მოცემული უფლებების რეალიზაციისას არ შეიღახოს სხვისი უფლებები, რაც აუცილებელს ხდის, რომ საერთო ინტერესები გამოძინარეობდეს თითოეულის ინტერესებიდან, და პირიქით.

პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების ბალანსი განსაზღვრავს კიდევ კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების მოქმედების ფარგლებს. საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების პრიმატი იწვევს აღამიანის უფლებების დარღვევას, ხოლო პირადი ინტერესების პრიმატს მიყვართ ნეგატი-

ური მოვლენების ზრდამდე საზოგადოებასა და სახელმწიფოში, საფრთხეს უქმნის რა ამით მათი განხორციელების საფუძვლებს.

ინტერესთა ბალანსის პირობებში სახელმწიფომ მიმდინარე კანონმდებლობის მეშვეობით არ უნდა შეზღუდოს ზომაზე მეტად კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების მოქმედების ფარგლები.

კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების მოქმედების ფარგლები საქართველოში გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის სტანდარტებიდან. შევიდა რა ევროპის საბჭოში, საქართველომ მოახდინა „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის რატიფიცირება. საქართველომ სცნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქცია და მისი გადაწყვეტილებების სავალდებულო ხასიათი კონვენციის განმარტებისა და გამოყენების საკითხებზე საქართველოს მიერ ამ აქტების სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში.

მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეუხებლობა ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებები ეკუთვნის მას დაბადებიდან, გააჩნია ბუნებითი ხასიათი, სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ არეგულიროს მათი განხორციელება და დაადგინოს მათთვის გარანტიები. სახელმწიფოს შეუძლია ასევე დროებით შეზღუდოს ადამიანის ზოგიერთი უფლებისა და თავისუფლების განხორციელება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის მოქმედების პერიოდში. მისი დამთავრების შემდეგ უფლებები და თავისუფლებები აღდგება სრული მოცულობით, საქართველოს კონსტიტუციაში ეს პრინციპი აღიარებულია მრავალ მუხლში.

მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების ერთიანობის პრინციპი ადამიანის სამართლებრივი მდგომარეობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შერწყმის პრინციპს. უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება განუყოფელია სამოქალაქო მოვალეობების შესრულებისაგან.

ზოგ შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციის ნორმები ერთდროულად აყალიბებს როგორც უფლებებს, ისე მოქალაქეთა მოვა-



ლებებს. მაგალითად, მოქალაქეთა განათლების უფლება კონსტიტუციაში უკავშირდება დაწყებითი განათლების საყოველთაობასა და სავალდებულობას (35-ე მუხლი).

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას, როგორც კონსტიტუციონალიზმისა და დემოკრატიის ელემენტების ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს, რომელიც ნიშნავს მოქალაქეთა თანასწორობის ოფიციალურ ცნობას სახელმწიფოს, კანონის, სასამართლოს წინაშე, ე.ი. საქართველოს მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების თანასწორობას მიუხედავად რასისა, ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი წინა პლანზე წამოიწია ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში, რომელმაც შეცვალა ფეოდალური საზოგადოების წოდებრივი ურთიერთობები. მაგალითად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტის – 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის – ისტორიული მნიშვნელობისაა, რომ მასში, სისტემატიზირებული სახით კაცობრიობის ისტორიაში პირველად, აღიარებულ იქნა ის ისტორიული პრინციპები და ის უფლებები, რომლებიც საფუძვლად დაედო პიროვნების სამართლებრივ სტატუსს და, კერძოდ, ადამიანის თანასწორუფლებიანობას.

ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოს კონსტიტუციური დოქტრინა მანც ითვალისწინებს ზოგიერთ განსხვავებას მოქალაქეთა იმ უფლებებსა და მოვალეობებში, რომლებსაც გააჩნიათ ბუნებითი ხასიათი. მაგალითად, სამხედრო სამსახურის გავლის მოვალეობა ჩვენს სახელმწიფოში ეკისრებათ მხოლოდ მამრობითი სქესის მოქალაქეებს და ა.შ.

მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების უზრუნველყოფის პრინციპი ნიშნავს საზოგადოებასა და სახელმწიფოში აუცილებელი პირობების შექმნას მოქალაქეთა მიერ თავიანთი უფლებების განხორციელებისა და მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების ფაქტობრივი შესაძლებლობისათვის. მხედველობაში უნდა

მივიღოთ, რომ შესაბამისი გარანტიებით განმტკიცებულია არა მხოლოდ უფლებები და მოვალეობები, არამედ მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის სხვა ელემენტებიც (მაგალითად, მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი). ადამიანის უფლებების კონსტიტუციური გარანტიები ფაქტობრივად კონსტიტუციით დადგენილი პროცესუალური უფლებების ერთობლიობაა, რომლებიც ადამიანის ძირითადი მატერიალური უფლებების დაცვის საშუალებებია, ასევე – კონსტიტუციით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების დამცავი ინსტიტუტები, და ბოლოს – კონსტიტუციაში მოცემული განსაკუთრებული წესები, რომლებიც ადგენენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესაძლებელი შეზღუდვის ფარგლებსა და პირობებს: პროცესუალური უფლებების გარანტიების რიცხვს განეკუთვნება: ადამიანის უფლება – თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს; საქმის განხილვის უფლება მხოლოდ იმ სასამართლოს მიერ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე, დაცვის უფლება და ა.შ.

ინსტიტუციური კონსტიტუციური გარანტიების რიცხვს განეკუთვნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო. ამ თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია პირველად ჩვენს ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა, რომლის უფლებამოსილების განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს სფეროს, სხვებთან ერთად, წარმოადგენს მოქალაქის სარჩელის საფუძველზე ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის განხილვა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან მიმართებაში, ასევე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ზედამხედველობის განხორციელებელი საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი. კონსტიტუციური გარანტიების მესამე სახეს წარმოადგენს წესები, რომლებიც ადგენენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესაძლებელი შეზღუდვის საფუძველებსა და ფარგლებს. ამ წესების თანახმად, კანონს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუქცევითი ძალა არ გააჩნია. არავინ აგებს პასუხს მოქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის მომენტში არ წარმოადგენდა სამართალდარღვევას.

საგანგებო იურიდიული გარანტიების სახით გვევლინება ასევე კონსტიტუციური დანაწესები ცალკეული დასჯადი მოქმედებების შესახებ, რომლებიც ზიანს აყენებენ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, მაგალითად: კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევისათვის, რომლებიც ეხება ადამიანთა თავისუფლების ხელშეუხებლობას, ისჯება კანონით.

მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების ყველაზე ფუნდამენტურ გარანტიას წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციური წყობილება: ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური საფუძვლების განმტკიცებით საქართველოს კონსტიტუცია გარკვეულწილად ახდენს მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების ყოველმხრივი უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი წინაპირობების დადასტურებას.

## §2. მოქალაქეობის ინსტიტუტი საქართველოში

### 5.2.1. საქართველოს მოქალაქეობის ცნება და არსი

მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობის ცნება კარგა ხანია ცნობილია, მაინც ძნელია მისი ზუსტი და სრულყოფილი აღწერილობის გადმოცემა. ასეთი ცნება იურიდიულად არის სრულად გასააზრებელი. მასში ჩადებული იყო და არის სხვადასხვა შინაარსი. და მაინც, რა არის მოქალაქეობა? არის ის უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა, თუ ეს არის საერთო უფლებაუნარიანობაზე ოდნავ უფრო მეტი? ან იქნებ ეს არის განსაზღვრული იურიდიული ურთიერთობა ანდა საერთოდაც განსაკუთრებული მდგომარეობა (სტატუსი)?

ჩემი აზრით, ყველა ამ კითხვაზე შეიძლება გავცეთ უარყოფითი პასუხი.

პირველადი გაგებით მოქალაქე იყო და არის ადამიანი, რომელსაც აქვს მჭიდრო კავშირი განსაზღვრულ სახელმწიფოსთან. ის არის ამ სახელმწიფოს ნაწილი. ტერმინი „მოქალაქე“ ცნობილია ჯერ კიდევ რომის იმპერიაში და ამ კონტექსტში ბიბლიაშიც კი

გვხვდება, ვინაიდან მოციქული პავლე იყო რომის მოქალაქე. როცა მას ეპუქრობონენ ფიზიკური დასჯით, მან მიუთითა, რომ ის არის რომის მოქალაქე და რომ არ შეილება მისი ასე დასჯა.

ხშირ შემთხვევაში მოქალაქეობის ცნებასთან აიგივებენ „ქვეშევრდომის“ ცნებას. რიგ შემთხვევებში ისინი სინონიმების სახითაც გამოიყენება. თუმცა, ისინი განსხვავებული ცნებებია და ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს.

ტერმინი „ქვეშევრდომობა“ აბსოლუტიზმის პერიოდიდან მომდინარეობს, როცა ადამიანი იყო ფეოდალური მმართველის, ანუ ე.წ. სიუზერენის ქვეშევრდომი. ქვეშევრდომობა ნიშნავდა ხარკის ქვეშ ყოფნას, ხარკის გადახდის მოვალეობას. მოცემულ შემთხვევაში ეს ქართული სიტყვაა, თუმცა მას აქვს სინონიმები ყველა ენაში, ისევე როგორც ტერმინს „მოქალაქე“. როგორც ერთ, ისე მეორე სიტყვას აქვს თავისი პარალელები. მაგალითად, ფრანგულად ქვეშევრდომი – „sujet“, ქვეშევრდომობა – „sujétion“; ინგლისურად ქვეშევრდომი – „subject“; რუსულად ქვეშევრდომი – „подданный“, ქვეშევრდომობა – „подданство“. მოქალაქეობა კი სრულიად სხვაგვარად უღერს. მაგალითად, ფრანგულად მოქალაქე – „citoyen“, ხოლო მოქალაქეობა – „citoyenneté“; ინგლისურად (ამერიკული ვარიანტით) მოქალაქე – „citizen“, ხოლო მოქალაქეობა – „citizenship“; რუსულად მოქალაქე – „гражданин“, მოქალაქეობა – „гражданство“.

თუმცა, რა ტერმინებიც არ უნდა გამოიყენებოდეს სხვადასხვა ენაზე, ნებისმიერ შემთხვევაში შეინიშნება ორი ძირითადი მიდგომა. ქვეშევრდომობის ცნება ნიშნავდა ფეოდალურ დამოკიდებულებას, ხოლო მოქალაქეობა ნიშნავდა და დღესაც ნიშნავს ამ იურიდიული სტატუსის ყველა მფლობელის თანასწორობას კანონის წინაშე. „ქვეშევრდომობის“ ცნება ფეოდალური ტერმინია; მოქალაქეობის ცნება აღმოცენდა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში და გავრცელდა ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. ანუ ეს უკვე ნიშნავდა არა „ქალაქში მცხოვრებს“, არამედ კანონის წინაშე თანასწორობას. ამ აზრს ყოველმხრივ ესმებოდა ხაზი და როცა საფრანგეთის მეფე წარსდგა რევოლუციური სასამართლოს წინაშე, მას საგანგებოდ უწოდეს მოქალაქე. განაჩენიც შესაბამისად უღერდა, დაახლოებით ასე: „მოქალაქე ბურბონს მიესაჯა სიკვდილით

დასჯა საფრანგეთის მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისათვის“. ამრიგად, მოქალაქეობის თანამედროვე ცნება და გაგება აღმოცენდა რევოლუციის ეპოქაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად „მოქალაქეობისა“ და „ქვეშევრდომობის“ ცნებები თითქმის აღარ განსხვავდება ერთმანეთისაგან. დარჩა მხოლოდ გარკვეული ტრადიცია. ტრადიცია უკავშირდება იმას, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მმართველობის ფორმაა რესპუბლიკა, გამოიყენება ტერმინი „მოქალაქეობა“, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც მმართველობის ფორმაა მონარქია და სახელმწიფოს მეთაურია მონარქი, გამოიყენება ტერმინი „ქვეშევრდომობა“. მაგალითად, საქართველოში – ეს არის საქართველოს მოქალაქე, ხოლო დიდ ბრიტანეთში – მისი აღმატებულების ქვეშევრდომი.

მოქალაქეობა, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტი, წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც განამტკიცებენ საქართველოს მოქალაქეობის პრინციპებს და არეგულირებენ მოქალაქეობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

აღსანიშნავია, რომ მოქალაქეობა, პირველ ყოვლისა, არის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ინსტიტუტი, თუმცა არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მას საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით და იგი განპირობებულია საზღვარგარეთ მყოფი თავისი მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის არა მხოლოდ სახელმწიფოთა საერთო დაინტერესებით, არამედ მათი აქტიური მონაწილეობით ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო თანამშრომლობაში. თუმცა, მოქალაქეობის საკითხები საერთაშორისო სამართლის სფეროს განეკუთვნება იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს სუვერენული სახელმწიფოების შეთანხმების შედეგად საერთაშორისო ხელშეკრულებათა ობიექტს.

ნორმები საქართველოს მოქალაქეობის შესახებ მოცემულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში, თუმცა ისინი ძალზე ზოგადი ხასიათისაა. ამ ვაკუუმს ავსებს 1993 წლის 25 მარტს მიღებული ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეობის დეტალურ რეგლამენტაციას.

ცნება „საქართველოს მოქალაქეობა“ თანამედროვე ქართულ კონსტიტუციური სამართალში წარმოგვიდება სამი სახით: ა) მოქალაქეობა, როგორც პიროვნების მყარი სამართლებრივი კავშირი საქართველოს სახელმწიფოსთან; ბ) მოქალაქეობა, როგორც კონსტიტუციური უფლება; გ) მოქალაქეობა, როგორც საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ერთ-ერთი საფუძველი. რასაკვირველია, ეს ორი უკანასკნელი ვერ იარსებებს პირველის გარეშე.

მოქალაქეობა, როგორც პირის მყარი სამართლებრივი კავშირი საქართველოს სახელმწიფოსთან, არის სამართლებრივი მდგომარეობა, რომლის შექმნა და შეწყვეტა ხდება შესაბამისი კანონის საფუძველზე.

საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის მე-2 მუხლი აღიარებს მოქალაქეობას, როგორც კონსტიტუციურ უფლებას და იქვე ხსნის ამ უფლების პოზიტიურ შინაარსს (მე-3 მუხლი). თუმცა, მოქალაქეობის უფლების შინაარსს განამტკიცებს ე.წ. ნეგატიური რეგულირების მეშვეობითაც, რაც გამოიხატება მოქალაქეობის ჩამორთმევის, საქართველოს მოქალაქის საქართველოდან გაძევების, საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემის დაუშვებლობაში. არსებითად, საუბარი ეხება როგორც მოქალაქეობის კონსტიტუციურ უფლებას, ისე აკრძალვების ნუსხას, რომელიც ახასიათებს მოქალაქეობას, როგორც სტაბილურ სამართლებრივ მდგომარეობას.

რეალურ ცხოვრებაში შეუძლებელია ერთმანეთისაგან გავაცალკევოთ მოქალაქეობა, როგორც სამართლებრივი მდგომარეობა და მოქალაქეობა, როგორც კონსტიტუციური წყობილების ერთ-ერთი საფუძველი, რადგან ისინი მჭიდროდ ურთიერთქმედებენ. სახელმწიფო არ შეიძლება არსებობდეს მოქალაქეთა და შესაბამისად მოქალაქეობის ინსტიტუტის გარეშე.

მოქალაქეობა გულისხმობს არა მხოლოდ პირის მყარ პოლიტიკურ-სამართლებრივ კავშირს ამა თუ იმ სახელმწიფოსთან, არამედ ასევე მის მიკუთვნებას კონკრეტული სახელმწიფოსადმი, რომელიც ხასიათდება ურთიერთსანაცვლო ორმხრივი პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირით. იგი მქლავნდება სახელმწიფოსა და იმ

პირების ურთიერთობაში, რომლებიც იმყოფებიან მისი მფარველობის ქვეშ. ეს არ ნიშნავს მხოლოდ მოცემული პირების მიმართ შესაბამისი იურისდიქციის გავრცელებას. მართალია, სახელმწიფო ცნობს და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, იცავს და მფარველობს მას საზღვარგარეთ, მაგრამ, თავის მხრივ, მოქალაქე უსათუოდ იცავს სახელმწიფოს კანონებს, ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ე.ი. მოქალაქეობა წარმოადგენს პირის რეალურ, ფაქტობრივ ურთიერთობას კონკრეტულ სახელმწიფოსთან.

მამასადამე, საქართველოს მოქალაქეობა არის პირის პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლებების, მოვალეობებისა და ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის ერთიანობით.

მოქალაქეობის პოლიტიკურ-სამართლებრივი ხასიათი, პირველ ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ ამ ინსტიტუტს აქვს არა მხოლოდ იურიდიული, არამედ ასევე სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქედ მიღების მსურველი პირის მოვალეობას, დადოს საგანგებო ფიცი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს წინაშე და ხელი მოაწეროს საქართველოს მოქალაქეობის დეკლარაციას, რაც ხაზს უსვამს მოქალაქეობის მინიჭების აქტის განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას.

მოქალაქეობას, როგორც პირსა და სახელმწიფოს შორის განსაკუთრებულ ურთიერთკავშირს, ახასიათებს დროში სიმტკიცე. სხვა სიტყვებით, ეს კავშირი, ჩვეულებრივ, აღმოცენდება ადამიანის დაბადებასთან ერთად, გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე და წყდება მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ, რასაკვირველია, არ ჩავთვლით მოქალაქეობის შექმნისა და შეწყვეტის იშვიათ შემთხვევებს.

ზოგადი წესით, რომელიც მოქმედებს საქართველოში, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების აღმოცენება ან შეწყვეტა საქართველოს მოქალაქეებსა და უცხოელ მოქალაქეებს შორის არ იწვევს ერთ-ერთი მეუღლის მოქალაქეობის შეცვლის მოვალეობას და ორივეს შეუძლია შეუნარჩუნოს თავისი მოქალაქეობა. საქართველოს მოქა-

ლაქეობის შესახებ ორგანული კანონის 25-ე მუხლში პირდაპირაა მითითებული: „ერთ-ერთი მეუღლის მოქალაქეობის შეცვლა თავისთავად არ იწვევს მეორე მეუღლის მოქალაქეობის შეცვლას“. ამასთან ერთად, მოცემული კანონი ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეობის შექმნის გამარტივებულ წესს იმ უცხოელ მოქალაქეთათვის, რომლებიც ქორწინდებიან საქართველოს მოქალაქეებზე. ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობის შეცვლა, როგორც წესი, არ იწვევს ბავშვების მოქალაქეობის ავტომატურ შეცვლას. ხოლო როცა მოქალაქეობას იცვლის ორივე მშობელი, შესაბამისად იცვლება მათი არასრულწლოვანი შვილების მოქალაქეობაც, თანაც კანონით დადგენილია ასაკი, რომლის მიღწევისას ბავშვის მოქალაქეობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მისი თანხმობით. მაგალითად, მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, „ორივე მშობლის მოქალაქეობის შეცვლა შესაბამისად იწვევს 14 წელს მიღწეველი ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას. 14-დან 18 წლამდე ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით“.

მოქალაქეობა წარმოადგენს ურთიერთკავშირს, რომელიც განმტკიცებულია არა მხოლოდ დროში, არამედ სივრცეშიც, ე.ი. ეს არის „სივრცის გარეშე“ ურთიერთკავშირი, რომელიც არ იზღუდება სახელმწიფოს სივრცობრივი ფარგლებით და არ წყდება იმ შემთხვევაშიც, როცა მოქალაქე იმყოფება საზღვარგარეთ. ყოველ მოქალაქეზე, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ის, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე თუ მის ფარგლებს გარეთ, ვრცელდება საქართველოს კანონებისა და სხვა აქტების მოქმედება. მითითება იმის შესახებ, რომ საქართველოს სახელმწიფო ახორციელებს მის ფარგლებს გარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეთა დაცვას, მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის 1-ელ პუნქტში და საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის მე-9 მუხლში. ეს დაცვა ხორციელდება როგორც სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების, ისე სპეციალური დაწესებულებების მიერ. საქართველოს პრეზიდენტი უცხო სახელმწიფოებთან დებს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი საქართველოს



მოქალაქეების კანონიერი ინტერესების დაცვას, ასევე დიპლომატიური არხებით აგ ზაენის პროტესტებს საქართველოს მოქალაქეთა უფლებების შელახვის შემთხვევაში.

ყოველდღიური საქმიანობა საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების დაცვისა და მფარველობის უზრუნველსაყოფად ხორციელდება საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების მიერ. ისინი ვალდებული არიან დაიცვან საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები, მიიღონ ზომები იმისათვის, რომ საქართველოს მოქალაქეებს შეეძლოთ სრულყოფილად ისარგებლონ ყველა უფლებით, რომლებიც ენიჭებათ მათ იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც იმყოფებიან, ასევე ისარგებლონ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ჩვეულებებით.

საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ დაცვისა და მფარველობის განხორციელებით საქართველოს სახელმწიფო მტკიცედ ემზრობა სხვა სახელმწიფოთა სამინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს და მოქმედებს მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმების ჩარჩოებში.

საქართველოს სახელმწიფო ხელმძღვანელობს თავისი მოქალაქეების მიმართ იურიდიკის განსაკუთრებული პრინციპით და დაუშვებლად თვლის საქართველოს მოქალაქის გადაცემას უცხო სახელმწიფოსათვის მისი სიხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და/ან განაჩენის სისრულეში მოყვანის მიზნით. თუმცა, მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით, იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მოქალაქის გადაცემა, სახელმწიფო ვალდებულია გააკეთოს ეს.

ჩემი აზრით, საქართველოს მოქალაქეობის საკითხის განხილვისას დიდ ინტერესს იწვევს ორმაგი მოქალაქეობის პრობლემა.

მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით იმთავითვე დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა. ის არ ცნობს ორმაგი მოქალაქეობის პრინციპს, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით საქართველომ აირჩია პოზიცია, რომლის მიხედვით მან დადო სპეციალური საერთაშორისო ხელშეკრულებები, რის შესაბამისადაც, პირებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით აღმოჩნდნენ ორი სახელმწიფოს მოქალაქეები (ბიპატრიდები), შესაძლებლობა აქვთ ნებაყოფლობით აირჩიონ ერთ-ერთი სახელმწიფოს მოქალაქეობა. ამასთან, ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულებები ადგენენ წესებს, რომელთა მიხედვით, არც ერთი მხარე არ მიიღებს მოქალაქეობაში პირს, რომელიც ხელშეკრულების მეორე მხარის მოქალაქეა. ასეთ შემთხვევაში საჭიროა კომპეტენტური ორგანოების თანხმობა. მშობლებიდან, თუ ერთი მათგანი ხელშეკრულების ერთი მხარის მოქალაქეა, მეორე კი – მეორე მხარის, მაშინ შეიძლება ორმხრივი შეთანხმებით აირჩიონ თავიანთი ბავშვის მოქალაქეობა ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის მიხედვით.

თუმცა, 2004 წლის 26 ივნისს საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, იკრძალება ორმაგი მოქალაქეობა, „გარდა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან“.

რატომ გამოიწვია ვნებათაღელვა ორმაგი მოქალაქეობის თუნდაც გამონაკლისის წესით აღიარებამ?

ორმაგ მოქალაქეობას არ ცნობს სახელმწიფოთა უმრავლესობა. აშკარად იგრძნობა მათი უარყოფითი დამოკიდებულება, ვინაიდან ორმაგი მოქალაქეობა არის შესაძლებლობა, თავი აარიდონ ერთ-ერთი სახელმწიფოს იურისდიქციას იმაზე მითითებით, რომ ორმაგი მოქალაქეობის მფლობელი არის კიდევ სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. როგორც წესი, ასეთ გაორებას სახელმწიფოები არ ითმენენ. ხშირ შემთხვევაში ორმაგ მოქალაქეებთან დაკავშირებით პრობლემები აღმოცენდება სახელმწიფოთა მიმართ მოვალეობათა შესრულების პროცესში. განსაკუთრებით ეს ეხება სამხედრო სფეროსა და საგადასახადო ვალდებულებებს.

თუმცა, კონსტიტუციური სამართლის პრაქტიკისათვის ცნობილია სპეციალური შეთანხმებები სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ცნობენ ორმაგ მოქალაქეობას, თუმცა მათ ყოველთვის თან ახლავს გარკვეული დათქმები. მაგალითად, განსაზღვრული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრებასთან დაკავშირებით უფლებებისა და მოვალეობების სრული მოცულობა აღმოცენდება იმ სახელმწიფოს მიმართ, სადაც მუდმივად ცხოვრობს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი. თუ ის სხვაგან გადადის საცხოვრებლად, მაშინ უფლებებისა და მოვალეობების სრული კომპლექსი აღმოცენდება იმ სახელმწიფოს მიმართ, რომლის ტერიტორიაზეც გადადის ეს ადამიანი.

ზოგიერთ შემთხვევაში ორმაგი მოქალაქეობის მინიჭება ღებულობს არა იმდენად ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების, რამდენადაც პოლიტიკური აქციის ხასიათს. მაგალითად, ებრაელი ეროვნების ყველა მოქალაქე ითვლება ისრაელის მოქალაქედ, ისინი ისრაელში ჩასვლისთანავე არ ღებულობენ ახალ მოქალაქეობას, არამედ იღებენ პასპორტს და ამით ერთგვარად აღიდგენენ დაკარგულს. დიდ ბრიტანეთში ირლანდიის (ეირეს რესპუბლიკის) მოქალაქეები აღიარებული არიან ბრიტანეთის მოქალაქეებად ისტორიული ტრადიციის ძალით, თუმცა ირლანდიელები დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებს თავის მოქალაქეებად არ თვლიან.

გამომდინარე აქედან, შეიძლება ვაღიაროთ, რომ ორმაგი მოქალაქეობა საკმაოდ იშვიათი მოვლენაა და ის არ უკავშირდება საქართველოს სახელმწიფოს მიერ მის ცალმხრივ აღიარებას. ხშირ შემთხვევაში ეს არის სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმების საგანი. გარდა ამისა, ვფიქრობ, მთლად გამართლებული არ იქნებოდა საქართველოში ისრაელის სახელმწიფოში დამკვიდრებული ზემოთ ხსენებული წესის გადმოტანა, რაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკურობით გამოირჩევა, პირველ ყოვლისა, ისრაელის სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების ისტორიულ-პოლიტიკური თავისებურებებით. გარდა ამისა, ორმაგი მოქალაქეობის აღიარება არის მოქალაქეთა თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპისაგან ერთგვარი გადახვევა. საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც გააჩნიათ ორმაგი მოქალაქეობა, აქვთ პრივილეგირებული

სამართლებრივი მდგომარეობა, რომელმაც გარემოებათა შეცვლისას შეიძლება გამოიწვიოს მათი თანასწორუფლებიანობის ხელყოფა ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ.

იმისათვის, რომ უფრო ღრმად ჩავწვდეთ მოქალაქეობის არსსა და მნიშვნელობას, აუცილებელია განვიხილოთ მასთან დაკავშირებული ისეთი ძირითადი საკითხები, როგორიცაა: ა) საქართველოს მოქალაქეობის შექმნა; ბ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა; გ) საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი.

## 5.2.2. საქართველოს მოქალაქეობის შექმნის საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუციური სამართალი საქართველოს მოქალაქეობის შექმნის საფუძვლების განმტკიცებისას, პრინციპში, ქმნის ხელსაყრელ პირობებს ყველა იმ პირისათვის, რომელსაც ობიექტურად თუ სუბიექტურად აქვს თუნდაც მინიმალური წინაპირობები საქართველოს მოქალაქეობის მოსაპოვებლად. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც უნდა დავადასტუროთ, რომ საქართველოს მოქალაქეობის შექმნა არც ისე მარტივია. ეს ვლინდება საქართველოს მოქალაქეობის შექმნის საკმაოდ ფართო ნუსხაში და მრავალფეროვან პროცედურებში.

პირველი მასშტაბური აქტი, რომელიც მოჰყვა 1993 წლის 25 მარტის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის ამოქმედებას, ეს იყო საქართველოს მოქალაქეობის ცნობა, რომელიც მოქალაქეობის შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. მოქალაქეობის ცნობა არის სახელმწიფოს ნებითი აქტი, რომლითაც იურიდიულად მტკიცდება ფაქტობრივად არსებული მდგომარეობა. კერძოდ, ხსენებული კანონის მე-3 მუხლის თანახმად საქართველოს მოქალაქედ ჩაითვალა: ა) პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არა ნაკლებ ხუთი წლისა და ცხოვრობდა ამ კანონის შემოღების დღისთვის, თუ ექვსი თვის ვადაში წერილობით არ განაცხადებდა უარს საქართველოს მოქალაქეობაზე; ბ) საქართველოში დაბადებული პირი, რომელმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვა საქართველოს ტერი-

ტორია და, ამდენად, ვერ აკმაყოფილებდა ამ მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნებს, თუ მას არ ექნებოდა სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. ამრიგად, მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქედ ჩაითვალა სსრ კავშირის ყველა ის მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებდა ამავე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების მოთხოვნებს.

საქართველოს მოქალაქეობის შეძენის შემდეგი საფუძველია მოქალაქეობის მიღება დაბადებით ანუ ფილიაცია (ლათინურად – *Filiatia*). ეს არის მოქალაქეობის შეძენის ბუნებრივი და ყველაზე გავრცელებული საფუძველი, რომელიც იურიდიულ მნიშვნელობას იძენს მშობელთა მოქალაქეობისა და დაბადების ადგილის მიხედვით. ამ შემთხვევაში პირს მოქალაქეობა ენიჭება დაბადების მომენტიდან.

დაბადებით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ხდება მსოფლიოში გავრცელებული ისეთი პრინციპების მიხედვით, როგორცაა: ა) ეროვნული ანუ „სისხლის“ (ლათინურად – „*jus sanguinis*“) პრინციპი და ბ) ტერიტორიული ანუ „ნიადაგის“ (ლათინურად – „*jus soli*“) პრინციპი, როგორც ამას ადგენენ ჯერ კიდევ ძველრომაელი იურისტები.

ეროვნული ანუ „სისხლის“ პრინციპის თანახმად, ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება მშობლების მოქალაქეობის მიხედვით. კერძოდ, მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის მე-11 მუხლის თანახმად, ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, ჩაითვლება საქართველოს მოქალაქედ დაბადების ადგილის მიუხედავად. ამ შემთხვევაში „სისხლის“ პრინციპი ავტომატურად მოქმედებს.

მე-12 მუხლის მიხედვით, მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუკი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ჩაითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ: ა) დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე; ბ) დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე; გ) ერთ-ერთი მშობელი ბავშვის დაბადების მომენტისათვის (დაბადების ადგილის მიუხედავად) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე – მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცნობია.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ შემთხვევასაც, როდესაც ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა, თუმცა ბავშვის დაბადების მომენტი სათავის ორივე მშობელი ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ. ასეთ პირობებში საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი უნდა გადაწყდეს მშობელთა შეთანხმებით. მაგრამ თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ, ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავში დაიბადა.

„სისხლის“ პრინციპი მოქმედებს ბავშვის მამობის დადგენის შემთხვევაში, რომლის დედა მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მამად მიჩნეულია საქართველოს მოქალაქე. ასეთ შემთხვევაში ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე დაბადების ადგილის მიუხედავად.

დაბადებით მოქალაქეობის მოპოვება ტერიტორიული ანუ ნიადაგის პრინციპის საფუძველზე არ უკავშირდება ბავშვის მშობლების მოქალაქეობას და წყდება ბავშვის დაბადების ადგილის მიხედვით. ამ დროს ბავშვს ენიჭება იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, რომლის ტერიტორიაზეც დაიბადა იგი. საქართველოს კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ ითვალისწინებს „ნიადაგის“ პრინციპის ცალკეულ შემთხვევებს. კერძოდ, კანონის მე-13 მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვებს მიენიჭებათ საქართველოს მოქალაქეობა, თუ ისინი დაიბადებიან საქართველოს ტერიტორიაზე. კანონის მე-15 მუხლით კი საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვი, რომლის ორივე მშობელი უცნობია, ითვლება საქართველოს მოქალაქედ, სანამ სხვა რამ არ გაირკვევა.

დაბადებით მოქალაქეობის მოპოვებას აქვს ისეთი განმასხვავებელი თავისებურება, რომლის თანახმად მოქალაქეობის მოპოვება ხდება მოქალაქეობის მიღების თხოვნის გარეშე. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ის ყოველთვის უკავშირდება ახალშობილისათვის, ბავშვისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას მისი სურვილის გარეშე.

საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების მეორე ძირითად საშუალებას წარმოადგენს ნატურალიზაცია (ფრანგული – naturaliser), ანუ უცხოელი მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღება.

ნატურალიზაცია დაბადებით საქართველოს მოქალაქეობისაგან იმით განსხვავდება, რომ მოზრდილ ადამიანს შეგნებულად სურს საქართველოს მოქალაქეობა და მისი ქცევა ყოველთვის უკავშირდება აშკარად და იურიდიულად გამოხატულ სურვილს გახდეს საქართველოს მოქალაქე. ნატურალიზაცია, როგორც წესი, ინდივიდუალურია. უცხოელ მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს შეაქვს პირადი თხოვნა მოქალაქეობის მიღების შესახებ, ამ თხოვნას იხილავს შესაბამისი კომპეტენტური ორგანო.

თუმცა, ნატურალიზაციისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ადამიანის პირადი სურვილი. იმისათვის, რომ ამ გზით პირი გახდეს საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის შესახებ კანონი ამისათვის ადგენს სპეციალურ პირობებს. 26-ე მუხლის თანახმად, ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მისაღებად პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) მუდმივად ცხოვრობდეს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში;
- ბ) დადგენილ ფარგლებში იცოდეს სახელმწიფო ენა;
- გ) დადგენილ ფარგლებში იცოდეს საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა;
- დ) საქართველოში ჰქონდეს სამუშაო ადგილი ან რაიმე უძრავი ქონება.

ასეთი შეზღუდვები, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, შეგნებულად წესდება, რათა დაცული იყოს ქვეყანა არასასურველი ელემენტებისაგან. თუმცა, ამასთან ერთად, კანონით დაშვებულია ცალკეული კატეგორიის პირების განთავისუფლების შესაძლებლობა ამ პირობების შესრულებისაგან. მაგალითად, კანონის 27-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს ცალკეულ შემთხვევებში უფლება აქვს ზემოაღნიშნული პირობების დაუცველად საქართველოს მოქალაქედ მიიღოს პირი, თუ:

- ა) კაცობრიობისა და საქართველოს წინაშე მიუძღვის განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო, საზოგადოებრივი საქმიანობით ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია საქართველო;
- ბ) მისი მიღება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ნატურალიზებულ მოქალაქეებს იგივე სამართლებრივი სტატუსი გააჩნიათ, რაც დაბადებით საქართველოს მოქალაქეებს, მაინც არსებობს მცირეოდენი განსხვავება. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ პირი, რომელმაც ნატურალიზაციით მოიპოვა საქართველოს მოქალაქეობა, არ შეიძლება აირჩიონ საქართველოს პრეზიდენტად. ასეთი მოთხოვნა ჩადებულია საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომელშიც ცალსახად არის განსაზღვრული, რომ საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ დაბადებით საქართველოს მოქალაქე. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით ნატურალიზებული მოქალაქეები რაიმე დისკრიმინაციას განიცდიან. მსგავსი წესი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკასაც შეესაბამება. უფრო მეტიც, თუ გადავხედავთ გავრცელებულ გამოცდილებას, დავრწმუნდებით, რომ საქართველოს კანონმდებლობა ნატურალიზებულ მოქალაქეთა მიმართ საკმაოდ ლიბერალურია. უფრო მეტი სიცხადისათვის შეიძლება მოვიყვანოთ აშშ-ის მაგალითი, სადაც ნატურალიზებულ მოქალაქეებს აქვთ ზოგიერთი სამართლებრივი შეზღუდვა. კერძოდ, აშშ-ის კონსტიტუციით კონგრესის ქვედა პალატაში ანუ წარმომადგენლობით პალატაში შეიძლება აირჩეს პირი მისი ნატურალიზაციიდან 7 წლის შემდეგ, ხოლო სენატში – 9 წლის შემდეგ.

საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების მორიგი საფუძველია მოქალაქეობის აღდგენა. მართალია, ეს მოქალაქეობის მოპოვების ყველაზე იშვიათი გზა არის, თუმცა მსგავსი ურთიერთობების რეგულირების ფარგლებს გარეთ გატანა დაუშვებელია. მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის 29-ე მუხლი აკონკრეტებს იმ შემთხვევებს, თუ როდის შეიძლება აღუდგეს პირს საქართველოს მოქალაქეობა. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მას მოქალაქეობა შეუწყდა:

- ა) მოქალაქეობის არამართლზომიერი შეწყვეტის შედეგად;
- ბ) მოქალაქეობიდან გასვლის შედეგად;
- გ) მშობლების არჩევანის შედეგად.

ამასთან, „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს



საქართველოს მოქალაქეობა აღუდგება, თუ იგი განცხადების შეტანის მომენტიდან მუდმივად ცხოვრობს საქართველოში და აკმაყოფილებს ამ კანონის 26-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტების, ე.ი. სახელმწიფო ენისა და საქართველოს ისტორიისა და კანონმდებლობის დადგენილ ფარგლებში ცოდნის მოთხოვნებს, ასევე 26<sup>1</sup>-ე მუხლის მოთხოვნებს. ეს უკანასკნელი შეეხება საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს, რომელთა მიხედვით საქართველოს მოქალაქედ არ მიიღება პირი, თუ ჩაიდინა საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ და მონაწილეობდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულში.

რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით, ეს გულისხმობს შემდეგ შემთხვევებს:

ა) ორივე მშობლის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღებისას მათი 14 წელს მიულწეველი ბავშვებიც ხდებიან საქართველოს მოქალაქეები;

ბ) თუ საქართველოს მოქალაქეობა შეიძინა ერთ-ერთმა მშობელმა, მეორე კი რჩება სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ, მაშინ 14 წელს მიულწეველი ბავშვიც მშობელთა ერთობლივი შუამდგომლობით შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე;

გ) თუ ერთ-ერთი მშობელი იძენს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება მოქალაქეობის არმქონე პირად, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე;

დ) ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია და მას შვილად აიყვანენ საქართველოს მოქალაქეები, ხდება საქართველოს მოქალაქე;

ე) ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა და მას შვილად აიყვანენ მეუღლეები, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა, ხდება საქართველოს მოქალაქე მშვიდებულთა ერთობლივი შუამდგომლობით;

ვ) პირი, რომელიც დაქორწინდება საქართველოს მოქალაქეზე და მასთან ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე 3 წლის განმავ-

ლობაში, შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ შეღავათიანი პირობებით;

ზ) ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, უცხოელი მოქალაქეების ან საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი მოქალაქე მეუღლეების მიერ შვილად აყვანის შემთხვევაში ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას. ასეთ შემთხვევაში მშვილებლების შუამდგომლობით ბავშვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის ნება ეძლევა;

თ) ბავშვი, რომელსაც დაწესებული აქვს მეურვეობა ან მზრუნველობა, თუ მშობლები ან ერთ-ერთი მათგანი ტოვებს საქართველოს მოქალაქეობას, მეურვის ან მზრუნველის შუამდგომლობით ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

დავა მშობლებს, მეურვეებსა და მზრუნველებს შორის ბავშვის, არაქმედუნარიან ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მოქალაქეობის თაობაზე განიხილება სასამართლო წესით ბავშვის, ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა ინტერესებიდან გამომდინარე.

### 5.2.3. საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლები

საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლებია: ა) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა; ბ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა; გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

საქართველოს სახელმწიფო, ისევე როგორც მრავალი სხვა განვითარებული სახელმწიფო, ცნობს საქართველოს მოქალაქის უფლებას მოქალაქეობიდან გასვლაზე. თუმცა ამ უფლების რეალიზაციისათვის აუცილებელია კანონით განსაზღვრული პირობების დაცვა. კერძოდ, კანონის 31-ე მუხლის თანახმად, პირი საქართველოს მოქალაქეობიდან გავა, თუ საქართველოს სახელმწიფოს წინაშე არა აქვს შეუსრულებელი მოვალეობა, მოხდილი აქვს სამხედრო

ვალდებულება და არ გააჩნია ისეთი ქონებრივი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებით ინტერესებთან.

ამასთან ერთად, დაწესებულია მთელი რიგი შეზღუდვებისა, რომელთა გამოც პირი ვერ გაეცა საქართველოს მოქალაქეობიდან. კერძოდ, არ შეიძლება საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა, თუ პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ან მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება.

საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა, მოქალაქეობიდან გასვლისაგან განსხვავებით, საყოველთაოდ განიხილება, როგორც სახელმწიფო-სამართლებრივი სანქციის თავისებური ფორმა იმ პირის მიმართ, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ყოფნის პერიოდში უხეშად დაარღვია სამოქალაქო ვალდებულებები ან ჩაიდინა საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობისათვის შეუთავსებელი მოქმედებები. მაგალითად, კანონის 32-ე მუხლის თანახმად, პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ: საქართველოს კომპეტენტური ორგანოების უნებართვოდ შევა უცხო სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის ორგანოებსა და მმართველობის სხვა ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში; მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში; საქართველოს მოქალაქეობას შეიძენს ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით; მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას.

საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის აქტს გააჩნია, როგორც წესი, მკაცრად ინდივიდუალური ხასიათი. იგი ვრცელდება მხოლოდ იმ პირზე, რომლის მიმართაც იქნა მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება და არ იწვევს მისი მეუღლისა და ბავშვების მოქალაქეობის შეცვლას.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა უნდა გულისხმობდეს სულ სხვა პირობებსა და საფუძვლებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონში.

საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების საფუძველზე კი საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა შეიძლება გამოიწვიოს არსებითად მხოლოდ ერთმა გარემოებამ – 14 წელს მიულწეველი ბავშვის მშობლების საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლამ, რომლის დროსაც შესაბამისად იცვლება ბავშვის მოქალაქეობაც.

როცა საქართველოს მოქალაქეობიდან გადის მხოლოდ ერთ-ერთი მშობელი, ბავშვი ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ იგი საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებლად რჩება. მაგრამ აქ არის ერთი გამონაკლისი, რომლის მიხედვითაც, თუ საქართველოს მოქალაქეობიდან გადის ერთ-ერთი მშობელი და 14 წელს მიულწეველ ბავშვთან ერთად მუდმივად საცხოვრებლად მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ბავშვი კარგავს საქართველოს მოქალაქეობას.

მშობლების მოქალაქეობის შეცვლისას და შვილად აყვანისას 14-დან 18 წლამდე ბავშვების მოქალაქეობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მათი თანხმობით.

მოქალაქეობის შესახებ კანონი ითვალისწინებს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს მოქალაქის ცხოვრება თავისთავად არ იწვევს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას.

მოცემული კანონი არ თვლის საქართველოს მოქალაქის ქორწინებას ან განქორწინებას უცხოელ მოქალაქესთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან თავისთავად მეუღლეთა მოქალაქეობის შექმნის ან შეწყვეტის საფუძველად. ეს შეესაბამება ქალისა და მამაკაცის სრული თანასწორობის პრინციპს (საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი). ერთადერთი გამონაკლისი ამ პრინციპიდან არის ის, რომ იმ ბავშვის მამობის დადგენის შემთხვევაში, რომლის დედა მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მამად მიჩნეულია საქართველოს მოქალაქე, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე დაბადების ადგილის მიუხედავად. თუმცა ამ შემთხვევაში მამის მოქალაქეობის მიხედვით ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრა სულაც არ ეწინააღმდეგება ზემოთ აღნიშნულ კონსტიტუციურ პრინციპს.

#### 52.4. მოქალაქეობის არმქონე პირებისა და უცხოელი მოქალაქეების სამართლებრივი სტატუსი

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, 1993 წლის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონი, 1998 წლის საქართველოს კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ არეგულირებენ მოქალაქეობის არმქონე პირებსა და უცხოელ მოქალაქეებთან დაკავშირებულ საკითხებს.

მოქალაქეობის არმქონე პირი ანუ აპატრიდი არის ადამიანი, რომელიც არ წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეს და იმავდროულად არ გააჩნია სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობისადმი თავისი კუთვნილების მტკიცებულება. საქართველოს კანონმდებლობა მრავალი სხვა ქვეყნის კანონმდებლობის მსგავსად ორიენტირებულია მაქსიმალურად შეამციროს მსგავსი კატეგორიის ადამიანების რაოდენობა, ვინაიდან არც ერთი სახელმწიფოსადმი კუთვნილებამ (მოქალაქეობის არმქონე პირის სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით) შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული ნეგატიური შედეგები როგორც თავად ამ პირებისათვის, ისე იმ სახელმწიფოსათვის, სადაც ისინი ცხოვრობენ.

ჩვეულებრივ, მოქალაქეებს აქვთ უფლებების განსაზღვრული კომპლექსი, აქვთ კავშირი თავის ქვეყანასთან. მოქალაქეობის არმქონე პირებს კი აქვთ უფლებების გაცილებით მცირე კომპლექსი და არ აქვთ კავშირი რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფოსთან, ვინაიდან არ მიეკუთვნებიან არც ერთ სახელმწიფოს. გამომდინარე აქედან, მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსი განსხვავდება მოქალაქისა და თუნდაც უცხოელის სტატუსისაგან, ვინაიდან მათ არა აქვთ პოლიტიკური უფლებები არც იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი ცხოვრობენ და არც რომელიმე სხვა ადგილას. რაც შეეხება მდგომარეობას ქონებრივი უფლებების სფეროში, როგორც წესი, აქ შეზღუდვები მათთვის არ არსებობს. მათ შეუძლიათ დადონ გარიგებები, იყიდონ მიწა, იმუშაონ, ისწავლონ და ა.შ. ძირითადი მოთხოვნაა, რომ მოხდეს მათი ლეგალიზება, რათა იცხოვრონ საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე.

საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, გარდა საქართველოს მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისა, იმყოფებიან ასევე უცხოელი მოქალაქეები. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად უცხოელი მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობა, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ან დროებით იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, განისაზღვრება საქართველოს შიდა კანონმდებლობით საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით. უცხო სახელმწიფოების მიერ თავისი მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა საზღვარგარეთ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ უნდა წარმოადგენდეს საშინაო საქმეებში ამა თუ იმ ფორმით ჩარევის საფუძველს.

სხვადასხვა კატეგორიის უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობა ერთნაირი როდია. მაგალითად, არსებობს პირთა შეზღუდული წრე, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული პრივილეგიები და იმუნიტეტი (მაგალითად, დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის თანამშრომლები, მათი ოჯახის წევრები და სხვ.). ამ პირებზე, როგორც წესი, არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, რაც მით უმეტეს არ აძლევს მათ უფლებას დაარღვიონ საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, ჩაერიონ მის საშინაო საქმეებში, ბოროტად გამოიყენონ თავიანთი პრივილეგიები და იმუნიტეტი. რაც შეეხება უცხოელთა უმრავლესობას, რომლებიც მუდმივად ან დროებით იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, ისინი მთლიანად ექვემდებარებიან მის იურისდიქციას და ეკისრებათ იურიდიული პასუხისმგებლობა მის წინაშე სამართლებრივი ნორმების შეუსრულებლობისათვის.

საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებული უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება არა მხოლოდ მიმდინარე კანონმდებლობით, არამედ უფრო მაღალ, კონსტიტუციურ დონეზე. კონსტიტუციური რეგლამენტაციის მაგალითს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც უცხოელები საქართველოში სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით, როგორც საქართველოს მოქალაქეები, გარ-

და კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. საქართველოს კონსტიტუცია არ შეიცავს სპეციალურ დანაწესებს, რომლებიც განსაზღვრავენ უცხოელის სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლებს (თუ არ ჩავთვლით მათთვის თავშესაფრის მიცემის უფლებას, რომელიც ცალკე განიხილება). უცხოელების უფლებები და მოვალებები, მათი სამართლებრივი მდგომარეობის ცალკეული საკითხები წესრიგდება სხვადასხვა შიდასაკანონმდებლო აქტით და ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნათა შესაბამისად. უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი შედგება საქართველოს შიდა სამართლის ნორმებით, რომლებიც განსაზღვრავს სახელმწიფოსა და მის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელებს შორის ურთიერთობების ძირითად პრინციპებს, აგრეთვე უცხოელთა ძირითად უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალებებს.

როდესაც ვსაუბრობთ საქართველოში უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის ძირითად პრინციპებზე, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ე.წ. ეროვნული რეჟიმის პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ ყველა უცხოელი, რომელიც ექვემდებარება საქართველოს იურისდიქციას, სარგებლობს ძირითადად იმავე უფლებებით და გააჩნია იგივე მოვალებები, როგორც საქართველოს მოქალაქეებს.

მეორე, უცხოელების მიერ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას განუყოფლად უნდა ერწყმოდეს მათი მოვალებებიც. მათ არ უნდა მიაყენონ ზიანი საქართველოს ინტერესებს, საქართველოს მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს.

მესამე, საქართველოს კანონმდებლობა ხელმძღვანელობს უცხოელების კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპით და არ უშვებს რაიმე დისკრიმინაციულ შეზღუდვებს რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

მეოთხე, კანონმდებლობით გათვალისწინებული უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობა გარანტირებულია საქართველოს მიერ.

ამრიგად, უცხოელები საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ საკმაოდ ფართო სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პი-

რადი უფლებებითა და თავისუფლებებით, ასევე ზოგიერთი პოლიტიკური უფლებითა და თავისუფლებით (მაგალითად, პროფკავშირებში გაერთიანების უფლება, აზრის გამოხატვის თავისუფლება და სხვ.). თუმცა, უცხოელებისათვის ეროვნული რეჟიმის მინიჭება არ ნიშნავს მათი სამართლებრივი მდგომარეობის დამთხვევას საქართველოს მოქალაქეების სამართლებრივ მდგომარეობასთან. საქართველოს კანონმდებლობა უცხოელების მიმართ ადგენს წესებს, რომლებიც შეეხება მათ ძირითად უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალებებს, რაც განპირობებულია არსებითად სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესების უზრუნველყოფით. კერძოდ, უცხოელის საქართველოს ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის ან მუდმივი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა. აუცილებელ შემთხვევაში დაშვებულია უცხოელის გადაადგილების შეზღუდვა ქვეყნის ტერიტორიაზე ან მათ მიერ საცხოვრებელი ადგილის შერჩევა. უცხოელებს არ გააჩნიათ უფლება აირჩიონ ან არჩეულ იქნენ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებსა და სხვა არჩევით ორგანოებში, მონაწილეობა მიიღონ რეფერენდუმში. ისინი არ შეიძლება დაინიშნონ ცალკეულ თანამდებობებზე.

უცხოელებს არ გააჩნიათ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის მოვალეობა.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უცხოელებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს შუამდგომლობით საქართველოს მოქალაქეობის მიღების, ან საქართველოს ტერიტორიაზე თავშესაფრის მიცემის შესახებ.

განსაკუთრებული ადგილი კონსტიტუციით განმტკიცებულ უფლებებს შორის უკავია თავშესაფრის უფლებას. თავშესაფრის უფლების ინსტიტუტი არ შედის იმ ურთიერთობათა სფეროში, რომელიც არსებობს სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის. ეს ძირითადად შეეხება უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლებს. თავშესაფარი გულისხმობს საქართველოს მიერ უცხოელი მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირისათვის თავის ტერიტორიაზე შემოსვლისა და უსაფრთხო ცხოვრების შესაძლებ-



ლობის მიცემას. მაგრამ თავშესაფრის უფლების მიცემისათვის აუცილებელია კონსტიტუციით გათვალისწინებული კიდევ ერთი წესი: თავშესაფრის უფლება მიეცემა იმ პირს, რომელსაც სხვა სახელმწიფოში დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, რელიგიური მოტივებით ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

თავისი სამართლებრივი მდგომარეობით პირები, რომლებმაც მიიღეს თავშესაფარი საქართველოში (პოლიტიკური ემიგრანტები), თუ ისინი შემდგომ არ განდებიან საქართველოს მოქალაქეები, უთანაბრდებიან უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც მთლიანად იმყოფებიან საქართველოს იურისდიქციის ქვეშ. თუმცა, სხვა უცხოელებისაგან განსხვავებით, პოლიტიკურ ემიგრანტებს კონსტიტუციით გარანტირებული აქვთ, რომ ისინი არ გადაეცემათ იმ სახელმწიფოებს, სადაც განიცდიდნენ დევნას და საიდანაც ჩამოვიდნენ საქართველოში.

საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის „შ“ პუნქტის თანახმად, თავშესაფრის მიცემის საკითხს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი.

### 5.2.5. საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი

საქართველოს მოქალაქეობის შექმნისა და შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ჩვენს სახელმწიფოში ლეზლობს საქართველოს პრეზიდენტი, რომლის შესაბამისი უფლებამოსილება განმტკიცებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციაში (73-ე მუხლი), ისე მოქალაქეობის შესახებ ორგანულ კანონში (33-ე მუხლი).

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები უცხოელ მიქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოს მოქალაქედ მიღების, საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე.

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის გარდა, დაინტერესებული პირი განცხა-

დებით მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ხოლო თუ განცხადებელი იმყოფება და ცხოვრობს საზღვარგარეთ, იგი განცხადებით მიმართავს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, ან პირდაპირ უგზავნის მას საქართველოს პრეზიდენტს.

რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას, წარდგინება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ამის შესახებ შეაქვთ სასამართლოს, პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს, სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ კი – შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულოს.

საქართველოს მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებულ განცხადებასა და წარდგინებას წინასწარ იხილავს და ამზადებს მასალებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. შესაბამის დასკვნას მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვის თაობაზე ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

საქართველოს მოქალაქეობის შეძენის, შეწყვეტის ან აღდგენის შესახებ განცხადების ან წარდგინების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში – განკარგულებას.

აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად კანონით დადგენილია შესაბამისი ვადები. კერძოდ, მათი განხილვა-გადაწყვეტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს, ხოლო აღნიშნული საკითხების განმეორებითი განხილვა შესაძლებელია წინა გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის 42-ე მუხლი ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის „ვ“ პუნქტი მიუთითებს, რომ მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

კანონის 42-ე მუხლი ითვალისწინებს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით, მათი მხრიდან მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებული განცხადების განხილვაზე დაუსაბუთებელი უარის, შეამდგომლობათა განხილვის ვადების დარღვევისა და სხვა არამართლზომიერ მოქმედებათა ფაქტების შემთხვევაში.

საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტებია მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი. აღნიშნული დოკუმენტები პირს მიეცემა 16 წლის ასაკიდან. 16 წლამდე ბავშვის მოქალაქეობა დასტურდება დაბადების მოწმობითა და მშობლების პასპორტით ან მოქალაქის პირადობის მოწმობით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტებს უახლოეს წარსულში გასცემდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები, ხოლო ამჟამად შესაბამისი სამსახურის რეორგანიზაციის შედეგომ აღნიშნული ფუნქცია გადაეცა ოუსტიციის სამინისტროს გამგებლობას. სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე პასპორტს გასცემს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება.

ასეთია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ძირითადი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმები და დებულებები, რომლებიც კომპლექსურად არეგულირებენ საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობებს.

**ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები საქართველოში**

**§1. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კონცეფცია საქართველოს კონსტიტუციასა და მსოფლიო პრაქტიკაში**

**6.1.1. ძირითადი უფლებების არსი და მნიშვნელობა**

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის ფორმულა – საქართველოს მოქალაქეებმა „უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი“ – იმთავითვე მიუთითებს იმ ძირითად მიზნებზე, რისთვისაც საჭიროა საერთოდ კონსტიტუცია. ის ფაქტობრივად შეიძლება განვიხილოთ როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, რომლის დაცვის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს ეკონომიკური პროგრესიც და ხალხის ჰარმონიული თანაცხოვრებაც.

ადამიანი, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ცდილობს შეადაროს საკუთარი მდგომარეობა თავისივე ქვეყნის კონსტიტუციას, აინტერესებს, არის კი მისი ყოფა უმაღლეს, კონსტიტუციურ დონეზე აყვანილი დაპირებების ადეკვატური. სწორედაც რომ დაპირებების, ვინაიდან კონსტიტუციის ტექსტში გადმოცემული ნებისმიერი სიტყვა (უწინარესად, ადამიანისა და მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ) არის დასტური სახელმწიფოს მიერ ადამიანებისა და მოქალაქეებისათვის მიცემული დაპირებების ნორმატიული ფორმით გადმოცემისა. რა ჟამსაც აღმოაჩენს პიროვნება უფსკრულს სასურველსა (კონსტიტუციის ტექსტსა) და რეალურს შორის, უმაღვითარდება სამართლებრივი ნიჰილიზმი, ხელისუფლების, სახელმწიფოსა და კონსტიტუციისადმი უნდობლობის უპირველესი სტიმული.

ამიტომაც, სახელმწიფომ, რომელიც ნამდვილად ისახავს მიზნად თავისი მოქალაქეების კეთილდღეობას, პირველყოვლისა, უნდა

იზრუნოს იმაზე, რომ კონსტიტუციით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები რეალიზდებოდეს პრაქტიკაში, თავად კონსტიტუცია კი გამოიყენებოდეს, როგორც პირდაპირი მოქმედების ნორმატიული აქტი. უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს იმ მექანიზმების შექმნაში, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებას და პრაქტიკაში განხორციელებას. ამ ამოცანის გადაწყვეტაში კი შეუფასებელია ისტორიული მეხსიერების მნიშვნელობა.

ჩვენს საზოგადოებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ამორებდნენ საკუთარ ისტორიას და გამუდმებით აჩვენებდნენ ურცხვი სიცრუის სტერეოტიპებს, წარსული კი რჩება ადამიანთა ცნობიერების ჯერ კიდევ „ცოცხალ და დალუქულ სეიფებში“. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამჟამად გრძელდება ისტორიის ფურცლების გამოძეურება, რომლებმაც სრულად წარმოაჩინეს, თუ რა გადაიტანა სინამდვილეში ჩვენმა ხალხმა.

წარსული, აწმყო და მომავალი – ურთიერთდაკავშირებული ძარღვებია. ჩვენდა სავალალოდ, საბჭოთა წარსული ჯერ კიდევ გვახსენებს ხოლმე თავს. იმისათვის, რომ საბოლოოდ დავცილდეთ მას, კარგად უნდა გავერკვეთ მის არსში და როგორც არ უნდა ვჩქარობდეთ, უკეთ შევისწავლოთ იგი. ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებების ხელყოფას ადრეც და დღესაც არა ერთი საერთო საფუძველი აქვს. წარსულის გაანალიზება კი არის ნაბიჯი საზოგადოების ზნეობრივი ატმოსფეროს განწმენდისაკენ, მონანიებისა და ადამიანის ღირსების აღდგენისაკენ. რაც უფრო მეტად მივმართავთ ისტორიას, მით უფრო ვგებულობთ, რა უნდა გავაკეთოთ დღესაც და ხვალაც.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია წარმოადგენდა ბუნებრივ რეაქციას წინაპორბედ კონსტიტუციურ პრაქტიკაზე. ცნობილია, რომ საბჭოთა პერიოდის კონსტიტუციები ასრულებდნენ, პირველყოვლისა, პოლიტიკური დოკუმენტების როლს, რომლებიც პროპაგანდას უწევდნენ მრავალ მშვენიერ და მაღალფარდოვან მიზნებს, თუმცა არც ერთი მათგანი სრულებით არ ატარებდა პრაქტიკულ დატვირთვას. სამართლებრივ პრაქტიკაში არავინ გრძობ-

და თავს კონსტიტუციურ ნორმებთან დაკავშირებულად. ახალი კონსტიტუციის ავტორებმა მიზნად დაისახეს ძველი სტერეოტიპების დანგრევა, რაც შეძლეს კიდეც. და მაინც, კონსტიტუციის ნორმების ინტერპრეტაციისას უნდა გავეითვალისწინოთ, რომ საქართველოს კონსტიტუცია მუშავდებოდა შემჭიდროებულ ვადებში და ისეთ პოლიტიკურ ფონზე, როცა სამართლებრივი სინამდვილე ჯერ კიდევ ატარებდა ეპოქის დამლას. სწორედ ამის და სხვა მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა, ალბათ, ტერიტორიული მოწყობისა და ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებათა გაშიჯვნის, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის კონსტიტუციური მოდელირება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება თამამად ითქვას – ახალი კონსტიტუცია ნამდვილად ახალი დროის დოკუმენტია. ის არა მხოლოდ აღიარებს ადამიანისა და მოქალაქის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს, არამედ შეიცავს ასევე პირდაპირ მითითებას მათი იურიდიული უზრუნველყოფისათვის. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ წარმოადგენს ადამიანის ძირითადი უფლებების საკანონმდებლო წესით გაფორმების თანამედროვე ვერსიას. თუმცა, საკითხის არსი სხვა რამეშია: აცნობიერებენ თუ არა ამას მოქალაქეები და ის თანამდებობის პირები, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, მოვალენი არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ ამ უფლებათა რეალიზაცია და დაცვა.

მრავალი განვითარებული ქვეყნის მოსახლეობისათვის, რომლებიც აღიზარდნენ დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ტრადიციებზე, ცხადია, რომ კონსტიტუცია წარმოადგენს უზენაეს, ფუძემდებლურ კანონს, რომელსაც მიმართავენ ყოველთვის, როცა აუცილებელია მათი უფლებების დაცვა. მათთვის არ არის აუცილებელი იმის ახსნა, რომ კონსტიტუციას სხვა კანონების დარად უნდა ჰქონდეს პირდაპირი მოქმედების ძალა. სხვაგვარად, რანაირი კანონია, თუ ის პირდაპირ არ მოქმედებს? სამწუხაროდ, საქართველოს მოქალაქეებმა დღემდე ვერ გააცნობიერეს თავისი უზენაესი კანონის პრაქტიკული დანიშნულება.

დაესვათ კითხვა: მაინც რა განასხვავებს კონსტიტუციას სხვა კანონებისაგან, რომლებსაც ემყარება ნებისმიერი სამართლებრივი

სახელმწიფოს ორგანიზაციული სტრუქტურა? პირველყოვლისა, მასში განმტკიცებული დებულებების მნიშვნელობა. მაგალითისათვის, ისეთი საკითხები, როგორცაა: ყველა მოქალაქემ უნდა გაიაროს თუ არა სამხედრო სამსახური ან შესაძლებელია თუ არა ავტომანქანის გაჩერება რუსთაველის გამზირზე, დიდად განსხვავდებიან თავისი მნიშვნელობით. ამიტომ, კონსტიტუციით წესრიგდება მხოლოდ სახელმწიფო მოწყობის ყველაზე მნიშვნელოვანი ურთიერთობები.

გასაგებია, რომ ეს ნორმები შეიძლება ჩამოყალიბდეს საკმაოდ განზოგადებულად და პრაქტიკული გამოყენებისას მრითხოვოს განმარტება და დეტალიზაცია, განსაკუთრებით, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით. წმინდა აღმზრდელობითი მიზნებიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ საქართველოს მოქალაქემ, რომელიც ამ მომენტამდე არ იყო განებივრებული პრაქტიკულად მოქმედ კონსტიტუციასთან ურთიერთობით, გააცნობიერა, რომ კონსტიტუციით შემოთავაზებული გარანტიები ყოველთვის არ უნდა გაიგონ სიტყვასიტყვით და რომ ეს ძირითადი პრინციპები კონკრეტდება კანონმდებლის მიერ. კონსტიტუციაში არც თუ იშვიათად შეორდება სიტყვათა წყობა: „კანონის თანახმად“. იურიდიული თვალსაზრისით, ეს ზედმეტია. სავსებით ცხადია, რომ კანონმდებელი მოწოდებულია კონსტიტუციურ პრინციპებს მიანიჭოს უფრო კონკრეტული ჟღერადობა. ამიტომ, ყველანაირი წესით, ნებისმიერი მითითება უფრო მადეტალიზირებულ განმარტებაზე – „კანონის თანახმად“; გაუმართლებელია. კონსტიტუციური ნორმები ხომ ასე თუ ისე მაინც პირდაპირ მოქმედებენ? ამასთან დაკავშირებით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუშვათ, რომ ცნობიერებაში განმტკიცდეს ისეთი წარმოდგენა, რომლის თანახმად კონსტიტუციაში განმტკიცებული პრინციპები არ იმოქმედებს მანამ, ვიდრე არ მოხდება დამატებითი რეგლამენტაცია მის დამაკონკრეტებელ კანონში. ეს გზა იგივე ჩინია. თუ ამ გზით წავალთ, მოგვიწევს ისევ დაუბრუნდეთ საბჭოთა ეპოქის სტანდარტებს, როცა მოქალაქეებისათვის კონსტიტუციით აღიარებული პრინციპები და გარანტიები პრაქტიკაში არ იყო რეალიზებადი.

ისმება კითხვა: რა იგულისხმება ძირითადი უფლებების ქვეშ?  
საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავი მოიცავს ადამიანისა  
და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს. მასში გადმოცემულია  
ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც დაცული უნდა  
იყოს ნებისმიერ დროს სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერ  
დონეზე, მისი საქმიანობის სფეროს მიუხედავად. განზოგადებუ-  
ლად ასეთ უფლებებსა და თავისუფლებებს უწოდებენ „ძირითად  
უფლებებს“.

„ადამიანის უფლებებში“ უნდა ვიგულისხმოთ ძირითადი უფლე-  
ბები, რომელთა მოქმედების სფერო არ შემოიფარგლება პირთა გან-  
საზღვრული წრით და ვრცელდება ნებისმიერ ადამიანზე. ამ უფლე-  
ბების დაცვა განეკუთვნება სახელმწიფოს მოვალეობას, რომელიც,  
უმეტეს წილად, გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის ნორმე-  
ბიდან. ხოლო „მოქალაქის უფლებებში“ უნდა გავიგოთ უფლებები,  
რომელთა საფუძველში ჩაღებულია საქართველოს მოქალაქეობის  
პრინციპი.

სახელმწიფო, გამომდინარე მმართველი ჩინოვნიკების შეხედუ-  
ლებებიდან, შეიძლება გახდეს გარდაუვალი ბოროტების წარმოშ-  
ობი (თომას ჰობსი) ან ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას  
მისცემს ადამიანს სოციალური არსების სახით განვითარდეს სრუ-  
ლი ჰარმონიულობით (არისტოტელე). მაგრამ ნებისმიერ შემთხ-  
ვევაში სახელმწიფოს ინსტიტუტი არსებობს თითოეული ადამიანი-  
სათვის, და არა პირიქით. სახელმწიფოს ამოცანა მდგომარეობს  
იმის დაცვაში, რაც საკუთრივ ანიჭებს ადამიანს ადამიანურ ღირსე-  
ბას – დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები და ააგოს თავისი  
ცხოვრება ამ გადაწყვეტილებათა თანაზომიერად, თუ ამით არ  
ირღვევა სხვა ადამიანთა უფლებები.

ეს აზრი კლასიკური ფორმით გამოხატულია 1776 წლის 4  
ივლისის ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში: „ჩვენ აშკა-  
რა ჭეშმარიტებად ვთვლით: რომ ყველა ადამიანი გაჩენილია თა-  
ნასწორად; რომ შემოქმედი (ღმერთი) ანიჭებს მათ განსაზღვრულ  
განუყოფელ უფლებებს; რომ ამ უფლებათა რიცხვს განეკუთვნება  
სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისადმი სწრაფვის უფლე-  
ბა; რომ ამ უფლებების უზრუნველსაყოფად ადამიანთა შემადგენ-



ლობიდან იქმნება მთავრობები, რომელთა ფუნქციები შემოსილია კანონის ფარგლებით“.

განმანათლებლობის ეპოქის ზოგიერთი ფილოსოფოსი დარწმუნებული იყო იმაში, რომ თითოეულის თავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მარტოოდენ იმით, რომ უზენაესი ხელისუფლება იქნება თავად ხალხის ხელში.

ჟან-ჟაკ რუსო, ვისმა იდეებმაც უდიდესი გავლენა მოახდინა საფრანგეთის რევოლუციასზე, ხალხის ნების აბსოლუტურ ბატონობას თვლიდა თითოეულის პირადი თავისუფლების საუკეთესო გარანტიად. ამ ნიშნის მიხედვით ყალიბდება მარქსისტულ-ლენინური სახელმწიფოს თეორიაც, რომელიც აცხადებდა, რომ ადამიანის თავისუფლების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურით.

მაგრამ საფრანგეთის რევოლუციის პირველი წლების სისასტიკემ, როცა ე.წ. საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის მმართველობის პერიოდში, რომელსაც ხელმძღვანელობდა რობესპიერი, „ხალხის სახელით“ ათასობით ადამიანი მოათავსეს ციხეში ან სიკვდილით დასაჯეს გილიოტინაზე, აჩვენა, თუ როგორი გაუგებრობა იყო ეს.

ჯონ სტიუარტ მილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ხალხის ბატონობა თავის თავზე“ არ წარმოადგენს მართებულ განსაზღვრებას სახელმწიფოს დემოკრატიული ფორმისათვის; „ხალხი, რომელიც ახორციელებს ბატონობას, ყოველთვის არ არის იგივე ხალხი, ვინც ისინი, ვისზეც ხორციელდება ბატონობა, ხოლო ხალხის ბატონობა, რომელზეც ვსაუბრობთ, არის არა თითოეულის ბატონობა. საკუთარ თავზე, არამედ – ყველა დანარჩენის თითოეულზე“.

ცალკეული ადამიანების უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ერთგვარ სასაზღვრო ზოლს. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს უფლებების ბალანსის იგივე განუხრელი პრინციპი, როცა სახელმწიფოს უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება მოქალაქეთა უფლებები. ამის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა ადამიანისა და მოქალაქისათვის მინიჭებული შესაძლებლობა მიმართოს სასამართლო წესით დაცვას სახელმწიფო ორგანოების არამართლზომიერი მოქმედების შემთხვევაში.

## 6.1.2. სამართლებრივი სახელმწიფო და ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

დღეს ხშირად გავიგონებთ: „ჩვენ, ადამიანები, სრული თავისუფლებით ვსარგებლობთ და არავის არა აქვს მისი შეზღუდვის უფლება“. ერთი შეხედვით, საინტერესო რიტორიკაა. მაგრამ ასეა, კი? იქნებ ღირს თავი შევიკავოთ მსგავსი აბსტრაქტული აბსოლუტიზმისაგან და ჩვენი წარმოსახვითი შექმნება „იდეალში“ პრაგმატული პოზიციიდან გადავხიზნოთ? ვფიქრობ ღირს, რადგან ყველა საგანსა თუ მოვლენას, რაგინდ მომხიზნველიც არ უნდა იყოს ის, ერთის ნაცვლად ორი ან მეტი ხილული თუ უხილავი შეფასებითი მხარე აქვს. თუკი გლობუსს უძრავ მდგომარეობაში ცალი მხრიდან დავაკვირდებით, დიდი-დიდი დედამიწის ზედაპირის ნახევარი შევათვალიეროთ. მაგრამ არის კი ეს საკმარისი იმისათვის, რომ თუნდაც ყველაზე ზოგადი სახით მოვახდინოთ გონებაში დედამიწის, როგორც ასეთის სრულყოფილი „ფოტოგრაფირება“? რასაკვირველია, არა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ დედამიწა მრგვალია, შედგება ორი ნახევარსფეროსაგან და ორი სრულიად განსხვავებული პოლუსი გააჩნია.

ღიახ, ასეთია ჯანსაღი დამოკიდებულება ნებისმიერი მოვლენისადმი, მით უმეტეს, მეცნიერული თვალსაწიერიდან და კიდევ უფრო მით უმეტეს მაშინ, როცა საუბარი ეხება ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ძირითად ღერძს, ხერხემალს სამართლებრივი და სამართლიანი სახელმწიფოსი.

კაცობრიობას მუდამ აწუხებდა კითხვები: რა არის თავისუფლება? სად იწყება და სად მთავრდება თავისუფლება და მთავრდება კი საერთოდ? საქმე ისაა, რომ მგელი და ცხვარი სხვადასხვანაირად გებულობენ „თავისუფლების“ შინაარსს. სწორედ ამაშია უთანხმოების არსი, რომელიც თან სდევს მოცემულ კითხვას მისი დასმის მომენტიდან ვიდრე დღემდე.

ისევე, როგორც დაუშვებელია სახელმწიფოს აბსოლუტური თავისუფლება, ასევე დაუშვებელია თითოეულის უსაზღვრო თავისუფლება: შეუზღუდავ თავისუფლებას მივყავართ უძლიერესთა და უსინდისოთა შეუზღუდავ დესპოტიამდე. თუმცა, თავისუფლება ეძლევა

თითოეულს თანაბარწილად, მათ შორის – სუსტსა და არსებობისათვის არაფრის მქონეს. თითოეული ადამიანის ეს თანაბარი უფლება დაცული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ, მით უმეტეს, რომ სწორედ სახელმწიფო ადგენს თითოეულის თავისუფლების საზღვარს და სჯის თავისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის.

სახელმწიფო ხელისუფლებამ, თუ ის მოქმედებს უკონტროლოდ, შეიძლება ხელყოს თავისუფლება, რომლის დაცვისთვისაც არის მოწოდებული. თუ ადამიანმა თავიდანვე არ იცის, რა მოქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს სანქციები სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, მაშინ მისი თავისუფლებისაგან აღარაფერი რჩება. თავისუფლება – ეს არის რწმენა იმისა, რომ დასაშვებია ყველაფრის გაკეთება, რაც არ არის აკრძალული კანონით.

სახელმწიფო ორგანოების მოქმედება მოქალაქეთა მიმართ უნდა პასუხობდეს კანონს, მათი თავისუფლებების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამის გარანტია შეიძლება მოგვცეს მხოლოდ თითოეულის უფლებამ, შეამოწმოს სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების მართლზომიერება მიუკერძოებელი ინსტანციის მიერ სათანადო განხილვის მეშვეობით. ასეთებად კი გვევლინებიან სასამართლო ინსტანციები. ეს არის სამართლებრივი სახელმწიფოს თანამდევი პრინციპი. უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოს გარეშე ისევე წარმოუდგენელია, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოა წარმოუდგენელი თითოეულის თავისუფლების გარეშე.

აკადემიურ შრომებში დემოკრატიის უპირატესობა მმართველობის სხვა ფორმებთან შედარებით განისაზღვრება იმით, რომ მმართველებს ეკისრებათ ვალდებულება ანგარიში ჩააბარონ მოქალაქეებს, განსახილველად გამოიტანონ თავიანთი პოლიტიკური პროგრამები და ჩაატარონ არჩევნები ისე, რომ ეს არ იწვევდეს თავად სახელმწიფო წყობილების შეცვლას<sup>74</sup>.

ამისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყველას თავისუფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი

---

<sup>74</sup> იხ. Карл Р. Поппер, Открытое общество и его враги, М., 2001, გვ. 50.

საკითხების განხილვაში. ამიტომ, ის უფლებები, რომლებიც იცავენ აზრის გამოხატვის, ბეჭდვისა და მასობრივი კომუნიკაციების თავისუფლებას, შეკრებისა და დემონსტრაციის თავისუფლებას, პოლიტიკური გაერთიანების შექმნას, ძალზე მნიშვნელოვანია დემოკრატიის მოქმედებისათვის.

გამართლებული არ არის სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა რწმენის ხელყოფა, თუ ისინი არ წარმოადგენენ საფრთხეს დემოკრატიისათვის, სხვა ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებებისათვის. თუმცა, მეორე მხრივ, ძირითადი უფლებები საშუალებას აძლევს ხელისუფლებას, აღკვეთოს შემთხვევები, როცა აღმოცენდება საფრთხე თითოეული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისათვის. მაგალითად, მრავალი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია საშუალებას იძლევა გაუქმდეს უმრავლესობის გადაწყვეტილება, თუ ის ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას.

ძირითადი უფლებები განაპირობებენ დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი შემწყნარებლობის არსებობას. საბოლოო ჯამში, შემწყნარებლობა მხოლოდ სასარგებლოა ყველასა და თითოეულისათვის, რამდენადაც, ვინ შეიძლება ამტიკოს საკუთარი თავის შესახებ, რომ ნებისმიერ საკითხზე ნებისმიერი სახით გამოსვლისას ის ყოველთვის იქნება უმრავლესობის მხარეზე?

ამ თეზისის განმტკიცება შესაძლებელია სასამართლო პრაქტიკის გამოყენებით. ის კი მოცემულ საკითხებზე საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია. განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი – „ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ“ (347 U.S. 483, 1954). მიუხედავად იმისა, რომ 1861-1865 წ.წ. სამოქალაქო ომის შემდეგ უმცირესობით წარმოდგენილი ამერიკის შავკანიანი მოსახლეობის წარმომადგენლები გახდნენ აშშ-ის სრულუფლებიანი მოქალაქეები, სამხრეთ შტატებში შენარჩუნდა მკაცრი დაყოფა საზოგადოებრივ სფეროში რასობრივი ნიშნის მიხედვით. შავკანიანებსა და თეთრკანიანებს არ შეეძლოთ ერთად ჯდომა ერთსა და იმავე სკამებზე პარკებში, ერთი და იგივე ტრამპაით მგზავრობა და ერთსა და იმავე სკოლებში სწავლა. უმაღლესი სასამართლო მრავალი წლის მანძილზე იღვას „კანონის სადარაჯოზე“, რის მომხრედაც გამოდიოდა ამ შტატების

მოქალაქეთა (თეთრკანიანების) აბსოლუტური უმრავლესობა: შავკანიანი მოსახლეობის მდგომარეობა შეესაბამება კონსტიტუციის ნორმებს, ვიდრე მათ აქვთ თუნდაც განცალკევებული, მაგრამ თანაბარი უფლება საზოგადოებრივი დაწესებულებებით სარგებლობისა.

შავკანიანი მოსწავლის ბრაუნის სარჩელის პასუხად, რომელსაც სურდა მიეღო სწავლის ნებართვა მხოლოდ თეთრკანიანთათვის გათვალისწინებულ სასწავლო დაწესებულებებში, ეს სასამართლო პრაქტიკა შეცვალა უმაღლესმა სასამართლომ: „ცალკეული სასწავლო დაწესებულებები იძულებით უთანასწოროა“, რამდენადაც უმცირესობა ასეთი დაყოფის წყალობით დამცირებულად გრძნობს თავს უმრავლესობისაგან, რაც დამღუპველად მოქმედებს სასკოლო ასაკის ბავშვებზე“.

ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია აღშფოთების ტალღა, რამდენადაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა კანონის რანგში აყვანილ უმრავლესობის შეხედულებებს. აშშ-ის სამხრეთის ზოგიერთ შტატში მას კატეგორიულად და ღიად უარყოფდნენ. არკანზასის შტატის მთავრობამ, მიუხედავად სასამართლოს მრავალრიცხოვანი დადგენილებებისა, უარი თქვა შეეცვალა რასობრივი ნიშნის მიხედვით დაყოფა შტატის დედაქალაქის – ლიტლ-როკის სკოლებში. ფედერალური ჯარები იძულებული იყვნენ დაეძლიათ ადგილობრივი მოსახლეობისა და მათ მიერ არჩეული მთავრობის წინააღმდეგობა და იძულებით გაეტარებინათ ცხოვრებაში სასამართლოს დადგენილება. საბოლოო ჯამში, უმაღლესი სასამართლოს თვალსაზრისმა, რომელიც ეფუძნებოდა თანამოქალაქეთა პატივისცემას, მაინც დაამარცხა თეთრკანიანი მოსახლეობის უმრავლესობის რასობრივი სიძულვილი იმ შტატებში, სადაც დღეს მხოლოდ რამდენიმე „გამოუსწორებელი უგუნური“ თუ ცდილობს რასობრივი ნიშნით მოსახლეობის დანაწილებას.

### 6.1.3. პირითადი უფლებების წყაროები

საქართველოს კონსტიტუცია. ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებები გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით.

კონსტიტუცია ცნობს ძირითად უფლებებს, როგორც კონკრეტული კანონმდებლობისაგან დამოუკიდებლად არსებულ ადამიანისა და მოქალაქის ბუნებით უფლებებს. ამით გამოხატულია იმ ფილოსოფიისადმი მხარდაჭერა, რომელიც აყენებს ადამიანთა, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტის ეპიცენტრში.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია მისდევს XVIII ასწლეულის განმანათლებლობის ეპოქის ტრადიციებს: ადამიანი გონიერი არსებაა, რომელსაც შეუძლია იკისროს მორალური პასუხისმგებლობა. ამიტომ, მას დაბადებიდან ეძლევა უფლებები, რომელთა დაცვაც მას შეუძლია ნებისმიერი მართლწესრიგისას. ამის საწინააღმდეგოდ არსებობს თვალსაზრისი, რომელსაც ემყარებოდა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციები. სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 38-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები „გამოცხადებულია“ სახელმწიფოს მიერ. ისინი მოქალაქისათვის გარანტირებული იყო სახელმწიფოს მიერ და მას უნდა დაემსახურებინა ეს „წყალობა“ თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობების შესრულებით.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-2 თავის შესაბამის მუხლებში უფლებები და თავისუფლებები „პოზიტივირებულია“. ეს ნიშნავს, რომ მათ ენიჭებათ პირდაპირ მოქმედი სამართლის ნორმების ფორმა. ამის ხარჯზე წარმოდგენები უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ღებულობს ხილულ კონტურებს, რომლებიც საკმაოდ მკაფიოა იმისათვის, რომ ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა დაიცვას თავისი უფლებები და თავისუფლებები სამართლებრივი სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს აქვს პრიორიტეტი ნებისმიერ სამართლის ნორმასთან მიმართებაში, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა საქართველოს ამა თუ იმ სახის კანონსა თუ სხვა ნორმატიულ აქტში. შედეგად, არც ერთი ნორმატიული აქტი, მათ შორის, ავტონომიურ რესპუბლიკებში გამოცემულიც, არ შეიძლება იყოს მოქმედი, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებს.

სახელმწიფო სამართლის ავსტრიელმა პროფესორმა, ჰანს კელზენმა, რომელიც ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლაძდე იძულებული იყო გაქცეულიყო აშშ-ში, 1934 წელს თავის ერთ-ერთ ნაშრომში აღწერა მართლწესრიგის სისტემის იერარქიული აგება. მისი შეხედულებების თანახმად, სამართლის თითოეული ნორმა ითვლება მოქმედად უკვე იმიტომ და იმდენად, რომ ის ნაწარმოებია ისეთი სახით, რომელიც პასუხობს უფრო მაღალი დონის ნორმას. ამის მეშვეობით აღმოცენდება სამართლებრივი რეგულირების დონეების იერარქია, რომელშიც ყოველი დონის ნორმის მოქმედების დასაბუთება ჩადებულია უფრო მაღალი დონის დებულებებში. ამასთან, უმაღლესი საფეხურია კონსტიტუცია, რომელიც არეგულირებს ყველა სხვა ნორმების შექმნის მექანიზმს და განსაზღვრავს მათ შინაარსობრივ ჩარჩოებს. სამართლის ნორმა, რომელიც არ ექვემდებარება იერარქიის ასეთ სისტემას, არ წარმოადგენს მოქმედი მართლწესრიგის ნაწილს.

კონსტიტუციის მეორე თავში მოცემულია ძირითადი უფლებების ფართო ჩამონათვალი. თუმცა, ის არ შეიძლება ჩაითვალოს ამომწურავად. თუ ამოსავალი წერტილი იქნება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების პოზიტივიზმის პრინციპი, მაშინ ძირითადი უფლებების ეს ნუსხაც დამოკიდებულია დროსა და სხვა რიგ გარემოებებზე. დროთა განმავლობაში შეიძლება გამოირკვეს, რომ ზოგიერთი ძირითადი უფლება ვერ მოხვდა ამ ნუსხაში. ჩნდება კითხვა: როგორ დავიცვათ ასეთ შემთხვევაში უფლებები, რომლებიც ადამიანმა მიიღო დაბადებიდან, მაგრამ მათ ვერ ჰპოვეს ასახვა საქართველოს კონსტიტუციის ტექსტში?

თუ წარმოვიდგენთ, რომ კონსტიტუციის თითოეული მუხლი უნდა შეიცავდეს ინფორმაციის ამომწურავ ნუსხას, მაშინ უზენაესი კანონი გადაიქცევა მრავალტომიან ენციკლოპედიად, რომლის შინაარსი გარდაუვალ წინააღმდეგობაში მოვა ფორმასთან. ცხადია, რომ ზედმეტი დეტალიზაცია აქ უადგილოა. იმიტომ, სწორედ ამ სირთულეების გამო, რომლებიც დაკავშირებულია კონსტიტუციაში ძირითადი უფლებების ნუსხის გადასინჯვასა და შევსებასთან, ის არ შეიძლება აღვიქვათ ამომწურავად. თითოეულისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაძლებლობა მოახდინოს იმ ძირითად

უფლებებზე აპელირება, რომლებიც არ არის შესული დასახელებულ ნუსხაში. ის, რომ ასეთი სახის ძირითადი უფლებები, ე.ი. დაუწერელი უფლებები, შეიძლება ფაქტობრივად არსებობდნენ, ნათლად ჩანს კონსტიტუციის 39-ე მუხლიდან, რომელიც იმავედროულად აყალიბებს ასეთი უფლებების ცნობის წინაპირობებს: „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან“.

ევროპულ ქვეყნებში ე.წ. „დაუწერელი ძირითადი უფლების“ არსებობის ფაქტის შემოწმება განეკუთვნება სასამართლოს გამგებლობას, თუ ამ ძირითადი უფლების დარღვევა წარმოადგენს შეტანილი სარჩელის საგანს. ამრიგად, დაუწერელი ძირითადი უფლებები წარმოადგენენ მოსამართლეების მიერ შექმნილ ნორმებს. დაუწერელი ძირითადი უფლებები კონსტიტუციაში გამოხატული უფლებების დარად დაცული უნდა იყოს ყველა სახელმწიფო ორგანოს მიერ. ეს არის აღიარებული ევროპული პრაქტიკა, რომელსაც უნდა მიუერთდეს საქართველოც.

ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები. ძირითადი უფლებების სხვა უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენენ ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები. თუმცა, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. ავტონომიური რესპუბლიკები უფლებამოსილი არიან მიიღონ ნორმები, რომლებიც იცავენ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს. თუმცა, ისინი მოკლებული არიან უფლებას დამოუკიდებლად დაარეგულირონ ძირითადი უფლებების ხელყოფასთან დაკავშირებული საკმეები, რადგანაც ეს საკითხი საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად განეკუთვნება მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას.

ადამიანის უფლებების დაცვა საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები წარ-



მოადგენენ საქართველოს სამართლის სისტემის შემადგენელ ნაწილს. იქ, სადაც ეს ნორმები და ხელშეკრულებები ანიჭებენ თითოეულს უფლებებს ან აკისრებენ მოვალეობებს, განუხრელად უნდა ხდებოდეს მათი დაცვა და გამოყენება სახელმწიფო იერარქიის ყველა საფეხურზე.

თითოეული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულია არა მხოლოდ კონსტიტუციით, არამედ ასევე საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმებით. ამ ნორმებზე აპელირება შესაძლებელია ნებისმიერი სასამართლოს, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე. ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის ნორმებს აქვთ პრიორიტეტი ყველა სხვა კანონის წინაშე.

ის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს გაწევრიანება დამატებითი გარანტიების საშუალებას წარმოადგენს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით, უდავოა. მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ სიტუაციაში, თუ საერთაშორისო სამართლის ნორმის გამოყენება გამოიწვევს სხვა შედეგს, ვიდრე იმას, რაც დადგებოდა საქართველოს კონსტიტუციის გამოყენების შემთხვევაში. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური იქნება მას შემდეგ, რაც დადგება საკითხი საქართველოს ევროპის კავშირში გაერთიანების შესახებ.

მიემართოთ მაგალითს:

გადაწყვეტილება „მანამ, ვიდრე“ (გფრ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული – 73, 339).

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა წარმოადგენს ევროპის თანამეგობრობის წევრს. მისი ორგანოები უფლებამოსილი არიან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დაარეგულირონ საერთო ევროპული ბაზარი ღირეტივების გამოცემის მეშვეობით, რომლებიც სრულდებიან თანამეგობრობის წევრი-სახელმწიფოების ორგანოების ღონეზე.

დაეყრდნო რა ევროპის თანამეგობრობის ღირეტივას, გერმანიის კომპეტენტურმა სამსახურმა უარი უთხრა გერმანულ საწარმოს კონსერვირებული შამპინიონების შემოსატანად ნებართვის გაცემაზე იმ ქვეყნიებიდან, რომლებიც არ შედიან ევროპის თანამეგობრობაში.

საწარმომ საჩივრით მიმართა ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს მისი კონსტიტუციური უფლებების დარღვევის შესახებ ევროპის თანამეგობრობის დირექტივის გამოყენების გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებას შეუძლია საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულებების საფუძველზე გადასცეს სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებები საერთაშორისო თანამეგობრობის ორგანოებს, თუ იქნება უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებების საკმარისი დაცვა ამ ორგანოების მხრიდან ხელყოფის წინააღმდეგ. „მანამ, ვიდრე ევროპის თანამეგობრობა უზრუნველყოფს ძირითადი უფლებების სრულ და ეფექტიან დაცვას თანამეგობრობის ხელისუფლების ორგანოთა წინაშე... ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო... მეტად აღარ შეამოწმებს ძირითადი კანონით მინიჭებული უფლებების მოცულობას“.

ამრიგად, სასამართლო იძულებული იყო დაეკავა ევროპის თანამეგობრობის მხარე, აღნიშნა რა, რომ ევროპის თანამეგობრობის სამართალი მოქმედებს მაშინაც, როცა ის ცალკეულ შემთხვევებში ეწინააღმდეგება ძირითადი უფლების განხორციელების გარანტიას, რომელიც მოცემულია ძირითად კანონში, მაგრამ მანამ, ვიდრე გარანტირებულია ძირითადი უფლებების საერთო დაცვა.

ამრიგად, თუ ამა თუ იმ ხელშეკრულების ძალით, ქვეყნის უფლებამოსილებების ნაწილი გადაეცემა საერთაშორისო ორგანიზაციას, მაშინ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი მდგომარეობა, რომლითაც ეს ორგანიზაცია თავისი საქმიანობის ფარგლებში შეძლებს ძირითადი უფლებების კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანაზომიერ დაცვას. ამასთან, არ შეიძლება იმის მოთხოვნა, რომ ასეთმა დაცვამ გადაფაროს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი დაცვა. საერთაშორისო ორგანიზაციების განვითარება უაზრო იქნებოდა, თუ ყოველი წევრი-სახელმწიფო მოითხოვდა თავისი ეროვნული სამართლებრივი წესრიგის შენარჩუნებას მთელი მოცულობით.

სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებების გადაცემა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის იწვევს საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებას, პატივი სცეს ასეთ, საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულებებით დასაბუთებულ უფლებამოსილებებს. საერთაშორისო ორგანიზაციების აქტების ან მათზე დაფუძნე-

ბული სახელმწიფო ორგანოების აქტების გაუქმება ეროვნული სა-  
კონსტიტუციო სასამართლოს მიერ ძირითადი კონსტიტუციური  
უფლებების დარღვევის ნაწილში საერთაშორისო სამართლის მიხედ-  
ვით დაკვალიფიცირდებოდა, როგორც ვალდებულების დარღვევა.

ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი  
თავისუფლებების დაცვის შესახებ. უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო  
უფლებადაცვით დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც საქართველო-  
მაც იკისრა გარკვეული ვალდებულებები, არის 1950 წლის 4  
ნოემბრის ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ძირი-  
თადი თავისუფლებების დაცვის შესახებ, რომელსაც საქართველო  
მიუერთდა 1999 წლის 27 აპრილს და რომლის რატიფიცირება  
მოახდინა 1999 წლის 12 მაისს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმოწერა იყო  
საპასუხო რეაქცია ევროპის საბჭოში 1949 წელს გაერთიანებული  
სახელმწიფოების მიერ ჰიტლერისა და მისი ნაცისტური რეჟიმის  
ბარბაროსობაზე. იმავედროულად კონვენციას უნდა უზრუნველყო  
სახელმწიფოთა მტკიცე შეკავშირება, რომლებიც გაერთიანდებოდ-  
ნენ თავისუფლების ერთი და იმავე გაგებით, რომელთა წინაშეც  
აღმოცნდა კომუნიზმის ტოტალიტარული ტერორის საფრთხე. 1990  
წლიდან აღმოსავლეთ ევროპის მრავალი სახელმწიფო გახდა კონ-  
ვენციის წევრი, მოგვიანებით კი – ზოგიერთი ყოფილი მოკავშირე  
რესპუბლიკაც.

კონვენცია ავალდებულებს ყველა მონაწილე-სახელმწიფოს ნების-  
მიერი პირისათვის შექმნან გარანტიები ევროპული სტანდარტით  
ძირითადი უფლებების დაცვის ნაწილში.

უფლებები, რომლებიც ხდება კონვენციის დაცვის ქვეშ, მოიცავენ  
სიცოცხლის უფლებას (მე-2 მუხლი), წამების (მე-3 მუხლი),  
მონობის და იძულებითი მუშაობის (მე-4 მუხლი) აკრძალვას,  
პიროვნების თავისუფლებას (მე-5 მუხლი), სამართლიან და ღირ-  
სეულ სასამართლოს (მე-6 და მე-7 მუხლები), ასევე პირადი  
ცხოვრების პატივისცემას (მე-8 მუხლი), აღმსარებლობის თავისუ-  
ფლებას (მე-9 მუხლი), აზრის გამოხატვის თავისუფლებას (მე-10  
მუხლი), გაერთიანების უფლებას (მე-11 მუხლი) და დაქორწინების  
უფლებას (მე-12 მუხლი). დამატებით ოქმებში გარანტირებულია

ბაკურიძის უფლება (№1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი) და ვასილიძის უფლება (№1 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი).

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო წარმოადგენს ხასისაროლო ორგანოს, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის დაცვაზე. მის მუშაობაში შედიან თითო მოსამართლე ყოველი სახელმწიფოდან, რომელმაც მოახდინა კონვენციის მე-11 დამატებითი ოქმის იაქტივაცირება. როგორც წევრ-სახელმწიფოებს (გადასინჯული კონვენციის 33-ე მუხლი), ისე კერძო პირებს (გადასინჯული კონვენციის 34-ე მუხლი) შეუძლიათ მიმართონ მოცემულ სასამართლოს, თუ ადგილი აქვს კონვენციის დარღვევას ერთ-ერთ წევრ-სახელმწიფოში. ასეთი მიმართვის უფლება კერძო პირებს აქვთ მშპ, როდესაც ამოწურულია სამართლებრივი დაცვის ყველა მხარსახელმწიფოებრივი საშუალება.

სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები ადამიანის უფლებების შესახებ საქართველო წარმოადგენს მრავალი საერთაშორისო შეთანხმების მხარეს, რომლებიც დადებულია უპირატესად გაერო-ს ფარგლებში. მათ განეკუთვნება წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის შესახებ გაერო-ს 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენცია; ლტოლვილთა სტატუსის შესახებ უენევის 1951 წლის 28 ივლისის კონვენცია და სხვა შეთანხმებები.

უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებებს წარმოადგენენ გაერო-ს 1966 წლის 19 დეკემბრის პაქტი ადამიანის უფლებების შესახებ; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (პაქტი II) და ასევე საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (პაქტი I).

ამ უკანასკნელი პაქტიდან გამომდინარე, სახელმწიფოთა ვალდებულებები ჩამოყალიბებულია ბუნდობლად, გაფანტულად და მათი რეალიზაცია მთლიანად არის დამოკიდებული ეროვნულ კანონმდებლობაზე. მის საფუძველზე არ შეიძლება ცალკეულ პირთა საჩივრების წარდგენა. ამასთან, არ არსებობს საერთაშორისო ინსტანცია, რომელიც შეძლებდა პაქტის დაცვაზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებას.

პირიქით, II პაქტით დადგენილ უფლებებსა და თავისუფლებებს აქვთ პირდაპირი მოქმედების ძალა. მათი პრიორიტეტი ეროვნული კანონმდებლობის მიმართ ისევე ცხადია, როგორც ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციისა. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში იგრძნობა საერთაშორისო სამართლის უკმარისობა, რომლის იურისდიქცია საკვლევებულ წესით უზრუნველყოფდა პაქტის დაცვას. პაქტის დებულებების თანახმად, ვერ კიდევ აგრძელებს არსებობას ადამიანის უფლებების კომიტეტი, რომელიც ამოწმებს წევრი-სახელმწიფოების ანგარიშებს პაქტის შესრულების შესახებ და იღებს სახელმწიფოთა და ცალკეულ პირთა საჩივრებს პაქტის დარღვევების შესახებ.

#### 6.1.4. ძირითადი უფლებები: ცნება და შინაარსი

ძირითადი უფლებები ორგვარად უნდა გავიგოთ. ერთი მხრივ, წარმოადგენენ რა ობიექტური სამართლის ნორმებს, ისინი განაპირობებენ კანონმდებლის ძირითად მატერიალურ გადაწყვეტილებებს და გვეკლინებიან სამართლებრივი წესრიგის სახელმძღვანელო პრინციპებად, რომელთა ფარგლებშიც რეალიზდება ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები. მეორე მხრივ, ძირითადი უფლებები — ეს არის იმ პირთა სუბიექტური უფლებები, რომლებსაც შეუძლიათ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისაგან მოითხოვონ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მათი ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ ამას სასამართლო წესით.

ძირითადი უფლებები, როგორც კონსტიტუციის ნაწილი, არის ობიექტური სამართალი, რომელიც საკვლევებულა როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისათვის. ისინი განსაზღვრავენ საკანონმდებლო ორგანოებისათვის არა მხოლოდ გარკვეულ ჩარჩოებს, არამედ კანონშემოქმედებითი საქმიანობის თავისებურ პროგრამას. აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ ძირითადი უფლებების ობიექტური შინაარსი კანონის ნორმების გამოყენებისას. ამასთან დაკავშირებით საუბრობენ ძირითადი უფლებების „კონსტიტუციური“ გაგების შესახებ.

ძირითადი უფლებები წარმოადგენენ კონსტიტუციურ ნორმებს, რომლებიც განასახიერებენ სამართლებრივი წესრიგის აგების ფუნქციონალურ პრინციპებს. სახელმწიფო ორგანოს ყოველი ნორმატიული აქტი, მათ შორის, საერთაშორისო შეთანხმების დადება დაკავშირებულია ამ პრინციპებთან.

ნორმატიული აქტების შექმნისას კანონმდებელს ეძლევა იმ საშუალებების არჩევის მეტი თავისუფლება, რომელთა მეშვეობით შეიძლება იქნას მიღწეული კონსტიტუციით დადგენილი ამოცანები.

როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადი უფლებები, ობიექტური მმართველების გარდა, გამოდიან სუბიექტური უფლებების სახითაც.

სუბიექტური უფლება არის ვინმესათვის მართლწესრიგით მინიჭებული უფლებამოსილება მოითხოვოს სხვა პირისაგან განსაზღვრული მოქმედებები ან მოქმედებებისაგან თავის შეკავება. ასეთი მოქმედებების წესი განსაზღვრავს ამა თუ იმ ცალკე აღებულ ძირითად უფლებას. ამაში მდგომარეობს კიდევ უფლებების შინაარსი.

ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორმა, გეორგ ელინგმა, 1905 წელს ძირითადი უფლებები აღწერა, როგორც სუბიექტური უფლებების სისტემა. ის განასხვავებდა ძირითადი უფლებების მატარებელთა სამ სტატუსს: ნეგატიურს, აქტიურს და პოზიტიურს. ამასთან, ნეგატიური სტატუსი გულისხმობდა თავისუფლების უფლებას, რომელიც დაცულია სახელმწიფოს მხრიდან ხელყოფისაგან, აქტიური სტატუსი – სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებას (მაგალითად, არჩევნები), ხოლო პოზიტიური სტატუსი იძლეოდა მოთხოვნის უფლებას მატერიალური წესრიგის მოქმედებებზე სახელმწიფოს მხრიდან.

თუკი ძირითადი უფლებების მოქმედება ამოიწურებოდა მათი ობიექტური შინაარსით, მაშინ იმის განსაზღვრა, თუ რას წარმოადგენს ინდივიდუალური თავისუფლება და როგორია მისი მოქმედების სფერო ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, იქნებოდა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია. თავისუფლების გამარტება კი მოკლებულია ავტორიტარობას. ის უფრო მეტად იმყოფება ინდივიდუუმის გამგებლობაში, რომელიც დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის მოქმედებებს ადამიანის შესაძლო მოქმედებების

მრავალფეროვნებაში. მხოლოდ სუბიექტური უფლებებისა და მათზე ობიექტური მოთხოვნის რეალიზაციის წყალობით იძენს კერძო პირი შესაძლებლობას დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი თავისუფლება და დაუპირისპიროს სახელმწიფოს მხრიდან ხელყოფას ეფექტიანი სასამართლო დაცვა.

ვინ არიან ძირითადი უფლებების სუბიექტები?

ესენი არიან ფიზიკური პირები და პირთა გაერთიანებები. ძირითადი უფლებები მათ უკვე ეკუთვნით მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არსებობენ: არის სუბიექტი, ე.ი. ის აღჭურვილია უფლებით.

საქართველოს კონსტიტუცია განასხვავებს ადამიანის უფლებებს და მოქალაქის უფლებებს. ყველა პიროვნება ფლობს ადამიანის უფლებებს. ზოგჯერ ადამიანის უფლებების საილუსტრაციოდ გამოიყენება ისეთი ფორმულირებები, როგორცაა „ყველას“ (საქართველოს კონსტიტუციის 22-ე, 25-ე, 35-ე, 37-ე მუხლები), „არავინ“ (მე-40, 42-ე მუხლები). პრინციპში, ადამიანის უფლებას ადგილი აქვს მაშინ, როცა საკანონმდებლო დებულების ფორმულირება ცალსახად არ შეიცავს მოქალაქეზე მითითებას.

მოქალაქის უფლებები ისეთი ძირითადი უფლებებია, რომლებიც ეკუთვნის მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან.

ფიზიკური პირები, ანუ ადამიანები და მოქალაქეები ძირითადი უფლებების სუბიექტებად გვევლინებიან დაბადების მომენტიდან გარდაცვალებამდე, ე.ი. არასრულწლოვანი პირებიც ფლობენ ყველა უფლებას, რომლებიც ეკუთვნით მათ როგორც ადამიანებს ან მოქალაქეებს.

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი შეიცავს პირდაპირ მითითებას იმის თაობაზე, რომ კონსტიტუციაში განმტკიცებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სამართლის ყველა იურიდიულ პირს არ შეუძლია იქონიოს ძირითადი უფლებები, აქ არსებობს გარკვეული გამონაკლისები.

პრინციპში, საჯარო-სამართლებრივი ხასიათის იურიდიული პირები და დაწესებულებები არ არიან ძირითადი უფლების სუბიექტები. ეს

გამომდინარეობს იმ წინაპირობიდან, რომ კონსტიტუციის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს მოქალაქეთა დაცვაში სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლებისაგან. სახელმწიფო ინსტანციებს შორის დავები მათი კომპეტენციის თაობაზე არ წყდება ძირითად უფლებებზე მითითებით. ცალკეულ შემთხვევებში ამან შეიძლება გამოიწვიოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ხასიათის სარჩელის აღძვრა, მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ავტონომიურობის დაცვისას, თუმცა ასეთი მიმართვები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ძირითადი უფლებების დაცვა.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამოქალაქო სამართლის პირთა ქმედუნარიან გაერთიანებებში შედიან ცალკეული პირები, რომლებიც თავის საქმიანობას ახორციელებენ მოცემული ორგანიზაციების მეშვეობით. კომერციული საზოგადოების ან საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის შესაძლებლობები შეიძლება მიეკუთვნოს მათ მეპაიეებს ან წევრებს, ხოლო სააქციო საზოგადოების საკუთრება ეკონომიკური თვალსაზრისით ეკუთვნის აქციონერებს. ამრიგად, პირთა ასეთი გაერთიანებები ძირითადი უფლებების დაცვით სარგებლობენ არა თავისთავად, არამედ მასში შემავალი ცალკეული პირების თავისუფლებათა უზრუნველსაყოფად. სხვაგვარადაა საქმე საჯარო-სამართლებრივ დაწესებულებებთან დაკავშირებით. მათი საქმიანობა არ წარმოადგენს მათი წევრების მოქმედების უპირატეს და შეუზღუდავი შესაძლებლობების შედეგს, არამედ ხორციელდება ადმინისტრაციული სამართლის საფუძველზე. მათი დაცვა, ძირითადი უფლებების თვალსაზრისით, იჭებოდა სახელმწიფო წესრიგის დარღვევა საქვეუწყებო სფეროში.

თუმცა, გამონაკლისები აქაც არის: საჯარო-სამართლებრივი ხასიათის გაერთიანებებსა და დაწესებულებებს შეუძლიათ თავის საქმიანობაში დაეყრდნონ ძირითად უფლებებს. ეს ეხება, მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტებს, რომლებსაც უწევთ დაიცვან მეცნიერების, სწავლების თავისუფლება სხვა სახელმწიფო ინსტანციების ჩარევისაგან.

და კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი. მოქმედების ზოგადი თავისუფლება არის ადამიანის უფლება. ის ვრცელდება პირთა ისეთ გაერთიანებებზე, რომლებიც შექმნილია კერძო სამართლის



ფარგლებში. მათგან განსხვავებით, საჯარო სამართლის ორგანიზაციებს არ შეუძლიათ მიუთითონ მოქმედების ზოგად თავისუფლებაზე, რადგანაც ისინი იმთავითვე უფლებამოსილი არიან შეასრულონ მხოლოდ ისეთი მოქმედებები, რომლებიც განსაზღვრულია სახელმწიფო წესრიგის ფარგლებში. ანუ სხვა სიტყვებით: თუ კერძო პირს შეუძლია შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არ არის აკრძალული, მაშინ სახელმწიფო ინსტანციებისათვის ნებადართულია მხოლოდ ის, რაც განეკუთვნება მათ კომპეტენციას კონსტიტუციითა და კანონებით.

რაც შეეხება ძირითადი უფლებების შინაარსს, ის წარმოადგენს ერთ-ერთ პრინციპულ საკითხს. კონსტიტუციის ისეთმა დებულებამ, როგორცაა, მაგალითად, „ყველას აქვს გაერთიანების უფლება“, შეიძლება განაპირობოს მოსაზრება, რომ ამ ძირითადი უფლების შინაარსი თითქოს წარმოადგენს ამ ძირითადი უფლების მქონე პირისათვის ნებართვის მიცემას, იმოქმედოს განსაზღვრული სახით, მაგალითად, ჩამოაყალიბოს გუნდური საზოგადოება.

სინამდვილეში, ძირითადი უფლებების არსი გაცილებით ფართოა. უძველესი ტრადიციების მქონე მრავალ ქვეყანაში ჩამოყალიბებულია ძირითადი უფლებების განმარტების განსაზღვრული წესები. მაგალითად, თუ საუბარი ეხება იმას, რომ პირი, რომელიც აკრიტიკებს მთავრობის საქმიანობას, „ახორციელებს აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას“, ეს ნიშნავს, რომ მოცემულ სუბიექტს შეუძლია ამგვარად მოქმედება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის თავისთავად აზრის თავისუფლად გამოხატვის შინაარსი. სიცოცხლის უფლება ხომ არ შეიძლება გავიგოთ, როგორც კანონით მინიჭებული სიცოცხლის ნებართვა?!

არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ძირითადი უფლებები არის რაღაც უფლებამოსილებები ან პრივილეგიები. თუ ვინმე ქმნის საწარმოს, ლებულობს გადაწყვეტილებას რომელიმე რწმენის მიღების თაობაზე ან გადადის საცხოვრებლად თბილისიდან ქუთაისში, მას ამის გაკეთება შეუძლია იმიტომ, რომ ყველაფერი ეს წარმოადგენს ადამიანის შესაძლებელი ქცევის ვარიანტების შეუზღუდავ რაოდენობას. ქცევის ამ შესაძლებლობათა ჯამი არის ის, რასაც ჩვენ ვგებულობთ თითოეული ადამიანის ბუნებრივი

თავისუფლების ქვეშ, რომელიც არ არის დამოკიდებული ნების-  
მიერ მართლწესრიგზე.

მთლიანობაში ეს თავისუფლება არ არის შეზღუდული და ის,  
ვინც გადაწყვეტს ამ თავისუფლების დაშვებულ ფარგლებში მოქ-  
მედებას, არ საჭიროებს ნებართვას ამაზე და არ არის ვალდებული  
წარმოადგინოს ამის გამამართლებელი მიზეზები. ინდივიდი არ არის  
ვალდებული გამართლოს თავისი მოქმედებები, როცა მას სურს  
ისარგებლოს თავისი ერთ-ერთი თავისუფლებით, არამედ — სახ-  
ელმწიფო, თუ მას სურს შეზღუდოს ეს თავისუფლება.

ძირითადი უფლებები იძლევიან მხოლოდ მასშტაბებს, რომლის  
ფარგლებშიც შეიძლება შემოწმდეს, ნამდვილად გამართლებულია  
თუ არა კონკრეტული მართლწესრიგის დადგენა ან სახელმწიფო  
ხელისუფლების გარკვეული ზომა. ეს მიიღწევა იმით, რომ სა-  
კანონმდებლო წესრიგით ხდება ადამიანის შესაძლებელი მოქმედე-  
ბების შესაბამისი სფეროს აღწერა, რომლის დასაცავად ძირითადი  
უფლებების მატარებელს შეუძლია კანონიერ საფუძველზე წინ  
აღუდგეს ამ სფეროს ხელმყოფ გადაწყვეტილებებსა და დაწესე-  
ბულებებს. ძირითადი უფლებების დაცვითი მოქმედებების ცალკეულ  
სფეროებს შეიძლება ეწოდოთ „სიკეთეები, რომლებიც დაცულია  
ძირითადი უფლებით“.

ამრიგად, ის ვინც ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით  
თავისუფლად გამოხატავს უკმაყოფილებას მთავრობის მუშაობის  
მიმართ, ჯერ კიდევ არ ახორციელებს თავის ძირითად უფლებას.  
მან უბრალოდ აირჩია ერთ-ერთი შესაძლებელი მოქმედება, რომ-  
ლის განხორციელებაც მას, როგორც ადამიანს, შეუძლია. სიტყ-  
ვის თავისუფლების ძირითად უფლებას (მე-19 მუხლი) ადგილი  
აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრიტიკული გამოსვლა ისჯე-  
ბა კანონის ძალით ან სხვა სახელმწიფო ზომით, ხოლო იგივე  
მუხლი ადამიანს ანიჭებს უფლებას მოითხოვოს ასეთი კანონის  
ან ზომის შემოწმება. მას შეუძლია დაუპირისპიროს ძირითადი  
უფლება ისეთ ზომას, რომელიც ზღუდავს მის თავისუფლებას და  
მიადწიოს იმას, რომ ჩატარდეს შემოწმება, გამართლებულია თუ  
არა ამ ზომის ზემოქმედება მის თავისუფლებაზე, ილაპარაკოს ის,  
რაც მას სურს.

### 6.1.5. კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების სისტემა

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები საკმაოდ მრავალფეროვანია თავიანთი კონკრეტული შინაარსით, რითაც შედგენდება იურიდიულად ცნობილი და გარანტირებული პიროვნების სოციალური შესაძლებლობების ფართო დიაპაზონი, აგრეთვე პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურებები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

საქართველოს კონსტიტუცია თავისი ნორმებით განამტკიცებს მოქალაქეთა სოციალური შესაძლებლობების სამ ძირითად ჯგუფს: ა) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მართვის საქმეებში მონაწილეობა; ბ) სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან არსებობის აუცილებელი მატერიალური პირობების მიღება და პიროვნების სოციალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; გ) პირადი ქცევის თავისუფლება კანონით დადგენილ ფარგლებში, აგრეთვე სახელმწიფოს დაცვით სარგებლობა არამართლზომიერი მოქმედებებით ხელყოფისაგან. პიროვნების მიერ ამ ძირითადი სოციალური შესაძლებლობების რეალიზაცია განუყოფელია მათი მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებისაგან.

ყველა კონსტიტუციური ანუ ძირითადი უფლება ქმნის სისტემას, რომლის ელემენტები, როგორც წესი, მიმართულია უმეტესად ადამიანის ქცევის განსაზღვრულ სფეროზე და მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაცია სამ ძირითად ჯგუფად: ა) პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები; ბ) სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები; გ) პირადი უფლებები და თავისუფლებები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

## §2. პირადი უფლებები და თავისუფლებები

პირადი უფლებები ბუნებითი და ფუძემდებლური უფლებებისა და თავისუფლებების ერთობლიობაა, რომლებიც ენიჭება ადამიანს დაბადებიდან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი საქართველოს მოქალაქე. ეს უფლებები და თავისუფლებები ქმნის სწორედ ადამიანის მთელი სამართლებრივი სტატუსის საფუძველს. საკონსტიტუციო სამართლის მეცნიერებაში პირად უფლებებს სშირად „სამოქალაქო უფლებებსაც“ უწოდებენ. თუმცა, უმჯობესია და უფრო ზუსტი პირველი სახელწოდება, რამდენადაც ის გამოორიცხავს ორი განსხვავებული ცნების – „სამოქალაქო უფლებებისა“ და „მოქალაქეთა უფლებების“ – ერთმანეთში აღრევის საშიშროებას.

1995 წლის საქართველოს კონსტიტუცია პირადი უფლებების ვეგუვს მაკუთვნებს: სიცოცხლის უფლებას (მე-15 მუხლი), პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას (მე-16 მუხლი), ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობას (მე-17 მუხლი), ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობას (მე-18 მუხლი), სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას (მე-19 მუხლი), პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას (მე-20 მუხლი), თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებას (22-ე მუხლი), ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებას (24-ე მუხლი), უდანაშაულობის პრეზუმფციას (მე-40 მუხლი), სახელმწიფო დაწესებულებებში მოქალაქეებზე არსებული ინფორმაციის გაცნობის უფლებას (41-ე მუხლი), სასამართლო წესით დაცვის უფლებას (42-ე მუხლი).

### 6.2.1. სიცოცხლის უფლება

სიცოცხლის უფლება ყველაზე ტრივიალური სახით არის ადამიანის უპირველესი და უმთავრესი უფლება, რომელიც დაცულია საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით. სიცოცხლე ადამიანის ფუძემდებლური და ყველაზე ღირებული სიკეთეა, რომლის ხელყოფა ნიშნავს ინდივიდის, პიროვნების არსებობის შეწყვეტას.

სიცოცხლის უფლების შინაარსი მრავალფეროვანია და სხვადასხვა ქვეყანაში არსებითად სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრალია, ავსტრია, გურ, საფრანგეთი და სხვ.), იქ, სადაც გაუქმებულია სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის სახე, სიცოცხლის უფლება ნიშნავს, რომ არც ერთ ადამიანს, როგორც მოქმედებებიც არ უნდა ჩაიდინოს მან, არ შეიძლება წაერთვას სიცოცხლე, სახელმწიფოს მიერაც კი. ზოგიერთ ქვეყანაში კი, სადაც არსებობს სიკვდილით დასჯის შენარჩუნების სხვადასხვა რეჟიმი (სიკვდილით დასჯის გამოყენება განსაკუთრებულ შემთხვევებში, სიკვდილით დასჯაზე უარის თქმა პრაქტიკაში), სიცოცხლის უფლებაში იგულისხმება ის, რომ არც ერთ ადამიანს არ შეიძლება წაერთვას სიცოცხლე თვითნებურად, აუცილებელი სამართლებრივი პროცედურის გარეშე. ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია აკონკრეტებს დანაშაულთა წრეს, ვის მიმართაც არ შეიძლება გამოიყენონ სიკვდილით დასჯა (მაგალითად, არასრულწლოვანები და ქალები), ასევე ადგენენ დამატებით პროცესუალურ გარანტიებს სიკვდილით დასჯის გამოყენების მუქარის შემთხვევაში. ასე მაგალითად, საქართველოს 1995 კონსტიტუცია მისი სამოქმედოდ შემოღების მომენტში აღიარებდა რა სიცოცხლის უფლებას, აკეთებდა წინასწარ დათქმას, რომ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება ენიჭებოდა მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს (მე-15 მუხლი). თუმცა, 1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა საბოლოოდ გააუქმა სიკვდილით დასჯა. ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო საქართველოს მისწრაფებით, გამხდარიყო ევროპის საბჭოს წევრი, ვინაიდან ერთ-ერთი პირობა, რომლის შესრულების შემდეგაც მიიღება სახელმწიფო ევროპის საბჭოში, არის სიკვდილით დასჯის გაუქმება. ეს ნიშნავს, რომ სიცოცხლის უფლება, სიკვდილით დასჯის გაუქმების ჩათვლით, უკვე გახდა დემოკრატიულ სახელმწიფოდ აღიარების საერთო-ევროპული კრიტერიუმი.

თუმცა, ისევე, როგორც მრავალ ქვეყანაში, საქართველოში სიცოცხლის უფლების შინაარსის მსგავს მოდელირებას მწვავე დისკუსიის გარეშე არ ჩაუვლია. მით უმეტეს, რომ საზოგადოებისათვის წარმოდგენილი იყო მომძლავრებული კრიმინოგენური ვითარების ფონზე სიკვდილით დასჯის გაუქმება.

სიკვდილით დასჯის მომხრეები ეყრდნობოდნენ შემდეგ არგუმენტებს: სასჯელის ეს ზომა აუცილებელია, როგორც საზოგადოების დაცვის საშუალება განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა მუქარისაგან; სასჯელის ეს ზომა აშინებს პოტენციურ დამნაშავეებს ჩაიღინონ მძიმე დანაშაულები; გარდა ამისა, სამართლიანია, რომ განზრახ მკვლელობის ჩამდენი პირი ისჯება სიკვდილით და სხვა.

მოცემულ პოზიციას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ იმ სახელმწიფოებშიც კი, სადაც განსასჯელს აქვს დაცვის ნებისმიერი შესაძლებლობა და უზრუნველყოფილია სამართლიანი სამართალწარმოება, იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა ადამიანები სიკვდილით დასაჯეს იმ დანაშაულებისათვის, რომლებიც მათ არ ჩაუდენიათ. ამიტომ, არც ერთ შემთხვევაში არგუმენტს არ შეუძლია გაამართლოს უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი.

უფრო მეტიც, შეცდომის ალბათობაც რომ გამოირიცხოს, მაინც არ შეიძლება შემოაღნიშნული არგუმენტების გაზიარება. საზოგადოების დაცვა საშიში კრიმინალებისაგან შეუძლია უზრუნველყოს მათმა დაპატიმრებამ; ძალზე ძნელია იმის დამტკიცება, რომ სიკვდილით დასჯა პოტენციურ დამნაშავეებზე ახდენს უფრო უარყოფით შთაბეჭდილებას, ვიდრე ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთა; სამართლიანობის ზეიმი არ მდგომარეობს ე.წ. ტალიონის პრინციპში – „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“, არამედ ის ვლინდება სასჯელის გარდაუვალობაში; დაბოლოს, პირადი შურისძიების გრძნობის დაკმაყოფილება არ წარმოადგენს მართლწესრიგის ამოცანას.

აქვე აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეტაპზე სიცოცხლის უფლების შინაარსი კიდევ უფრო გაფართოვდა და არ უკავშირდება მხოლოდ სიკვდილით დასჯის გაუქმებას. სიცოცხლის უფლების ფართო გაგებით განმარტება უკავშირდება ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის, ანუ აბორტის აკრძალვის პრობლემას.

რა მომენტიდან იწყება ადამიანის სიცოცხლე? ეს კითხვა არის

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის სპეციალისტების ზანგრძლივი დავის საგანი. ამ კითხვაზე პასუხები სასამართლო პრაქტიკაშიც მოიძებნება, თუმცა ისინი ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც მოდავე მხარეთა პოზიციები.

ამასთან, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის საკითხები შეიცავენ როგორც სამართლებრივ, ისე მორალურ, პოლიტიკურ, რელიგიურ ასპექტებს, ასევე ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ ასპექტებს, რომელთაგან თითოეული მათგანი ზეგავლენას ახდენს სასამართლო გადაწყვეტილებაზე აღნიშნულ სფეროში.

მაგალითად, გერმანიაში აღიარებულია პრინციპი, რომლის თანახმად ადამიანის სიცოცხლე იწყება კვერცხუჯრულის განაყოფიერების მომენტიდან, რის გამოც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ავალდებულებს სახელმწიფოს საკანონმდებლო წესით აკრძალოს ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა სოლიდური ჯარიმის დაკისრებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ორსულობა საფრთხეს უქმნის ქალის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.<sup>75</sup>

აღნიშნული პრობლემის უფრო მკაფიო განმარტება მოცემულია აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში (*Roe v. Wade*, 410 U.S. 113, 1973). ამ ისტორიულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ ქალის თავისუფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ორსულობის შეწყვეტა დაცულია პირადი ცხოვრების ძირითადი უფლებით. სახელმწიფო რეგულირების გარკვეული ინტერესი დასაშვებია მხოლოდ ორსულობის იმ ვადებში, როცა ემბრიონს უკვე შეუძლია დამოუკიდებლად იარსებოს დედის მუცლის გარეთ.

არსებობს სხვა პოზიციაც, რომლის თანახმად ადამიანის სიცოცხლე იწყება დაბადების მომენტიდან და შესაბამისად სიცოცხლის უფლება ენიჭება მხოლოდ დაბადებულ ბავშვს.<sup>76</sup>

ზოგან კი ორსულობის შეწყვეტა საერთოდ იკრძალება და ეს მოთხოვნა კონსტიტუციურ ღონეზეა განმტკიცებული (მაგალითად, ირლანდია).

---

<sup>75</sup> იხ. Сборник решений Федерального Конституционного суда ФРГ, М., 2003, гв. 80-94.

<sup>76</sup> Манфред Полак, Права человека, М., 2003, гв. 35-36.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტასთან დაკავშირებით იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად არღვევს აბორტის უფლება დადგენილ წონასწორობას ორსული ქალების კანონიერ ინტერესებსა და ჩანასახის დაცვის კანონიერ აუცილებლობას შორის. ამ თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია იკავებს აბსოლუტურად სწორ პოზიციას, როცა თავად წევრ-სახელმწიფოებს უტოვებს საკანონმდებლო არჩევანის უფლებას ნორმების დადგენისას. „ამიტომ მსგავსი საქმეების განხილვისას კომისია თავს არიდებდა რაიმე განცხადებების გაკეთებას სიტყვა „სიცოცხლის“ განმარტების თაობაზე, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა აბორტთან, ან იმის თაობაზე, თუ რა დოზით შეიძლება ისარგებლოს ჯერ კიდევ არ შობილმა ბავშვმა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით“.<sup>77</sup>

სიცოცხლის უფლების ფართო განმარტება მოიცავს ასევე ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, როგორცაა ევთანაზია, ანუ უიმედოდ მძიმედ დაავადებული ადამიანის უფლება დააჩქაროს სიკვდილი ტანჯვის შეწყვეტის მიზნით. განასხვავებენ პასიურ და აქტიურ ევთანაზიას. პასიური ევთანაზია (ანუ „გადაღებული შპრიცის მეთოდი“) მდგომარეობს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შეწყვეტაში. ეს აჩქარებს სიკვდილის დადგომას. აქტიური ევთანაზია (ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ, „გადავსებული შპრიცის მეთოდი“) გულისხმობს ავადმყოფის ან მისი ახლობლების თხოვნით ექიმის მიერ ისეთი პრეპარატების შეყვანას ან ისეთი მოქმედების (ან უმოქმედობის) შესრულებას, რაც იწვევს სიკვდილის სწრაფ და უმტკივნეულო დადგომას. აქტიური ევთანაზია გამოიხატება სხვადასხვა ფორმებში. ერთი მათგანია „მკვლელობა სიბრაღულის (გულმოწყალების) გამო“. მაგალითად, როცა ექიმი თვლის, რომ შეუძლებელია ავადმყოფისათვის ტანჯვის შემსუბუქება, მის ორგანიზმში შეჰყავს გამაყურებელი პრეპარატის ზომაზე მეტი დოზა და ავადმყოფი კვდება. მეორე ფორმა არის თვითმკვლელობა, რომლის

---

<sup>77</sup> Донна Гомьен, Дэвид Харрис, Лео Зваак, Европейская Конвенция по правам человека и Европейская социальная Хартия, М., 1998, гл. 132.



ასისტენტიც არის ექიმი. ექიმი მხოლოდ ეხმარება მძიმე ავადმყოფს დაასრულოს სიცოცხლე. ავადმყოფი ექიმის დაუხმარებლად რთავს მოწყობილობას, რომელიც იწვევს სწრაფ, უმტკივნეულო სიკვდილს.

საქართველოში ევთანაზიის ნებისმიერი ფორმა აკრძალულია.

შეიძლება დაისვას კითხვა: მოიცავს კი სიცოცხლის უფლება სიცოცხლის მოვალეობას და შეუძლია თუ არა ინდივიდს უარი თქვას ამ უფლებაზე? არა მგონია, ადამიანს ჰქონდეს სიკვდილის „უფლება“. ზომ არ შეიძლება ვალიაროთ ვინმეს მოვალეობა, ხელი შეუწყოს ადამიანს სიცოცხლის შეწყვეტაში, რაც ჩემი აზრით, ნიშნავს მკვლელობის ლეგალიზებას გულმოწყალების ან სხვა მიზეზის გამო.

თუმცა, ეს საკითხი კვლავ სადისკუსიოდ რჩება. სიკვდილის „უფლებასთან“ დაკავშირებით დიამეტრიულად განსხვავებულ პასუხებს იძლევიან იურისტები, მედიკები და სხვა სპეციალისტები. მაგალითად, ამერიკელებს არ უყვართ საუბარი სიკვდილზე – მათთან არის სიცოცხლის, მარადიული ახალგაზრდობის კულტი. მაგრამ თავისუფლების კულტი გაცილებით მნიშვნელოვანია და სწორედ ამიტომ 1997 წელს გაიმართა გაცხარებული კამათი სიცოცხლის შეწყვეტის უფლების შესახებ. აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ, რომელიც იხილავდა საკითხს: იძლევა თუ არა კონსტიტუცია თვითმკვლელობაზე ექიმის დახმარების უფლებას, გამოიტანა უარყოფითი გადაწყვეტილება და კატეგორიულად განაცხადა: „არა, არ იძლევა“. იურიდიული თვალსაზრისით ეს პასუხი გამოირიცხავს ექიმის შეცდომის შესაძლებლობას. თუ ერთმა ექიმმა გადაწყვიტა, რომ ტანჯვის ქვეშ მყოფი ავადმყოფი განუკურნებელია, ეს ზომ სულაც არ ნიშნავს, რომ სხვა ექიმი ვერ შეძლებს ავადმყოფის მდგომარეობის გამოსწორებას. უმაღლესი სასამართლოს პასუხი ასევე გამოირიცხავს ექიმის შეთანხმებას ავადმყოფის ნათესავებთან. მიუხედავად ასეთი გადაწყვეტილებისა, დისკუსია კვლავაც გრძელდება.

და მაინც, პასუხი კითხვაზე: აქვს თუ არა უფლება ინდივიდს უარი თქვას სიცოცხლის უფლებაზე – უნდა ვეძიოთ არა მხოლოდ სასამართლოში ან სასამართლო პრაქტიკაში, არამედ ასევე რელიგიაში.

სიცოცხლის უფლებას უკავშირდება ისეთი საკითხიც, როგორცა ტრანსპლანტაცია. კერძოდ, ადამიანის ორგანოების ტრანსპლანტაციის პრაქტიკასთან დაკავშირებით ხშირად დაობენ სიკვდილის დადგომის მომენტის შესახებ. როგორც წესი, გვამიდან ორგანოების ან უჯრედების ამოღება ტრანსპლანტაციისათვის შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ადამიანის სიკვდილის უტყუარი მტკიცებულება. მე ვიზიარებ სამედიცინო თვალსაზრისს ადამიანის სიკვდილის შესახებ, რომლის თანახმად მასში იგულისხმება ის მომენტი, როცა დამტკიცებულია მთელი თავის ტვინის სიკვდილი.

## 6.2.2. პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობა

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია იწყება იმაზე მითითებით, რომ ღირსების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს. იგივეა ნათქვამი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის პრეამბულაში (დანართი 8) და სხვა აქტებში. სახელმწიფო მოვალეა დაიცვას პიროვნების ღირსება ყველა სფეროში, რითაც მტკიცდება პიროვნებისა და მისი უფლებების პრიორიტეტი. აქედან გამომდინარე, პიროვნება სახელმწიფოსთან ურთიერთობებში გამოდის არა როგორც სახელმწიფო საქმიანობის ობიექტი, არამედ როგორც თანასწორუფლებიანი სუბიექტი, რომელსაც შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალებით.

„პიროვნების ღირსების“ ცნება პირველად კონსტიტუციურ სამართალში შემოღებული იქნა 1949 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, როგორც აღშფოთების გამონახტვა იმაზე, თუ როგორ იქცეოდა ხალხი რასისტული სიძულვილის ობიექტებად. იმავდროულად, მასში არსებული ფორმულა – „პიროვნების ღირსება ხელშეუვალია. მისი პატივისცემა და დაცვა მთელი სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობაა“ – მოგვევლინა ახალი, თავისუფალი საზოგადოების პროექტის საფუძველად.

საქართველოს კონსტიტუცია ავითარებს ამ აზრს და ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობასთან ერთად კრძალავს

ადამიანის წამებას, არაპუმანურ, სასტიკ და პატივისა და ღირსების შემლახველ მოპყრობას და სასჯელის გამოყენებას.

როდესაც საუბარია ღირსების შესახებ, საქართველოს კონსტიტუცია აიგივებს „ადამიანის“, „მოქალაქის“, „მოქალაქეობის არმქონე პირების“, „უცხოელების“ ცნებებს. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თითოეულის ღირსება: ბავშვისა და ზრდასრულის, ჯანმრთელისა და ავადმყოფის, კანონმორჩილისა და სამართალდამრღვევის, ე.ი. ნებისმიერ ადამიანს აქვს თავისი ადამიანური ღირსების თანაბარი დაცვის უფლება. ნებისმიერი დიფერენციაცია ამ გაგებით თავად იქნებოდა ადამიანის ღირსების ხელყოფა.

დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი პიროვნების უფლება, მოითხოვოს მისდამი პატივისცემა. ადამიანის ღირსება ეს ის ღირსება კი არ არის, რომელიც ადამიანმა შეიძლება წარმოაჩინოს თავისი ფაქტობრივი ინდივიდუალური თვისებების საფუძველზე, არამედ ის, რომელიც ენიჭება თითოეულ პიროვნებას მისი მიღწევების, სტატუსის გათვალისწინების გარეშე.

იმ ადამიანებსაც კი, ვისაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ სოციალური ქცევის გააზრება, აქვთ სოციალური პატივისცემის მოთხოვნის უფლება. ასეთი დამოკიდებულება არ იცვლება მათი „უღირსი“ ქცევის შემთხვევაშიც. უფრო მეტიც, ამ უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე შეუძლებელია მისი შეზღუდვა, საგანგებო მდგომარეობის პირობებშიც კი (კონსტიტუციის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

ადამიანის ღირსების ხელყოფა თავისი სიმძიმისა და სახეების მიხედვით შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმებით: წამება, არაპუმანური, სასტიკი მოპყრობა და ადამიანის ღირსების შემლახველი სხვა ქცევები. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დაუშვებელია ადამიანის ღირსების შემლახველი სასჯელის გამოყენებაც კი.

თითოეული ამ დასახელებული დარღვევისას პირს შეუძლია გამოიყენოს თავისი ძირითადი უფლება ადამიანური ღირსების დაცვაზე.

წამება ყოველთვის არის პიროვნებისადმი სასტიკი ან ძალადობრივი მოპყრობა. მსგავსი საქმეების ფაქტობრივი გარემოებების

ახსნისას უნდა გავითვალისწინოთ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ გაეროს კონვენციის 1-ლი მუხლი და ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს მიერ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები. მათ შესაბამისად, სასტიკ ან არაადამიანურ მოპყრობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ ის გამოწვეულია მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის განზრახ მიყენებით და სცილდება სიტუაციის შესაბამისი ფიზიკური ზემოქმედების ხარისხს.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ 1993 წლის 8 ივლისს განხილული საქმე 17549/90 „ხურტადო შვედეთის წინააღმდეგ“, რომელიც ცნობილია „კოკაინით მოვაჭრეთა სახელწოდებით“. კოლუმბიის მოქალაქე ხურტადო ეჭვმიტანილი იყო კოკაინით ვაჭრობაში. პოლიციის სპეცდანაყოფმა გამოიყენა რა ცრემლსადენი ყუმბარა, შტურმით აიღო მისი საცხოვრებელი ბინა და გააუვნებელყო და დაპატიმრა იგი. წინასწარი დაკავების საკანში მას ერთი კვირის განმავლობაში არ აძლევდნენ შესაძლებლობას გამოეცვალა დასვრილი შარვალი, რომელიც დაბინძურდა ცრემლსადენი ყუმბარის გამოყენების შედეგად შოკურ მდგომარეობაში ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ის მიუთითებდა დაკავების დროს მიღებულ დაზიანებებზე, დაპატიმრებიდან მხოლოდ მერვე დღეს შეძლო ესარგებლა ექიმის დახმარებით, რომელმაც აღმოუჩინა მას მრავლობითი სისხლჩაქცევები და ერთი ნეკნის მოტეხილობა.

კომისიამ განსაზღვრა, რომ თავისთავად პოლიციის მოქმედება არ არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს. პოლიციას საფუძველი ჰქონდა ევარაუდა, რომ ხურტადო და მის ბინაში მყოფი დანარჩენი პირები არიან საშიში და შეიარაღებული დამნაშავეები, რომლებისთვისაც არ უნდა მიეცათ თავდაცვის საშუალება. ის, რომ საჩივრის ავტორი დაკავებისას დააწვინეს იატაკზე და ერთი პოლიციელი მუხლით აწვებოდა მას ზურგზე, მაშინ როცა მეორე ადებდა ხელბორკილებს, ცნობილი იქნა როგორც ძალის გამოყენება, რომელიც შეესაბამებოდა არსებულ გარემოებებს.

იმავე დროს ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას, ვინაიდან ხურტადო იძულებული იყო დარჩენილიყო დაბინძურებულ ტანსაცმელში. გარდა ამისა, პოლიცია, რომლისთვისაც ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ ხურტადოს შეეძლო დაკავებისას მიეღო დაზიანებები, ვალდებული იყო ეზრუნა მისთვის დაუყოვნებელი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. ის, რომ მათ არ მიიღეს ასეთი ზომები, კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად დაკვალიფიცირდა, როგორც არაადამიანური მოპყრობა.

წამება ხასიათდება იმით, რომ ინტენსიური ზემოქმედება მსხვერპლს ართმევს უნარს კონტროლი გაუწიოს თავის გრძობებს და მის პიროვნებას თრგუნავს იმ ზომამდე, რომ იგი კარგავს ნებითი წინააღმდეგობის გაწევის უნარს. ამასთან, როგორც განმარტავს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ გაეროს კონვენციის 1-ლი მუხლი, ფიზიკური ძალადობა არ წარმოადგენს სავალდებულო ელემენტს. საკმარისია ფსიქიკური ტანჯვის მიყენებაც.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 1997 წლის 25 სექტემბერს გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეზე „აილინი თურქეთის წინააღმდეგ“. თურქეთის სამხრეთ-დასავლეთში, სადაც მიმდინარეობდა ბრძოლა უშიშროების ძალებსა და ქურთ სეპარატისტებს შორის, უშიშროების ძალების მიერ გაიზხრიკა ის სოფელი, სადაც ცხოვრობდა განმცხადებელი. ჩვიდმეტი წლის გოგონა, მისი და და მამა წარადგინეს ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში, სადაც დაკავებული ჰყავდათ სამი დღის მანძილზე თვალახვეულ მდგომარეობაში. ამ პერიოდის განმავლობაში გოგონა რამდენჯერმე გააუპატიურა ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა, გარდა ამისა, მას მალალი წნევის ქვეშ ასხამდნენ გაყინულ წყალს და ა.შ.

სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო მოსამსახურის მიერ აღნიშნული ქმედების ჩადენა წარმოადგენს წამების განსაკუთრებით ამაზრზენ ფორმას, ვინაიდან გამოიყენებოდა მსხვერპლის სისუსტე და ის ტანჯვა, რომელიც მას მიადგა, შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში. ასევე მათმა პატიმრობაში ყოფნამ თვალახვეულ მდგომარეობაში, რასაც თან ახლდა წარმოუდგენელი ძალა-

ლობა, გამოიწვია მსხვერპლის დამცირება. სასამართლომ დაასკვნა, რომ როგორც გაუპატიურება, ისე საქმის სხვა დანარჩენი გარემოებები, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც წამება.

აშკარა წამებისა და დამცირების შემთხვევების გარდა არსებობს სხვა მრავალფეროვანი სიტუაციები, რომლებიც ეხება ადამიანის ღირსებას. ადამიანის ღირსება განისაზღვრება არა მხოლოდ სუბიექტის თვითშეფასებით. შეურაცხყოფა ან ღირსების სხვა ხელყოფა, თუნდაც მათ მიერ გაუცნობიერებელი; ასევე მართლსაწინააღმდეგოა. განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი ადამიანის ღირსების დაცვის შესახებ, როცა ადამიანი იმყოფება შეიარაღებულ ძალებში, საავადმყოფოში, სკოლაში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ადამიანის არც ეჭვმიტანილად, არც ბრალდებულად ან დამნაშავედ ცნობა, არც სიღარიბე, რაც აიძულებს მას მოწყალეების თხოვნას, არც რაიმე დაავადება, არანაირი სხვა მიზეზი არ შეიძლება იყოს ადამიანის ღირსების შელახვის საფუძველი.

პიროვნების ღირსების დაცვა იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო ვალდებულია მკაფიოდ განსაზღვროს ადამიანთა პირადი ცხოვრების შეზღუდვის საფუძველები და წესი. პირადი ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად უნდა გამოირიცხოს ადამიანის პირად ცხოვრებაში სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების ან სხვა პირთა ნებისმიერი თვითნებური ჩარევა.

ადამიანის ღირსება დაცული უნდა იყოს არა მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების გამოყენებით, არამედ ასევე ქართული სამართლის სხვა დარგებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცავს ადამიანის პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას მაშინაც კი, როცა მისი შეურაცხმყოფელი ინფორმაცია გავრცელებულია წინასწარი განზრახვის გარეშე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა კრძალავს ყველა იმ პირის პატივისა და ღირსების დამცირებას, რომელთა მიმართაც ტარდება შემოწმება, ჩხრეკა, საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობა. გათვალისწინებულია იმავე სქესის მოწმეთა დასწრება, რომელ სქესსაც წარმოადგენს გასაჩხრეკი ან შესამოწმებელი პირი. იკრძალება ძალადობა, მუქარა და შანტაჟი,

სხვა უკანონო მოქმედებები ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართალწარმოებაში, ადმინისტრაციულ და სხვა სამართლებრივ ურთიერთობებში.

„პიროვნების ღირსების“ ცნება მოიცავს ასევე მინიმალურ სოციალურ დაცულობას, რაც აუცილებელია ღირსეული სიცოცხლისათვის. ვინაიდან საქართველო ორიენტირებულია სოციალური სახელმწიფოებრიობისაკენ, ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს ადამიანთა შესაბამისი მდგომარეობა (საარსებო მინიმუმი, სამუშაო ადგილების შექმნა, უმუშევართა სოციალური დაცვა და ა.შ.).

### 6.2.3. ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება

ტერმინი „თავისუფლება“ მრავალწახნაგოვანი და მრავალმნიშვნელოვანია. საქართველოს კონსტიტუციის თითოეულ მუხლში ამა თუ იმ სახით მოცემულია ადამიანის თავისუფლების განსაზღვრული ასპექტები და მისი გამოვლინების ფორმები. კონსტიტუციის მე-18 მუხლი არ უწყევს კონკურენციას კონსტიტუციის სხვა მუხლებს. მასში საუბარია არა ზოგადად თავისუფლებაზე, არამედ მხოლოდ პირად თავისუფლებაზე.

თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება ნიშნავს ადამიანის თავისუფლებას, უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი მოქმედებები, თავად ეკუთვნოდეს თავისი თავი (ანუ ფორმულა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდუნის“) და არ იმყოფებოდეს ვინმეს კონტროლის ქვეშ.

მოცემული უფლება შედგება ძირითადად ორი კომპონენტისაგან: ა) პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლება, განკარგოს საკუთარი თავი თავისი შეხედულებისამებრ; ბ) პიროვნების ფიზიკური, ზნეობრივი და ფსიქიკური ხელშეუხებლობა.

კონსტიტუციური დებულება თითოეულის თავისუფლების შესახებ არ არის აბსოლუტური ხასიათის, ვინაიდან ინდივიდის თავისუფალი მოქმედებები დასაშვებია იქამდე, ვიდრე ის არ მიაყენებს ზიანს სხვა ინდივიდებს, ორგანიზაციებს, საზოგადოებას, სახელმწიფოს. ამ მიზნით დარგობრივი კანონმდებლობა ადგენს გარკვეულ ფარ-

გლებს, რომლის არეალშიც თითოეული თავისუფალია ქცევის ვარიანტების არჩევაში. პირადი თავისუფლების შეზღუდვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე (ძალთან უწყებებში სამსახური და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი აქტიურად აერთიანებს ორ კლასიკურ უფლებას — პირადი თავისუფლების უფლებას და პირადი ხელშეუხებლობის თავისუფლებას, აქცენტი აქ მაინც კეთდება ადამიანის ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე. ხშირად ფიზიკური ხელშეუხებლობის სერიოზული ხელყოფა იმავდროულად წარმოადგენს წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვის დარღვევას, რომელზეც შესაბამის ქვეპარაგრაფში ვისაუბრეთ. ამიტომ ქვემოთ განვიხილავთ მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომლებიც არ უკავშირდება ადამიანის ღირსების დამცირებას და შეურაცხყოფას.

თუ გავაფართოვებთ ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების შინაარსს, მას შეიძლება მივაკუთვნოთ ადამიანის სხეულის ის ნაწილები, რომლებზე ზემოქმედებაც არ ახდენს გავლენას დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მაგალითად, თმები და წვერი. სხეულზე ირიბი ზემოქმედებაც კი, კერძოდ, დასხივება ან გაშუქება (რენდგენი) განეკუთვნება ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფას.

უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოში სამართლებრივი რეჟიმის დემოკრატიზაციის დონის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია პიროვნების პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა. ამასთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის დებულების შესაბამისად ჩამოყალიბებული საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი ადგენს ერთ-ერთ უძველეს ძირითად უფლებას, რომლის თანახმად დაკავება ან დაპატიმრება ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. ეს არის ჰაბეას კორპუსი (habeas corpus), ინგლისური პროცესუალური სამართლის ინსტიტუტი. თავისი სახელწოდება ჰაბეას კორპუსმა მიიღო მოსამართლის ბრძანების პირველი სიტყვებიდან თავისუფლება აღკვეთილი პირის სასამართ-



ლოში წარმოდგენის შესახებ: „Habeas corpus ad subjiciendum“ („შენ მოვალე ხარ წარმოადგინო პიროვნება სასამართლოში“). ეს ინსტიტუტი, რომელიც აღმოცენდა ჯერ კიდევ XV საუკუნეში და საბოლოოდ გაფორმდა 1679 წელს „ჰაბეას კორპუს აქტში“, ნიშნავდა პირის უფლებას, მოითხოვოს სასამართლოში წარდგენა თავისუფლების აღკვეთის საფუძვლების შესამოწმებლად.

თავისუფლების აღკვეთა არის ყველაზე მკაცრი ჩარევა ადამიანის ცხოვრების შიდა სფეროში და დასაშვებია განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, რაც გამომდინარეობს როგორც საქართველოს კონსტიტუციიდან, ისე ადამიანის უფლებათა შესახებ კონვენციის მე-5 მუხლიდან.

თავისუფლების აღკვეთა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სასამართლოს ბრძანებით. მოსამართლემ უნდა მოისმინოს მხარეთა არგუმენტები და შეამოწმოს, ეფუძნება თუ არა მისი დაპატიმრება საქართველოს კანონმდებლობას და სახეზეა თუ არა ფაქტები, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში საკმარისი საფუძველი იქნება თავისუფლების აღკვეთისათვის.

თუ კონსტიტუციურად დასაბუთებული თავისუფლების აღკვეთის მიზანი ვერ მიიღწევა ეჭვმიტანილის დაუყოვნებლივ დაკავების გარეშე, მაშინ შესაბამის ორგანოებს უფლება აქვთ მის განხორციელებაზე სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, მაგალითად, იმ პირის დაკავებისას ან დაპატიმრებისას, რომელსაც წაასწრეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან რაც შეიძლება სწრაფად მიიღონ სასამართლო გადაწყვეტილება შემდგომი აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ. საერთო წესით, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. სასამართლომ 24 საათის განმავლობაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პირის დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

სასამართლოს მიერ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისას, რასაკვირველია, გათვალისწინებული უნდა იყოს ის

მტკიცებულებები, რომლებიც ბრალდების მხარის აზრით ადასტურებს მოცემული პირის მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში. თუმცა, მოცემული წინაპირობა თავისთავად არ შეიძლება იყოს დაპატიმრებისათვის საკმარისი საფუძველი. აუცილებელია კონკრეტული დამატებითი მითითება იმაზე, რომ ეჭვმიტანილი პირი ცდილობს თავი აარილოს გამოძიებას და მიიმალოს, რომ აპირებს ხელი შეუშალოს გამოძიებას (მტკიცებულებების განადგურება) ან მან შეიძლება ჩაიდინოს ახალი დანაშაული (დანაშაულის განმეორების საშიშროება).

სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში დღესაც მოქმედებს პრინციპი „ჯერ დაპატიმრე და მერე ეძიე მტკიცებულებები“, თუმცა უნდა იყოს პირიქით. როცა არ არსებობს ბრალდების მტკიცებულებები, ხშირად მათ სძალავენ. გამოძიებელი ვარაუდობს, რომ ადამიანი ბოლოს და ბოლოს ვერ გაუძლებს და მისცემს საჭირო ჩვენებებს, ხოლო სასამართლო მხარს დაუჭერს ბრალდების მხარეს.

საინტერესოა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, იმ პირთა დაპატიმრება, რომლებიც ელოდებიან სასამართლოს, არ უნდა იყოს ზოგადი წესი (მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი).

ასეთი პოზიცია ეწინააღმდეგება შუასაუკუნეების ინკვიზიციას, როცა ყოველგვარ სისხლისსამართლებრივ დევნას თან სდევდა დაპატიმრება ასეთი დევიზით: „ვინც არ იწყებს დამნაშაულის დაკავებით, ის კარგავს მას“. ეყრდნობოდა რა ფრანგი იურისტის ამ გამონათქვამს, ცნობილი მეცნიერი ნ. პოლიანსკი აღნიშნავდა, რომ სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში, რომელიც ჩამოყალიბდა 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ, თუ ბრალდებული მიიჩნევა უდანაშაულოდ მანამ, ვიდრე არ არის წარმოდგენილი საპირისპიროს მტკიცებულებები, ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნა უნდა იყოს წესი, რომლისგანაც გადახვევა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში“.<sup>78</sup>

---

<sup>78</sup> Полянский Н.Н., Судьба процессуальных гарантий личной свободы во Франции, М., 1996, გვ. 47.

აშშ-ში ასწლეულის მანძილზე ითვლებოდა, რომ ბრალდებულები არ წარსდგებოდნენ სასამართლოს წინაშე, თუ არ იქნებოდნენ პატიმრობაში აყვანილები ან განთავისუფლდებოდნენ გირაოს პირობით. შედეგად, ათასობით ადამიანი იმყოფებოდა პატიმრობაში სასამართლოს მოლოდინში, იმიტომ, რომ მათ არ შეეძლოთ შეეტანათ საკმაოდ დიდი ფულადი გირაო. აღიარებდა რა ასეთი მდგომარეობის არანორმალურობას, აშშ-ის პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის ადმინისტრაციის ყოფილი იუსტიციის მინისტრი რამსეი კლარკი წერდა: „ბრალდებულები, რომლებიც ელიან სასამართლოს, უნდა განთავისუფლდნენ პატიმრობიდან. ჩვენ ხომ ვაცხადებთ, რომ ამ დროისათვის მათზე მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფცია. ამიტომ ამ პრეზუმფციას პატივი უნდა ვცეთ“. უდანაშაულობის პრეზუმფცია ნიშნავს, – განაგრძობს ის, – რომ ადამიანი არ შეიძლება ჩამწყვდიო ციხეში ეჭვის საფუძველზე, ისევე, როგორც გყავდეს მასში გამოძიებისა და სასამართლოს მოლოდინში მხოლოდ იმის გამო, რომ ის ღარიბია.<sup>79</sup> ამერიკელი იურისტის ენი ჯინჯერის მტკიცებით, ნი-იან წლებში აშშ-ის შესაბამისმა ორგანოებმა გადახედეს თავის დამოკიდებულებას ბრალდებულთა მიმართ აღძვეთი ღონისძიების არ გამოყენებასთან დაკავშირებით.<sup>80</sup>

რასაკვირველია, მსგავსი პოზიცია სწორია, რომლისკენ გეზი საქართველომაც უნდა აიღოს. სამართლებრივი სისტემის ჰუმანურობა მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს იძულებითი ზომების მასშტაბსა და ხასიათს. სახელმწიფოებში, სადაც ხელისუფლება ეყრდნობა ხალხის ნდობას, პროცესუალური იძულების გამოყენების სფერო ვიწროვდება, დაპატიმრებები იცვლება აღკვეთის უფრო რბილი ზომებით, ისინი კონტროლდება სასამართლოების მიერ ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების სფეროში. ცივილიზებული საზოგადოების პირობებში პროცესუალური იძულების ზომები უნდა

<sup>79</sup> Кларк Р., Преступность в США, М., 1975, гл. 278.

<sup>80</sup> Джинджер Э.Ф., Верховный суд и права человека в США, М., 1991, гл. 208-209.

გამოიყენებოდეს მხოლოდ უპირობო აუცილებლობის შემთხვევაში. ასეთმა საზოგადოებამ არ შეიძლება დაუშვას სახელმწიფო იძულების საფუძვლებისა და მასშტაბების გაფართოება, მათ შორის, სისხლის სამართლის საქმეებზე.

ძნელად თუ დავეთანხმებით პატიმრობის გამოყენების აუცილებლობას მხოლოდ იმის გამო, რომ ის თითქმის სრულიად გამორიცხავს ბრალდებულის გაქცევას, მის მიერ დანაშაულის ჩადენას და ა.შ. გამოცდილება მოწმობს, რომ გაცილებით უფრო მაღალი ეფექტი აქვს გაუსვლელობის ხელწერილს, გირაოს და სხვა ზომებს, რომლებიც არ უკავშირდება წინასწარ პატიმრობას. როგორც წესი, ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და იმავდროულად, გაცილებით ნაკლებად, ვიდრე პატიმრობა, ზღუდავენ ადამიანის ამა თუ იმ ძირითად უფლებას.

როცა ადამიანის უფლებები არის ცარიელი სიტყვები და არა უმეტეს, ისმის მოწოდებები რეპრესიების გასამკაცრებლად. ამასთან გვეიწყდება, რომ ადამიანის უფლებების ხელყოფის გზაზე შესაძლებელია მხოლოდ დამნაშავეობის გამრავლება, რომ ერთი პროკურორის, გამომძიებლის ან პოლიციის თანამშრომლის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენება გაცილებით მეტი უბედურების მომტანია, ვიდრე ათეულობით დამნაშავეის ქმედება.

დაპატიმრება შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ მაშინ, როცა ყველა სხვა აღმკვეთი ზომა გამორიცხებულია. პატიმრობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას საესებით შესაძლებელია ეჭვის არსებობა. ის კი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ შესაბამისი პირობების დათქმით.

დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს მაშინათვე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რომელიც ყველა მიზეზ გარეშე უნდა დაკმაყოფილდეს.

აღნიშნული უფლების ერთ-ერთ უმთავრეს გარანტიას წარმოადგენს პირის დაკავების ან დაპატიმრებისთანავე მისთვის თავისი უფლებებისა და დაკავების საფუძვლების განმარტება, რომლის დარღვევაც დემოკრატიული რეჟიმის მქონე ქვეყნებში გვევლინება ბრალდებულის პატიმრობიდან განთავისუფლების ან გამართლების საფუძვლად.

**პოლიციის სტანდარტული დაკითხვის ბარათი  
გაფრთხილება, რომელიც უნდა წარედგინოს დაკავებულს\***

თქვენ იკითხებით შემდეგი დანაშაულის თაობაზე... (კონკრეტული დანაშაულის დასახელება).

ჩვენ ვალდებულნი ვართ აგისხნათ და გაგაფრთხილოთ, რომ გაქვთ შემდეგი იურიდიული უფლებები:

ა) თქვენ გაქვთ ღუძილის უფლება და არ ხართ ვალდებული თქვით რაიმე.

ბ) ყველაფერი, რასაც იტყვით გამოყენებული იქნება თქვენს წინააღმდეგ სასამართლოში.

გ) თქვენ უფლება გაქვთ დაკითხვამდე გაესაუბროთ ადვოკატს თქვენი არჩევით, ასევე ისარგებლოთ ადვოკატის მომსახურებით დაკითხვის პროცესში.

დ) თუ თქვენ არ გაქვთ შესაძლებლობა დაიქირაოთ ადვოკატი, არადა გაქვთ ამის სურვილი, ჩვენ უზრუნველყოფთ თქვენთვის დაკითხვამდე ადვოკატის დანიშვნას უფასოდ.

ე) თუ თქვენ მზად ხართ გააკეთოთ განცხადება, უფლება გაქვთ უარი თქვათ ჩვენების მიცემაზე ნებისმიერ დროს.

---

\* სტანდარტული ბარათი, რომლის მიხედვით პოლიციელები უკითხავენ პირებს უფლებებს დაკავებისას ან დაპატიმრებისას.

საყოველთაოდ ცნობილია შემთხვევა, რომელსაც ამერიკულ საკონსტიტუციო სამართალში უწოდებენ „მირანდას წესს“. ამ წესმა თავისი სახელწოდება მიიღო ექვმიტანილის გვარიდან, რომელიც დააკავეს 1966 წელს, მას ბრალად წაუყენეს გატაცება და გაუპატიურება. დაკავების შემდეგ მირანდამ აღიარა მოცემული დანაშაულის ჩადენა, თუმცა ის არ იყო გაფრთხილებული აშშ-ის კონსტიტუციის მე-5 შესწორების თანახმად იმ უფლების შესახებ, რომლის მიხედვით, შეეძლო არ მიეცა ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ. ის არ იყო ასევე გაფრთხილებული მისი დაკავებისთანავე დამკველის აყვანის უფლების თაობაზე. რამდენიმე ხნის შემდეგ მირანდამ განაცხადა, რომ ის მოატყუა პოლიციამ, რომ ჩვენებას

იძლეოდა ზეწოლის ქვეშ შეშინებულ მდგომარეობაში. მან განაცხადა, რომ ვინაიდან ჩვენება მისცა საკუთარი თავის წინააღმდეგ და არ ჰქონდა შესაბამისი იურიდიული დანმარება, ის უარს აცხადებს თავის აღიარებაზე. უმაღლესმა სასამართლომ მირანდას არგუმენტები სარწმუნოდ ჩათვალა და ის გაათავისუფლა, მიუხედავად სრულიად ცხადი და მის მიერ აღრე აღიარებული ბრალეულობისა. სწორედ ამის შემდეგ გახდა ე.წ. „მირანდას წესი“ სავალდებულო ყველა პოლიციელისათვის, რომლებიც ადამიანის დაკავებისას ან დაპატიმრებისას აუცილებლად წარმოთქვამენ რიტუალურ ფრაზებს იმის შესახებ, რომ დაკავებულებს ან დაპატიმრებულებს აქვთ დუმილის უფლება, დამცველის უფლება და ა.შ. ამ სიტყვების გარეშე დაკავებული განთავისუფლდება, რამდენადაც ეს ჩაითვლება მისი უფლებების დარღვევად.

ვფიქრობ, მსგავსი პრაქტიკის დანერგვა საქართველოში სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირების პროცესში სარგებლობას მოუტანს როგორც ამ სტრუქტურებში მომუშავე მოხელეების პროფესიონალიზმის ამაღლებას, ისე ადამიანთა უფლებადაცვითი საქმიანობის სრულყოფას.

მოცემული უფლების ასევე უმნიშვნელოვანეს პროცესულურ გარანტიას წარმოადგენს ის, რომ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა – 9 თვეს.

#### 6.2.4. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, შეიძლება ითქვას, უნივერსალური უფლებაა ყველა უფლებათა შორის, რომელსაც ყველაზე მეტად აფასებენ ცივილიზებული ადამიანები. ეს უფლება, თავის მხრივ, მოიცავს უფლებათა და თავისუფლებათა მთელ კომპლექსს. ის გულისხმობს პირადი და ოჯახური საიდუმლოებების დაცვას კანონის საფუძველზე. მასში შედის: საკუთრივ პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილის, პირადი ჩანაწერის, მიმოწერის, სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით საუბრის ხელშეუხებლობა. თუმცა, ეს კომპლექსური უფლებაც არ

არის აბსოლუტური, ვინაიდან დაშვებულია მისი შეზღუდვა სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას, მაგალითად, დანაშაულთან ბრძოლის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნით.

დემოკრატიულ საზოგადოებაში პირადი ცხოვრების პრობლემას ანუ იგივე პრაივესს (ინგლ. Privacy – საიდუმლო, პირადი ცხოვრება) დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აქერიკელი იურისტები პრაივესს განიხილავენ როგორც განსაკუთრებულ სამართლებრივ კატეგორიას და იზიარებენ აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის ბრანდეიზის ცნობილ ფორმულირებას, რომლის თანახმად „ადამიანს აქვს უფლება, თავი დაანებონ მას“.<sup>81</sup>

ცნობილი ინგლისელი სახელმწიფოთმცოდნე ერსკინ მეი თავის ღრობზე წერდა, რომ „ადამიანებს შეუძლიათ იარონ იქ, სადაც მათ მოესურვებათ, მაგრამ თუ მათ თითოეულ ნაბიჯს აკვირდება ჯაშუშებისა და ინფორმატორების მთელი ხროვა, თუ მათ საუბარს იწერენ, რათა შემდეგ გამოიყენონ ბრალდებად მათ წინააღმდეგ, როცა მათ მეგობრებს უთვალთვალებენ, როგორც ამბობებულებს, მაშინ ვინ გაბედავს და იტყვის „რომ ისინი თავისუფლები არიან?“<sup>82</sup>

„პრაივესი“ ნებისმიერი ინდივიდუალიზმის საფუძველია. ეს არის განმარტოების ან იმასთან ყოფნის შესაძლებლობა, ვისთანაც სურს თავად ადამიანს. ცოტა თუ იტყვის იმას, რისი თქმაც სურს, თუ იფიქრებს, რომ მას უსმენენ. ხშირად მიუთითებს რ. კლარკი: იცხოვრო შიშით აღვისილი თვალებით – ნიშნავს იცხოვრო უბედურ ქვეყანაში.<sup>83</sup>

არც ერთ ადამიანს არ შეუძლია იარსებოს თავისთვის, განცალკევებულად. ადამიანი ზოგჯერ თავის პირად და ოჯახურ საიდუმლოს ანდობს სამედიცინო დაწესებულებების, ნოტარიუსის, ბანკების, მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოების

<sup>81</sup> Рон Коллимор, США: Конституция и права Граждан. М., 1997, гл. 110.

<sup>82</sup> Пиритт Д., Шпионы и осведомители на скамье свидетелей, М., 2000, гл. 23.

<sup>83</sup> Мелоун Р., Преступность и Американское общество, М., 1995, гл. 359-360.

წარმომადგენლებს, ღვთისმსახურებს, ადვოკატებს ან თავის სხვა წარმომადგენლებს. ისინი ვალდებული არიან არ გაახმოვანონ მათთვის მინდობილი ინფორმაცია.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ პირების მიერ თავიანთი საქმიანობის განხორციელების პირობებს. მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობაში მითითებულია იმ ინფორმაციის კონფიდენციალობის შესახებ, რომელიც შეადგენს საექიმო საიდუმლოებას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა კრძალავს დამცველის და სხვა წარმომადგენლის მოწმის სახით გამოძახებას და დაკითხვას. საიდუმლოს (შვილად აყვანა, სატელეფონო საუბრები, კენჭისყრა და ა.შ.) გამჟღავნებისათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობა.

მოსამართლეს ან სხვა თანამდებობის პირს უფლება არ აქვს გამოარკვიოს ადამიანის პირადი ცხოვრების გარემოებები, რომლებსაც კავშირი არ აქვთ კონკრეტულ საქმესთან. არც ადვოკატს აქვს ასეთი უფლება. მან უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი და სხვა პირთა მოქმედებები, რომლებიც უკავშირდება პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციას, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ვიწრომიზნობრივი დანიშნულებით. მაგალითად, ნოტარიუსს უფლება არ აქვს გამოარკვიოს მოტივი, რის მიზეზვითაც გადაწყვიტა მოქალაქემ ანდერძის შედგენა, ხოლო ბანკის მუშაკს — შენაბრის მიერ თავის ანგარიშიდან თანხის მოხსნის მიზეზი და სხვ.

ერთი შეხედვით, პრობლემატურია პირადი ცხოვრების ფარგლების განსაზღვრა, რომელიც ექვემდებარება სამართლებრივ დაცვას. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ადამიანის ინტიმური ურთიერთობებიც კი, რომლის დაცვის ხარისხიც განსაკუთრებულია ცივილიზებულ საზოგადოებაში, ერთ შემთხვევაში მოითხოვს დაცვას პირადი ცხოვრების სფეროს სახით, ხოლო მეორე შემთხვევაში პირიქით. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქმე გრისვოლდი კონექტიკუტის წინააღმდეგ (Griswold v. Connecticut, 381 U.S. 479, 1965). კონექტიკუტის შტატის ერთ-ერთი კანონი ითვალისწინებდა სასჯელს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებისათვის. იკრძალებოდა ასევე დახმარება და რეკომენდაციების მიცე-



მა მათ გამოყენებაზე. საოჯახო საკითხების ექსპერტი ესტელ გრისვოლდი ინფორმაციას აძლევდა მეუღლეებს, თუ როგორ აეცილებინათ თავიდან დაფენმძიმების შესაძლებლობა და ჩასახვის საწინააღმდეგო რომელი საშუალებებით ესარგებლათ. ამისათვის მას შეეფარდა ჯარიმა 100 აშშ დოლარის ოდენობით.

ქალბატონმა გრისვოლდმა მიმართა უმაღლეს სასამართლოს და განაცხადა, რომ კანონის აღნიშნული ნორმა იყო ანტიკონსტიტუციური, ვინაიდან იჭრებოდა მეუღლეების პირად ცხოვრებაში. სასამართლომ დასვა კითხვა: მივცემდით კი ნებართვას პოლიციას ჩაეტარებინა ჩხრეკა მეუღლეთა საძინებელში ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენების ნიშნების აღმოჩენის მიზნით? და სასამართლომ დააკმაყოფილა ქალბატონ გრისვოლდის სარჩელი.

მოცემულ საქმეში სასამართლოსათვის სირთულეს არ წარმოადგენდა გაეკლო ზღვარი პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის, ვინაიდან საკითხი, იყენებენ თუ არა მეუღლეები ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს, არის მხოლოდ და მხოლოდ პირადი ცხოვრების სფერო და არანაირად არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის ობიექტს.

მაგრამ სასამართლომ დაიკავა განსხვავებული პოზიცია, როცა ერთი პირის ქცევა შეეხო სხვა პირთა ინტერესებს, ანუ ის დაუპირისპირდა საზოგადოებრივ ინტერესს და არ მოექცა პირადი ცხოვრების სფეროს დაცვის ქვეშ. საქმეში „მილსი მიჩიგანის წინააღმდეგ“ მომჩივანი მიუთითებდა, რომ დაირღვა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ქალბატონი მილსი, რომელიც ეწეოდა პროსტიტუციას, დაავადდა შილსით. იცოდა რა ამის შესახებ, ის კვლავ განაგრძობდა თავის საქმიანობას და ხშირ შემთხვევაში — დამცავი საშუალებების გარეშე. ეს გაირკვა მას შემდეგ, რაც საავადმყოფოში გამოცხადდა უკვე საკმაოდ სერიოზულად დაავადებული მისი ერთ-ერთი „კლიენტთაგანი“ და შესაბამისი გამოკითხვის შემდეგ დადგინდა, რომ ექვსი თვის მანძილზე ის იყო ერთადერთი ქალი, რომელთანაც მას ჰქონდა სქესობრივი ურთიერთობა. გამოირიცხა ყველა შესაძლო ინფიცირების კერა (ამ პერიოდის მანძილზე არ გამოუყენებია არც შპრიცი, არც საპარიკმახეროს მომსახურება წვერის გასაპარსად და ა.შ.). პოლიციამ დააკავა

მილსი და იძულებით მოათავსა შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში. ამასთან, შეეცადა დაეღვინა მისგან, თუ როდის, სად, ვისგან და რის გამო დაავადდა შიდსის ვირუსით და აგრეთვე იმ პირთა წრე, ვისთანაც მილსს ჰქონდა ინტიმური კავშირი მთელი ამ პერიოდის მანძილზე, რასაც ასაჩივრებდა სწორედ მომჩივანი და ამტკიცებდა, რომ ეს იყო პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და კანონიერად სცნო პოლიციის მოქმედება, განმარტა რა, რომ არავის შეუძლია მიუთითოს პირადი ხელშეუხებლობის უფლებაზე, თუ მისი ქცევა უკავშირდება საზოგადოებას. ანუ მილსის ქცევა ამ შემთხვევაში მოექცა საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში იგივე საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოების მიზნით.

პირადი ცხოვრებების სფეროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს პირადი ურთიერთობა სხვა ადამიანებთან, ანუ ეს გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას, რომელიც არ არის გათვალისწინებული ყველასათვის.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის გადაცემის უფლებას ერთობ საინტერესო ისტორიული ფესვები გააჩნია. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 44 წელს კონსულ მარკუს ანტონიუსის წინააღმდეგ ციკერონი წერდა: „ეს არის უზრდელი ადამიანი, რომელსაც წარმოადგენა არ აქვს ადამიანებს შორის ურთიერთობებზე. მან საჯაროდაც კი წაიკითხა ჩემს მიერ მისთვის გაგზავნილი წერილი. აბა, რომელი ადამიანი გამოაქვეყნებს საჯაროდ და ყველას გასაგონად მეგობრის მიერ მისთვის გაგზავნილ წერილს, ვისთვისაც ცნობილია წესიერ ადამიანებს შორის ურთიერთობის წესები?“<sup>84</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი იცავს ისეთი ინფორმაციის კონფიდენციალობას, რომელიც გადაეცემა გამგზავნის მიერ მიმღებს არა პირადად, არამედ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მათ განეკუთვნება წერილობითი და ზეპირი შეტყობინებები, თანაც მნიშვნელობა არ აქვს კავშირის სახეს და საშუალებას: ინფორმაციის გადაცემა შეიძლება განხორ-

<sup>84</sup> Цицерон Марк Туллий, Речи: В 2 т. Т.2, М., 1994, გვ. 287.

ციელდეს ფოსტით, ტელეფონით, ტელეფაქსით, ტელეგრაფით, ელექტრონული ფოსტით და სხვ.

დაცვას ექვემდებარება არა მხოლოდ გადაცემის შინაარსი, არამედ პროცესიც. კონფიდენციალობას ადგილი აქვს მაშინ, როცა ინფორმაციის გადაცემა საკომუნიკაციო პროცესის მონაწილეთა ნებით უნდა განხორციელდეს მხოლოდ მათ შორის.

ეს უფლება განსაკუთრებით აქტუალურია სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მყოფი პირებისათვის. ბევრმა არ იცის, რომ პატიმრებმა ინფორმაციის გადაცემის საიდუმლოს ძირითად უფლებაზე დაყრდნობით შეიძლება მოითხოვონ, რომ მათ განკარგულებაში იყოს საწერი მოწყობილობა და საწერი ქაღალდი. ამის გარეშე ისინი თავიდანვე იქნებოდნენ მოკლებული საფოსტო კავშირით მომსახურების შესაძლებლობას, რაც გამოიწვევს იგივე შედეგს, რასაც მათი წერილების უკანონოდ ხელში ჩაგდება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Golder v. UK, 21.02.1975, №18) კარგად ჩანს მოცემული პრობლემის აქტუალური ხასიათი. გოლდერს ყაჩაღური თავდასხმისათვის შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა. ციხეში მოხდა მსჯავრდებულთა ბუნტი. ზედამხედველმა, რომელიც დაშავდა ბუნტის ჩახშობისას, აჩვენა, რომ ამოიციო გოლდერი, როგორც დანაშაულის ჩამდენი. მოგვიანებით მან შეცვალა თავისი ჩვენება. გოლდერი ეძებდა შესაძლებლობას დაკავშირებოდა თავის ადვოკატს, მაგრამ უარი მიიღო. თავის საჩივარს ის ასაბუთებდა იმით, რომ ამ უარით მას ხელი შეუშალეს კონტაქტში შესულიყო ადვოკატთან და ამით მოხდა მისი მიმოწერის განხორციელების უფლების ხელყოფა. სასამართლო დაეთანხმა ამ არგუმენტებს, ვინაიდან დაუშვებელია რაიმე გზავნილის ხელში ჩაგდება.

სამწუხაროდ, დღესაც არიან ადამიანები, განსაკუთრებით სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც თვლიან, რომ დამნაშავეობის ზრდა უნდა შეამცირონ ნებისმიერი გზით. მაგრამ, როცა ამისთვის უარს ამბობენ ადამიანთა უფლებების გარანტიებზე, საფრთხის ქვეშ ექცევა არა დამნაშავე, არამედ თითოეული ჩვენთაგანი. საზოგადოების ნორმალური ცხოვრება არ შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს

ნებისმიერი საშუალებით. ეტყობა, ჯერ არ გვყოფნის სამართლებრივი კულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტი — იმის გაგება, რომ მიზანი არ შეიძლება ამართლებდეს საშუალებას და კონსტიტუციური გარანტიები უნდა მოქმედებდეს ყველა შემთხვევაში. ასეთ საშუალებებში გაურკვევლობამ და მათმა მუდმივმა „საგანგებო“ ხასიათმა ქვეყანას დანაკარგის მეტი არაფერი მოუტანა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში კი ეს კიდევ უფრო საშიშია, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს თვითნებობის გაფართოებამდე და მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების დეგრადაციამდე.

ფარული მოსმენა ხელყოფს ადამიანის ღირსებას და ადამიანს საზოგადოებრივი ურთიერთობის სუბიექტიდან აქცევს სახელმწიფოს უკანონო ზემოქმედების ობიექტად. როცა ადამიანს არ შეუძლია თქვას ის, რასაც ფიქრობს, ეხება პირად ცხოვრებას. აღმოცნდება პიროვნების ხელშეუხებლობის ხელყოფის, ადამიანის ფარული თვალთვალის ობიექტად გადაქცევის რეალური საფრთხე.

ფარულ მოსმენას მივყავართ პრინციპის *nemo tenetur*-ის დარღვევამდე, რომ არავინ არ არის ვალდებული ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ. ეს პრინციპი პიროვნების ზოგადი უფლების შემადგენელი ელემენტია. ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი უფლების შესახებ, უარი თქვას თვითგამოაშკარავებაზე, ხოლო მოსმენა წარმოადგენს მითითებული უფლების გვერდის ავლას.

აღბათ, ვერავინ უარყოფს სამართალდამცავი ორგანოების სისტემის სერიოზულ კრიზისს. საქმე მხოლოდ ამ სისტემაში მომუშავე ჩინოვნიკების დაბალ პროფესიონალიზმში ან თუნდაც მტკიცებულებების შეგროვებისა და გამყარების და კანონიერი გადაწყვეტილების მიღების უუნარობაში როდია, არამედ ასევე შედეგის ნებისმიერი გზით მიღწევაში. ეს კი გარდაუვლად იწვევს სამართალდარღვევებს და მოსახლეობის უნდობლობას. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ადასტურებს, რომ მოსახლეობის ნდობა პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოს მიმართ საკმაოდ დაბალია. ნდობა კი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კაპიტალია, რომელიც უნდა დააგროვო და არა გაანიავო. როცა დანაშაულები იხსნება ადამიანთა კონსტიტუციური ნორმების დარღვევის გზით, ეს სერიოზულ ზიანს

აყენებს მოსახლეობის ურთიერთობას სახელმწიფო ორგანოებთან. სატელეფონო საუბრების მოსმენა, თვალთვალი და მსგავსი აქციები ხელს უწყობს საზოგადოებაში უნდობლობის ატმოსფეროს შექმნას, შიშის სინდრომს, მოქალაქეთა ეჭვიანობასა და შინაგან ჩაკეტილობას. მაშ, გვჭირდება კი ისეთი სამართალდამცავი სისტემა, რომელიც გაცილებით საშიშია უდანაშაულო ხალხისათვის, ვიდრე დამნაშავეებისათვის? იმედია, ამჟამად მიმდინარე რეფორმები სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების სისტემაში რადიკალურად შეცვლის არსებულ მდგომარეობას.

Habeas corpus-ის ძირითად უფლებას სხვა უფლებებთან ერთად წარმოადგენს საცხოვრებელ ბინაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

დაცვას ექვემდებარება ის საცხოვრებელი ბინები, რომლებშიც კერძო პირები ეწევიან პირად ცხოვრებას და რომლებსაც ისინი ფლობენ მესაკუთრის, მფლობელის, დამქირავებლის ან მოსარგებლის უფლებით ან სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი დებულებების საფუძველზე. თუმცა, არის შემთხვევები, როცა უპირატესობა ენიჭება ბინის მესაკუთრეს, მაგალითად, საქმეში „ბინის დამქირავებლის შესახებ“ (გფრ-ის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული – 89, 1. 1993 წლის 26 მაისი). მომჩივანი ცხოვრობდა დაქირავებულ ბინაში სახლის მეორე სართულზე, რომლის მესაკუთრე ცხოვრობდა ერთი სართულით ქვემოთ. ვინაიდან ხანშიშესულ და ავადმყოფ ქალბატონს სურდა ეცხოვრა თავის შვილთან ახლოს, მან შეწყვიტა იჯარის ხელშეკრულება. მოსარჩელე არ დაეთანხმა ამგვარ გადაწყვეტილებას და უარი განაცხადა ბინიდან გადასვლაზე. მესაკუთრემ სარჩელი შეიტანა ბინის დაცლაზე და საქმეც მოიგო. სასარჩელო განცხადებაში განმცხადებელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ადგილი ჰქონდა მისი ბინის ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას. ეს მართებულიც იყო, რადგან საიჯარო ურთიერთობების შეწყვეტა და საცხოვრებელი ბინის დატოვების მოთხოვნა არ ეხება პირად სფეროს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს საცხოვრებელ ბინაში შესვლას იქ მცხოვრები პირების ნების საწინააღმდეგოდ. საუბარი ეხება კლასიკურ დაცვით უფლებას.

საცხოვრებელში იგულისხმება არა მხოლოდ საცხოვრებელი ადგილი, არამედ ადამიანის ადგილსამყოფელიც. საცხოვრებელი ადგილი არის საცხოვრებელი სახლი სამებალეო ნაკვეთით, ბინა, სპეციალიზირებული სახლები (საერთო საცხოვრებელი, ინტერნატი და ა.შ.), ასევე სათავსო, სადაც ადამიანი მუდმივად და უპირატესად ცხოვრობს.

ადგილსამყოფელში კი იგულისხმება სასტუმრო, სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი, კემპინგი, სხვა მსგავსი დაწესებულება, ასევე გემის კაიუტა, მატარებლის კუპე, ავტოფარეხი და სხვა სათავსო, რომელშიც ადამიანი იმყოფება დროებით. ბინის ხელშეუხებლობის კონსტიტუციური პრინციპი დაცული უნდა იყოს ორივე შემთხვევაში.

ჩხრეკა და ბინის ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების სხვაგვარი შეზღუდვა ხშირად აუცილებელია სისხლის სამართლის პროცესში, სადაც დღემდე არა ერთი გადაუჭრელი პრობლემაა.

ჩხრეკა არის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც მიმართულია განსაზღვრული საგნებისა და დოკუმენტების ამოსაღებად, გარკვეული პირების, ასევე გვამების აღმოსაჩენად.

შესაძლებელია მხოლოდ კანონიერი და დასაბუთებული ჩხრეკა. მაშინ, როცა მტკიცებულებების ნაცვლად არის მხოლოდ ინფორმაციის ინფორმაცია ან პროცესუალური წესით სხვა გადამოწმებული ცნობები, ჩხრეკა არ შეიძლება იყოს დასაბუთებული. როდესაც ვსაუბრობ ბინის ხელშეუხებლობის უფლებაზე, ვგულისხმობ, რომ არ შეიძლება ჩხრეკის ჩატარება, როცა არაა ცნობილი, სად და რა უნდა ამოიღონ, იმაზე გათვლით, რომ იქნება რაიმე აღმოვაჩინოთ. მოტივირებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში ჩხრეკის ჩატარების შესახებ მითითებული უნდა იყოს ფაქტობრივი მონაცემების (მტკიცებულებების) ერთობლიობა, რომლებიც მიღებულია პროცესუალური წყაროებიდან, ანუ დამოუკიდებელმა მოსამართლემ უნდა დაადგინოს, გამართლებულია თუ არა ჩხრეკის ჩატარება მე-20 მუხლის ფარგლებში.

სამწუხაროდ, დღემდე აქვს ადგილი ისეთი ნივთების განზრახ ჩადებას, რომლებიც მითითებული არ იყო ჩხრეკის დადგენილება-

ში, არასათანადო პირების შესვლას საცხოვრებელ ბინაში და სხვა თვითნებობას.

კომპეტენტური ორგანოები შეიძლება არ დაელოდონ სასამართლოს გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს გადაუდებელი აუცილებლობა, როდესაც დაგვიანების შემთხვევაში ისინი ვერ შეძლებენ სამართალდამრღვევის გამოვლენას. თუმცა, „გადაუდებელი აუცილებლობის“ შემთხვევები მკაფიოდ არის გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მიერ განვლილი გზა გვაკლდებულებს ძალზე ფრთხილად მივუდგეთ სისხლის სამართალწარმოების უმთავრეს პრობლემას – მტკიცებულებათა დაშვებას. დანაშაულის გახსნა უკანონო გზით საზოგადოებას ძვირი უჯდება. თავიდან უნდა ამოვიღოთ მიზნის ფანატიზმი, რომლის მისაღწევად ვარგისია ნებისმიერი მეთოდი. დროა, სამართალდამცავმა ორგანოებმა და სასამართლო ხელისუფლებამ არა თუ განახორციელონ მათი წილი ხელისუფლება, არამედ ცივილიზებული ფორმით მოემსახურონ საზოგადოებას. მათი დანიშნულებაც სწორედ ამაშია.

## 6.2.5. თავისუფალი გადაადგილების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის თანახმად, თავისუფალი გადაადგილების ძირითადი უფლება არის მოქალაქის შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად იმოძრაოს, შეარჩიოს ადგილსამყოფელი და იცხოვროს სახელმწიფო ტერიტორიის ნებისმიერ ადგილას, ასევე თავისუფლად გავიდეს სახელმწიფოდან და დაბრუნდეს უკან კანონის მოთხოვნათა დაცვის საფუძველზე. ამ უფლების სუბიექტია ნებისმიერი პირი, რომელიც კანონიერად იმყოფება საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიაზე. პირველ ყოვლისა, ეს არის საქართველოს მოქალაქე, ასევე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც კანონიერად შემოვიდა ქვეყანაში და მიიღო აქ ყოფნის ნებართვა. თუმცა, მოცემული უფლებით მთლიანი მოცულობით სარგებლობენ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები. უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის ამ უფლებას აქვს შედარებით შეზღუდული ხასიათი, მაგრამ იგი

ყოველთვის მოიცავს აღნიშნულ პირთა უფლებას, დატოვონ საქართველო თავიანთი შეხედულებისამებრ.

იმავდროულად, საქართველოს მოქალაქეებისთვისაც არსებობს თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვების შემთხვევები, რაც გამომდინარეობს დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებიდან.

გადაადგილების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სასაზღვრო ზოლში, დახურულ სამხედრო ქალაქებში, ეკოლოგიური უბედურების ზონებში (მხედველობაში მიიღება ბუნებრივი კატასტროფები, საშიში ეპიდემიები ან რადიქტიური დაბინძურების ზონები), იმ ტერიტორიებზე, სადაც შემოღებულია ცხოველების განსაკუთრებული პირობები და რეჟიმი ინფექციური დაავადებებისა და ადამიანთა მოწამვლის საშიშროებასთან დაკავშირებით, ასევე იმ ტერიტორიებზე, სადაც შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა.

ზოგიერთ დასაბუთებულ შემთხვევაში განსაზღვრულ პირებს შეიძლება აეკრძალოთ ცალკეულ ადგილებში მოხვედრა, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი აქ აპირებენ დანაშაულის ჩადენას. ასეთი ზომები მიიღება უწინარესად მიუსაფარი მოზარდების მიმართ.

ნაკლებად არსებითი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია საცხოვრებელი ადგილის არჩევის აკრძალვის გაუქმება. სავსებით სამართლიანად გაუქმდა ადრე არსებული „ჩაწერის“ სისტემა, რომელიც, ჯერ ერთი, იყო კორუფციის ნოყიერი წყარო, და მეორე – რთული ბიუროკრატიული მექანიზმი, რომელიც საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა თავისუფალი გადაადგილების უფლებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის იდეას. მის ნაცვლად შემოღებული იქნა რეგისტრაციის წესი. მოსახლეობის შემადგენლობაზე და ქვეყანაში მის გადასაწილებაზე კონტროლის განხორციელების აუცილებლობამ არ შეიძლება ჩვეულებრივ პირობებში გაამართლოს დასახლების აკრძალვა. რასაკვირველია, ინფრასტრუქტურისა და სოციალური უზრუნველყოფის დაგეგმვა არის სახელმწიფოს აუცილებელი



ბელი ამოცანა, მაგრამ ადამიანები და მათი მოთხოვნები უნდა გახდეს არა სახელმწიფო დაგეგმარების ობიექტები, არამედ უწინარესად, მისი საფუძვლები. თავისუფალ სახელმწიფოში დაგეგმვა ორიენტირებულია მოსახლეობის ფაქტობრივ მოთხოვნებზე.

თუ შეიძინევა მოსახლეობის მძლავრი მიგრაცია მსხვილი ქალაქებისაკენ, რადგანაც იქ ცხოვრების პირობები უკეთესია, ვიდრე რაიონებში, ჩარევა უნდა მოხდეს საფუძველში, ანუ თანდათანობით მოხდეს ცხოვრების პირობების გაუმჯობესება სოფლად. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ზომებს, რომლებიც არ ზღუდავენ ძირითად უფლებას, არ მივყავართ სასურველ შედეგამდე და მაინც გრძელდება მასობრივი მოძრაობა, მაშინ განსაზღვრულ რეგიონებში საზოგადოებრივ სფეროზე გადაჭარბებული ზეგავლენა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც განთავსების შეზღუდვა. მაგრამ ასეთი აკრძალვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს შემოღებული ცალმხრივად იმ რაიონის მიერ, რომელიც განიცდის ზეგავლენას, ვინაიდან ეს პრობლემას ვერ გადაწყვეტს, არამედ პრობლემა გადაინაცვლებს ერთი ადგილიდან მეორეში. ამიტომ, ამ შემთხვევაში აუცილებელია კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღება, რათა ადგილი არ ჰქონდეს ადამიანის მოცემული უფლების დარღვევას.

თავისუფალი გადაადგილების უფლება მოიცავს საქართველოდან გასვლის თავისუფლებას. რა თქმა უნდა, თითოეული ადამიანის უფლება, გავიდეს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, დამოკიდებული არ არის მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებაზე. ყველაზე მცირე, აუცილებელია იმ ქვეყნის საკონსულოს თანხმობა, რომელ ქვეყანაშიც მიემგზავრება პიროვნება. გარდა ამისა, მისი განსაზღვრული სახით რეგულირება გარდაუვალია: ქვეყნიდან გასასვლელად საზღვრის გადაკვეთა შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ სასაზღვრო პოსტზე. ეს უზრუნველყოფს საბაჟო და სასაზღვრო ორგანოების ლეგიტიმურ ინტერესებს, ასევე ქვეყნიდან გასვლის ლეგიტიმურ კონსტიტუციურ აკრძალვას.

საქართველოს კანონმდებლობით ქვეყნიდან გასვლა ეკრძალებათ პირებს, რომლებიც სასჯელს იხდიან კანონის საფუძველზე, დანაშაულის ჩადენისათვის იმყოფებიან ძებნაში და ა.შ.

თავისუფალი გადაადგილება უკავშირდება პასპორტიზაციის პრობლემას. პირველად პასპორტი შემოიღეს XIV საუკუნეში საფრანგეთში, რაც ემსახურებოდა ადამიანთა გადაადგილებაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების მიზანს, შემდეგ კი – გერმანიაში.

იქ, სადაც განპტკიცებულია ხალხისა და თითოეულის თავისუფლება სახელმწიფო ხელსუფლების თვითნებობისაგან, აღიარებულია გადაადგილების თავისუფლება ქვეყნის შიგნით, თავისი ქვეყნიდან თავისუფლად გასვლისა და უკან თავისუფლად დაბრუნების უფლება. თუმცა, ქვეყნიდან გასვლისათვის აუცილებელია განსაკუთრებული ხასიათის დოკუმენტი – პასპორტი. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სხვაგვარად დიპლომატიური ხელშეუხებლობის დაცვა და ქვეყანაში უკან დაბრუნება საქართველოს მოქალაქეებისათვის ძალზე გაძნელებოდა. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მოგვიწევდა იმის დადგენა, არის თუ არა უკან დაბრუნების მსურველი პირი საქართველოს მოქალაქე. გარდა ამისა, პასპორტი აუცილებელია სხვა ქვეყნებში დაუბრკოლებლად შესასვლელად.

ყველა მოქალაქეს აქვს უფლება მოითხოვოს საზღვარგარეთის პასპორტი, რომელიც უნდა ფორმდებოდეს გადაჭარბებული ბიუროკრატიული გაჯანჯლებისა და ზედმეტი ხარჯების გარეშე, რადგან პასპორტის გაცემაზე დაუსაბუთებელი უარის თქმა ან ამ უფლების სხვაგვარი შეზღუდვა ასევე განიხილება მოქალაქის თავისუფალი გადაადგილების უფლების ხელყოფად.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა პოლიტიკური მოსაზრებების გამო მოქალაქემ ვერ მიიღო პასპორტი, რაც კატეგორიულად დაუშვებელი და მიუღებელია, და რაც მთავარია, ამას ადგილი ჰქონდა არა საბჭოთა კავშირში, სადაც პოლიტიკური მოტივით ადამიანის უფლების შეზღუდვა მოქმედებდა როგორც წესი, არამედ ომისშემდგომ გერმანიაში. ეს არის საკმაოდ გახმაურებული და შეზღვევებში მთელ ევროპაში აუთიტირებული ე.წ. „ეიფსის საქმე“ (Сборник решений Федерального Конституционного Суда ФРГ – 6, 32 от 16 января 1957 г.). ეიფსი იყო ომისშემდგომი გერმანიის პოლიტიკოსი. გამოდიოდა რა მთავრობის პროლასავლური პოლიტიკისა და ქვეყნის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ,

ის ხშირად მონაწილეობდა კომუნისტურ კონგრესებში საზღვარგარეთ და იბრძოდა ერთიანი პაციფისტური გერმანიის შესაქმნელად. 1953 წელს საპასპორტო სამსახურმა უარი უთხრა მას საზღვარგარეთის პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, რადგან მისი საზღვარგარეთული მოგზაურობები, ხელისუფლების აზრით, საფრთხეს უქმნიდა გფრ-ის „არსებით ინტერესებს“. ეიფსმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა გფრ-ის საკონსტიტუციო სასამართლოში.

განიხილა რა მოსარჩელის პოზიცია, სასამართლომ დაადგინა, რომ საპასპორტო რეჟიმის არსებობა გამართლებულია. რასაკვირველია, ასეთი რეჟიმი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფორმალურ შეზღუდვას გასვლაზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ეიფსისათვის უარის თქმას პასპორტის გაფორმებაზე ჰქონდა საკმარისად მყარი საფუძველი, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მოცემულ შემთხვევაში თავისუფალი გასვლის უფლების პრინციპი არ იყო დარღვეული.

შემდეგ, სასამართლომ განსაზღვრა, რომ ის სამართლებრივი დებულება, რომლის მიხედვით შესაძლებელია უარის თქმა პასპორტის გაცემისათვის, თუ განმცხადებლის ქცევა საზღვარგარეთ იძლევა ეჭვის საფუძველს იმისათვის, რომ შეიძლება ამით ზიანი მიაღდეს გფრ-ის უსაფრთხოებისა და სხვა მნიშვნელოვან ინტერესებს, შეესაბამება კონსტიტუციას.

ამრიგად, სასამართლომ დაუშვა ფუნდამენტური შეცდომა. მისთვის აუცილებელი იყო გამოერკვია, რამდენად ემსახურებოდა უარის თქმა განმცხადებლის მიერ საზღვარგარეთ არასასურველი გამონათქვამების დაუშვებლობის მიზანს. საფუძველები, რომლებიც გახდა უარის მიზეზი, აუცილებლად უნდა შემოწმებულიყო აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლების თვალსაზრისით. დღევანდელი გადასახედიდან ძნელი წარმოსადგენია, როგორ დაუშვა თავისუფალი ქვეყნის სასამართლომ ასეთი შეცდომა და უცერემონიოდ გაამართლა ხელისუფლების პოზიცია მოცემულ საქმეზე.

საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში (კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი). მოქალაქის ეს უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლით აღიარებულია, როგორც

თავისთავადი და ავტომატურად მოქმედი. განსაზღვრული შეზღუდვებია სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთისას დაწესებული უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, თუმცა ეს შეზღუდვები გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებითაც.

## 6.2.6. სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება

სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლში და გამოხატავს ადამიანის რელიგიურ თავისუფლებას, რაც, თავის მხრივ, განმტკიცებულია გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მე-8 მუხლსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლში. ადამიანის პირადი ცხოვრება მჭიდროდ უკავშირდება მის სულიერ თავისუფლებას. სულიერი თავისუფლების ფუნდამენტს კი შეადგენს სინდისის თავისუფლება. სინდისის თავისუფლება არის თავისუფლების პირველი ისტორიული მოთხოვნილება. სინდისის თავისუფლება ადამიანის ბუნებითი და განუყოფელი უფლებაა, რომელიც შეიცავს ადამიანის უფლებას აღიაროს ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად ნებისმიერი რელიგია, თავისუფლად შეარჩიოს, მიიღოს ან გაავრცელოს ნებისმიერი რელიგიური შეხედულებები და სულიერი ღირებულებები და იმოქმედოს მათ შესაბამისად, ან პირიქით, არ მისდევდეს არც ერთ რელიგიას და კჭონდეს ათეისტური შეხედულებები. ფაქტობრივად, ეს ნიშნავს პიროვნების თავისუფლებას ნებისმიერი იდეოლოგიური კონტროლისაგან. უფრო მეტიც, სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება იცავს პირის უფლებას დამოუკიდებლად ან რელიგიური ერთობის ფარგლებში შეასრულოს რელიგიური მოქმედებები სახელმწიფო შეზღუდვის გარეშე. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ საქმე „შაბათის დაცვის შესახებ“. იუდეური რწმენისათვის შაბათის დაცვა წარმოადგენს რელიგიური ცხოვრების წესის შემადგენელ ნაწილს. ებრაული ეროვნების ერთ-ერთ დაქირავებულ მუშაკს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის

თანახმად მიეკუთვნა დახმარება, რაც გათვალისწინებულია უმუშევართათვის, რომელზეც ოდნავ ადრე მას ეთქვა უარი იმ მიზეზით, რომ ის არ გამოცხადდა შესაბამის უწყებაში სარეგისტრაციოდ შაბათ დღეს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იგივე გადაწყვეტილება მიიღო ე.წ. „პრაიზის“ (კრებული 1976, №1989) საქმეზე, სადაც მიუთითა, რომ ევროპული თანამეგობრობა ვალდებულია მხედველობაში მიიღოს ვაკანტური ადგილის პრეტენდენტის შეტყობინება იმის თაობაზე, რომ რელიგიური დოგმები (მოცემულ შემთხვევაში შაბათის დაცვა) საშუალებას არ აძლევს მას გამოცხადდეს გამოცდაზე განსაზღვრულ დღეებში.

როგორც წესი, საერო ხასიათის სახელმწიფოებში მიუღებელია რომელიმე რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, ვინაიდან თანამედროვე, დემოკრატიული ღირებულებები ორიენტირებულია პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა რელიგიების თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ერთ-ერთი რელიგიური ერთობის განსაკუთრებული მდგომარეობის აღიარება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. სწორედ ეს გახდა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დადების საფუძველი, რომლითაც კიდევ ერთხელ იქნა აღიარებული მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში. თუმცა, ეს რასაკვირველია, არ ნიშნავს სხვა ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების შევიწროვებას. ჯერ ერთი, კონსტიტუციის მე-9 მუხლი აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას და მეორე, კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ერთგვარად ათანაბრებს ყველა რელიგიისა თუ პირის რელიგიურ თავისუფლებას და აქცევს მას კონსტიტუციური ნორმის დაცვის ქვეშ, როცა ადგენს სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების რეალიზაციის ფარგლებს: „დაუშვებელია ამ მუხლში თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს“, ანუ ნებისმიერი რელიგიური გაერთიანების თუ პირის რელიგიური თავისუფლება მოაზრდება იქ, სადაც იწყება სხვისი ანალოგიური თავისუფლება.

ისევე, როგორც სხვა ძირითადი უფლებები, კონსტიტუციის მე-9 და მე-19 მუხლებიც ატარებენ დაცვით ფუნქციებს სახელმწიფოს მხრიდან უხეშად ჩარევისაგან უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ნეიტრალიტეტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უგულვებელყოს რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი შეხედულებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ სახელმწიფო ეხმარება ყველას, მან გამონაკლისი არ უნდა გააკეთოს არც ეკლესიის მიმართ. მაგალითად, როცა იწვის ეკლესია, სახელმწიფო ცეცხლს ჩააქრობს არა მხოლოდ იმის გამო, რომ ცეცხლი არ მოედოს საერო შენობებს.

შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ 1947 წელს საქმეზე „ევერსონი განათლების უწყების წინააღმდეგ“ (Everson v. Board of Education, 330 U.S. 1-1947). სახელმწიფოს შეუძლია გადაიხადოს იმ ავტობუსების საფასური, რომლებსაც მიჰყავთ მოსწავლეები რელიგიურ სკოლებში, თუმცა ეს ემსახურება არა მხოლოდ საერო, არამედ რელიგიური განათლების მიზნებსაც.

ამდენად, გარიგებითი ურთიერთობები ყველაზე ხელსაყრელია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ნორმალური ურთიერთკავშირის შესანარჩუნებლად. აუცილებელია პარიტეტის დაცვა სხვადასხვა რელიგიურ ერთობებს შორის.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი განმარტავს, რომ შეზღუდვას ექვემდებარება მხოლოდ რელიგიის აღმსარებლობის ან საკუთარი მსოფლმხედველობის გამოხატვის უფლება (საუბარია რელიგიურ ან შეხედულებების განსაზღვრული სისტემის შესახებ) და არა აღმსარებლობისა და აზრის თავისუფლება ზოგადი გაგებით, ასევე რელიგიის ან მსოფლმხედველობის შეცვლის უფლება.

მაგალითად, თმების ამოღება ექსპერტიზისათვის შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ შეაფასა, როგორც უფლების დასაშვები უმნიშვნელო შეზღუდვა. კერძოდ, ციურიხის საოლქო პროკურატურა აწარმოებდა გამოძიებას განმცხადებლის მიმართ სქესობრივი ხასიათის რამდენიმე მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. პროკურატურის განკარგულებით მისგან უნდა ამოეღოთ რამდენიმე თმის

ღერი ექსპერტიზის ჩასატარებლად სასამართლო მედიცინის ინსტიტუტში. უნდა დადგენილიყო, ხმარობდა თუ არა განმცხადებელი ნარკოტიკებს. მანვე განაცხადა, რომ იყო სიკვდი და თმები უნდა ეტარებინა გაუკრეჭავად, ანუ პროკურატურის გადაწყვეტილება წარმოადგენდა მისი რწმენისა და სინდისის თავისუფლების დარღვევას.

განიხილა რა საქმის გარემოებები, სასამართლომ დაადგინა, რომ რამდენიმე თმის ღერის აშობება ექსპერტიზის ჩასატარებლად არ წარმოადგენს ადამიანის შესაბამისი უფლების დარღვევას კონვენციის საერთო სულისკვეთებიდან გამომდინარე.

სასამართლომ არ უნდა იჩქაროს გადაწყვეტილების გამოტანა ძირითადი უფლების შეზღუდვისას. ეს საკითხი აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის, თუნდაც იმ ნაწილში, როცა მიმდინარეობს აქტიური დებატები საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიის სწავლების საკითხებთან დაკავშირებით. დასმულია უამრავი კითხვა: რა სახით ისწავლებოდეს შესაბამისი საგანი ან ისწავლებოდეს თუ არა საერთოდ, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო თავისი მოსახლეობის შემადგენლობით, შეიძლება ითქვას, მრავალრელიგიური სახელმწიფოა?

საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაც განსხვავებულია.

მაგალითად, აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ საქმეში ვისკონსინი იოდერის წინააღმდეგ (406 U.S. 205-1972) გადაუხვია ნეიტრალიტეტის პრინციპს და დაადგინა, რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება დაავალდებულოს თოთხმეტი წლის ბავშვი ისწავლოს სკოლაში, თუ ამას უკრძალავას მას რელიგია.

ანალოგიურ საქმეზე სხვა გადაწყვეტილება მიიღო გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ, კერძოდ, საქმეზე ხარატი კაინენი ფინეთის წინააღმდეგ (U.N. Doc. CCPR/C/OP/1-1985). კომისიამ ვერ აღმოაჩინა ადამიანის უფლებების დარღვევა იმაში, რომ სკოლის ადმინისტრაციამ დაავალდებულა ათეისტური შეხედულების მოსწავლეები დასწრებოდნენ რელიგიისა და ეთიკის ისტორიის გაკვეთილებს.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის №1 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი ითვალისწინებს ბავშ-

ვების განთავისუფლების შესაძლებლობას რელიგიის გაკვეთილებზე დასწრებისაგან, სასკოლო განათლების პროგრამა შეიძლება მოიცავდეს ფილოსოფიური და რელიგიური საგნების კურსს. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის დებულება, რომ სწავლებამ თავს არ უნდა მოახვიოს რაიმე შეხედულებები.

## 6.2.7. სასამართლო წესით დაცვის უფლება

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი ითვალისწინებს შესაბამისი პროცედურების გამოყენებას სასამართლოს აქტიური მონაწილეობით. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო წესით დაცვის უფლება ადამიანის უფლებაცაა და მისი დაცვის გარანტიაც.

სასამართლო წესით დაცვის უფლება არ იქნება ქმედითი, თუ სასამართლოები ვერ გააკონტროლებენ უფლებების დაცვის მოთხოვნის შინაარსობრივ მხარეს და არ იქნებიან შეზღუდული გარკვეული ვადებით გადაწყვეტილების მისაღებად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მართლმსაჯულებაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად შესაბამის ვადაში გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნის განხილვისას ითვალისწინებენ შემდეგ ფაქტორებს: ა) საქმის მოცულობას და სირთულეს; ბ) საქმის განხილვის მსვლელობას შესაბამისი უწყებების და სასამართლოების მიერ; გ) მომჩივანის პოზიციას; დ) მომჩივანისათვის პროცესის შედეგის მნიშვნელობას.

ეს პოზიცია კარგად გამოჩნდა საქმეში ესტიმა ჟორჟე პორტუგალიის წინააღმდეგ (*Estima Jorge v. Portugal: Европейский Суд по правам человека 16/1997/800/1003 – 21.4.1998 г.*). მომჩივანი, ქალბატონი ესტიმა ჟორჟე, ცხოვრობს პორტუგალიის ქ. ლურში. 1978 წელს მან სხვა პირთან ერთად მეუღლეებს ო. და ე. მ.-ებს მისცა სესხი 1.360.000 ესკუდოს ოდენობით 6 თვის შემდეგ სესხის დაბრუნების პირობით. ვალის წარუმატებელი მოთხოვნის შემდეგ მან ამასთან დაკავშირებით მიმართა სასამართლოს. სხვადასხვა ინსტანციების მიერ საქმის განხილვა გაგრძელდა 13 წელი, პირველი სარჩელის შეტანის დღიდან 1994 წლამდე, როცა მას ვალი დაუბრუნდა.



ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცალსახად დაადგინა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა და მიყენებული ზარალისათვის სახელმწიფოს დააკისრა დამატებითი კომპენსაცია მის სასარგებლოდ 1.000.000 ესკუდოს ოდენობით.

როგორც წესი, განხილვის ვადების გაჭიანურებას უფრო ხშირად ადგილი აქვს სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის კონსტიტუციური გარანტია უზრუნველყოფს გადაწყვეტილების გამოტანას კანონიერი კომპეტენტური სასამართლოს მიერ. ამ გაგებით კონსტიტუციური გარანტია მოითხოვს სასამართლოთა კომპეტენციისა (ქვემდებარება) და საქმიანობის პროცედურების საკანონმდებლო რეგულირებას.

სასამართლომ უნდა განიხილოს მხოლოდ იმ მოქალაქეთა საქმეები, რომლებიც ექვემდებარებიან მის ოურისდიქციას ანუ განსჯადობას.

განსჯადობა ანუ ქვემდებარება არის პროცესუალური ცნება, რომელიც ჩვეულებრივ განისაზღვრება პროცესუალური კანონებით. ქვემდებარების დადგენა კონკრეტულ საქმეზე ნიშნავს პროცესუალური ურთიერთობის სათანადო სუბიექტის განსაზღვრას მოსამართლის ან სასამართლოს სახით, რომლის კომპეტენციაშიც შედის მართლმსაჯულების განხორციელება მოცემულ საქმეზე.

ქართულ სამართალწარმოებაში განასხვავებენ ქვემდებარების საგნობრივ, ტერიტორიულ და პერსონალურ ნიშნებს.

ქვემდებარების საგნობრივი ნიშანი სისხლის სამართლის პროცესში განისაზღვრება დანაშაულის ხასიათითა და სახეობით, სისხლის სამართლის საქმის სირთულით, რაც თავის გარეგნულ გამოხატულებას ჰპოვებს დანაშაულის კლასიფიკაციაში. ამ ნიშნის არსებობა საშუალებას იძლევა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს საერთო იურისდიქციის სასამართლო სისტემის შემადგენელი რგოლების კომპეტენცია.

ქვემდებარების ტერიტორიული ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ, ვთქვათ, სისხლის სამართლის საქმე პირველი ინსტანციით უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეცაა ჩადენილი დანაშაული. სამოქალაქო პროცესში ქვემდებარების ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ ზოგადი წესით სარჩელი სასამართლოში შედის მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის ან

იურიდიული პირის ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მოქმედებს სხვა წესიც.

ქვემდებარეობის პერსონალური ნიშანი განისაზღვრება იმ სუბიექტით, რომლის მიმართაც განიხილება საქმე. ეს ნიშანი გამოიყენება, მაგალითად, იმ საქმეების ქვემდებარეობის განსაზღვრისას, რომლებიც შეეხება თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს და ა.შ.

სასამართლო პრაქტიკაში არის ხოლმე შემთხვევები, როცა საქმის ინტერესებიდან გამომდინარე გარკვეული გარემოებების გამო დღის წესრიგში დგება ქვემდებარეობის შეცვლა (მაგ. თუ არის საფრთხე, რომ რთული პირობების გამო ვერ მოხერხდება მოწმეთა წარმოდგენა პროცესზე და ა.შ.). დაუსაბუთებელი მოტივით ტერიტორიული ქვემდებარეობის შეცვლა დაუშვებელია.

მოქალაქე ვ.-ს ბრალი ედებოდა მოქალაქე ნ.-თვის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების მიყენებაში, რამაც გამოიწვია ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა. საქმის განხილვისას ქ. იაროსლავის რაიონულ სასამართლოში მოსამართლემ დაადგინა, საქმე წარმართა რუსეთის ფედერაციის უმაღლეს სასამართლოში სხვა ოლქის რაიონული სასამართლოსათვის გადაცემის მიზნით. მოსამართლე თავის გადაწყვეტილებას ასაბუთებდა საქმის დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობით, რადგან მოქალაქე ნ. იყო იაროსლავის ოლქის ერთ-ერთი გაზეთის მთავარი რედაქტორი, ხოლო მოქალაქე ვ. — მსხვილი კომპანიის ხელმძღვანელი და იაროსლავის საოლქო სასამართლოს მოსამართლის მეუღლე.

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ვერ აღმოაჩინა რაიმე კანონიერი საფუძველი საქმის გადასაცემად სხვა ოლქის სასამართლოსათვის. კოლეგიის აზრით, ტერიტორიული ქვემდებარეობა საქმეზე განსაზღვრული იყო სწორად, ხოლო მოსამართლის ვარაუდი საქმის დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ მოქალაქეების ვ.-ს და ნ.-ს თანამდებობებთან დაკავშირებით ჩათვალა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-19 მუხლის საწინააღმდეგოდ, რომელიც ადგენს ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონისა და სასამართლოს წინაშე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტითა და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებულია დაცვის უფლება. რა შინაარსია ჩადებული მასში? ჯერ ერთი, პირს თავად აქვს უფლება დაიცვას თავისი თავი; მეორე, მას შეუძლია თავად აირჩიოს თავისი უფლებების დასაცავად ძისთვის სასურველი ადვოკატი; მესამე, იმ შემთხვევაში, თუ პირს არ აქვს ადვოკატის მომსახურებისათვის საკმარისი სახსრები, მას უნდა დაენიშნოს ადვოკატი ე.წ. სახაზინო წესით, ანუ სხვა სიტყვებით, ადვოკატი, რომელიც გაუწევს უფასო სამართლებრივ მომსახურებას. ნებისმიერ შემთხვევაში ამოსავალი კრიტერიუმი უნდა იყოს ერთი პრინციპი: სასამართლო განხილვის პროცესში ეფექტიანი დაცვის განხორციელების შესაძლებლობა. გარდა ამისა, დაკავებულ პირს აქვს ადვოკატთან თავისუფალი ურთიერთობის უფლება. ვიზუალური ზედაშედეგობა ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრებზე დასაშვებია, მაგრამ მათი კონტაქტის უფლების ნებისმიერი აკუსტიკური შეზღუდვა დაუშვებელია.

სასამართლო წესით დაცვის უფლება შეიცავს ასევე ისეთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, როგორცაა „*ne bis in idem*“, ანუ არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იგივე დანაშაულისათვის (კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი). ამ პრინციპს ხანგრძლივი ისტორია აქვს. პროცესუალური სამართლის თვალსაზრისით მოცემული პრინციპი წარმოადგენს სამართალწარმოების შეზღუდვას. ის უზრუნველყოფს გამოტანილი განაჩენის სამართლებრივ ძალას და სამართლებრივ უსაფრთხოებას.

მაგალითად, ვინმემ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ტრავმა მიაყენა მეორე პირს. მის წინააღმდეგ აღიძრა საქმე და მას საბოლოოდ სასამართლომ პასუხისმგებლობის სახეად შეუფარდა ჯარიმა გაუფრთხილებლობით სხეულის დაზიანების მიყენებისათვის. ამის შემდეგ მიღებული ტრავმებისაგან დაზარალებული გარდაიცვალა. ახალი სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და მისი გასამართლება გაუფრთხილებელი მკვლელობის მუხლით იქნება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა.

ისტორიული განვითარების შედეგად პრინციპი „*ne bis in idem*“ ჩამოყალიბდა ისე, რომ ის იცავს გამამართლებელი განაჩენის სამართლებრივ მოქმედებასაც; გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ იგივე საქმეზე ახალი სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ასევე ჩაითვლება ანტიკონსტიტუციურად.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი ეხება სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპს „*nulla poena sine lege*“ – „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე“ და კანონის უკუძალის პრობლემას, რომლებსაც ასევე უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ სასამართლო წესით ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

იმ წესის განმტკიცება, რომელიც ადგენს, რომ ქმედებას მხოლოდ მაშინ შეიძლება მოჰყვეს პასუხისმგებლობა, თუ მის ჩადენამდე იყო კანონით დადგენილი ამ ქმედების დასჯადობა, სათავეს იღებს განმანათლებლობის პერიოდიდან და ნაწილობრივ აისახა საფრანგეთის 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში. ხშირად გამოყენებული ლათინური ფორმულა „*nulla poena sine lege*“ – არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე, გვხვდება სამართლის ცნობილი თეორეტიკოსის ფეიერბახის ნაშრომებში. მოცემული ფორმულა იმავდროულად განაპირობებს ფორმულას „*nullum crimen sine lege*“ – არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე. არც ერთი მოქმედება არ იწვევს სასჯელს, თუ კანონი არ აკვალიფიცირებს მას, როგორც დანაშაულს.

კანონის უკუძალას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ კანონი ითვალისწინებს იმ ქმედებების სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც ჩადენილი იყო ახალი კანონის ძალაში შესვლის მომენტამდე. როგორც წესი, კანონს უკუძალა არ აქვს, მაგრამ თუ უფრო დავაზუსტებთ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტში ჩადებული კანონის უკუძალის შინაარსს, შეიძლება ვთქვათ ასე: კანონს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს.

მაგალითად, განვიხილოთ შემდეგი ჰიპოთეტური სიტუაცია: მოქალაქე A-მ ჩაიდინა დანაშაული 2003 წელს. ის გაასამართლეს 2004 წელს და შეუფარდეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა

ამავე წელს მიღებული ახალი სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე, რომელიც მოცემული დანაშაულისათვის ითვალისწინებდა გაცილებით მძიმე სასჯელს, ვიდრე A-ს მიერ დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედი ანალოგიური კოდექსი. ამ შემთხვევაში ზემდგომი სასამართლო ინსტანცია ვალდებულია გააუქმოს განაჩენი, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ კანონი არ ამსუბუქებს ადამიანის პასუხისმგებლობას, მას უკუძალა არ აქვს. ამდენად, 2003 წელს ჩადენილ დანაშაულზე, როცა მოქმედებდა ჯერ კიდევ ძველი სისხლის სამართლის კოდექსი, 2004 წელს მიღებული კოდექსის უფრო მკაცრი ნორმა ვერ გავრცელდება.

მოცემულ შემთხვევაში სივრცე გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებისათვის შეზღუდულია.

## 6.2.8. უდანაშაულობის პრეზუმფცია

თანამედროვე სახელმწიფოს უდიდეს მიღწევად ითვლება ის დებულება, რომ თითოეული ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, ვიდრე არ დამტკიცდება მისი ბრალეულობის საკითხი დანაშაულის ჩადენაში კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

კონკრეტულად უდანაშაულობის პრეზუმფცია ნიშნავს, რომ ყველა პროცესუალური მოქმედება და იძულების ზომები ორიენტირებულია განხილვის შედეგად გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობაზე. ამიტომ ბრალდებულთან აუცილებელია მუდმივად კორექტული მოქცევა. ამასთან, არ უნდა დაირღვეს ზღვარი, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს პრინციპის დაცვას და მის ბოროტად გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „ავტომობილისტის“ საქმე, რომელიც განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ (Европейская Комиссия по правам человека, E 6170/73; 26 мая 1975 г.). ავტომობილისტი დააჯარიმეს პოლანდის საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის შესაბამისად მოძრაობის წესების დარღვევისათვის. მან განაცხადა, რომ ის თავად არ მართავდა ავტომობილს, ამასთან, არც შეუძლია და არც სურს მიუთი-

თოს, ვინ იყდა საჭესთან (თავისი და ახლო ნათესავეების წინააღმდეგ ჩვენების პიცემაზე უარის თქმის უფლება). მან ვერ დაამტკიცა, რომ ავტომობილი გამოყენებული იყო მისი ნების საწინააღმდეგოდ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ არ გააპროტესტა არსებული განაჩენი.

როგორც კონვენცია, ისე საქართველოს კონსტიტუცია მოითხოვს, რომ განსასჯელის ბრალი დამტკიცდეს სასამართლო პროცესში დამოუკიდებელი და ობიექტური მოსამართლის მიერ პროცესუალური ნორმების სრული დაცვით. მოსამართლემ მიუკერძოებლად უნდა შეამოწმოს მტკიცებულებები და პირის ბრალეულობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში გადაწყვეტილება უნდა გამოითანოს განსასჯელის სასარგებლოდ. პრინციპი „*in dubio pro reo*“ – „ეჭვის შემთხვევაში ბრალდებულის სასარგებლოდ“, უკრძალავს ხელისუფლებას ბრალდებულის ან განსასჯელის მოქმედებათა შეფასებას „წინასწარი გაკიცხვის“ საფუძველზე. ამის შედეგად ხშირ შემთხვევაში საზოგადოებას უყალიბდება შეხედულება, რომ განსასჯელი, მიუხედავად მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანისა ან საქმის შეწყვეტისა, მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში და მის წარმოდგენაში კვლავ განაგრძობს ეჭვიმითილად ყოფნას.

უდანაშაულობის პრეზუმეციიდან გამომდინარეობს, რომ ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს და ბრალდებულმა არ უნდა ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა (კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი). ამიტომ არც კანონი და არც სასამართლო არ არის უფლებამოსილი დააკისროს ბრალდებულს საკუთარი უდანაშაულობის მტკიცების ტვირთი.

სხვათა შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის უკანასკნელი გადაწყვეტილებები ითვალისწინებენ, რომ სასამართლოების გარდა სხვა სახელმწიფო ორგანოებიც ვალდებული არიან დაიცვან უდანაშაულობის პრეზუმეციის პრინციპი. ამასთან, გარანტია ვრცელდება არა პროცესის პერიოდზე, არამედ იმ პერიოდზე, რომელიც წინ უსწრებს ბრალის წაყენებას.

სტრასბურგის სასამართლომ დააკმაყოფილა საფრანგეთის მოქალაქის ალენ რიბემონის საჩივარი მოცემული პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით. მოცემულ საქმეში უდანაშაულობის პრინ-

ციპი აშკარად დაირღვა. განმცხადებელი გამოძიების პროცესში საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლისა და ერთ-ერთი მაღალჩინოსანი პოლიციელის მიერ სატელევიზიო ინტერვიუში დახასიათდა როგორც ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსის მკვლელობის წამქეზებელი.

საგანგაშოა მსგავსი დარღვევების ფართო ხასიათი საქართველოში. საკმარისია პირის დაკავება ან დაპატიმრება და ის უმაღლესად დამნაშავედ. უდანაშაულობის პრინციპის უმაღლესი ღირებულება კი ის არის, რომ როგორი აშკარაც არ უნდა იყოს პირის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, ეს არ არის საკმარისი საფუძველი მისი დამნაშავედ გამოცხადებისათვის, ვინაიდან სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე უცნობია დანაშაულის ჩადენის მოტივები, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის როლი დანაშაულის ჩადენაში და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი უნდა დაიცვან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმაც. მათი რეპორტაჟები არ შეიძლება დაეყრდნოს მიკერძოებულ წინასწარ დასკვნებს ბრალდებულის დამნაშავეობის შესახებ და ისინი მუდამ ორიენტირებული უნდა იყვნენ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობაზე.

საკმაოდ ცნობილ საქმეში „სანდი ტაიში გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Европейский суд по правам человека – серия А-30) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ სასამართლოებს როდი გააჩნიათ კონფლიქტების ანალიზის მონოპოლია, არამედ მსგავსი თემების წინასწარი განხილვა პრესის ამოცანასაც წარმოადგენს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დგანან შესაბამისი ინფორმაციის გაერცვლების ამოცანის წინაშე, ხოლო საზოგადოებას აქვს მისი მიღების უფლება. თუმცა, ძალადობრივი დანაშაულების შედეგად ემოციების დაძაბვის შემთხვევაში პრესის თავისუფლებამ არასდროს არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ კომპეტენტური სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე ბრალდებული ილანძღებოდეს საინფორმაციო საშუალებების მიერ.

მოთხოვნები, რომლებიც განეკუთვნება ბრალეულობის დამტკიცებას, ითვალისწინებს, რომ სასამართლო გამოიტანს გამამართლებელ

განაჩენს, თუ მოსამართლე არ არის დარწმუნებული პირის ბრალეულობაში. ზოგადმიღებული პრინციპის შესაბამისად, მნიშვნელოვანი და დაუძლეველი ეჭვი მუშაობს ბრალდებულის სასარგებლოდ. წმინდა აბსტრაქტული და თეორიული ეჭვი თავისთავად არ შეიძლება იყოს განმსაზღვრელი, ვინაიდან ასეთი ეჭვის არსებობა ყოველთვის არის შესაძლებელი. ამ დროს მნიშვნელოვანია ისეთი ეჭვი, რომელიც უკავშირდება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და აშკარაა ნებისმიერი კრიტიკულად მოაზროვნე და გონიერი ადამიანისათვის.

თუ მოსამართლე არ არის დარწმუნებული, ჩაიღონა განსასჯელმა მკვლელობა თუ არა, ის უნდა გამოვიდეს იქიდან, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია. უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნა ირღვევა, თუ მოსამართლეს, მიუხედავად არსებითი ეჭვისა, გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი. მტკიცების ტვირთის წესის სახით უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარე ვალდებულია დაამტკიცოს პირის დამნაშავეობა, ის კი პირიქით, არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. მოცემული წესი ირღვევა შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოსამართლე მსჯავრს ადებს ბრალდებულს იმ მიზეზით, რომ მან ვერ დაამტკიცა თავისი უდანაშაულობა;

ბ) თუ მოსამართლემ დაუმტკიცა ბრალდებულს მისი ბრალის ნიშნები, მაგრამ არ მისცა საშუალება საწინააღმდეგო მტკიცებულებების წარსადგენად.

\* \* \*

ამრიგად, პირადი უფლებები და თავისუფლებები განამტკიცებს პიროვნების ავტონომიურობას, უზრუნველყოფს მის დაცვას გარეშე ჩარევისაგან. ადამიანი თავს დაცულად გრძნობს მხოლოდ მაშინ, როცა დაცულია სამი პირობა:

**პირველი პირობა:** კონსტიტუცია უნდა ითვალისწინებდეს პირადი უფლებებისა და თავისუფლებების სრულ და ამომწურავ ნუსხას;

**მეორე პირობა:** უნდა დადგინდეს და მოქმედებდეს შეზღუდვები და პირდაპირი აკრძალვები, რომლებიც დაიცავენ პირადი თავისუფლების სფეროს სახელმწიფოს მხრიდან მართლსაწინააღმდეგო და თვითნებური ხელყოფისაგან;



მესამე პირობა: ადამიანს აქვს თვითდაცვის ეფექტიანი საშუალებები პირადი თავისუფლების სფეროში ჩარევისაგან, რაც ასევე წარმოადგენს სახელმწიფოს მოქმედების თავისუფლების შეზღუდვას.

ადამიანის პირადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს უპირველესი მოვალეობაა. ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ თავად ის განსაზღვრავს საკუთარ ბედს და იმავდროულად უნდა ახსოვდეს, რომ თავად მას ეკისრება პასუხისმგებლობა საკუთარ გადაწყვეტილებებზე. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა თვისება, მაგრამ მათ გავლენა არ უნდა მოახდინონ მის სტატუსსა და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობებზე. ამიტომაც, პირადი უფლებებისა და თავისუფლებების განვითარებასა და განმტკიცებაში ობიექტურად არის დაინტერესებული მთელი საზოგადოება.

### §3. პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები

პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები მოქალაქეთა სუბიექტური უფლებებისა და თავისუფლებების უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა, რომლებიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში. ეს არის მოქალაქისა და სახელმწიფოს გაუცხოების თავიდან აცილების საშუალება. მოქალაქის პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო რეალიზაცია აუცილებლად გულისხმობს ყველა სხვა დანარჩენი უფლების ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, რადგანაც ისინი შეადგენენ დემოკრატიის სისტემის ორგანულ საფუძველს და გვეკვლინებიან ისეთ ღირებულებად, რომლითაც ხელისუფლებამ უნდა შეზღუდოს საკუთარი თავი და აიღოს მათზე ორიენტაცია.

როდესაც ვსაუბრობთ პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებზე, როგორც ცივილიზებული საზოგადოების განუყოფელ ატრიბუტზე, უწინარესად გგულისხმობთ მათთვის დამახასიათებელ შემდეგ თვისებებს: ა) ისინი ამჟღავნებენ ადამიანის ბუნებას;

ბ) წარმოადგენენ ხელისუფლების კონტროლის საშუალებას;  
გ) გვევლინებიან დემოკრატიული რეჟიმის შეფასებით კრიტერიუმად.

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია მათი დაყოფა ორ ჯგუფად: 1) უფლებამოსილებები სახელმწიფოსა და მისი ორგანოების ორგანიზაციასა და საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით (საარჩევნო უფლება, პეტიციის უფლება); 2) უფლებამოსილებები საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის (სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება, გაერთიანების უფლება).

პირადი უფლებებისა და თავისუფლებებისაგან განსხვავებით, პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები მიმართულია არა ადამიანის ავტონომიურობის უზრუნველსაყოფად, არამედ იმისაკენ, რომ წარმოაჩინოს ადამიანი, როგორც პოლიტიკური პროცესის აქტიური მონაწილე. ამ კატეგორიის უფლებათა ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ქმნიან მოქალაქეს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის კავშირის განმტკიცების პირობებს. პოლიტიკური თავისუფლება არსებითად წარმოადგენს პირადი თავისუფლების ერთ-ერთ წახნაგს: ადამიანი, როგორც გონიერი არსება, პოლიტიკური ცნობიერებისა და პოლიტიკური ნების მატარებელი, უფლებამოსილია იმოქმედოს პოლიტიკური პროცესის დამოუკიდებელი და თავისუფალი მონაწილის სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების ფლობა ჩვეულებრივ დაკავშირებულია მოქალაქის კუთვნილებასთან კონკრეტულ სახელმწიფოსთან, ჩვენ შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოსთან. ადამიანის უფლებებისგან განსხვავებით, მოქალაქის უფლებები მოიცავს საჯარო ინტერესების სფეროს.

ტოტალიტარული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი თავისებურება – ლტოლვა შეზღუდვებისაკენ ან საერთოდ პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების სრული ლიკვიდაცია – ატარებს არც თუ შემთხვევით ხასიათს. რაც უფრო მეტად გამოსდის ტოტალიტარულ სახელმწიფოს პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვა, დემოკრატიული კონტროლის ფორმებისაგან განსხ-

ვაკება, მით უფრო ღიდ ადგილს იკავებს სახელმწიფოს ფაქტობრივი ყოვლისშემძლეობა და მისთვის დამახასიათებელი ძალადობრივი მეთოდები.

ვიდრე უშუალოდ მიმოვიხილავთ კონკრეტულ პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, უნდა გამოვყოთ ორი უმნიშვნელოვანესი ცნება, რაც აუცილებელია პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების სუბიექტის დახასიათებისას. ესენია: პოლიტიკური უფლებაუნარიანობა და პოლიტიკური ქმედუნარიანობა.

პოლიტიკური უფლებაუნარიანობა არის მოქალაქის უნარი — იყოს პოლიტიკური სამართალურთიერთობების სუბიექტი, ე.ი. პქონდეს საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ნორმებით გარანტირებული პოლიტიკური უფლებები და მათთან დაკავშირებული მოვალეობები. საქართველოში პოლიტიკური უფლებაუნარიანობით აღიჭურვებიან როგორც დაბადებით საქართველოს მოქალაქეები, ისე პირები, რომლებმაც მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა.

პოლიტიკური ქმედუნარიანობა კი არის მოქალაქის უნარი — თავისი მოქმედებებით დამოუკიდებლად განახორციელოს პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით. მოქალაქის ქმედუნარიანობა შეიძლება შეიზღუდოს როგორც საერთო ქმედუნარიანობასთან ერთად (მაგალითად, სულიერი ავადმყოფობის შემთხვევაში), ისე საერთო ქმედუნარიანობისაგან დამოუკიდებლად.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოქალაქის ძირითადი პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების ფაქტობრივი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული სამართლის ნორმების მეშვეობით, რომლებმაც უნდა გაითვალისწინონ მათი რეალიზაციის ეფექტიანი მექანიზმები და პროცედურები. დემოკრატიული საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელია პოლიტიკური პლურალიზმისა და მისი ღირებულებების ფორმირების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეთა აქტიური და გაცნობიერებული მონაწილეობის გარეშე.

### 6.3.1. სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლება

სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლება საკმაოდ ფართო უფლებაა თავისი შინაგანი არსით, მრავალფეროვანია რეალიზაციის ფორმებითა და მეთოდებით და არსებითად ატარებს კომპლექსურ ხასიათს, რადგან დანარჩენი პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც მოცემულია კონსტიტუციაში (მაგალითად, უფლება, აირჩიოს და თავად იყოს არჩეული, გაერთიანების უფლება და სხვ.) გარკვეულწილად გამომდინარეობს ამ უფლებიდან და აკონკრეტებს მას.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია აღნიშნულ უფლებას განმტკიცებს, როგორც მოქალაქეთა დამოუკიდებელ სუბიექტურ უფლებას პოლიტიკური ცხოვრების სფეროში, თუმცა ამისათვის იყენებს სხვადასხვა იურიდიულ ფორმულირებას. მაგალითად, მე-5 მუხლი მიუთითებს, რომ საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. ბუნებრივია, ტერმინი „ხალხი“ ამ შემთხვევაში გულისხმობს საქართველოს მოქალაქეებს.

სახელმწიფო მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლება კიდევ უფრო დაკონკრეტებულია კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში, რომელშიც ნათქვამია, რომ „საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულახავად“.

საქართველოს კონსტიტუცია მოქალაქეებს ანიჭებს თანაბარ უფლებებს სახელმწიფო სამსახურში შესვლისას. ეს პირდაპირაა მითითებული კონსტიტუციის 29-ე მუხლში, რომლის მიხედვით საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სახალხო ხელისუფლების პრინციპები ხელს უწყობენ მოქალაქეთა მასობრივ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვის საქმეში.

ამისი ნათელი დადასტურებაა ისეთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური უფლება, როგორცაა მოქალაქის უფლება — აირჩიოს და თავად იყოს არჩეული სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება არის მოქალაქის უფლება-მოსილება მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკური ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებაში. გარკვეულწილად, ის წარმოადგენს ტრადიციულ ზოგადდემოკრატიულ ინსტიტუტს, რომელიც იურიდიულად ცნობილია არა მხოლოდ ჩვენს სახელმწიფოში, არამედ საერთაშორისო-სამართლებრივ დონეზეც. ასეთი სახით ჩამოყალიბებული კონსტიტუციური უფლება ფაქტობრივად მოიცავს საარჩევნო უფლების ორ სახეს: აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებებს.

აქტიური საარჩევნო უფლება მოქალაქეს ანიჭებს უფლებას მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში ამომრჩევლის სახით და აირჩიოს წარმოდგენილი კანდიდატები არჩევით სახელმწიფო თანამდებობებზე. ეს უფლება ენიჭება 18 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს, გარდა მოქალაქეებისა, რომლებიც სასამართლომ სცნო ქმედუვნაროდ და მოქალაქეებისა, რომლებიც სასამართლოს განაჩენით იმყოფებიან სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში (კონსტიტუციის 28-ე მუხლი).

აქ მხედველობაში მიიღება მოქალაქეთა მხოლოდ ის კატეგორია, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ კანონიერ საფუძველზე, პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის გარეშე. ამასვე განეკუთვნება ისეთი შეზღუდვა, რომ ასეთი თავისუფლების აღკვეთა შეფარდებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება მხოლოდ ის შემთხვევები, როცა სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით შევიდა ძალაში სასამართლოს განაჩენის საფუძველზე და არა გამოძძიებლის ან პროკურორის გადაწყვეტილებით, მაგალითად, როგორც წინასწარი პატიმრობის შემთხვევაში. გაუმართლებელი და მიუღებელი იქნებოდა, თუ ეჭვიმტანილ პატიმარს არ ექნებოდა არჩევნებში ან რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება, თუნდაც მხოლოდ უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე.

პასიური საარჩევნო უფლება კი არის მოქალაქის შესაძლებლობა — არჩეულ იქნას სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანოებში, ე.ი. — უფლება რეგისტრაციაში გატარდეს დეპუტატობის კანდიდატის სახით, სხვა კანდიდატების თანასწორად ჩაატაროს წინასაარჩევნო აგიტაცია და პროპაგანდა, ისარგებლოს დეპუტატობის კანდიდატისათვის კანონით მინიჭებული ყველა უფლებით.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა მრავალ სახელმწიფოში, პასიური საარჩევნო უფლების ფლობისათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა შეზღუდვები. აქტიური საარჩევნო უფლებისგან განსხვავებით, კონსტიტუცია პასიური საარჩევნო უფლებისათვის ადგენს დამატებით ცენზებს. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს პირი 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშნის დღეს ცხოვრობს საქართველოში. არ შეიძლება პრეზიდენტად აირჩეს ერთი და იგივე პირი ზედიზედ არა უმეტეს ორი ვადისა (70-ე მუხლი). საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს პირი 25 წლის ასაკიდან (49-ე მუხლი).

ზმის უფლება იძლევა რეფერენდუმში ანუ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას. თუმცა, ეს უფლება არ გულისხმობს რეფერენდუმის ჩატარების ინდივიდუალური მოთხოვნის შესაძლებლობას. საკითხი, ჩატარდეს თუ არა რეფერენდუმი კონკრეტულ საკითხზე, უნდა გადაწყდეს მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად რეფერენდუმს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის, არა ნაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, ანუ ამ შემთხვევაში მოქმედებს უფლების რეალიზაციის არა ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური წესი. ამავ მუხლის მე-2 პუნქტი კი ადგენს, თუ რა საკითხების გამოტანა არ შეიძლება საყოველთაო-სახალხო კენჭისყრაზე განსახილველად. მათ შორისაა ისეთი საკითხები, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლება დაკონკრეტებულია კონსტიტუციის 29-ე მუხლში, რომლის მიხედვით საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ეს შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლს, რომლის თანახმად მოქალაქეებს რაიმე დაუსაბუთებელი შეზღუდვებისა და დისკრიმინაციის გარეშე აქვთ უფლება და შესაძლებლობა თანასწორობის საერთო პრინციპის საფუძველზე დაშვებულ იქნენ სახელმწიფო სამსახურში. რასაკვირველია, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად დიდ როლს ასრულებს კვალიფიკაციის დონე და ხარისხი. რიგ შემთხვევებში გათვალისწინებულია გარკვეული შეზღუდვები სახელმწიფო მოხელეებთან ნათესაური ურთიერთობის გამო, თუ მათი სახელმწიფო სამსახური დაკავშირებულია უშუალო ქვემდებარეობასთან. მაგალითად, მინისტრი არის ერთი ძმა, ხოლო მეორე – ამ სამინისტროს რომელიმე სამსახურის უფროსი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში, როგორც ტენდენცია, დამკვიდრდა სახელმწიფო სამსახურში რაიმე თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტების მიმართ ისეთი მოთხოვნის წაყენება, როგორიცაა ინგლისური ენის ცოდნა, თუმცა კი კონკრეტული საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე ეს უკანასკნელი ნაკლებად მოითხოვს აპრიორი უცხო ენის ცოდნას. ცხადია, თუ ადამიანი ფლობს ინგლისურ ენას, ეს მეტყველებს მის ღირსებაზე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის, ვინც არ ფლობს ინგლისურ ენას, ან სულაც არ ფლობს მშობლიურის გარდა არც ერთ ენას, მასზე დაბალი ღირსების მქონეა. კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი სულაც არ განისაზღვრება რომელიმე ენის (ან ენების) ცოდნით, რის გამოც მიმაჩნია, რომ ასეთ შემთხვევებში აშკარად ირღვევა მოქალაქეთა თანაბარი უფლება სახელმწიფო სამსახურში შესვლისას, რაც ანტიკონსტიტუციურია. მოცემული უფლების შეზღუდვა ყველა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს გონივრულ ფარგლებში და მოქალაქეთა პირადი ღირსების შელახვის გარეშე.

### 6.3.2. სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება შეადგენს მთელი კონსტიტუციის საფუძველს. გამოვაცალოთ ის და მთელი შენობა დაინგრევა. ვერაინ უარყოფს, რომ კონსტიტუციის განხორციელება დაკავშირებულია მრავალ შეცდომასთან და მისი ბოროტად გამოყენების მცდელობასთან, ყველაზე ღირებულნი მასში არის მისი საძირკველის სრულყოფა. ისმება კითხვა: თუ ის (ე.ი. სიტყვის თავისუფლება) დანგრეულია, ყველაფერი დანარჩენი იმსახურებს კი შენარჩუნებას?

სიტყვის თავისუფლება საქართველოში განხორციელებული პოლიტიკური რეფორმის უდავო მიღწევაა. პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების სისტემაში აზრის გამოხატვის თავისუფლებას ან სიტყვის თავისუფლებას განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან იგი ცივილიზებული საზოგადოების საფუძველთა საფუძველია და დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის შეფასებითი კრიტერიუმი. დაუბრკოლებელი თვითგამოხატვის მოთხოვნილება იმანენტურად ახასიათებს ადამიანს, რომელსაც „აქვს უფლება იყოს თავისთავადი, თუ ეს არ უმლის სხეებს, იყვნენ ასეთებივე“.<sup>85</sup> ამასთან ერთად, სიტყვის თავისუფლება, არსებითად, ესაა ადამიანური ინდივიდუალობის გამოვლინების, თვითმყოფადობის დამკვიდრების და ყოველი პიროვნების უნიკალურობის არსებითი ფაქტორი.

სიტყვისა და აზრის თავისუფლება, ისევე როგორც საჯარო დისკუსიების თავისუფლება სამოქალაქო მნიშვნელობის პრობლემებზე, არის დემოკრატიული ტოლერანტული საზოგადოების არსებობის ფორმა. ასეთი საზოგადოება გამოდის იქიდან, რომ არანაირ აზრს არ შეიძლება ჩამოერთვას უფლება განაცხადოს თავისი თავის შესახებ. იდეური პლურალიზმი, ე.ი. პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი და სხვა იდეებისა და ღირებულებების სიმდიდრე და მრავალფეროვნება, ხელს უწყობს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპების დამკვიდ-

<sup>85</sup> Ключевский В.О., Исторические портреты, М., 1990, გვ. 35.



რებას. ამასთან, საზოგადოების პლურალიზმი არ არის ისტორიული რელიქტი, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება დაიძლიოს; პირიქით, დემოკრატიის განვითარების შესაბამისად ისიც იზრდება.<sup>86</sup>

რამი მდგომარეობს სიტყვის თავისუფლების სუბიექტური უფლების ბუნება? ესა თუ ის სუბიექტური უფლება იურიდიულად უზრუნველყოფს კონკრეტული პირის თავისუფლებას იმოქმედოს დამოუკიდებლად კანონის ფარგლებში, ამასთან, შეარჩიოს საკუთარი ქცევის სახე და ფორმა. სუბიექტური უფლება აზრისა და სიტყვის თავისუფლებაზე შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეს გამოხატოს თავისი დამოკიდებულება გარემომცველი სამყაროს მოვლენებთან, თავისუფლად მოიძიოს, მიიღოს და საკუთარი შეხედულებისამებრ გაავრცელოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ნებისმიერი სახის საშუალებით. დაუშვებელია რაიმე ძალადობრივი ზემოქმედება ადამიანზე, იძულებით გამოხატოს თავისი აზრი ან უარი თქვას მასზე. სიტყვის თავისუფლების უმნიშვნელოვანესი იურიდიული შედეგების რიცხვს განეკუთვნება მოქალაქის ნებისმიერი დეენის არამართლზომიერება მის მიერ გამოთქმული აზრებისათვის მოქმედი კანონმდებლობის დაცვის პირობით, ასევე მოქალაქეთა დისკრიმინაციის დაუშვებლობა მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების მოტივით.

საქმეში ვომა მუკონგი კამერუნის წინააღმდეგ (გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი. U.N. Doc. CCPR/C/51/D/458/1991-1994) მოსაჩივრე იყო ჟურნალისტი, მწერალი და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთპარტიული სისტემის კატეგორიული მოწინააღმდეგე კამერუნში. ის არაერთგზის გამოვიდა საჯაროდ მრავალპარტიული დემოკრატიული სისტემის შემოღების ინიციატივით და პარალელურად მუშაობდა ახალი პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად. ზოგიერთი მისი წიგნი აიკრძალა კიდევ. 1990 წლის ზაფხულში მან დატოვა კამერუნი და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა დიდ ბრიტანეთში. თუმცა მანამდე, 1988 წლის 15 ივნისს მომჩივანი დააპატიმრეს ტელეკომპანია ბი-ბი-სი-სათვის მიცემუ-

<sup>86</sup> Юридический конфликт: процедуры разрешения, М., 1995, გვ. 8.

ლი ინტერვიუს გამო, რომელშიც ის აკრიტიკებდა როგორც მთავრობას, ისე კამერუნის პრეზიდენტს. 1989 წლის მაისში ის გაანთავისუფლეს, თუმცა 1990 წლის თებერვალში კვლავ დააპატიმრეს მრავალპარტიული სისტემის შემოღების შესახებ საკითხის საჯარო განხილვისათვის. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ განძვინალების მიმართ დარღვეულია აზრის გამოხატვის თავისუფლება.

ნებისმიერი სუბიექტური უფლების გარანტია ეყრდნობა მისი სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის მექანიზმს. განსახილველი უფლება გულისხმობს სუბიექტის შესაძლებლობას მიმართოს სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის მექანიზმს. აქ იგულისხმება სუბიექტის შესაძლებლობა დახმარებისათვის მიმართოს სახელმწიფო ორგანოებს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის მხრიდან თავისი უფლების უკანონო შეზღუდვის შემთხვევაში. მაგალითად, მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს ზუსტი ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის შესახებ. ნებისმიერი დაინტერესებული პირი უფლებამოსილია სასამართლო წესით ასევე მოითხოვოს არა მხოლოდ თავისი ღირსების, პატივის ან საქმიანი რეპუტაციის შემლახავი მონაცემების გაბათილება, არამედ მორალური ზიანისა და ზარალის ანაზღაურებაც, რომელიც მიყენებულია მსგავსი მონაცემებით.

აზრისა და სიტყვის თავისუფლებას საკმაოდ რთული ხასიათი აქვს. სიტყვის თავისუფლების კვლევისას მნიშვნელოვანია განვასხვავოთ მისი სტრუქტურული ელემენტები: პირველი, ეს არის ყოველი ადამიანის თავისუფლება გამოხატოს თავისი აზრები და იდეები კანონის მოთხოვნათა დაცვის პირობით; მეორე, ეს არის ბეჭდვისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება (გულისხმობს ცენზურის აკრძალვას და საინფორმაციო ორგანოების შექმნისა და მათით სარგებლობის უფლებას), რაც აზრის გამოხატვის თავისუფლების მატერიალიზების საშუალებას იძლევა; დაბოლოს, სიტყვის თავისუფლება გულისხმობს ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლებას, ე.ი. — ინფორმაციის წყაროების ხელმისაწვდომობას. ეს ელემენტები მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული.

სიტყვის თავისუფლების კლასიკური ნორმატიული ფორმულირება მოცემულია ადამიანისა და მოქალაქის უფლებების 1789 წლის საფრანგეთის დეკლარაციაში: „ყოველ ადამიანს შეუძლია თავისუფლად გამოთქვას, დაწეროს, დაბეჭდოს საკუთარი მოსაზრებები და პასუხი აგოს მხოლოდ ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში“ (მე-11 მუხლი). ეს განმარტება, რომელიც განმსჭვალულია განმანათლებლობის იდეალებით, შემდგომში მოგვევლინა ნიშუშად მრავალი ქვეყნის კანონმდებლობისათვის.

1791 წელს ძალაში შესული ადამიანის უფლებათა ამერიკული ბილის ქვაკუთხედს უდავოდ წარმოადგენს აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება. იგი ითვალისწინებს, რომ კონგრესი არ გამოსცემს ისეთ კანონებს, რომლებიც შეზღუდავს მოქალაქეთა ფუნდამენტურ, მათ შორის, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას.

ამრიგად, თუ ჩვენთვის საინტერესო პრობლემას ისტორიულ ასპექტში გადავხედავთ, უნდა აღინიშნოს, რომ უკვე XVIII საუკუნის ბოლოს დასავლური ქვეყნების პოლიტიკურ-სამართლებრივი ფილოსოფიისა და კონსტიტუციონალიზმის ფარგლებში განმტკიცდა პოლიტიკური და სხვა შეზღუდულების გამოხატვისა და ბეჭდვის თავისუფლების სოციალური ღირებულების იდეა. საწყისი ლიბერალური პოზიცია, ეს იყო თითოეულის უფლების უპირობო განმტკიცებით აბსოლუტურად თავისუფლად განეხილა ნებისმიერი საკითხი, რომელიც განსჯის საგანი გახდებოდა. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა შემდეგ არგუმენტებს: რამდენადაც საზოგადოება არასოდეს ქმნის ინტელექტუალურ ერთიანობას და არ შეუძლია გამოხატოს რაიმე ერთი იდეით, თითოეული მისი წევრთაგანი ინარჩუნებს ინდივიდუალობას, ამა თუ იმ პრობლემის საკუთარი ინტერპრეტაციის უფლებას. შედეგად, არავინ შეიძლება იყოს შეზღუდული თავის უფლებებში სიტყვის, საკუთარი შეხედულებების დაწერის ან პუბლიკაციის თავისუფლებებთან მიმართებით. მაგალითად, სიტყვის თავისუფლების საყოველთაოდ ცნობილი ინგლისელი ქომაგი ტ. ერსკინი მკაფიოდ აყალიბებს შეხედულებებისა და მრწამსის გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპების არსს. მისი აზრით, ძირითადი სამართლებრივი გარანტია გამოიხატება იმით,

რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოაქვეყნოს ყველაფერი, რასაც თავისი გონება და სინდისი, როგორც არ უნდა ცდებოდეს ის, კარნახობს ჭეშმარიტების სახით.<sup>87</sup>

„ბეჭდვის თავისუფლების“ ლიბერალური დოქტრინის ფუძემდებელთა რიცხვს ამერიკაში, პირველ ყოვლისა, მიეკუთვნებიან: ჯ. მედისონი, დ. ჰეი, ტ. უორტმანი, დ. ტომსონი, რომელთა ნაშრომებში ასევე აისახა საუკუნის იდეური ტრადიციები. ბეჭდვის თავისუფლების, როგორც აბსოლუტური თავისუფლების, კონცეფცია, რომელიც არ ექვემდებარება შეზღუდვას არც ერთ გარემოებაში, ამერიკული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში პირველად ჩამოაყალიბა დ. ჰეიმ. ჰეის შემდგომ უორტმანი ამტკიცებდა, რომ საზოგადოების უფლება სხვა არაფერია, თუ არა მისი წევრების ინდივიდუალური უფლება, ანუ თითოეულ ინდივიდს აქვს შეუზღუდავი უფლება თავისუფლად გამოხატოს აზრი ნებისმიერ პოლიტიკურ საკითხზე. ეს თეორიული დებულება ლოგიკურად გამოძინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ თავად საზოგადოებას აქვს უფლება აბსოლუტურად თავისუფლად გამოიკვლიოს ნებისმიერი პრობლემა, რომელიც მის ინტერესს ეხება. უორტმანის აზრით, სიტყვისა და აზრის შეუზღუდავი თავისუფლება განპირობებულია თავად ადამიანის ბუნებით, იმ ფაქტით, რომ გონება ადამიანის ბუნებრივი მონაპოვარია, ხოლო შემეცნების შესაძლებლობა — ჭკუის განუყოფელი ატრიბუტი.<sup>88</sup>

რასაკვირველია, XVIII-XIX ს.ს. მიჯნაზე ამერიკაში მრავალრიცხოვანი ტრაქტატებისა და პამფლეტების აღმოცენება ბეჭდვის თავისუფლების პრობლემით შექმნილი ისტორიული სიტუაციით აიხსნება. პირველ ყოვლისა, ეს განპირობებული იყო პოლიტიკური დისკუსიების შეუზღუდავი თავისუფლების პროპაგანდისა და პოლიტიკური პარტიების მიერ ისეთი უმნიშვნელოვანესი იარაღის გამოყენების აუცილებლობით, როგორიცაა პრესა. გარდა ამისა, „რესპუბლიკური“ ოპოზიცია მოითხოვდა „აჯანყების წაქეზების შესა-

---

<sup>87</sup> L. Levy, *Freedom of Speech and Press in Early American History: Legacy of Suppression*, N.Y., 1963, გვ. 256.

<sup>88</sup> *Freedom of the Press from Zenger to Jefferson*, 1966, გვ. 231-232.

ზებ“ კანონის გაუქმებას. კანონმა, რომელიც აშშ-ის ფედერალურმა კონგრესმა მიიღო, დაადგინა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა „განზრახი, ცრუ“ პუბლიკაციებისათვის, რომლებიც სახელს უტეხენ პრეზიდენტსა და კონგრესს.

თუმცა „ბეჭდვის თავისუფლების“ ლიბერალურ დოქტრინას აქვს უფრო არსებითი, ფუძემდებლური მნიშვნელობა – ის გამოიხატება ისეთი ფუნდამენტური კრიტერიუმების დადგენით, რომლებსაც დღესაც ეფუძნება სამოქალაქო თავისუფლებები განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში. ამ დოქტრინამ ხელი შეუწყო საზოგადოებრივ ცნობიერებაში პოლიტიკური რეჟიმისა და სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების იდეის დანერგვას, რომელთა ღერძსაც სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს. როგორც ცნობილია, სამოქალაქო თავისუფლებებით სარგებლობა, არსებითად, უზრუნველყოფილი იყო მეტ-ნაკლებად განვითარებული ქვეყნების კონსტიტუციებით ჯერ კიდევ კლასიკური ლიბერალიზმის ეპოქაში.

თანამედროვე ამერიკელი სამართლისმცოდნე, ნ. დორსენი, აზრისა და სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობაზე მსჯელობისას ასკვნის, რომ „სიტყვის თავისუფლების თითქმის უნივერსალური პრინციპი ეფუძნება რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ღირებულებას“. დორსენის აზრით, ასეთებია: სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობა თვითმმართველობისათვის მოქმედი დემოკრატიის დროს, მისი სარგებლიანობა სიმართლის გარკვევისათვის და მისი გამოყენება ხელისუფლების მიერ კანონის დარღვევის გამოსაეღენად და აღმოსაფხვრელად, ასევე შესაძლებლობა – დაუშვას ადამიანის პირადი თვითგამოხატვა, რომელსაც თან არ ახლავს მის მიმართ რეპრესიების გამოყენების შიში.<sup>89</sup>

თუ დავახასიათებთ სიტყვისა და აზრის თავისუფლების პრობლემას საბჭოთა პერიოდის საქართველოში, ძნელია იმის მტკიცება, რომ მათი გამოვლინება სულ მცირედით მაინც ყოფილიყო შესაძლებელი. თავისი შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება უახლოეს პერიოდამდე საბჭოთა მოქალაქეთა უმრავლესობისათვის

<sup>89</sup> Дорсен Н., Природа и пределы гражданских свобод в США. М., 1994, 33- 275.

დაიყვანებოდა პრობლემის განხილვის შეკვეცილ ფორმებამდე და ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მხარდაჭერამდე. ამასთან, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მიერ გამოიყენებოდა „საბჭოთა ხალხის ერთიანი აზრის“ ფორმულა, რომელიც სოლიდარობას უცხადებდა სახელმწიფოს პოლიტიკას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა მთელი თაობები ცხოვრობდნენ ობიექტური ინფორმაციის არსებობისა და იდეოლოგიური სტერეოტიპების ტოტალური თავსმოხვევის პირობებში. შედეგად, ჩამოყალიბდა ისეთი სიტუაცია, როდესაც პარტიისა და სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა „საყოველთაო მხარდაჭერა“ სხვა არაფერი იყო, თუ არა საბჭოთა საზოგადოებაში გამჭვდარი პოლიტიკური აპათიის, ხშირად შიშისა და ტოტალიტარიზმის სხვა გამოვლინებების მაჩვენებელი.

როგორც უკვე აღინიშნა, სიტყვის თავისუფლება დოქტრინის მიხედვით განიმარტება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სუბიექტურ უფლებად, რაც ადამიანს მოაზროვნე არსებად ახასიათებს. თანამედროვე საზოგადოებაში სისტემა, რომელიც აგებულია პლურალიზმისა და სხვადასხვა პარტიის, ასოციაციისა თუ მიმდინარეობის ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკაზე, საკმაოდ მონოლითურია. სიტყვის თავისუფლებას პოსტტოტალიტარულ საზოგადოებაში უნდა დაუბრუნდეს თავისი ნამდვილი, პირველადი აზრი, რომელიც მთლიანად პიროვნების თავისუფლების უზრუნველსაყოფად მოცემული უფლების განსაკუთრებულ ღირებულებად ცნობას გულისხმობს.

როგორც ცნობილია, ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც დიდად განაპირობა სიტყვის თავისუფლების დეფორმაცია საქართველოში, იყო ხელისუფლებისა და მთლიანად საზოგადოების ტოტალური ჩაკეტილობა, რაც სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. ერთაზროვნებით ხანგრძლივი ტკბობა ვლინდებოდა მრავალი ასპექტით: იდეოლოგიური დოგმატიზმით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მკაცრი კონტროლით ცენტრის ინსტიტუტის შემოღების გზით და, საბოლოო ჯამში, აზრისა და სიტყვის თავისუფლების ჩახშობით. სახელმწიფო დიდ ზეგავლენას ახდენდა პირად რწმენაზე, რაც იწვევდა სინდისის თავისუფლების შეზღუდვას. სრული-

ად გასაგებია, რომ ამ საზოგადოებაში სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების უქონლობა მასობრივ ცნობიერებას აბსოლუტურად დაუცველად აქცევდა ნებისმიერი პროპაგანდის წინაშე.

გასაკვირი არ არის, რომ ისეთი ღირებულებები, როგორიცაა: ინდივიდის სულიერი დამოუკიდებლობა, მათ შორის, რელიგიური თავისუფლება, შევიწროებული იყო კომუნისტური იდეოლოგიით. რთულადაა არ დავეთანხმეთ ა. მენს, რომელიც აღნიშნავდა, რომ „საბჭოთა ექსპერიმენტში მარქსისტულმა ეტატიზმმა განადიდა პოლიტიკური ხელისუფლება აბსოლუტური ღირებულების ხარისხში და, აქედან გამომდინარე, ყველა სხვა ღირებულების უპირობო უარყოფა დაამკვიდრა“. შედეგად, საზოგადოება, რომელიც აგებული იყო თავისუფალი აზროვნების მოშობის იდეოლოგიაზე, იძულებული გახდა შერიგებოდა ტოტალური აკრძალვის პოლიტიკას. ეტყობა, სწორედ ამას უკავშირდება მრავალი ათეული წლის განმავლობაში ხალხის მორჩილება ხელისუფლების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილებისადმი, იქნებოდა ეს კანონიერი და სამართლიანი, თუ არა.

ჩვენი საზოგადოების განვითარების სამწუხარო გამოცდილება მოწმობს, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში დაიწყო სოციალურ-ფსიქოლოგიური იძულებისა და ნებისმიერი ოპოზიციის დათრგუნვის პროცესი.<sup>90</sup> მოუხედავად იმისა, რომ 1918-21 წლებში იყო მცდელობა საქართველოში ახალი ღირებულებების დამკვიდ-

---

<sup>90</sup> მრავალი ავტორის აზრით, იდეური ბატონობის დადგენა არის ავტორიტარული რეჟიმის მქონე პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვებისა და შემდგომი მონოპოლიზაციის ინსტრუმენტი. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა კუბელი მწერლის შეხედულება, რომელიც ამტკიცებს, რომ „ძალადობა სიტყვაზე“ და დიქტატორული რეჟიმის დამყარება ერთმანეთს განაპირობებს. „ტოტალიტარიზმის“ წინააღმდეგ საუკეთესო საშუალება არის თავისუფალი სიტყვა, როგორც ადამიანთა გონებრივი, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგი, რომელსაც თან არ ახლავს შიშის გრძობა“ და შემდეგ: „გარეშო, რომელიც უშვებს მრავალფეროვნებას, საუკეთესო წამალი ყოველგვარი ტირანიისაგან თავდასაცავად, რამდენადაც ცხოვრება ასეთ საზოგადოებაში მიედინება სიმართლისა და გონების ზეიმის ფარგლებში“. იხ. Монтанер К., Трактат о процветании, М., 1995, გვ. 75-77.

რებისა, ცნობილი მოვლენების გამო ეს შეუძლებელი გახდა და პირიქით, უფრო მძლავრი დამატებითი იმპულსი მიეცა ქვეყნიდან ეროვნული ინტელიგენციის უდიდესი წარმომადგენლების იძულებით გაძევებას. შემდგომ ათწლეულებში ინტელიგენციის ბედი ტრაგიკული იყო. განსხვავებული აზრის გამოხატვისა და სოციალური სინამდვილის კრიტიკის მცდელობის სულ მცირე გამოვლინებაზეც კი ტოტალიტარული რეჟიმი მკაცრი რეპრესიებით რეაგირებდა.

30-40-იან წლებში სამამულო ინტელიგენციის ყველაზე საღად მოაზროვნე ნაწილი რეპრესირებულ იქნა. ბუნებრივია, კომუნისტურ ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა ის გარემოება, რომ ინტელიგენტებს ახასიათებთ ფიქრი, მოვლენათა შეფასება, აზრთა ურთიერთგაზიარება. ოპოზიციური იდეოლოგიის მატარებელთა წინააღმდეგ ბრძოლა ხორციელდებოდა ბეჭდვითი სიტყვის შეზღუდვის გზითაც.

მთელი საბჭოთა ისტორიის მანძილზე, გარდაქმნის უკანასკნელი წლების ჩათვლით, განსხვავებული აზრის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად გამოიყენებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიტიკური მიზანშეწონილობის პრინციპით. კერძოდ, უცხოეთში გამოცემული ლიტერატურის ცენზურის გარეშე საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გავრცელება კვალიფიცირდებოდა როგორც „იდეოლოგიური დივერსია“ და ისჯებოდა სისხლის სამართლის წესით, თუმცა სსრკ-ის კონსტიტუციის 50-ე მუხლში ფორმალურად დეკლარირებული იყო სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება. არსებული პრაქტიკა აბსოლუტურად შეუთავსებელი იყო ცივილიზებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებთან და მშვენივრად ჯდებოდა „ყაზარმული“ სისტემის ფარგლებში. ამით პარტოკრატიული სახელმწიფო ხელისუფლება მიიღტვოდა გადაევადებინა ავტორიტარული რეჟიმის კრახი ძალადური ზომებით, რომლებიც სისასტიკით უტოლდებოდა სასჯელებს მძიმე დანაშაულებისათვის.

როდესაც საქართველოში გარდაქმნის სახელწოდებით დაწყებული პროცესების შედეგად საზოგადოებაში გაიძართა მწვავე პოლემიკა ყველაზე მტკივნეულ პრობლემებზე, ხელისუფლება იძულებული გახდა უარი ეთქვა სისხლისსამართლებრივი რეპრესიების



გამოყენებაზე, თუმცა ანტიდემოკრატიული რეჟიმის პირობებში ინდივიდისა და სახელმწიფოს თანაფარდობის პრობლემა სიტყვის, აზრის, რწმენის თავისუფლების კონტექსტში წყდება ცალსახად – სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ტოტალიტარული რეჟიმის ნგრევის შემდგომ სულ უფრო მეტ ადამიანს ესმის, რომ საზოგადოების რადიკალური განახლება წარმოდგენელია პიროვნების ინტელექტუალური თავისუფლების, აზრთა უშიშარი გაცვლის შესაძლებლობის გარეშე. ერთადერთი სწორი გზა, ჩვენი ყველანაირი ავადმყოფობის წამალი არის სიტყვის თავისუფლება, თავისუფლება იმისა, რომ გქონდეს საკუთარი აზრი და შეგეძლოს გამოთქვა ის.

1988-1989 წლებში თანდათანობით დაიწყო იდეოლოგიური დიქტატისა და საზოგადოების ჰუმანიზაციის პროცესი. ეროვნული მოძრაობის გააქტიურების შემდგომ ქვეყანაში უქმდება ზედამხედველობა პერიოდულ გამოცემებსა და მხატვრულ ნაწარმოებებზე.

რასაკვირველია, პოსტტოტალიტარულ საქართველოში მანამდე აკრძალული ლიტერატურის (მათ შორის, ყველა თაობის მწერალ-ემიგრანტების შემოქმედების) გამოქვეყნებამ ხელი შეუწყო საზოგადოების ზნეობრივ და გონებრივ განვითარებას. ინფორმაციის გავრცელების უფლების დემონოპოლიზაციის პროცესში დაიწყო საჯარო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შექმნა (ბეჭდვითი ორგანოები, ტელეარხები, რადიოსადგურები).

ამ მოვლენებმა ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის დაწყებას საქართველოში. ბუნებრივია, ქვეყანაში, რომელიც გამოდის ტოტალიტარული სახელმწიფოს მაპარალიზებული წინეზიდან, არ შეიძლება სწრაფად აღმოცენდეს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის სრულყოფილი ფორმები.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია აცხადებს სიტყვისა და აზრის თავისუფლებას (მე-19 მუხლი). იმ დებულებათა რიცხვს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ უფლებას, განეკუთვნება დებულებები სიტყვისა და აზრის გამო ადამიანის დეენის, ასევე საკუთარი შეხედულებების გამოთქმის იძულების დაუშვებლობის (მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი), ინტელექტუალური შემოქმედების თავისუ-

ფლების (23-ე მუხლი), ინფორმაციის თავისუფლად მიღების, გავრცელების, ზეპირად ან წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით აზრის გამოთქმისა და გავრცელების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების, ცენზურის აკრძალვის (24-ე მუხლი) შესახებ.

თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სიტყვის თავისუფლებით სარგებლობის უფლება ადამიანს განსაკუთრებულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს აკისრებს, ის დაკავშირებულია განსაზღვრულ შეზღუდვებთან. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-19 მუხლის მე-3 ნაწ.) ითვალისწინებს განსახილველი თავისუფლების კანონიერ შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელია სხვა პირთა უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობრიობის დასაცავად. საქართველოს კონსტიტუცია აკონკრეტებს ამ დებულებებს 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქმე ბრანდერბურგი ოპიოს წინააღმდეგ (395 U.S. 444-1969). განმცხადებელმა, „კუ-კლუს-კლანის“ ორგანიზაციის წევრმა, ტელერეპორტაჟის დროს გამოთქვა აზრი, რომ თუ აშშ-ის პრეზიდენტი, კონგრესი და უმაღლესი სასამართლო შემდგომშიც გააგრძელებენ „თეთრი რასის დათრგუნვას“, მაშინ მისი ორგანიზაცია რევანშისტულ იდეებს იქადაგებს. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ „ზანგები უნდა დაბრუნდნენ უკან აფრიკაში, ხოლო ებრაელები – ისრაელში“. აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ განსაზღვრა, რომ კანონსაწინააღმდეგო მოქმედების საშიშროება უნდა იყოს არა მხოლოდ აქტუალური და რეალური, არამედ ასევე ორატორს უნდა ჰქონდეს წამქეზებლური ხასიათის ზრახვები, რაც ამ შემთხვევაში აშკარად სახეზეა, მით უმეტეს, რომ ორგანიზაცია, რომელსაც წარმოადგენდა ბრანდერბურგი, კარგა ხანია ცნობილი იყო, როგორც ექსტრემისტული ორგანიზაცია, რომელიც დროდადრო სასტიკად არბევდა შავკანიან და ებრაელ მოსახლეობას.

ცხადია, ამჟამად საქართველოში ახალი სახელმწიფოებრიობა და პოლიტიკური სისტემა სტაბილურად ფუნქციონირებას მხოლოდ მოქალაქეთა უმრავლესობის მხარდაჭერის პირობით შეძლებს. ყვე-

ლაზე მთავარი არის არა მხოლოდ მოსახლეობის ფართო მასების თანხმობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, არამედ ასევე გაცნობიერებული მონაწილეობა მათში, ნებაყოფლობითი სამოქალაქო თანამშრომლობა. ამასთან, ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, რომლითაც დემოკრატიულად მოწყობილ საზოგადოებაში სარგებლობენ სხვადასხვა თეორიული და იდეურ-პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენლები საკუთარი მოსაზრებების ოპონენტებამდე დასაყვანად, მათი კრიტიკისა და საკუთარი პოზიციების დასასაბუთებლად, არის რეალური, კანონით გარანტირებული აზრისა და სიტყვის თავისუფლება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სხვადასხვა, ხშირად კონფლიქტური პოზიციებისა და აზრების გამოძილავნება ობიექტურად დიდ როლს ასრულებს, რამეთუ ამით სამოქალაქო საზოგადოებაში წარმოიშობა კონსტრუქციული და მასზე „მომუშავე“ სოციალურ-პოლიტიკური შეფასებები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, გამოხატავენ უმრავლესობის ინტერესებს. ამრიგად, გამჭვირვალობა და იდეოლოგიური პლურალიზმი აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოებისათვის, რამდენადაც ისინი მთელი ხალხის ინტერესების დაცვის ჭეშმარიტად ყველაზე ეფექტიანი საშუალებებია.

მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ ვამცირებ პოზიტიურ როლს, რომელსაც ასრულებს მოქალაქის უფლება თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი, მაინც აღენიშნავ, რომ საქართველოს სინამდვილისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური დაძაბულობის პირობებში შეიმჩნევა დამორების ტენდენცია სამართლის ნორმასა და მისი რეალიზაციის პრაქტიკას შორის. სინამდვილეში სიტყვის თავისუფლება ხშირად იცვლება დემაგოგიით, პოლიტიკანობით და განსხვავებული აზრის დათრგუნვითაც კი. უდავოა ერთი: ასეთი პლურალიზმი შეურაცხყოფელია ფორმირების პროცესში მყოფი სამოქალაქო საზოგადოებისათვის. დემოკრატიულ სახელმწიფოში ადმინისტრაციული შეზღუდვებისაგან თავისუფალი პრესა ვალდებულია მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის იხელმძღვანელოს ზნეობრივი იმპერატივებით და მკაფიო ზღვარი გააულოს განსხვავებული აზრის დათრგუნვასა და კანონში დაფიქსირებული აკრძალვების დემონსტრაციულ დარღვევას შორის.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ არ შეიძლება აზრისა და სიტყვის თავისუფლების დისკრედიტაცია: დემოკრატია და პლურალიზმი საზოგადოებამ უნდა ისწავლოს. ზნეობრივად ჯანმრთელი, სამოქალაქო ღირსებით აღჭურვილი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ურთიერთგაგება, ურთიერთდათმობა და კომპრომისის ძიებისადმი სწრაფვა უკიდურესი შეხედულებების გამომხატველებს შორის. ცივილიზებულ სახელმწიფოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკუსიის მსვლელობისას არავის აქვს უფლება სხვას ძალით მოახვიოს თავს საკუთარი მოსაზრებები, ძირი გამოუთხაროს სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიულ პრინციპებს.

მიუხედავად სერიოზული პრობლემებისა, მაინც ვფიქრობთ, რომ საქართველო გავიდა იმ გზაზე, რომელიც ემთხვევა ზოგადცივილიზებული განვითარების ვექტორს. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქეები იწყებენ არა მხოლოდ სიტყვის თავისუფლების, როგორც უმაღლესი ღირებულების, აღქმას, არამედ იმის გაცნობიერებასაც, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური და შეგნებული მონაწილეობა ძირითადად შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც მოქალაქის უფლება, თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრები, გარანტირებულია კანონით.

პოზიტიური ცვლილებები საზოგადოებრივ ცნობიერებაში მოწმობს იმასაც, რომ კანონით გარანტირებული სიტყვის თავისუფლება თავისთავად ახდენს მოქალაქის დამოუკიდებელი აზროვნებისა და ცალკეული ინდივიდის სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის კულტივირებას, რითაც ამაღლებს საზოგადოების პოლიტიკურ კულტურას და აჩვენებს მას აზრის თავისუფლებას. გვექონდეს სწორი წარმოდგენა სიტყვის თავისუფლებაზე, ნიშნავს ცხადად წარმოვიდგინოთ, რომ ის არის ფაქტორი, რომელიც ახდენს სახელმწიფოს ბუნების განსაზღვრას. აზრისა და სიტყვის რეალურ თავისუფლებას შეუძლია არა მხოლოდ აგვაცილოს ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემისაკენ მიბრუნება, არამედ ასევე მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყოს დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, შექმნას სტაბილური პირობები მისი შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

### 6.3.3. გაერთიანების უფლება

გაერთიანების კონსტიტუციური უფლება მოქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ხასიათის უფლებაა, რომლის რეგლამენტაცია მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლში.

გაერთიანების უფლება გულისხმობს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში საზოგადოებრივი გაერთიანების, პროფესიული კავშირის, პოლიტიკური პარტიისა და სხვა პოლიტიკური გაერთიანების შექმნას და მათში თავისუფალ საქმიანობას, აგრეთვე ყველა გაერთიანების თანასწორობას.

აქ უწინარესად საუბარია მოქალაქეთა ნებაყოფლობით გაერთიანებაზე ინტერესთა ერთიანობის მიხედვით საერთო მიზნების სარეალიზაციოდ, ანუ ამ შემთხვევაში საუბარია კოლექტიურ თავისუფლებაზე, ჯგუფური ინტერესების დაცვასა და კანონიერი ინტერესების განხორციელების შესაძლებლობაზე.

კონსტიტუციის 26-ე მუხლი გულისხმობს არა მხოლოდ საკუთრივ გაერთიანების შექმნის უფლებას, არამედ ასევე მასში თავისუფლად შესვლისა და შესვლაზე უარის თქმის უფლებას. გაერთიანებაში შესვლაზე უარის თქმას და გაერთიანებიდან გამოსვლას სხვაგვარად „გაერთიანების ნეგატიურ თავისუფლებასაც“ უწოდებენ.

საბოლოო ჯამში, დაცვას ექვემდებარება გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობა (მაგალითად, მისი მონაწილეების კრების ჩაატარება).

კანონმდებელს შეუძლია შეზღუდოს გაერთიანების სახის დამოუკიდებლად არჩევის თავისუფლება იურიდიული პირების სავალდებულო ფორმების დადგენის გზით. უპირველეს ყოვლისა, მან უნდა იზრუნოს იმაზე, რომ საკანონმდებლო დანაწესებმა არ შექმნან პრობლემები გაერთიანების უფლების სარეალიზაციოდ.

გაერთიანების უფლება არის სახელმწიფოს თვითნებობისაგან უფლების დაცვის კლასიკური მაგალითი. სახელმწიფომ არ უნდა აუკრძალოს კერძო პირს შევიდეს ან არ შევიდეს გაერთიანებაში. კანონმდებელი ვალდებულია შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების მეშვეობით განამტკიცოს ეს ძირითადი უფლება.

სახელმწიფოს მხრიდან გაერთიანების თავისუფლების დარღვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს გაერთიანების შექმნის სტალიიდან მის დაშლამდე. შეზღუდვად არ ითვლება ის ნორმები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავენ გაერთიანების სახეს.

მოქალაქეთა საერთო კონსტიტუციური თანასწორობიდან და თავისუფლებიდან გამომდინარე, გაერთიანების უფლება, ჩვეულებრივ, გულისხმობს ყველა გაერთიანების თანასწორობისა და თავისუფალი საქმიანობის პრინციპს. კანონისათვის არ აქვს მნიშვნელობა პოლიტიკური გაერთიანების რიცხოვნულ თუ ავტორიტეტულ შემადგენლობას. რაიმე სახის პრივილეგია ამ შემთხვევაში ყოველად დაუშვებელია. მათ ყველას ენიჭება საქმიანობის თანაბარი შესაძლებლობები და მასშტაბები (ბაზარი). ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოში ჩამოყალიბდა მრავალპარტიული სისტემა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოში პოლიტიკური და იდეოლოგიური პლურალიზმის გამოხატულებას, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო ცნობს და უზრუნველყოფს მოქალაქეთა გაერთიანების უფლებას თავიანთი პოლიტიკური და სხვა შეხედულებების მიხედვით. ეს ატარებს არა ფორმალურ, არამედ რეალურ ხასიათს, რომელიც ქმნის საქართველოში სოციალური და პოლიტიკური ინტერესების მთელ სპექტრს.

იმავდროულად, კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი საჯარო (საზოგადოებრივი) ინტერესებიდან გამომდინარე კრძალავს ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნასა და საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობას ან ძალადობით შეცვლას, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა კვლავ მივმართოთ უცხოურ გამოცდილებას. საქმეში „გოფმანის სამხედრო-სპორტული ჯგუფი“ (Сборник решений Федерального административного суда ФРГ – 61, 218) მოცემული ჯგუფი წარმოადგენს ომისშემდგომ ორგანიზაციას, რომელიც თავისი საქმიანობის მოწოდებით იყო ნაციონალ-სოციალიზმის მომხრე.

გადამწყვეტი მოცემულ შემთხვევაში აღმოჩნდა ის გარემოება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ამ გაერთიანების საქმიანობა მიჩნეულ იქნა აგრესიულად, რაც მიმართული იყო კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ამ ჯგუფის საქმიანობის სრული აკრძალვის შესახებ. მის მიმართ უფრო მსუბუქი ზომის გამოყენება, ანუ მისთვის მხოლოდ საქმიანობის ამა თუ იმ სახის აკრძალვა, შეუძლებელი იყო. ეს გაკეთდებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაცულ სამართლებრივ ღირებულებებს საფრთხე დაემუქრებოდა მოცემული გაერთიანების ამა თუ იმ სახის საქმიანობის განხორციელების შედეგად.

უნდა ითქვას, რომ გაერთიანების უფლება ქვეყნების უმრავლესობაში არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, ე.ი. შესაძლებელია მისი შეზღუდვა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შემოდების შემთხვევაში. საქართველოს კონსტიტუციით კი გაერთიანების უფლება ასეთ პირობებში არ იზღუდება. კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შეჩერება ან მათი არძალვა და ისიც მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

მართალია, გაერთიანების უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, მაგრამ კონსტიტუცია ითვალისწინებს ასევე შეზღუდვებს მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიის მიმართ. კერძოდ, კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური გაერთიანების წევრობა შეუწყდება პირს, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, ან თუ გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად.

სხვათა შორის, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საზოგადოებრივ გაერთიანებებში შესვლაზე უარის შემთხვევაში კონსტიტუციური უფლების დაცვის პრობლემა, ჩვეულებრივ, აღმოცენდება პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით. საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხებში ერთობ მრავალმხრივია, რაც საგულისხმოა ქართული სინამდვილისათვის.

საქმეში იანგი, ჯეიმსი და ვებსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Young, James and Webster, *Серия А.*, №44) საუბარი

ეხებოდა ბრიტანელი რკინიგზელების საბუშაოდან განთავისუფლების მუქარას პროფკავშირებში გაწევრიანებაზე იძულების მიზნით, როგორც საბუშაო ადგილის მიღების პირობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განთავისუფლების მუქარა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საარსებო საშუალებების დაკარგვა, წარმოადგენს იძულების უკიდურესად მძიმე ფორმას. იანგს, ჯეიმსსა და ვებსტერს გაანთავისუფლებდნენ, თუ არ შევიდოდნენ პროფკავშირებში. მსგავსი იძულება, სასამართლოს აზრით, ხელყოფს გაერთიანების უფლების იდეას.

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შინაარსიდან გამომდინარე ადვილად შესაძინევია, რომ უწინარესად საუბარია მოქალაქეთა ნებაყოფლობით გაერთიანებაზე ინტერესთა ერთიანობის მიხედვით საერთო მიზნების სარეალიზაციოდ, ანუ დაუშვებელია პირის იძულება გაერთიანებაზე. ამ წესიდან გამონაკლისები მკაცრად უნდა გაკონტროლდეს.

#### 6.3.4. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით ყველასათვის გარანტირებული უფლება, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ, ობიექტურ კავშირშია სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფასთან. მოცემული უფლება განეკუთვნება დემოკრატიული თანამეგობრობის განუყოფელ და ფუძემდებლურ ფუნქციურ ელემენტს.

ამ შემთხვევაში ტერმინი „ყველას“ ნიშნავს, რომ ეს უფლება აქვთ როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ისე უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რაც შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლს. ამ უფლების მატარებლები არიან ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მათ თავად არ შეუძლიათ „შეიკრიბონ“, მაგრამ, როგორც წესი, შეუძლიათ შეკრებების ორგანიზება.

თუმცა, ტერმინი „ყველა“ არ ვრცელდება მოქალაქეთა გარკვეულ კატეგორიაზე, რომლებიც თავისი პროფესიული ან სამსახურებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებულ ურთიერთობებ-



ში იმყოფებიან სახელმწიფოსთან და სარგებლობენ განსაკუთრებული სტატუსით. ესენია: სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში მყოფი პირები.

საქმეში ეზელინი საფრანგეთის წინააღმდეგ (Ezelin v. France, Европейский Суд по правам человека -- Серия А, №202) კარგად ჩანს მოცემული უფლების გავრცელების ფარგლები. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული საქმის მიხედვით ეზელინის უფლების ხელყოფა არ მომხდარა საქართველოში, ანალოგიის თვალსაზრისით ის მაინც საინტერესოა, ვინაიდან აღნიშნული უფლების სფეროში ფაქტობრივად მოქმედებს ერთიანი ევროპული სტანდარტი.

მომჩივანი მუშაობდა ადვოკატად. 1983 წელს მან მონაწილეობა მიიღო დემონსტრაციაში საში პირის გასამართლების გამო. გენერალურმა პროკურორმა მის წინააღმდეგ აღძრა დისციპლინური საქმე. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ შეკრების ჩატარების თავისუფლებას ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, რომ ის არ ითვალისწინებს მსგავს შეზღუდვას ისეთი პროფესიის წარმომადგენლებისთვის, როგორც არიან ადვოკატები. როგორი მცირეც არ უნდა იყოს შეზღუდვა, მისი აუცილებლობა არ არის დემოკრატიულ საზოგადოებაში და ის არღვევს კონვენციის მე-11 მუხლს.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი იცავს როგორც საჯარო, ისე არასაჯარო შეკრებებს, რომლებიც იმართება როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ, ანუ ღია ცის ქვეშ. საგულისხმოა, რომ ადამიანების ერთად ყოფნის ყოველი ფაქტი არ განიხილება შეკრებად. მაგალითად, ისინი შეიძლება სრულიად შემთხვევით აღმოჩნდნენ ერთსა და იმავე ადგილზე. ეს, რასაკვირველია, ვერ მოხდება შეკრების თავისუფლების შინაარსში. ამისათვის აუცილებელია შინაგანი კავშირები. ამიტომ ადამიანების თავმოყრა (მაგალითად, საგზაო შემთხვევის დროს) არ წარმოადგენს შეკრებას. თუმცა, ადამიანთა ასეთი შემთხვევითი თავმოყრაც განსაზღვრულ პირობებში შეიძლება იქცეს შეკრებად.

დღემდე სადავოა საკითხი შეკრებაში მონაწილე ადამიანების რაოდენობის შესახებ. 25-ე მუხლის შინაარსი ვრცელდება ორი პირისაგან შემდგარ შეკრებაზეც. თუ მხკველობაში მივიღებთ დემონ-

სტრაციის ჩატარების თავისუფლებასაც, მაშინ გამორიცხული არ არის ერთადერთი „დემონსტრანტის“ არსებობის შესაძლებლობაც.

25-ე მუხლი სახელმწიფო ორგანოების მიერ ხელყოფისაგან იცავს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან, უიარაღო შეკრებას.

მშვიდობიანია შეკრება, თუ მას არ ახასიათებს ძალადობა და წაბქეზებლობა რაიმე კანონსაწინააღმდეგო მოქმედების განსახორციელებლად. ამასთან, ძალადობის შინაარსი ითვალისწინებს სამართლადამრღვევის აქტიურ ფიზიკურ ზემოქმედებას სხვა პირებზე ან საგნებზე. თანაც, ასეთი ზემოქმედება უნდა იყოს აგრესიული და მნიშვნელოვანი. ასეთ შემთხვევაში სამართლდამრღვევი ვერ ისარგებლებს 25-ე მუხლის დაცვის უფლებით. მსუბუქი საგნების სროლა (მაგალითად, კვერცხი, პომიდორი) განხილულ უნდა იქნეს დიფერენცირებულად. გადამწყვეტია: ატარებდა ეს მოქმედება შოუს ხასიათს თუ მისი მიზანი იყო ტრავმის მიყენება ან შეურაცხყოფა.

ისეთი საგნები, რომლებსაც აქვთ მხოლოდ დამცავი საშუალებების დანიშნულება (დამცავი სათვალეები, ჩაფხუტი, აირწინალი) არ განიხილება იარაღად.

შეკრების სათანადო კვალიფიკაციისას აუცილებელია ცალკეული პირების არაკორექტული ქცევის განხილვა. თუ სამართალდარღვევა ხორციელდება არა მთელი შეკრების, არამედ მხოლოდ ცალკეული პირების მიერ შეკრების ფარგლებში და შეკრება მთლიანობაში ატარებს მშვიდობიან ხასიათს, მაშინ მათი მოქმედებით შეკრების ხასიათი არ შეიცვლება. ანუ შეკრება იქნება მშვიდობიანი, ხოლო ცალკეული სამართალდამრღვევები პასუხს აგებენ მათ მიერ ჩადენილი ქმედებისათვის.

სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის ზომები ყოველთვის არ შეიძლება ცალსახად შევაფასოთ. კანონით დადგენილ ზომებს განეკუთვნება ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა და ხელისუფლებისაგან თანხმობის მიღება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამობრაო ადგილას იმართება (კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

სხვათა შორის, ზოგიერთი ევროპული სახელმწიფო კიდევ უფრო შორს მიდის და აწესებს დამატებით შეზღუდვებს, რაც ხელისუფ-

ლების ორგანოების გამართული საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარეობს. კერძოდ, ეს ნათლად ჩანს საქმიდან „დახურული ზონა შეკრებებისათვის“ (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო, ვენა, 30.11.95 წ., 1495/94). შეკრებების შესახებ ავსტრიის კანონის შინაარსიდან გამომდინარე, პარლამენტის სესიის პერიოდში იკრძალება შეკრება ღია ცის ქვეშ შესაბამისი შენობიდან 300 მეტრზე ახლო მანძილზე. მომჩივანმა 1993 წლის 26 მაისს მონაწილეობა მიიღო ვენის თეატრის წინ გამართულ შეკრებაში, რომელიც ტარდებოდა 11:00 საათიდან 11:25 საათამდე ეროვნული საბჭოს რეზიდენციიდან 300 მეტრზე ახლო მანძილზე, სადაც იმავე დროს მიმდინარეობდა სესია. მან რამდენიმე ათეულ პიროვნებასთან ერთად შეკრების დაშლის შემდეგ უარი განაცხადა დაეტოვებინა მისი ჩატარების ადგილი.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი. კანონით გათვალისწინებული შეზღუდვა შეკრების ჩატარებაზე შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტს, რადგანაც შეკრება, რომელიც იმართება საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის ადგილის უშუალო სიახლოვეს, ეწინააღმდეგება ეროვნული და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ასევე სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებს. სხვა სიტყვებით, პარლამენტარებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ჩაატარონ სხდომა „ქუჩიდან ზეგავლენის გარეშე“.

დემონსტრაციის საერთოდ აკრძალვა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურად არსებობს იმის საფრთხე, რომ ის გამოიწვევს საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვან დარღვევებს. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის აზრით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით, დემონსტრაციის საერთოდ აკრძალვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია აუცილებლობით ნაკარნახევი, როცა არ არსებობს დემონსტრაციის ადგილისა და დროის შეზღუდვის მეშვეობით წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

მსგავსი პოზიცია დაფიქსირდა საქმეში „ქრისტიანები რასიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია, 16.07.80, 8440/78).

მომჩივანმა გაერთიანებამ პროტესტი გამოხატა 1978 წლის 22 აპრილს ლონდონში ერთ-ერთი დემონსტრაციის გამართვის თაობაზე. ლონდონის პოლიციის შეფმა განკარგულება გასცა ორი თვის ვადით ლონდონის ცენტრში ყველა საზოგადოებრივი დემონსტრაციის აკრძალვის თაობაზე, გარდა რელიგიური, აღმზრდელობითი, საზეიმო და ცერემონიული პროცესიებისა, რომლებიც იმართებოდა ამ რაიონში. მთავრობამ ეს აკრძალვა დაასაბუთა იმით, რომ მოცემულ პერიოდში ლონდონში სუფევდა ძალზე დაძაბული ვითარება და ამიტომ არსებობდა სავსებით დასაბუთებული საშიშროება, რომ მემარჯვენე-ექსტრემისტული ეროვნული ფრონტის დემონსტრაციებს შეიძლება გამოეწვია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. კომისიამ ამ შეთხვევაში მხარი დაუჭირა აზრს, რომ პასუხისმგებელი ინსტანციები მოცემულ ვითარებაში მოიქცნენ გონივრულად, აკრძალეს რა „სახიფათო“ პერიოდის განმავლობაში ყველა მარში და დემონსტრაცია, გარდა ტრადიციულად ჩასატარებელი ღონისძიებებისა.

### 6.3.5. პეტიციის უფლება

საქართველოს კონსტიტუციაში არ არის პირდაპირი ნორმა, რომელიც კონსტიტუციურ დონეზე აღიარებს პეტიციის უფლებას. თუმცა, კონსტიტუციაში, რომელიც ზოგად ფარგლებში აღიარებს აზრის, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას, არ არის უფრო ვიწრო უფლების – პეტიციის უფლების აღიარების აუცილებლობა.

მიემართოთ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლს, რომლის თანახმად, საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც კონსტიტუციაში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან. მაშინ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ ერთ-ერთ ძირითად უფლებას საქართველოს კონსტიტუცია ირიბი ფორმით მაინც აღიარებს.

პეტიცია არის წერილობითი სახით კოლექტიური თხოვნის შეტანა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში, პეტიცი-

ის უფლება კი — ადამიანის ერთ-ერთი კონსტიტუციური პოლიტიკური უფლება წერილობითი მოთხოვნით, წინადადებით, საჩივრით მიმართოს ხელისუფლებას, რაზეც ხელისუფლება ვალდებულია დადგენილი წესით მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

პეტიციის უფლება დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა მისგან გამოძღინარეობს დამატებითი დაცვითი ფუნქციები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მხოლოდ აზრის გამოხატვის თავისუფლებით.

რასაკვირველია, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმდენად უსამართლო და აღმამფოთებელია, რომ იწვევს დიდ საზოგადოებრივ ინტერესს მისი გადასინჯვის მიზნით. სწორედ აქ ვლინდება პეტიციის უფლების მთელი ეფექტიანობა. პეტიციის უფლება მიზნად ისახავს, რომ კიდევ ერთხელ მოხდეს საკითხის განხილვა იმ პირობებში, როცა ჩვეულებრივი სამართლებრივი შესაძლებლობები ამოწურულია.

მოცემული ინსტრუმენტი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაცვის თვალსაზრისით ფრთხილად უნდა იყოს გამოყენებული. არსებობს საშიშროება, რომ პეტიციის უფლების გაერყელებისას შეიძლება დაირღვეს სახელმწიფო-სამართლებრივი პროცესუალური ნორმები და სააპელაციო ინსტანციების ჩარევის შედეგად წახალისდეს ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებების ძიების თვითნებობა.

სიტუაცია, როცა ზემდგომი ინსტანციები ერევან ისეთ სფეროში, რომლისთვისაც გათვალისწინებულია გადაწყვეტის ჩვეულებრივი სამართლებრივი გზები, გამონაკლისი უნდა იყოს.

პეტიციის უფლება არ არის ჩვეულებრივი სამართლებრივი საშუალება. ის არ უზრუნველყოფს მხარეთა უფლებებს. მაგალითად, მიმართვის ავტორს არ შეუძლია ხელისუფლებისაგან მოითხოვოს პასუხი მის მიმართვაზე ან მისი პოზიციის სხვაგვარი დაფიქსირება. ხელისუფლება თავისუფალია ამ საკითხის გადაწყვეტაში.

როგორც წესი, პეტიციის უფლებით აღჭურვილი არიან მხოლოდ მოქალაქეები. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი აზრის გამოხატვის უფლებას მიაკუთვნებს ადამიანის უფლებათა რიცხვს, ხოლო

პეტიციის უფლება უნდა განვიხილოთ, როგორც აზრის გამოხატვის თავისუფლება, ამიტომ, ეს უფლება მოქალაქეების გარდა ენიჭებათ ასევე უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

#### §4. სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები

ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების განსაკუთრებულ და სპეციფიკურ ჯგუფს ქმნიან სოციალურ-ეკონომიკური უფლებები.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ შემოგვთავაზა სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების სრულიად ახალი იდეოლოგიური ვერსია და შინაარსობრივი დატვირთვა. უწინარესად, ეს გამოიხატა ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობაში, საკუთრების უფლებისა და სოციალური ორიენტაციის პრიორიტეტულ აღიარებაში. ანუ სახელმწიფოს განსხვავებულმა ეკონომიკურმა და სოციალურმა როლმა რადიკალურად შეცვალა აღნიშნულ სფეროში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კონსტიტუციური გარანტიების ხასიათი. თუ ადრინდელ მიდგომაში მკაფიოდ ვლინდებოდა სახელმწიფოს მონოპოლისტური მდგომარეობა თუნდაც ეკონომიკურ სფეროში, ამჯერად ახალმა კონცეფციამ გაათანაბრა ადამიანისა და სახელმწიფოს მდგომარეობა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ დაკარგა ზემოხსენებული გარანტიების დაცვის ფუნქცია. პირიქით, არა თუ დაკარგა, არამედ სწორედ ის არის ვალდებული შექმნას ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების სახელმწიფო გარანტიები და უზრუნველყოს მათი დაცვის ფორმებისა და მეთოდების ფართო სისტემის საკანონმდებლო განმტკიცება.

სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო-სამართლებრივი რეგლამენტაცია და დაცვა დაიწყო ჯერ კიდევ 1948 წელს, როცა ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებები და თავისუფლებები განმტკიცდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში. 1961 წელს ევროპის საბჭომ მიიღო

ევროპის სოციალური ქარტია, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ ჯგუფის უფლებების უდიდესი საკაცობრიო მნიშვნელობა. სხვათა შორის, ადამიანის სოციალური დაცვის ევროპული სტანდარტები იმდენად მაღალია, რომ დღემდე ყველა სახელმწიფოს როდი აქვს რატიფიცირებული მოცემული დოკუმენტი. მისი რატიფიცირება საქართველოსთვისაც მომავლის ამოცანას წარმოადგენს.

დღესდღეობით სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მნიშვნელობა პიროვნების სამართლებრივი სტატუსის უზრუნველყოფისათვის დაეას არ იწვევს. როგორც აღინიშნება საერთაშორისო პაქტში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, თავისუფალი ადამიანის იდეალი შეიძლება მხოლოდ მაშინ არსებობდეს, თუ შეიქმნება ისეთი პირობები, რომელთა დროსაც თითოეულს შეუძლია ისარგებლოს თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით ისევე, როგორც თავისი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით. ეს თვალსაზრისი განამტკიცა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1986 წლის 4 დეკემბრის რეზოლუციით, როცა აღიარა ეკოლოგიური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განუყოფლობა და ურთიერთდამოკიდებულება.

საქართველოს კონსტიტუციაში განმტკიცებულ სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს მიეკუთვნება შრომის თავისუფლება, საკუთრების უფლება, ოჯახის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფის უფლება, ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების უფლება, გაფიცვის უფლება, განათლების უფლება, შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობით სარგებლობის უფლება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

#### 6.4.1. ოჯახის დაცვა

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი იმ ღირებულებების მომხრეა, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერ საჯარო აქტში და, პირველ ყოვლისა, რეალიზდებოდეს

კანონმდებლობაში. თუმცა, ტრადიციულმა ღირებულებებმა არახელსაყრელ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს ერთობლივი ცხოვრების ისეთი ფორმები, როგორცაა „ქორწინების“ გარეშე ოჯახები და სხვ. აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი თანაბრად განიხილავს ოჯახურ ცხოვრებას როგორც „ქორწინების გარეშე“, ისე „ქორწინებით“. ანუ ტრადიციული ოჯახის პრიორიტეტი დღეს არ წარმოადგენს „ქორწინების გარეშე“ ოჯახების შეზღუდვის გამართლებას.

დედობის ძირითადი უფლების დაცვა მოქმედებს ფეხმძიმობისა და ჩვილის მოვლისა და აღზრდის პერიოდში. კანონმდებლობა, რომელიც არ ითვალისწინებს მოცემულ კონსტიტუციურ გარანტიას, ცნობილ უნდა იქნეს ანტიკონსტიტუციურად.

პრაქტიკაში მოცემული გარანტია გაორებულია: თუ კანონმდებლობა დედობას დაიცავს სამუშაოს მიმცემის ხარჯზე, მაშინ ახალგაზრდა ქალებს ძალზე გაუჭირდებათ სამუშაოზე მოწყობა. კეთილი განზრახვა საბოლოო ჯამში იქცევა უფლების დარღვევად.

დედობის დაზღვევის საკანონმდებლო რეგულირების გარეშე კონსტიტუციური გარანტია რჩება ცარიელ დაპირებად. დედა, რომელიც აღმოჩნდა რთულ მდგომარეობაში, ვერ შეძლებს მხოლოდ კონსტიტუციური დებულების საფუძველზე მიაღწიოს დახმარებას სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად. ვინაიდან ამ კონსტიტუციურ დებულებას არ აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა, შესაძლებელია ვიწრო გაგებით ის არც უნდა განიხილებოდეს როგორც კონსტიტუციური უფლება.

ბავშვის აღზრდა წარმოადგენს იმპედროულად როგორც უფლებას, ისე მოვალეობას. ნებისმიერ შემთხვევაში კონსტიტუცია ადგენს მშობლის აღმზრდელობითი როლის პრიმატს სახელმწიფოს აღზრდასთან მიმართებაში. ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდება სხვაგვარი რედაქციით, რომელიც ხაზს გაუსვამდა არა სახელმწიფოს უპირატეს აღმზრდელობით ფუნქციას, არამედ მის მოვალეობას სკოლამდელი აღზრდის უფასო სოციალურ გარანტიებზე. რთულ სიტუაციებში აღზრდის საკითხები უნდა გადაწყვიტონ არა სკოლების ადმინისტრაციებმა, არამედ მშობლებმა.



ეს დებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასკოლო სწავლებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ერთსა და იმავე სკოლაში შეიძლება ისწავლებოდეს სხვადასხვა უცხო ენა: გერმანული, ინგლისური, ესპანური და იტალიური. სკოლა თავის თავზე იღებს ენების განაწილებას. თუმცა, მშობლის უფლების პრიმატის შესაბამისად სწორედ მშობელმა და არა სკოლის ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს, რომელი ენა უნდა შეისწავლოს ბავშვმა.

სირთულეები შეიძლება აღმოუცენდეს იმ მშობლებს, რომლებიც ცხოვრობენ ცალ-ცალკე, ან არიან განქორწინებული. ამ შემთხვევაში ცხადი უნდა იყოს, რომ ბავშვის კეთილდღეობა წარმოადგენს გადაწყვეტს იმ საკითხში, თუ ვინ უნდა აღზარდოს ბავშვი. ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, შვეციისა და გერმანიის კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ განქორწინებისას ნარჩუნდება ერთობლივი აღზრდის უფლება, რაც სრულიად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის დედააზრს. სულ უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს ერთ-ერთი მშობლის მიერ ბავშვის გაყვანა სახელმწიფო საზღვრებს გარეთ. ამ შემთხვევაშიც, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის პოზიციის თანახმად, ბავშვის კეთილდღეობა არის გადაწყვეტი კრიტერიუმი (ფეი კოლუმბიის წინააღმდეგ, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი: U.N. Doc. CCPR/C/53/D/514/1992-1995).

„ოჯახის“ ცნება განსაზღვრული არ არის. თუ კონსტიტუცია ეყრდნობა მხოლოდ ჩვეულებრივი ოჯახის ნორმატიულ გაგებას. საქართველოში მოქმედი საოჯახო კანონმდებლობის შესაბამისად, მაშინ ეს ნორმა არ შეიძლება ვცნოთ კონსტიტუციური ნორმის სახით. ოჯახის ცნებას უნდა ჰქონდეს უფრო ფართო მნიშვნელობა, ვიდრე საზოგადოებრივი თანაცხოვრების „პირველადი უჯრედისა“. ამგვარად, დაცვას ექვემდებარება არა მხოლოდ მშობლებისა და შვილების ურთიერთობა, არამედ ოჯახური ცხოვრების ისეთი ფორმებიც, როგორცაა:

- ბებია და ბაბუა ბავშვებთან ერთად;
- მამობილი და დედობილი ან მშობლები, რომლებიც უვლიან ბავშვს შეილად აყვანის გარეშე, ბავშვებთან ერთად;

– ქორწინების გარეშე წყვილები ბავშვებთან ერთად ან მათ გარეშე და ა.შ.

ამას ადასტურებს საერთაშორისო პრაქტიკაც. მაგალითად, განვიხილოთ საქმე „მონაკო დე გალიჩიო არგენტინის წინააღმდეგ“ (Monaco de Gallichio v. Argentina: გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი; U.N. Doc. CCPR/C/53/D/400/1900-1995).

1977 წლის 5 თებერვალს 9 თვის ქსიმენია ვივარიოს დედა ქსიმენიასთან ერთად წარადგინეს ბუენოს-აირესის ფედერალური პოლიციის შტაბ-ბინაში. რამდენიმე დღის შემდეგ დააკავეს მისი მამაც. დაპატიმრების შემდეგ პატარა გოგონას მშობლები უკუკალოდ გაქრნენ, მათი ადგილმდებარეობის დადგენა ვერ მოხერხდა. 1984 წელს ქსიმენია ვივარიოს ბებიამ თავისი შვილიშვილი აღმოაჩინა ერთ მუდლასთან, რომელმაც იშვილა ის, და მიმართა სასამართლოს, განაცხადა რა თავისი უფლებების შესახებ ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით. სისხლის გენეტიკური ანალიზის მეშვეობით ბებიასა და შვილიშვილს შორის დადგინდა ნათესაური კავშირი 99,82%-ის ალბათობით. იმ დროისათვის ბავშვის დაბადების თარიღი უკვე შეცვლილი იყო და ბავშვი ატარებდა თავისი მშვილებლის გვარს. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბებიის სარჩელი.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ეს მიიჩნია ოჯახური უფლების აშკარა დარღვევად.

საინტერესოა საკითხი ქორწინების შესახებ იმ პირებს შორის, რომლებიც იხდიან სასჯელს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ ჯერ კიდევ 1980 წელს მიიღო დადებითი გადაწყვეტილება ორ საქმეზე – დრეიპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ და ჰამერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Draper v. U.K. DR. 24, 72; Hammer v. U.K. DR 24, 5). გადაწყვეტილების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად პატიმრებს აქვთ ქორწინების უფლება.

ის, რომ ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულება შეუძლებელია სასჯელის მოხდის დროს, არ განიხილება მათთვის ამ უფლების ჩამორთმევის მიზეზად, რადგან ქორწინება ემყარება ნებაყოფლობით აღებულ სამართლებრივ მოვალეობებს (კონსტიტუციის 36-

მუხლის 1-ლი პუნქტი) და რომც არ შეიძლებოდეს მათი რეალიზაცია, ის ხელს უწყობს დამნაშავეის სოციალურ ადაპტაციას.

#### 6.4.2. სოციალური უზრუნველყოფის უფლება

სოციალური უზრუნველყოფის უფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური უფლებაა. ეს უფლება გულისხმობს მოხუცებულობის, დროებითი ან მუდმივი შრომისუნარიანობის ან მარჩენალის დაკარგვის, სიღარიბის შემთხვევაში პენსიებისა და დახმარებების მიღებას სახელმწიფოსაგან. ამასთან, პენსიებისა და დახმარებების ოდენობა და პირობები განისაზღვრება კანონით.

საქართველოში, 1995 წლის კონსტიტუციის 32-ე მუხლით, სოციალური უზრუნველყოფის უფლება აქვთ ასევე უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეებს, რომლებსაც არ გააჩნიათ საარსებო საშუალებები. ეს ფაქტობრივად არის კონსტიტუციური სიახლე, რადგანაც ადრე უმუშევრად დარჩენილ პირებს არა თუ არ ჰქონდათ სოციალური უზრუნველყოფის უფლება, არამედ ხშირ შემთხვევაში დგებოდა მათი იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან სოციალიზმის პირობებში შრომის უფლება თავისთავად მოქალაქეთა მოვალეობასაც წარმოადგენდა.

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს სიახლე დღემდე დარჩა კაზუსტურ ნოველად და მისი პრაქტიკული რეალიზაციის პერსპექტივა არც ისე ახლო მომავლის საქმეა. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონსტიტუციის პირდაპირი მოქმედების პრინციპი ამ ნაწილში არ მოქმედებს. რადგანაც ის არ მოქმედებს, ამიტომ აქ საუბარია არა კონსტიტუციურ უფლებაზე, რომლის რეალიზაცია ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი, არამედ კონსტიტუციის საპროგრამო ნაწილზე, რომელიც უნდა წარმოადგენდეს კანონმდებლის ორიენტირს. მოქალაქეები არაფერს დაკარგავენ, თუ 32-ე მუხლი საერთოდ არ იქნებოდა კონსტიტუციაში.

როგორც აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობით ძირითადად გათვალისწინებულია სოციალური უზრუნველყოფის ორი ფორმა: სახელმწიფო დახმარება და სოციალური დაზღვევა. იმავდროულად

სახელმწიფო ხელს უწყობს ნებაყოფლობით სოციალურ დაზღვევას და ქველმოქმედებას.

მართალია, საქართველოს კონსტიტუციაში არ არის გამოკვეთილი სოციალური უზრუნველყოფის უფლება ცალკე მუხლის სახით, თუმცა, თუ გადავხედავთ ანგლოსაქსური სამართლის სისტემის ქვეყნების კონსტიტუციებს, მათში საერთოდ არ გვხვდება სოციალური უზრუნველყოფის უფლების შესახებ რაიმე სპეციალურად ჩამოყალიბებული ნორმა, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში არ არსებობს სოციალური დაცვის სისტემა. ალბათ, უფრო პირიქით.

იმ შემთხვევაში, როცა პირს არ ყოფნის საკუთარი სახსრები და ნათესაების მხრიდან დახმარება, სახელმწიფო ვალდებულია თავად აღმოუჩინოს დახმარება ხელმოკლე ადამიანს მისი სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. სოციალური უზრუნველყოფის უფლების რეალიზაცია დაკავშირებულია სხვა უფლებებთან, მათ შორის, სათანადო დონეზე ცხოვრების უფლებასთან, ოჯახის დაცვისა და დახმარების მიღების უფლებასთან და სხვ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლი მიუთითებს: „თითოეულ ადამიანს უფლება აქვს იყოს ისეთ ცხოვრებისეულ დონეზე, რომელიც გულისხმობს საკვების, ტანისამოსის, საცხოვრისის, სამედიცინო მოვლისა და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია თვით მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და ღირსებისათვის, ადამიანს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიბერეში დაუძლურების თუ მისგან დამოუკიდებლად არსებობისათვის სხვა საშუალებების დაკარგვის შემთხვევაში“.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის საპროგრამო დებულება სხვა თვისებებთან ერთად ითვალისწინებს სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრებას. ძნელია იმის თქმა, რომ კონსტიტუციის მიღების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა ამ თვალსაზრისით. საკმარისია გავიხსენოთ არა თუ თვეობით, არამედ წლობით გაუცემელი პენსიები და დახმარებები. აღარაფერს ვამბობ მრავალათასიან უმუშევართა არმიაზე, რომლებსაც, ბედის ანაბარად მიტოვებულებს, წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ საქართველოს კონსტიტუცია მათ-

თვისაც ზრუნავდა. მაგრამ, ზრუნავდა მხოლოდ კონსტიტუცია და არა ხელისუფლება, რომელსაც თითი თითზე არ დაუდია თავისი უპირველესი მოვალეობის შესასრულებლად – საქართველოს კონსტიტუციის ცხოვრებაში გასატარებლად. შედეგიც ადეკვატური: „ვარდების რევოლუცია“, რომელშიც სოციალურად სრულიად დაუცველმა ადამიანებმა, ანუ მოსახლეობის 70%-ზე მეტმა დაინახა უკეთესი მომავლისა და ცხოვრების იმედი, ისეთის, რომელზეც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლში წერია.

დღეს სახელმწიფო, როგორც სოციალურად ორიენტირებული უმთავრესი სუბიექტი, ვალდებულებას იღებს ცხოვრებაში გაატაროს განსაზღვრული სოციალური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა ღირსეულად და თავისუფლად ცხოვრებას. თუმცა, ამისათვის ჯერ კიდევ მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზით გამოწვეული პრობლემა არის მოსაგვარებელი.

#### 6.4.3. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ჯანმრთელობის დაცვის უფლება ასევე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს სოციალურ-ეკონომიკური უფლებების სისტემაში.

როგორც წესი, მის ძირითად შინაარსს შეადგენს უფასო სამედიცინო დახმარების მიღება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებში. ამ უფლებას განამტკიცებს ასევე სახელმწიფო მოვალეობა განახორციელოს საერთო ღონისძიებები მოსახლეობის ჯანმრთელობის დასაცავად და გასაუმჯობესებლად, ყველა სახის ჯანმრთელობის დაცვის სისტემისა და სამედიცინო დაზღვევის განვითარებისათვის ხელი შეუწყოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას, მოსახლეობის ეკოლოგიური და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით აღიარებულია სამედიცინო მომსახურების ისეთი ფორმა, როგორიცაა სადაზღვევო მედიცინა, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების

საშუალება, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალური დაზღვევის ორგანო დებს შეთანხმებას ექიმთან დაზღვეული პირის სამედიცინო მომსახურების შესახებ. ასეთი შეთანხმებით განისაზღვრება სამედიცინო მომსახურების ტარიფი. ადამიანი იხდის უშუალოდ სამედიცინო მომსახურების ღირებულების მხოლოდ ნაწილს, ხოლო დანარჩენ ნაწილს იხდის სოციალური დაზღვევის ორგანო. თუმცა, კონსტიტუციის იგივე მუხლი ითვალისწინებს კანონით განსაზღვრულ პირობებში უფასო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას.

ჯანმრთელობა ძირითადად დამოკიდებულია სუბიექტურ შეგრძნებებზე. შესაბამისად, ჯანდაცვა ვალდებულია იმუშაოს თითოეულის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის შესაძლო მაქსიმუმის მისაღწევად. მოცემული გარანტია მოითხოვს სხვადასხვა ღონისძიებებს, ვინაიდან კარგი ჯანმრთელობა განპირობებულია მრავალრიცხოვანი ფაქტორებით. ასეთი ღონისძიებების სახით შეიძლება დაეასახელოთ: მკვდრად შობილი ბავშვების და ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევების შემცირება, ეკოლოგიური გარემოსა და შრომის პიგიენის გაუმჯობესება, ეპიდემიოლოგიურ, ენდემიურ, პროფესიულ და სხვა დაავადებებთან ბრძოლა და მკურნალობა, ასევე თითოეულისათვის იმ საგარანტიო წინაპირობების შექმნა, რომ დაავადების შემთხვევაში შეძლოს ისარგებლოს სამედიცინო დაწესებულებისა და საექიმო პერსონალის მომსახურებით. ცხადია, რომ ჯანმრთელობის დაცვის შედარებით მაღალი დონე მიიღწევა მხოლოდ ადამიანის უფლებების, კერძოდ, სიცოცხლის უფლებისა და შესაბამისი სასიცოცხლო პირობების, სოციალური უსაფრთხოების, შრომის ჯანსაღი პირობების, ასევე განათლების უფლების დაცვით.

ისიც ცხადია, რომ ყველაფერი ეს არ ხორციელდება კონსტიტუციის პირდაპირი მოქმედებით და სასამართლო წესით დაცვის უფლების გამოყენებით. მოცემულ შემთხვევაში კონსტიტუცია უფრო მეტად ადგენს არა საკუთრივ კონსტიტუციურ უფლებას, არამედ გარკვეულ პროგრამას კანონმდებლისათვის.

რაოდენ მცირე აზრი არის ჩადებული „უფასო სამედიცინო მომსახურების“ უფლებაში, გვიჩვენებს სახელმწიფო კლინიკებში კატასტროფული მდგომარეობის მრავალრიცხოვანი მაგალითები.

როგორ შეიძლება მოხდეს სამედიცინო დახმარების უფლების რეალიზაცია, თუ ფიზიკურად არ არის მედიკამენტები, გადასახვევი მასალა, ტექნიკური აღჭურვილობა და სხვა მრავალი?

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს არა აქვს სამკურნალო ჩარევის უფლება პაციენტის ნების გარეშე. ეს შეეხება ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების ღონისძიებებსაც.

თუ ავადმყოფს ეს არ სურს, ასეთი ღონისძიებები არ უნდა იყოს გამოყენებული. სადავოა შემთხვევები, როცა პაციენტი კარგავს მეტყველების უნარს, რამდენად შეიძლება მის ადრე გამოხატულ ნებაზე დაყრდნობა. ასევე სადავოა, რამდენად შეუძლია ცალკეულ პირს გადასცეს თავისი უფლებამოსილებები გადაწყვეტილების მისაღებად ნდობით აღჭურვილ პირებს ასეთი შესაძლებლობის დაკარგვის შემთხვევაში?

პრინციპში, უნდა დავეყრდნოთ იმ პოზიციას, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია მოახდინოს ზემოქმედება ადამიანის სხეულზე მისი ნების გარეშე: გამოიყენოს მედიკამენტები, მიაერთოს აპარატს და ა.შ. პაციენტის ნება შეიძლება გამოიხატოს მრავალი ფორმით.

მედიკამენტებით იძულებითი მკურნალობა შეიძლება გამოყენებული იყოს ძირითადი უფლებების შეზღუდვის მიზეზთა მკაცრი დაცვის პირობით. საერთოდ აკრძალულია სამედიცინო ექსპერიმენტები პირის თანხმობის გარეშე, ასევე იძულებითი აბორტები და სტერილიზაცია.

საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კრძალავს რაიმე დისკრიმინაციას ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაციის სფეროში. არსებობს სამართლებრივი თვალსაზრისით სამედიცინო მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობის ინდივიდუალური მოთხოვნის უფლება, რომელიც რეალიზდება სასამართლო წესით. მოცემული მოთხოვნის უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტრანსპლანტანტურ (გადანერგვით) მედიცინაში და სხვა სფეროებში, სადაც რესურსების ნაკლებობა შეუძლებელს ხდის ყველა პაციენტის მომსახურებას სრული მოცულობით.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჯანმრთელობის დაცვის უფლების უმნიშვნელოვანეს გა-

რანტიად მიიჩნევეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებას.

ევროპაში ეკოლოგიური ხასიათის ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება განმტკიცებულია ე.წ. არჰუსის 1998 წლის კონვენციაში. ასევე შევიდა ძალაში ევროპის კავშირის შესაბამისი სამართლებრივი აქტი, რომელიც ევროპის კავშირის ქვეყნებში არეგულირებს ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებას ხელისუფლების და არა კერძო პირების მხრიდან.

გამომდინარე აქედან, სახელმწიფოა ვალდებული გაავრცელოს ინფორმაცია ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის შესახებ და მიიღოს გადაუდებელი ზომები მისი დაცვისათვის.

პირველად ხელისუფლების პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევისათვის დადგინდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეში ლოპეს ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (Lopez Ostra v. Spain, №303-C).

განმცხადებლის სახლის მეზობლად ქალაქ ლორკის სათრიმლაკე მასალის მწარმოებლებმა ააშენეს წყლისა და ნარჩენების გამწმენდი დანადგარი, რომლის ამოქმედებამ დროთა განმავლობაში გამოიწვია პრობლემები ჯანმრთელობისათვის და მსგავსი დისკომფორტი შეუქმნა არა მხოლოდ განმცხადებელს, არამედ ქალაქის მრავალ მცხოვრებს. ვინც ცხოვრობდა უშუალოდ ამ დანადგარის სიახლოვეს, მოხდა მათი ევაკუაცია. დანადგარის ექსპლუატაციის ნაწილობრივ შეწყვეტის შემდეგაც განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მოდამოებში მაინც რჩებოდა არადადამკმაყოფილებელი სიტუაცია. განმცხადებელმა გადაწყვიტა სახლის ყიდვა და იქიდან გადასვლა. სასამართლომ და კომისიამ გადასვლის გამომწვევი გარემოებები შეაფასა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

ესპანეთის მთავრობამ პროტესტი გამოთქვა, რადგანაც განმცხადებელს არ ეტყობოდა ჯანმრთელობის გაუარესების ნიშნები. თუმცა, ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ არც ქალბატონ ლოპეს ოსტრას გადასვლა, არც გამწმენდი ნაგებობის დროებით დახურვა არაფერს ცვლის იმ ფაქტში, რომ განმცხადებელი და მისი ოჯახი



ცხოვრობდა სუნის, ხმაურის და აუტანელი გამონაბოლქვის წყაროსგან მხოლოდ თერთმეტი მეტრის დაშორებით.

ინტერესს იწვევს ასევე კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია არა მხოლოდ საცხოვრებელი, არამედ მისი სამუშაო ადგილის გარემოს მდგომარეობის შესახებ. ფაქტების დამალვა იმ პირის მიერ, რომელიც ვაჭლებულია გადასცეს ინფორმაცია, არის უმოქმედო, რაც იწვევს პასუხისმგებლობას. ეს გარემოება მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პირს ეკისრება გარანტიის მოვალეობა. მაგალითად, ფაბრიკის დირექტორი, რომლის დანადგარები გამოყოფენ მავნე ნივთიერებებს, ატარებს გარანტიის მოვალეობას როგორც თავისი საწარმოს პერსონალის წინაშე, ისე სხვა ადამიანების მიმართაც იმ ნაწილში, რომ გარკვეული რისკით ექსპლუატირებულმა დანადგარებმა არ მიაყენონ მათ ზიანი.

როგორც ვხედავთ, ჯანმრთელობის დაცვის უფლება საკმაოდ კომპლექსური უფლებაა და ზედმეტი არ იქნება, თუ გავიმეორებ, რომ ის მოიცავს მრავალმხრივ ღონისძიებებს სახელმწიფოს მხრიდან.

#### 6.4.4. განათლების უფლება

განათლების უფლება ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი სოციალური ხასიათის კონსტიტუციური უფლებაა, რომელიც როგორც მისი, ისე მთელი საზოგადოების განვითარების წინაპირობებს ქმნის.

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლი, რომელიც განამტკიცებს განათლების უფლებას, თავისი შინაარსით შეესაბამება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლსა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლის დებულებებს. სწორედ ამ დებულებებით ყალიბდება განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტების საფუძვლები და მისი სათანადოდ განხორციელების პირობები.

განათლების უფლება არის ადამიანის შესაძლებლობა შეიძინოს განსაზღვრული ცოდნა, კულტურული და პროფესიული უნარ-ჩვევები, განსაზღვროს თავისი პროფესიული ორიენტაცია, რაც აუცილებელია ნორმალური სიცოცხლისუნარიანობისათვის თანამედროვე საზოგადოების პირობებში. განათლება არის სწავლების მიზანმიმართული პროცესი ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტში ნათქვამია: „განათლება გამიზნული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის გაზრდისაკენ“.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით განათლების უფლება გაფართოვდა და თანამედროვე პირობებში მოიცავს უფლებათა მთელ კომპლექსს. კერძოდ, უშუალოდ მოქმედ ინდივიდუალურ უფლებებს განეკუთვნება:

1. განათლების საყოველთაობა;
2. საგანმანათლებლო დაწესებულების არჩევის უფლება და სასკოლო განათლებაზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღების აკრძალვა;
3. სახელმწიფო სასწავლებლებში დაწყებითი, საშუალო, სპეციალური და უმაღლესი განათლების უფასოდ მიღების უფლება;
4. მშობლების მიერ თავისი ბავშვებისათვის სწავლების ფორმის შერჩევის უფლება (რელიგიური, საერო);
5. კერძო სასწავლო დაწესებულებების შექმნისა და საქმიანობის თავისუფლება;
6. მშობლების უფლება მოითხოვონ სახელმწიფოსაგან ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა თავიანთი საკუთარი რწმენის შესაბამისად და სხვ.

სწორედ ეს დებულებებია დაცული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის №1 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით, რომელთა პრაქტიკული რეალიზების აუცილებლობა არაერთხელ დადგა დღის წესრიგში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

მაგალითად, საქმეში მშობლები ბელგიის წინააღმდეგ (S. A – 1969) ბელგიელმა მშობლებმა თავისი და თავიანთი არასრულ-

წლოვანი შეილები (800-ზე მეტი) სახელით შეიტანეს სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში. მათ განაცხადეს, რომ მათი მშობლიური ენა არის ფრანგული, რომ ისინი უპირატესად სარგებლობენ ამ ენით და გამოთქვენ სურვილი, რომ მათი ბავშვებისათვის სწავლება წარიმართოს ამ ენაზე. მათ ბრალი დასდეს ბელგიის სახელმწიფოს იმაში, რომ მან თავისი კანონით არ გაითვალისწინა ფრანგული ენის გაკვეთილები იმ თემებისათვის, რომლებიც იწოდებოდნენ „ფლამანდიელებად“. სასამართლო დაეთანხმა სარჩელის მხოლოდ ერთ პუნქტს. ბელგიის კანონმდებლობა საშუალებას აძლევს ფლამანდიურენოვან ბავშვებს, რომლებიც ცხოვრობენ ზოგიერთ ფრანგულენოვან რაიონებში, ისწავლონ მეზობელ რაიონებში არსებულ იმ სკოლებში, სადაც სწავლება მიმდინარეობს ფლამანდიურ ენაზე, მაგრამ ანალოგიურ უფლებას არ ანიჭებს ფრანგულენოვან ბავშვებს. სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს წარმოადგენს კონვენციის მე-14 მუხლის დებულების დარღვევას დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ, რომელიც განიხილება №1 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან ერთად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ იყო უზრუნველყოფილი არსებული სასწავლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის უფლება ყველა პირისათვის დისკრიმინაციის გარეშე, კერძოდ, ენობრივი ნიშნის მიუხედავად.

№1 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად განმტკიცებულია საჯარო სკოლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის უფლება, ასევე სწავლების შესაბამისი შესაძლებლობების რეალიზაციაში მონაწილეობის უფლება. იმავდროულად სასკოლო განათლებისა და სწავლების სისტემის ორგანიზაცია არ წარმოადგენს მე-2 მუხლის საგანს და არ კონტროლდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ორგანოების მიერ. ნებისმიერ შემთხვევაში განათლების უფლება არ უნდა დაირღვეს.

განსაკუთრებული ყურადღება კონვენციის №1 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში დათმობილი აქვს სახელმწიფოს მოვალეობას გაითვალისწინოს მშობელთა მსოფლმხედველობა და რელიგიური რწმენა. ამ რწმენას პატივი უნდა სცენ არა მხოლოდ საგნების სწავლებისას, არამედ ასევე განათლებისა და აღზრდის

მთელ სისტემაში. ამავე პუნქტით კატეგორიულად იკრძალება ფიზიკური დასჯა.

საქმეში კემბელი და კოზანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Campbell & Cosans v. U.K. S. A-48) მოსარჩელები პრეტენზიას გამოთქვამდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ შოტლანდიის იმ სკოლებში, რომლებიც ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ, დისციპლინური ზომის სახით არსებობდა ფიზიკური დასჯა, რაც გამოიხატებოდა ხელის გულზე ტყავის ქაპრით რამდენიმე დარტყმაში. მათი მსოფლმხედველობა და მრწამსი პრინციპულად უარყოფდა ფიზიკური დასჯის გამოყენებას სკოლებში, რის გამოც უარს ამბობდნენ ბავშვების სკოლაში დაბრუნებაზე. მათი აზრით, სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ სკოლებში არსებული ეს წესი არღვევდა მათ უფლებას, რომელიც გათვალისწინებული იყო №1 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში. სასამართლომ განიხილა მშობლების ფილოსოფიური რწმენის ხასიათი და გამოთქვა შემდეგი მოსაზრება: „მთელი კონვენციის გათვალისწინებით ფილოსოფიური რწმენის“ გამოხატულება მოცემულ კონტექსტში ნიშნავს ისეთ რწმენას, რომელსაც პატივი უნდა სცენ დემოკრატიულ საზოგადოებაში და რომელიც არ არის შეუთავსებელი ადამიანის ღირსებასთან. გარდა ამისა, ის კონფლიქტში არ უნდა შევიდეს ბავშვების ფუძემდებლურ უფლებასთან, მიიღონ განათლება.

მოსარჩელების პრეტენზია შეეხება ადამიანის ცხოვრებისა და ქცევის საფუძვლიან და არსებით ასპექტებს, კერძოდ: პიროვნების ხელშეუხებლობას, ფიზიკური დასჯის საფუძვლიანობას ან უსაფუძვლობას და ტანჯვის მიყენების დაუშვებლობას, რომელიც თან ახლავს ასეთ სასჯელს. სასამართლოს აზრით, ეს შეხედულებები პასუხობს ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ კრიტერიუმს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ და სასამართლომ უფრო კონკრეტულად განიხილეს ასევე მშობელთა უფლებების დაცვის ხასიათი განათლების უზრუნველყოფისას. საჩვენებელი საქმე ამ სფეროში არის საქმე კელდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსენი დანიის წინააღმდეგ (Kjeldsen, Busk Madsen & Pedersen v. Denmark. S. A-23). პრინციპში, ეს არის თემა, რომელიც რეალურად აღელვებს ქართულ საზოგადოებას ამჟამად მიმდინარე განათლების

რეფორმის მეტად მნიშვნელოვან და იმავდროულად ძალზე რთულ პროცესში.

რამდენიმე მშობელი გამოვიდა დანიის სკოლების სასწავლო პროგრამებში სექსუალური აღზრდის გაკვეთილების შეტანის წინააღმდეგ. სასამართლომ ჩამოაყალიბა დებულების ფილოსოფიური საფუძველი, რომელიც შემდეგი სახით ეხებოდა მშობელთა უფლებების პატივისცემას: „ხელმძღვანელობენ რა ბუნებრივი მოვალეობით თავიანთი ბავშვების წინაშე (მშობლებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა თავიანთი ბავშვების განათლებასა და სწავლებაზე), მშობლებს შეუძლიათ მოითხოვონ სახელმწიფოსაგან, პატივი სცეს მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ რწმენას“.

მეორე მხრივ, მე-2 მუხლის მეორე წინადადება გულისხმობს, რომ „სახელმწიფომ მის მიერ ნაკისრი ფუნქციების შესრულებისას განათლების და სწავლების სფეროში უნდა იზრუნოს იმაზე, რომ სასწავლო განრიგში ჩართული ინფორმაცია ან მასალა იყოს ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური. სახელმწიფოს არ შეიძლება ჰქონდეს ინდოქტრინინგაციის მიზანი, რომელიც შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მშობელთა რელიგიური და ფილოსოფიური რწმენის უპატივცემულობა. ამ ზღვარის გადასვლა დაუშვებელია“.

ანუ სასამართლომ დაადგინა, რომ, ერთი მხრივ, სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს მშობელთა რელიგიურ და ფილოსოფიურ რწმენას ბავშვთა აღზრდისა და განათლების სფეროში, ხოლო მეორე მხრივ, უნდა უზრუნველყოს მოსწავლეებისათვის მასალის მიწოდების ისეთი ფორმა, რომელიც არ დაუპირისპირდება მშობლების რელიგიურ და ფილოსოფიურ რწმენას, რომელსაც სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს.

ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს განათლების სახელმწიფო სტანდარტების შემუშავება და დამკვიდრება. ეს სტანდარტები არის კურსდამთავრებულთა განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ობიექტური შეფასების საფუძველი, მიუხედავად განათლების მიღების ფორმისა. გარდა ამისა, ის მიზნად ისახავს უმაღლეს სასწავლებელთა სააკრედიტაციო პროცესის განხორციელებას, რომლის შემდეგაც სცნობს მხოლოდ სახელმწიფო ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის ქმედუნარიანობას.

#### 6.4.5. შემოქმედების თავისუფლება

შემოქმედების თავისუფლება ადამიანის განუყოფელი უფლებაა, რომელიც გარანტირებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლით.

შეიძლება ითქვას, რომ შემოქმედების თავისუფლებას ფართო გაგებით დათმობილი აქვს ერთბაშად ორი მუხლი: 23-ე, რომელიც განამტკიცებს ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლებას და 34-ე, რომელიც აღიარებს კულტურის თავისუფლებას.

შემოქმედების თავისუფლება აზრის გამოხატვის ნაირსახეობაა. ის მოიცავს ლიტერატურული, მხატვრული, სამეცნიერო, ტექნიკური და შემოქმედების სხვა სახეების თავისუფლებას, ასევე აკადემიურ თავისუფლებას.

კულტურული საქმიანობის თავისუფლება ძირითადი უფლებაა, რომელიც იცავს, მაგალითად, მხატვარს, როგორც მხატვრული ნაწარმოების შემოქმედს, ისე სხვა პირებს, რომლებიც მხატვართან ერთად მონაწილეობენ ამ ნაწარმოების პრეზენტაციასა და გავრცელებაში. პრინციპულად უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის თავისუფლების შინაარსი არ ითვალისწინებს ხელოვნებისათვის არანაირ სტილისტურ ან შინაარსობრივ დანაწესს, მითითებას ან რაიმე ტაბუს. არ არსებობს არც ერთი საგანი, რომელიც ვერ გახდებოდა მხატვრული გააზრების ფორმა.

ძირითად პრობლემას წარმოადგენს ხელოვნების ცნების განსაზღვრა. ის აუცილებელია, რადგან კონსტიტუციას არ შეუძლია დაიცვას განუსაზღვრელი, მაგრამ სამართლით დაცული სიკეთე.

ხელოვნების არსებით თვისებებს წარმოადგენს იდეა და ესთეტიკა. ხელოვნების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ცნებაში შეიძლება გავივით საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ადამიანის მიერ და მიმართულია ადამიანთა სულიერი და ესთეტიური ურთიერთობის განვითარებისაკენ.

ხელოვნებისა და საზოგადოების შეხვედრა ყოველთვის მოითხოვდა დაცვას, რადგან ხელოვნების საფუძველი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მხატვრული ნაწარმოების აღქმისათვის ისინი, ვისაც ეს

ებღვნება, გარკვეულწილად უნდა გახდნენ ამ შეთავაზებული ნაწარმოების თანამონაწილეები. სხვა სიტყვებით, რეციპიენტი ხშირად თავად წარმოადგენს ხელოვნების თავისუფლების სუბიექტს. ამრიგად, 34-ე მუხლი განსაზღვრავს ყველასათვის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების არსებობას, კულტურის ობიექტების გამოყენებას და მხატვრული ღირებულებების ხელმისაწვდომობას.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კულტურის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიების ზღვარი განისაზღვრება მხოლოდ თვით კონსტიტუციის მიერ.

თუმცა, ყოველთვის როდი გადის მკაფიო საზღვრები მხატვრულ მონაგონსა და ცხოვრებას, საკუთრებისა და შემოქმედების თავისუფლებას შორის. განსაკუთრებულ მტკიცებას არ მოითხოვს ის, რომ ფიზიკური სხეულისა და სიცოცხლის ხელშეუხებლობა ხელოვნების თავისუფლებისათვის ადგენს სერიოზულ წინაღობებს. ეს შესამჩნევია უკვე მხატვრული ნაწარმოების შექმნის პროცესში, მაგალითად, ე.წ. „სამინელებათა“ ფილმებში, რომელთა გადაღებაშიც მონაწილეობას ღებულობენ ბავშვები. ასეთი ფილმების წარმოებაში მხოლოდ მონაწილეობაც კი საშიშია ბავშვების სულიერი განვითარებისათვის.

საინტერესოა საქმე ე.წ. „ციურიხელი გრაფიტიისტი“ შესახებ. ციურიხის მცხოვრები, პარალელ ნეგელი, გრაფიტიისტი, ანუ მხატვარი, რომელიც ხატავდა საღებავიანი ბალონებით და პულვერიზატორის მეშვეობით, ამკობდა სახლების კედლებს თავისი ნახატებით. წინააღმდეგობა აღმოცენდა ორ უფლებას შორის, რომლის გადაწყვეტის დროსაც შემოქმედების თავისუფლება უკანა პლანზე აღმოჩნდა კერძო საკუთრების უფლებასთან შედარებით. ეს იმით აიხსნება, რომ არ არსებობს მხატვრის კონსტიტუციურ-სამართლებრივად დაცული და პრიორიტეტული უფლება სხვისი სახლების კედლების გაფორმებაში, რომელიც დაუპირისპირდება მფლობელის ნებას, რომ დაცული და ხელშეუხებელი იყოს მისი საკუთრება.

ციურიხის უმაღლესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მხედველობაში არ მიიღო მიყენებული ქონებრივი ზიანის მხატვრული ხასიათი და ასე დაასაბუთა უპირობო სასჯელი: „პარალელ ნეგელი რამდენიმე წლის განმავლობაში უმაგალითო სიჯიუტით,

თანმიმდევრობით და უპასუხისმგებლობით აიძულებდა ციურიხის მოსახლეობას ეჭვი შეეტანათ საკუთრების ხელშეუხებლობის რწმენაში. მას არ შეეშინდა გამოეხატა თავისი მხატვრული „ნაწარმოებები“ ეკლესიის კედლებზეც კი“.

ანუ სასამართლომ გარკვეულწილად გაავლო ზღვარი საკუთრების უფლების ხელშეუხებლობასა და შემოქმედებით თავისუფლებას შორის და ამ შემთხვევაში უპირატესობა მიანიჭა პირველს, გამოძლინარე იმ პრინციპიდან, რომ ერთი უფლების განხორციელებამ არ უნდა ხელყოს მეორე.

შემოქმედების თავისუფლება პატივის დაცვის წინააღმდეგ წარმოადგენს კოლიზიის კლასიკურ სფეროს თავისუფალ საზოგადოებაში. პირველ ყოვლისა, ეს შეეხება სატირასა და კარიკატურას, რომლებიც ძირითადად ემსახურება საზოგადოებრივი ცხოვრების წარმომადგენელთა კრიტიკას.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა საქმე „ჰასტლერ მეგეზინი ჯერი ფელველის წინააღმდეგ“ (Hustler Magazin v. Jerry Falwell, 485 U.S. 46-1988). ილუსტრირებული ჟურნალი „ჰასტლერ მეგეზინი“, რომელიც ვრცელდება აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე, მოგვევლინა მოსარჩელედ. მოპასუხე ჯერი ფელველმა, საყოველთაოდ ცნობილმა მოქადაგემ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოღვაწემ, ჯერ კიდევ მანამდე აღძრა სარჩელი მოცემული ჟურნალისა და მისი გამომცემლის ლერი ფლინტის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც მას მიადგა პირადი ცხოვრების სფეროს დარღვევით განზრახ მიყენებული შეურაცხყოფისა და სულიერი ტკივილის შედეგად.

საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ჟურნალ „ჰესტლერ მეგეზინის“ 1983 წლის ნოემბრის ნომრის სატიტულო ფურცლის შიდა მხარეზე გამოხატული იყო „პაროდია“ ალკოჰოლური სასმელის „კამპარის“ რეკლამაზე, რომელიც შედგებოდა სახელისაგან და მოპასუხის გამოსახულებისაგან ასეთი სათაურით: „ჯერი ფელველი ამბობს, თუ მან პირველად როგორ...“. ეს პაროდია, შექმნილი „კამპარის“ ნამდვილი რეკლამის საფუძველზე, შეიცავდა ინტერვიუს სხვადასხვა ცნობილ მოღვაწეებთან იმის შესახებ, „თუ პირველად როგორ...“. თუმცა ყოველი ასეთი ინტერვიუს ბოლოს ცხადი



იყო, რომ ამის ქვეშ იგულისხმებოდა, თუ როგორ გასინჯეს მათ პირველად ეს სასმელი. მაგრამ იმავდროულად, როგორც ჩანს, გამოთქმაში „თუ პირველად როგორ...“ იგულისხმებოდა ფარული სექსუალური სარჩული.

რედაქტორებმა „კამპარის“ რეკლამის ფორმასა და სტილზე მიბაძვით გამოსასახი პირის სახით შეარჩიეს ფელგელი და შეთხზეს ფიქტიური ინტერვიუ მასთან, სადაც ის აღიარებს, რომ „მისი პირველად“ მოხდა მთვრალ მდგომარეობაში ტუალეტის კაბინაში საკუთარ დედასთან სისხლალრევითი ურთიერთობის დამყარებით. მოცემულ რეკლამას ფურცლის ბოლოს ახლდა წვრილი შრიფტით დაბეჭდილი მითითება: „პაროდია რეკლამაზე – არ მიიღოთ სერიოზულად“. ჟურნალის სათაურში ეს რეკლამა გამოსახული იყო რუბრიკით – „ფიქცია: პაროდები რეკლამასა და პიროვნებებზე“.

რამდენადაც უცნაური და მიუღებელი არ უნდა იყოს, აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ჟურნალის სასარგებლოდ და ამასთან დაადგინა, რომ პოლიტიკური კატასტროფის სიმწვავე ხშირად მიმართულია სხეულის აგებულების ნაკლოვანებებზე ან პოლიტიკურად სკანდალურ მოვლენებზე, რომლებიც შეიძლება შეეხოს გამოსახულის თავმოყვარეობას: „კარიკატურისტიკის ხელოვნება ხშირად ზომიერი და მიუკერძოებელი კი არა, მწვავე და მიკერძოებულია“.

ანუ წინა საქმისაგან განსხვავებით სასამართლომ ზღვარი გაავლო ხელოვნების თავისუფლებასა და პიროვნების პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობას შორის, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში უპირატესობა მიანიჭა პირველს მისი გამომსახველობითი სპეციფიკისა და პროფესიული თავისებურებების გათვალისწინებით.

შემოქმედების თავისუფლება მოიცავს ასევე მეცნიერების თავისუფლებას. ჩვენს დროში მეცნიერება მოითხოვს, პირველ ყოვლისა, სახელმწიფო დაწესებულებების მხარდაჭერას და თანადგომას. ისევე როგორც გაეროს ზემოხსენებული პაქტის მე-15 მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლიც იცავს სამეცნიერო გამოკვლევებისა და მეცნიერების თავისუფლებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ მეცნიერების თავისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას ცალკეული მეცნიერი საჯარო ხელ-

ყოფისაგან, რომელმაც შეიძლება სამეცნიერო საქმიანობის შედეგად დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენოს იგი, მაშინ ამ ძირითადი უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება.

მეცნიერული შემოქმედების თავისუფლების უზრუნველყოფა წარმოადგენს ობიექტურ-სამართლებრივ პირობას იმ გაგებით, რომ სახელმწიფო თავის თავზე იღებს მეცნიერების, გამოკვლევის და თეორიის თავისუფლების დაცვის მოვალეობას.

ის გარემოება, რომ საჯარო ორგანიზაციები (ადრინდელ პერიოდში, განსაკუთრებით, ეკლესიები) ცდილობდნენ შეეხლუდათ მეცნიერების შედეგები დოგმატური ჩარჩოებით, წარმოადგენდა არსებით მიზეზს კონსტიტუციაში მეცნიერების თავისუფლების დამოუკიდებელი გარანტიების განსამტკიცებლად.

მეცნიერული გამოკვლევების საგანთან დაკავშირებით მუდმივად აღმოცენდება კოლიზიები მედიცინის მეცნიერულ ინტერესებსა და ადამიანის ღირსების შენარჩუნებას შორის.

მაგალითად, შვეიცარიის ერთ-ერთი კანტონის კანონმა აკრძალა გამოკვლევები, რომლებიც ტარდებოდა ადამიანის ემბრიონებისა და განაყოფიერებული კვერცხუჯრედების გამოყენებით. შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ აბსოლუტური აკრძალვა შეაფასა, როგორც არათანაზომიერი ჩარევა მეცნიერული გამოკვლევების თავისუფლებაში (შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება, 115 Ia 267 FF). პრინციპში, ცალკეულ შემთხვევებში უნდა დადგინდეს ღირებულებათა ბალანსი თავისუფლებასა და მეცნიერების მიზნებსა და სხვა ძირითად უფლებებს შორის, რომლებიც გარანტირებულია კონსტიტუციით (ადამიანის ღირსების პატივისცემა, პიროვნების ძირითადი უფლებების დაცვა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ეკოლოგია და ა.შ.).

შემოქმედების თავისუფლების სუბიექტები შეიძლება იყვნენ კერძო პირები, ასევე კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ამ უკანასკნელების ქვეშ იგულისხმება სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტები, უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სკოლები.

საქართველოს კონსტიტუცია არა მხოლოდ განამტკიცებს შემოქმედების თავისუფლებას, არამედ ასევე იცავს უფლებას მის შედეგ-

გებზე. კონსტიტუციის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტით აღიარებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლება.

საავტორო უფლება ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც აღმოცენდება მეცნიერული, ლიტერატურული ან ხელოვნების ნაწარმოების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებით. საავტორო უფლების დარღვევისათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობა.

საავტორო უფლების გარდა დაცულია ასევე ე.წ. სამრეწველო საკუთრება – გამოგონება, სამრეწველო ნიმუში და ა.შ. საუბარი ეხება უფლების დაცვას პატენტის მეშვეობით, რომელიც ადასტურებს გამოგონების პრიორიტეტსა და გამოგონების ან სამრეწველო ნიმუშის ავტორობას. ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც გამოიყენებს პატენტით დაცულ სამრეწველო საკუთრების ობიექტს, ითვლება პატენტის დამრღვევად. პატენტის მფლობელის მოთხოვნით დარღვევა უნდა შეწყდეს, ხოლო დამრღვევი ვალდებულია აუნაზღაუროს მას მიყენებული ზარალი სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

ისევე როგორც ადამიანის მოქმედების ზოგადი თავისუფლების დაცვის სხვა სახეები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მოვალეობა ასევე ექვემდებარება აუცილებელ საკანონმდებლო რეგულირებას.

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეზიაროს კულტურულ ღირებულებებს, საარქივო ფონდებს და სხვა საგანძურს კულტურული საქმიანობის სფეროში. თუმცა, ზოგიერთი მასალის ხელმისაწვდომობა შეიძლება შეიზღუდოს კანონით მათი საიდუმლო ხასიათის ან გამოყენების რეჟიმის გათვალისწინებით.

ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა არის მატერიალური და სულიერი ღირებულებები, რომლებიც შეიქმნა წარსულში, ასევე ძეგლები და ისტორიულ-კულტურული ტერიტორიები და ობიექტები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქართველოს თვითმყოფადობის შესანარუნებლად.

კონსტიტუცია ავალდებულებს მოქალაქეებს იზრუნონ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქეები, რომელთა მიზეზი-

თაც მიაღება ზიანი ისტორიის ან კულტურის ძეგლს, ვალდებული არიან აღადგინონ ისინი პირვანდელი სახით, ხოლო შეუძლებლობის შემთხვევაში – აანაზღაურონ მიყენებული ზარალი.

#### 6.4.6. შრომის თავისუფლება

შრომის თავისუფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლში და, ჩვეულებრივ, გულისხმობს მოქალაქის მიერ საკუთარი შრომითი შესაძლებლობების თავისუფალ გამოყენებას, საქმიანობის სახისა და პროფესიის თავისუფალ შერჩევას, ასევე იძულებითი მუშაობის აკრძალვას.

„სოციალისტური შრომის უფლებისაგან“ განსხვავებით, რომელიც ამავე დროს მოვალეობასაც წარმოადგენდა, საქართველოს კონსტიტუციამ საბაზრო ეკონომიკის განმტკიცებისა და უზრუნველყოფის მიზნით აღიარა თავისუფალი მეწარმეობა და კონკურენციის განვითარება.

თავისუფალი მეწარმეობის უფლებას განეკუთვნება ისეთი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც მიმართულია ეკონომიკურ სფეროზე. ის მოიცავს თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებას კაპიტალის ან წარმოების საშუალებების გამოყენების შესახებ, ასევე სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციას იმ სამართლებრივი ფორმების ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია კერძო სამართლით.

საქმიანი კავშირების თავისუფალი არჩევა ასევე მოქცეულია ძირითადი უფლებების დაცვის ქვეშ. მეწარმე თავად წყვეტს, სად და ვისგან სურს მიიღოს საქონელი ან მომსახურება და სად და ვის შესთავაზოს საკუთარი პროდუქცია.

გარდა პირადი შესაძლებლობებისა და საკუთარი ქონების გამოყენებისა, პროფესიული საქმიანობა ხშირად დამოკიდებულია იმაზე, მიეცემა შესაბამის პირს საზოგადოებრივი საკუთრებით (ქუჩები, ტროტუარები, მდინარეები, პარკები და ა.შ.) საქმიანი მიზნებით სარგებლობის უფლება, თუ არა. თუ კერძო პირი უარს მიიღებს ამაზე, მაშინ ესეც ჩაითვლება მისი ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების შეზღუდვად და დადგება უარის სამართლებრივი დასაბუთების აუცილებლობა.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ე.წ. „მეძავეების საქმე“ (შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება — 101 Ia 473 08.10.1975 წ.). შვეიცარიის ქ. ჟენევაში გამოიცა კანონი, რომლის შესაბამისად კანტონის მეძავეებს ეკრძალებოდათ დღის საათებში თავიანთი მომსახურების შეთავაზება ქუჩებსა და მოედნებზე.

რამდენიმე დანტერესებული ქალბატონის საჩივართან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ აკრძალვა წარმოადგენს პროფესიული საქმიანობის უფლების შეზღუდვას. რასაკვირველია, სახელმწიფოს აქვს უფლება განკარგოს საზოგადოებრივი დანიშნულების მიწები, მაგრამ არა მესაკუთრის სახით და მას არ შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ ჩამოართვას კერძო პირებს მათი გამოყენების შესაძლებლობა. თუ სახელმწიფო თავისი გადაწყვეტილებით ერევა მოქალაქეების მიერ საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაში, მაშინ ეს არის უფლებაში ჩარევა, რომელიც უნდა დასაბუთდეს კონსტიტუციური თვალსაზრისით. სურვილი იმისა, რომ უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებრივი სიმშვიდე და წესრიგი, დაცული იყოს ქალაქის მოსახლეობა გამომწვევად მოსიარულე მეძავეების სანახაობისაგან, ვერ გაამართლებს აკრძალვას, რომელიც ვრცელდება ქალაქის ყველა ქუჩასა და მოედანზე.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება მაშინ ექცევა კონსტიტუციის დაცვის ქვეშ, თუ მოცემული საქმიანობა არ არის აკრძალული კანონით. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ კანონმდებელს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ თვითნებურად შეზღუდოს ეკონომიკური საქმიანობა. მაშინ ამით ძირითადი უფლება დაკარგავდა ყოველგვარ აზრს. პირიქით, ძირითადი უფლების უმნიშვნელოვანეს ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ნებისმიერი მისი სამართლებრივი შეზღუდვა საჭიროებს განსაკუთრებულ კონსტიტუციურ დასაბუთებას.

მისი სწორად გაგების დათქმა მხოლოდ იმას განმარტავს, რომ ის, ვინც აზორციელებს კანონით აკრძალულ საქმიანობას, ვერ დაეყრდნობა ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან პირი, რომელიც საარსებო სარჩოს შოულობს

ბანკების გაძარცვით და შეკვეთილი მკვლელობებით, ვერ დაეყრდნობა ეკონომიკური საქმიანობის არჩევის თავისუფლებას.

ეკრძო პირების ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდება სფეროში, რომელიც წარმოადგენს ე.წ. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ზონას საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის, ჯანდაცვის, ასევე საზოგადოებრივი ზნეობის უზრუნველსაყოფად. ამიტომ დასაშვებია არა მხოლოდ საქმიანობის (ცალკეული სახეების რეგულირება, არამედ მათი ლიცენზირებაც. საქმიანობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახეებზე (საზოგადოების უსაფრთხოების თვალსაზრისით) შეიძლება დადგინდეს სახელმწიფო მონოპოლია.

ჩემი აზრით, დღესდღეობით მკაცრად არის გადასახედი ლიცენზირების საკითხი საქართველოში. სხვადასხვა უწყებები ითვისებენ ლიცენზიების გაცემის ფუნქციას, რაც ხშირ შემთხვევაში გადაქცეულია კორუფციისა და გაბერილი ბიუროკრატიული ორგანიზაციების „კანონიერ“ წყაროდ.

მაგალითად, რა აზრი დევს იურიდიული პირისათვის ლიცენზიის მიცემაში ავტოსერვისის გასახსნელად? რაში მდგომარეობს ასეთი ლიცენზიის დაცვითი ფუნქცია? იმაში, რომ ავტომობილის რემონტზე კონტროლი განახორციელოს კვალიფიციურმა პერსონალმა? მაგრამ ეს გარანტია არ მიიღწევა იმის შედეგად, რომ იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს მუდმივად ცვალებადი პერსონალი და მფლობელები, მიიღებს ლიცენზიას. კვალიფიციურ სპეციალისტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი მომზადება და ჩააბარა გამოცდები, არ სჭირდება პრევენციული კონტროლი ლიცენზიის გაცემის სახით. მოცემულ შემთხვევაში მართებული იქნებოდა სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის დაწესება. მაგალითად, შეკეთებული მუხრუჭების ცუდად ამოქმედებისას მთელი პასუხისმგებლობა დაეკისროს მათ, ვინც შეაკეთა ის. იმის აღქმა, რომ ცუდად გაკეთებულმა რემონტმა შეიძლება გამოიწვიოს პასუხისმგებლობა, უკეთესი მოტივაცია იქნება კარგი მუშაობისათვის, ვიდრე ნაყიდი ლიცენზია.

პასუხისმგებლობის შემოღება ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია ავტომობილის არაკეთილსინდისიერი მომსახურებით, უფრო ქმედითი ზომა იქნებოდა, ვიდრე ლიცენზიის გამოყოფა იმ

პირებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ასეთ რემონტს ახორციელებენ.

თავისუფალი კონკურენციის დაცვა ამართლებს შეზღუდვებს, რომლებიც მიმართულია თავად მისი მონაწილეების მიერ შექმნილი წინაღობების წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კანონმდებლობას კონკურენციის შესახებ და ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას. ეს გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან, რომლის თანახმად აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა.

შრომის თავისუფლების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობების ორგანიზაცია.

დაცვას ექვემდებარება ადამიანის უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული საქმიანობის შესახებ. საუბარია შრომის ბაზარზე კერძო ავტონომიის შესახებ. სამუშაოს მიმცემს კი უფლება აქვს აირჩიოს დასაქირავებელი პირი და განსაზღვროს მისი მუშაობის ვადები.

სწორედ შრომის ბაზარზე არსებობს იმის საშიშროება, რომ მხარეთა მდგომარეობა იყოს უთანასწორო და განისაზღვროს სოციალურად მიუღებელი შრომის პირობები. იმისათვის, რომ კანდიდატებმა სწრაფად დაიკავეთ სამუშაო ადგილი და არ აღმოჩნდნენ უმუშევართა არმიაში, ისინი თანხმდებიან შრომის ისეთ პირობებს, რომლებიც ითვალისწინებენ ხანგრძლივ სამუშაო დღეს უვარგის პირობებში მიზერული ანაზღაურებით.

კანონმდებელმა უნდა გამოსცეს ისეთი ნორმატიული აქტები, რომლებიც დაცული უნდა იყოს შრომითი ურთიერთობებისას. ეს საშუალებას მისცემს თითოეულ ადამიანს იშრომოს მისაღებ პირობებში.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვალდებულია დაადგინოს შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე. მას შეუძლია, მაგრამ არ უნდა დაყოს შრომის ანაზღაურება პროფესიული ჯგუფების მიხედვით. მინიმალური ხელფასის ოდენობის ნებისმიერი ცვალებადობა დისკრიმინაციული ნიშნით, მაგალითად, სქესის ან ეროვნების ნიშნით, იკრძალება. ერთადერთი კანონიერი საფუძველია — კვალიფიკაცია და შრომითი წვლილი. დასაშვებია მინიმალური ხელფა-

სის ოდენობის ცვლილება რეგიონების მიხედვით. ეს განპირობებულია ფასების სხვადასხვა დონით და ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ რეგიონებში სამეურნეო საქმიანობის წახალისების აუცილებლობით.

საქართველოს უმაღლესი კანონმდებელი ადგენს სამუშაო დროის მაქსიმალურ ზღვარს, ანაზღაურებადი გამოსასვლელი დღეების მინიმალურ რაოდენობას და ანაზღაურებადი შვებულების მინიმალურ ხანგრძლივობას. ეს დებულებები აუცილებელია ყველა შრომითი კონტრაქტისა თუ შეთანხმებისთვის. მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს სამუშაო დროის შემცირება და შვებულების გაზრდა, მაგრამ არა პირიქით.

საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფომ, ერთი მხრივ, უნდა იზრუნოს იმაზე, რომ არ გაიზარდოს უმუშევართა რიცხვი, ხოლო მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეებს დასაქმებაში. უფრო მეტიც, სახელმწიფოს მოვალეობაა უზრუნველყოს უმუშევრად დარჩენილი პირები საარსებო მინიმუმით.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს არა მხოლოდ მისი ტერიტორიის ფარგლებში, არამედ საზღვარგარეთაც, რაც შეესაბამება შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებებს.

ყველას აქვს უფლება უარი განაცხადოს განსაზღვრული სამუშაოს იბუღებით შესრულებაზე. დაცული სიკეთე წარმოადგენს შრომითი ურთიერთობების ორგანიზაციის თავისუფლების ასპექტს: მას, ვისაც აიძულებენ შეასრულოს განსაზღვრული სამუშაო, აკლდება შესაძლებლობა იმუშაოს საკუთარი შეხედულებით, საკუთარი პროფესიით რომელიმე განსაზღვრულ სამუშაოს მიმცემთან შეთანხმებული პირობებით. იბუღებითი შრომა უნდა განვასხვავოთ (კალკულის ამოცანების გადაწყვეტის ვალდებულებისაგან, რომლებიც შეიძლება დაეკისროს ცალკეულ პროფესიულ ჯგუფებს).

საინტერესოა საქმე ვან დერ მიუსელი ბელგიის წინააღმდეგ (Van der Musselle v. Belgium, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, S. A, №70. 23.11.1983 წ.). ბელგიაში მიღებულია, რომ



მომავალი ადვოკატი, რომელიც ამთავრებს რამდენიმე წლიან პრაქტიკას საადვოკატო კანტორაში, სისხლის სამართლის საქმეებზე პროცესში მონაწილეობს უფასოდ გამოყოფილი ადვოკატის სახით, რისთვისაც არ ღებულობს ჰონორარს და მის მიერ გაწეული ხარჯის ანაზღაურებას. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა განმცხადებელი, რომელმაც მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რადგან შეაფასა ეს როგორც იძულებითი შრომა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევა.

სასამართლომ დაადგინა, რომ იძულებით სამუშაოს წარმოადგენს სამუშაოს ან მომსახურების ნებისმიერი სახე, რომელიც მოეთხოვება პირს რაიმე სასჯელის მუქარის ქვეშ და რომელსაც ის ასრულებს არა საკუთარი ნებით. სასამართლომ გააძმწვეტად შეაფასა ის გარემოება, რომ აუცილებელი უფასო მუშაობა განეკუთვნებოდა ადვოკატის ჩვეულებრივ საქმიანობას და ეს არ იწვევდა მის გადატვირთვას. ამასთან, განმცხადებელმა თავად აირჩია ადვოკატის კარიერა და სრულად აცნობიერებდა მასთან დაკავშირებულ ყველა მოვალეობას. უკვე ამიტომ არ შეიძლებოდა იძულებით შრომაზე საუბარი.

იძულებით შრომას არ განეკუთვნება პატიმრების მუშაობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, თუ ის არ უკავშირდება განსაკუთრებით სასტიკ პირობებს ცალკეული პატიმარისათვის. რასაკვირველია, მსგავსი სამუშაო უნდა ჩატარდეს სასჯელის ან გამასწორებელი ზომების მიზნების ფარგლებში. ის წარმოადგენს სანქციის განუყოფელ ნაწილს, რომელმაც არ უნდა დაარღვიოს ზღვარგადასული მოქმედებების აკრძალვა.

იძულებით შრომად არ ჩაითვლება ბუნებრივი კატასტროფების ან საგანგებო გარემოებების დროს უფასო მუშაობა, საზოგადოებრივ საწყისებზე ნაფიც მსახურულად, საარჩევნო ხმის დამთვლელად, დამკვირვებლად და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში მონაწილეობა.

შრომის უფლებების დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია არის გაფიცვის უფლება, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ შრომით დავებზე შედარებით ფართო უფლების ნაწილს კანონით დადგენილი პროცედურების გამოყენებით.

გაფიცვა გულისხმობს მუშებისა და მოსამსახურეების მიერ სამუშაოს კოლექტიურ შეწყვეტას და მეწარმეების ან სახელმწიფოსადმი ეკონომიკური (ხანდახან პოლიტიკურიც) მოთხოვნების წაყენებას. ეს უფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლით.

კანონიერად ჩატარებული გაფიცვის დროს მის მონაწილეებზე არ ვრცელდება თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება. გაფიცვა კი კანონიერად ითვლება, თუ იგი დაიწყო და ჩატარდა კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო წესით იგი შეიძლება ცნობილ იქნეს უკანონოდ: ასეთ გაფიცვაში მონაწილეობა იწვევს დამნაშავე პირების იურიდიულ პასუხისმგებლობას.

#### 6.4.7. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება

საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება განმტკიცდა ჯერ კიდევ უძველეს კონსტიტუციებში. ის იყო პირველი თაობის უფლება. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება იყო საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა. ამ უფლების განსამტკიცებლად იწერებოდა მრავალი კონსტიტუციაც. ეს უფლება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ 1789 წლის საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის მე-17 მუხლში პირდაპირ ჩაიწერა: კერძო საკუთრება არის ხელშეუხებელი და წმიდათაწმინდა უფლება.

არა ნაკლებ ცნობილია აშშ-ის კონსტიტუციის მეხუთე შესწორების შინაარსი იმის თაობაზე, რომ არავის შეიძლება ჩამოერთვას სიცოცხლე, თავისუფლება ან საკუთრება სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე.

მომდევნო პერიოდში აღმოცენდა საკუთრების უფლების განვითარების ახალი ტენდენციები. XX საუკუნის შუა პერიოდში და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში აღმოცენდა გონივრული შეზღუდვები, რომლებიც გამიზნული იყო იქითკენ, რომ საკუთრება არ ყოფილიყო მიმართული საკაცობრიო თანამეგობრობის, ანუ სხვა ადამიანების საზიანოდ.

თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით ამავე პერიოდის საქართველოზე, რომლისთვისაც, როგორც სსრ კავშირის შემადგენელი ნაწილისათვის, უცნობი იყო საკუთრების უფლების არა თუ თანამედროვე, არამედ იმდროინდელი სტანდარტებიც კი. ეს ბუნებრივია, ვინაიდან მკაცრად პოლიტიზირებული იდეოლოგიური საბურველი მთლიანად ახშობდა საკუთრების უფლების სრული მოცულობით რეალიზაციის შესაძლებლობებს.

საკუთრების უფლება იურიდიულ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც განამტკიცებს და იცავს მატერიალური სიკეთეების კუთვნილებას ამა თუ იმ პირისადმი, ითვალისწინებს ძესაკუთრის უფლებების მოცულობასა და შინაარსს მისი კუთვნილი ქონების მიმართ და აგრეთვე ამ უფლებების განხორციელების საშუალებებსა და ფარგლებს.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი იმავდროულად წარმოადგენს როგორც უფლების აღიარებას, ისე მისი დაცვის გარანტიას. ის მიმართულია სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვებისა და საკუთრების ჩამორთმევის წინააღმდეგ კანონით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში. გარდა ამისა, დაცვითი უფლება ითვალისწინებს საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევაში ქონების სათანადო ანაზღაურების სახელმწიფო მოვალეობას.

უფლებაში ჩარევად განიხილება ისეთი სახელმწიფო ზომები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მოცემული პირის ქონებრივი უფლებებით სარგებლობასა და განკარგვაზე. ამასვე განეკუთვნება საკანონმდებლო ბაზის ცვლილებები, რომლებიც არახელსაყრელ პირობებში აყენებენ ადამიანს ან აუქმებენ ადრე შეძენილ სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

შეზღუდვები გამართლებულია, თუ ისინი ეფუძნება კანონს, ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს და არ არის ზღვარგადასული.

პრინციპში, საკუთრების უფლების შეზღუდვა შეიძლება დავასაბუთოთ ნებისმიერი საზოგადოებრივი ინტერესით. როგორც წესი, შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირის მხოლოდ ცალკეული უფლებამოსილებები კონკრეტულ საგანიან მიმართებაში. თუ ეს საგანი საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის, მაშინ ის

შეიძლება მთლიანად გაანადგურონ მესაკუთრის ნებისაგან დამოუკიდებლადაც კი.

მაგალითად, საქმეში „ცოფის შესახებ“ (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული – 20, 351-17.11.1966). მოქალაქე კ. იყო ორი ნაგაზის მფლობელი, რომელთაგან ერთ-ერთმა კონტაქტი იქონია ცოფიან მელასთან. პასუხისმგებელმა უწყებამ, რომელმაც იხელმძღვანელა კანონით ცხოველთა ეპიდემიების შესახებ, განკარგულება გასცა, რომ ორივე ძაღლი უნდა მოთავსებულიყო ცალკე ზედამხედველობის ქვეშ, წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალი განდებოდა მათი მოკვდინება. იმის გამო, რომ კ.-მ არ შეასრულა მოცემული მოთხოვნა, უწყებამ ბრძანება გასცა ორივე ძაღლის განადგურების შესახებ. კ.-მ სარჩელი შეიტანა ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლომ დაადგინა: თუმცა კ.-სთვის ძაღლები მათი მოკვდინების შედეგად სამუდამოდ იყო დაკარგული, აღმინისტრაციული ჩარევა არ იწვევდა ძაღლებზე უფლების გადაცემას სახელმწიფოსათვის იმ მიზნით, რომ ისინი გამოეყენებინათ საზოგადოებრივ ინტერესებში. უფრო ზუსტად, საუბარი ეხებოდა საკუთრების მოტივირებულ ხელყოფას, რაც მიზნად ისახავდა ადამიანებისა და ცხოველებისათვის რეალური საფრთხის თავიდან აცილებას. რადგანაც ძაღლები კანონიერად შეიძლება ჩაითვალოს ხსენებული საფრთხის წყაროდ, მათი მოკვდინება არ წარმოადგენს არაადეკვატური მოქმედების აკრძალვის დარღვევას.

მოცემული მაგალითი ნათელყოფს საგნის განადგურებას, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს, ჩარევის ჩვეულებრივი უფლების ფარგლებში. მაგრამ, როცა სახელმწიფო ჩამოართმევს უფლების მფლობელს მის ქონებრივ უფლებამოსილებას, როგორც ასეთს, და თავად აღიჭურვება ამ უფლებამოსილებით, ასეთ შემთხვევაში კონსტიტუცია ითვალისწინებს მკაცრ პროცესუალურ წესს. რადგან ამ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახორციელებს უფლების ჩამორთმევას, მოქმედებს არა მხოლოდ საზოგადოების პოტენციური საფრთხისაგან დაცვის ინტერესებში, არამედ ასევე ღებულობს ქონებრივი უფლების საკუთარ ინტერესებში გამოყენების შესაძლებლობას, ასეთი ჩამორთმევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სახელმწიფო ორგანოს შეუძლია კანონის საფუძველზე დააპატიმროს ან მოახდინოს შესაბამისი ქონებრივი ფასეულობის კონფისკაცია, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე უნდა უზრუნველყოს მოცემული ქონებრივი ფასეულობის შესაკუთრისათვის დაბრუნების შესაძლებლობა ქონების პირვანდელი მდგომარეობით.

ქონებრივი ფასეულობის ჩამორთმევა შეიძლება გამოიწვიოს თავად შესაკუთრის ქცევამ, მაგალითად, იმ ქონებრივი ფასეულობის ჩამორთმევა, რომელიც შექმნილია უკანონო გზით.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი შეეხება არა მხოლოდ საკუთრების უფლებას, არამედ მემკვიდრეობის უფლებასაც. კანონმდებლობით გათვალისწინებულია წესები, რომელთა მიხედვითაც გადადის მამკვიდრებლის ქონება მემკვიდრეებზე ან სხვა პირებზე მამკვიდრებლის სურვილით.

კონსტიტუციაში არ შეიძლება ვიპოვოთ პასუხი კითხვაზე: ვის აქვს მემკვიდრეობის უპირატესი უფლება: იმ სუბიექტებს, რომლებიც იყვნენ მითითებული ანდერძში, თუ ობიექტურად უფლებამოსილ მემკვიდრეებს? ამ საკითხის გადაწყვეტა სამოქალაქო სამართლის სფეროა. ამასთან, კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს მემკვიდრეობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფარგლები, უწინარესად, ორი თვალსაზრისით: ერთი მხრივ, მემკვიდრეობაზე კანონიერი ინტერესების განსაზღვრისას აუცილებელია თანასწორობის პრინციპისა და ოჯახის დაცვის უზრუნველყოფა. გადაწყვეტილებები, რომელთა თანახმად ქორწინების გარეშე მემკვიდრეებს უფრო ეზღუდებათ მემკვიდრეობის უფლება, ვიდრე ქორწინებაში დაბადებულებს, დაუშვებელია (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „Marckx v. Belgium“, S. A, №31-13.06.1975 წ.). მეორე მხრივ, სამემკვიდრეო ქონების გადაცემა საზოგადოებრივ სარგებლობაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს ახლო ნათესავი ან ის მემკვიდრე, რომელსაც გადაეცა ქონება მამკვიდრებლის სურვილით.

სუბიექტური უფლების სახით მემკვიდრეობის უფლების გარანტიას არ აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ის წარმოადგენს თავისებურ დამატებას საკუთრების უფლების გარანტიაზე იმ გავე-

ბით, რომ მემკვიდრეობის უფლება სარგებლობს ისეთივე დაცვით, როგორც საკუთრების უფლება, მაგრამ მხოლოდ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ.

## §5. საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური მოვალეობები

აქამდე ჩვენ გავეცანით საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების საკმაოდ ფართო სპექტრს, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა უფლება და თავისუფლება თავისთავად წარმოადგენს არა მხოლოდ მოქალაქის შესაძლებლობას – თავისუფლად იმოქმედოს თავისი სურვილისამებრ, არამედ მის მოვალეობასაც – განახორციელოს ეს უფლებები და თავისუფლებები კანონის ფარგლებში და მათი რეალიზაციის პროცესში არ დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. რა თქმა უნდა, ეს ზოგადი მსჯელობის თვალსაზრისით, რადგან საქართველოს კონსტიტუციამ ცალკე გამოყო მოვალეობების სახით მოქალაქეთა მიერ განსაზღვრული მოქმედებების შესრულების შესაძლებლობები.

მოქალაქეთა უპირველესი კონსტიტუციური მოვალეობა არის საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება (კონსტიტუციის 44-ე მუხლი). მოქალაქეთა მიერ საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის პატივისცემა და თავიანთი მოვალეობებისადმი დამოკიდებულება მთლიანად საზოგადოების სამართლებრივი კულტურის დონის მაჩვენებელია. სწორედ ასეთი დამოკიდებულება ქმნის დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის წინაპირობებს. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, ასევე სახელმწიფოს, როგორც განსაკუთრებულ დაწესებულებას და განსაკუთრებულ საერთაშორისო სუბიექტს.

საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლში გამოყენებული ტერმინი – „შესრულება“, კონსტიტუციური გაგებით ხასიათდება

არა მხოლოდ სუბიექტის პასიური, არამედ ასევე აქტიური ქცევით. ამ გაგებით ის ემთხვევა ცნებას – „კონსტიტუციური ნორმების „დაცვა““.

საქართველოს კონსტიტუციაში აკრძალვების ხვედრითი წილი, როგორც მოქალაქეთა ქცევის რეგულირების საშუალებებისა, უმნიშვნელოა. თუმცა, ამავე კონსტიტუციით აკრძალვები ფართოდ გამოიყენება სახელმწიფოს, როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის საქმიანობის ნორმირებისათვის. ამ შემთხვევაში აკრძალვები მიმართულია არა მხოლოდ კანონმდებლისადმი, ვთქვათ, ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემის სახით, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, არამედ ასევე აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისადმი, ნებისმიერი სამართალგაპოყენებლისადმი, რომლის მოვალეობაა კანონი გამოიყენოს კონსტიტუციით გათვალისწინებული პირობებისა და იერარქიული პრინციპების შესაბამისად.

ქვეყნის დაცვის მოვალეობა საქართველოს მოქალაქეთა ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური მოვალეობაა. ქვეყნის დაცვის მოვალეობა, ჩვეულებრივ, გულისხმობს სავალდებულო სამხედრო სამსახურის და ასევე ომის ან ომის საშიშროების შემთხვევებში გარკვეული მბრძანებლური მოქმედებების შესრულებას. ამასთან, კონსტიტუციის 101-ე მუხლი აცხადებს, რომ სამშობლოს დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა არის არა მხოლოდ მოვალეობა (იურიდიული კატეგორია), არამედ ასევე – მოქალაქეობრივი ვალი (მორალური კატეგორია).

სადავოა საკითხი იმის შესახებ, აწესებს თუ არა კონსტიტუცია ყველა მოქალაქისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურის თანაბარ მოვალეობას. ამ შემთხვევაში სიტყვა „ყველაში“ იგულისხმება როგორც მამაკაცები, ისე ქალები. დანარჩენ შემთხვევებში, სადაც კონსტიტუციაში საუბარია მოქალაქეებზე, იგულისხმება მამაკაცებიც და ქალებიც თანაზომიერად. ტექსტის ინტერპრეტაციისას, განსაკუთრებით, კონსტიტუციის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტის გათვალისწინებით, ყალიბდება შეხედულება, რომ 101-ე მუხლი სამხედრო სამსახურს მამაკაცებისათვისაც და ქალებისთვისაც ითვალისწინებს თანაბარზომიერად, თუმცა რეალურად მისი პრაქ-

ტიკული შინაარსი მოიცავს საზოგადოების მხოლოდ „მამაკაცთა“ ნაწილს.

თითოეული ჩარევა პირად ცხოვრებაში საჭიროებს კონკრეტულ დასაბუთებას. დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში დაუშვებელია, რომ რომელიმე ადამიანი ორი წლის ვადით იმყოფებოდეს ციხეში ან სამხედრო სამსახურში და ამ დროის განმავლობაში გადაიქცეს შუა საუკუნეების ღროინდელ მონად.

ყველა კონსტიტუციური ძირითადი უფლება სავალდებულო სამხედრო სამსახურის პირობებშიც ინარჩუნებს თავის მოქმედებას. ამ შემთხვევაშიც მათზე ვრცელდება რიგი სახელმწიფო-სამართლებრივი შეზღუდვები. ამასთან, ნარჩუნდება მოთხოვნა, რომ თავისუფლების ყველა არსებითი შეზღუდვა კონკრეტულად ჩამოყალიბდეს შესაბამის კანონში. ასეთ კანონში უნდა დადგინდეს, თუ რამდენი საათია გამოყოფილი სამსახურისათვის კვირაში, რამდენი საათია გარანტირებული დასვენებისათვის, რამდენი საათია გათვალისწინებული გარნიზონის ტერიტორიის გარეთ ყოფნისათვის და ა.შ.

ჯარი ისეთივე სახელმწიფო დაწესებულებაა, როგორც სკოლა, ციხე და სხვ. პირები, რომლებიც ამ დაწესებულებებში იმყოფებიან, ექვემდებარებიან განსაკუთრებულ სახელისუფლებო ურთიერთობებს. ეს ნიშნავს, რომ დაწესებულების ხელმძღვანელობას აქვს გაფართოებული უფლებები დაქვემდებარებული პირების ძირითადი უფლებების შეზღუდვის ნაწილში. დღესდღეობით მიმდინარეობს ქართული ჯარის რეფორმირების პროცესი, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა ჯარის გადასვლა პროფესიულ, საკონტრაქტო სისტემაზე.

კონსტიტუციის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს ყველას მოვალეობას, გაუფრთხილდნენ ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. ტერმინი „ყველა“ ამ შემთხვევაში მოიცავს არა მხოლოდ ინდივიდუალურ სუბიექტებს (მოქალაქეები, უცხოელები, მოქალაქეობის არმქონე პირები), არამედ ასევე თანამდებობის პირებს, რომლებზეც ვრცელდება ყველა სამოქალაქო მოვალეობა, ყველა ორგანიზაციას, სახელმწიფო ორგანოების ჩათვლით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, კომერციულ და სხვა სუბიექტებს.



მოცემული მუხლი ფაქტობრივად ითვალისწინებს მოვალეობის ორ სახეს: გარემოს დაცვას და რაციონალურ ბუნებითსარგებლობას. ამასთან, ამ მოვალეობათა ხასიათი განსხვავდება სუბიექტების მიხედვით. მაგალითად, ფიზიკური პირებისათვის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს, თავი შეიკავონ ისეთი მოქმედებების ჩადენისაგან, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენონ ბუნებას (არ ინადირონ და ითევზაონ იმ პირობებში და იმ ადგილებში, როცა და სადაც ეს არის აკრძალული და სხვ.).

ორგანიზაციებს პასიური ხასიათის მოვალეობების გარდა ეკისრებათ პოზიტიური მოვალეობების მთელი კომპლექსი, რომლებიც დაკავშირებულია პრევენციულ ღონისძიებებთან ზიანის თავიდან აცილების მიზნით (გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა და სათანადო ექსპლუატაცია, დადგენილი ეკოლოგიური ნორმატივების დაცვა და ა.შ.).

ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლით გათვალისწინებული მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის მოვალეობა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოცემული მოვალეობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი უმნიშვნელოვანესი პრინციპები:

1) კანონიერების პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი გადასახადის ან მოსაკრებლის გადახდის მოვალეობა განმტკიცებული უნდა იყოს კანონში. ამასთან, კანონი ზუსტად უნდა განსაზღვრავდეს ისეთ ელემენტებს, როგორცაა გადამხდელი სუბიექტი, გადახდის ობიექტი, საგადასახადო ბაზა, საგადასახადო პერიოდი, საგადასახადო ნიზრი, გადასახადის გამოთვლის წესი, გადასახადის გადახდის წესი და ვადები.

მოცემული მოვალეობის განხილვისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გადასახადებისა და მოსაკრებლების ამოღება არ შეიძლება ახალი კანონების მიღებისა და მათი ნორმების უკუქცევითი ძალის გამოყენების შედეგად. უკუქცევითი ძალის აკრძალვა ნიშნავს საგადასახადო მოვალეობის შეცვლის შეუძლებლობას გვიანდელი რიცხვით.

2) თანაზომიერების პრინციპი. ძალზე ძნელია იმის წარმოდგენა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო რომელიმე გადასახადს გამოაცხადებს ანტიკონსტიტუციურად იმ მიზეზით, რომ ის იმდენად ღილია, რომ ხელყოფს საკუთრების გარანტიას და ანადგურებს მას. რასაკვირველია, ყველა გადასახადს უნდა ჰქონდეს ფარგლები, რათა არ აღმოცენდეს სიტუაცია, როცა გადასახადი შეიძლება შეადარო საკუთრების ჩამორთმევას.

3) თანასწორობის პრინციპი, დისკრიმინაციის აკრძალვა. საგადასახადო მოვალეობის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს თანასწორობის მოთხოვნის დაცვა. გაუმართლებელია, მაგალითად, ზოგიერთი მეწარმისათვის გადაუხდელი გადასახადების ჩამოწერა, ანუ დავალიანების სახით დაგროვილი გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლება, ხოლო მეორისათვის – არა. ამ თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული ე.წ. „საფინანსო ამნისტიის“ დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს მეწარმეების მიერ თავიანთი საფინანსო მდგომარეობის დეკლარირებას და ძველი დავალიანებებისაგან განთავისუფლებას.

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს სხვა ზოგიერთ მოვალეობასაც, თუმცა თავიანთი მნიშვნელობიდან გამომდინარე ისინი ან განხილულია შესაბამისი უფლებების ანალიზისას ან მცირე მნიშვნელობის გამო არ საჭიროებენ დამატებით კომენტარს.

## §6. სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 43-ე მუხლის თანახმად თანამდებობის პირი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, არის ახალი ინსტიტუციური წარმონაქმნი საქართველოს სახალხო დამცველის სახით.

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის დეტალური რეგლამენტაცია მოცემულია 1996 წლის 6 მაისის ორგანულ კანონში „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“.

სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ინსტიტუტი აღმოცენდა შვედეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში, როგორც მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების სახელმწიფო დაცვის ინსტიტუტი, რომელიც მოგვიანებით ფართოდ გავრცელდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ომბუდსმენის ინსტიტუტი განსხვავებული სპეციფიკურობით ხასიათდება (მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ომბუდსმენი პარლამენტთან არსებული ორგანოა, ზოგან კი — უფლებების დაცვის დამოუკიდებელი ინსტიტუტი), დღესდღეობით ის გვევლინება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მძლავრ ინსტიტუციურ გარანტიად, რომლის შესაძლებლობების რეალიზაციაზე ბევრად არის დამოკიდებული დემოკრატიული პროცესების კონტროლი სახელმწიფოში.

საქართველოს სახალხო დამცველი აირჩევა საქართველოს პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის უმრავლესობით 5 წლის ვადით.

კანონით გათვალისწინებული საშუალებებით სახალხო დამცველი ხელს უწყობს დარღვეული უფლების აღდგენას, საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფას უფლებადაცვით სფეროში, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას ამავე სფეროში და ა.შ.

ნებისმიერ ადამიანს შეუძლია უფლების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს უშუალოდ საქართველოს სახალხო დამცველს. სახალხო დამცველი უფლებამოსილია მიუთითოს შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს დარღვევების შესახებ და შესთავაზოს მათი გამოსწორება. მართალია, სახალხო დამცველის საქმიანობა არ იწვევს უფლებადამრღვევი სახელმწიფო ორგანოების უკანონო გადაწყვეტილებათა ავტომატურ გაუქმებას, მაგრამ სახალხო დამცველს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია მიმართოს მართლშეაჯულების ორგანოებს ან პარლამენტს. თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას სახალხო დამცველი დამოუკიდებელია და მისი საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით (კონსტიტუციის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

სამწუხაროდ, ქართული რეალობის გათვალისწინებით ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სახალხო დამცველის როლის წარმოჩენა, როგორც

უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მძლავრი ინსტიტუციური გარანტიისა. შეიძლება ეს განაპირობა თავად კანონმდებლობის არასრულყოფილებამაც. მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით წარმოდგენელია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე ასარჩევ პირს არ წაყენება არანაირი ცენზი (მოთხოვნა) საქართველოს მოქალაქეობის გარდა. როგორც წესი, ომბუდსმენის თანამდებობა სრულიად თავისუფალია პოლიტიკური კონიუნქტურისაგან. ის არ არის არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ამასთან შეზღუდულია გარკვეული ასაკობრივი ცენზით. ჩემი აზრით, კანონმდებლობის სრულყოფა ამ მიმართულებით კიდევ უფრო ქმედითსა და ეფექტიანს გაზდის სახალხო დამცველის თანამდებობას.

მაშინ, როცა მრავალწლიანი სტაგნაციის პერიოდის შემდეგ ყალიბდება ახალი დემოკრატიული საზოგადოებრივი და სამართლებრივი წესრიგი, უდიდესი ფუნქციური მნიშვნელობა ენიჭება მოცემული ინსტიტუტის თანმიმდევრულ და აქტიურ ფუნქციონირებას.

## **S u m m a r y**

Purpose of the presented work is current and very important, as it presents the newly remade united theoretical materials to the reader, which elucidate the most recent changes made to the 1995 Constitution of Georgia and Georgian legislative acts. Differently from the first edition the various constitutional-legal institutes are discussed more widely in the treated work. These issues are subject, sources and system of Constitutional Law of Georgia, study on the Constitution, 1995 Constitution of Georgia, bases of constitutional-legal structure of Georgia, constitutional-legal status of man and of the citizen in Georgia, constitutional rights and freedoms of man and of the citizen in Georgia.

Two volumes of the manual of Constitutional Law of Georgia is based on the course of lectures gave by the author during twenty years at the faculty of law of Ivane Javakhishvili Tbilisi State University and other high schools. The main task of author was not only discussion of the basic institutes of constitutional law, but also their modern versification in accordance with the best foreign models and examples.

While working on the presented work, besides the numerous written sources, the author has used the experience received during his visits abroad and trainings connected to his professional activity. As a result he has brought with him

not only the most recent information, but also the greatest impressions from the meetings held in parliaments of the Great Britain, Ireland, Germany, Spain and France, in the European Court of Human Rights (Strasbourg), in the Central European University (Budapest), as well as from the numerous symposiums and conferences organized by initiative of the World Jurist Association (Washington) and International Union of Lawyers (Moscow).

That's why the author considers as honor to have the opportunity to thank his friends: **Wolfgang Schulz, Itzhak Nener, Ved P. Nanda, David Flint, Alexander Blankenagel, Ronald Greenberg, Sergei Alekseev** and other distinguished persons, as relations and discussions held with them have contributed to deepening his professional knowledge.

The author expresses thanks to the faculty of law of Ivane Javakhishvili Tbilisi State University and whole staff of the Chair of Theory of Law and Constitutional Law, especially, **Ms. Nana Chigladze** and **Ms. Irma Nozadze** for the active support expressed during the process of working on the book.

The author thanks **Ms. Irma Bekauri** for the operational technical assistance and high-qualified computer support.

The author especially appreciates the assistance of **Ms. Natia Kintsurashvili** for providing collection and translation of materials existing in Georgia and European countries, as well as for several-months intensive and selfless work connected to editing and final treatment of text of the book.

The author is sincerely grateful for consultations and wishes expressed by the reviewers **Prof. George Khubua** and **Prof. Konstantin Korkelia** and for many-years fruitful cooperation.

The author remembers with a big sorrow the scientific editor of the book, actually deceased outstanding scientist and public figure **Prof. George Intskirveli**, whose initiative and friendly support has finally conditioned preparation of the new manual of Constitutional Law of Georgia. Unfortunately, he himself did not live till its publication.

**Paata Tsobiladze**

*Tbilisi, December 1, 2004*

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. 1993 წლის საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“;
3. 1997 წლის საქართველოს კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“;
4. 1999 წლის საქართველოს კანონი „საქართველოში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ“;
5. 1997 წლის საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“;
6. 1996 წლის საქართველოს ორგანული კანონი „რეფერენდუმის შესახებ“;
7. 1996 წლის საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
8. 1996 წლის საქართველოს კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“;
9. 1996 წლის საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;
10. 1997 წლის საქართველოს კანონი „პროფესიული კავშირების შესახებ“;
11. 1997 წლის საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“;
12. 1997 წლის საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;
13. 1997 წლის საქართველოს კანონი „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“ ;
14. 1998 წლის საქართველოს კანონი „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“;
15. 1999 წლის საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“;
16. 1999 წლის საქართველოს კანონი „პატიმრობის შესახებ“;
17. 1999 წლის საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“;
18. 2001 წლის საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“.
19. 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;



20. 1950 წლის ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ;
21. 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ;
22. 1966 წლის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ;
23. გრ. ერემოვი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციების განვითარების ეტაპები, თბ., 1960;
24. კონსტანტინე კორკელია, საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბ., 1998;
25. კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2004;
26. კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ., 2004;
27. მ. მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის სათავეებთან, საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) საკონსტიტუციო კომისია, თბ., 1993;
28. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), შემდგენელი პროფ. გრ. ერემოვი, თბ., 1983;
29. მ. მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, შემუშავება და მიღება. ნაწილი II, თბ., 1993;
30. გ. უტიაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობა, თბ., 1995;
31. ბექა ქანთარია, კონსტანტინე მიქელაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბ., 2003;
32. რ. შენგელია, საქართველოს საფინანსო სამართალი, თბ., 2004;
33. დავით ჩიკვაძე, „კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“, კომენტარები, თბ., 2003;
34. მარიამ ცაცანაშვილი, „სახელმწიფო და რელიგია“, თბ., 2001;
35. პაატა ცნობილაძე, კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი (ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი), თბ., 1998;
36. ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994;
37. ზ. ჯინჯოლავა, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, თბ., 1993;
38. Алексеев А.А., Структура советского права, М., 1975;

39. Арнесен Г., Государство, политика и церковная власть, СПб, 2003;
40. Баглай М.В., Конституционное право Российской Федерации, М., 1998;
41. Баглай М.В., Габричидзе В.Н., Конституционное право Российской Федерации, М., 1996;
42. Берле А.А., Право собственности, М., 1984;
43. Бертелеми, Система государственных органов во Франции, М., 1979;
44. Бромхед Питер, Эволюция британской конституции, М., 1978;
45. Броншоу И., Понятие конституции, СПб, 2001;
46. Варц М.Ш., Элементы политической системы современного государства, М., 2000;
47. Венедиктов А.В., Государственная социалистическая собственность, М., 1948;
48. Вишинский А.А., Вопросы теории государства и права, М., 1949;
49. Вовнейко А.М., Конституционное право Республики Беларусь, Минск, 2003;
50. Вовнейко А.З., Конституционный строй в Восточной Европе, Казань, 2000;
51. Гаврилов М.Н., Конституционное право Российской Федерации, М., 2001;
52. Гаврилов О.А., О прямом действии конституции, М., 2001;
53. Ганев И., Конституционное государство, Саратов, 1999;
54. Генкин Д.М., Право собственности в СССР, М., 1961;
55. Голц К., Учение о конституции, М., 2002;
56. Джинджер Э.Ф., Верховный суд и права человека в США, М., 1991;
57. Донна Гомьен, Дэвид Харрис, Лео Зваак, Европейская Конвенция по правам человека и Европейская социальная Хартия, М., 1998;
58. Дорсен Н., Природа и пределы гражданских свобод в США, М., 1994;
59. Дюги Л., Конституционное право. Общая теория государства, М., 1908;
60. Елинек Г., Общее Учение о государстве, СПб, 1903;

61. Елинек Г., Конституции, их история и значение в современном праве, СПб., Право, 1906;
63. Егоров С.А., Современная наука конституционного права США, М., 1987;
64. Жан Боден, Шесть книг о республике, СПб., 1903;
65. Жозе Едуардо Дариа, Конституционализация процессов и экономическая глобализация, М., 1996;
66. Зельцер Н.В., Сущность общественного строя, Минск, 2002;
67. Ивановский В.А., Учебник государственного права, Казань, 1913;
68. Каппелетти М., Кохен В., Сравнительное конституционное право, Л., 1979;
69. Карл Р. Поппер, Открытое общество и его враги, М., 2001;
70. Керимов Д.А., Конституция СССР и развитие политико-правовой теории, М., 1979;
71. Керимов Д.А., Сущность, функции и формы социалистического государства, М., 1984;
72. Килбеин Н., Политическая система социетального общества, Кишинев, 2001;
73. Кларк Р., Преступность в США, М., 1975;
74. Ключевский В.О., Исторические портреты, М., 1990;
75. Коваленко А.И., Конституционное право России, М., 1997;
76. Козлова Е.И., Кутафин О.Е., Конституционное право России, М., 1995
77. Коллимор Рон, США: Конституция и права Граждан, М., 1997;
78. Колюшин Е.И., Конституционное (Государственное) право России, М., 1999;
79. Конрад Хессе, Основы конституционного права ФРГ, М., 1981;
80. Констан Бенжамин, Курс конституционной политики. СПб, 1891;
81. Конституционное право, Учебное пособие. Хрестоматия, под ред. А.М. Масалкина, Харьков, 1997;
82. Конституционное право / Под ред. В.В. Лазарева, М., 1998;
83. Конституционное право Российской Федерации, М., 1998;
84. Котляревский Г.С., Конституция, законность, правопорядок, М., 1982;

85. Курс советского государственного права, под ред. Б.В. Щетинина и А.Н. Горшенева, М., 1971;
86. Лабанд П., Государственное право Германской империи, СПб, 1912;
87. Лазар Я., Собственность в буржуазной правовой теории, М., 1985;
88. Ломбардо Т., Конституционная ситуация, М., 1997;
89. Лукарелли Ф., «Планирование» собственности, М., 1976;
90. Лукашук И.И., Международное право. Общая часть, М., 1996;
91. Лучин В.О., Конституционные нормы и правоотношения, М., 1997;
92. Лысенко Н.М., Общественно-политическая структура (сравнительный анализ), М., 2003;
93. Малейн М.С., Фундаментальная роль конституции, М., 2001;
94. Манфред Полак, Права человека, М., 2003;
95. Маркс К., Энгельс Ф., Сочинения, 2-ое изд., т. 4;
96. Медушевский А.Н., Сравнительное конституционное право, М., 2002;
97. Мелоун Р., Преступность и американское общество, М., 1995;
98. Милль М.Г., Представительное правление, М., 1992;
99. Михелева Н.А., Социалистическая конституция (проблема теории), М., 1981;
100. Мицкевич А.В., Акты высших органов Советского государства, М., 1977;
101. Монтанер К., Трактат о процветании, М., 1995;
102. Монтегсье Ш., Избранные произведения, М., 1995;
103. Москаленко Ю.З., Конституция Российской Федерации, Казань, 2001;
104. Назаров В.Г., Государство и религия: современные тенденции, Ереван, 2002;
105. Наумов В.А., Конституционное право Российской Федерации, М., 1998;
106. Николаев С.Ф., Конституция, фактор социальных изменений, М., 1999;
107. Орио М., Основы публичного права, М., 1929;
108. Петканов М., Конституционное право Болгарии, М., 1998;
109. Полянский Н.Н., Судьба процессуальных гарантий личной свободы во Франции, М., 1996;

110. Пригг Д., Шпионы и осведомители на скамье свидетелей, М., 2000;
111. Рахманина Т.Н., Принцип разделения властей в системе высших органов власти современной Франции, М., 1983;
112. Сантаяма Дж., Уход от прошлого, М., 1990;
113. Спиридонов Л.И., Социальное развитие и право, Л., 1993;
114. Степанов И.М., Конституция и политика, М., 1984;
115. Страшун Б.А., Конституционное (государственное) право зарубежных стран. Общая часть, М., 1996;
116. Тихомиров Ю.А., Проблемы теории социалистической конституции, М., 1992;
117. Туманов В.А., Буржуазная правовая идеология, М., 1971;
118. Уейд и Филлипс, Конституционное право, М., 1950;
119. Уманский Я.Н., Советское государственное право, М., 1960;
120. Урьяс Ю.П., Политический механизм ФРГ, М., 1978;
121. Хессе К., Основы конституционного права ФРГ, М., 1981;
122. Холмс С., Чему Россия учит нас сегодня // Конституционное право: восточноевропейское обозрение, 1997;
123. Цицерон Марк Туллий, Речи: В 2 т. Т.2, М., 1994;
124. Чистое учение о праве Ганса Кельзена: Сборник переводов. Вып. 2. М., 1988;
125. Чудаков М.Ф., Конституционное (Государственное) право зарубежных стран, Минск, 1998;
126. Шмидт К., Политическая романтика, М., 2002;
127. Юридический конфликт: процедуры разрешения, М., 1995;
128. Якайтис Р., Конституционное право Латвии, М., 2003;
129. Freedom of the Press from Zenger to Jefferson, 1966;
130. L. Levy, Freedom of Speech and Press in Early American History: Legacy of Suppression, N.Y., 1963;
131. Modern Constitutional Theory: A Reader / Ed. by J.H. Garvey, Minn, 1994;
132. Сборник решений Федерального Конституционного суда ФРГ, М., 2003;
133. „Դրոշմի և խոսքի“ (Сборник решений Федерального Конституционного Суда ФРГ, 6, 32 от 16 января 1957 г.);
134. „Ժրգանքի“ և խոսքի (Сборник решений Федерального Конституционного Суда ФРГ, 1976, №1989);

135. საქმე „ბინის დამქირავებლის შესახებ“ (გფრ-ის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული, 89, I. 1993 წლის 26 მაისი);
136. საქმე „კოფის შესახებ“ (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული, 20, 351-17.11.1966);
137. „გოფმანის სამხედრო-სპორტული ჯგუფი“ (Сборник решений Федерального административного суда ФРГ, 61, 218);
138. ხარატი კაინენი ფინეთის წინააღმდეგ (U.N. Doc. CCPR/C/OP/1-1985);
139. ვომა მუკონგი კამერუნის წინააღმდეგ (გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი. U.N. Doc. CCPR/C/51/D/458/1991-1994);
140. ფეი კოლუმბიის წინააღმდეგ (გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი: U.N. Doc. CCPR/C/53/D/514/1992-1995);
141. მონაკო დე გალიჩიო არგენტინის წინააღმდეგ (Monaco de Gallichio v. Argentina: გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი; U.N. Doc. CCPR/C/53/D/400/1900-1995);
142. გრისვოლდი კონექტიკუტის წინააღმდეგ (Griswold v Connecticut, 381 U.S. 479, 1965);
143. ევერსონი განათლების უწყების წინააღმდეგ (Everson v. Board of Education, 330 U.S. 1-1947);
144. მილსი მიჩიგანის წინააღმდეგ (Milss v. Michigan. 431 U.S.272, 1973);
145. ვისკონსინი იოდერის წინააღმდეგ (406 U.S. 205-1972);
146. ბრანდერბურგი ოჰაიოს წინააღმდეგ (395 U.S. 444-1969);
147. ჰასტლერ მეგეზინი ჯერი ფელველის წინააღმდეგ (Hustler Magazin v. Jerry Falwell, 485 U.S. 46-1988);
148. „ციურიხელი გრაფიტისტი“ საქმე (Сборник решений Федерального Конституционного Суда Швейцарии, М., 1999, с. 50-59);
149. „მეძავების საქმე“ (შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება, 101 Ia 473 08.10.1975 წ.);
150. „დახურული ზონა შეკრებებისათვის“ (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო, ვენა, 30.11.95 წ., 1495/94);
151. საქმე „შაბათის დაცვის შესახებ“ (Палата для рассмотрения жалоб ведомства по трудовым вопросам Брюсселя – УВ 5 (1962) 364);
152. გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Golder v. UK, 21.02.1975, №18);

153. სანდი ტაიში გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Европейский суд по правам человека, серия А, №30, 1979 წლის აპრილი);
154. იანგი, ეჯიმსი და ვებსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Young, James and Webster, Серия А., №44);
155. „ქრისტიანები რასიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ“ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია, 16.07.80, 8440/78);
156. დრეიპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Draper v. U.K. DR. 24, 72);
157. ჰამერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Hammer v. U.K. DR 24, 5);
158. კემბელი და კოზანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Campbell & Cosans v. U.K. S. A-48);
159. ესტიმა ჟორჟე პორტუგალიის წინააღმდეგ (Estima Jorge v. Portugal: Европейский Суд по правам человека 16/1997/800/1003 – 21.4.1998 г.);
160. „ავტომობილისტის“ საქმე, (Европейская Комиссия по правам человека, E 6170/73; 26 мая 1975 г.);
161. ეზელინი საფრანგეთის წინააღმდეგ (Ezelin v. France, Европейский суд по правам человека – Серия А, №202);
162. ლოპეს ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (Lopez Ostra v. Spain, №303-С);
163. მშობლები ბელგიის წინააღმდეგ (Европейский суд по правам человека, Серия А, №34, 1968.04.11);
164. კელდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსენი დანიის წინააღმდეგ (Kjeldsen, Busk Madsen & Pedersen v. Denmark. S. A-23);
165. ვან დერ მიუსელი ბელგიის წინააღმდეგ (Van der Musselle v. Belgium, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, S. A, №70. 23.11.1983 წ.);
166. მარკსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, S. A, №31-13.06.1975 წ.).